

766  
1991



ISSN 0234-7385

# ქართველი ომავალთავი

(254)  
XVI-XVII

XVI

საქართველოს მთხოვის მუზეუმი  
ქ. პატარა გამარჯვებულის ხილის მთხოვანი ინსტიტუტი



ქილოლოგურ-ისტორიული  
მუზეუმი

XVI



თბილისი

„მთხოვის“

1991

833 გ  
გ 90

კრებული ეძღვნება პტიფ. ი. აბულაძის 90 წლისთავს. წე-  
რილი უშრავლესობა წარმოაშენს ინსტიტუტის მუშაობის სურათს,  
გამოყვლევები ეძღვნება ძველი ქართული მწერლობის წყაროთ-  
მცოდნეობის, დიპლომატიკის, გენეალოგიის საქითხებს.

კრებული განკუთვნილია ძველი ქართული ფილოლოგიისა და  
კულტურის ისტორიით დანწერულებულ მითხველისთვის.

სარედაქციო კოლეგია: ც. აბულაძე, ჭ. ალექსიძე (მთავარი  
რედაქტორი), ც. კახაბრიშვილი, (მდივანი), მ. მამაცაშვილი, ელ. შეტრეველი,  
მ. ქავთარია, ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ე. ცაგარეიშვილი, ე. ხოშტარია.

ტომის რედაქტორი მ. ქავთარია.

რეცენზირები ფილოლოგიის მეც. დოქტორები: ც. ქურციკიძე  
გ. სილოგავა

ა — 4603020102  
მ 607 (06) — 91 115—91 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991

ISBN 5—520—00632—6



ილია აგულაძის მოსაზონარი

1968 წლის 9 ოქტომბერს გარდაიცვალა თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის დამფუძნებელი, პროფესიონალი ილა აბულაძე. მისი მოულოდნელი გარდაცვალების ამბავმა დამწუხრა ქართველობის მეცნიერების ყველა მეცნიერი, რომლებმაც მისი სახით დაუკიშუარება მასწავლებელი და მეცნიერი დაკარგეს.

ი. აბულაძე დაიბადა 1901 წლის 24 ნოემბერს, ზესტაფონის ააიონის სოფელ ზედა საქართველოს (გორასა და ქუთაისის შორის). 1921 წლამდე სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიკის ფაკულტეტზე. ექვემდებარებოდა ლიტერატურას, შემდეგ კი, 1929 წლამდე, ენათმეცნიერებას. 1932 წლიდან სწავლა განაგრძო ასპირანტურაში. 1933—34 წწ. კითხულობდა ლექციებს ჟელ ქართულსა და ქველ სომხურს, პარალელურად მუშაობდა უნივერსიტეტის რეაქციულის სამსტიტუტში. 1938 წ. დაიკავა დისტრქტული ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხასისხსის მოსაკვებლად. მეცნიერ თანამშრომლად მუშაობდა ჩენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში. 1945 წ. დაიცავა საღოქტორო დისტრქტულია ოქმაზე: „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს“. 1947 წ. მიენიჭა მეცნიერებათა დოქტორის ხარის-ხი და პროფესორის წოდება.

1945-50 წლებში განყოფილების გამგედ ქართული ხელოვნების ინსტიტუტში. 1945 წლიდან იყო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1947 წლიდან კი ძელი ქართული ენის კათედრის პროფესორი. 1950 წ. აჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია.

თავისი ნაყოფები და უდროოდ შეწყვეტილი მოღვაწეობის განვალობაში ი. ა. პულაძემ მრავალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი შექმნა. მისი ბიბლიოგრაფია ასზე მეტ ნაშრომს მოიცავს, მათ შორის თექქვსეტი წიგნია.

o. აბულაძემ დიდად შეუწყო ხელი ქართველ ფილოლოგთა მიერ ამის შემდგომ პერიოდში წარმყებულ დიდ საქმეს — ძველი ქართული ტექსტების

შესწავლასა და მეცნიერულად გამოცემას. იგი მკლევარებს ეხმარებოდა ის ძველი ტექსტების კრიტიკულ გამოცემაში, რომლებიც მანამდე გამოქვეყნებული არ ყოფილი ან არავარობით ეტული გამოცემებით იყო ცნობილი. საკუთრივ მისი, ძველი ტექსტების კრიტიკულ გამოცემთა სია ვრცელია. ჩამოთვლით მხოლოდ მათგან უმნიშვნელოვანესთ: „სიბრცნც ბალაპარისი“ (1937), წმ. შეზანიკის „მარტვილობა“ (1938), ძველი ქართული მრავალთავის თოთხმეტი საკითხვი (1944), საქმე მოცემულთა (1950), ასურელ მამათა ცხოვრება (1955), მამათა სწავლის (1955), ქართული ბალაპარისის იერუსალიმშის ახლო, ერცელი რედაქცია (1957), ითანა მოსხის ლიმონარი (1960). წმ. ბასილის ექვსთა ღლეთა და გრიგოლ ნისელის კაცისა აგებულებისათვის (1969). ამ სიას უნდა დაემატოს ორიგინალური ქართული აგორგრაფიული ტექსტები, რომელთა სამი ტომიც (განხრაზეული ოთხიდან) ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით დასრუმბეს ხელნაწერთა ინსტატუტის თანამშენობებმა: ტ. I., 1963 წ. (V—X სს. ტექსტები), ტ. II., 1967 წ. (XI—XV სს. ტექსტები) და ტ. IV., 1968 წ. (სკინაქსარული რედაქციები, XI—XVIII სს.).

ხელნაწერთა ინსტიტუტი, რომელსაც ი. აბულაძე ხელმძღვანელობდა, დაცულია ღლემდე მოღწეულ ქართულ ხელნაწერთა უმრავლესობა. მან დასბამი მისცა ამ ხელნაწერთა მეცნიერულ შესწავლას, რითაც სათავე დაუდო ქართული კოდიგოლოგიის ისტორიას. მისი პალეოგრაფიული აღმოჩი (1949), რომელშიაც თავმოყრილია ქართული დამწერლობის 143 ნიმუში (მწიგნობრული და ღოკუმენტური ეპიგრაფიკა), სრული ტრანსკრიფციითა და განმარტებებით, წარმოადგენს ძირითად წყაროს ქართული პალეოგრაფიის შესასწავლად. ი. აბულაძის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების და ხელნაწერთა ინსტიტუტის (1958) ხელმძღვანელობის პერიოდში გამოქვეყნდა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის 11 ტრამი (1 ტ. H ფონდის, 2 ტ. A ფონდის, 2 ტ. Q ფონდის და 6 ტ. S ფონდის), რამაც თბილისის ხელნაწერების კატალოგთა სერიის რიცხვით თექსტმეტამდე აიყვანა (თუ მხედველობაში არ მიიღილებთ A ფონდის სამ ტომს, რომლებიც 1914 წლამდე გამოქვეყნდა); ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ოთხი ტრამი დამუშავდა ი. აბულაძის ხელმძღვანელობით. ესენია: H ფონდის ტ. 1, 2 (1946, 1951) და Q ფონდის ტ. 1, 2 (1957, 1958).

ი. აბულაძის ნაშრომებს უდიდესი მეცნიერული ღირებულება გააჩნიათ. ყოველ ნაბიჯზე მოჩანს აეტორის ნაყოფიერი შრომა და მისი მკაცრი ობიექტურობა. მისი ფილოლოგიური და პალეოგრაფიული ნიჭი, დახვეწილი ლინგვისტური ალლო, უზადო ერუდიცია და კრიტიკული სული. ამ პუბლიკაციებს ჰალალ შეასება მსაცემის სპეციალისტება არა შემოლოდ მის სამშობლოში, არმოდ უცხოეთშიც. როცა იუნისის ინციდენტით იერუსალიმის ქართული ბალაპარისის ინგლისური თარგმანი გამოქვეყნდა, მთარგმნელმა, ჩვენმა კოლეგამ დ. ლანგმა ამ გამოცემისათვის საკუთრესოდ მიიჩნია ი. აბულაძის ეული შესავალი, რომელიც მან 1962 წ. თბილისში გამოქვეყნებულ რუსულ თარგმას წარუმდგრარა. სწორედ ეს შესავალი აქვს დ. ლანგის ბალაპარისის ინგლისურ თარგმას (ლონდონი, 1966).

ხელნაწერთა ინსტიტუტის განვენებულმა ღირებულებულმა ქართულ ფილოლოგიას მნიშვნელოვანი და მარადიული შენაძენი დაუტოვა. მან თან გაიყოლა მაღლიერების გრძნობა მრავალი მკლევარისა, რომლებსაც მისმა პუბლიკაციებში დაახახვეს და ხელმისაწვდომი გაუხადეს ძველი ქართული ლიტერატურის მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი. ბევრი ჩვენგანი მღლელაბებით მიიღონებს იმ სულდიდ თავაზანობას, რომლითაც ი. აბულაძე ეხმარებოდა და ამხნევებდა მუშაობაში თავის უცხოელ კოლეგებს, უანგარიდ აწვდითა მათ წიგნებსა და ხელნაწერთა ფოტოებს; მათ დიდხანს ემასსოფრებათ მისი თბილი სტუმართმთვევარებობა, რომლითაც იგი ხელნაწერთა ინსტიტუტში ეგვეგბოდა. მღლელვარებით, მაღლიერებისა და აღვეროვანების გრძნობით თავს ვხრით უდიდესი და თავმდაბალი მეცნიერის წინაშე, რომელიც ძალზე აღრე მოკლდა მეცნიერებას, თავის სამშობლოს, თანამშრომლებსა და მეგობრებს.

II. მიზრივი

ათონის ქართველთა მონასტერში ჯინამდლობის დაღგინის  
ზედები (X—XII სს.)

ივირონი აშენდა 981—83 წლებში იოანე-თორნიკეს ინიციატივით როგორც კტიორული მონასტერი — საკუთრება ჩორდვანელთა სახლის წევრებისა. თორნიკეს ჩანაფიქროთ, მონასტერში მხოლოდ ქართველებს უნდა ეცხოვნათ. ამისთვის მონასტრის მშენებლობის პროცესში მან ტაოდან ათონს წაიყვანა „მრავალი ფიჩოსანნი და სახელოვანი მონაზონნი“ (ცხორება, § 25,1)! მაგრამ მალევე ნათელი გახდა, რომ მარტო ქართველების ხელით მონასტერი ვერ აშენდებოდა, ვინაიდან ქართულ საკრებულოში ნაოსნები და ხელოსნები ან სულ არ იყვნენ, ან არასაქმარისი რაოდენობით. შენავეები და ხელოსნები ქართველმა მამებმა ბერძნენთა შორის მოიპოვეს და „ესრეთ, ღმრთისა შეწევნით, სრულ იქმნა შენებად მონასტრისად“ (§ 25, 1—3). ამრიგად, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, უკვე მონასტრის მშენებლობის დროს ქართველი მამები იძულებული იყვნენ ბერძნების „შევანებად“ მონასტერში, ვინაიდან თავიდანვე ნათელი იყო, რომ „ესვეითარისა ვრცელისა ღამჭირვად“ მარტო ქართველებისათვის ულონი იყო (§ 25,3). ამიტომ გარდაუალი იყო ივირონში ბერძნენთა დამკაიდრება, მათი რაოდენობრივი ზრდა, და ივირონის ქართულ-ბერძნულ საკრებულოთა ინტერესების დაპირისპირება. ეს მოსალოდნელი საფრთხე მალე მწარე სინამდვილედ იქცა.

ივირონში ბერძნენთა მომრავლებასა და მომდლავრებას რამდენადმე ხელს უშლიდა წინამდლვრის დადგენის კტიორული წესი, რომელიც თავიდანვე მოქმედებდა მონასტერში. მონასტრის მშენებლობის დამთავრების უმაღლევი იოანე-თორნიკემ ერთპიროვნულად თავის „თვსს“ იოანე იბერს დააყისრა მონასტრის წინამდლვრობა. ამასთანვე დააწესა, რომ მომავალშიც მონასტრის წინამდლვრად ჩორდვანელთა სახლის წევრი ყოფილიყო, რომელიც უნდა დაესახელებონა წინა წინამდლვრას. ერთდოულად დასახელებული ორი კანდიდატი ერთი-მეორის მომდევნობ დაიკავებდნენ წინამდლვრის პოსტს<sup>2</sup>.

ბუნებრივია, ივირონის ბერძნული საკრებულო ცდილობდა წინამდლვრის დადგენის ეს წესი მოეშალა, ქართველები კი ამ წესის დაცვით ვარაუდობენ მონასტერი ქართველებისათვის შეენარჩუნებინათ. ამრიგად, ივირონის

<sup>1</sup> იოანე და ეფთემიტს „ცხორებისათვის“ აქაც და ქვემოთაც მივუთითებთ ა. შანიძის 1946 წლის გამოცემას.

<sup>2</sup> თანამდებობაზე ორი კანდიდატის ერთდროულად დასახელება, ეტყობა, ბერძნულ მონასტრებშიც გარდელებული პრაქტიკა იყო. ასე დასახელა ათონასე ლავრელმა თავის ანდერძში ლავრის ეპიტროპებად იოანე და ეფთემიტ: *Actes de Lavra, I. par P. Lemerle, A. Guillou, N. Svoronos, avec la collaboration de D. Papachryssantou, Paris. 1970. p. 19.*



წინამდებრის დაღვენის წესს ერთნაირად დიდი მნიშვნელობა ჰქონდება მიმდევარის ხასტრის როგორც ქართული, ასევე ბერძნული საკურებულოსთვის.

ივირონის კრიტორები, ჩორდანელთა სახლის წევრები მონასტერში თავიდანვე განსაკუთრებული პრივილეგიებით რომ სარგებლობდნენ, ეს სხვა ფაქტებითაც მტკიცდება, მონასტრის კტირობის ოთანე-ცენველოზის (თორნიკეს) გარდაცვალებასთან დაკავშირებით მონასტერში შეიქმნა სააღავე წიგნი, რომელშიც პირველ აღაპად ჩაიწერა იოანე სვინგელოზის აღაპი მდიდრული განვებით. ეს სააღავე წიგნი 200 წლის მანძილზე იციბოდა ახალი აღაპებით, მათ შორის ჩორდანელთა სახლის წევრების აღაპებითაც.

ქართული და ბერძნული წყაროების შესწავლამ საშუალება მოგვცა ათონის სააღავე წიგნში გამოგვეყო რამდენიმე ქრონოლოგიური პლასტი, მათ შორის უძველესი, რომელიც იოანე სვინგელოზის აღაპით იწყებოდა და შეიცვდა მხოლოდ ჩორდანელთა სახლის წევრთა და ნათესავთა აღაპებს. ე. ი. თავდაპირველად სააღავე წიგნი შეიქმნა როგორც ჩორდანელთა სახლის წევრების აღაპების წიგნი. ეს ფერა სააღავე წიგნისა ითარგლებოდა 984—1042 წწ. ეს აღაპები გამოიჩინებან სხვებისაგან იმით, რომ მათთვის განწესებულია ივავე განვება, რაც იოანე სვინგელოზისათვის შემდეგი ფორმულირებით: „ვითარუა სვინგელოზისასა სწერა“ ჩორდანელთა სახლის წევრთა შორის რამდენიმე წინამდებრის ტიტულით არის მოხსენებული აღაპებში.

ივირონი კტირორულ მონასტრად 1042 წლამდე რჩებოდა. ამ ხნის მანძილზე მონასტრის წინამდებრად ყოველთვის ჩორდანელთა სახლის წევრები ინიშნებოდნენ. როგორც ზემოთ ითვეა, მონასტრის პირველ წინამდებრად იოანე-თორჩინიერმ იოანე ქართველი [თავისი თვისი] დაადგინა. თვისი მხრივ იოანე ქართველმა გარდაცვალების წინ წინამდებრად დაასახელა თავისი შვილი ეფთვიმე, ხოლო მის დამხმარედ და მემკვიდრედ გიორგი I ვარაზეაჩე.

წინამდებრობის მიტოვების შემდეგ, ეფთვიმე თავისი მემკვიდრედ დაასახელა თავისი ნათესავი გიორგი I ვარაზეაჩე, როგორც ამას იოანე ქართველი მოითხოვდა, ხოლო მის დამხმარედ და მემკვიდრედ მამა გრიგოლი: „ძმანი ქართველი მამასა გიორგის და მამასა გრიგოლს შევეღრნა“ — ვკითხულობთ „ცხორებაში“. ორივე კანდიდატი ჩორდანელთა სახლის წევრი იყო (ცხორება, § 118,6).

მაგრამ ჩორდანელთა სახლის წევრების მონასტრის წინამდებრად განწესება მანცც არ იყო რადიკალური საშუალება ივირონის ბერძნული საკურებულოს ზრდის შესაჩერებლად და მათი გაზრდილი პრეტენზიების ასაღაგმავდ. პირველ რიგში საჭირო იყო თვით ქართულ საკრებულოში წესრიგის დამყარება და მონასტრის სამეურნეო საქმიანობაში ქართველების აქტიური ჩაბმა. ეს ძალიან კარგად ესმოდა იოანე იბერს, რომელმაც სიკვდილის წინ დამოძლერა ეფთვიმე და ჩააბაზა მას მონასტერი: „ეგულებოდა რამ ასრულება, — ვკითხულობთ „ცხორებაში“ — ყოველი კელმწიფება და უფლება ეფთვმეს მისცა, რამთა რომ ელი იცა განგება და წესი ენე-

3. ცრულად ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი „ჩორდანელთა დიდი სახლი და ათონი“. (იბეჭდება).

4. გიორგი რომ „თვისი“ იყო ეფთვიმესი და მაშაბადმე, ჩორდანელთა სახლის წევრი, ამას „ცხორებიდან“ ვგებულობთ: „შემდგომად თვისა უბრძანა, რათა გიორგის დაუტეოს მამობად, რომელი-იგი თვისევ იყო მათი, კაცი სახელმანი და ფრთხილი კორციელთა საქმეთა ზედა“ [§ 39, 2].

შოს, 1903 დაუდვას მონასტერსა და მას ზედა ცალკეული განვანონას და შინა და გარე, ვითარცა ენებოს, ეგრძელდა როგორც ვანაგოს” (§ 39,1).

ეფთვიმებ შესარულა მამის ბრძანება და მონასტერს განუწესა „წესი და განვება, დამამტკიცებელი სარწმუნოებისა ჩუენისანი”, რომელიც მოიცავდა როგორც ღისცილინარულ, ასევე ზენობრივი წვრთნის წესებს.

გიორგი მცირე, აფხაზებს რა ეფთვიმეს დამსახურებას ქართველი ერის წინაშე, საგანვებოდ ჩერდება მის მიერ შედგენილ სამონასტრო წესსა და განვებაზე: ეფთვიმებ „ვითარცა მეათცამეტემნ მოციქულიან, ქუეყანა ჩუენი ღუარძლობაზე განწმიდა მრავლად თარგმანებითა წმიდათა წერილთა... და წესნი და კანონი ეკლესის ისანი, დამამტკიცებელი სარწმუნოებისა ჩუენისანი, ესე ყოველი აღწერილ ად და გრძელ ევანგელია, რომელი-იგი წმიდისა ამის მთისაგან და ღმრთივ-აღშენებულისა ლიკ-რისა, ვითარცა მდინარისაგან ედემენისა ნაცადული ცხორებისანი პირსა ზედა ქუეყანისა და ნათესავისა ჩუენისასა მიეფინნეს“<sup>6</sup>, ე. ი. ივირონისთვის განწევებული ეფთვიმეს წესნი და განვებანი ათონიდან გავრცელებულა საქართველოშიც და ყველან, სადაც ქართული სამონასტრო ცხოვრება ღვიოდა.

გიორგი მთაწმიდელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეფთვიმეს განწევებულ სამონასტრო წესსა და განვებას: „ოდეს [გიორგიმ] მიიღო კუერთხი მწყეშობისა, გმინდა საცნაურ იქმნასარულიად დაფარული იგი სიბრძნე სულა შინა მისსა, და ყოვლისა პირველად ესე ყო, რომელ ყოვლითა გულს-მოღინებითა და ფრიადითა სარწმუნოებითა და სასორებითა ესრეთ მჯურვალედ შეუდგა კუალსა წმიდისა მამისა ჩუენისასა ეფთვიმისა და უოველნი წესნი და კანონი: და განწეს განვებანი მისნი ესრეთ შეიტკბნა, ვითარცა პირისა გან ღმრთისა გამოსულნი და წმინდათა მოციკული წერილი მონასტროდ განვებანი და განვებანი მისნი და კანონი“ (ძეგლები, II, გვ. 130).

ეფთვიმეს წესნი, განვებანი და განწევებანი იყო პირველი წერილობითი კტიორული ტიპიკონი, რომელიც გავრცელდა ყველა ქართულ მონასტერში. ამდენად ის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. სამწუხაროდ ამ ტიპიკონის ხელნაწერისათვის ჭრეჭრობით ვერ მივიკვლევია. წესით, ქართულად უნდა ყოფილიყო თარგმნილი სტუდიელთა ტიპიკონიც და მასზე დამყარებული ათანასე ლავრელის დიატიპისიც და იპოტიპისიც — მაგრამ არც ესენი ჩანან.

საბედნიეროდ, გიორგი მთაწმინდელმა იოანე და ეფთვიმეს „ცხორება-ში“ დიდი ადგილი დაუთმო ეფთვიმეს შედგენილ წესსა და განვებას. იყი დაწვრილებით გადმოვცემს ტიპიკონის შინაარსს (ცხორება, § 58 და შემდგ.), რაც მისი შესწავლის შესაძლებლობას იძლევა.

მონასტრის შიგნით წესისა და განვების განუხრელად დაცვა ევალებოდათ მონასტრის მოხელეებს, რომელთა შორის ფუნქციები შემდეგნაირად იყო განაწილებული: ორ ეპიტირიტა და მექარეს ევლებოდათ ბერების ზედამხედველობა (§ 60,1); ეპისტატს — მუშების ზედამხედველობა; კელარი და იკონომისი მონასტრის სამეურნეო საქმიანობას წარმართვდნენ. წერების მიერ

<sup>5</sup> ს სევლესიონ და სამონასტრო წესისა და განვების შესახებ იხ. ივ. ჭავახიშვილი ქართული სამართლის ისტორია, II (თხულებები, ტ. VII, 1984, გვ. 13—85).

<sup>6</sup> გიორგი მცირე ცხორება მთაწმიდელისა, ძეგლები, II, გვ. 123—124.

<sup>7</sup> ასევე დიდხან დაკარგულად ითვლებოდა საბა განწმედილის „ანდერძი-განწევება“. შემ მიაკვლია ა. დომიტრიევსკიმ XIX ს. დამლევს.

დისცილინარული წესების დარღვევებს განკანონება და სასჯელის დადგება მომდევნობის დროიდა, ხშირად ძალიან მძღვე (დადგით ცემა).

ეფთვიმეს სამონასტრო განგება ცალკე სპეციალურად შესასწავლია, როგორც ერთ-ერთი უძველესი ქართული სამონასტრო განგება. აქ კი აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ბერების წრთვნა ეფთვიმეს განგების მიხედვით ერთ მთავარ მიზანს ემსახურებოდა, რომ ივირონის საქართველოს ყოველი წევრი ჩაბმული ყოფილიყო მონასტრის სამეურნეო საქმიანობაში, რათა ქართველები თვითონვე ყოფილიყვნენ თავისი ლაგრის პატრონები. ამაში ხედავდა ეფთვიმეს მონასტრის ხსნას ბერძნება მოძალუბისაგან და გარანტიას მონასტრისათვის ეროვნული სახის შენარჩუნებისა.

1019 წელს ეფთვიმე გადადგა წინამდებრობიდან და იოანე იბერის ანდერძის თანხმად მმართველობის სადაცები მთლიანად ჩირდვანელთა სახლის ერთ-ერთ სახელოვან წევრს გიორგი ვარაზვაჩეს გადასცა.

გიორგი ვარაზვაჩე ენერგიული, გამოცდილი და ათონის მთასა და სამეფო კარზე დიდად გავლენიანი პირი იყო. მან თავისი წინამდებრობის 10 წლის მანძილზე [1019—1029] ფართოდ გამალა მონასტერში სამშენებლო მუშაობა. მაგრამ მუშაობის მისეული მასტაბები, ეტყობა, ვერ თავსდებოდა ეფთვიმეს შემოღებულ წესსა და განგებასთან. გიორგი მთაწმიდელი შემდეგნაირად ახასიათებს გიორგი ვარაზვაჩეს მოღვაწეობას ივირონში: „ვინათვან წმინდამან მამამან ჩუენმან ეფთვებ წინამდებრობას მონასტრისა დაუტევა და... გიორგი მამად დაადგინა, [გიორგი] ენინდა-და უმეტესი ზემო ქსენებულთა მათ წესთვანი (იგულისხმება ეფთვიმეს წესი) შეცვალნა და თუსსა ნებასა და განზრახვასა შეუდგა და სხუათა რათმე წესთა და კანონთა ენება დამტკიცება“ (§ 115.1).

იმის ახსნას, თუ რა იყო მიზეზი, რომ გიორგი ვარაზვაჩემ უარყო ეფთვიმეს დადგენილი წესი და განგება, გვაწვდის ისევ გიორგი მთაწმიდელი: გიორგი ვარაზვაჩე „კორციელთა საქმეთა ზედა ფრთხილ იყო და მის უამისა წარჩინებულთა და მთავართა წინაშე სახელოვან. და მთავ ყოველი დიდად პატივის-სცემდა და ეკრძალვოდა. და კუალად ბერძნენი ფრიად რამე შეიყუარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიღრეა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნასურნი რამე და უნდონი, უგულებელს-ყვნა და შეამცირნა, რამეთუ, ვითარცა უწყით ყოველთა, აღრე შევირყევით და მიმოსულასა მოსწრაფედ შეუდგებით, და ამით მიზეზითა ფრიად ვანებთ თვისთაცა სულთა და ადგილსაცა. ხოლო იგი [გიორგი ვარაზვაჩე] ვითარცა იყო ფრთხილი და მიმიტ კაცი, მეტნი რამე შეპოვნებანი და ლიქნანი [ქართველებთან] ვერ შეეძლნეს, და კუალად, ვინათვან იხილა, რომელ ფრიადი ერი საქმარი იყო, სივრცისათვს მონასტრისა და სიმრავლისათვს სამსახურებელთასა და ჩუენ არა დავდგებოდეთ, ბერძნენთა მიექცა და იგინი ვანამრავლნა“ (§ 115,3—6).

გიორგი მთაწმიდლის ეს ცნობა შესანიშნავად ახასიათებს გიორგი ვარაზვაჩეს, როგორც წინამდებარს და საქმის ორგანიზატორს: მეტნი, მომთხოვნი, ფრთხილი, რომელსაც არ შეეძლო ზომის გადასული („მეტნი რამე“) ლოვლიალი და ფერება ქართველებისა, რომელთაც მუშაობა არ უნდოდა: ლავრის დიდი მეურნეობის პატრონობისათვის კი „ფრიადი ერი“ იყო საჭირო, იმიტომ მიექცა გიორგი ვარაზვაჩე ბერძნებს და „იგინი ვანამრავლნა“. აქ, ისევე, როგორც პირველი ათონელი მაშების — თორნიესა და იოანე ქართველის შემთხვევაში, გიორგი მთაწმიდელი გამჭრთლებას უძებნის ბერძნენთა

მომრავლებას ქართველთა ლავრაში, და, ამდენად, ეფთვიმეს მიერ მონასტერის მიერ მონასტერის სათვის განწესებულ წესისა და განვების გიორგის მიერ უგულვებელყოფას და ახალი წესების შემოღებას. თუ რაში მდგომარეობდა გიორგი ვარაზეაჩეს მიერ შემოღებული წესი და განვება, ამის შესახებ გიორგი მთაწმიდელი არაფერს გვაძლობს. როგორც ჩანს, პირველ რიგში, ბერძენთა რაოდენობისა და უფლებების შეუზღუდველ გაზრდაში ივირონში, რასაც გიორგის სიცოცხლეშივე სავალალო შედეგი მოჰყვა.

და ბოლოს, გიორგი მთაწმიდელის ცნობამ შემოგვინახა კიდევ ერთი საინტერესო დაკვირვება ქართველი კაცის ბუნებისა და ხასიათზე, რომელიც განსაზღვრავს მის საქციელსაც: გიორგის აზრით ქართველს აკლია სიმტკიცე და სიდინჯე [„ადრე შეეირყევით“], ცვალებადი ბუნებისა, ერთ ადგილას ვერ ჩერდება („მიმოსლვასა მოსწრაფედ შეუდგება“) და შრომას გურჩიბის, როთაც აენებს სულსაც და ადგილსამყოფელსაც.

დავუბრუნდეთ ისევ ჩევნს საკულევ საკითხს, წინამდლერის დადგენის წესს.

1029 წელს გიორგი ვარაზეაჩეს დააბრაალეს მეფის საწინააღმდეგო შეტქმულებაში მონაწილეობა, რისთვისაც გაძვევეს ათონიდან და კუნძულ მონოვატზე გადასახლეს<sup>8</sup>. დადგა ივირონის ახალი წინამდლერის არჩევის საკითხი.

არსებული წესის მიხედვით, როგორც ზემოთ ითქვა, წინამდლერად უნდა დაღეგნილიყო ეფთვიმეს დასახლებული კანდიდატი, ჩორდვანელთა სახლის წევრი გრიგოლი. მაგრამ ამ კანდიდატს, ჩანს, მხარი არ დაუჭირეს ბერძნებმა და აირჩიეს მათთვის სასურველი წინამდლვარი გიორგი, ეროვნებით ქართველი, მაგრამ ბერძენთა ორიენტაციისა, რის გამო მას ქართველებმა „გიორგი უმა-თური“ შეარქევს.

1029 წელს ივირონში შექმნილ სიტუაციას „ცხორებაზე“ დართული „მოსაქსენებელი“, რომელიც გიორგი მთაწმიდლის დაწერილი უნდა იყოს, შემდეგნარიდ აღწერს: „ხოლო ვითარცა მამა გიორგი ექსორიობისა შინა მიიცალა, და ჩევნ ფრიად შემცირებულ ვიყვენით, ჟამი პოვეს ბერძენთა და ვითარცა ცეცხლი აღევნენეს ჩევნ ზედა და სრულიად აღმოფხურად ჩევნი ენება და დაყრინობად სამკვდრებელისა ჩევნისაც. და უმძიმესი ესე იყო, რამეთუ, რომელსა-იგი მაშინ წინამდლურობად ეპყრა, იგი იყო შემწე მათდა, გიორგი უკეთური“ [§ 118, 9—10].

1029—42 წლები უმძიმესი წლებია ივირონის ისტორიაში. მამა გრიგოლის მესვეურობით ქართველები შეუპოვრად იბრძოდნენ მონასტერში ქართველთა უფლებების აღსადგენად და არასასურველი წინამდლერის გადასაყენებლად. 1035 წელს გიორგი უკეთური გადააყენეს და მამა გრიგოლმა დაიკავა წინამდლერობა; ამით აღდგა ჩორდვანელთა მიერ დადგენილი წინამდლერის დადგენის წესი<sup>9</sup>.

<sup>8</sup> მონოვატზე გადასახლების შემდეგ გიორგი ვარაზეაჩეს დიდხანს არ უცოცხლია. „ცხორებაზე“ დართული „მოსაქსენებლის“ მიხედვით გიორგი ვარაზეაჩეს ადგილი დაიკავა გიორგი უკეთურმა. ეს გიორგი უკავ 1030 წლის ბერძნულ აქტში წინამდლერად არის დასახლებული. იხ. Actes d'Iviron, I, par J. Lefort, N. Oikonomidès, D. Papachryssantou, avec la collaboration d' H. Métérvéli, Paris. 1985, p. 94.

<sup>9</sup> მამა გრიგოლი რომ ჩორდვანელთა სახლის წევრი იყო, ამას ისიც ადასტურებს, რომ მამა გრიგოლისათვის განწესებულია ოპიტი განვებით: „ვითარცა სუნგელზისასა სწერია“. ეს განვება კი, როგორც უკავ ითქვა მხოლოდ ჩორდვანელთა სახლის წევრებისათვის წესდებოდა.



ჩვენ არაფერი ვიცით იმის თაობაზე, თუ რა წესით იუპენენ შერჩენა გრიგოლის მომდევნო წინამძღვრები: მამა სვიმეონი და მამა სტეფანე (1042—45 წლები). ვიცით მხოლოდ, რომ არც ერთი და არც მეორე ჩორდანელთა სახლის წევრი არ იყო. ამდენად, ივირონის წინამძღვრად მანამდე არსებული წესი, რომლის მიხედვითაც წინამძღვარი აუცილებლად ჩორდანელთა სახლის წევრი უნდა ყოფილიყო, ამ დროიდან დაირღვა.

1045 წლიდან ივირონის წინამძღვარია გიორგი მთაწმიდელი. ამ შემთხვევაში ჩვენ ნამდვილ დემოკრატიულ არჩევნებთან გვაქვს საქმე. გიორგი მთაწმიდელის წინამძღვრად არჩევის საკითხი დადგა მას შემდეგ, რაც იყო „გამოიცად მრავალთა საქმეთა შინა“. უნდა ვიფიქროთ, რომ საწინამძღვრო კაცის საქმეში გამოცდა გარკვეული დროის მანძილზე აუცილებელი პირობა რყო ყველა შემთხვევაში.

გიორგის წინამძღვრად არჩევის პროცესუალური მხარე ვრცლადაა აღწერილი მის „ცხორებაში“. გიორგისთან ერთად კენტს იყრიდა წინამძღვრობის კიდევ ორი კანდიდატი (ყველა კანდიდატი ქართველი იყო თუ ბერძენიც ერთი — არ ჩან), გიორგის „სამგზის წილ-უგდეს თრთა ძმათა სხუათა თანა, ვითარცა იყო წესი მონასტრისა, შეწირეთა უსისხლომას მსხუერპლისათა, ქუეშე წმიდისა ტრაპეზისა დასხმითა წილთავთა“ (ძეგლები II, გვ. 129)<sup>10</sup>.

ჩატარებულ არჩევნებს გიორგი მცირე ასე აფასებდა: გიორგი „ყოველთა შემათა ერთითა ნებითა და განზრახვითა მაღალსა მას კიბესა წინამძღურობისასა აღიყენებს და საყდრისა წმიდისა მიმისა ჩუენისა ეფთვმისსა დასუეს“ (ძეგლები II, გვ. 129).

აქ ერთი რამ არ ჩან — ვინ ირჩევდა გიორგის? მარტო ქართული საქრებულო თუ ბერძნებიც. ვფიქრობთ, ორივე საკრებულო ერთად.

მოტანილი ცნობების მიხედვით წინამძღვრის თანამდებობაზე კანდიდატების წამოყენება ხდებოდა მათი ღირსებისა და დამსახურების მიხედვით. არჩევა კი — დემოკრატიული, ფარული კენჭისყრით. ეს ის დემოკრატიული პრინციპია, რომლის დანერგვასაც უშედეგოდ ცდილობდა გიორგი მთაწმიდე-

10 კტიტორულ მონასტერში წინამძღვრის არჩევის ეს წესი — ყოველთა ძმათა ერთითა ნებითა და განზრახვითა სამგზის წილ-უგდისა სამი კანდიდატისათვის „შეწირვითა უსისხლომასა მსხუერპლისათვა ქუეშე წმიდისა ტრაპეზისა“ — ჩან, ბიზანტიიში საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილია. ამას ადასტურებს იმპერატორ იოანე კომნენის [1118—1143] დატეკიცებული პრიორებატონის მონასტერის ტიპიონი.

წინამძღვრის არჩევის ეს წესი და არჩევის ცერემონიალი ვრცლად აქვს გაღმოცემული [ტანიკონის მიხედვით], ა. დმიტრიევსკის (А. Дмитриевский, Типик т. I, ч. I, с. LXXIII—LXXIV).

რამ უნდა ნიშანვდეს გიორგი მცირის ცნობა, რომ გიორგი მთაწმიდელს „სამგზის წილ-უგდეს, ძმათა სხვათა თანა, ვითარცა იყო წესი მონასტრისა, შეწირვითა უსისხლომასა მსხუერპლისათვა, ქუეშე წმიდისა ტრაპეზისა“ — აქ ივირონის წესი იგულისხმება, თუ სერგობო ათონის კტიტორულ მონასტრების წესი? ცნობილია, რომ თორნიკესა და იოანე ქართველის დაწესებული წესის მიხედვით, წინამძღვრად უნდა ყოფილიყო კტიტორთა [წორდევანელთა] ოჯახის წევრი, და ყოველი წინა წინამძღვარი ასახელებდა მომდევნო წინამძღვრის კანდიდატს იმავე სახლიდან. ასეთ შემთხვევაში გამორიცხული იყო რამდენიმე კანდიდატის დასახელება და ამასთან დაკავშირებით არჩევნების ჩატარება. მაშასადმე, უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგი მცირის ეს ცნობა ეხება ივირონის წინამძღვრის არჩევის იმ წესს, რომელიც შემოღებულ იქნა ივირონში მას გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ. ამ ახალი დემოკრატიული წესით უნდა ყოფილიყნენ არჩეული. გრიგოლის მომდევნო წინამძღვრები სეიმეონი და სტეფანე; ასევე გიორგი მთაწმიდელიც 1045 წელს.

ლი საქართველოში ბაგრატ IV-ის კარზე მრჩევლად ყოფნის დროს 1060—65 წლებში.

მონასტერში წინამდლობრის არჩევის დამოკრატიული პრინციპის დამკვიდრებისათვის იმ დროისათვის ნიადაგი უკვე მომზადებული იყო, ვინაიდან მონასტრის თავდაპირველი კტიორული [საოგანო] სტატუსი კარგა ხნის შეცვლილი იყო „ქართული მონასტრის სტატუსით“. ეს ევოლუცია აისახა მონასტრის სახელწოდების ცვლაშიც; მონასტერს ბერძნულ აქტებში თავდაპირველად [1982 წ.] ითანე სვინგელოზის მონასტერი ეწოდებოდა, შემდეგ — ითანე სვინგელოზისა და ითანე იბერის მონასტერი, ან ითანე იბერისა და ითანე სვინგელოზისა, საბოლოოდ კი მონასტერს დაუმკვიდრდა ქართველთა მონასტრის „სახელწოდება“<sup>11</sup>. ამან კი გამოიწვია მონასტრის კტიორის — თორნიკეს, მიერ დადგენილი წინამდლობრის არჩევის წესის შეცვლის აუცილებლობა. მაგრამ ამისდამიუხედავად, გიორგი მთაწმიდლის შემდეგაც, დროდადრო, წინამდლობრებიდ მაინც ჩორდანელთა სახლის წევრები ან ნათესავები ჩანან. ესენი არიან წინამდლობრი არსენ ფარსამან-ყოფილი, გიორგი ჩორჩახელის ძმა და ნიკოლა პროტოპეტნელოზი. საფიქრებელია, კენჭისყრით არჩეული.

ჩორდანელები რომ ტაოში გადასახლებულ ჩორჩანელთა განშტოებაა, ამის მტკიცების ცდა იბეჭდება ივირონის მონასტრისადმი მიძღვნილ ჩევნ მონოგრაფიაში. აქ მხოლოდ იმას აღნიშვნავთ, რომ არსენისა და გიორგი ჩორჩანელებისათვის განწესებული აღაპების განვება „ვითა სვინგელოზისა სწრია“, აგრეთვე, აღასტურებს ჩორჩანელთა ნათესაობას ჩორდანელებთან.

მამა არსენ ფარსამან-ყოფილი გიორგი მთაწმიდლის მომდევნო წინამდლობრი 1056—60 წლებში. ის, შესაძლოა, თვით გიორგი მთაწმიდლემა, როგორც უახლოესი მოწაფე, თვის ვაგიერ დატოვა ანტიოქიაში წასვლის წინ.

მამა არსენს თვისი მამობის წლებში ორი აღაპი აქვს განწესებული. ორივეს განვებაა „ვითარცა სვინგელოზისა სწრია“. ეს განვება კი, როგორც ითქვა, მხოლოდ ჩორდანელთა სახლის წევრთათვის განწესებულ აღაპებში გვხვდება.

პირველი აღაპი მამა არსენმა განუწესა თავის ძმას გიორგი ჩორჩანელს [№ 50], მეორე კი — გაბრიელ ევანგელის ძმას, რომელსაც მონაზონბასა ნიკოლა ეწოდა [№ № 48—49]. ორივე აღაპისათვის მონასტერმა მიიღო უმდიდრესი შეწირულებანი, რაც იმას მოწმობს, რომ შემომწირველნი მდიდარი და გავლენიანი არის ტოკრატიული ოჯახებიდან იყვნენ.

ნიკოლა გაბრიელ-ყოფილი, ჩევნი ვარაუდით, იგივე ივირონის წინამდლობრი ნიკოლა სვინგელოზია, რომელიც 1080—81 წელს ხელს აშერდა ივირონის ბერძნულ აქტს (Ivir. 42)<sup>12</sup>.

ნიკოლა გაბრიელ-ყოფილი და ნიკოლა პროტოპეტნელოზი რომ ერთი და იგივე პირია, ჩორდანელთა სახლის წევრი ან ნათესავი, ამას აღასტურებს კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. ზემოთმოხსენებულ ივირონის № 42 ბერძნულ აქტს, რომლის თარიღია 1080 წელი, ხელს აშერებს ნიკოლა პროტოპეტნელოზი და ივირონის მონასტრის რამდენიმე ქართველი საპატიო პირი. ამავე დროს ამ აქტს, სხვა ბერძნული აქტებისაგან გამსხვავებით, მობმული აქვს

<sup>11</sup> ამ საკითხს ვრცელად ეხება უ. ლეფორტი ივირონის ბერძნული აქტების გამოცემის I ტომის წინასტრუვაბაში, გვ. 32—34.

<sup>12</sup> დაიბეჭდა ივირონის ბერძნული აქტების II ტომში, გვ. 135.



ტყვიის ბეჭედი ბერძნული წარწერით: **Κ(ύρι)ε βαΐθ(ει) Ιω(άννηγ) τοῦ Τόπλιτ**<sup>13</sup> ათέστη ოთხ... შემდევ აღარ იყითხება. სპეციალისტების მიერ აღდგნილი დაკარგული სიტყვებია: **Μονής ისა ՚იმერა, მოლანინბაში წარწერა ასე იყითხება: კურიε მიზეთა: ՚იაზინუ თორია ი ათითა თუ... მონής თან ՚იმერა**.

სპეციალისტების აზრით, ტყვიის ბეჭედი XI საუკუნისაა. ამდენად, ის არ არის თორნიქეს დროს შექმნილი. როგორც ჩანს, ეს ბეჭედი ბერძნული წარწერით გააქტებინა და ჩამოკიდა ბერძნულ აქტზე მამა ნიკოლა პროტოსინგელოზმა იმის გასახსენებლად და გასამტკიცებლად, რომ იყირონის მაშენებელი იყო იოანე-თორნიქე, ამდენად მონასტერი კტიტორულია და ქართულია. ვფიქრობთ, რომ ეს ფაქტიც მხარს უჭერს ვარაუდს, რომ ნიკოლა პროტოსინგელოზი ჩორდანერელთა სახლის შევრი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ კტიტორული ბეჭედის შექმნა მარტო ჩორდანერელთა კტიტორული უფლებების დაცვას არ ემსახურებოდა. ერთ-ერთი მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ მონასტრის კტიტორული სტატუსი ზღუდავდა ივირონის ბერძნულ საკრებულოს უფლებებს და მეტ შესაძლებლობას უქმნიდა ივირონის ქართულ საკრებულოს მონასტრის ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის. ამას ხელს უწყობდა ახალი პოლიტიკური სიტუაციაც, რომელიც შეიქმნა ბაგრატ IV-ის ძალის მარიამ-მართას ბიზანტიიში დედოფლობის შლებში [1071—1081 წ.]. ამ პერიოდში ივირონს არ მოკლებია წყალობა არც მარიამ დედოფლისა [აღმი № 133] და არც მისი მეუღლებისაგან — მიხეილ VII-ისა (აღმი № 107) და ნიკიფორე ბოტანიატისაგან (ივირონის ბერძნული აქტი № 41)<sup>14</sup> შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ნიკოლა პროტოსინგელოზის მიერ შექმნილი ტყვიის ბეჭედიან ბერძნული აქტს დაწერას (1080 წელი) წინ უშტრებდა 1078—79 წლებში მარიამ-მართას მეორე მეუღლის ნიკიფორე ბოტანიატის გაცემული ხრიზობული, რომელიც ფაქტორად დაცვის სიგელს წარმოადგენდა და ივირონს მრავალ შეღავას უმტკიცებდა, ანიჭებდა სრულ უკონიმისა და უფლებას წინამდევრად საკრებულოს ყველაზე ღირსეული პირის არჩევისა<sup>15</sup>. თუ როგორ გამოიყენა მონასტრის კრებულმა ეს უფლებები, ბერძნულ და ქართულ მასალებში არ ჩანს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „დაცვის სიგელით“ მინიჭებული უფლებების ერთ-ერთი გამოხატულება იყო ივირონის მონასტრისათვის ტყვიის კტიტორული ბეჭედის შექმნაც, როგორც მონასტრის ქართულობის სიმბოლური დადასტურება და ნიკოლა პროტოსინგელოზის წინამდევრად დადგენის უფლება. მარიამ-მართას დედოფლობისა და გავლენის წლები (1071-იდან საუკუნის ბოლომდე) ივირონისათვის ეკონომიკური და უფლებრივი გაძლიერების წლებია. ამ პერიოდში მოღვაწეობდა ერთმანეთის მომდევნობ სამი ჰკვიანი და ენერგიული წინამდევრა: გიორგი ოლთისარი, ნიკოლა პროტოსინგელოზი და იოანე ბუქაისძე.

XII საუკუნის II ნახევარში ივირონის მონასტერში უკვე ორი დამოუკიდებელი საკრებულო თანარსებობს. ბერძნებს ეკავათ იოანე ნათლისმცემ-

13 ბეჭედის წარწერა გამოქვეყნებულია დოლგერის (Shatzkammera-ში) და Laurent-ის მიერ (კორპუსის V ტომი). დაიბეჭდა ივირონის ბერძნული აქტების II ტომში. პარიზში, 1990 წ. გვ. 19, 135—137.

14 ხრიზობული № 41 დაბეჭდია ივირონის აქტების II ტომში, გვ. 129.

15 საინტერესო აღინიშნოს, რომ ნიკიფორე ბოტანიატის 1079 წელს გაცემული ხრიზობული ერთად-ერთი ბერძნული დოკუმენტია, სადაც ივირონი „სამეფო მონასტრად“ იწოდება, არც აღმართ, იმპერატორთა ქართველებისადმი საგანგებე ყურდლების აღანიშნავად და გამართლებისათვის იყო გამოყენებული.

ლის ეკლესია, სადაც წირვა ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა; ქართველებს კი — დიდი ეკლესია — ანუ კათოლიკონი — სადაც წირვა ქართულად მიმდინარეობდა (იხ. ოღაპი № 142). წინამდღვრის არჩევნებში ორივე საკურებულო იღებდა მონაწილეობას. ამას ადასტურებს აღაპი № 158, რომელიც მამა პავლეს წინამდღვრობიდან გადადგომასა და ახალი წინამდღვრის არჩევნებს ეძღვნება. აღაში ვყითხულობთ: „ინდიქტიონსა ბ დაუტევა მამამან პავლე მამობა, შეჰველრა პირველად ღმერთსა და შერმე ყოვლად წმიდასა და კრებულსა ყოველთა მამასა, და მათ ყოველთა ერთობით, ერთქმობით, თანადგომითა მამისა პავლესითა გმოარჩიეს დიდ ეკონომოსი გიორგი და დაადგინეს მამად“ (№ 158). ამრიგად, საკურებულომ საწინამდღვრო კანდიდატურა გამოარჩია მამა პავლეს თანადგომით; ხოლო არჩევა მომხდარა ყოველთა მმათა ერთობით და ერთხმობით.

მაგრამ მომავალი არჩევნებისათვის, რომელიც გამა პავლეს გარეშე ჩატარდებოდა, პავლეს საჭიროდ მიუჩნევია მონასტერში „სარწმუნო კაცთა — მესულეთა“ ზედამხედველობა, რითვისაც დაუწესებია „მესულეთა“ ინსტიტუტი (ალბი № 169).

ტერმინი „მესულე“ ბერძნული ეპიტროპის ქართული შესატყვიის უნდა იყოს. მესულეს, ისევე როგორც ეპიტროპს, ევალებოდა მონასტრის საკრებულოს სულიერი ცხოვრების ზედამხედველობა და წარმართვა, პირველ რიგში, მონასტრისათვის ღირსეული წინამძღვრის შერჩევა და ოჩევნებში მონაწილეობის მიღება.

ეპიტროპთა ინსტიტუტი ათონშე პირველად შემოილო ათანასე ლავრელმა თავისი დაარსებული მონასტრისათვის. ანდერძში საერთო ეპიტროპად მან პატრიკი ნიკიფორე ურანოსი დაასახელა<sup>16</sup>, ხოლო სასულიერო პირთავან — „სარწმუნო კაცი“ — იოანე ქართველი და ეფთვიმე (ერთმანეთის მოძღვნოლ).

სასულიერო ეპიტროპის ანუ „მესულეს“ დანიშვნის პრაქტიკა ივირონში პალემდე არ ჩანს, საერთ კი ზუნდა ყოფილი იყო<sup>17</sup>.

ზემოთ განხილული ოღაპიდან (№ 165) არ ჩანს, პავლემ მხოლოდ შემოილ ივირონში მესულეთა თანამდებობა, თუ დაადგინა კიდეც ვინმე „სარწმუნო კაცთავანი“ მესულედ? პავლეს შემდეგრიონდელ მცირერიცხოვან ქართულ წყაროებსაც ამის შესხებ ცნობები არ შემოუნახავთ, მდენად, ვერაფერს ვიტყვით იძახე, მოიყიდა თუ არა ფეხი „მესულეთა“ ინსტიტუტმა ივირონში პავლეს მამობის შემდეგ. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ეს ინსტიტუტი მოქმედებდა კიდეც ივირონში პავლეს გადავომის შემდეგ, აქვთ უნდა დაეძინოთ, რომ „მესულებს“ ვერ შეუჩერებით მონასტერში ვერც ბერძნოთა გამრავლებისა და ვერც მათი უფლებების ზრდის პროცესი, ვინაიდან XIII საუკ. შეა წლებში ივირონის წინამდლვარი უკვე ბერძნია, რომელიც მონასტრის მოელი საკრებულოს სახელით აწერს ხელს ივირონის ბერძნულ აქტს<sup>18</sup>.

<sup>16</sup> Actes des Lavra, I partie, Des origines à 1204, par P. Lemerle, André Guillou, Nicolas Svoronos, Paris, 1970, p. 20.

18 අං. ම. ඩීරණ මෙහෙයුම් විසින් පෙන්වනු ලද මෝගයි: „බැංකුවේ තොරතුරු සඳහා මෙය නිවැරදිව පෙන්වනු ලබයි“ [පියුරුලේදා].

Е. П. МЕТРЕВЕЛИ

## ПРАВИЛА НАЗНАЧЕНИЯ ИГУМЕНА В ИВИРОНЕ (Х—ХХ вв.)

### Резюме

В статье рассмотрены различные правила назначения игумена в Афоно-ивирском монастыре в X—XII веках. В связи с этим автор касается также вопроса восстановления монастырской должности эпистропа, внедрение которой в практику Афона-Ивирского монастыря предложил игумен Павел (1170—1184).

---

## 6. გოგუაძი

### მეტაფრასული თხზულებანი — სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის წყარო

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ მრავალწლიანი და-უღალავი შემოქმედებითი შრომის ნაყოფია. ლექსიკონმა საბოლოო რედაქტორის ჩამოყალიბებამდე რამდენიმე ეტაპი გაიირა. ამ ხანგრძლივი პროცესის ეტაპების შესწავლა და თვალის გადევნება შესაძლებელი გახდა ბელნიერი (და ამასთანავე იშვიათი) შემთხვევის გამო: ჩვენამდე მოწეულია საბას ლექსიკონის ათამდე ავტორიზებული ნუსხა. ამ ნუსხათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის, ურთიერთობართების, სიტყვათა განმარტების, ლიტერატურული წყაროების მითითებისა და ციტატების გამოყენების პრინციპების დადგენას არაერთი სპეციალური გამოკვლევა მიეძღვანა.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მკვლევართა მიერ საგანგებოდ იქნა მოძიებული და მიკვლეული სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში დამოწერული წყაროები, ეს სამარტინო დღესაც ბოლომდე მიყვანილი არ არის, რამდენადც ძველი ტექსტების დამტმავება და შესწავლა (რაც საშუალებას მოგვცემს დავადგნოთ საბას ლექსიკონის ყველა წყარო) ის მიმღინარე პროცესი გახლავთ, რომლის დასრულებას ალბათ კიდევ დროის დიდი მონაცემთი დასჭირდება. საგებით ბუნებრივია და კანონზომიერი, რომ ძველი ქართული მწერლობის ცალკეული ძეგლების შესწავლისას გამოიჩნება ხოლმე ისეთი ტექსტები, რომლებიც ლექსიკონის წყაროდ არის გამოყენებული. ამრომ

1 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფ შიძისა და ი. შანიძის რედაქციით, 1928, წინასიტყვაობა. ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონები, ნარკვევაბი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, 1952, გვ. 337—343; ლ. ქუთათევ ლაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქტორი, 1957; ელ. შეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უკველესი ავტოგრაფი. აკად. ს. ჯანაშვილს სახელმძღვანელოს სახელმწიფო მუზეუმის მოამზე, ტ. XIX—B, 1956, გვ. 11—40; მ. ქავთარაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უცნობი ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამზე, II, 1960, გვ. 16—21. მ. ქავთარაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო, მაცნე, 1965, № 1; სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV<sup>1/2</sup>, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოაზადა ილია აბულაძე, 1965, 1966; ზ. ქუმბურაძე, ვეფხისტყაოსანი როგორც საბას ლექსიკონის წყარო, სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, 1959; ც. ქურავიძე, სიტყვის განმარტების ერთი ხერხი საბას ლექსიკონში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამზე, III, 1961, გვ. 7—14; კ. დანელია, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო, მაცნე, 1964, № 2; კ. დანელია, პატენტის ეპისტოლენი, როგორც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო, თბ. უნ. შრ., B 8—9 (№ 155—156). მხ. შანიძე, ეფრემ მცირის „ფსალმუნთა თარგმანება“, როგორც საბას ლექსიკონის წყარო, აკად. შანიძე — 100, საიუბილეო კრებული, 1987, გვ. 166—174.

ჩვენს სამეცნიერო ჰერიოლიგიაში ხშირად იტექდება მკვლევართა წერილებულება „საბას ლექსიკონის ლიტერატურული წყაროს“ შესახებ (ჩ. ჭუმბურიძე, მ. ქავთარია, ც. ჯურციიძე, კ. დანელია, შ. შანიძე).

სულხან-საბას ლექსიკონზე მუშაობის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ აღრეულ ნუსხებში ხშირია სხვადასხვა თხზულებებიდან ციტატების დამოწმების შემთხვევები, სიტყვის მნიშვნელობის დადგნის შემდეგ კი ეს ციტატები აღადადის ახალ ნუსხაში. ციტატები საბას აღებული აქვთ ქართული მწერლობის სხვადასხვა დარგიდან და მათ შორის მეტაფრასული ლიტერატურიდანაც, მაგრამ საბა ტერმინ „მეტაფრასში (// ნეტაფრასი)“ გულისხმობს არა მარტო მეტაფრასულ ვერსიებს, არამედ კიმენებსაც და ზოგჯერ ჰომილიებსაც. კარგად არის ცნობილი, რომ ქართულ ენაშე მეტაფრასული ლიტერატურის ზღვა მძალა არსებობს, ზოგიერთი ძეგლის ორი ან სამი თარგმანიც მოვცეკვება. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ზოგჯერ წყაროს დასახელებაში უზუსტობაა დაშვებული, ადვილი წარმოსადგენია, რა სახის ძიებებია საჭირო, რომ მივაკვლიოთ სათანადო წყაროს.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს მეტაფრასული თარგმნითი ძეგლების სრული კორპუსის შესწავლა. ამ სამუშაოს ერთ-ერთი მონაწილეა ამ წერილის ავტორიც. ჩემს მიერ შესწავლილ ძეგლებს შორის არის რამდენიმე ისეთი თხზულება, რომლებიც საბას ლექსიკონის წყაროდ არის დასახელებული. ეს ძეგლებია: სექტემბრის თვის კრებულიდან: „თეოდორას ცხოვრება“ (11 სექტემბრის საკითხავი) და „თეკლას ცხოვრება“ (24 სექტემბრის საკითხავი), ოქტომბრის თვის კრებულიდან: „არტემის წმება“ (20 ოქტომბრის საკითხავი) და „ილარიონის ცხოვრება“ (21 ოქტომბრის საკითხავი).

„თეოდორას ცხოვრებიდან“ განსამარტ სიტყვად აღებულია „ტრიოზა“, რომელსაც ე ნუსხაში<sup>2</sup> ახლავს ორი ციტატა:

1. „რომელთა სიმღიდრე ნივთ ტრიობისა ამის მიმართ ტრფიალებად აღძრა“.

2. „შინაგან მოტყინარესა ცეცხლისა ტრიობისასა ვერ შემძლებელმან“. ამ ციტატების შედარებამ „თეოდორას ცხოვრების“ მეტაფრასული ტექსტის იმ ქართულ თარგმანთან, რომელიც XVI საუკუნის მეტაფრასულ კრებულში ქუთას. № 4-შია მოთავსებული<sup>3</sup> (ამავე ძეგლის სხვა თარგმანი დაცულია ხელნაწერში ათონ. № 20), სრული დამთხვევა აჩვენა.

„თეკლას ცხოვრების“ მეტაფრასს წყაროდ ასახელებენ ხელნაწერები CaqE სიტყვებთან „ა პ რ ა მ ა“ და „გ ე ნ ც ი“. დასახელებული თხზულების მეტაფრასული ტექსტის შესწავლისას ეს ორი სიტყვა იქ ვერ დავადასტურეთ. ბუნებრივია, ამის შემდეგ მივმართეთ „თეკლას წმების“ კიმენურ ტექსტს, (რომელიც ორი ნუსხის — H 341, A 643 მიხედვით გამოსცა ილია აბულაძე<sup>4</sup>). სწორედ ეს გამოჩნდა განსამარტავი სიტყვები „პარამა“ (კიმენური ტექსტის მიხედვით, „პარამი“) და „გენცი“ (გინცი) იმავე კონტექსტში, რაც ლექსიკონის ზემოხსნებულ ხელნაწერებშია მოცემული, მაგრამ ცალკეული სიტყვების წაკითხვასა და გაფორმებაში ზოგიერთი გადახრა გამოჩნდა:

<sup>2</sup> ხელნაწერების ლიტერები იღებულია სულხან-საბა ობელიანის ლექსიკონის 1965 წლის გამოცემიდან: სულხან-საბა ობელიანი, თხზულებან, ტ. IV.

<sup>3</sup> ტექსტი დაბეჭდილია, იხ. ცელი მეტაფრასული კრებულები, სექტემბრის საკითხავები, 1986, გვ. 171—182. ზემოთ დამოწმებული ციტატები: § 2, გვ. 171<sub>22</sub> და § 11, გვ. 177<sub>5</sub>.

<sup>4</sup> მარტელობა თეკლასი: ი ლ ი ა ბ შ ლ ა ძ ე, შრომები, ტ. I, 1975, გვ. 43—09.

„အရာမာစာ တွေကလာ ငါ ပုံစံ ဖူး၊ “အဗျာဒ္ဓလျော် ဆာမျိုးခြား” လဲ။ ပုံစံရှားသူ၏ အရာမာစာ“ Caq.

შლრ.: „ყუმშევდეს საკუმშეველსა სტერაფთასა (სტრგისთა B), ზოგნი ყუ-  
მევდეს საკუმშეველსა პრამსა“<sup>45</sup>.

„გინვი თე კლას ნეტტაფრ.: „რამდეთუ იგი არს საზღვარი ცხორებისა ყოველთა დევნილთა და უგნიოთა გენცი და შემწე“ E.

შედრ.: „ჩამეთუ იგი ას საზღვარი ცხორებისად და ყოველთა დევნულთა შორის და უგინკოთა გინცი (უგინკოთა გენცი B) და შემწე“.

მეორე ფრაზაში ასებული სხვაობა ლექსიკონის ჩვენებასა და კიმენის გამოცემულ ტექსტს შორის გამოწვეული უნდა იყოს E ხელნაწერის დაზიანებით: „ეპიდეთა დაზიანების გამო მოწმობის აღვილები არ იყითხება“—ო, — წერს ლ. ქუთათელაძე თავის მონოგრაფიაში<sup>7</sup>.

„ილარიონის ცხოვრება“ წყაროდ არის დასახელებული განსამარტ სიტყვასთან „დ ე დ ო ღ ს ი“ და ციტატიც არის მოტანილი:

„არქუთ მეცნიერა მდიდარია (მდიდარი D) დაც დედალოსი არვე, არღარა აქუს ფურიშს ტალავარი“ CabqD.

წმინდა ილარიონი, რომელიც ცნობილია პავიოვრაფიულ მწერლობაში, ორია: ერთი — ილარიონ დიდი პალესტინელი, მეორე — ილარიონ ქართველი. ამ უკანასკნელის ცხოვრების ტექსტის რამდენიმე ვერსია არსებობს. ქართულ ენზე მოვაკოვება ილარიონ პალესტინელის ცხოვრების როგორც კიძენური, ასევე მეტაფრასული ტექსტები. როგორც ვხედავთ, „ილარიონის ცხოვრების“ ყველა რედაქციის ტექსტის დაჩხრეკა (მათი ბეჭდურად გამოცემის შემთხვევაშიც კი) იოლი საქმე არ გახლავთ. ასეთი მოძიების შემდეგაც ზემოთ მოტანილი ფრაზა არც ერთ ვერსიაში არ დადასტურდა. საქმე იმაშია, რომ წყაროს მითითება სულხან-საბას ლექსიკონის ხელაწერებში შეცდომითა მოცემული. ოქტომბრის თვის მეტაფრასების შესწავლამ მოგვცა საშუალება, რომ ეს უზუსტობა გაგვესწორებინ. „დედალოსი“ და მასთან მოტანილი კიტატა აღებულია არა „ილარიონის ცხოვრებიდან“, არამედ „არტემის წამების“ მეტაფრასული ტექსტიდან, სადაც ვკითხულობთ:

„අරුශුත මේසුදා: මදඩලාද දායුපි ගෙදාලාම (|| ගෙදාලාම්) අරුවේ, අරුලාරා ඇතුළු තුක්දී තාලාගර්ංහ“.

„ფ ვ ბ ო ს“ ნაცელად ლექსიკონის ხელნაწერებშია „ფ ვ ი შ ო“. ასეთი წაკითხვა გრაფიკულ ნიადაგზე აიხსნება: ნუსხურის ყ შეცდომით ყ-დ იქნა ამოკითხული. „ფვიშოს“ განმარტება, ბუნებრივია, ვერ მოხერხდა და შესაბამისი ციტატის გადაშლის შემდეგ სულაც ამოღებული იქნა როგორც განსაშარტი ერთეული. „ფ ვ ბ ო“ კი ამოლონის მეორე სახელია (იმას დიდი ძიება არ დაჭრიდებოდა).

სიტყვის „დ ე დ ა ლ ო ს ი“ განმარტებაში შეცდომაა დაშვებული: „დ ე დ ა-ლოხი (ოთხფ.) ქრუვინი“. ეს განმარტება პირველად ჩნდება Cb ნუსხაში და ასე გადადის იგი მომდევნო ნუსხებში. დ ე დ ა ლ ო ს ი ს მნიშვნელობის გასარ-

5 მარტივლობად თეკლაძი, გვ. 71.

6 Oct 30, 83. 73.

<sup>7</sup> ლ. ქუთათე ლაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, გვ. 231.

8 პ. დოლაქიძე, ილარიონ ქართველის ცხოვრების ძელი რედაქციის, გვ. 201.

<sup>9</sup> „არტემის წამების“ კრიტიკული ტექსტი დაღვენილია ხელნაწერების — S 1276 (II თვ.), A 1053. Sin. 91. Ier. 37. Ier. 18. K 4-ის მიხმალით.

კვევად მივმართეთ ბერძნულ დედას, საიდანაც არის ნათარგმნი გვიჩვენების  
სიტყვის წყარო. „არტემის წამების“ მეტაფრასის ბერძნული ტექსტი დაბეჭ-  
დილია მინის PG 115-ე ტომში (ამავე ძეგლის კიმენი კი დაბეჭდილია 96-ე  
ტომში და ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში ეს ორი ბერძნული ტექსტი  
ერთნაირია): „Σιπατέ τω βασιλεῖ, χαμαὶ πεσε δαιδαλος αὐλα, ουκ ετί Φοιβος  
καλυψθαν“...

მინის PG-ში ბერძნული ტექსტების გვერდით მოცემულია მათი ლათინური  
თარგმანი. ზემოთ მოტანილი ბერძნულის შესატყვისად 115-ე ტომში იკითხება:  
„Dicite vos regi: Pulcherrima corruit aula, non tectum pulcher, nec laurum  
Vatibus aptam, Phoebus habet“.

96-ე ტომში: „Dicite imperatori: Diruta est pulcherrima aula, desiit  
Phoebus habere domum“.

ბერძნულ ბαιδალის ასპა-ს ფარდად ლათინურ თარგმანში იკითხება pulch-  
errima aula, რაც ნიშნავს: მშვენიერი (საუცხოო, დიდი ოსტატიბით შექმნილი)  
საბაზო კაბარი).

„არტემის წამების“ ქართულად მთარგმნელმა ბაიდალის პირდაპირ  
(უთარგმნელად) გადმოიტანა, ხოლო ასპა-ს ნაცვლად არ ვე მოგვდა (თუ  
გადამწერთა შეცდომას გამოვრიცხავთ). ლექსიკონში სიტყვა „დედალოსი“  
განმარტებული ჩანს „არვეს“ მნიშვნელობიდან გამომდინარე, რამდენადაც  
საბასეული განმარტებით, არვე არის „ჭიგი თხათა და ცხოვართა“, ე. ი. ოთხ-  
ფეხთა.

რატომ არის „არტემის წამების“ ნაცვლად მითითებული „ილარიონის  
ცხოვრება?“ როგორც ზემოთ ითქვა, პირველი თხზულება იკითხება 20 ოქტომ-  
ბერს, ხოლო მეორე — 21 ოქტომბერს. შესაძლოა, ოქტომბრის მეტაფრასების  
კრებულის მასალის დამოწმებისას თხზულებანი (ერთმანეთის თანმიმდევრი)  
არეოდათ.

„არტემის წამების“ ერთ-ერთ წყაროდ ვხვდებით D ხელნაწერში სიტყვა-  
სთან „დ ა ჰ ბ უ ვ ლ ა“: „არტემის ნეტაფრ.: „ვინ არს და ვინ ესე უცხოქმნი-  
ლი ოდენ ერისმეტყველებად დაპბულა დალიჭთა ჩემთა“.

შედრ.: „ვინ არს და ვინაა უცხოქმნული ესე, რომელმან ესოდენი ერის-  
მეტყველებად დაპბულა დალიჭთა ჩემთას“.

როგორც ვხედავთ, D ნუსხაში ფრაზა გაბუნდოვანებულია, ზუსტად არ  
უმთხვევა ტექსტში მოცემულ ფრაზას.

მეტაფრასული ლიტერატურის ძეგლების საბოლოო შესწავლით, ეჭვი არ  
არის, რომ გავეცნობით სულხან-საბა ობელინის ლექსიკონშე მუშაობის კი-  
დევ ბევრ საინტერესო დეტალს.

Н. Д. ГОГУАДЗЕ

## МЕТАФРАСТИЧЕСКАЯ АГИОГРАФИЯ КАК ИСТОЧНИК «ГРУЗИНСКОГО СЛОВАРЯ» СУЛХАН-САБА ОРБЕЛИАНИ

### Резюме

В «Грузинском словаре» Сулхан-Саба Орбелиани часто встречаются ссылки на разные древнегрузинские письменные памятники. Среди ряда других произведений упоминаются и метафразы. Изучение ме-

тафрасов за сентябрь и октябрь месяцы дало возможность подтвердить соответствие или же исправить некоторые несоответствия данных ссылок: вместо метафраса «Мученичества св. Феклы» надо было ссылаться на кименическую версию данного произведения; слово «*dedalos*» взято не из метафраса «Жития св. Иллариона», а из метафраса «Мученичества св. Артемия», при этом данное слово означает не «четвероног», а «прекрасный».

---

### მ. რაჭაგა

აპტორისა და მთარგმნელის უფლებათა გაგებისათვის (გრიგოლ  
ნაზიანზელის რამდენიმე ჰომილის ეფთხიშვილი  
და უცრიშ მცირის თარგმანის მიხედვით)

ფილოლოგიური კვლევის დღევანდელ ეტაპზე დიდი ყურადღება ეთმობა მწერლობის სტორიულ პოეტიკას. იმ მრავალ საკითხთა შორის, რომლებსაც ლიტერატურის ისტორიული პოეტიკა მოიცავს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ავტორის თვითშემეცნების პრობლემა, ავტორისა და მთარგმნელის უფლებების საკითხი. ეს საკითხი შესასწავლია ძეველი ქართული მწერლობის ფარგლებში.

ჩვენი მოხსენება კონკრეტული მასალით არის შემოფარგლული: გრიგოლ ნაზიანზელის ოთხი ლიტერატურული ჰომილის საფუძველზე (ესენია Or 19, 21, 39, 41) ვაჩვენოთ, თუ როგორ ჰქონდა გააზრებული ორ ქართველ მოღვაწეს ავტორისა და მთარგმნელის უფლებანი.

იმის მიხედვით, თუ როგორ უყურებენ ეფთვიმე მთაწმიდელი და ეფრემ მცირე შემოქმედის ლიტერატურულ უფლებას, იყვეთება მათი, როგორც მთარგმნელების, უფლება. ბატონობს თუ არ მათ შემოქმედებით პრინციპებზე ტრადიცია, უანრობრივი, ასევე სტილური კანონის დაცვის აუცილებლობა და, ამდენად, მათი თარგმანების განსხვავებულობა წმინდა ლიტერატურული ტრენდერნიკიებით არის განსაზღვრული, თუ ამის ფესვები უფრო ღრმად, კულტურულ-იდეოლოგიურ ცხოვრებაში მიმდინარე ძვრებთან არის საძიებელი.

უპირველესი და თვალშისაცემი ნიშანი ჰომილიების თარგმანებისა მდგომარეობს შემდეგში: ეფთვიმე მთაწმიდელი თავის თარგმანებს არ ურთის ანდერძებს, არ უმძლვარებს შესავლებს, არ იძლევა სქელოლოებს, რომლებშიც ის თავის პიროვნებას, თავის მიზნებს და მეთოდებს გაამჟღავნებდა. ორი მცირე მინაწერი გავვაჩინა მხოლოდ. ერთი ერთვის ეფთვიმეს ყველაზე აღინდელ კრებულს Ath 68 (X ს.). მინაწერი ასეთია: „ლოცვა ყავთ გლოხავისა ეფთვიმესთვს“<sup>1</sup>. მეორე ანდერძ-მინაწერი ერთვის ასევე X ს. H 2251 ხელნაწერს, რომელიც ბასილი დიდის „სწავლანს“ წარმოადგენს, მაგრამ შიგ

<sup>1</sup> გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცელ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თ. ბრეგაძის გამოცემა, თბილისი, 1988, გვ. 62. ეს დავთანხმებით აღწერელს იმაში, რომ იმავე ხელნაწერში X—XII ს-ის მხელრულით შესრულებული მინაწერიც ეფთვიმეს ეკუთვნოდეს. მინაწერი ასეთია: „ქრისტე, აღიდე მამა იოვანე და ეფთვებე... ლოცვა ყავ“. შესაუკუნეობრივი ავტორისეული რემარკების ტრადიცია ისეთია, რომ ავტორი თუ გადამწერი თავის თანხე ეკუთვნის ერთობაზე: ქრისტე აღიდე... ქრისტიანული თავმდაბლობის მორალი ამის უფლებას არ იძლეოდა.

ჩართულია ნაზიანზელის სამი ჰომილია. ერთ-ერთ მათგანს ერთვის მთარგმნებული ანდერძი: „წმიდან მამანო, რომელნი ამას იქითხვიდეთ, ლოცვა ყავთ გლახა-კისა ეფთიმესთვს, რომელმან ესე ვთარგმენ და ღმრთისათვს, ვინცა გარდას-წერდეთ ამას, დაწერეთ ჩემიცა სახელი და ნუ აღმოჩენოთ მეცა გლახაკისა, რა-მეთუ ამისთვის თავს-მიც ფრიადი შრომაც სწავლასა და თარგმნობასა ამისა, რათა მილოცვიდეთ...“<sup>2</sup>. ანდერძის მეორე ნაცევარში ისენებს მამა იორდანეს, რომელიც ქართლიდან მოსულა მთაწმიდას დავით ქართველთა მეფის დავა-ლებით და რომელსაც გადაუწერია აღნიშნული ხელნაწერი.

ეს მინაწერები (რომელიც ახლავს ბასილის „სწავლანში“ ჩართულ ნა-ზიანზელის Or 43-ს) ერთადერთი გამონაკლისია, რომელშიც ეფთვიმე მთა-წმიდელი თავის ვინაობას ამეღავნებს და საკვირველი ის არის, რომ მიუხე-დავად მისივე ეფტერებისა: დაწერეთ ჩემი სახელი და ნუ აღმოჩენილო, სხვა არცერთ ჰომილიას, არცერთ კრებულს იგი ანდერძს არ ურთავს. არ ვაქვს შემთხვევა, რომ ეფთვიმე ჩაიმე ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნო-ბებს იძლეოდეს, არ ჩამს შეფასება იმ წანამდლორებისა, რომელთაც განაპი-რობეს ჰომილიათა თარგმნა, არ ჩანს გარემო, ლიტერატურული ატმოსფერო. ეფთვიმე ყოველივე ამაზე დუშს. მის მიერ ნაზიანზელის ჰომილიათა თარგმნა ანონიმურობის ნიშნით არის აღმოჩნდილი.

სრულიად განსხვავებული ვითარება დასტურდება ეფრემ მცირის თარგ-მანგში. ნაზიანზელის ჰომილიათა თარგმანებში მეორდება იგივე სურათი, რაც დაღასტურებულია სხვა ავტორების ეფრემისეულ თარგმანებში. როგორც შენიშნულია, ეფრემ მცირე ნათარგმნ თბზულებებს ურთავს შესავალს, ანდერ-ძებს, სქოლიოებს, რომელბიც ძერძნს ბიო-ბიბლიოგრაფიული და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებს შეიცავენ<sup>3</sup>. ბიზანტიური წიგნის ტრა-დიციონან ცნობილია გადაწერის პროცესში სხვადასხვა კოლოფონებით ქელის შემკობა<sup>4</sup>.

ამ მხრივ ჰომილიათა ეფრემისეულ თარგმანებს, მართლაც რომ, იშვი-ათი ლირებულება აქვთ. ეფრემ მცირე ტექსტებს წინ უმძლვარებს: 1) ვრცელ შესავალს (Jer 43, 1r—4r), რომელიც იქ მოცამული ზოგად-თეორიული და კონკრეტულ-მეთოდოლოგიური საკითხების დამითადა ანალიზით თამამად შე-იძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ ისტორიულ-ლიტერატურათმცოდნეობით ხარჯვევად<sup>5</sup>; 2) ანდერძებს (Jer 13, 250r; A 292, 215v; 279v; 312; 329r—v), რომელგანიც ასევე საყურადღებო ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობებია დაცული; 3) სქოლიოებს, რომელთაც ბერძნენ კომენტატორთა სქოლიოებისაგან განსა-სხვავებლად უმრავლეს შემთხვევაში აქვთ მითითება „შეისწავე“. ეფრემისეუ-

2 გრიგოლ ნაზიანზელის თბზულებათა... აღწერილობა, გვ. 191.

3 კ. დ ა ნ ე ლ ი ა, ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983, გვ. 327—335; ს. ე ნ უ ქ ა შ ვ ი ლ ი, პეტრე იბერი—ფსევდო-ლიონისე არებაცაველის შრო-მები, თბ., 1961, გვ. 0140—0152; ე. ხ ნ თ ი ბ ი ძ ე, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა, ტ. 1, თბ., 1969, გვ. 217; რ. მ ი მ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, იოანე დომისკელის „გარ-დაზოცემის“ ქართული თარგმანები, თბ., 1966, გვ. 116—172; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძევლი ქართუ-ლი ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1980, გვ. 267.

4 А. Каждан, Книга и писатель в Византии, М. 1973, с. 39.

5 გავითხმით ანალოგიურ ხსიათის შესავალი ეფრემ მცირის: „შესავალი ფსალმურთა თარგმანებისა“, „მოსაგვენებელი მცირე სვეტონისთვის ლოლოთეტისა, თხრობამ მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმანისათა“, შესავალი იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისამ“ მისეული თარგმანისა.

ლი „შეისწავენი“ არიან როგორც ისტორიულ-ლიტერატურული, ისე ლუქესის კურ-გრამატიკული ხასიათისა.

ნაზიანზელის პომილიათა ეფთვიმე მთაწმიდლისა და ეფრემ მცირის თარგმანებში აეტორისა და მთარგმნელის უფლებანი განსხვავებული პოზიციათ არის დანახული.

ეფთვიმესთვის არ არსებობს ავტორის ხელშეუხებელი უფლება, იგი შემოქმედებითად უდგება ბერძნულ ორიგინალს და საუთარი შეხედულებებით შეაქვს შიგ ყვლილებები. ეფთვიმე ტექსტში ერევა, მაგრამ ტექსტის გარეშე ტექსტის შესახებ რაიმე ცნობების მოცემის თავს არიდებს.

ეფრემ მცირე პირიქით იქცევა: იგი აბსოლუტურად არ ერევა ტექსტში, მაგრამ მასთან დაკავშირებით მრავალმხრივ და მდიდარ ცნობებსა და შენიშვნებს იძლევა ტექსტზე დართულ აბარატში.

ეფთვიმე მთაწმიდელი არ არის შებოჭილი არც ავტორის უფლებით, არც უანრის კანონით.

ეფრემ მცირე მკვეთრად მიგნავს თავისი, როგორც მთარგმნელის, უფლებას ავტორის უფლებისაგან, შეიძლება ეს უანრის კანონის დიქტატითაც იყოს ნაკარნახევი.

ნათევამი რომ ნათელი იყოს, დავიმოწმებთ პომილიათა ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებს.

ამ ორი მოღვაწის თარგმანებს ნახევარი საუკუნე ან ცოტა მეტი დღი აშორებს ერთმანეთს. ეს არც თუ ისეთი დიდი პერიოდია ლიტერატურული პროცესების განვითარების თაღლასაზრისით, მაგრამ თვალის ერთი გადავლებითაც შესამჩნევია მთარგმნელთა განსხვავებული პოზიცია ავტორისა და მთარგმნელის უფლებათა შეფასებაში.<sup>6</sup>

ეფთვიმე მთაწმიდლის თარგმანები შესრულებულია იმ მეთოდით, რომელსაც ეფრემ მცირის სიტყვებით, ახსათებდა „შემატებადცა და კლებადცა“ (ეს კარგად ცნობილი ფაქტია). კლებას შემთხვევები უმნიშვნელოა. სამაგიეროდ, სავრცნობა მატებას ფაქტები. ტექსტის გავრცობის შემთხვევები ორნაირია: 1) ერთია ისეთი მეტობანი, რომლებიც სხვა წყაროდან არის აღმული, 2) მეორეა ის მეტობანი, რომლებიც თვითონ ეფთვიმეს ეკუთვნის. ეფთვიმესულ თარგმანში ორივე სახის მეტობათა არსებობა შენიშვნულია ეფრემ მცირის მიერ. ეფრემის სიტყვებით, ეფთვიმეს ტექსტში დასტურდება „თარგმანთაგანი და ზედადართული“. „ზედადართული“ — ისეთი გავრცობანია, რომელიც ეფთვიმეს შეუტანას ნაზიანზელის ტექსტში იმ კომენტარებიდან, რომლებიც ერთვოდა პომილიებს ბერძნულ ხელნაშერებში, ხოლო „თარგმანთაგანი“ ისეთი გავრცობანია, რომლებიც თვალი ეფთვიმეს ეკუთვნის.

1. ეფთვიმე მთაწმიდელს ბერძნული კომენტარებიდან შიგ ტექსტში ყველაზე ხშირად შეაქვს ისტორიულ პირთა სახელები. ცნობილია, გრიგოლ ნაზიანზელი ხშირად არ ასახელებს ისტორიულ პირებს, იგი პერიოდაზით, აბსტრაქტული მითოებით კიაყოფილდება<sup>7</sup>. ეფთვიმე მთაწმიდელი პომილიათა ტექსტ-

<sup>6</sup> გრიგოლ ნაზიანზელის პომილიათა ეფთვიმე მთაწმიდლისა და ეფრემ მცირის თარგმანებს ეხება. <sup>7</sup> მელიქიშვილი წერს: „რამდენიმე დაკარგება ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მთარგმნელობით მეთოდზე“, მაცნე, ენს, 1987, № 4, გვ. 119—128.

<sup>7</sup> Gregoire de Nazianz, Discours 20—23. I. Mossay-ს გამოცემა, Sours Chrétiniennes, 270, Paris, 1980, გვ. 128.

ში ურთავს იმ ანთროპონიმებს, რომლებიც თვით ავტორის მიერ დასახელდებოდნენ ბული არა და მხოლოდ შემდგომი დროის კომენტატორის სქელიობშია შემული. (ათანასისათვეს XIII, 68; შდრ. A 109, 126 v. XXVI, 137. შდრ. A 109, 133r. XI, 107; შდრ. A 109, 130r).

გარდა ანთროპონიმებისა, ეფთვიმეს ტექსტი ზოგან გავრცობილია კომენტატორების სხვა განმარტებებითაც. მაგალ, საღაც ჰომილის ორიგინალში რამე მოძღვრებაა დასახელებული, ეფთვიმე ვრცლად ლაპარაკობს ამ მოძღვრების ასტერ. მსგავს მეტობათა წყაროც ბერძნული კომენტარებია (ათანასისათვეს XX, 64; შდრ. A 109, 126r. XXVI, 193; შდრ. A 109, 138r. XXVI, 115; შდრ. X 109, 128 v).

როგორც ვხედავთ, ეფთვიმეს მოუხდენია „კიდესა წარწერილისად მის თარგმანისად შიგნ გარევით დაწერად“<sup>3</sup>. ამდენად, ეფთვიმეს ერთგვარი კომპილაცია უწიარმოებია.

2. ეფთვიმე მთაწმიდელა ავტორისეულ ტექსტში საყუთარ განმარტებებს, გავრცობებს რთავს. ეს მეტობანი სხვადასხვა ხასიათსაა: а) ეფთვიმე ორიგინალის ტექსტში რთავს იმ სიტყვას ან სიტყვებს, რომლებიც კომენტის მიხედვით მხოლოდ იგულისხმება. ასეთი მეტობანი სიტუაციურის სახელით არის ცნობილი. ნაზიანზელის სტილის შეკუმშულობისა და ლაკონურობის საკომპენსაციოდ ეფთვიმეს თარგმანში ძალზე ხშირია ამ სახის მეტობანი; б) ორიგინალის ნაცალსახელებს ეფთვიმე ხშირად მასში ნაგულვები სახელებით ცვლის. გ) გვაქვს ასოციაციური მეტობანი; დ) ეფთვიმე ტექსტს ავრცობს ჰენდიალისების ან სინონიმური წყვილების გზით. ერთ რომელიმე ბერძნულ სიტყვას იგი წყვილი ქართული შესატყვისით გადმოსცემს. აქ ერთი სანტერესო ფაქტი შეინიშნება: როცა ორიგინალში პირუკუ ეითარებაა, ე. ი. ჰენდიალისები ან სინონიმური წყვილებია, ეფთვიმეს უმრავლეს შემთხვევაში ერთი სიტყვით გადმოაქვს ისინი. ე) ეფთვიმეს თარგმანში სისტემატურად გავრცობილია ბიბლიურ-სალვოთისმეტყველო პასაები, რასაკირკველია, პანეგირიკული განწყობით. ასევე გავრცობილია წარმართულ-მითოლოგიურ და ერესულ შეხედულებათა შემცველი ადგილები, ოღონდ ამ შემთხვევაში განწყობა მეტად კრიტიკულია.

გავრცობის შემთხვევები ეფთვიმეს თარგმანში იმდენად ხშირია, რომ თანავარდობით თარგმანი თითქმის ოჩერ მეტია ორიგინალის ტექსტზე.

ორიგინალის ტექსტისადმი ეფთვიმეს თავისუფალი დამოკიდებულება, გარდა გავრცობისა, ვლინდება იმაშიც, რომ ეფთვიმე ხშირად არ იცავს სიტყვის მნიშვნელობის აბსოლუტურ სიზუსტეს. ბერძნულის ამ თუ იმ სიტყვის აღექვატად იგი ხშირად მიაკლოებითი მნიშვნელობის ქართულ სიტყვას იძლევა და არა მის ზუსტ შესატყვისს. ამის გამო ქართულ ლექსემთა შერჩევის ფარგლები ძალზე ფართოა. ეფთვიმეს წინაშე არ დგას ბერძნული სიტყვების აბსოლუტურად ზუსტი ქართული კორელატების დაძებნისა და შექმნის სირთულე.

ის ფაქტი, რომ ეფთვიმესთვის უცხოა ავტორის უფლებათა გაფეტიშება, ყველაზე მეტად მისი თარგმანის გამომსახულობით ფორმებში ვლინდება. ეფთვიმეს თარგმანში არ იგრძნობა ბერძნული ტექსტის ლაკონურობა, ფრაზათა სიმეტრიულობა. ეფთვიმეს ფრაზა თხრობითია, აღწერითია.

8 ითანე დამასკელი, დიალექტიკა, მ. რაფაელ გამოცემა, თბ., 1966, გვ. 68.



ყოველივე ამის გამო, ეფთვიმეს თარგმანი ბერძნულის ზუსტი ანგლიურზე არ არის. ეფთვიმეს მთარგმნელობითი საქმიანობა შემოქმედებითა. ეფთვიმეს მთარგმნელის საჭიროდ ჩაუთვლია განმარტოს, ნათელი გახადის ნაზიანზელის მიერ მინიშნებით, ალეგორიზმითა და სიმბოლოებით ნათქვამი აზრი. იგი ნაზიანზელის ტექსტის კომენტირებას ახდენს. ეფთვიმეს კომენტარები ორგანულად არის ჩართული ტექსტში, ანუ როგორც ეფრემ მცირემ აღნიშნა, ეფთვიმეს „თარგმანთაგანი წმიდასა შიგან გაეზავა“.

სრულიად სპირისპირო პოზიციებზე დგას ეფრემ მცირე. მისთვის შეუვალია ნაზიანზელის ტექსტი. აյი ამბობს კიდევ: ხელმეორედ ვთარგმნი პომილებს იმ მიზნით, რომ „ზედადართული ყოველი და თარგმნისაგან ჩართული დაუტეო და თვე წმიდასა ოდენ სიტყუანი მარტოდ ვთარგმნენ“. ეფრემი ორიგინალის ზუსტი და სიტყვასიტყვითი გადმოლების პრინციპით ხელმძღვანელობს, რის გმირ მის თარგმაში ადგილი აქვს მთელ რიგ სემნტიკურ და მორფოლოგიურ-სინატაქსურ კალკბს, რაც საბოლოო ჯაში ხელოვნური ფორმებისა და კონსტრუქციების სიჭარბეს იწვევს.

ეფრემის მხრივ სათარგმანი ძეგლის ზუსტად გადმოლება სხვა ძეგლების მიმართაც არის დადასტურებული, მაგრამ ჩვენ არ ვაეგულება არცერთი სხვა თარგმან ეფრემ მცირისა, რომელშიც იგი ასე სიტყვასიტყვით იმეორებდეს ბერძნულ ორიგინალს. მას რაღაც ცვლილებები მაინც შეაქვს თავის სხვა თარგმანებში. ამ თვალსაზრისით ნაზიანზელის ჰიმილითა ეფრემისეული თარგმანები იძლენად გამორჩეულია, რომ იბადება კითხვა: რით უნდა აიხსნას ეს ცაქტი — ავტორის, ნაზიანზელის, ავტორიტეტით თუ უანრის (ლიტურგიკული საკოთხავებით) კანონის შეუვალობით. თუ არც ერთია და არც მეორე და განმაზღვრელი სხვა ისტორიულ-პოლიტიკური ხსიათის ფაქტია, რომელმაც ამ სახის ნოვაცია მოვაცა ვფიქრობთ, რომ განმსაზღვრელი ეს უკანასკნელი ფაქტია და აი, რატომ:

ჩვენთვის ცნობილია ეფრემ მცირის მთარგმნელობითი პრინციპი, რომ „წმიდათა თქმულსა და მართლმადიდებელთა მამათა აღწერილსა ვერვინ იყადრებს შეხებად“<sup>9</sup>. გრიგოლ ნაზიანზელი უდაოდ ისეთი ავტორიტეტი იყო ბიზანტიურ მწერლობაში, რომლის აღწერილს, მართლაც, ვერავინ შეეხებოდა. ეფთვიმე მთაწმიდელი, როგორც ვნახეთ, თავისუფლად შეეხო მის აღწერილს. რაც შეეხება ეფრემ მცირეს, მას არ შეუცვლია სათარგმანი ტექსტი, მაგრამ, ჩვენთვის კარგად ცნობილია, რომ მიუხედავად თავისი განცხადებისა, სხვა ავტორიტეტულ მოძღვართა (ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი, იოანე დამასკელი და სხვა)<sup>10</sup> მიმართ მას არ გამოუჩენია ისეთი მკაცრი შეუვალობა, როგორიც ნაზიანზელის ჰიმილითა მიმართ.

შემდეგ, შუასაუკუნეობრივი მწერლობის ტრადიციაში ლიტერატურული ფანრების იერარქიაში ჰავიოგრაფიულ საკითხავებს, მითუმეტეს ლიტურგიკულ საკითხავებს, ავტორიტარული შეუვალობის უფლებები ჰქონდა მოპოვებული. რადგანაც ეს საკითხავები საეკლესიო ლიტურგიკის კანონიზირებული წესებით

<sup>9</sup> ი თ ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი, ღიალეტიკა, გვ. 68.

<sup>10</sup> ე. ხ ი ნ თ ი ბ ი კ ე, ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის,, გვ. 163—176; ჩ. მ ი მ ი ნ თ შ ვ ი ლ ი, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, თბ., 1966, გვ. 116—142.

იყო განსაზღვრული<sup>11</sup>, მათში ცვლილებების შეტანას ცალკეულ შემთხვევებში მიმდინარებოდა. ეფრემის სიტყვა-სიტყვითი თარგმანისთვის ეს საკმარის გამართლებას წარმოადგენდა. მაგრამ ჩვენთვის ცნობილია სხვა მკაცრად კანონიზირებული ტექსტების თარგმანები ეფრემისა (მათ შორის ბიბლიური წიგნებისაც კი), რომლებშიც ეფრემი გარევეულ თავი-სუფლებას ანიჭებს თავის თავს და ცვლილებები შეაქვს ტექსტში<sup>12</sup>. მაში, არც შემოქმედის ავტორიტეტი და არც უარის კანონი ყოფილა გადამწყვეტი. როგორც ჩანს, ნაზიანულის ჰომილიათა თარგმნის ისტორიაში გარეშე ლიტერატურულმა, სხვა ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის პროცესებმა იქნიეს გავლენა, იმდენად, რომ ეფთვიმე მთაწმიდლის თარგმანები თვისობრივდ განსხვავებულია ეფრემის თარგმანებისაგან. ეს ფაქტი ჰომილიათა ქართული თარგმანების შესწავლის შედეგად გაცნობიერდა ჩვენთვის, მაგრამ ასეთი დასკვნა, ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევამდე, გაკეთებული ჰქონდა ჯერ კიდევ ეფრემ მცირეს თავის შესავალში. ჩვენმა კვლევამ სავსებით დაადასტურა ის დახსიათება, ასც ეფრემმა მისცა საკუთარსა და ეფთვიმესულ თარგმანებს. ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ეფთვიმეს მისამართით ნათქვამი ეფრემის სიტყვები: „სიჩჩოებას ჩუენისა ნათესავისასა სძითა ზრდიდა“ (Jer 43, 3r); „სძითა მზრდელსა ჩუენისა სიჩჩოებისასა“ (Jer 13, 250 r). ეფთვიმეს მიერ ერის „სძით ზრდას“ ეფრემი სხვა კოლოფონებშიც ეხება<sup>13</sup>.

აღნიშნული მეტაფორა სპეციფიკურად ქართველი ერის მისამართით ნათქვამად გვესმოდა, როგორც იმდროინდელი მსოფლიო კულტურის დონესთან შედარებითი ჩამორჩენილობის მიმანიშნებელი. მაგრამ, როგორც ჩანს, „სძით ზრდა“ მხოლოდ ქართულ გარემოს არ ეხება. იგი ბერძნულ-ბიზანტიურ სამწერლო ტრადიციაში დადასტურებულია თვით ნაზიანზელის შემდეგ მიაქელ პელონისა და მისი მიმდევრების წრეში, როგორც ეპითეტი მარტივი, მწერლობისა და ფილოსოფიის ინტელექტუალური ნაკადისაგან განხე გამდგრი ადამიანებისა, რომელთაც სკირდებათ „სძით ზრდა“<sup>14</sup>. განვითარების შემდგომი, მაღალი საფეხური ბიზანტიაში პროგრესული, ჰუმანური და მეცნიერული აზროვნების ზიარებას წარმოადგენს, ამ საფეხურზე არ ჩანს საჭიროება „სძით ზრდასა“.

ბიზანტიური კულტურული ცხოვრების ანალოგი უნდა ვიგულოოთ ქართულ სინამდვილეშიც. ეფთვიმე მთაწმიდელი „სძითა ზრდიდა“ ერს. როგორც ჩვილს ზრდიან სძით, ასევე საჭიროდ მიაჩნდა ეფთვიმეს კულტურული და ეკონომიკური ძრების გზაზე შემდგარი საზოგადოებისთვის მარტივი და გასაგები ფორმებით მიეწოდებინა ბიზანტიელი ავტორის თხზულებები.

მთარგმნელი შემოქმედებითად იღწვის იმათვის, ვისთვისაც თარგმნის, მისი თარგმანის სპეციფიკა გაძირობებულია ქართველი საზოგადოების იმდროინდელი სულიერ-კულტურული მოთხოვნილებებით. ამ მიზნით მას ხაჭიროდ ჩაუთვლია ორიგინალის ტექსტის განმარტება, გავრცობა, ქართველი

<sup>11</sup> Д. С. Лихачев, Пoэтика древнерусской литературы, Л. 1967, с. 71. Б. И. Берман, читатель жития (Агиографический канон русского средневековья и традиция его восприятия). В кн: Художественный язык средневековья, М. 1982, с. 159—163.

<sup>12</sup> ქ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, გვ. 296—358.

<sup>13</sup> ქ. კეკელიძე, ქველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, გვ. 261.

<sup>14</sup> Я. Н. Любарский, Литературно-эстетические взгляды Михаила Пселла, Античность и Византия, М., 1975, с. 132, 140. Ог. 38, XII. PG 36, с. 324.

განვითარების შემდგომი საფეხურია ეფრემ მცირის თარგმანები. მის დროს „მის მიერ აღზრდილი ერთ მისიაჲე მაღლითა მტკიცისა საზრდელისა მოქენე იქმნა“. ნაზიანზელის ჰომილიები ასეთ მტკიცე საზრდელს წარმოადგენა.

ეფრემ მცირემ თავისი თარგმანი უკიდურესი ზედმიწევნულობით დაუხას-ლოვა ბერძნულ დედამს, ყოველგვარი განმარტებისა და გაიოლების გარეშე. როგორც აღნიშნეთ, აქ არც ნაზიანშელის ავტორიტეტს უთმაშია გადამწყვეტი როლი, არც უანრობრივ კანონს. როგორც ჩანს, ეს ფაქტი კანკპირობებს, ერთი მხრივ, ლიტერატურული ცხოვრების განვითარების შინაგანმა ტენდენციებმა, მეორე მხრივ, გავლენა იქნიეს იმ სტორიულ-კულტურულმა პრეცედენტებმა, რომლებიც შეიქმნა საზღვაოგარეთის ქართულ კულტურულ ცენტრებში.

რაში მდგომარეობდა ეს პრეცედენტები?

“ შექმნილმა ვითარებამ ქართველთა სულიერი და ინტელექტუალური ძალების კონსლიდაცია გამოიწვია. ჩევენი წერილობითი ძეგლებიდან ცნობილია, თუ როგორ უპასუხეს ქართველმა მოღვაწეებმა ამ უსამართლო ბრალდებას.

“ მთ დაწყეს მოლვაშეთა ბიოგრაფიებისა და სხვადასხვა მოსახსენებლების შეთხხვა, სადაც წარმოჩენილ იქმნა ქართველთა როლი და ღამსახურება ქრისტიანული კულტურის სფეროში.

ეფრემ მცირე ერთ-ერთი იმათგანი იყო. ნაზიანზელის ჰომილიების შესავლიდნ და ანდერებიდნან ჩანს, თუ როგორი უზარმაშარი, თავგანწირული შრომა ჩაუტარებია მას ბერძენთა უსაფუძვლო ეჭვებისა და ცილობის გასაბათილებლად. ეფრემი არაერთ აღგილს დაბეგითებით იმეორებს ამ აზრს, ამიტომაც ზედმიწევნით სიზუსტით გამომოილო ნაზიანზელის ჰომილიები.

ეფრემ მცირე, ონგორუ მთარგმნელი, ორგვარი ამოცანის წინაშე იდგა: პირველი, ქართულ თარგმანში ზუსტად დაეცვა ბერძნული ორიგინალის ენობრივი თუ სტილისტური სპეციფიკა, სიტყვათა სიზუსტე. ეს გამიზნული იყო ბერძნი საეკლესიის წერიების ამბიკიების დასაჭაპოორილებლად.

16 გიორგი მცირე, კონტაქტმა გორგი მთაწმინდელისა, ძვ. ქართული აღიოგრაფი-  
ული ლიტერატურის ქანკონი, წ. II, გვ. 149.

მეორე, ქართულ თარგმანს პეტონდა ლექსიკურ-ტერმინოლოგიური სიზუსტე-კორპუსი შე-  
ტერმინური სისტემა, მათ განვითარების სიტყვები ქართულ ენობრივ-ლექსიკურ შე-  
საძლებლობათა ახალ დონეზე აყვანის მიზნით, ეს ჟურნალით ქართველი საზოგა-  
დოების გაზრდით, ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა საპასუხოდ.

ნაზიანზელის პომილითა ეფთვიმე მთაწმიდლისა და ეფრემ მცირის თარგმანების სპეციფიკური მახსიათებლების საფუძველზე მკვეთრად ვლინ-  
დება ამ ორი ქართველი მოღვაწის მიერ ავტორისა და მთარგმნელის უფლე-  
ბებისადმი განსხვავებული მიღვომა. ამ თვალსაზრისით, მათი თარგმანები ლი-  
ტერატურული ცხოვრების თვისობრივად განსხვავებულ ორ ეტაპს წარმოავ-  
ლენენ.

პირველი ეტაპია ეფთვიმე მთაწმიდლის თარგმანები. მის მთარგმნელობით კონცეფციას განსაზღვრავს ის, რომ ავტორისეულ საწყისებს მეტოქეობას უწევს მთარგმნელის შემოქმედებითი იმპულსები. განმარტებისა და გაები-  
ნების მიზნით ეფთვიმე თვისუფლად ეკიდება ორიგინალის ტექსტს. ეს ნა-  
კარანახვია „განმანათლებლური“ მისით<sup>17</sup>.

პოლიტიკური ერთანობისა და აღმაღლობის ვზაზე ახლად შემდგარი ქარ-  
თველი ერის სულიერ-ზნეობრივი მოთხოვნილებანი კარნახობდნენ ეფთვიმე მთაწმიდელსა და მის თანამედროვე ქართველ მოღვაწეებს, ეთარგმნათ რაც შეიძლება მეტი ბიზანტიური მწერლობიდან. ნათარგმნი გასაგები და მშობლი-  
ური ენის ბუნებას შესისხლხორცებული უნდა ყოფილიყო.

მეორე ეტაპი წარმოდგენილია ეფრემ მცირის თარგმანებით. ეფრემის მთარგმნელობითი კონცეფციის მიხედვით, ავტორის უფლება შეუვალია, მთარ-  
გმნელის ლიტერატურულ-მეცნიერული თუ სხვა შეხედულებანი სხვამხრივ  
არის წარმოქმნილი. ეფრემ მცირე ბერძნული ორიგინალის ბრძა მიმდევრო-  
ბას თავს აღწევს თარგმანის ტექსტზე დართული „კრიტიკული აპარატის“ მე-  
შვეობით, რომელშიც შემოქმედებითად არის გააზრებული და გადაწყვეტილი  
როგორც ბერძნული ენისა და ლიტერატურისათვის ნიშანდობლივ, ისე ქარ-  
თული ენისა და ლიტერატურის საჭიროობრივ მრავალი საკითხი. ეფრემის  
თარგმანების სპეციფიკა ეპოქის შესაფერისი ახალი იმპულსებით არის გან-  
საზღვრული; კერძოდ, ეფრემი იღწვის დაიცვას ეროვნული ლიტერატურის  
უკავე მიღწეული თავისთვალობა და შემდგომ განავითარის იგი, ახალ ლიტე-  
რატურულ-მსოფლმხედველობრივ პროცესებს შეუხამოს ქართული მწერლო-  
ბის განვითარება.

М. А. РАПАВА

## К ПОНИМАНИЮ ПРАВ АВТОРА И ПЕРЕВОДЧИКА (ПО НЕСКОЛЬКИМ ГОМИЛИЯМ ГРИГОРИЯ НАЗИАНЗИНА В ПЕРЕВОДЕ ЕФИМИЯ МТАЦМИДЕЛИ И ЕФРЕМА МЦИРЕ)

Резюме

Переводы нескольких гомилий Григория Назианзина, исполненные Ефимием Мтацмидели и Ефремом Мцире, по своим внутренним тенденциям и формально-выразительным свойствам представляют различные этапы развития древнегрузинской литературы жизни.

<sup>17</sup> ტერმინი „განმანათლებლური“ უცოდ არ უნდა მოგვეჩენოს. ეს ტერმინი ჩვენთვის კარგად ცნობილია, როგორც მოგვანონ პერიოდის გარკვეული ლიტერატურული მიმართულების აღნიშვნელი, მაგრამ ვფიქრობთ, სრული უფლება გვაქვს, რომ XI ს-ის პირველ ნახევრში ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდებების მოღვაწეობის ხასიათი, მათი ლიტერატურული საქმი-ანობის ფუნქცია სწორედ განმანათლებლობაში დავინახოთ.



Ефимий Мтацмидели творчески подходит к оригиналу. Внесенные им изменения в оригинал ставят целью толкование текста. Переводчик старается исполненную в риторическо-поэтическом стиле прозу Назианзина сделать доступной для широкого круга читателей. Вне текста же Ефимий воздерживается дать какие либо сведения относительно него.

Противоположной позиции придерживается Ефрем Мцире. Его переводы отличаются точной передачей греческого оригинала. В отличие от переводов Ефимия Мтацмидели, переводы Ефрема предполагают более развитую читательскую среду, не нуждающуюся в толкованиях прозы Назианзина.

Ефрем Мцире свои переводы снабжает оригинальными схолями, содержащими комментарий литературно-культурного и языково-лекческого характера.

---

ლ. ახოგაძი

ეფთაში ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად კ. კეკელიძეს დასახელებული აქვს „თხრობად სასწაულთათვს და საკურველებათა დიდებულისა მთავარანგელოზისა მიქაელისთა და სხუათა მათ წმიდათა ანგელოზთათვს“, რომელიც წარმოდგენილია 8 ნოემბრის საკითხავად A 128 ხელნაწერში. კ. კეკელიძეს ხელთ არ ჰქონდა თხზულების ბერძნული დედანი. ლათინური ტექსტი, რომელიც წარმოდგენილია P. G. 140 ტომში, ქართულთან შედარებით დიდ სხვაობებს ამჟღავნებს: „ქართული თარგმანი, — როგორც კ. კეკელიძე წერს, — დედანთან შედარებით, გაცილებით უფრო ვრცელია. ის შეიცავს ყველაფერს, რაც დედანშია, და, ამას გარდა, მთავალს ისეთს მასალასაც, რაც დედანმა არ იცის. ეს ზედმეტი მასალა აძლევს სწორედ მეცნიერულ ღირებულებას ქართულ თარგმანს“<sup>1</sup>.

კ. კეკელიძემ ვრცლად განხილა ქართულსა და ლათინურ ტექსტებს შორის ურთიერთდამკიცდებულება და თუ დავაკვიფებთ თხზულების მონაკვეთებს მსგავსება-სხვაობების მიხედვით, დაახლოებით ასეთი სურათი წარმოვიდგება:

I. არის აბსოლუტურად იდენტური პასაუები: აბრამის გადასახლება თავისი ქვეყნიდან, ისაკის მსხვერპლად შეწირვა და იაკობის თავგადასავალი, მოსეს დადგინდება ებრაელთა წინამძღვრად ეგვატეში, ეზეკია მეფისა და ასურისტანელთა თავდასხმის ისტორია, ბაბილონის ტყვეობის ისტორია, სამთა ყრმათა — ანანია, აზარია და მისაელის ამბავი, დანიელისა და ამბაკო წინასწარმეტყველის თავგადასავალი, გაბრიელ და რაფიელ მთავარანგელოზების გამოცხადება და სასწაულები, მსჯელობა ანგელოზთა დასებისა და სახელების შესახებ, საერთო დასკვნა და ქებითი მიმართვა.

II. ქართულ თარგმანში არის მონაკვეთები, რომლებიც ერთსა და იმავე ამბავს უფრო გავრცელობილად წარმოგვიღებუნენ: მოსეს გარდაცვალება, სიტყვისგება მთავარანგელოზისა და ეშმკისა, დავითის გვარჯვება გოლიათზე.

III. ზოგი ამბავი, რომელიც ქართულ თარგმანში გვაქს, სულ არ არის ლათინურში, ასეთებია: გედეონის ისტორია, მანეუს ჩვენება და სამსონის დაბადების უწყება, დანიელის ხილვა და სიტყვისგება მისი ანგელოზისა თანა სპარსთასა, სასწაულები ბიზანტიისთა ისტორიაში, ვრცელი მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ გამოცდის ხოლმე ღმერთი ადამიანს ცხოვრებაში, მიქაელ მთავარანგელოზის სასწაულები ხონელთა ზედა.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ეტიულები ძველი ქართული ღირებული ღირებული ისტორიიდან, II ტ., 1945, გვ. 239—240.

ზოგ შემთხვევებში ამ მონაცემთების ნაცვლად ლათინურ ტექსტის წევა  
თხრობაა ჩართული.

კ. კეკელიძე ეყოთებს დასკვნას, რომ ყველა დამატება და აგრეთვე გავრ-  
ცობა ტექსტისა ეფთვიმე ათონელს ეკუთვნის, თბზულება ინტერპოლირებუ-  
ლია ეფთვიმე ათონელის მიერ, რომ მასში შეტანილია ისეთი აღილები და  
ცნობები, რომელთაც დედაში ვერ ვთოლობთ<sup>2</sup>.

ბელგიელმა მეცნიერმა მ. ვან ესბროკმა მიაკვლია ახალ უცნობ ბერძნულ  
ტექსტს (Vat. Ottobani 422). ეს თხზულება, — ამბობს მ. ვან ესბროკი, —  
კ. კეკელიძესთან მოცემულ ეფთვიმეს ეულ ყველა დამატებას წარმოგვიდგენს  
ბერძნულად. აშეარაა, რომ ეფთვიმეს ბერძნული მოდელი ახლოს იყო ამ ტექს-  
ტთან<sup>3</sup>.

მაგრამ შედარებამ ცხადყო, რომ ერთადერთი, რაც ლათინურისაგან გან-  
სხვავებით მოეპოვება ბერძნულ თხზულებას, ეს არის გედეონის ისტორია.  
სხვა მხრივ ეს ბერძნული ტექსტი ისევე სხვაობს ქართული თარგმანისაგან,  
როგორც ზემოხსნებული ლათინური ტექსტი.

უფრო მეტიც! ის პასაკებიც კი, რომლებსაც კ. კეკელიძე იდენტურად მი-  
იჩინებს ქართულსა და ლათინურ ტექსტებში (ასეთებია აბრააშის გადასახლება  
თავისი ქვეყნიდან, ისაკის მსხვერპლად შეწირვა და იაკობის თავგადასავალი),  
აյ განსხვავებას გვიჩვენებენ და საკმაოდ მნიშვნელოვანსაც.

ჩვენ სადავოდ არ ვხდით იმ საკითხს, რომ ეს დამატებანი ეფთვიმეს არ  
შეუტანია. თავისთვავად ის ფაქტი, რომ აღმოჩნდა ისეთი ბერძნული ტექსტი,  
რომელიც ერთ ასეთ მონაცემს მაინც წარმოადგენს, უკვე ვვაკარაულდებინებს  
სხვა დანარჩენი დამატებების შემცველ ბერძნულ ტექსტსაც, მაგრამ ახლად აღ-  
მოჩენილი ბერძნული თხზულება არ არის ის, რომლისაგანაც მომდინარეობს  
ეფთვიმეს თარგმანი და არც უფრო ახლოს დგას, ვიდრე ლათინური ტექსტი.

ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ქართულ თარგმანში არის უეჭველად  
ეფთვიმეს ეული გავრცობანი ასეთი ხსიათისა:

„ხოლო სიტყუა ესე პოვა მოციქულმან ძუელთა წიგნთა შინა დაფარულ-  
თა, რამეთუ მრავალი წიგნები იყო ძუელისა სჭულისა გარეშე ამისა, რომელნი  
აწ ჩუენ შორის იპოვებიან და გამოთარგმნილ არიან ენასა ჩედა“  
A 128, 25 v.

ეფთვიმეს მიერ შესაძლო ჩანამატად ესბროკი მიიჩინებს „სასწაულს ხო-  
ნელთა შორის“, რომელიც ბერძნულ ენაზე დამოუკიდებელი სახით 3 რედაქ-  
ციით ასებობს:

ერთი მიეწერება მოთხრობის მთავარ პერსონაჟს არქიპოსს (Anal. Boll.  
289—307), რაც კ. კეკელიძის აზრით, არ უნდა შეესაბმებოდეს სიმართლეს.

მეორე — სისინიოსს, კონსტანტინეპოლის პატრიარქს თუ იერაპოლის  
ეპისკოპოსს (Acta sanct. sept. VIII, 41—47).

მესამე რედაქცია — სვიმეონ მეტაფრასტს (Anal. Boll. VIII, 308—316.).

ამათგან ქართულ ენაზე გვაქვს მხოლოდ მეტაფრასული რედაქცია, რომ-  
ლის მთარგმნელი უცნობია და წარმოდგენილია XVI ს-ის ხელნაწერში K 4  
ექვსი სექტემბრის საკითხავად.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდი ქველი ქართული ლიტ. ისტორიიდან, II, 1945, გვ. 254.

<sup>3</sup> მ. ვან ესბროკი, ეფთვიმე მთაწმილელი როგორც მთარგმნელი, მოხსენება, წა-  
კოზული კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. |

კ. კიევლიძე თვლის, რომ ის ნაწილი „მიქაელ მთავარანგელოზის საშაულების“ წაულებისა“, რომელიც „ხონის საშაულს“ ეხება, შეიტანა ეფთვიმე თონ-ნელმა პირველი ორი რედაქციის, არქიპისის და სისინიოსის რედაქციების, კომპილაციის საფუძველზე. მაგრამ ეს არ დაადასტურა ქართული ტექსტისა და დასხელებულ ბერძნულ თხზულებათა ურთიერთშეჯერებამ. ეფთვიმეს თარგმანი ბევრ ისეთ ცნობას შეიცავს, რაც არც ერთ ამ რედაქციაში არ არის. მხედველობაში გვაქვს არა ზოგადი ხასიათის ცნობები, არამედ კონკრეტული მსალა; მაგალითად, არ არის არც ერთ ბერძნულ რედაქციაში ასეთი პასა-ჟები: „მაშინ საყუარელი იგი მოწაფე ქრისტესი იოანე მახარებელი მოვიდა ეფესოდ ქალაქიდ, ხოლო ფილიპე და ბართლომე იერაპოლით, რომელი-იგი იყო ქალაქი ფრიგვისა და ქუეყანასა მას ასიისასა“. A 128, 38r.

„სიტყვათა მით ფილიპესითა შეიძრა ქალაქი იგი ძრეითა საშინელითა და განიპო ქუეყანად და ძრისმოქმედი იგი შთაპერდეს მას შინა დანახეოფესა მას საზარელსა. მაშინ გულისყმა-ყვეს კაცთა მთა წარწყმედა თვესი და იწყეს კმითა სინანულისათა ვედრებად ფილიპესა. შეიწყალნა იგინი ნეტარმან ბრძა-ნებითა უფლისათა, რამეთუ გამოჩნდა მას თღენ უაშსა კაცთმოყურე იგი მე-უფე. მეყსეულად იხილვა კაბე ჭარუსა მას შინა დანახეოფესა. და რომელნიცა. ინანდეს ცოომასა თვესა და ხადოდეს სახელსა ქრისტესსა, აღმოვიდის კიბით საკურველად პოვნილნი და ჰრიშენა უფალი ჩუენი ისუ ქრისტე და მეყსეუ-ლად მირბიოდეს გარდამოქსნად წმიდათა მოციქულთა...“ A 128, 38v—39r.

აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: „სასწაული ხო-ნელთა შორის“, რომელიც „მიქაელ მთავარანგელოზის საშაულების“ ნაწილია, არ წარმოადგენს ზემოთ დასახელებული ბერძნული რედაქციების კომპილა-ციას, ეს არის სრულიად განსხვავებული (IV) რედაქცია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართული ტექსტის ზოგიერთ განსხვავე-ბას მხარს უჭერს მეტაფრასული რედაქცია, ესეც იმის დასტურად გამოდგება, რომ ასეთი გავრცელებანი ეფთვიმეს არ ეკუთვნის.

და ბოლოს, კიდევ ერთი — მეტაფრასულ კრებულებში მიქაელ მთავარ-ანგელოზის სასწაულების შეტანის საყოთხი. მიქაელის სახელობის ორი მთა-ვარი დღესასწაული აღინიშვნება: 6 სექტემბერს და 8 ნოემბერს. 6 სექტემბერს ივნებენ მის სასწაულს ქ. ხონში, ხოლო არც შეეხება 8 ნოემბრის დღესას-წაულს, გაურკვეველია, თუ რა უდევს საფუძვლიდ, რა საბაბით ან მიზეზით იქნა ის დაწესებული<sup>4</sup>.

მიქაელ მთავარანგელოზის ხსნების დღეს არ იცნობენ არც ეფრემ მცი-რისა და არც თეოფილე ხუცესმონხონის სახელთან დაკავშირებული აღრე-ული ქართული მეტაფრასული კრებულები: S 384 (XI—XII სს.) ნუსხას და-საწყისის ნაწილი (13 სექტემბრამდე) აკლია, მაგრამ „ზანდუკის“ მიხედვით 6 სექტემბერს იყითხება „წამებაა ევლუქსიონისი“, 8 ნოემბერს კი — „თეო-კტისტე ლეზველის ცხოვრება“. ათონურ კრებულებში — Ath. 20, Ath. 36 (XI ს.) — 6 სექტემბერს „ევლუქსიონის ცხოვრება“ იყითხება, 8 ნოემბერი თავისუფალი დღეა.

მაშასადამე, მიქაელ მთავარანგელოზის ხსნების დღე არც ერთ ძველ მეტაფრასულ კრებულში არ არის. არც შეეხება A 128 კრებულს, რომელიც XII—XIII სა-ების ნუსხაა, მასში შეტანილია „მიქაელ მთავარანგელოზის

<sup>4</sup> კ. კაკალიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტ. ისტორიიდან, II, ტ., 1945, 83. 238.

სასწაულების“ მთლიანი კიმენური რედაქცია და არა მეტაფრასული პერიოდის ცია თხზულებისა „სასწაული მიქაელ მთავარანგელოზისა ხონელთა შორის“.

გვიან უნდა იყოს შეტანილი K 4 ნუსხაშიც „სასწაული ხონელთა შორის“ 6 სექტემბრის საკითხავად „ევდუქსიოს ცხოვრების“ პარალელურად, რომელიც მისთვის ძირითადი და პირველიდი უნდა იყოს.

მაშვილიამე, ახლად ოღმოჩენილი ბერძნული ტექსტი არ წარმოადგენს ეფთვიმესეული თარგმანის მოდელს; ის ნაწილი „მიქაელ მთავარანგელოზის სასწაულებისა“, რომელიც ხონელთა შორის სასწაულს ეხება, არ წარმოადგენს არქიპოსისა და სისინიოსის რედაქციათა ეფთვიმესეულ ინტერპოლაციას; „მიქაელ მთავარანგელოზის სასწაულთა“ შეტანა ქართულ მეტაფრასულ კრებულებში გვიანდელი მოვლენა ჩანს.

Л. Т. АХОБАДЗЕ

## ОБ ОДНОМ ПЕРЕВОДЕ ЕВФИМИЯ АТОНЕЛИ

Резюме

Сочинение Пантелеймона дьякона «Повествование чудес Архистратига Михаила», переведенное Евфимием Атонели, представлено в нескольких грузинских рукописях: А 1103 (XI в.), А 128 (XII—XIII вв.), А 188 (XIII в.), sin 68 (XIV—XV вв.), среди которых лишь А 128 является метафрастическим сборником. Названное сочинение, являющееся кименическим, входит в этот сборник как чтение на 8 ноября.

В сборнике К 4 (XVI в.) представлена метафрастическая редакция одной части вышеуказанного сочинения — «Воспоминание чуда Архистратига Михаила в Хонах» (чтение на 6 сентября).

Редакция «Воспоминания чуда в Хонах», являющаяся частью кименического текста, в научной литературе считается компиляцией двух других редакций (Архиппа и Сисиния), а компилятором — Евфимием Атонели. Однако, из анализа явствует, что рассматриваемый текст является не компиляцией, а отдельной, отличной редакцией.

## 6. အကြောင်းပါးအခွဲမှု

λόγος||Λόγος ο Εποιτερός α τοπογένησα δα η εγκριθε περιέλας μονά ταχαναλιώ  
τριαντούλ έποιτερονταζων 16 υπομονήστητούλ τριαντούλ

**λόγος**-ის მნიშვნელობა სხვადასხვა ფილოსოფიურ მოძღვრებაში სა-  
უკუნების განმავლობაში იცვლებოდა. მან ყველა ეს მნიშვნელობა, რომელიც  
კი ოდესმე გააჩნდა, შეინარჩუნა და როგორც ბერძნულ წყაროებში, ასევე  
ნათარგმნ ძეგლებში წარმოადგინა. მნიშვნელობა იყო არა ის, რაც ბერძნულ დედანში  
კვებება ყოველთვის **λόγος**-ის (ან **Λόγος**-ის) სახით, ნათარგმნ თხზულებებში, შესა-  
ლოა, ბევრი სხვადასხვა მნიშვნელობით იყოს წარმოდგენილი.

თუ თვალს მივადევნებთ იმას, როგორ იცვლებოდა ლოგოსის მნიშვნელობა, დახმოუტით ასეთი სურათი წარმოვედგება: 1) თავდაპირველად ლოგოსი აღნიშნავდა მეტყველების აქტს და, ამავე დროს, გულისხმობდა მასში ჩადებულ შინაარსს, აზრს. ფილოსოფიაში ის თავიდანვე გულისხმობდა მსჯელობას. ძველი ბერძნენი ფილოსოფოსის, პერაკლიტეს (ჩ. წ.-მდე VI ს.) მიხედვით, მთელი ბუნება არსებობს მხოლოდ კუშმარიტი მსჯელობის შედევრად. რაკი ბუნება შეიცნობა ამ კუშმარიტი მსჯელობით, ანუ სიტყვით, ე. ი. მან საფუძვლად უდევს გონიერი საწყისი, ანუ სიტყვა. ბუნების არსად პერაკლიტემ მიიჩნია საყველთაო ლოგოსი და, ამდენად, ბუნება და ლოგოსი ერთმანეთს გაუთანაბრა.

თანდათან ფილოსოფიური ლოგოსი სულ უფრო და უფრო განყენებულ ცნებად იქცევა. საგნის ბუნება დაიყო მის არსად და გარეულულ გზოვლინებად. პირველის აღმა შეიძლებოდა თითქოს მხოლოდ აზრის ან მსჯელობის მეშვეობით, ხოლო მეორის — აღამინის მომატყუებელი შეგრძნებებით. სოკრატეს შემდეგ (ჩ. წ.-მდე V ს.) ტერმინა ლოგოსმა მიიღო ცნების მნიშვნელობა და, გარკვეული აზრით, მთელი ატიკური იდეალიზმი, რომელიც განვითარდა სოკრატეს მოძღვრების საფუძველზე, ხასიათდება როგორც ცნების ფილოსოფია. ამ ფილოსოფიურ მიმღინარეობას ეფუძნება პლატონის მოძღვრება — არსებული ორის იდეა, ანუ ცნების ობიექტი.

არისტოტელებმ რამდენადმე შეცვალა ეს მოძღვრება. მისთვის, ისევე როგორც პლატონისათვის, ცნება, ანუ ლოგისი, არის სავნის ნამდვილი არსი. მაგრამ ნამდვილი არსი არ შეიძლება იყოს ამ „არსის“ გარეთ, არ შეიძლება იყოს განკუნებული იდეა, მხოლოდ ჩვენს კონკრეტური არსებული. არისტოტელე სინამდვრლეს არ უპირისპირებს პლატონის იმჯერისური „იდეების სამყაროს“. თუ ცნება აბიექტურად განსაზღვრავს იმას, რაც არის, მაშინ მას ეკუთვნის სინამდვილე. ის არ არის განკუნებული იდეა, რომელიც უპირისპირდება მოვლენას ან მატერიას, არამედ არის მოქმედი ძალა ან ენერგია, რომელიც გან-



სახიერდება მის შემქმნელ მატერიაში. ამგვარად, ლოგოსი არის არამომქმნელი, რომელიც გარეგნულად განსაზღვრავს საგნებს, არამედ მათი წარმომქმნელი მიზეზი და, ამავე დროს, საბოლოო მიზანი. ე. ი. ლოგოსით, ცნებით განისაზღვრება ყველაფერი ის, რისი შემეცნებაც შეიძლება სინამდვილეში — ის არის მისი ფორმა, წარმომქმნელი მიზეზი, საბოლოო მიზანი.

სტოკოსებმა აღიარეს ლოგოსში არა მარტო იდეალური საწყისი, არამედ მატერიალურიც. იმისათვის, რომ ლოგოსი იყოს საგანთა არსი, ის უნდა მოიცავდეს მათ მატერიალურ საწყისსაც. ე. ი. ლოგოსი მათ ფილოსოფიაში არის ყველაფერი: უფალი, ბუნება, გონება, სამყაროს სტიქია.

რწმენის ფილოსოფია ვითარდებოდა ილექსანდრიაში და მასში წამყარინი იყო იუდეველი ფილონის სისტემა (ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისი). ფილონის ლოგოსი არის დამაკავშირებელი რგოლი ღმერთსა და სამყაროს შორის. ის პრის: 1) თვით ღმერთის ძალა და გონება; 2) სამყაროს იდეა; 3) შემოქმედებითი ენერგია; 4) გამოცხადების შუამავალი. ფილონით მთავრდება ლოგოსის წინაქრისტიანული პერიოდი. მის მოძღვრებას უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანული ობროვნების განვითარებისათვის. ფილონის ლოგოსს უკავია საშუალო ადგილი ბერძნული ფილოსოფიის ლოგოსსა და მისგან ღრმად განსხვავებულ სახარებისეულ მოძღვრებას (იოანე ღვთისმეტყველთან) შორის. ფილოსოფიებისათვის ლოგოსის შინაარსი არის ყველაფერ წარმოსადგენისა და შესამეცნებელის ერთობლიობა — სამყაროს იდეალური არსიდა მისი საფუძველი.

სახარების ლოგოსი კი არის ღმერთის არსის სრული გახსნა-გამოცხადება. ლოგოსის ეს გაგება არის რელიგიური გამოცდილების შედეგი — რწმენა გამოცხადებისა, ღმერთისა, რომელიც ჩანს ქრისტეს სიტყვებში, რწმენა ქრისტეს პიროვნებისა, ისევე როგორც რწმენა ღმერთის სიტყვისა, ანუ სრული განსახიერება და განსხეულება ღმერთისა ადამიანში<sup>1</sup>.

გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 პომილეტიკურ სიტყვაში ლოგოსი ხშირი ხმარების სიტყვაა. ჩვენ ხელთ გვაქვს ამ თხზულების ორი თარგმანი, შესრულებული X—XI სს-ებში ორი უდიდესი მოღვაწისა და მთარგმნელის, ეფთვიმე მთაწმიდლისა და ეფრემ მცირეს მიერ. ვნახოთ, როგორ თარგმნიან ისინი ლოგოსს.

I) როგორც წესი, ბერძნული დედნის ლოგოსი ორსავე თარგმანში გადმოდის „სიტყუა“-თი. ეფრემ მცირესთან ერთადერთი გამონაკლისი გვხვდება ამ წესიდან, როდესაც ის თარგმნის ლოგოსს არა როგორც „სიტყუას“, არა-მედ ხმარობს მის ერთ-ერთ მნიშვნელობას: „შესაბამი“:... რისხვად შესა-

<sup>1</sup> Энциклопедический словарь, издатели Ф. А. Брокгауз и И. А. Ефрон, т. XVII, С.-Петербург, 1898, гл. 900—902. Lexikon der Alten Welt, redaktion Klaus Bartels und Ludwig Huber, Tübingen und Zürich, 1965, гл. 1764—1765; A Greek—English Lexicon of the New Testament and other early Christian Literature, by William F. Arndt and F. Wilbur Gingrich, 1952, гл. 480.

ბ ა მ შეცოდებათა“ 10 IV II... ხათ პირ თუ მარტივ 16, IV<sup>3</sup>. ეფთვის მიზანი ადგილის ხმარობს „შემსგავისტულად“.

კიდევ ერთხელ ულალატა ეფრემმა თავის პრინციპს ლოგოსთან დაკავშირებით: მან დაუმატა თარგმანში „სიტყუა“, რომელიც არ არის ბერძნულ დედონში (თუმცა ბოლომდე დარწმუნებული ჩვენ მაში ვერ ვიქნებით, რადგან არ არის გამორიცხული ეფრემის მიერ რომელიმე ნუსხით სარგებლობა, რომელშიც იყო ლოგოსი).

ვნახოთ, რა ვითარებაა ამ მხრივ ეფთვიმეს თარგმანში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეფთვიმეს; როგორც წესი, ეფრემის მსგავსად ლოგოსი გადმოქვეცნ „სიტყუა“-თი. მაგრამ თუ ეფრემმა მხოლოდ ერთხელ გადაუხვია ამ გზის, ეფთვიმესთან ასეთი გადასხვევა საკმაოდ ბევრია. ჩს ბერძნული ლოგოსის შესატყვისად ხმარობს თითქმის ყველა იმ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა მას სხვადასხვა ფილოსოფიურ მოძღვრებაში და რომლებიც შემდგა ლოგოსს დაუმკიდრდა დამოუკიდებელი მნიშვნელობების სახით. აღვნუსხვათ ეფთვიმეს მიერ ლოგოსის შესატყვისად ნახმარ ყველა მნიშვნელობას.

ა) როგორც ზემოთ დაკინახეთ, ლოგოსის ერთ-ერთი თავდაპირველი და ძირითადი ფუნქცია იყო მეტყველების აქტის გამოხატვა. იქ, სადაც ამ მნიშვნელობით ეფრემთან ნახმარია „სიტყუა“ (ბერძნული ლოგოსის შესატყვრსად), ეფთვიმე, გარდა „სიტყუისა“, ხმარობს: გამომეტყუელების ხელოვნება (3 I 7), მეტყუელება (8 XXIV 88), პირმეტყუელება (9 XXIII 107), თქმული (4 XI 45; 13 XI 21; 1 XVI 88...), თქმა (4 IX 32), ბრძანება (|| სიტყვთ დანახვა ეფრ. 7 X 52), თქმა (|| სიტყვს თხრობა ეფრ. 3 XV 73), წიგნი (|| სიტყვსმოქმედება ეფრ. 3 III 7), კსენება (|| სიტყვსგება ეფრ. 3 XII 101), მრავალმეტყუელი (|| სიტყვერებით უპირატესი ეფრ. 7 XXI 109), გამოსახვა (|| სიტყვთ წარმოდგენა ეფრ. 7 XXIX 152).

ბ) მეტყველების აქტის გამოხატვის პარალელურად ლოგოსი გულისხმობდა მასში ჩადებულ შინაარსს, აზრს. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამასვე გულისხმობს ეფთვიმე, როდესაც ლოგოს თარგმნის როგორც „საიდუმლოს“ და „ძალს“. როგორც საიდუმლოს, ასევე ძალის ერთ-ერთი მნიშვნელობა ძველ ქართულში არის „აზრი“.

ეფთვიმესთან „საიდუმლო“ ორგერ შეგვხდა ლოგოსის შესატყვისად: „რად არს საბელი იგი, რომელსა განკინად ვერ კელ-გეწიფების? საიდუმლოს იგი ქუეყანად მოსვლისად და განკაცებისად“ 4 XV 81. „ხოლო არა მგბარიო, არამედ მწუარი ამისთვის, რათა არა უსრულად და თხელად გულისხმა-პკოფედეთ საიდუმლოსა ამათ საქმეთაგან“ 12 XVI 78. ასევე, ორჯერ არის ნახმარი „ძალი“ ეფთვიმესთან ბერძნული ლოგოსის შესატყვისად: „ხოლო კუალად მორტყმად წელთაც რად არს, გარნა რამეთუ პირუტყუთა მოურტყმელ არიან წელში, რამეთუ არა აქუს ძალი ალვრ-სხმად გულისთქმუ-

2 მაგალითებს ვიმოწმებთ გრიგოლ ლვისმეტყველის 16 პიმილეტიური თხზულების ხელნაწერია ინსტიტუტის ავტორთა კოლექტივის მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტიდან. ჭერ მითოთებულია სიტყვის ეფრემისეული რიგი, შემდეგ — მისი დათვა ბერძნული გამოცემის მიხედვით, ბოლოს — გამომცემელთა მიერ შემოტანილი დამატებითი დაყოფა ტექსტიკა.

3 გრიგოლ ლვისმეტყველის თხზულებათა ბერძნულ ტექსტს ვიმოწმებთ შემდეგი გმოცემის მიხედვით: Theologi, accurante et recognizeente J.-P. Migne, Patrologie Graeca, t. 35, 36. Turnholte (Belgium).



მათა“ 12 XVIII 89. „დაღაცათუ ძალი თითოეულისა განვებულებისა მისამართის ჩუენდა ორ საცნაურ არს“ 9 XXXI 149.

გ) შეგხვდა „ხედვა“ ლოგოსის შესატყვისად ეფთვიმესთან. საბას განმარტებით, „ხედვა უწოდენ ფილასოფოსნი მეცნიერებასა“. მ. რაფავა „ხედვას“ ასეთნაირად განმარტივს: 1) ჰერეტი, შეცნობა; 2) განჭერეტი, წარმოსახვა; 3) თეორია, იდეა; 4) იდეა, აზრი<sup>4</sup>. ოღონდ ბერძნულ შესატყვისად მ. რაფავის მოაქვს ჩ ზეორია. როგორც ვხედავთ, „ხედვა“-ს თვისიუღლად შეუძლია გამოხატოს ლოგოსის რამდენიმე მნიშვნელობაც კი. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ მოტანილ მაგალითში „ხედვა“, „აზრის“ მნიშვნელობით არს ნახმარი: „ესრეთ ტარიგი იგი დაიკლის ჩუენდა და აღინიშვნიან სისხლითა მისითა პატიოსნითა საქმე და ხედვა“ 12 XV 74.

დ) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰერაკლიტეს მიხედვით ბუნება შეიმეცნება მსჯელობის გზით. ამდენად, ლოგოსს მსჯელობის მნიშვნელობა მიეცა. ვფიქრობთ, რომ ამავეს უნდა გულისხმობელს ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ ლოგოსის შესატყვისად ნახმარი: მოძღვურება (9 XIV 67), გულისხმისყოფა (3 XII 59), სწორა სიბრძნისად (3 XX 91), სიბრძნის-მოსწავლენი (სიტყუათანი ეფრ. 3 L XXX 305). მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: „რომელთა მიუღებიეს იგივე რჩული, რომელი ჩვენ მოვიღეთ, იგივე მოძღურებაა, იგივე აოთქუმაა, იგივე საიდუმლოა, იგივე სასოებაა“ 9 XIV 67.... იქმან, ლორიან, ბიაზუქაშვილი, სუაჯელაშვილი, ელპიძავ 14, XIV. „რამეთუ სწორითა ვიყოფილეთ საქმესა მას შინა საშურველისა, რომელ არს სწავლამ სიბრძნისაა“ 3 XX 91. ეგვევი აზრი ეფრემთან ასე არის გაღმოცემული: „ვითარ სწორი სასოებად მიყვანებდა ჩვენ საქმისა მიმართ სიტყვთ საშურველისა“

ე) შედარებით ხშირად (5-ჯერ) ეფთვიმე ბერძნული ლოგოსის შესატყვისად ხმარობს „მიზეზს“. ეს მნიშვნელობა ლოგოსს არისტოტელემ მიანიჭა: „ნუუკუ სხეუნიცა მიზეზი იყვნენ ჩენდა უცნაურნი“ 5 XXIX 137. ესე ას მიზეზი ჩემისა მის დუმილისაა, ესე არს დაყუდებისა ჩემისა საიდუმლოა“ I II 7. „თქუ, თუ ვინად არიან წყლულებანი ესე და ტანგვანი, და რად არს ამათი მიზეზი? 10 V 13. ეფრემთან: „... და რად ამათთვის სიტყუად?“

არისტოტელემვე მიანიჭა ლოგოსს „ფორმის“ მნიშვნელობა. სწორედ ამ გაგებით ხმარობს, ვფიქრობთ, ეფთვიმე „სახეს“<sup>5</sup>. „სახე ამისა არს მერვისა დღისა წინადაცუეთად“ 5 XXVIII 130. ეფრემთან: „და ამისთვის სიტყუა ჩუენდა არს რვა დღისა იგი წინადაცუეთად“.

ვ) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფილონის მიერ ლოგოსის ერთ-ერთი განმარტება არის „შემოქმედებითი ენერგია, რომელიც ქნის და ასულიერებს სამყაროს“. ვფიქრობთ, სწორედ ამს გულისხმობს ბერძნული ლოგოსის შესატყვისად ეფთვიმეს მიერ ნახმარი „განვებულება“: „რამეთუ არარას ზედა ესრეთ უხარის ღმერთსა, ვითარ მოქცევასა ზედა კაცთასა და ცხორებასა, რომელთაოცს ყოველი საიდუმლოა და განვებულება აღასრულა“ 4 XX 108.

4 ამონის ერმისის თხულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნათელა კეპილმაძემ და მარა რაფავაშ. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მაა რაფავაშ. მეცნიერება, 1983, გვ. 236.

5 სახე — „ხატი“, პირისახე, გამოსახულება, მსგავსება, შესახედაობა, ფორმა, ბუნება, გაგალითი ნიშანი, იგავი, ნიმუში, ი. ლ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ.; 1973, გვ. 382.

ვ. რაღვეას „განგებულება“ განმარტებული ქვეს როგორც ქ-ლოგოსის განხორციელება<sup>6</sup>.

ორგერ ხმარობს ეფთვიმე ბერძნული ლოგოსის შესატყვისად „სარწმუნოებას“: „...პოვნა, ვითარედ გონებად ორთავე კერძოთად ერთი იყო და ორი განიშვალებოდეს სარწმუნოებით. ამისათვის სახელები იგი შეუნდო და საქმითა შეართნა“ 7 XXV 192. „და უკუეთუ გნებას, ესეცა ვთქუა, ვითარმედ უფრომისი სარგებელი მივიღეთ მათგან ღმრთისმსახურებისა მიმართ და ბორტომისა მისგან კეთილი. გულისყმა-ვყავთ და უძლურებად იგი მათი ძალად ჩუნისა ამის სარწმუნოებისა მოვიღეთ 3. XI 54. „სარწმუნოებას“ სულხან-საბა განმარტვას როგორც „შეთვისებით მყოფობას და ნებსით თანა მიყოლას“<sup>7</sup>. (H 416-ის მიხედვით). ვფიქრობთ, ეფთვიმეს თარგმანში ამეცრადაც გვთავაზილია ლოგოსის ფილონისეული გავებისა. მის მიხედვით, ლოგოსი არის დამაკავშირებელი რგოლი ღმრთისა და სამყაროს შორის.

ბ) ეფთვიმე ბერძნული ლოგოსის შესატყვისად ერთხელ ხმარობს „ბრძოლას“. შესაძლოა, ბრძოლაში აქ იგულისხმება წმინდა სიტყვის ძალით ბორტოების დამარცხება: „.... რამეთუ უძლიერესისაცა ბრძოლისა მიმართ იყო მისი ბრძოლად შეგვასად არაწმინდისა მის სულისა და ბორტოისა“ 3 L IV 176. ეგვე აზრი ეფრემთან ასე არის გადმოცემული: „.... ვითარ-იგი უძლიერესისა წინაგანწყობისა მიმართ იყო სიტყუად მისი არაწმინდისა მისებრ სულისა და ბორტოისა“.

თ) ვფიქრობთ, ეფთვიმეს ბერძნული ლოგოსი ესმის როგორც ამაღლებული, წმინდა ცხოვრების ტოლფასი ცნება. მოვიტან როგორც ეფთვიმეს, ასევე ეფრემის ჩეინებებს: „დალათუ ჩუნ თანა მოვიდა სახიერებისათვს კაცომოყუარებისა მისისა“, ეფთ. 3 XLV 178. „.... დალათუ ჩუნ თანა რამე იქმნეს სიტყვათა კაცომოყუარებისათა“, ეფრ. „ხოლო ამის იქმოდა სულიერისა მის საჭირდელისა თანა, რამეთუ არა კორცია ოდენ განაძლებდა და უგულებელს-ჟყოფდა, რამეთუ პურ ანგელოზთა არს სიტყუად“, ეფთ. 3 XXVI 149, „და ესე საჭირდელსა თანა სიტყვასა ქველისმოქმედებასა უსრულესსა და მისაცემელსა ნამდვლევე ზეცისასა მას და მაღალსა, ვინათებან პურ ანგელოზთა არს სიტყუად“, ეფრ. „რაჟამს სწავლათა მისთა და მონაზონებისა წესთა მიკემთხვო, განვწმდები სულით და კორცით“, ეფთ. 3 LXVII. 262. „რაჟამს სწავლითთა და საქმითთა სიტყუათა მისთა ვიკითხვიდე, გავწმდები სულით და კორცით“, ეფრ.

ბერძნული ლოგოსის ერთ-ერთ მნიშვნელობად გამოყოფილია რომელიმე პიროვნებისა თუ მოვლენის პატივისცემა, დაფასება<sup>8</sup>. შესაძლოა, ლოგოსის ანალოგიურ მნიშვნელობასთან ყვაეჭს საქმე ეფთვიმეს თარგმანის ზემოთ განხილულ შემთხვევებში.

ი) ვფიქრობთ, „სალმრთო წერილის“ მნიშვნელობით უნდა გავიცოთ ბერძნული ლოგოსის შესატყვისად შემდეგი სიტყვები ეფთვიმესთან: „არა-მედ ესე გასწაონ წერილთაცა და მკურნალთა და უძლურთა მათ თანა მეფეთა

<sup>6</sup> ოთან დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოვლენა და ლექსიკონი დაურთო მითა რაფაელ, თბ., 1976, გვ. 195.

<sup>7</sup> სულხანსაბა თაბელი იან თბელიანი, ტ. IV<sub>2</sub>, თბ., 1966, გვ. 55.

<sup>8</sup> A Greek-English Lexicon, compiled by Henry George Liddell and Robert Scott, with a supplement, 1968, Oxford, at the Clarendon Press, გვ. 1057.



და მსახურთა 9 XXVII 128. (... ო პრივატი 14, XXVII). „და იყენებული იგი საქმე და შფოთი სხუათა მიერ, ხოლო ჟელი აძესალომისი მათ თანა, ვითარცა წერილ არს“ 7 XV 77. (... ო პ პ პრივატი 21, XV).

ყველაფერი ზემოთქმულის შემდეგ იბადება კითხვა: რით არის გამოწვეული, რომ ეფთვიმე ძირითადად, ეფრემის შეგავსად, ბერძნული დედნის ლოგოსს როგორც სიტყვას, სე თარგმნის და განხილული მაგალითები, თუმცა არც ისე მცირე რაოდენობრივად, გამონაკლისად უფრო უნდა მიიჩნიოთ, ვიდრე წესად? არა გვერდია, რომ ის შემთხვევები, როდესაც ეფთვიმე აკონკრეტებს ლოგოსს მნიშვნელობას, მისთვის რაიმე ნიშნით უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო, ან უფრო ძნელად გასაგებად მიიჩნა, ვიდრე ის, სადაც იგი ლოგოსს „სიტყუათი“ თარგმნის. ეს ყველაფერი, აღბათ, უფრო სტიქიურად ხდებოდა. ზოგჯერ ის მექანიკურად ლოგოსს მნიშვნელობას დააკონკრეტებდა ხოლმე, ზოგჯერ კი პირდაპირ „სიტყუათი“ გადმოიღებდა. ეფრემი კი თავის თავს არ იძლევდა ამის უფლებას. შესაძლოა, აქ ისევ ის მომენტი მოქმედებდა, რომელიც უკვე შეინიშნა ეფრემის თარგმანების განხილვისას — მას არ უნდოდა რაიმე საბაზი მიეცა ბერძნენათვის, რომ მისთვის მწვალებლობაში დაეწიმებინათ ცილი. A 292 ხელნაწერის ანდერძიდან ირკვევა, რომ ბერძნები საყვედურობდნენ ქართველებს იმის ვამ, რომ მათ სრულად და თანმიმდევრულად არ ჰქონდათ თარგმნილი გრიგოლის ჰომილიები. ამ ბრალდების პასუხად შეიძლება მიიჩნიოთ Jer. 43 ხელნაწერზე დართული ეფრემის ანდერძი: „ხოლო მორწმუნეობისათვე მზა ვარ სიტყვს გებად ყოველთა გამომეძიებელთა, და შევაჩუნებ ყოველსა წვალებასა და წინააღმდეგომსა წმიდათა მამათა და მართლმადიდებელთა კრებულთა სჯულის დებისას, და ესრეთ მრწამს, ვითარცა ქადაგებს დიდი გრიგოლ ღმრთის მეტყუელი“ (4r).

11) როგორც დავინახეთ, ეფთვიმე თავის თარგმანში ხშირად ხმარობს ლოგოსის კონკრეტულ მნიშვნელობებს. ასევე არ გაურბას ის „სიტყუას“ ან მისი შემცველი რომელიმე გამოთქმის მეშვეობით ბერძნული დედნის აზრის გადმოლებას მაშინ, როდესაც იქ არ არის ლოგოსი. ამით ეფთვიმე ბერძნული დედნის აზრს არც იმანიშებს, არც აბუნდოვანებს — მის მიერ ნახმარი „სიტყუა“ ან მისი შემცველი გამოთქმა ფარავს დედნის მნიშვნელობას. უბრალოდ, კიდევ ერთხელ მოწმენი ვხდებით მისი დედნისადმი თავისუფალი მიღვომისა. მოვიტან ზოგიერთ მაგალითს:

ბერძნული „თუ ფართ“ (40, XXIV) ეფრემმა თარგმნა როგორც „კმა“, ეფთვიმე კი იხმარა „სიტყუა“. ეფთვიმეს სრული უფლება ჰქონდა ასე მოქცეულიყო, რადგანაც ის ფართ-ერთი მნიშვნელობა არის „სიტყუა“. ეფრემისათვის კი „სიტყუა“, როგორც ჩანს, არის მხოლოდ და მხოლოდ ლოგოსი. ის ასე უბრალოდ, ლოგოსის გარეშე, ვერ გაბედავს მის ხმარებას, თუნდაც იცოდეს, რომ დედნის ის ფართ-ს ქვეშ „სიტყუა“ იგულისხმება და მის მიერ ნახმარი „კმაც“ სიტყვას ნიშნავს ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

მსახურთა შემთხვევაა, როდესაც ეფრემი ბერძნულ პეტერი (16, II) თარგმნის როგორც ლექსს (10 II 4), ეფთვიმე კი წერს „სიტყუას“: ეფთ.: სიტყუათა პოვნიერება (7 XXXII 168). ეფრ.: რწმუნება. თბ პრაზდ 21, XXXII.

ეფთ.: სიტყუა (7 XXXV 191). ეფრ.: ოქმული. თავ ლეგიმენა 21, XXXV.

ეფთ.: სიტყუა (5 XXI 92). ეფრ.: თარგმანება. ჭრებული 40, XXI.

ეფთ.: სიტყვას ქება (3 I 3). ეფრ.: შესხმა. ლიტერატურა 43, 1.

ეფთ.: სიტყუად იგი ერთარსებისად (7 XXII 113). ეფრ.: თანარსება.

თბ ბრინჯაო 21, XXII.

ეფთ.: სიტყუა ცარიელი (7 XXIV 127). ეფრ.: ცუდსახელი. ჭრებული 40, XXIV.

ეფთ.: სიმკოდვე სახელთა სიტყუათასა (7 XXXV 189). ეფრ.: სიგლახაკე სახელთასა.

ეფთ.: ძალი სიტყუათად (7 XXXV I). ეფრ.: გონება თქმულთად. თბ ზონ თავ ლეგიმენა 21, XXXV.

ეფთ.: სიტყუა საქმეთათვეს (8 I 2). ეფრ.: პატივი. ლიტერატურა 42, 1.

თუ ხშირად ეფთვიმე აკონკრეტებს ლოგოსის მნიშვნელობას და მკითხველს უადვილებს ტექსტის გავებას, ხომ არ სჩადის ის აქ საპირისპიროს, ე. ი. ურთულებს მას თარგმანის გავებას იმით, რომ წერს ამ მრავალი მნიშვნელობის მქონე „სიტყუას“ რომელიმაცა ერთი კონკრეტული მნიშვნელობის ნაცვლად? მაგრამ ეფთვიმეს ბრალს ვერ დავდებთ არათანმიმღევრობაში. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ის წერს „სიტყუას“ თუ მის შემცველ გამოთქმას არა პერძნული ლოგოსის შესატყისიად, აზრის გავება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს — არ არის საჭირო ლოგოსის ნაირ-ნაირი მნიშვნელობების ჩხრეკა იმისათვის, რომ გვარკვით, თუ რა იგულისხმება ეფთვიმეს მიერ ნახმარი „სიტყუას“ ქვეშ.

III) ზოგიერთ შემთხვევაში ეფთვიმე ლტერატურის არც „სიტყუათი“, არც მისი რომელიმე კონკრეტული მნიშვნელობით. ის უბრალოდ ბერძნული დედნის აზრს გაცილებით ვრცლად გადმოგვცემს. ყველა ამ შემთხვევაში მას, ალბათ, ამოძრავებდა სურვილი გასაგები თარგმანი მიეწოდებინა მკითხველისათვის. ეფთვიმეს ამგვარი დამოკიდებულება სათარგმანი დედნისადმი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ფაქტია<sup>9</sup>. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს, ოღონდ ამჯერად ჭერ ეფრემის თარგმანს, შემდეგ — ეფთვიმესას:

ეფრ.: „ესე გრძელთა მათ ღუაწლთა და სიტყუათა უსრულეს არს, რაოდნოთა, აპა ეგრა, ყოველნი სიტყვასმწერლობენ, რომელთა პატივისმოყუარებადცა რამე თანაშეულებულ და ნუსკუე და ამისთვის გარდაერევიან რასმე სიტყუათათვეს“ 7 XXXVI 193.

ეფთ.: „ესენი იტყუოდეს სამთა გუამთა და ერთსა არსებასა, მათ სახელი გუამთად არა აქუნდა ენასა მათსა და იტყოდეს სამთა გუამთა წილ სამთა პირთა — ერთარსებასა და ერთსა ბუნებასა ლმრთებისასა და არცა ერთი რად იყო წვალებად მათ შორის. ამისთვესცა გონიერმან მან და საჩრემუნომან მონამან ლმრთისამან ცილობად მათი განავარვა და საჩრემუნოებად მათი შეაერთა, ერნი ურიცხუნი ერთობად და სიყუარულად მოიყვანნა“.

<sup>9</sup> ქ. კეკე ლობე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, 23-191—192, 253—254; მისივე, მთარგმნელობითი შეთობი ძველ ქართულ ლიტერატურაში და შის ხასიათი, ეტოუდები ძველ ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1956, გვ., 186; მისივე, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოლვაშვილის ერთი ნიმუში, ეტიზდები, ტ. II, თბ., 1945, გვ. 265.



როგორც ვხედავთ, ეფთვიმე ძალიან აქტიურად ჩაერია სათარგმანი დაწმი. ფაქტორად, აქ საქმე გვაქვს არა თარგმანთან, არამედ კომენტარის ასევე დენის განმარტება, ოლონდ არა ამდენად ღრმა და ვრცელი, არის შემდეგ შემთხვევაში:

ეფრ.: კარაული მოიყვანებდა მას..., ვითარცა კნინღა და თვით იესუს კარაული იგი..., გრინა თუ სხუასა რამე პნევას მოსწოდებად სიტყუას. 7 XXIX 154.

ეფთ.: კარაულსა ზედა ჭდა იგი, ვითარცა პირველ უფალი ჩემი იესუს დაჯდა კარაულსა ზედა, ...ანუ თუ სხვასა რამე უმაღლესისა საქმისა სახე იყო სიმდაბლე იგი შეუფისად.

IV) ზოგჯერ ეფთვიმე ხმარობს „სიტყუას“ იქ, სადაც ბერძნულ დედაწმი და, შესაბამისად, ეფრემთან არის განუსაზღვრელი ნაცვალსახელი. მაგ.: ეფთ.: „ხოლო ვიტყოდი არა სიტყუათა ლბილთა და საპამოვნელთა“ (I IV 16).

ეფრ.: „ხოლო ვიტყოდი არა ჩჩვლთა რათმე და საპამებელთა“. ...იმ ჩავა არ თ: აა ანაბეჭედულების 19, IV.

ზოგჯერ ეფთვიმე „სიტყუას“ მეშვეობით აზრს ავრცობს და ასრულებს: „და იყვან დღესასწაულობად ჩუენი სიტყვას მისებრ საწინავალშარმეტყუელობას: „განიბანენით, განიშმიდენით, მოსპეც უკეთურებად სულთაგან თქვენთა“ 4 XX 106. ეფრ.: „ხოლო ვიშუებდით ვითარ? არამედ „განიბანენით, წმინდა იქმნენით“. ტრამი სამევ ბე მარჯ; აინდას ასახები: ყიყენძე 39, XX.

ზოგჯერ ეფთვიმე აზრს გასაცემს ხდის „სიტყუას“ შემოტანით. მაგ.: „ესე იყო მიზეზი ცილობისამ მის და დღითი-დღედ აღორძნდებოდა, ვიდრელა სიტყუათა მათ მიზეზითა განიშვალნეს ბერძნენი და პრომნი ურთიერთას“ 7 XXV 190. ეფრ.: „მარადის მცირე რამე შეეძინებოდის შეწუხებასა და მწუხარებად ესე ყო ძლევისმოყუარებამან, რამეთუ აჭირვებდა მარცულებისავე თანაგანყოფად კიდეთა“.

V) როგორც ზემოთ აღნიშვნეთ, აბგია-ის სახარებისეული გაგება გულისხმობს ღმერთის არსის სრულ გახსნა-გამოცხადებას, ღმერთის სიტყვას, გამსხეულებულს ქრისტეს სახით. როგორც წესი, ეფთვიმე მთაწმიდელი და ეფრემ მცირე აბგია-ს თარგმნიან როგორც „სიტყუას“: „შ მამაო და სიტყუაო და სულოწმიდაო“... 12 XXX 145 ეფთ. ეფრ.), ტ პატერ, აა აბგე, აა პეტრა 45, XXX.

ა) ზოგჯერ (სულ შვიდი შემთხვევა), ეფთვიმე განასხვავებს აბგია-ისიგან და წერს „სიტყუა ღმრთისა“. ასეთ შემთხვევებს ჩვენ იმის გამო გამოვყოფთ საგანგებოდ, რომ ეფრემი იგივეს არ აეკებს — მან აბგია და აბგია ყოველთვის „სიტყუა“-თი გადმოაქს: „წარმმართოს სიტყუამან ღმრთისასან სიტყუად მოძღვრებისა ჩუენისად“ 4 II 6. ეფთ. „და მერმეცა უფროობს დაისხენეთ, რაჟოს წარმმართოს სიტყუამან სიტყუად...“ ეფრ. ...გრამატიკა ლიტერატურული ტერმინების განვითარების 39, II.

ბ) ერთ შემთხვევაში ეფთვიმე აბგია-ის შესატყვისად ხმარობს არა „სიტყუას“, ან „ღმერთის სიტყუას“, არამედ ღმერთის სინონიმს, „დამბადებელს“: „ვითარცა სხუად ყოველი ესრეთვე ესე კეთილად განაწესა წელოვანიან მან დამბადებელმან მიუწოდებლითა მით სიბრძნითა მისითა“ 9 XX 90. ეფრ.: „...რათა ვითარ-იგი სხუადცა რამე, ესეცა კეთილად მოღონებულ



იყოს კელოვნისა სიტყვასა და ყოველთა გონიერათა უზეშთაესისა სიბრძნისა სიბრძნისა სიბრძნისა განკუთხურება... თუ თეჯიშ ლეგი. . 14, XX.

გ) ეფთვიმე ბერძნული თის ლეგის ხართოები 21, XXXV თარგმნა როგორც „განწვალება მორწმუნება“, ეფრემი კი წერს: „სიტყვები განკუთხა“. მოსალოდნელია, რომ ორსავე შემთხვევაში იგულისხმება ჩრდილის დაკარგვა, ქრისტესგან ჩამოშორება.

დ) ორჯერ ეფთვიმე საერთოდ არ თარგმნის ლეგის. როგორც ჩანს, თვლის, რომ ისედაც ცხადია, რის შესახებ არის სამნი შობანი უწყებულ არიან ჩუენდა — ერთი იგი კორცთა და მეორე — ნათლისღებისა და მესამე — აღდგომისაც“ 5 II 4. ეფრ.: „სამნი შობანი უწყნის ჩუენდა სიტყუამან: კორცთაგანი, ნათლისღებისაგანი, აღდგომისაგანი“. ტრასტუ ჭერისა უკან ისნებ ბ ლეგი... 40, II.

„...რათა არა მიეცეს სიწმიდე ძალლთა ბოროტთა მათ სიტყვები მტაცებელთა, არცა დაესხას მარგალიტი წინაშე ღორთა“ 12 XVI 82.: ეფრ.: „...რათა არა მიეცნენ წმიდანი ძალლთა და ბოროტთა სიტყვები გამჭრელთა, ვითარ არცაღალორთა ბრწყინვალები სიტყვები მარგალიტები“. ... ჯახის; თის ლეგის.... თის ლეგის ჯახის მარგალიტები 45, XVI.

შესაძლებელია, ეფთვიმე ზედმეტად მიიჩნია სახარებისეულ სახეში (მათე 7,6) კორექტივის შეტანა: ისედაც ცხადია, რა იგულისხმება მარგალიტების დასხმაში ღორთა წინაშე.

ამგვარად, გავაანალიზეთ რა ვრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ჰომილეტიკური სიტყვის ეფთვიმესეულ და ეფრემისეულ თარგმანებში ფილოსოფიური ტერმინის პრიული არცა ამ შემთხვევაში უღალატეს მათ თავიანთ მთარგმნელობით მეთოდს — ეფრემისათვის მთავარი იყო დედნის თარგმნისა ზედმიწევნითი სიზუსტის დაცვა, ეფთვიმესათვის კი — მკითხველისათვის გასაგები თარგმანის მიწოდება.

Н. Г. МЕЛИКИШВИЛИ

## Λόγος/Λόγιος В ГРУЗИНСКИХ ПЕРЕВОДАХ 16 ГОМИЛЕТИЧЕСКИХ СОЧИНЕНИЙ ГРИГОРИЯ БОГОСЛОВА

Резюме

При переводе греческого λόγος/Λόγιος -а в 16 гомилетических сочинениях Григория Богослова еще раз сказалось различное отношение Евфимия и Ефрема к переводному источнику: для Ефрема главною целью являлось сделать точный перевод, а для Евфимия — дать как можно более понятный для грузинского читателя текст. Ефрем всегда переводит λόγος как «слово» [sítqua], а Евфимий довольно часто употребляет те его значения, которые утвердились у λόγος-а на протяжении веков. Что-же касается Λόγιος-а, его Евангелистическое значение подразумевает Слово Божье под видом Христа. Ефрем и Λόγιος переводит как «Слово», а Евфимий в таких случаях иногда пишет разные синонимы Христа.

### გ. ნინო

## მრთი პატირიდული თხრობის ორი ჩართული თარგმანი

პატერიკული თხრობა — „გამოცხადება“ წმიდისა მამისა მაყარისი, თხრობა საკვრველი და ბრწყინვალე“ — შეეხება მაყარი ალექსანდრიელს, რომლის სახელით წარწერილი ლიტერატურული მემკვიდრეობა ფსევდოავტორისეულად ითვლება<sup>1</sup>.

ძველთაგანეული აღრეულია მაყარი მეგვიპტელისა და მაყარი ალექსანდრიელის პიროვნება და ხშირად ხელნაწერებში მათი სახელით ცნობილი თხზულებები ერთადაა შეტანილი. ჩვენთვის საინტერესო პატერიკული თხრობა შედის Ath. géorg 21 (1030 წ.) ხელნაწერში და მოსდევს მაყარი მეგვიპტელის სახელით წარწერილ თხზულებათა კრებულს<sup>2</sup>. მა ხელნაწერში მაყარი ალექსანდრიელის „გამოცხადება“ მითვლილია მაყარი მეგვიპტელის თხზულებებზე 30-ე თავად<sup>3</sup>. „გამოცხადება“ სულისა და ხორცის გაყრის თემას შეეხება და ჰგავს სიმეონ მესოპოტამიელის თხზულებას, რომელსაც ქართულ თარგმანში „სიკუდილისათვს“ ჰქვია.

მეორე ძველი ხელნაწერი, რომელშიც შესულია მაყარი ალექსანდრიელის „გამოცხადება“, არის Jer. géorg 73. ქაც იგი მაყარი მეგვიპტელის კრებულს მოსდევს. ხელნაწერის ძველი (XI—XII ს.) ნაწილი წყდება 183v-ზე. აქედან ბოლომდე იგი XVI საუკუნეში შეუცხია გადამწერს — სერაპიონს (195v). გვან შეესებულ ნაწილში (188v—189r) არის „გამოცხადების“ Ath. 21-ში დაცული რედაქციის ტექსტის ფრაგმენტი, სულ 12 სტრიქონი.

ასევებობს „გამოცხადების“ სხვა თარგმანი, რომელიც პატერიკულ კრებულში Sin géorg 8-ში (იხ. 142v—146v) შედის. ეს ხელნაწერი XI საუკუნისაა. Sin 8-ში შემონახული თარგმანი მეორდება სამ გვიანდელ ხელნაწერში. ესენია: H 1027—71v—82V (1782 წ.), Q 338—30v—34r (1831 წ.). და Q 284—32r—36v (1862 წ.). ეს თარგმანი Sin géorg. 8-ის მიხედვით გამოვეყნებულია<sup>4</sup>.

მაყარი ალექსანდრიელის „გამოცხადება“ უძველეს ლიტერატურულ უანრის განცეულებება. ეს არის პატერიკული თხრობის ფორმით, გარკვეული მიზნით დაწერილი ქადაგება. აგებულია ამ უანრის კანონების შესაბამისად.

<sup>1</sup> CPG, II, 1974, p. 72.

<sup>2</sup> გ. ნინუა, ფსევდომეკარის თხზულებათა ქართული კრებულის შედგენილობა, „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-სტორიულ ძეგან, 1983, გვ. 129—138.

<sup>3</sup> ფსევდომეკარის თხზულებათა ქართული ვერსია, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ, თბ., 1982.

<sup>4</sup> შეუკუნების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. დვალიშვ. თბ., 1974.



როგორც წესი, ამ ტიპის ნაწარმოების დასაწყისში ჩანს ორი ან სამი პირი: ერთი, ვისაც ეხება თხრობა, მეორე — თვითმხილველი და მესამე — ვეტორი, ესაც იწერს ტექსტს. ზოგჯერ ვეტორი და თვითმხილველი ერთი პირია. ამ შემთხვევაში წარმოდგენილია პირველი სქემა. თხრობა იწყება ასე: „ვკთხრობ და მოწაფო წმიდისა მამისა მაკარისი ალექსანდრიელისაა: მივიდოდით ოდეს-შე ერთად უდაბნოსა და იყო იგი წინაშე ჩემსა და მე უკუანა მისსა“...

შემდეგ ნათქვამია, რომ მაკარის გვერდით დაუდგა ორი ანგელოზი. მაკარისა და ანგელოზებს შორის გაბა საუბარი იმისა შესახებ, თუ როგორ გამოყავთ ადამიანის სული ხორციანი და რა ემართება ამის შემდეგ სულს. ასენილია, რა კავშირია წესის აგებასა და სულის იმქვეყნიურ არსებობას შორის.

„გამოცხადების“ ბერძნული ტექსტი გამოქვეყნებულია<sup>5</sup>. ბერძნული სისტულისა და აგებულების თვალსაზრისით უდავოდ შეესატყვისება ორსავე ქართულ თარგმანს, შეიძლება ისიც ითქვას, რომ Sin 8-ში შემონახული თარგმანი უკეთ მისდევს ბერძნულს, მაგრამ არა იმ სიზუსტით, რომ ეს ბერძნული ცეკვისა ჩავთვალოთ რომელიმე თარგმანის უშუალო დედნად.

ასებობს ამ თხზულების არაბული და სირიული ვერსიები<sup>6</sup>. გამოქვეყნებულია რუსული თარგმანი.

სირიული ტექსტი სამი ხელნაწერის (რომელთაგან უძველესი XIV საუკუნისა) მიხედვით გამოსცა ა. ვან ლანშოტმა. იქვე დაბეჭდილია ამავე თემაზე დაწერილი, ტექსტოლოგიურად მაკარი ალექსანდრიელის „გამოცხადების“ მსგავსი თხზულება, რომელიც მარკოზ თარგმაკლის სახელითაა წარწერილი<sup>7</sup>. ვიპტურ ტრადიციას სულის იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ.

ა. ვან ლანშოტი ამ თხზულებათა შთავონების წყაროდ თვლის ძველ ეგვიპტურ ტრადიციას სულის იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ.

მაკარის „გამოცხადების“ ქართულ-ბერძნული ვერსიების თანახმად პირველი სამი სამღლოვიარო ლიტურგია უნდა შესრულდეს გარდაცვალებიდან შესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს. „გამოცხადების“ სირიულ ტექსტში, ბერძნულ-ქართული ვერსიებისგან განსხვავებით, ჩართულია ერთი მოზრდილი აბზაცი, რომელშიც ხაზგასმულია, რომ სხეულიდან გამოსვლის შემდეგ სულს სამ დღეს ტოვებენ თავისუფალს, რომ დაწყისაროს სხეული, საიდანაც გამოვიდა, და სახლეული. მესამე დღეს მიყავთ ღმერთთან და ამ დღეს მისთვის წირავენ ჩენი უფლის იესო ქრისტეს მესამე დღეს საფლავიდან აღდგომის პატივის მისაგებად. დაახლოებით იგივე აზრი სირიულ ტექსტში ქვიმოთ მოქლედ გამეორებულია და სირიულის ეს ბოლო ნაწილი ქართულ-ბერძნულ ვერსიის შეესატყვისება.

სირიულ ტექსტში მაკარის შეკითხვა ასეა დასმული: „მამა მაკარიმ თქვა: „რა არის ეს წესი, რომ მესამე, მეცხრე, ოცდამეთე და მეორმოცე დღეს გარდაცვლილი სულისათვის უნდა ვწიროთ ღვთის ეკლესიაში. რისთვის ასწავლიან ამას და რა სარგებლობა მოაქვს სულისათვის, რომელიც წავიდა?“.

ორსავე ქართულ თარგმანში და ბერძნულ ტექსტში ეს კითხვა განსხვავდება სირიულისაგან: „უფალნო ჩემნო, ვითხოვ თქუენგან და ესეცა მაუწყება

<sup>5</sup> PG, t. 34, 385—392. პუბლიკაციას საფუძვლად უდევს ლაიპციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის № 13 ჟირილი 207[ ხელნაწერი XV. საუკუნისა].

<sup>6</sup> CPG, II 1974, p. 72. 2400.

<sup>7</sup> Христианское чтение, 1831.

<sup>8</sup> Arn. van Lanschoot, „Révélations de Makaïre et de Mark de Tarmaqā sur le sort de l'âme après la mort“, Le Muséon, LXIII, 3—4, 1950; p. 159—189.



შე (ამბობს მაკარი): მამათაგან მოცემულ აჩსა, მორწმუნეთა წმიდათა შესა დღეს, მეცხრესა და მეორმოცესა მიუპყრობენ ღმერთსა ეკლესიასა შენა შესაწირავსა? და რომლისა საქმისთვის დაწერა ესე და რაც სარგებელ ეყოფვის სულსა, რომელი გარდაცვალებულ არნ?“ (Ath 21, 216v).

როგორც ვხედავთ, ოცდამეათე დღის წირვის შესახებ ქართულ-ბერძნულ ვერსიებში არაფერია თქმული.

“ემდევ ანგელოზები განუმარტავენ მაკარის, თუ რატომ დაწესდა ამ დღეებში წირვა. ბუნებრივია, რომ ქართულსა და ბერძნულ ვერსიებში 30-ე დღის წირვაზე საერთოდ არაფერია თქმული, მაგრამ არც სირიულ ტექსტშია შემდევ ნახხენები 30-ე დღის წირვა.

ამას ა. ვან ლანწოტი ხსნის ასე: ძეველად კოპტები თავიანთი მიცვალებულის ხსოვნის აღნიშვნელ მესამე, მეშვიდე და ოცდამეათე დღეს. შემდევ ეს ვალები შეიცვალა (შენუტის მონასტრის აქტებისა და პასუმის თხზულებების შიხედვით) და პირველი სამი წესის ავება დაწესდა მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს. ამ ტრადიციას მისდევდა ბიზანტიის ეკლესია, (აქედან გამომდინარე — ქართული ეკლესიაც) და სირიის ეკლესიაც. გვიან პერიოდში კოპტები მიცვალებულთა ხსოვნის აღსანიშვავ აიტუალს ტრანსლენ მესამე, მეშვიდე, ოც და მე ათ ე, მეორმოცე დღეს და მევსი თვის და წლისთავზე.

როგორც ჩანს, ა. ვან ლანწოტის მიერ გამოქვეყნებული სირიული ტექსტი ასახავს ძველი და ახალი კოპტური ტრადიციების შერწყმას და ამიტომ ჩანს ერთ ადგილს ტექსტში 30-ე დღის სამგლოვიარო ლიტურგიის კვალი.

გარდაცვალებიდან მესამე დღის აღნიშვნა ძეველი ქრისტიანული წესია, რომელსაც წინარექტიანული ტრადიციაც იცნობს. დამოშებულა ავესტურ ლიტერატურაშიც, ცნობილი იყო ეგვატტელთათვისაც.

მეორმოცე დღის წირვა ამ თხზულების მიხედვით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ამ დღეს წარმოთქვამს ღმერთი სულის საბოლოო განაჩენს.

როგორც ზემოთაც აღვინიშნეთ, თხზულება ორგერაა თარგმნილი ქართულად. ვინ უნდა იყვნენ მთარგმნელება?

Sin géorg 8-ში შემონახული თარგმნი უფრო ძეველია და უდავოდ ათანალებამდელ პერიოდს განეკუთვნება. მთარგმნელი უცნობია. რაც შეეხება Ath géorg 21-ში შესულ თარგმანს, იგი ეფთვიმე ათონელის მიერ შესრულებულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ეს ხელნაწერი შედგება ეფთვიმეს თარგმანებისაგან. მასში შეტანილია სამი ტექსტი, რომლებიც ეფთვიმეს არ უთარგმნია და ეს საგანგებოდ არის აღნიშვნული მინაწერში. ესენია ხელნაწერის თავში მოთავსებული მაკარი მეგვიპტელის ორი ეპისტოლე და ფსევდომაკარის თხზულებათა მომდევნო „მამა ესაიას თხრობა“. მინაწერის ავტორი აღნიშვნებს, რომ ეს სამი თხზულება აღრე (ეფთვიმემდე) იყო თარგმნილი და მოითხოვს, ეფთვიმეს თარგმანში სიტყვებს ნუ შეცვლით და თუ გსურთ, ეს სამი თხზულება, რომლებიც ძეველად ვისმე უთარგმნია, შეალამაზეთ და გადაკეთეთო<sup>10</sup>, „მამა ესაიას თხრობას“ მოსდევს მაკარი ალექსანდრიილის „გამოცხადება“, რომელსაც ახლავს გადამწერის ანდერძი. ეს ანდერძი შეეხება ამ ხელნაწერში შესულ მაკარი მეგვიპტელის სახელით წარწერილ თხზუ-

<sup>9</sup> Arn. van Lanschoot, „Révélations“... p. 161—163.

<sup>10</sup> ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, გვ. 44.



ლებებს შთლიანად და მაკარი ალექსანდრიელის „გამოცხადება“, რომელიც კონკრეტული რიგით 30-ეა, მათ რიცხვში შეაქვს. არც ამ ანდერძში და არც სხვაგან არც ისაა თქმული, რომ „გამოცხადება“ თარგმნა ეფთვიმემ, მაგრამ არც ის, რომ იგი მას არ უთარგმნია. ხელნაწერში შეტანილი მომდევნო ორი თხზულებაც — აკეფისიმა, ისესებ და აითალას წამება და ბაგრატ ტავრომენიელის ცხოვრებაც ეფთვიმე ათონელის თარგმნილია!!.

მაშასადამე, Ath géorg 21-ში შეტანილი თხზულებებიდან სამი ხაზგა-სმითაა გამოყოფილი, რომ ისინი არ უთარგმნია ეფთვიმე ათონელს. მათ რიცხვში მაკარი ალექსანდრიელის „გამოცხადება“ არ შედის. ვფიქრობთ, ათონურ ხელნაწერში შესული თარგმანი, ეფთვიმე მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს.

„გამოცხადების“ ტექსტი მომზადებულია Ath géorg 21-ს მიხედვით. ეს თარგმანი სრულად მხოლოდ ამ ხელნაწერითაა შემონახული. რაც შეეხება Jer géorg 73-ს გვიანდელ ნაწილში მოთავსებულ 12-სტრუქტურიან ფრაგმენტს, იგი მხოლოდ უმნიშვნელო ვარიანტულ სხვაობებს გვიჩვენებს, რომელთა მითითება არ ჩავთვალეთ საჭიროდ. ვაჩვენეთ მხოლოდ ადგილი ათონურ ტექსტში, სადაც იერუსალიმური ფრაგმენტი წყდება.

#### 215 7 გამოცხადება წმიდისა მამისა მაკარისი თხრობა საკურველი და ბრწყინვალე

გვთხრობდა მოწაფე წმიდისა მამისა მაკარისი ალექსანდრიელისაა: მივიღოდეთ ოდესმე ერთად უდაბნოსა. და იყო იგი წინაშე ჩემსადა მე უკუანა მისა. და ვიხილენ, ორნი ანგელოზი თანა-უვიღოდეს, ერთ — მარჯვენით და ერთ — მარცხენით და იგი — შორის მათს. და მიემთხვეს შვერვიერსა რასმე მდებარესა დაყროლებულსა მეტად. და რაუამს იყნოსა მამამან მაკარი სიმყრალც იგი, დაიბრუნა ცხვრნი სულისა მისგან. და ყვეს ეგრეთვე ანგელოზთაცა.

და ვითარ იხილნა იგინი ბერმან, პრქუა მათ: „თქუენცა ესრეთვე გეცე-მისა სიმყრალც ესე, ვითარ-ესე ჩუენ?“ პრქუეს მათ: „არა, გარნა, ოდეს ვიხილეთ, ვყავთ ვითარ-იგი შენ ჰყავ, რამეთუ ჩუენ არა ვიყნოსებთ სიმყრალესა ამის სოფლისასა, გარნა სულთა დაყროლებულთა ცოდვითა, მათ ვიყნოსებთ, ვითარ შენ იყნოსე აწ“. ۱

და ვიკრდა ბერსა და პრქუა: „მაუწყეთ მე, სიმყრალც, რომელი არს სულთა ცოდვილთა ცხოვრებასა მათსა, ამას საწუთოსა იყნოსებთა, ანუ შემდგომად სიკუდილისა? და მითხართ მე, ჟეთუ ვპოვე მადლი წინაშე თქუენსა, ვითარ გამოგყვანან სულნი კაცთანი კორცთაგან, რომელთა პრწამს უფალი და რომელთა არა პრწამს უფალი?“\*.

და პრქუეს ანგელოზთა მათ: „ისმინე მაკარი, გამორჩეულო ღმრთისაო, რამეთუ სული ცოდვილი ვიდრე კორცთა შინა იყოს, ეცემა/საქმეთა მისთა ბოროტთა<sup>1</sup> და კუალად სიკუდილისა მისისა უმეტესადღა საქმენი ცხად არიან და ვითარუა ბნელმან და შვემან დაფარის იგი. რამეთუ სული ბუნებით ნა-

1 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, თბ., 1986 წ.

\* აქ Jer 73 წყდება (189г).

<sup>1</sup> ბოროტთა.

თელ და წმიდა ოს და შთაბერული ოს უკუდავისა ღმრთისად და განკულტურისად კონკრეტული კულტურული მემკვიდრეობის ცოდვისაგან. და მას შინა რომელნიმე მცირედ შეიგინიან ცოდვათაგან და რომელნიმე დიდად. ხოლო რომელნი გამოჰყვანან სულნი კაცთანი კორცთაგან მორწმუნეთანი [და ურწმუნოთანი], ისმინჯ და იცოდე, რამეთუ ყოველი ქუცავისა მცირედ მიემს-გავსების ზეცისასა მას, მაკარი, მოსავო უფლისაო. ვითარცა მჯედარნი რა წარავლინიან მეფემან შორსა სოფელსა, რათა მოყვანონ კაცი ზეცოდებული და მი-რა-იწინიან მისა, შეძყრიან იგი და უთხრიან ბრძანებად მეფისა, მაშინ შეშინდის კაცი იგი სახელისა მისგან მეფისა და შეძრწუნდის მოსლვითა შემპყრობელთათა, და მწრაფლ უწყალოდ წარიყვანიან, ეგრეთცა, რაეამს წარივლინიან ანგელოზი, რათა წარიყვანონ სული კაცისა მართლისად ანუ ცოდვილისა, შეძრწუნდის და ძრწიან შიშითა ანგელოზთა მოსწრავთათა წარყვანებად მისა. ხოლო სული მაშინ ხედავნ ყოველით კერძო მოღვამილსა მონაგებსა და ნათესავთა და მოყუარეთა უსუსურად, უქმრად და ურგებად და იყნოსებნ ცრუემლთა და გლოვასა, რომელნი მდგომარე არიედ გარემონს მისა, რომელ არათდეს გამოყიდოლ იყო წოდებასა მას საშინელსა ესევითასა. და კუალად/შეშინდის სიძნელისაგან გზისა მის და იქირვინ განშორებისა მისთვეს მონაგებთავსა და სტკივინ განშორებად იგი კორცთაგან და იქცევინ ჩუეულსამას თანა. ხოლო ნუგეშინისცემად ქუნ წინაშე მსაჯულისა მის, უკულუ იცოდის სულმან, თუ ჰქონან საქმენი კეთილნი უწინარეს გამოსლვისა საშინელისა მსაჯულისაგან, ყოვლად განიკითხვინ თანამოსაჯულისა მისგან“. და ჰრქუა მათ ამბა მაკარი: „უფალნო ჩემნო, ვითხოვ თქუენგან და ესეცა მაუწყეთ მე: მაბათაგან მოცემულ არსა, მორწმუნეთა წმიდათავსა მესამესა დღესა და მეცხრესა და მეორმოცესა მიუჟყრობენ ღმერთსა ეკლესიასა შინა შესაწირვესა? და რომლისა საქმისათვეს დაიწერა ეს და რათ სარგებელ ეყოფვის სულსა, რომელი გარდაცვალებულ არნ?“ და ჰრქუეს ანგელოზთა მათ: „ისმინჯ მაკარი, პატივცემულო ღმრთისა მიერ, არა მიუშეუ ღმერთმან, რათა იყოს ცუდად რამე და უსარგებლოდ ეკლესიასა შინა ღმრთისასა, გარნა ყოველივე სიღრულო აღესრულა ეკლესიასა შინა ღმრთისასა. და არნ მისთვეს სასოებად დიდ და კეთილ მისთვეს.

და სული/ორთა მათ დღეთა შინა განუტევიან ანგელოზთა, რომელნი არიედ მის თანა, და წარვიდის, ვიდრეცა უნებნ ქუცავანისა ზედა. და სულსა რომელსა უყუარედ კორცნი, წარვიდის ერთჯერ ადგილსა მას, რომელსა განეშორა გუამისაგან. და კუალად წარვიდის საფლავად, რომელსა დამარხულ არნ, და ესრეთ აღასრულის ორი იგი დღე და ეძიებნ გუამსა, ვითარცა ეძიებნ მფრინველი ბუდესა. და სული პატიოსანი წარვიდის აღგილსა, რომელსა ჩუეულ იყო ყოფად სიმართლისა. და დღესა მესამესა უბრძანის ქრისტემან ღმერთმან ყოველთამან, რომელი აღდგა მკუდრეთით მესამესა დღესა, რათა აღიყვანონ ყოველი სული ქრისტეანი ქუცანით ზეცად მსგავსად აღდგომისა. ამას დღესა შინა აღიყვანიან თაყუანისცემად ღმრთისა ყოველთავსა.

კეთილ არს, რომელი უპყრიეს ეკლესიასა შინა დღესა მესამესა ყრწლი ლოცვისა და შეწირვად შესაწირავისა სულისათვეს.

და შემდგომად თაყუანისცემისა ღმრთისა უბრძანის, რათა უჩუენონ კარვები მრავალფერები წმიდათად ბრწყინვალტ, რომელთა ყველ ნებად მისი. და შეუნიერებად ივი სამოთხისად ცნას სულმან სხუათა ექუსთა დღეთა შინა. და უკარდეს და უგალობდეს ღმერთსა, რომელმან განუმზადა ესე.

და ოდეს იხილის და განიფრთხების და დაავიწყდის მწუხარებად იგი, რომელი იყო მის თანა განშორებისათვეს კორცთახსა, და მიიღის მან წუხილი სხუა, უკეთუ მოიწევინ მის ზედა პატივი საქმეთაგან ბოროტთა. სულმან, ოდეს იხილის გალობად მრნათა ღმრთისათვა, იწყის წუხილად/და შეურაცხუ ყვის თავი თვასი და თქვს: ვითარ უგუნურ ვიქმენ სოფელსა მას შინა და უცალ ვიყავ და ნებასა შინა სოფლისასა წარვპმართო ცხორებად ჩემი და არა ვჰმსახურე ღმერთსა, რათამცა ლირსქმნულ ვიყავ მეცა სიხარულსა და გალობასა.

ვად მე უბადრუკასა, რად სარგებელ მეყო, რომელი-იგი ვაშენე სახლები და დავასხ ვენაკი და დაცხნერებე ზეთისხილი? არა სარგებელ არს ჩემდა ანუ ვეცხლი იგი, რომელი მოვიგე, გინა თუ ოქროს. ვერ შემძლებელ არს ქსნად ჩემდა. ვად მე, რამეთუ ცუდად დავშუერ. ვად მე უგუნურად ცხორებულსა. ვად მე, რამეთუ მცირედსა უამსა შევიყუარე დიდებად ცუდი და მოვიგე სიგლახაც უკუნისამდე. ვად მე, რად ესე შემემთხვა. ვად მე, ვითარ დაგბნელდი. ვად მე, რამეთუ ვერ შემძლებელ არს კაცი შეწევნად ჩემდა, რათამცა უბადრუკი მივემთხვე წყალობასა ღმრთისასა.

შემდგომად ვითარცა იხილის ყოველი სიხარული წმიდათა და შეუნიერებად სამოთხისად ექუსთა მათ დღეთა შინა, მიიყვანიან იგი, რათა თაყუანის-სცეს ღმერთსა.

და კეთილ არს ესეცა, ეკლესიასა შინა დღესა მეცხრესა რათა ყონ ლოცვად და საქსენებელი გარდაცვალებულისათვეს.

და შემდგომად მეორედ თაყუანისცემისა კუალად უბრძანის ღმერთმან ყოველთამან, რათა შთაიყვანონ ჯოგონეთად და უჩუენნენ სატანჯველნი განძალებულნი უღმრთოთათვეს. და რომლისა სული თანამდებ არნ და ემხილებინ, იგლოვნ მარადის და იღრმენნ კბილთა და განიკითხვინ თანამოსა/ჯულისა მის-გან.

და ესევითარსა მრავალფერსა ადგილსა შინა იარებინ ოცდათსა დღესა, ძრწინ და იგლოვნ გონებასა შინა, რათა ნუჟუე გამოვიდეს მის ზედა ბრძნებად და დაეყვენოს იგი ესევითარსა ადგილსა.

და განსრულებასა ორმეოცთა დღეთასა აღიყვანიან ზეცას, რათა თაყუანის-სცეს ღმერთსა. და მაშინ საქმეთაბრ უბრძანის მსაჭულმან აღგილი დაცვად სულსა მას მუნ. და მეორმოცესა დღესა მიავლინის სული იგი აღგილსა თვესსა.

და კუალად კეთილ არს ეკლესიასა შინა განსრულებასა ორმეოცთა დღეთსა საქსენებელი აღსრულებულისათვეს.

და ესე იყოვვის სულთათვეს, რომელთა თანა არს ნათლისღებად. ხოლო უღმრთოთათვეს ესრეთ არს, რამეთუ ანგელოზთა სიქადულით გამოიყვანიან და მიზიდვედ, სცემედ და კმობედ: „შ სულო უღმრთოო, ცან, ვინ არს უფალი შენი და უფალი ამის ყოვლისაც, რომლისა არა გინდა ცნობის და შეუებასა შინა იყავ საწუთროსა, აწ მის წილ იტანჯებოდი უკუნისამდე“. და ვიდრე პირველად ცამდე მიაწიიან და დაყენიან და უჩუენიან შორით გალ-

ბად წმიდათა მთავარანგელოზთად და ეტყვედ, ვითარმედ: „იესუ ქრისტე მა ღმრთისა ცხოველისად, უფალ არს ამის ყოვლისა, რომლისად არა გინდა ცნობის და თაყუანისცემის. ამ წარგიყვანოთ უღმრთოთა თანა, რომელი არიან მსგავს შენდა, რათა დაიმკვდრო ცეცხლი იგი უშრეტი საუკუნოდ ეშმაკთა თანა და მთავართა მისთა, რომელთა თაყუანისცემდი, ვითარცა ღმერთსა ცხორებასა შენსა“.

ესე თქუეს ანგელოზ/თა მათ და მისცეს მშვიდობად მაკარის და უჩინო იქმნეს. და ჩუენ წავედით გზასა ჩუენსა და ვპმადლობდით ღმერთსა და მამა უფლისა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რომლისად არს დიდებად და თაყუანისცემად სულით წმინდითურთ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

Г. А. НИНУА

## ДВА ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ ПЕРЕВОДА ОДНОГО ПАТЕРИЧЕСКОГО СКАЗА

### Резюме

«Апокалипсис Макария Александрийского» произведение древнейшего жанра — т. н. патерический сказ, который начинается традиционной фразой — «Рассказывал нам Х...». В произведении затронута распространенная издревле тема — расставание души и тела и связь между чином для усопших и потусторонним существованием души.

Существуют греческая, арабская и сирийская версии данного произведения. На грузинский язык «Апокалипсис» переведен дважды. Древний перевод сохранился в Cod Sin géorg 8 (он опубликован). Выше публикуется последний перевод, выполненный Евфимием Афонским.

Оба перевода исходят с греческого оригинала и принципиально отличаются от сирийской версии, отражающей синтез древней и новой коптской традиции литургии для усопших.

### 8. ნინო

## სიმეონ მესოპოტამიელის ერთი თხზულების ჩართული თარგმანი

სიმეონ მესოპოტამიელი IV საუკუნის მოღვაწედ ითვლება. მისი სახელი, დღევანდელი სამეცნიერო ლიტერატურისა და პუბლიკურიების მიხედვით (რაც, თავის მხრივ, ხელნაწერ ტრადიციას ეყრდნობა), მჭიდროდ უკავშირდება მაკარი მეგვაპტელის სახელს.

სიმეონისა და მაკარის სახელთა შეწყვეტილებას თავისი ისტორია აქვს: არაბული ტრადიცია, რომლის ერთი ნაწილი ბერძნულიდან და მეორე — კოპტურიდან მოდის, მაკარი მეგვაპტელის სახელით ცნობილი თხზულებების აეტორად სიმეონ მესვეტეს გვთავაზობს. სახელი სიმეონი მაკარისეული თხზულებების ბერძნულ ხელნაწერებშიც ჩანს!

3. დორიესმა გამოიქვა მოსაზრება, რომ ეს სიმეონი არის არა სიმეონ მესვეტე, არამედ სიმეონ მესოპოტამიელი, რომელსაც თეოდორიტე მესალიანელთა ბელადს უწოდებს<sup>1</sup>. იგივე მოსაზრება არის გამეორებული მაკარის „50 სასულიერო ჰომილიის“ კრიტიკული გამოცემის წინასიტყვაობაში<sup>2</sup>.

მაშესადამე, სიმეონ მესოპოტამიელს თავისი ადგილი აქვს მწერლობის ისტორიაში და მას არაფერი აქვს საერთო არც ძველ და არც ახალ სიმეონ მესვეტესთან.

სიმეონ მესოპოტამიელისა და მაკარი მეგვაპტელის სახელთა მონაცვლეობამ ხელნაწერებში ერთი და იმავე თხზულებებთან მიმართებით მყვლევართ ამ ორი სახელის გაერთიანების საშუალება მისცა. ამჟამად მაკარისეული ქრებულების ყველა ახალი გამოცემა (გარდა 50 სასულიერო ჰომილიისა) გამოქვენებულია ორი სახელით — მაკარიოს/სიმეონი.

ქართულ ხელნაწერებში არც ერთ მაკარის სახელით წარწერილ თხზულებებსთან სახელი სიმეონი არ დასტურდება. მითომ ჩვენ ვარჩიეთ ქართული თარგმანი ფსევდომაკარის სახელით გამოგვექვეყნებინა<sup>3</sup>.

ქართული ტრადიცია და ქართული მწერლობის ისტორია იცნობს სიმეონ

<sup>1</sup> Geschichte der christlichen arabischen Literatur von Georg Graf, Erster Band, die Übersetzungen, 1944, S. 389—395.

<sup>2</sup> H. Dörries, Symeon von Mesopotamien, Die Überlieferung der messalianischen „Macarios“-Schriften, TU, LV, 1, 1941.

<sup>3</sup> Die 50 geistlichen Homilien des Macarios, Herausgegeben von H. Dörries, E. Klostermann, M. Kroeger, Berlin, 1964 (PTS. 4).

<sup>4</sup> ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ღერძისკრინი დაურთო გ. ნინეამ, თბ., 1982.



მესოპოტამიელს, როგორც ავტორს. შემონახულია ამ ავტორის ერთ უძველეს ლება შემდეგი სათაურით: „თქუმული წმინდისა სიმეონ მესოპოტამელისად სიკუდილისათვს“. თხზულება მცირე მოცულობისაა. როგორც სათაური მიგვითთებს, ავტორი წერს იმის შესახებ, თუ რა ელის ოდამიანს, როცა სული ხორცის ეყრება. სულის მოსალოდნელი ხევდრი ხორცით გაყრის შემდეგ მთლიანად დამოკიდებულია გარდაცვლილი ოდამიანის მიერ ამქეცენიურ ცხოვრებაში განვლილი გზის ავ-ჯარგზე. თუ კაცმა სააქაოს იზრუნა სულზე და სწორად წარმართა სული სრულყოფისაკენ, მის სულს ქრისტეს ხილვა და სამრადისო განსასვენებელი ელის, ხოლო თუ ბოროტების გზით იარა, მისი სული, მწუხარე და მშმუხავი, მარადიული სიბნელის ბინადარი იქნება. თემა, როგორც ვხედავთ, საკმაოდ ცნობილია და მრავალგზისაა დამუშავებული სხვადასხვა ავტორთა მიერ.

ჩვენი თხზულების თხრობა მარტივია და სწორხაზოვანი.

უძველესი ქართული ხელნაწერი, რომელშიაც სიმეონ მესოპოტამიელის „სიკუდილისათვს“ დასტურდება, არის A 1101, გადაწერილი 1047 წელს, საბერძნებში, მთაწმიდაზე, ღვთისმშობლის მონასტერში. ხელნაწერში შესულია ისაკ განშორებულის, ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, მაქსიმე მაგისტროსის, ანდრია კრიტელის, თეოფანე კესარია-კაპალუკიელის, იოანე ოქროპირის, ესაია ჩუცის, ნილოს მონაზვნის სინელის, მარკოზ განშორებულის და კასიან რომელის თხზულებები.

სიმეონ მესოპოტამიელის სიტყვა „სიკუდილისათვს“ მოთავსებულია ხელნაწერის 167V—169V-ზე. მას მოსდევს იოანე მოწყალის პოთევგმა. იოანე მოწყალის თხრობა სიმეონ მესვეტეს შეეხება. მოვიყვანთ ამ პოთევგმის ტექსტს მთლიანად:

„იტყოდეს მამისა იოვანესთვის მოწყალისა, ვითარმედ მარადის იჯენებნ სიტყუასა მას წმიდისა სკმიონ მესუეტისასა, რომელი თქუა ჩუენებისა მიერ, ვითარმედ გან-რაა-ვიდოდის სული კორცაგან და ალვიდის ქუეყანით ზეცად, შეემთხუევიან მას დასნი-დასნი ეშმაკი თვთოებული თვსსა ადგილსა: შეემთხუევის მას კრებული ეშმაკა ამპარტავანებისათა და გამოეძიებენ, უკუეთუ პოვნენ მას თანა საქმენი მათნი, შეემთხუევიან მას კუალად ეშმაკი იგი ძვრის-ზრახისანი და გამოეძიებენ, უკუეთუ ვის ძვრი უზრახა და არა შეინანა, შეემთხუევიან კუალად ზემორე ეშმაკი სიძეისანი და გამოეძიებენ უკუეთუ პოვნენ მას ზედა ღონენი და საქმენი მათნი და რაეამს ქუეყანით ვიდრე ცადმდე ესრეთ სული იგი გამოიწულილვოდის მათ მიერ, შორს მისგან დგანან წმიდანი ანგელოზი და არა შეეწევიან მას, არამედ მისნი სათნოებანი შეეწევიან. ამას რა იგონებენ, სანატრელი იგი შემინებულ და შეძრუნებულ იქმნის ეამისა მისთვის და იტყვნ: „რა პყო, უბაღრუკო იოვანე, რაყამს შეგვმოთხუეოდინ პირსა შენსა მძნვარენი იგი და უწყალნი მეზუერენი და ხარესმებელნი, რაოდენნთა მიმართ შეუძლო სიტყვს გებად? ტყუილისათა მიმართ, ანუ ძვრისზრახისათა, ანუ უწყალებისათა, ანუ ვეცხლისმოყუარებისათა, ანუ სიძვისათა“. და განკურვებად მოვიდის და იტყვნ: „ლმერთო, შენ თვთ შეპრისხენ მათ, თუ არა ყოველი ძალი კაცისა უძლეურ არს მათდა მიმართ. შენ, უფალო, მომცენ ჩუენ წინამძღვარად ანგელოზი, რამთა დამიცვნენ ჩუენ, რამეთუ ფრიად არს მტერობად მათი ჩუენდა მომართ, დიდ არს შიში იგი, დიდ არს ძრწოლად იგი, დიდ არს ღელვად იგი ჰაერისად მის. შენ, უფალო, მიძელუ ჩუენ. შენი არს დიდებად აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ“.



როგორც ვხედავთ, სიმეონის თხზულების და ამ პოთეგმის თემა ერთია. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გვიანი ხანის პირ ხელნაწერში, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი, ეს ორი თემატურ-სტილისტურად მონათესავე თხზულება ასევე ერთადა შეტანილი, თუმცა ხელნაწერთა საერთო შედეგებისა არა ერთნაირი. მს ფაქტი, რომ გადამ-წერები ამ ორ სხვადასხვა ყანრის თხზულებას ერთმანეთს არ აშორებენ, იმითაც უნდა აიხსნას, რომ სახელი სიმეონი ფივურირებს ორივევან. შესაძლებელია ეს სიმეონ მესოპოტამიელის სიმეონ მესვეტესთან გაიგივების ბერძნული ტრადიციის გამოხახილი იყოს.

ა 1101-ში ამ ორ თხზულებას არ ახლავს არავითარი შენიშვნა არც მთარგმნელის და არც გადამწერის შესახებ. ხელნაწერის 82v—83r-ზე ისაკ განშორებულის თხზულებათა ბოლოს არის მთარგმნელის — ეფთვიმე მთაწმიდლის ანდერძის: „დაისრულნეს სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენსა ისაკისნი, დიდისა მის განშორებულისანი. დიდებად ღმერთსა სახიერსა, რომელი შეეწევის ყოველთა, რომელი ეძიებენ მას. ამენ, ღმერთმან დაგაჯეროს, წმიდანო მამანო, ვინცა იყითხვიდეთ სწავლათა ამათ სულისა განმანათლებელთა, ლოცვა-ყავთ ულირსისა და ცოდვილისა ამის მონისა თქუენისა ეფთვიმესთვეს, რომელი ღირს ვიქმენ და ვთარგმნენ წმიდანი ესე სწავლანი და რასაცა ცოორილ ვარ, შემინდვეთ და თქუენ ღმერთმან მაღლი მოგეცინ. ამენ“.

ისაკის თხზულებებს მოსდევს ბასილი დიდის „ითიკა“, რომელიც აგრეთვე ეფთვიმეს თარგმნილია.

ხელნაწერის ბოლოს 284r-ზე არის მთარგმნელის — ეფთვიმე მთაწმიდლის — ორი ანდერძი, პირველი ეხება მოღვაწეთა განწესებებს ზოგადად და კერძოდ, ბასილი დიდის „ეპისტოლეს გრიგოლის მიმართ“, რომელიც ამ ანდერძს უსწრებს წინ, მეორე კი ზოგადია და ეხება მთელ კრებულს. ეს უკანასკნელი დასრულებული არა და წყდება „და“ კავშირზე. შემდეგ დატოვებულია ორი სტრიქონი.

1. „ესე განწესებად მოღუაწეთა და უდაბნოს ყოფისა სარგებელისა გამოჩინებად წმიდისა და დიდისა ბასილის მიერ მე, გლახავმან ეფთვმე ვთარგმნე. ამ ვინცა იყითხვდეთ, ლოცვა ყავთ ჩემთვს და თქუენცა ღმერთმან მიგადლენ, აღსრულებად მოქალაქებისა ამის ამენ“.

2. „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისათა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმობლისათა და მეოხებითა წმიდისა ითანე ნთლისმცემელი-სათა და მეოხებითა წმიდათა მოციქულთათა და წმიდათა წინაწარმეტყუელთათა და წმიდათა მოწამეთათა და წმიდათა მღლელთმოძღუართათა და წმიდათა მამათათა და ყოველთა წმიდათათა, რომელნი საუკუნითვან სათნო ეყენეს ღმერთსა, მე ულირსმან ეფთვიმე ვთარგმნენ წმიდანი ესუ სწავლანი წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათანი, სულისა განმანათლებელნი, ამ ღმრთისათვეს, ვინცა იყითხვიდეთ, ლოცვასა მომიქსენეთ მე და...“

ეფთვიმეს თარგმნილად მიიჩნევს ამ თხზულებას კ. კეკელიძე. ამდენად, ლოგიურია, რომ სიმეონ მესოპოტამიელის თხზულება „სიკუდილისათვეს“ ეფთვიმეს თარგმანთა რიცხვს მივათვალოთ. ეს თხზულება სხვა აღრეულ ხელ-

5 კ. კეკელიძე, ქველი ქართული ლიეტრატურის სტორია, თბ., 1980, გვ. 205.

ნაწერებში არ ჩანს. იგი დასტურდება მხოლოდ ორ გვიანდელ ასკეტურ კონ-  
ბულში: H 2853—XVIII ს. (გვ. 32v—33v) და ქუთ. 234—XIX ს. (გვ. 271v). იოანე მოწყვალის ზემოთ მოყვანილი პოთეგმა ორსავე ხელნაწერში  
მოსდევს სიმეონის თხზულებას (H 2853 იოანე/იოსებ. გვ. 33v—34r, ქუთ.  
234, 270v, 11—27). A 1101 ხელნაწერის 248r-ზე არის მინაწერი, რომ  
ეს ხელნაწერი სრულად „უკლებლად და დიდი სისწორით“ 1903 წელს გადა-  
უწერია მონაზონ ათანასე ბაქრაძეს.

ასებობს სიმეონ მესოპოტამიელის თხზულების ბერძნული ტექსტის  
შეველი გამოცემაც Cod Vat Gr 1907-ის მიხედვით<sup>6</sup> და ახალი კრიტიკული გა-  
მოცემაც, რომელიც ვ. შტროტმანმა მოამზადა<sup>7</sup>. ვ. შტროტმანს მითითებული  
აქვს ყველა ბერძნული და არაბული ხელნაწერი და გამოცემა, სადაც ეს  
ტექსტია დაცული.

ირკვევა, რომ ხელნაწერებში თხზულება სხვადასხვა ვეტორს მიეწერ-  
ბა: მაკარის სახელით იგი წარწერილია Cod Dionysiov 268-ში (248v, 9—  
249v, 12. XV ს.). მაკარის თხზულებათა კიევურ ხელნაწერში (TU 77, 346—  
362) ეფრემ ასურის სახელით — Cod Vat pal Gr 68 (32r—33v, XIII ს.)  
სიმეონ მესვეტის სახელით — Cod Vat Arab 80 (258v, 1—12). სიმეონ  
მესოპოტამიელს თხზულება მიეწერება Cod Vat Gr 1907, რომელსაც ეყრდ-  
ნობა ძველი გამოცემა. სხვა ხელნაწერი ვ. შტროტმანს მითითებული არა  
აქვს. თარგმნილია სლავურად<sup>8</sup>. ვ. შტროტმანი ამ თხზულების ქართულ თარგ-  
მანს არ უთითებს.

სიმეონის თხზულების პირველი ნაწილი თითქმის მთლიანად ემთხვევა მა-  
კარი მეგვითტელის სახელით ცნობილი „50 სასულიერო ჰომილიდან 22-ებს  
(„50 სასულიერო ჰომილია ქართულად თარგმნილი არ ყოფილა). შედარე-  
ბისათვის ქვემოთ მოყიფან 22-ებ ჰომილის ტექსტის ჩვენეულ თარგმანს და  
სიმეონის თხზულების შესატყვის ნაწყვეტს:

### მაკარი (3, გვ. 194)

### სიმეონი

როცა კაცის სული სხეულიდან  
გამოდის, ამ დროს დიდი საიდუმლო  
აღესრულება. რაღაც თუ ცოდვის და-  
ნაშაული აქვს ჩადენილი, დემონთა  
გროვა და არაკეთილი ანგელოზები და  
ბნელი ძალები მოიცავენ იმ სულს და  
მიჰყავთ თავის საკუთარ საშეაროში.  
და არავის არ უნდა გაუკვირდეს ეს,  
იმიტომ რომ, თუ სული, როცა იყო  
ამ საწუთოში, ამ ცხოვრებაში, უსმენ-  
და, ემორჩილებოდა და იყო მათი მო-  
ნა, მით უფრო ინარჩუნებენ ისინი მას  
და იტოვებენ თავიანთი უფლების ქვეშ,

რამეთუ რაჟამს განვიდოდის სული  
კორცაგან, დიდი შიში მოიწევის და  
საიდუმლო დიდი აღესრულების, რა-  
მეთუ მოვლენ მის ზედა ანგელოზნი  
სახიერნი და სიმრავლე მჟღადობისა  
ცათახას და კუალად მოვლენ ყოველ-  
ნივე ძალი წინააღმდეგომნი და მთავა-  
რნი იგი ბნელისანი და ორთავე ენე-  
ბის სულისა მის თქოთა აღვილთა წარ-  
ყვანებად. მაშინ, უკუეთუ სულსა მას  
აქუნდენ აქვე მოგებულნი სათნოებანი  
და გარდაეჭადოს ცხორებად კეთილი და  
სათნო ღმრთისა, დღესა მას განსლ-

<sup>6</sup> Novae Patrum Bibliothecae, VIII, 3 (1—3), Romae, 1871.

<sup>7</sup> Schriften des Makarios/Symeon unter dem Namen des Ephraem, Herausgegeben von Werner Strothmann, Wisbaden, 1981.

როცა იგი გადის მე სოფლიდან. რაც  
შეეხება კეთილ ნაწილს, უნდა წარმო-  
იდგინო, რომ ასე ხდება: ღვთის წმიდა  
მონებთან ყოველთვის არიან ანგელო-  
ზები და წმინდა სულები, გარემოადგე-  
ბიან და იცავენ მათ და როცა მათი  
სული ეყრდნა ხორცს, მაშინ ანგელო-  
ზებთა დასწინ მიიღებენ მათ სულებს თა-  
ვიანთ სამყოფელში და წმინდა საუკუ-  
ნეში და ამგვარად მიჰყავთ ისინი  
უფალთან.

ისია მისისასა სათნოებანი მისნი იქმნებიან ანგელოზ კეთილ და გარე-მოადგებიან მას და არავის უტევებენ წინააღმდეგობათაგნისა შეტებად მისა, არამედ სიხარულითა და მხიარულებითა წმიდათა ანგელოზთა თანა წარიყვანებენ მას... მიიყვანებენ მას წინაშე მაცხოვრისა ქრისტესა... უკეთუ კულა ცხორება ესე ბოროტად წარევლოს ვნებათა თანა შეგინებულთა და გულისთქვემსა შინა ჭორცასა და ამაოებასა შინა სოფლისასა დღესა მას განსლვისა მისისა ცხორებისა ამისგან იქმნებიან საქმენი იგი მისნი, ეშმაკ უკეთურ და გარემოადგებიან საწყალობელსა მას სულსა და არა უტევებენ მიახლებად მისა ანგელოზთა ღმრთისა არამედ წარიყვანებენ მას...

სიმეონის თხულების სხვა ნაწილი უახლოვდება 26 სწავლიდან პირველი  
და მეორე სწავლის მონაცემებს.

სმენი	მაკარი	
	გვ. 178, 23—37	198 10—26
მამ, რისხეად, ზარმაცო- ბად, გულისტეუმად და ძი- რი ყოვლისა ბოროტები- სა — ვეცხლისმოყუარებად.	შეუნიერისაგან, უჩრმუნო- ებად გულფიცხელობისაგან, ცულფიცხელობად უდებე- ბისაგან, უდებებად დაქს- ნილობისაგან, დაჭინილო- ბად სულმოკლებისაგან, სულმოკლებად მოწყინებუ- საგან, მოწყინებად უთმი- ნოებისაგან, უთმინიებად გემოსმოყუარებისაგან. და ეგრეთვე ენებანი ერთმა- ნეთსა ჰქიდვან და კუ- ლად სათროებანი ერთმა- ნეთსა შეთხილ არიან.	კონა ესენი არიან: მო- წყინებად, განცხრომად, უს- მობად ურმაღლელობად, დრტვებად, სიტიცხლო, ნა- ყროვნებად, შეკენებულე- ბად, რისხეად, გულისწყრო- ბად ძრისტრებად, სილარზ, მპარტავნებად, უჩრმუნო- ებად, ცუდადმეტყულებად, დაუწყნარებლობად, დავი- წევად, შფორ, მოხვე- ჭად, ვიცხლისმოყუარებად, შური, კდომად, უფორმ სიცილი, თვითრჩულობად და ცოველოვე სიბნელზ, რომელ არს ეშმაკი.

მოყვანილი სამა მონაკვეთის სტილისტურ-აზრობრივი მსგავსება ნათელია. ფაქტიურად ეს არის პავლე მოციქულის თემის ვარიაციები (გალატ. 5, 19—23).

თხზულების შუა ნაწილი მისდევს „კურთხევანში“ შესული მიცვალებულ-  
თა კურთხევის ტექსტს („მიიყვანებენ მას ადგილსა განსუენებისას, სიხა-  
რულსა მას გმოუთქმელსა, ნათელსა მას დაუსრულებელსა, სადა-იგი არა  
არს მწუხარებად, არცა სულთქმად, არცა ცრემლი, არცა ზრუნვად...“)

სულისა და ხორცის გაყრის თემას მრავალი ძველი ავტორი ეხება. დავა-  
სახელებთ ზოგ მათგანს. ოთანე ოქროპირი, „თქუმული სოფლისა მისითვს წარ-  
შავალისა, სიკუდილისათვს და სასჯელისა“, ბასილი დიდი, „თქუმული სინა-  
ნულისათვს და სიკუდილისა“, ეფრემ ასური „სიკუდილისათვს და გმოსლვი-  
სათვს სულისა კორცაგან“ და სხვ.

ქართულ ხელნაწერებში A 144 (X ს.), S 1139 (934 წ.), H 1662 (1040 წ.),  
Sin 36 (X ს.) და Ath 9 (977 წ.) შემონახულია ეფრემის „სიკუდილისათვს“  
და გმოსლვისათვს სულისა კორცაგან“. ეს თხზულება გამოსცა იღია აბუ-  
ლაძემ (8,220—227). როგორც ზემოთაც აღვნიშვნეთ, სიმეონ მესოპოტამიელის  
„სიკუდილისათვს“ XIII საუკუნის ერთ ბერძნულ ხელნაწერში წარწერილია  
ეფრემ ასურის სახელით. ამიტომ ქართულ ხელნაწერებში შემონახულ ეფრემის  
ამ თემაზე დაწერილ თხზულებას შევეხებით უფრო დაწვრილებით. კ. კეკელი-  
ძეს მისი ბერძნული შესატყვევისი მითითებული არა აქვს<sup>8</sup>. უ. გარიტი სინური  
კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში (Sin 36, V, 6) მითითებს  
ბერძნულ ტექსტს: P. G., t. 77 col 1072—1089. ეს არის კირილე აღექსანდრი-  
ელის სახელით წარწერილი თხზულება. შედარებამ გვიჩვენა, რომ ქართული

<sup>8</sup> მამათ სწავლის X—XI საცეკვეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 91—100; 138—151; 220—227.

<sup>9</sup> კ. კეკელი, ეტიუდები, V, თბ., 1957.

ტექსტი და კირილე ალექსანდრიელის თხზულება ერთმანეთს არ ემთხვევა. CPG-ში (იბ. 4145 (11) ბერძნული ტექსტი მითითებული არ არის. მაშასადამე დღეისათვის ეფრემის ამ თხზულების ბერძნული დედანი არ ჩანს.

ეფრემის თხზულება გარდა იმისა, რომ მოცულობით მეტია სიმეონის თხზულებაზე, აგებულების მიხედვით უფრო რთულია, უფრო საინტერესოდ და მაღალმხატვრულადაა დაწერილი.

ეფრემ ასურის „სიკუდილისათვს და გამოსლვისათვს სულისა კორცთაგან“ ათონელებამდელი პერიოდის თარგმანია. უძველესი ნუსხა, რომელშიაც დასტურდება ეს თხზულება X ს. პირველი ნახევრისაა. სიმეონ მესოპოტამიელის თხზულება შესულია A 1101-ში, რომელიც როგორც ზემოთაც აღვნიშნება, ეფთვიმეს თარგმანთა კრებულია, სტილისტურად არ არის გადახრილი ამ თარგმანთა საერთო ელფერიდან, ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებიც არ გვავარაუდებინებს ამ თხზულების სხვა მთარგმნელს. მაშასადამე იგი ეფთვიმე ათონელის მიერა თარგმნილი. სიმეონ მესოპოტამიელის „სიკუდილისათვს“, ეფრემ ასურის სახელით წარწერილი, შესულია XIII საუკუნის ერთ ბერძნულ ხელნაწერში. ეფრემ ასურის თხზულების „სიკუდილისათვს და გამოსლვისათვს სულისა კორცთაგან“ ბერძნული შესატყვისი არ ჩანს. მაშასადამე, ამ თემაზე დაწერილი ეფრემის თხზულების ბერძნული დედანი დღეისათვის ცნობილი არ არის. გვაქვს მხოლოდ ათონელებამდელი ქართული თარგმანი. სიმეონის და ეფრემის ზემოხსენებულ თხზულებებს არაფერი იქვთ საერთო გარდა თემისა და ნაწილობრივ სათაურისა. ეფრემ ასურის სახელით ხელნაწერებში ფსევდომაჟარის ზოგი თხზულებაც არის წარწერილი და, ამდენად, ამგვარი აღრევა არც მოულოდნელია და არც ერთადერთი<sup>10</sup>.

სიმეონ მესვეტის სახელით წარმოდგენა სიმეონ მესოპოტამიელის თხზულებებისა აგრეთვე არა მოულოდნელი, რადგან ეს ორი სახელი ხშირადაა ბერძნულ და არაბულ ხელნაწერებში ერთმანეთში აღრეული.

სიმეონ მესოპოტამიელის „სიკუდილისათვს“ სტილისტურად კარგად ესადაგება ფსევდომაჟარის თხზულებებს, მათ რიგში დგას და ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ სიმეონ მესოპოტამიელის სახელი დავუკავშიროთ მაკარი დიდი ავტორობით ცნობილ დიდ ლატერატურულ მემკვიდრეობას.

სიმეონ მესოპოტამიელის თხზულების ტექსტი ქვეყნდება A 1101 ხელნაწერის მიხედვით. დანარჩენი ნუსხები ძალზე გვიანდელია. განსხვავებები არის მხოლოდ ვარიანტული და ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, რომელთა მითითება ხელნაწერთა დროში დაშორების გამო მეთოდურად არ იქნებოდა გამართლებული.

### თქუმული წმიდისა სიმეონ მესოპოტამიელისად სიკუდილისათვს

168

ანუ არა უწყითა, ძმანო, თუ ვითარი ჭირი და ლუაწლი და შიში მოწევნად არს ჩუენ ზედა // უამსა მას, რაჟამს განვიღოდით ცხოვრებისა ამისგან? რამეთუ რაჟამს განვიღოდის სული კორცთაგან, დიდი შიში მოიწევის და საიდუმლომ დიდი აღესრულების. რამეთუ მოვლენ მის ზედა ანგელოზი სახიერნი და სიმრავლი მეგდრობისა ცათასად და კუალად მოვლენ ყოველნივე ძალნა წინაომდგომნი და მთავარნი იგი ბნელისანი. და ორთავე მათ ენების სულისად მის თვეთა ადგილთა წარყვანებად. მაშინ, უკუეთ სულ მას აქუნდენ აქავე

<sup>10</sup> ფსევდომაჟარის თხზულებათა ქართული ვერსია, გვ. 48—49.

მოგებული სათნოებანი და გარდაეკადოს ცხორებად კეთილი და სათნო ღმრთისად, დღესა მას განსლვისა მისისასა სათნოებანი იგი მისი იქმნებიან ანგელოზ კეთილ და გარე-მოადგებიან მას და არავის უტევებენ წინააღმდეგო-მთავარისა შეხებად მისა, არამედ სიხარულით და მხიარულებითა წმიდათა ან-გელოზთა თანა წარიყვანებ მას. და უფალობდიან ღმერთსა ძლევისა გალო-ბითა და მიიყვანებენ მას წინაშე მაცხოვრისა ქრისტესა და მეუფისა მის დიდე-ბულისა და თაყუანისცემენ მას სულსა მას თანა და ყოველთა მჯედრობათა ზეცისათა. და მერმე მიიყვანებენ მას აღგილსა განსუენებისასა, სიხარულსა მას გამოუთქმელსა, ნათელსა მას დაუსრულებელსა, საღა-იგი არა არს მწუხა-რებად, არცა სულთქმად, არცა ცრემლი, არცა ზრუნვად, არამედ ცხორებად უკუდავი და სიხარული საუკუნე ყოველთა თანა წმიდათა, რომელი სათნო ეყვნეს ღმერთსა.

უქეთუ კულა ცხორებად ესე ბოროტად წარევლოს ვნებათა თანა შეგი-ნებულთა და გულისტქუმასა შინა კორეტასა და ამორებასა შინა//სოფლისასა 169 დღესა მას განსლვისა მისისასა ცხორებისა ამისგან იქმნებიან საქმენი იგი მისნი ეშმა უკეთურ და გარემოადგებიან საწყალობელსა მას სულსა და არა უტე-ვებენ მიახლებად მისასა ანგელოზთა ღმრთისათა, არამედ წარიყვანებენ მას სა-წყალობელად მტრირალსა მჭმუნვარესა და მწუხარესა აღგილთა ბნელთა და ნისლიანთა და ბოროტა, საღა-იგი ყოველი ცოდვილი დამარხულ არიან დღედ საშეკლისა და სატანჯველისა მის საუკუნოსა, საღა-იგი შთავარდების ეშმაკი ანგელოზთა მისთა თანა.

ამისთვის, ძმანო, ჭერ-არს ჩუენდა, რახა ამიერვე განვემზადენით და ვიზრუნოთ სიკუდილისა და მზა-ვყვნეთ სათნოებანი იგი, რომელთა ეგულე-ბის ჩუენ თანა განსლვად ცხორებისა ამისგან და კელისა აპყრობად ჩუენდა ჟამსა მას ჭირისასა. ხოლო სათნოებანი, რომელი ვთქუენით, ვთარმედ ანგე-ლოზ იქმნებიან და წინააღდგებიან ეშმაკა, ესენი არიან: სიყუარული, სიმ-დაბლც, სულგრძელებად, მარხვად, მოთმინებად, განკითხვად, მორჩილებად, დაყუდებად, სიმჯნც, სიმართლც, სიწმიდე, ქალწულებად და მსგავსი ამათნი. ესე სათნოებანი შეგუეწევიან ჩუენ საშინელსა მას ჟამსა და ვერვის ძალუც წინააღმდეგომად მათდა. ხოლო ვნებანი, რომელთათვს ვიტყვო, ვთარმედ ეშმა იქმნებიან, ესენი არიან: სიმაღლც, გულფიცხელობად, მოწყინებად, ცუ-დაღმეტყულებად, კდომად, შური, ამპარტავანებად, ძრისისენებად, დაქსნი-  
v ლობად, უდებებად, უგულისკმობებად, დავწყებებად, გულისწყორმად, //რისხვად, ზარმაცობად, გულისტქუმად, განცხრომად, ნაყროვნებად, შეგინებულობად და ძირი ყოვლისა ბოროტისა— ვეცხლისმოყუარებად და ყოველივე საქმც სა-ეშმაკო. ესე ვნებანი ეშმაკად გარდაიქცევიან დღესა მას სიკუდილისა ჩუენი-სასა და წარიტაცებენ სულსა ჩუენსა და სამართლდცა, რამეთუ, რომელიცა ჩუენ ნეფსით გამოვირჩიენით და პატივეცით სათნოებათა წილ ვნებათა და მივეცით მათ აღგილი და კელმწიფებად ჩუენ ზედა, იგინიცა შემდგომად სი-კუდილისა განსლვად არიან ჩუენ თანა და უფლებად არიან ჩუენდა და არა-ვინ იყოს შესნელ ჩუენდა კელთაგან მათთა. :

გულისკმა-ვყორთ უკუე, ვიღრელა ჟამი გუაქუს, თუ ვიეთნი არიან შემწე ჩუენდა და მოვიგნეთ იგინი და მათდა მივილტოდით ყოვლითა გულითა ჩუე-ნითა, რახთა მოვიდე ჟამსა მას ჭირისა ჩუენისასა და შეგუეწენენ და გვესნენ ჩუენ ეშმაკად კუალად გულისკმა-ვყორთ, თუ რომელი საქმენი არიან მტერ ჩუენდა და თუ ვითართა ბოროტა წინამდლუარ გუემნებიან ჩუენ და ვივლტოდით მათგან ვითარცა გუელისა ანუ ცეცლისაგან და უკუეთუ, საღა

დაცემულ ვართ მათ შინა, ვისწრაფოთ, ვიღრელა უამი გუაქუს და ვართ ცხო-  
რებას ამას შინა, განვეშორნეთ მათგან და სინაზულითა და ოსრულებითა  
სთნებათათა მოწყალე-ვყოთ ღმერთი და თავნი ჩუენნი მზა-ვყვეთ  
სიკუდილისა მიმართ, ნუუკუ, მო-რამ-ვიღეს და პრე//ქოს კარსა, ვიყვნეთ გა-  
ნუმზადებელ და ვიპოვნეთ შორს ღმრთისაგან, რომლისაა არს ღიღებად 170  
უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

Г. А. НИНУА

## ГРУЗИНСКИЙ ПЕРЕВОД ОДНОГО СОЧИНЕНИЯ СИМЕОНА МЕСОПОТАМСКОГО

Р е з յ у м е

Симеон Месопотамский (IV в) в современной научной литературе признан автором аркетипа того огромного литературного наследия, которое приписывалось Макарию Египетскому.

Древнегрузинская рукописная традиция знает Симеона Месопотамского, как автора: в рукописи А 1101 (1047 г.) сохранилось произведение озаглавленное следующим образом: «Сказанное Симеоном Месопотамским о смерти».

В греческих и арабских рукописях это-же произведение надписано то именем Симеона Месопотамского, то Симеона Столпника, Ефрема Сирина и Макария Египетского.

В предлагаемом исследовании показано, что «О смерти» Симеона Месопотамского имеет прямые соответствия с псевдомакарянскими сочинениями и стилистически хорошо согласуется с ними, что является еще одним доказательством состоятельности теории приобщения имени Симеона Месопотамского с литературным наследием, известным под именем Макария Египетского.

Текст произведения Симеона Месопотамского публикуется по рукописи А1101, содержащей перевод Евфимия Афонского.

ქ. ბაზარაშვილი

გრიგოლ ნახიძეზელის პოეზიის კომენტარიზის ჩართული  
 ვერსიებიდან

(ეფთვიმე ათონელის „სწავლანი სულიერნი“)

ბიზანტიურ ლიტერატურაში ცნობილ გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის რამდენიმე კომენტატორთაგან ქართულ მწერლობაში განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევით IX—X ს. ფილოსოფოსის ნიკიტა-დავით პაფლალონელის კომენტარებისათვის, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირის მიერაა თარგმნილი (ესენია: ეფთვიმე ათონელი, ეფრემ მცირე და ელინოფილური სკოლის უცნობი მოღვაწე). გრიგოლის თხზულებების სხვადასხვა კომენტარის შინაარსს და თავისებურებას (ლიტერატურულ-თეორიული, რიტორიკული, ისტორიული, მითოლოგიური, თეოლოგიური (დოგმატური, მორალური), ფილოსოფიური და სხვ.) ხშირად ისიც განაპირობებდა, თუ რომელ ეპოქაში რა იწვევდა ინტერესს გრიგოლის შემოქმედებიდან და რა საჭიროებდა განმარტებას. ჩვენს შემთხვევაში ეს ითქმის როგორც თავად ნიკიტას კომენტარებზე, ისე მთ ქართულ თარგმანებზეც. გრიგოლის პოეზიის კომენტარების ქართულად თარგმნის ისტორია ეფთვიმე ათონელით იწყება. მას მოსდევს ეფრემ მცირე და ანონიმი ელინოფილური სკოლიდან.

გრიგოლ ლვთაშვეტყველის პომილიების ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილ კრებულებში (XI ს.) და აქედან შემდეგ გადასულ სხვა ხელნაწერებშიც (A 1, A 16, A 80, A 87, A 518, A 1338, S 383, S 1696, A 142, A 66, A 1512, S 3647, S 4616, H 211, H 1023, H 1737, ქუთ. 155, ქუთ. 431, ც/არქ. 381; A 224, S 77, S 127, H 1248, ქუთ. 321, ც/არქ. 247)<sup>1</sup> მოთავსებულია 100-შუხლიანი თხზულება „სწავლანი სულიერნი წმიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისანი, თარგმნილი ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთვმესნი“. იგი F. Lefshertz-ის შენიშვნით, შესაძლოა იყოს რომელიდაც კომენტარი გრიგოლ ნაზიანზელის გნო-

<sup>1</sup> სწორედ ეფთვიმეს „სწავლანი“ შევიდა გაბრიელ მცირის მიერ XVIII ს-ში შედგენილ კრებულში „სამასული“, რომელშიაც გაერთიანებულია მაქსიმე აღმაარებლის, ბასილი და-დის, გრიგოლ ნაზიანზელის საკოთხავებიდან ამოკრეფილი 100—100 შუხლი (მოქლე თვე), აფორიზმებისა და სენტენციების შემცველი (მდრ. კ. კიკელიძე, მცენ ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 403; თ. ბ. ე. გ. ა. კ. ე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1988, გვ. 3. იხ. ხელნაწერთა ბოლო ჯგუფი დასახ. კრებულთა რიცხვში).

მური ლექსის—ერთტაეპედისა (P G 37, carmen I, 2, p. 30, col. 908—910)<sup>2</sup>. მაგრამ ამ ლექსის განმარტება, რომელიც ნიკიტა პაფლალონელს მიეწერება<sup>3</sup>, მოიცავს „სწავლანის“ მხოლოდ 1—20, 23—26 და მე-100 მუხლებს. არსებობს ამ კომენტარების ერთადერთი ძეგლი დასახელებული გამოცემა (1563 წ.). „სწავლანის“ ეს მუხლები შევუდარეთ როგორც ამ კომენტარების ბერძნულ ტექსტს, ისე თავად ლექსი და მის ანონიმურ ქართულ თარგმანს — „წმიდანისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა თქუმული იამბიკონად რიცხუსა ზედა ბერძნულისა ანბანისასა ალფავიტასას“ (S—269, 168v; S 379, ვ. 187). სტრივ ჩამოაწერა ლექსის მინახულისას ანბანისასა ალფავიტასასა (S 379, ვ. 187).

<sup>2</sup> F. Lefherz, Studien zu Gregor von Nazianz. Mythology, Überlieferung, Scholiasten. Diss. Bonn, 1958, s. 73—74. იბ. აგრეთვე G. Lafontaine, Die georgische Übersetzung Gregors des Theologen. Georgica, Jena—Tbilissi, 1980, p. 66 (n. 18. მთხოვება F. Lefherz-ის მიხედვითაა. თავად F. Lefherz-ს ეს დასკვის გამოძება გ. ფერაძის შრომაში (G. Peradze, Die alt-christliche Literatur in der georgischen Überlieferung 3. Orients Christianus, serie 3, Bd. 5, Leipzig, 1930, p. 96) მოყვანილი „სწავლანის“ დასაწყისის მახადვოთ. „სწავლანის“ წყაროდ გრიგოლის ამ ლექსის ასახელების ე. ნიკოლაიც, მაგრამ მის შრომის მიხედვით იქმნება შთაბეჭდლება, რომ „სწავლანის“ სივრცი მუხლების განაწილებული ამ ლექსის 24 სტრიქნით (იბ. ე. ნიკოლაიც ე. ფრედე ჰიუიტ—მხატვრულ ნაწარმოებთა ბერძნულიდან ქართულ გნახე მთარგმნელი, ქუთაისი, 1959, ვ. 26).

3 წიგნება ფილიატოს თუ არ არ ერმηნება ეს თა თეტრატიგა თუ მევგალის მატების ერმენი თუ წარავანგის, თუ აუთი ერმηნება ეს თა მანისტიგა, თუ აუთი ეს თა ეპიგრამითა თა ეს თუ მეგა ვასტავის მარატა... მანი ზაχარიას ქარებას სიკობის კრეთის თუ ჰილენიმოს მარატა... ვენეტის, 1563 (ქართულად სწორებ სამიერე ამ ლექსის—ოთხტაეპედის, ერთტაეპედის და ბასილის ეპიგრამის კომენტარებით თარგმნილი). იბ. აგრეთვე სათაური ხელნაწერში Laur. conv. st. Marci 693, s. XIV, fol. 338 b: † Ἀχριστιχίς τῷ πάνταν στοιχείων ἔκάστου ἵψμιου τελεῖαν παραίνεσιν ἔχοντας, φην ἡ ἐξήγησις τυγχάνει: წიგნება თუ არ არ ად', ზოულის ხრისτი თუ ფილიატოს (D. Anastasijew ič, Die parännetischen Alphabete in der griechische Literatur, München, 1905, s. 14—15). იბ. აგრეთვე M. Gerard, Clavis Patrum Graecorum, vol. II, Brepols-Turnhout, 1974, p. 195 sqq. ეს კომენტარი (I, 2, n. 30) ზოგვრით მონაცემით ნიკოლოს ღოქსმატეტროს (XII ს.) და იოანე ზონარასაც (XII ს.) ეკუთვნის (M. Gerard, დასახ. შრომა, ვ. 195—196. F. Lefherz, დასახ. შრომა, ვ. 174, 180, 183, 191—192. J. Sajdak, Historia critica scholiistarum et commentatorum Gregorii Nazianzeni, I, Krakaw, 1914, p. 199. E. Dronke, S. Gregorii Nazianzeni carmina selecta. Accedit Nicetae Davidis paraphrasis... Gottingae, 1840, p. VIII—IX. E. Dronke, De Niceta Davide et Zonara interpretibus corminum S. Gregorii Nazianzeni, Confluentibus, 1839, p. 4. G. P. Migne, Patrologia Graeca, t. 38, Paris, 1860, col. 681—686). სწორედ ამიტომ არ შეიტანეს იგი თავის გამოცემაში E. Dronke-მ და J. P. Migne-მ (როგორც ათხტაეპედის კომენტარი 1563 წ. გამოცემდან ვარინტად შეაქვს თავის გამოცემაში ე. დრონენეს). ამ კომენტარის ქართულ ვერსიას შეუძლია გარკვეული წვლილი შეტანის მისი ავტორის საკონტის ისტორიის კლევაში. მართალია, ეფთვება ათხტოდი აღსანებას, თუ ერთტაეპედის ეს განმარტება რომელი ავტორის მიხედვითაა შედგენილი, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, ეფთვება ათხტოდი, X—XI ს. მოლენშტე, XII ს. ავტორს ვერ თარგმნიდა. ე. ი. შესაძლებელია იღნიშული კომენტარის ავტორის საკითხი ნიკატას სასარგებლოდ გადაწყდეს (ქართული ტექსტის შედრება ამ ერთადერთ გამოცემასთან იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ იგი ამ ტექსტება დამოკიდებული—უფრო დაწერილებით ამაზე იბ. ქვემოთ).

ლექსის თითოეული ტაეპის და მის განმარტებათა თანმიმდევრობა „სწავლაში“ ასეთაა:

ლექსის ტაეპი „სწავლანის“ მუხლი		ლექსის ტაეპი „სწავლანის“ მუხლი	
1	--	1	13
2	--	2	14
3	--	3	15
4	--	4	16
5	--	5	17
6	--	6	18
7	--	7	19
8	--	8	20
9	--	9	21
10	--	10,11	22
11	--	12	23
12	--	13	24
			100

ეფთვიმეს თარგმანში ტაქცები ზუსტად თანხვდება PG-ს და ვენეციური 1563 წ. გამოცემის ტექსტების თანმიმდევრობას, ანონიმურ ქართულ თარგმანში კი ტაქცება თანმიმდევრობა შეცვლილია: 15/14. PG და Venet. გამოცემების ტექსტები ახლოს დგანან ერთმანეთთან გარდა გრამატიკული ფორმების მცირე სხვაობისა. ზოგჯერ ეფთვიმეს თარგმანი უფრო ახლოს დგას PG-ს ბერძნულ ტექსტთან, ვიდრე ანონიმისა. „სწავლანის“ აღნიშვნული მუხლები იწყება ლექსის დასაწყისი სიტყვებით და მოსდევს მისი მოკლე განმარტება (გარდა მე-12 (კომ. 13), 22-ე (კომ. 25) და 23-ე (კომ. 26) ტაქცებისა, რომელიც პირდაპირ განმარტებითვე იწყება). ვენეციურ გამოცემაში ასეთი: ტაქცი — განმარტება, ტაქცი — განმარტება. „სწავლანის“ ამ მუხლთა დასაწყისები ფრაზეოლოგიურად არ ემთხვევა ლექსის ქართულ თარგმანს, რომელიც სულ სხვა პიროვნების მიერ უნდა იყოს თარგმნილი და, ალბათ, უფრო მოვიანებითაც<sup>4</sup>, მაგ., პირველი ტაქცი და მისი განმარტება ასეთია: Ἀρχὴν διπάντων καὶ τέλος ποιοῦ Θεόν — „საწყის ყოველთა და სასრულ ღმერთი ყავ“ — „სწავლანი“; „დასაბამად და აღსასრულად ყოველთა საქმეთა შენთა ღმერთი გაქუნდინ, რამეთუ კეთილ არს ღმრთისაგან დაწყებად და ღმრთისა მიერ აღსრულებად ყოველთავე საქმეთა ჩუენთა და მარადის გონებათა ჩუენთა ღმრთისა თანა ყოფად“ (S 1696, 149v).

იმისათვის, რომ ენახოთ, თუ რა მიმართება ეფთვიმეს ძიერ კომენტირებულ ტაქსა და მის სავარაუდო დედას შორის, ნიმუშად სრულად მოვიყვანთ I ტ. კომენტარს ჩვენებული თარგმანით: ნათელად ნათელად ნათელად ნათელად დასაწყისად ყოველი საქმისა და ყოველი სიტყვისა და მისი ხმობა შესწევნებულია. ასევე, თუ ვინმე ბოლოსაც მიმართავს მას თხოვნით, საქმის და სიტყვის დიად დასასრულს მიაღწევს და გაიხარებს, რომ საბოლოო მიზანი ბედნიერად განხორციელდა. ასე იქცოლნენ ელინთა პოეტები — ლეროჟებს უხმობდნენ ჭმილების დასაწყისში. პომეროსი თავის ორსავე წიგნში კალიოპეს ოქმობდა

4 ქ. ბეჭის რაცეპოლი, გრიგოლ ნაზარიშვილის პოეზია ქართულ მწერლობაში, „მაცნე“, ენციკლოპედიურის სერია, 1986, № 3, გვ. 91, 98.

შემწედ პოემის დაწყებისას. პესიოდეც მუზებს მოუხმობდა, რომ მოსულფ-  
ყვნენ შესაწევნელად. არატოსიც ყველას შთაგონებდა ღმრთისაგან დაწყების  
ბას. თუ აյ იქცეოდნენ ელინი, შით უფრო ხამს (ვეგართებს) ქრისტიანთა  
კეშმარიტების ქმნა (მიყოლა).

თუ შევაღარებთ ზემოთ წარმოდგენილ ეფთვიმეს ტექსტს ნიკიტას  
ამ ტექსტთან, ვნახავთ, რომ ეს არის ტიპიური ნიმუში მთელი ტექსტის ფარგ-  
ლებში ნიკიტასეული ვრცელი კომენტარების ეფთვიმესეული პერიოდრაზირე-  
ბისა. ქართული ტექსტი მოცულობით უმეტეს შემთხვევაში ბერძნული ტექს-  
ტის მეოთხედია. როგორც ვხედავთ, ქართული ტექსტის აგტორს არ გაღმოაქვს  
ანტიკური მწერლობიდან მოხმობილი მაგალითები და მხოლოდ ქრისტიანულ  
ინტერპრეტაციას იძლევა. ასეა სხვა შემთხვევებშიც. მაგ., პლატონი მე-2 ტა-  
ების კომენტარში, სოკრატე, დიოგენე მე-11 და 21-ე ტაების კომენტარებში  
(„სწავლანი“, მუჯლი 12, 24). სოფოკლე, ოქმისტოკლე მე-15 და 22-ე ტაების  
კომენტარებში („სწავლანი“ 16,25) და სხვ. ცნობილია და სამეცნიერო ლიტე-  
რატურაში აღნიშვნულია ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის ეს  
დამახასიათებელი თავისებურება. მისი ანტიჭარმართული დამოყიდებულება  
სათარგმნ ტექსტში ანტიკური მწერლობიდან თუ მითოლოგიდან მოხმობილი  
ადგილებისადმი სხვადასხვანაირად გამოიხატებოდა ხოლმე — ენობრივი საშუა-  
ლებებით და ზოგიერთი სტილისტური ხერხით თუ ანტიჭარმართული ჩანარ-  
თებით ტექსტში ანდა წარმართული დღესასწაულებისა და ღთაებების დასა-  
ხელებისათვის თავის არიდებით და მათი ზოგადად მოხსენიებით. ასევე იქცევა  
იგიჩვენს შემთხვევაშიც. იგი ავლენს ანტიჭარმართული დამოყიდებულების კი-  
დევ ერთ ასეთ თავისებურებას — უბრალოდ, ტოვებს და დუმილით უვლის  
გვერდს იმ ადგილებს, სადაც ანტიკური ავტორებია მოხმობილი (რაც არ უნდა  
ქრისტიანობისათვის მისალებ და შესაფერის ჰეშმარიტებას შეიცავდეს მათი  
გამონათქვამები — შდრ. რომ. 1, 19), რის საშუალებასაც ამ კომენტარების  
გადმოლებისას მის მიერ გამოყენებული პერიფრაზირების (გარდათქმის და  
შემოკლების) მეთოდიც იძლეოდა.

საერთოდ, ეფთვიმეს პერიოდრაზი, როგორც ვნახავთ, უმეტეს შემთხვევაში  
იწყება თვითონ ლექსის ტაების ციტირებით (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა),  
რასაც მოსდევს მოყლე გამმარტებები, მაგრამ ზოგჯერ ლექსის ბერძნული ტე-  
ქსტისაგან განსხვავებული წაკითხვა ეფთვიმესთან ნიკიტასეული კომენტარის  
ტექსტიდანაა, მაგ., „დასაბამდ და ალასრულად ყოველთა საქმე ეთა შენთა  
(πράξεως) ღმერთი გაქუნდინ“ (1), „ოდეს მყუდროებით ხვდოდი ზღუას ა ა  
ამას შინა სოფლისას ა“ (ზალასუ მეს თბი ხასმის ეპისოდისას) (15.  
„სწავლანი“ 16); „წინამდლუარ იყავნ სიტყუად ღრ თი ის ა ა“ (ახვის კავ-  
ზეინ — 11. — „სწავლანი“ 12)<sup>7</sup>. თუმცა სხვა შემთხვევებში გვხვდება ეფთვი-

5 იბ. ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად  
მოაშანდა, გამოკვლევა და ლექსიონი დაურთო ც. ქურ ციკი ი გ მ, თბ., 1983, გვ. 053;  
თ. ოთხ მეზური, ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ახალი ქართული რედაქცია.  
მრავალთავი XII, თბ., 1986, გვ. 45—47; იმვე საშუალებებს და ჩანართებს გვხდებით გრიგოლ  
ნაზინწელის სადლესასწაულო სიტყვების ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანებში.

6 იბ. 6. მელი ქიშვი ღილი, რამდენიმე დაკვირვება ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ  
მცირის მთარგმნელობით მეთოდზე. მაცნე, ელს, 1987, № 4, გვ. 122—123.

7 აქ საყურადღებოა ერთი რა: როგორც ჩანს, ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილი  
ქეგლების ზოგიერთი თავისებურებანი (მეტობა, ტექსტისაგან გადახვევა, გადასხვაურება და

କ୍ଷେତ୍ରଫଳ, ରୂପାଲୀଙ୍କ ନିଜନୀ (ମା

თან ერთად ნიკიტას კომენტარებიცა, უფრო სწორად, ისეთი დედანია, სადაც ჯერ განსამარტავი ადგილა მოცემული (ამ შემთხვევაში ლექსის ტაპი) და შემდეგ მისი კომენტარი. სხვა ეს ნიკიტასეული კომენტარის ზემოთ დასახ. 1563 წ. გამოცემშიც. ეფთვიმეც კომენტირების ტრადიციულ ნიმუშს მისდევს: ტექსტი — კომენტარი, ტექსტი — კომენტარი. თუმცა „სწავლანში“ ყველა შემთხვევაში ერთმანეთისაგან გამოყოფილი არაა აზრობრივად დასრულებული ფრაზის სახით ტექსტი და მისი კომენტარი, არამედ ისინი ერთმანეთშია გადაზიდილი და შერწყმული.

ზოგერ ეფთვიმეს განმარტება ზოგი ტაქპის ნიკიტასეული ვრცელი განმარტების პირველ მეოთხედს მაინც თანხვდება ნაწილობრივ. ასეთია, მაგ., მე-2 ტაქპის კომენტარი („სწავლანი“ 2):

„ცხორებისა ამს [წარმავალისა] მოსაგებელთა და საფასეთა დღითი

დღე წარაგებდი გლოხაკთა ზედა და  
შირვეულთა, [მორწმუნეო], რათა გა-  
ქუნდეს საუნგე ცათა შინა წარუ-  
ვალი”.

Ὀρεόποι: βίου τὸ κέρδος ἐκβιούν  
καθ' ἡμέραν.

γοῦνθαρτύδας τὸ ἔκβιον, οἱ μὲν ἐπὶ τὸ ἀποπλευτεῖν ἔλασθν λέγοντες ὡς τὸ τοῦ βίου κέρδος οὐδὲν ἄλλο εστίν η τὸ σκωρπίζειν τοῦ ἀπόροις τὰ χρήματα, ἐπικόρπισε φῆσιν ἔδωκε τοις πένησιν ή δικαιούνη αὐτοῦ μένει εἰς τὸν αἰώνα.

მე-6 ტაეპის კომენტარი („სწავლანი“ 6):

„ითხოვდი შენ წყალობასა და  
სიტყბოებასა ღუთისასა, უკუეთუ შენ-  
ცა იყო მოწყალე და სახიერ მოყუასთა  
მიმართ“.

Ὀρθοί: ζήτει Θεοῦ σοι χρηστό-  
τητα χρηστός ὡν.

γανδάρηργος: θαρρόητως τὸ πα-  
ρὰ θεοῦ ζῆται συμπαθὲς, συμπαθεῖς  
ἡμῖς τυγχάνοντας. δ θεολόγος προ-  
ρέπεται καὶ χρηστότητι προκαλεῖσθαι  
χρηστότητα...

სევერა მე-3, 4, 5, 8, 9, 11, 15 ტაეპების განმარტებანი („სწავლანი“ 3, 4, 5, 8, 9, 12, 16).

სხვ.) ცუკელთვის არა გამოწვეული მხოლოდ მისი ცნობილი მთარგმნელობით თავისუფლებით და ბერძნულ დედანში ჩატვით, არამედ ზოგჯერ თავად ბერძნულ წყაროს თავისებურებებსაც ასახდეს (რაზედც ციტრებ მცირეც მიუთითებდა თავის ანდერბ-მინაწერებში, რომლებსაც ურთოვდა გრიგოლ ლოთიშებულის პომილიების მისეულ თარგმანებს). საგულისხმოა, რომ მსაგავრი ფარტები დასტურდება გრიგოლ ნაზარენოელს. საღდესაწულო პომილი-ების ქართული თარგმანების შესწავლისას (რაზედაც ცალკე გვენერა საუბარი). სა- გულისხმოა ერთი გარემოებაც: ამ ლექსის (ცერტაცების) ანონიმური თარგმანისა გან განსხვავდებით ეფუთეობეს თარგმანი უფრო ბუნებრივი ქართულითა შესრულებული, მაგრამ ზოგჯერ ანონიმისაგან განსხვავდებული და უფრო ბუნებრივი ქართულით შესრულებული წაყოთხების წყარი ნიკიტას ტექსტია, მაგ., მე-8 ტაპი და მისი კომენტარი: „ნუ განვარდე გონებითა“ (ანონიმი) — მუქ ფრეოუ ჰეთ (მე-8 ტაპი); „გულისწყრობასა და მრისანებასა აღვრ ასხნ“ („წწალანი“ 8) — თბი შესრ აρχόμενი.... ლიკიურ ხრათ (მე-8 ტაპის ნიკიტას უფლის კომენტარი).



ეფთვიმეს მიერ ნიკიტას პარაფრაზის ტექსტის გამოყენების ცალკეული დამადასტურებელი ფაქტებიც გვხვდება აქა-იქ (არა მარტო მისი დასაწყისძრის, არამედ შუა და ბოლო ნაწილებისაც), მაგ., 21-ე ტაქტის განმარტება („სწავლი“ 24):

„...დაცემასა სხვასა ნუ ეცინი, არამედ უფროსად თანამზრუნველ იყავ და ქელ-თუ-გეწილებოდის, შემწე ეყავ...“  
შე-5 ტაქტის კომ. („სწავლანი“ 5):  
„...იყენით მსგავს მისა...“  
(ღმრთისა — ქ. ბ.).

შდრ. სევე 22-ე ტაქტის განმარტების ბოლო ნაწილიც („სწავლანი“ 25), რომელიც ნიკიტას კომენტარის ბოლო ნაწილს იყენებს:

„... შური საქმე არს მტერისად, დასაბამი არს ცოდვათამ, პირველნა-შობი არს ეშმაკისა...“

... მუ გელასიკ პატმა τοῦ πέλας, διάβασε ḥε ἀσφαλῶς θητή δύναμις ..  
... μέλλει μιμεῖσθαι θεόν...

... οὐκ ἔστιν αἰσχος μέγα ψυχῆς (θεὸν ἀφεῖσαν) μιμεῖσθαι τὸν χα-ρακτῆρα τοῦ σατανᾶ βασκανίαν ἐν-τοῖς ἐπιφέρεσθαι.

ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ ჩანს, რომ ეფთვიმე იყენებს წყაროდ ნიკიტას ტექსტს, მის ცალკეულ ფრაზებს, მაგრამ მათი შინაარსის, მათში ნაგულისხმე-ვი აზრის მიხედვით თავისებურად ასხვაფერებს მათ და მოკლე თეოლოგიური განმარტების სახეს აძლევს, მაგ., მე-10 ტაქტის კომენტარი („სწავლანი“ 10):

„... რამთა სიტყუანი ცუდი და ... მუ ახანειν διαβολაკ... ე მანებელი და კანი უწესონი არა შევი- ახაუ ლόγον პასიონ...  
დოდინ გონებად შენდა...“

(რა თქმა უნდა, ყური არ უგდოს ეშმაკს კაცმა იმას ნიშნავს, რომ მავნებელი სიტყვების და აზრის მოსმენას ერიდოს მორწმუნე).

სევე მე-3 ტაქტის კომენტარი („სწავლანი“ 3):

„...წარემატებოდე ყოველთავე ზე- და მცნებათა ქრისტესთა...“

... εἰδέγας ἀπὸ ψιλῆς τῆς ἀκοῆς  
η καὶ θεωρίας μόνη...

(რასაკვირველია, ერთადერთი თეორია მართლმადიდებლისათვის ქრისტიანუ-ლი მცნებაა).

მე-11 ტაქტის კომენტარი („სწავლანი“ 12):

„... რამთა ვიძლოდის შენ (სან- თელი — ქ. ბ.) გზასა წრფელსა, მიმ- ყვანებელსა სავანეთა ჭეცისათა...“.

... εἰς φθᾶς καὶ αὐτὴν τὴν καλο- καγαθίαν προσήγαγε...

(რა თქმა უნდა, ნათლისყენ წარყვანება, ზეციურ სავანემდე მიმყვანებელ წრფელ გზაზე სიარულია. გზა წრფელი და გზა ნათლისკენ მიმავალი ერთი



და იგივეა ფსალმუნთა მიხედვით და ხშირად ენაცელება ერთძანეთს<sup>8</sup>. ამიტომ  
ამ აღვლას ეფთვიმეს თვითონ მოჰყავს შესაფერისი აღვილი ფსალმუნთაზე  
საკუთარი ინტერპრეტაციით — იხ. ქვემოთ ტექსტი.

ეფთვიმე ათონელის თარგმანებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი  
სტილისტური თავისებურება, როგორც ცნობილია, ჰენდიადისების და სინო-  
ნიმური წყვილების ხშირი გამოყენებაა<sup>9</sup>, რომელსაც იგი ბერძნული დედნი-  
საგან დამოუკიდებლად ქმნის (ანუ ერთი ბერძნული სიტყვა ქართულად ორი  
ან მეტი სიტყვით გადმოაქვს<sup>10</sup>). ჩვენს შემთხვევაში ეფთვიმეს თარგმანის ნი-  
კიტასეულ ტექსტზე დამოკიდებულებას ცხადყოფს ისიც, რომ ეფთვიმეს  
ჰენდიადისების, ანუ პლეონაზმების წყარო ზოგჯერ ბერძნული დედანია (უფ-  
რო სწორედ, ბერძნულ დედანშია მოცემული ორი მსგავსი მნიშვნელობის მქო-  
ნე სიტყვა, ზოგჯერ ერთმანეთისაგან დაშორებულადაც), იხ. მაგ., „მოსაგე-  
ბელთა და საფასეთა“ (τὸ κέρδος ... τὰ χρήματα — კომ. 2); „გლახაკთა ზედა და  
ჭირვეულთა“ (τοῖς ἀπόροις ... τοῖς πένησι — კომ. 2); „მდიდარი და ცოდვისმო-  
ყუარე“ (τῶν πλουσίων ... τῆς κακίας γίνεται μιμητής — კომ. 18. „სწავლანი“ 19);  
„გულისწყორმასა და მრისხნებასა აღვრ ასხენ“ — თბი ჭუმრი (+ ფასოს ტაქტი)  
ἀρχόμενον ... λογისმის არავთ — (კომ. 8).

ზოგჯერ პირიქით ხდება, დედნის სიტყვათა წყვილი არ გაღმოაქვს ეფთვი-  
მეს, მაგ., ხერავ ჰსτიν δ Πλούσιος δ ἐξ ἀδικίας καὶ παρανομέας ...  
... γενέμενος (უსამართლობისაგან და უშეულობისაგან) — „გარნა ფრიად  
უძრეს არსამდიდრე, ბოროტად მოგებული“ (კომ. 4).

ზოგჯერ კი ეფთვიმე დედნისაგან დამოუკიდებლად ქმნის ჰენდიადისებს,  
მაგ., ბεινό—ძნელ და საჭირო (კომ. 4); ზემად—ჯეროვან და სარგებელ (კ. გ. მ.  
13. „სწავლანი“ 14); φιλάνθρωπος—ქველისმოქმედება და კეთილის-ყოფა მოყუ-  
ბისა (კომ. 5); σიφრი—ბრძენთა და ღმრთისმოყუარეთა (ტაქტი და კომ. 18.  
„სწავლანი“ 19); πένεσθαι—სიგლახავე და ნაკლულეანება (ტაქტი და კომ. 4).

ზოგჯერ თითქოს ტაქტისა და კომენტარში ცალ-ცალკე მოცემული დასა-  
წყვილებელი სიტყვების შერწყმა ხდება ეფთვიმეს თარგმანში: ხრηστότეτა  
(ტაქტი 6), სუმაშენ (კომ. 6) — „წყალობა და სიტქბოება“ (სწავლანი“ 6);  
ხρηστός (ტაქტი 6), სუმაშენ წმინდა სუვარიანთა (კომ. 6) — „უკუეთ შენცა იყო მო-  
წყალე და სახიერ“ („სწავლანი“ 6)<sup>11</sup>. ასე რომ, ამ თარგმანების მიხედვითაც,  
ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდისათვის დამახასიათებელი ზოგი  
თავისებურება ბერძნულ დედანში მხოლოდ მისი ოთითნებური ჩარევით არ  
აიხსნება.

<sup>8</sup> შლრ. ქ. ბეზარ აშვილი, გრიგოლ ნაზიანშელის ერთი პინის ძველი ქართული  
თარგმნის ინტერპრეტაციისათვის, მაცნე, ელი, 1982, № 4, გვ. 68—79.

<sup>9</sup> იხ. ც. ჭურია კი ძე, ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული  
თარგმანი..., გვ. 63 და სხვ.

<sup>10</sup> ე. ჭელიძის მიხედვით, ეს საყოველთაოდ გაერცელებული რიტორიკული ხერხია —  
პლეონაზმი (ერთი აზრის გამოცემა ორი ან მეტი სიტყვით). იხ. ე. გ. ჭელიძე, გრუ-  
ziniskij perewod kosmogonicheskogo truda Grigoriya Nisskogo „Shestodniv“, Avtoreferat,  
Tb., 1986, c. 17.

<sup>11</sup> ნაცელად წყაროს წაკონტენის წმინდა ჩრის (ჩვენ) ეფთვიმესთან არის „შენცა“. კომენტარების  
დიალექტური შინაარსი იძლევა ამგვარი გადასხვაფერებს საშუალებას, რადგან აქ ზოგადი მი-  
მართვა ფულისხმება.

ცალკე უნდა შევეხოთ ეფთვიმე ათონელის მიერ ბიბლიური წყაროების გამოყენების საკითხს დედნის მიხედვით თუ მისგან დამოუკიდებლად. თუ ეფთვიმე ათონელი, როგორც ზემოთ ვნახეთ, თავს არიდებს ანტიური წყაროების დამოწმებას, სამაგიროდ უხვად მიმართავს ბიბლიის ციტირებას. აქ გამოყოფა რამდენიმე მომენტი:

ა) პერიფრაზირებისას ეფთვიმეს ზოგჯერ არ გადმოაქვს წყაროს რომელიმე ბიბლიური ციტატა, მაგ., დავითინიძან (კომ. 14. „სწავლანი“ 15; კომ. 24. „სწავლანი“ 100), იობის წიგნიდან (კომ. 16. „სწავლანი“ 17), სოლომონისაგან (კომ. 4,8), იოანედან, კათოლიკე ეპისტოლენიდან (კომ. 6), სამოციქულოდან (კომ. 3), ბავლენიდან (კომ. 5; კომ. 23. „სწავლანი“ 26), თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში (23/26) პავლე მოციქული არა დასახელებული ქართულ თარგმანში, თორებ შინაარსის მიხედვით აღნიშნული ადგილი ნიკიტა კომენტარების ტექსტთან ახლოა.

ბ) ეფთვიმეს თვითონ მოჰყავს დედნისაგან დამოუკიდებლად ბიბლიური წყაროები მათი ქართული თარგმანების შესაბამისად (სახარების ადგილები მისი თარგმანიდანაა), მაგ., მათე 7,2 (კომ. 6), მათე 11,29 (კომ. 8), ფსალმუნენი 50, 10 (კომ. 10), ფს. 136,8—9 (კომ. 19. „სწავლანი“ 20) — მხოლოდ ერთ ფრაზას ტოვებს. ზოგან ბიბლიური ციტატა ოდნავი ცვლილებითა მოცემული, მაგ. მათე 5,48 (კომ. 5), ზოგან — პერიფრაზირებულია: ფს. 24, 4—5; 85,11 (კომ. 11. „სწავლანი“ 12), ზოგან მინიშნებაა (რა თქმა უნდა, კომენტარის შინაარსიდან გამომდინარე) და არა ზუსტი ციტატა, მაგ., ლაზარესა და მდიდრის იგვი — ლუკა 16,19—25 (კომ. 4), ზოგან კიდევ თეოლოგიური განმარტებაა, მაგ., „ძალინე შე გალობად და სიხარული+საღმრთოო (ფს. 50, 10—კომ. 11).

გ) ეფთვიმეს ბიბლიური ციტატის წყარო ნიკიტას კომენტარია, მაგ., მე-10 ტაების კომენტარი („სწავლანი“ 11), სადაც ნიკიტაც და ეფთვიმეც ზუსტ ციტატის კი არ მიმართავნ, არამედ პერიფრაზირებას:

„...ვითარცა წერილ არს: ვაა მოცინართა, რამეთუ იგინი ტიროდინ...“ (შრ. ლ. 6,25: „ვაა თქუენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდით“).

ასევეა მე-13 ტაების კომენტარი („სწავლანი“ 14). აქ თვითონ ნიკიტას აქვს ნახსენები, რომ მოციქულის სიტყვის პერიფრაზირებას ახდენს:

„...რამეთუ იტყვს უფალი: „რომელი ითხოვდესო, მიეცეს და რომელი ეძიებდეს, განელოს...“ (შრ. მთ. 7, 8: „ყოველი, რომელი ითხოვდეს, მოილის; და რომელი ეძიებდეს, პოს; და რომელი ირეკლეს, განელოს“).

... ὁ δὲ Χριστὸς καὶ ταλανίζει τοὺς γελῶντας λέγων: οὐαὶ οἱ γελῶντες, διτι πενθήσονται καὶ κλαύσονται... (შრ.Λ. 6. 25. οὐαὶ ὑμῖν, οἱ γελῶντες νῦν, διτι πενθήσετε καὶ κλαύσετε).

Οἵμι: τὸ ἀποστολικὸν ἐκεῖνο ῥητὸν παραφράζει τὸ διδάσκαλον τὸ, πάντα δοκιμάζοντες τὸ καλόν κατέχετε... (შრ. მთ. 7,8. πας γὰρ ὁ αἰτῶν λαμβάνει, καὶ ὁ ζητῶν εὑρίσκει, καὶ τῷ αριστερᾷ ἀγοργήσεται).

მე-14 ტაების ნიკიტასეულ კომენტარში („სწავლანი“ 15) საუბარია ქრისტეს (აქედან გამომდინარე, მოყვასის) შეწყალებაზე. ეფთვიმეს თარგმანის შესაბამის ადგილას მოყვანილია ადგილი მათეს სახარებიდან — ქრისტეს სიტყვები (მთ. 25,35) პერიფრაზირებით:



.... ოათა უირს ექმნე სმენად კოისა მის სანატერლისა: „უცხო ვიყავ და შემწყნარე მე, მშიერ ვიყავ და გამომზარდე“ და შემდგომ ამისა“.

ასევე პერიფრაზირებული და ვაღასხვაფერებულია ნიკიტას ტექსტიც და შესაბამისად სახარების სიტყვებიც (მთ. 6, 14—15, 10,40 და სხვ.) თავისებური ინტერპრეტაციითაა მოცემული 21-ე ტაეპის კომენტარში („სწავლანი“ 24):

.... შემწე ეყავ ალდგინებად და-ცემულისა მის, გინათუ სულიერი იყოს დაცემად, გინათუ ჰორციელი ჭირვე-ულობად, ნუგეშინის-მცემელ ექმნე, რა-მთა შენცა ნუგეშინის-გცეს უფალმან“.

23-ე ტაეპის კომენტარში ნიკიტა იძლევა დავითნის ერთი ადგილის (ფს. 50, 19) პერიფრაზირებას. იგი ამბობს, რომ წინასწარმეტყველი ასე ვანგარ-ტავსო და მოჰყავს შესაბამისი ადგილი. ეფთვიმე ათონელის თარგმანში შე-საბამის ადგილს („სწავლანი“ 26) მოცემული ზუსტი ციტაცია ფსალმუნთა ძეელი ქართული თარგმანიდან (ფს. 50, 19):

„...ლოცვად ლომიბიერი სულსა მას გულისჯისყოთ მლოცველისა მსხუერპლ ღმრთისა ჰყოფს, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „მსხუერპლ ღმრთისა არს სული მდაბალი, გული წმიდან და სული მდაბალი ღმერმანნ არა შეურაცხ-ყოს“ (შდრ. ფსალმუნის ძეელი ქართული რედაქციები, მ. შა-ნიძის ვამოც., თბ., 1960, გვ. 131). //

ჩაც შეეხება „სწავლანის“ ბოლო მე-100 მუხლს (24-ე ტაეპის ვანგარ-ტება), უნდა ვთქვათ, რომ მას ნიკიტას ტექსტთან შედარებით უფრო მეტი საერთო ექვს იმ სენტენციების კრებულის დამსარულებელ მუხლთან, რომე-ლიც გრიგოლის პომილიებიდან ამოკრეფილი ნაწყვეტებით არის შედგენილი და რომლის პირველი მუხლი სწორედ ჩვენი ლექსის პირველი ტაეპი იწყე-ბა<sup>12</sup>. ამ ბოლო მუხლის (გრიგოლის 21-ე პომილის ნაწყვეტი) დასასრულს ახლვე ტრადიციული ფორმულირება (ასეთი ტრადიციული დასასრული ნი-კიტას აღნიშნულ კომენტარებს 1563 წ. გამოცემაში არ გააჩნია, ნიკიტას მიერ კომენტირებულ გრიგოლის სხვა ლექსებს კი აქვს ე. დრონქეს გამოცე-მაში სხვადასხვა ნიუანსური განსხვავებებით). „სწავლანის“ დასასრული და აღნიშნული სენტენციების კრებულის დასასრული ამ ნიუანსური თავისებუ-რებებით თითქოს უფრო თანხვდებიან ერთმანეთს:

... καὶ τοι γε οὐκ ζῆσαι ἀπόθεται  
Χριστὸν ὑποδέχεται. ἡμεῖς δὲ σαφῶς  
οἰδαμεν, ὅτι τὸν Χριστὸν ὑποδέχό-  
μεθα...

... καὶ τὴν ἐναγτίαν βιούλησαν  
ἀπιδεχομένων...

... θυσία γὰρ ἐστι τῷ Θεῷ  
πνεῦμα συντετριψμένον. τι δὲ  
ἐστι τὸ συντετριψμένον, αὐτὸς ἡμῖν δ  
προφήτης ἡρμηνεύει. καρδίαν  
γὰρ φησι: συντετριψμένην δὲ θεὸς οὐκ  
ἔξουσινέωσι: (შდრ. ფს. 50, 19: Θυ-  
σία τῷ Θεῷ πνεῦμα συντετριψμένον.  
καρδίαν συντετριψμένην καὶ τεταπει-  
ωμένην δὲ θεὸς οὐκ ᔁξουσινέωσῃ).

<sup>12</sup> Sententiae et regulae vitae ex Gregorii Nazianzeni scriptis collectae. Eiusdem lambi aliquot, nunc primum in lucem editi per Ioannem Sambucum Pannonium. Antver-piae, 1568, p. 72.



„...მაღლითა და მოწყვალებითა და  
კაცომუყარებითა უფლისა ჩეუნხისა  
იესუ ქრისტესითა, რომელსა შუენის  
ყოველივე დიდებად და პატივი და თა-  
უანის — ცემად თანადაუსაბამოეთ მა-  
მით და ყოვლად წმიდით სახიეროით  
და ცხოველსმყოფელით სულითურთ აწ  
და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.  
ამნა“.

... ἐν πατρὶ καὶ οὖσ καὶ ἀγένθητο εἰπεῖν  
πγεύματα... ἐν αὐτῷ Χριστῷ τῷ χριστῷ  
ἡμῶν, ὁ πᾶσα δόξα, τιμὴ καὶ κράτος  
εἰς τοὺς εἰργαζε, ἀμήν.

აქ უკვე დგება მთელი „სწავლანის“ შედეგენილობისა და წარმომავლობის საკითხი. როგორც ვთქვით, ძევლ ვამოცემებს შორის მივაკვლიერ ზემოთ ონიშნული სენტენციების კრებულს, რომელიც „ძევლი ნაწერების“ მიხედვით არის გამოცემული<sup>13</sup>, ე. ი. სასახელი რომელიდაც ბერძნულ ხელნაწერთა ტრადიციის. იგი შედგება 24 თავისაგან, რომლებიც, თავის მხრივ, ქვეთავებად იყოფიან<sup>14</sup> (სულ 200-ზე მეტი მუხლი გამოდის) და დაყოფილია თემატური სათაურებით იმისდა მიხედვით, თუ ესა თუ ის მუხლი რა საკითხს ეხება (მაგ. სათნოებისა და სიქელასათვის და სხვ), თოთოეულ მუხლს ახლავს მითითება წყაროზე, თუ გრიგოლის რომელი თხზულებიდანაა იგი, მაგ., პირველი თავის საერთო სათაურია Περὶ τοῦ δεῖν αἱ μεμνήσις: Θεόν (მასზედ, რომ მარად წავიროს ომერთის სსოვნა), რომელსაც მოსდევს სათაური და პირველი ტაეპი საკვლევი ლექსისა (მხოლოდ კომენტარის გარეშე): ოს თუ ახრასთავის თან ახ. (24) στοιχίων: Ἡ Αρχὴ ἀπάντων καὶ τέλος ποιῶν Θεόν. შემდეგ მოყვანილია შესაბამისი აღვილები or.2 და 27-დან. დანარჩენი თავები და მუხლები მხოლოდ გრიგოლის ჰომილიებიდანაა. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ეფთვიმე ათონელის „სწავლანის“ წყარო მსგავსი სახის სენტენციების კრებული უნდა იყოს, რომელიც ნიკიტას კომენტირებულ ერთტანებებსაც შეიცავდა, ანდა ეფთვიმე თვითონ გამოიყენა წყაროდ ირივა — ნიკიტას კომენტარებიც და გრიგოლის ჰომილიებიდან გამოკრებილი სენტენციების კრებულიც.

ერთოვეცელის ქანმარტებებში „სწავლანში“ ჩართულია გაურკვეველი წარმომავლობის მუხლები (21, 22). 21-ე მუხლში მოცემულია ბაბილონის განმარტება. ბაბილონის განმარტებას ვხვდებით გრიგოლის ლექსების კოზმა იერუსალიმელის კომენტარებში<sup>15</sup>, მაგრამ თვით არ თანხმდება აღნიშნულ მუხლს. რაც შეეხება „სწავლანის“ სხვა მუხლებს, ზოგი მთავანი უნდა შეიცავდეს გრიგოლის სხვა გნომური ლექსების — ორტაცედების და ოთხტაცედების (PG 37, carm I, 2, p. 31, p. 32, p. 33) ნიკიტმეულ, ან შესაბლოა სხვა ავტორთა კომენტარებსაც<sup>16</sup>. აქა-იჩ აომოჩნდა ამ ლექსებთან შინაარსობ-

13 0130, 33. 5.

<sup>14</sup> Όφελος οίδη (εζ. 11) μονηλιού σε διαδεδομένη διάσταση κρήπου λοιπόν σε αυτούς τους: Συναγωγή χρήσεων από διαφόρων λόγων τους ἐν ἀγίοις πατρός ήμιλν Γρηγορίου του Θεολόγου. ἐν αἷς κείται κεφάλαια τόν ἀριθμόν καὶ ἐν οἷς καὶ ὑποκεφάλαια.

<sup>15</sup> G. P. Migne, Patrologia Graeca, t. 38, Paris, 1862, col. 345.

<sup>16</sup> Μάργ., Athen 1500-30 (σ. XIX) γραμματά μεταγεγέρευτα I.2, π. 30, 33 και epit. 119-ας γενέμετρηδα διατίθεται σερινόνομος Σωκράτης (E. Lefherz, αριθμ. 22, 196).

რივად მსგავსი აღვილები, მაგრამ „სწორის“ მუხლები მხოლოდ ზოგადი შენარჩისთ თანხვდება ნიკიტას კომენტარებს და არ იმეორებს მას. პატივით ისეთი შთაბეჭდილება, რომ „სწავლანის“ ეს მუხლები წარმოადგენერ დამუკადებელ კომენტარებს გრიგოლის იმავე ლექსების ქვემოთ მითითებული სტრაფებისას. არის ისეთი შემთხვევებიც, „სწავლანში“, როცა მისი რამდენიმე მუხლი ერთმანეთს ემთხვევა შინაარსობრივად, მაგ., 62/87, 49/64, 16/52. ამიტომ საჭირო იყო ამ მუხლების დედნების სხვა კომენტატორებთან ძიება. საშეკრიბო ლიტერატურაში, გარდა ნიკიტა პაფლალონელისა, ცნობილია გრიგოლ ნიზაიანზელის ენომური ლექსების, კერძოდ, ოთხტავებების კიდევ რამდენიმე კომენტატორი: კოშმა იერუსალიმელი (VIII ს.), იოანე ზონარა (XII ს.), ნიკოლაოს დოქტორატრისი (XII ს.). გარდა ამისა, სხვა ლექსების კომენტარები აქვთ მაქსიმე ალმასრულებელს (VI—VII სს.), ეფთვიმიუს ზიღაბენოს (XII ს.), თეოდორე ბალზამონს (XII სს.). არაან უფრო გვაიანდელი კომენტატორებიც (XVII—XVIII სს.)<sup>17</sup>. მაგრამ დასახ. კომენტატორები, გარდა კოშმა იერუსალიმელისა და მაქსიმესი (რომელთა კომენტარები „სწავლანში“ არ დასტურდება), XII საუკუნეზე აღზინდელი არ არაან, ამიტომ ეფთვიმე ათონელი მათ კომენტარებს ვერ გამოიყენებდა. „სწავლანის“ დედანი არ აღმოჩნდა გრიგოლ ნიზაიანზელის პოეზიის კომენტატორთა შორის დასახელებულ კრებულებში<sup>18</sup>. გარდა ამისა, დაუდგენელია და გამოუცემელი თვალი ნიკიტას კომენტარების ზუსტი სია<sup>19</sup>. „სწავლანს“ უნდა აჩნდეს ეფთვიმე ათონელის ლიტერატურული გადამუშავების კვალიც. როგორც ცნობილია, ეფთვიმეს ხელეწიფებოდა კლება-შემატებაც და რამდენიმე თხზულების გა-

<sup>17</sup> K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur, II, München, 1897, s. 679—680. Clavis Patrum Graecorum... v. II, p. 194 sqq. F. Lefherz, Studien zu Gregor von Nazianz..., s. 149—199.

<sup>18</sup> F. Lefherz, Studien zu Gregor von Nazianz..., s. 160—179. ob. ოგრძოვა Clavis Patrum Graecorum..., II, p. 194. J. Sajdak, De codicibus graecis in Monte Casino, Cracoviae, 1912, p. 57—69 (Glossarium in Gregorii Nazianzeni carmina, s. X). Th. Gaisford, Catalogus sine notitia manuscriptorum, p. I, Oxonii, 1812, p. 25—56 (Scholia Clarkiana, s. VIII—IX). R. Devreese, Codices Vaticani Graeci, t. II, Roma, 1937, p. 301—304 (cod. 488 initia paraphrasum editarum Nicetae Davidi) ob. ოგრძოვა ანონიმური პარაფრაზები: L. Muratori, Anecdot a Graeca, Patavii, 1709, p. 208—210. A. M. Bandini, Catalogus codicum mss. Bibliothecae Mediceo—Lauren tianae, I, Florentiae, 1764, p. 261.

<sup>19</sup> Clavis... II, p. 195 (Scholia Nicetae Davidis in carmina Gregorii Nazianzeni). Хр. Лопарев, Житие св. Евдокима: Известия русского археологического института в Константинополе, т. XIII, София, 1908, с. 171, 173—174; Хр. Лопарев, Никита — Давид Пафлагонянин. Византийский временнник, 19 (1912), с. 148; K. Krummbacher, Geschichte der byzantinischen Literatur... II, s. 167, 168. ၊ მხრივ აღნიშნული არაფერს ამბობს უახლესი სამეცნიერო ლიტერატურაც: H. G. Beck, Kirche und theologische Literatur im byzantinische Reich, Münich, 1959, s. 548—549. The Encomium of Gregory Nazianzen by Nicetas the Paphlagonian, ed. by J. J. Rizzo, Bruxelles, 1976 (SH 58), p. 7. R. S. H. Jenkins. A note on Nicetas David Pophlago and the Vita Ignatii: Dumbarton Oaks Papers, 19, 1965, Washington, p. 241. Vita Euthymii Patriarchae. Text, translation, introduction and commentary by Patricia Karlin—Hayer, Bruxelles, 1970 (Bibliotheque de Byzantion 3), 217—219. F. Trisoglio, Mentalita ed atteggiamenti degli scolasti di fronte agli scritti di S. Gr. Nazianzo; Studien zur Geschichte und Kultur des Altertums, N. F. Bd. 2. 1983, 320—324 (II Symposium Nazianzenum, Louvain, 1981).

ერთიანებაც<sup>20</sup>. ამ მეთოდმა ერთტაპედის კომენტარების თანმიმდევრობაშიც იჩინა თავი „სწავლანში“, სადაც ერთტაპედის კომენტარების შემცველ მუხლებს შორის 21—25-ე უცნობი შინაარსის მუხლებია ჩასმული, ხოლო ერთტაპედის ბოლო ტაქტის კომენტარი შე-100 მუხლადაა გადატანილი „სწავლანის“ ბოლოში. როგორც ჩანს, ეფთვიმე თონელმა ერთტაპედის კომენტარები, რომელთა თანმიმდევრობაც ასე თუ ისე დაცულია „სწავლანში“, გააერთიანა სხვა კომენტარებთან და შექმნა კომპილაციური ნაშრომი. ამავე თხზულებაში მოყვანილია სენტენციები გრიგოლის ჰომილიებიდანაც. ამ მხრივ „სწავლანი“ კიდევ მოითხოვს შესწავლას. წყაროების შერჩევა-დაღაგების მიხედვით იგი, შესძლოა, ეფთვიმეს ორიგინალური ნაწარმოებიც იყოს, თუმცა ქართული ხელნაწერების სათაურში იყითხება „თარგმნილი ეფთვმენი“, რაც იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ ბერძნულადაც უნდა არსებულიყო ასეთი შედგენილობის თხზულება (იხ. ზემოთ. იხ. აგრეთვე შეშ. 30) ან გრიგოლის თხზულებების ეფთვიმესული თარგმანებიდან უნდა უოფილყო ეს მუხლები გამოკრებილი, ანდა, შეიძლება, ერთიც იგულისხმება და შეორეც. „სწავლანის“ უნდა აჩნდეს ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდის კვალიც. გარდა ამისა, ძველ მწერლობაში (ბერძნულშიც და ქართულშიც) გავრცელებული იყო სხვადასხვა ავტორთა შეგონებების ასეულებად გაერთიანება. ასეთია ეფთვიმესვე თარგმნილი და ალბათ მისივე შედგენილი ბასილი კესარიელის (უფრო „ითაკიდან“ გამოკრებილი) და მაქსიმე აღმასარებლის „სწავლანი“, რომლებიც ზოგვერ გრიგოლ ნაზიანშელის „სწავლასთან“ ერთადაა მოთავსებული (A 224, H 1248, S 77, S 127, ქუთ. 341, ც/არქ. 247)<sup>21</sup>. გარდა ამისა, ერთტაპედის კომენტარები „სწავლანში“, როგორც ვნახეთ, თავად ეფთვიმეს ინტერპრეტაცითა წარმოდგენილი და მოკლე პერიფრაზს წარმოდგენს ბერძნული კომენტარისას (შდრ. ბერძნულ-ქართული კომენტართა მოცულობა: 1563 წ. გამოც. ქ. 41r—51v. S 1696, 149v—150r). „სწავლანის“ დასახელებულ მუხლთა დასაწყისში წარმოდგენილ ერთტაპედის თარგმანში იგი მისოფლის დამახასიათებელი მეთოდით თავისუფლად ამატებს სიტყვებს განმარტებისათვის, ქმნის ჰერიტაჟისებს და სხვ. (ამისი მაგალითი გვაქვს ოთხტაპედის ნიკიტაშვილი კომენტარის ანონიმურ ქართულ ვერსიაშიც—მრავალთავი XVII). ამავე პრინციპით უნდა იყოს შედგენილი „სწავლანის“ სხვა მუხლებიც. წარმოვადგენთ ზოგიერთ მათგანს:

50-ე მუხლი თოთქოს იმეორებს ორტაპედის (I, 2, ქ. 31) 51—52 ტაპედა აზრს, მაგრამ ზუსტად არ თანხვდება მის ნიკიტაშეულ კომენტარს:

ოქრო გამოიცდება ბრძმედით, ხოლო სათნო ადამიანი — ტანჯვით...

20 ეფრემ მცირის ეს შენიშვნა ეფთვიმეს თარგმანთა შესწავლით ცხადყოფილია კ. კაკელიძისა და სხვა ქართველ მეცნიერთა მიერ.

21 სასულირ შინაარსის ბრძნული სენტენციების პირველი დამამკვიდრებელის ევაგრე პონტოელის (IV ს.) კრებულის „მონაშონი“ პირველი ნაშილიც 100 თვეისაგნ შედგება. იხ. ს. მ ა ხ ა რ ა შ ე ი ლ ი, ევაგრე პონტოელის ცხოვრება-მოღვაწეობა და მის თხზულებათა ქართული თარგმანი. ძველი ქართული მწერლობის მატანე, 1, თბ., 1984, გვ. 10—11. ამის შესახებ იხ. აგრეთვე ე. ნ ი კ რ ლ ა ჭ ე, დასა. წიგნ, გვ. 26—27. კ. კ ე კ ლ ი ქ, შენიშვნები ე. ნიკოლაძის დისერტაციაზე (შეშ. 7), ეტოულები XIV, თბ., 1986, გვ. 159.

„...ბრძნთა უკუ კაცთა არს  
საქმე ესე, რათა განისწავლებოდინ  
განსაცდელთა მიერ და ვითარცა ოქ-  
რო, ცეცხლითა გამოიხურვებოდინ...“  
(S—1696, 153v).

... πυρὶ μὲν καὶ χωνευτῆριψ τὸν  
χρυσὸν δαμάζεσθαι μεμαθήκαμεν καὶ  
δοκιμάζεσθαι. ἀνδρα δὲ ἀγαθὸν τοῖς  
ἄλγεσιν θέμεν καὶ πόνοις ταπεινοῦσ-  
θαι .. (E. Dronke, S. Gregorii Na-  
zianzeni carmina... p. 129).

შდრ. გრიგოლის ჰომილის „გლახაკთმოწყალებისათვს“ (ორ. 14) ეფთვი-  
მესეული თარგმანი: „... ოქროს ბრძნელსა შინა საჯუმილითა მით განსაცდელ-  
თათა გამოიკურვოს...“ A 92, 134r—v. ხრისტი ეს ასამიψ ბიბლიაშვილის... or  
XIV, 30. შდრ. აგრესუ სიბრძნე სოლ. 3, 6<sup>22</sup>.

62/87 მუხლი შინაარსობრივად თანხვდება ოთხტავებედის (I, 2, p. 33).  
33—36-ე ტაქტებს: სავაჭროდ მიზნიე ამქვეყნიური ცხოვრება. თუ დაიწყებ  
გვჭრობას, დაგრჩება მოგება, ნაცვლად მცირისა — დიდი და წარმავლისა —  
შარადიული. თუ ამას გაუშვებ, სხვა ღრო აღარ გექნება.

62. „ენინ ოდენდა და  
სოფელი ესე მოაკლ-  
დების და წარქვდების  
და სავაჭრო აქრბე-  
ბის, მოვიგაჭროთ უამი  
ესე დაუდგრომელითა  
ამით და წარმავალი-  
თა საუკუნო ივი და  
წარუვალი მოვიყი-  
დოთ...“ (S 1696,  
155r).

87. „ვიღრეღა სავაჭ-  
როს ესე დგას, მოვი-  
ვაჭროთ, მმანო, ცხო-  
რებამ საუკუნო მო-  
ლუაწებითა და ქველის  
საქმითა მოვიგოთ სა-  
სუფეველი ცათად.  
ძნელ არს უკუ სა-  
ვაჭრო აქრბეს და მა-  
შინდა ვეძიებდეთ ვა-  
ჭრობასა...“ (S 1696,  
155r).

... ἐν τινι πανηγύρει τῷδε  
τῷ βίῳ ποιεῖσθαι, κέ-  
ρδος ἐντεῦθεν καὶ πλ-  
οῦτος σοι προέσται, τού-  
ναντίου δὲ κακῶς μετιόν-  
τι τὴν πανήγυριν ζημία  
καὶ πτωχεία. πῶς οὖν  
πραγματευσῃ καλῶς;  
εἰπερ μεγάλα καὶ  
օδρανία τῶν μικρῶν καὶ  
γηῖνων ἀνταλλάξῃ...  
(E. Dronke, p. 140).

ასეთსავე მიმართებაშია 61-ე მუხლი და ოთხტავებედის 25—28 ტაქტები:  
საუკეთესო ძლვენი ღვთისათვის არის კეთილი ხსიათი...

„ესე ძლუენი არს სათნო ღმრთისა, ... ბრძოს ესა: Θεῷ κάλλιστον καὶ  
ესე ძლუენი არს გამოუტემელთა მათ ნიკ-  
თა ღმრთისათა მომეტდებელი...“ (S—  
1696, 155r).

.. ბრძოს ესა: Θεῷ κάλλιστον καὶ  
ესე ძლუენი არს გამოუტემელთა მათ ნიკ-  
თა ღმრთისათა მომეტდებელი... (E. Dronke., p. 138).

იგივე შეიძლება ითქვას „სწავლანის“ 72-ე მუხლისა და ოთხტავებედის  
25—28 და 29—32 ტაქტებზე, საღაც მოცემულია სწავლა-დარიგება: აზაფერი  
აზ უნდა აღუთვა ღმერთს, რადგან ის ღვთისა, სანამ შენ მიერ მიიღებოდეს.  
„სწავლანი“ 72: „...არარას მისცემ შენსა, არამედ ყოველივე ღმრთისა არს  
და ივი არს ჭეშმარიტად შენი, რომელ-რად ღმერთსა მისცე“ (S 169, 156v).  
მსგავსი ნიმუშები შეიძლება კიდევ დაიძებნოს და პარალელები იქნას გავ-

22 შდრ. გამოცხ. 3, 18.

ლებული გრიგოლ ნაზიანზელის სხვა ლექსთა შორისაც, მაგ. 27-ე და 52-ე მუხლში საუბარია გონების თვალთა ზენას მყოფელისა ეკვივარდა შდრ. carm. I, 2, n. 31, ტაქტები 57—62; შდრ. carm. I, 2, n. 7; II, 1, n. 31, col. 984; II, 1, n. 45, col. 1356; II, 1, n. 1. col. 1006. ასევე შეიძლება და-ვუკავშიროთ 73-ე მუხლი (S 1696, 156v) ოთხტაქებედის 121—124 ტაქტებს, სადაც საუბარია გლახაკომოვარეობაზე და მოწყალების გაღებით ცხონე-ბაზე (შდრ. or. 14). ასევე შეიძლება დავუკავშიროთ ერთმანეთს შინაარსის მიხედვით „სწავლანის“ 84-ე და 86-ე მუხლები (S 1696, 158v, 159r), სადაც საუბარია, თუ რაგარი მოღვაწეობა შეშვენის ჭაბუქს (84) და რაგარი — მოხუცს (86), ორივე კი (შდრ. 75-ე მუხლი) დავუკავშიროთ ოთხტაქებედის 225—226 ტაქტებს, სადაც ჭაბუქისა და მოხუცის დაპირისპირებაზეა საუბარი („ხენეშ ჭაბუქი, უუძლურეს ბერთა, ეგრეთვე ბერი, უსულელესი ჭაბუქთაც“)<sup>23</sup>. შდრ. or. XLII, 22: „რამეთუ უშუერ ას ბერთა ყრმათა თანა მღერაა“. შდრ. აგრეთვე Ovidius, Amores, I, 9, ტაქტი 3—4).

ცხადია, ასეთი მიახლოებითი ძიებით შეიძლება „სწავლანის“ სხვა მუხ-ლებსაც დაექცებნოს უამრავი აზრობრივი პარალელი გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიაშიც და პროზაშიც და ზოგჯერ სხვა ავტორებთან, რადგან მოარულ ქრისტიანულ სენტენიცებთან გვაქვს საქმე (ზოგი სენტენცია, როგორც ენა-ნეთ, შეიძლება არაქრისტიანულ სამყაროშიც იყოს გვარულებული), მაგ. ძუხლი 46: „...ვპეპარებიდეთ სახიერებასა მას მეუფისასა, რომელ-იგი აღმო-უბრწყინვებს მზესა კეთილთა და ბოროტთა და ზრდის წვმითა ყოველთავე სწორებით...“ (S 1696, 153r). შდრ. c. II, 1, p. 1—col. 985, აგრეთვე შდრ, ეფთვიმესეული თარგმნები გრიგოლის ჰომილიებისა: or. 19. P—3, 20v; or. XIV, 25. A 92, 127v. შდრ. გამოკრებილი სენტენცია გრიგოლ ლოთისმეტყვე-ლის თხულებათაგან (S 63, 51v). შდრ. აგრეთვე იოანე სინელის „კლემაქსი“ (თ. 22, 25)<sup>24</sup>. იხ. აგრეთვე მათე 5, 45.

ასევე მსგავსია ზღვის ღელვისა და ნავდანთქმულების სახეები ამქვეყნიურ ცხოვრებასთან შედარებისას. შდრ. „სწავლანის“ მუხლები: 16, 49, 52, 64 და or. XIV, 28. A 92, 131v და სხვ<sup>25</sup>. ასევე „სწავლანის“ 98-ე მუხლში (S 383, 319v—320r) საუბარია სამებაზე და ერთარსებაზე (ერთარსება ღმერთი სამ ნათებში — შდრ. carm. I, 1, n. 3, col. 403, 414—415. or. 31 და სხვ.), რადაც შეიძლება უამრავი პარალელი დაექცებნოს გრიგოლის როგორც პოეზიაში,

23 ეს იმდენად საყველათოდ გვარულებული სენტენცია, რომ გვხვდება არაქრისტიანულ ძეგლშიც, მაგ., „კისირმიანში“ (მოსალოდნელია სხვაგანაც იყო). სპასულ დე-დანში იყოთხება: „ყმაწვილობის მოჩემე ყოველ ბერიაცს წუთისოფელი მიაგებს შერტენისა და თავის მოჭრას“, ქართულშია: „ყრმისათვის ყრმა თქმულა და ბერისათვის — ბერი“, რასაც ნ. ბარათაშვილის ერთი სტროფის წყაროდ მიიჩნევთ: „სასაცილოა, ბერიაცი რომ ყმა-წვილობდეს//და საბრალოა, რომ ჭაბუქი ბერიაცოდნდეს“ — „ჩემთ მეგობართ“ (ა. ბარა-თაშვილი, ნაკეთები ქართული ლოტერატურის ისტორიიდან III, თბ., 1952, გვ. 378).

24. ლიტსისა მამისა ჩუენისა იოანე სინა-მთის მამასახლისისა „კლემაქსი“, ფოთი, 1902, გვ. 249, 283.

25 ეს სახეები განსაკუთრებითა გავრცელებული გრიგოლისა და სხვა კაპალიკელების შემოქმედებაში და საგანგებოდაა შესწავლილი: П. А. Миллер, Образы моря в письмах киппадокийцев и Иоанна Златоуста (Опыт сопоставительного анализа): Античность и современность, M., 1972, с. 316—367. R. Freise, Zur Metaphorik der Seefahrt in den Gedichten Gregors von Nazianz. II Symposium Nazianzenum... s. 159—163. B. Lorenz, Zur Seefahrt des Lebens in den Gedichten des Gregor von Nazianz. Vigiliae Christianae, XXX, Amsterdam, 1979, 234—241.

სე პროგნოსი<sup>26</sup>, მით უმეტეს, რომ „სწავლანის“ ამ მუხლში ნათქვამია: ადგილობრივი  
არებთ სამებასა სამეცნიერებლით შეურჩენელსა და ერთასებასა ერთ ღმრთე-  
ებით და ერთითა ბუნებითა განუყოფელსა, ვით არ ცა შრავალგზის  
ამის ჯერის ათვს ღმრთის მეტყველებით გვთქვამს და ვრცლად აღვენების და აწერ გამცნებ, მართლმოწმუნენო, წესსა ზედა ჭეშ-  
მარიტებისა მტკიცედ ყოფად...“ (იქვე).

აქვე უნდა ითქვას, რომ გრიგოლის „სწავლანის“ სახელით ქართულ ხელ-  
ნაწერთა შორის მოთავსებულია რამდენიმე თხზულება, რაც წარმოადგენს  
ხაშვეტებს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათაგან, თუ მათ კომენტარ-  
თაგან, მაგ., H 1737 (211 v)<sup>27</sup>. არსებობს თავად ეფთვიმეს „სწავლანიდან“ გა-  
მოკრებილი „სწავლანები“, მაგ. A 75 (282v—289v), რომელიც იწყება ეფთვი-  
მესეული შე-19 მუხლით (I, 2, 30 კომენტარით). ქართულ ხელნაწერთა შორის  
(S 63, A 67 და სხვ.) ცალკე არსებობს ე. წ. „გამოკრებილი სწავლანი“, რომ-  
ლებიც თავისი შედგენილობით უნდა წარმოადგენდნენ ე. წ. ასკეტიკურ კა-  
ტენებს<sup>28</sup> და რომელმციც წმინდა წერილის და სასულიერო მშერლების გა-  
მონათქვამებს შორის მოთავსებულია გრიგოლ ღვთისმეტყველის გამონათქვა-  
მებიც, ამოკრეფილი მისი თხზულებებიდან<sup>29</sup>. ზოგიერთ ხელნაწერში სრუ-  
ლიად ცალკეა მოთავსებული გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებიდან ამო-  
კრეფილი ციტატები (A 57 და სხვ.).

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ „სწავლანის“ ყველა მუხლის დედანი  
ჯერხერობით მიგნებული და დაძებნილი არ არის და მასში გრიგოლის პრო-

26 სხვათა შორის, ნათლის წყაროთა სიმბოლიკა სამების ღოვმეტში და ნათლით შემო-  
სილი პირდაპირი გზა სიყვითასენ აყალ. შ. ნუცებიძის ორი არგვენტთაგანი, პეტრე იმე-  
რისა და ფსევდო-დიონის არეპაგლის იდენტურობის დამატებიცებელი (იხ. შ. ნუცე ბ-ი-  
ძე, შრომები, V, თბ., 1975, გვ. 152, 156, 284), მაგრამ გვხვდება გრიგოლის შემოქმედებაშიც  
(პოეზიაშიც და პროზაშიც) და სხვაგანაც (შრ. ქ. ბ-ი ზ. ა რ. ა შ. ვ. ი ლ. ი, გრიგოლ ნაზარე-  
ლის პოეზიის სახისმეტყველება, თუ შრომები 261 (ლატერატურათმცოდნეობა), 1986, გვ.  
137).

27 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, IV, თბ.,  
1950, გვ. 167.

28 K. Krum bacher, Geschichte..., I, s. 216—217.

29 არსებობს მოსახრება, რომ ეს „სიტყუანი და სწავლანი სამეცნიერონი“ ორიგინა-  
ლური ქრისტიანული წარმოშობისაა, ამოკრეფილი სხვადასხვა ჭრობის (განსაკუთრებით,  
გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდის, იოანე ოქროპირის, იოანე სინელის და სხვ.),  
ასკეტიკურ-პომილეტრური თხზულების ქართული თარგმანებიდან XII ს. („სწავლანი და სი-  
ბრძნენი ფილოსოფოსთანი“, ი. ლ. ო ლ. ა შ. ვ. ი ლ. ი ს გამოც. თბ., 1969, გვ. 5—10. იქვე განხი-  
ლული და უარყოფილია სხვა მოსახრებანი ამ ძეგლის XVI—XVII სს. რესულიდან თარგმნის  
ჟესახებ). მაგრამ, როგორც ჩანს, თავად ბერძნულ ხელნაწერებში გვხვდება ამგვარი შეღე-  
ნილობის გამოკრებილი სწავლინი, მაგ., ab. Codices Graeci manuscripti Bibliothecae Divi Mar-  
ci Venetiarum, vol. II, recensuit Elpidius Mioni, Roma, 1960, p. 95—96. (cod. VII<sup>41</sup>:  
XXII. Sententiae, praecepta, questiones et responsa ex scriptibus sacris et ecclesiasticis de  
variis argumentis collecta: ex Basili, Gregorii Theologi, Ioh. Chrysostomi, Greg. Nyssae,  
Macarii, Cyrilii Alexandriae, Maximi, Theodoreti... Athanasi... დასლოებით მსგავსი შედე-  
ნილობისაა cod. Vindob. CXXXIII (P. L a m b e c i u s, Commentariorum de Augustissime  
Bibliotheca Caesarea Vindobonens, VII, Vyndobonae, 1675, p. 248).

ზიდანაცაა მოტანილი სენტენციები<sup>30</sup>, გამოვლენილი მასალა მაინც იძლევა საფუძველს გრიგოლ ნაზიანშელის პოეზიის კომენტარების ქართულად თარგმნის სტორია ეფთვიმე ათონელით დავიწყოთ. ნიკიტას კომენტარების ბერძნული ტექსტისა და ქართული მასალის მიხედვით ეს თარგმანება მორალურია (სახისმეტყველებითი განმარტების სახეობა), თვივე სწავლითი, როგორც ეფრემ მცირე უწოდებს მას<sup>31</sup>.

წარმოვადგენი ერთტავებების კომენტარის ეფთვიმე ათონელისეული ვერსიის ტექსტს „სწავლანდან“. გამოცემისათვის გამოყენებულია მხოლოდ ერთი ხელნაშერი (S 1696, XI ს.), რადგან გრიგოლის პომილიების ეფთვიმე ათონელისეული თარგმანების შემცველი კრებულები, რომლებიც „სწავლანდაც“ შეიცვენ და რომელთა მიხედვით ხელნაშერთა ინსტიტუტი გამოსცემს ას თარგმანებს, თაოქმის ყველა ერთი დროისა (XI ს.) და ერთნაირი შედგენილობისა. ქედან „სწავლანს“ შეიცავს A: A 1, XI ს., C: S 383, XI ს., E: A 87, XI ს. S 1696, XI ს., H:A 80, XII—XIII ს. და ეფთვიმეს ავტორობაც „სწავლანს“ სრული სათაურისა და კრებულთა შედგენილობის მიხედვით უკველია. ქვემოთ წარმოდგენილ ხელნაშერს აღვნიშნავთ იმ ლიტერით (G), რაც გამოყენებულია გრიგოლის 16 სადღესასწაულო სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანის გამოცემისათვის. „სწავლანს“ შესწავლა და გამოცემა მთლიანობაში ყველა ხელნაშერის მიხედვით მომავლისოთვისაა გამოზნული.

ტექსტის მუხლები წარმოდგენილია „სწავლანს“ მუხლების ნუმერაციით. მარცხნივ მითითებულია ბერძნული რიგი. ვარიანტები მითითებულია ქართული რიგის მიხედვით. სქოლიოში მითითებულია ბერძნულ წყაროსთან შედარების შედეგები (გამოყენებულია Z. Scordylius-ის დასახელებული ვინეციური გამოცემა), რაც ტექსტში შესაბამის ადგილს აღნიშნულია ვარსკვლა-

<sup>30</sup> როგორც ჩანს, ასეთი შედგენილობის შეიძლებოდა ყოფილიყო ბერძნული ხელნაშერებიც, მაგ. დასახ. ძეველ გამოცემში (შნ. 12), რომელიც ბერძნული ხელნაშერების ჩვენებას ეფუძნება, როგორც ვნახეთ მოტანილი სენტენციები გრიგოლის როგორც ერთავებელიან, ისე პომილიებიდან. იხ. იგრევოვ. *Sententiae ex or. 2* (Th. Sinko, De traditione orationum Gregorii Nazianzeni, Cracoviae, 1917, p. 6—7). cod. Paris. gr. 1182, s. XVII; Matriensis Bibl. Nation. 4620, s XV, fol. 155—162. excerpta ex orationibus Gregorii Nazianzeni protulit (cum scholiis) (J. Sajdak, Historia critica scholiastarum et commentatorum Gregorii Nazianzeni, I, Krakau, 1914, p. 178, 204—205). Londiniensis Add. 14. 772, s. XIII (Florilegium sacroprofanum in quo S. Greg. Naz. auctoritas et frg. inueritur), რომელშიც შედის ცალკული ნაწილები გრიგოლის პომილიებიდან და გნომური ლექსიებიდან (I, 2, p. 30, 32, 33). იხ. J. Mossay, Repetitorium Nazianzenum Orationes. Textus Graecus. 2. Codices Americae, Angliae, Austriae (Forschungen zu Gregor von Nazianz. 5 Band): Studien zur Geschichte und Kultur des Altertums, N. F. 2 Reihe, 5), Paderborn, München, Wien, Zürich, 1987, p. 47—48. საყრალებოა, რომ ამ კრებულში გრიგოლის პომილიებიცა მოთავსებული. ბერძნულ ხელნაშერი, როგორც ჩვენ, ერთად იყო მოთავსებული იგრევოვ გრიგოლის სიტყვების და იმბერი ლექსიების განმარტებანი. ამ მხრივ სწავლანის შედგენილობის მსახური Athous 6190, XVIII ს., სადც ეს განმარტებანი ნიკიტა სერონელს მიეწერა (ჰერიკეს ას პირადი მუზეუმისა და მუზეუმის მიეწერა) სიტყვების განმარტება (ჰერიკეს ას პირადი მუზეუმისა და მუზეუმის მიეწერა).

<sup>31</sup> მდგ. რ. ს. ი. რაძე, ქართული ესთეტიკური აზრის სტორიოდა, თბ., 1978, გვ. 251; გ. ა. ლ. ი. ბერძნული საკითხი ეფრემ მცირეს შოგადთეორიული მოსაჩრენებებიდან. საკავშირო კონფერენცია თვემზე: „თანამდროვე ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნების აქტუალური პრობლემები“, თეზისები, თბ., 1985, გვ. 4.

ვით (\*), ხოლო ბერძნული გამოცემის ჩევნებანი ვარიანტებში აღნიშნულია შემდებით — Venet. მხოლოდ მუხლის ნომრით მითითებულია ბერძნულ-ქართული ტექსტია მიმართებანი, ვარსკვლავიანი არაბული ციფრით კი მი-  
თითებულია ბიბლიური წყარო.

G 143 v სწავლანი სულიერი წმიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისანი, თარგმნილი  
Monost. ნეტარისა შამისა ჩუენისა ე ვ თ კ მ ი ს ნ ი

1. დასაბამად და ოსასრულად ყოველთა საქმეთა შენთა\* ღმერთი გა-  
ქუნდინ, რამეთუ კეთილ არს ღმრთისაგან დაწყებად და ღმრთისა მიერ ოს-  
რულებად ყოველთავე საქმეთა ჩუენთა და მარადის გონებათა ჩუენთა ღმრთი-  
სა თანა ყოფად.
2. ცორებისა ამის წარმავალისა\* მოსაგებელთა და საფასეთა დღითა დღე  
წარაგებდი გლახავთა ზედა და ჭირველთა, მორწმუნეო\*, რათა გაქუნდეს  
საუნჯე ცათა შინა წარუვალი.
3. მეცნიერ იყავ ყოველსავე კეთილსა საქმესა და წარმატებოდე ყო-  
ველთავე ზედა მცნებათა ქრისტესთა, რათა ნეტარებასა მას საუკუნესა მი-  
ეშთხვა და სასყიდელი კეთილი მოგეცეს მარჯუნისაგან მაღლისა.
4. ძნელ არს და საჭირო კორციელად\* სივლახავე და ნაკლულევანებად,  
გარნა ფრიად უძვერეს არს სიმღიდრე ბოროტად მოგებული და ესე საცნაურ  
გეყავნ იგავისა მისაგან ლაზარესსა და მდიდრისა მის დაშილისა\*.
5. ქველის-მოქმედებად და კეთილსა ყოფად მოყუსისა მსგავსებად  
არს ღუთისა, ვითარცა ბრძანებს უფალი, ვითარმედ: იყვენით სახიერ, ვითარცა  
მამათ თქუენი ზეცათად სახიერ არს\* უძადლოთა ზედა ცოდვილთა და იყვე-  
ნით მსგავს მისა.
6. ითხოვდი შენ წყალობასა და სიტყბოებასა ღუთისა, უკუეთუ შენცა  
იყო მოწყალე და სახიერ მოყუსითა მიმართ, რამეთუ ეგრეთ ბრძანა უფალ-  
მან, ვითარმედ: „რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ“\*.
7. კორცა შენთა სტანჯვდი და დაიმონებდი მარხვითა და მოღუწე-  
ბითა, რათა/შეუძლო გულისტქუმათა ბოროტათა წინააღმდეგომად და მოიგო  
სიწმიდე, რომელ არს მსგავსებად ანგელოსთად.
8. გულისწყრომასა და მრისანებასა აღვრ ასენ, რამეთუ ესე არს ჭეშ-  
მარიტი და სრული სიბრძნე, ვითარცა იტყვ უფალი: „ისწავეთ ჩემგან, რამე-  
თუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოოთ განსუენებად სულთა თქუენ-  
თად“\*.
9. თუალნი შენნი იყარენ არა ხედვად ამოებასა და სახიობათა სავნე-  
ბელთა, ხოლო ენასა შენს სასწორი აქცნდინ, რათა მარადის კეთილსა იტყო-  
დის და არარას ბოროტსა ზრახვიდეს.
- 10(I) 10. სასმენელთა ზედა შენთა კლიტე იყავნ, რათა სიტყუანი ცუდნი და  
მავნებელნი და კმანი უწესონი არა შევიღოდინ გონებად შენდა, არამედ სი-

ed. Z. Scordylius, p. 41r—51r.

1 „საქმეთა შენთა“ — πράξις εώς (კომ. Venet). 2. „წარმავალისა“, „მორწმუნეო“ — ბერძნულ ტექსტში არ არის. 4. „კორციელად“ — ბერძნულში არ არის. 4\*. ლუკ. 16, 19—25.  
5\* იყვენით თქუენ სრულ, ვითარც მამათ თქუენი ზეცათად სრულ არს“ (მთ. 5, 48). 6\* მთ. 7, 2.  
8\* მთ. 11, 29.

ტყუუათა საღმრთოთა ყურად იღებდინ, ვითარცა იტყვს დავით: „მასმინე მე გა-  
ლობად და სიხარული“\* საღმრთო.

11. სიცილი გლისპი და განცხრომად უწესოდ მოიძულე, რამეთუ მიზეზი 10 ( 1  
არიან სიძეისანი და ვაებად დაესაჯების, ვითარცა წერილ არს: „ვა მოცინარ-  
თა, რამეთუ ივინი ტიროლინ“, ხოლო გლოვად ნეტარებისა მომატყუებელ  
არს.

12. სანთელ ცხორებისა შენისა ყოვლისავე და შინიმძლუარ იყავნ სი-  
ტყუად ღმრთისაც\*, რათა გიძლოდის შენ გზასა წრფელსა, მიმყანებელსა  
სავანეთა ზეცისათა, ვითარცა იტყვს დავით, ვითარმედ: „მაუწყე მე, უფალო,  
გზად, რომელსაცა ვიღოდი და სული შენი სახიერი მიძლოდენ მე ქუეყანსა  
წრფელსა\*.

13. ეკრძალე თავსა შენსა, კაცო, ნუუკუ ჰეონებდე თუ კეთილად ხარ 12  
და ზუაბისა მისგან გულისიტყუათა, უკუეთუცა რამე კეთილი გაქუნდეს,  
იგიცა წარგიშყმდეს და ცარიელი იპოო.

14. მეცნიერ იყავ ყოვლისავე, ხოლო იქმოდე, რამ-იგი ჭეროვან არს 13  
და სარგებელ სულისა და შეწევნასა ღმრთისასა მარადის ხადოდე და შყალო-  
ბასა მისსა ითხოვდი, რამეთუ იტყვსო უფალი: რომელი ითხოვდესო, მიეცეს  
და რომელი ეძიებდეს, განეროს\*.

15. უცხოდ იცოდე თავი შენი და წარმავალად სოფლისა ამისგან\* და 14  
უცხოთა პატივს-ცემდი, რათა ღრის იქმნე სმენად კმისა მის სანატრელისა:  
უცხო ვიყავ და შემიწყნარე მე, მშეირ ვიყავ და გამომზარდე და შემდგომ  
ამისა\*.

16. ოდეს მყუდროებით ხედოდი ზღუასა ამას შინა სოფლისასა\*, მაშინ 1500  
უმეტესად იხსენებდი ლელვა-ტეხილობასა და მოწიწებით და განკრძალულად  
იქცეოდე, ნუუკუ უზრუნველ იქმნე და უცნაურად აღვიდგენ ლელვანი.

17. ყოველისავე ღმრთისა შეირ შენ ზედა მოსრულსა მაღლობით თანა- 16  
გაც შეწყნარებად, რათა სასყიდელი მაღლობისა მოგეცეს, რამეთუ ესრეთ  
სათნო ეყვნეს ღმერთისა ყოველნი წმიდანი, ესრეთ წარემატენეს და შეიმკვნეს  
ყოვლისა კეთილისა საქმითა.

18. უმჯობეს არს კუერთხი მართლისა, ვიღოდე პატივი უკეთურისად, რა- 17  
მეთუ მართლისა წურთად მომატყუებელ არს ცხორებისა, ხოლო პატივი უკა-  
თურისად უსარგებლო არს და უფროოსად მავნებელ.

19. კართა ზედა ბრძენთა და ღმრთისმოყუარეთასა იქცეოდე და ნუ მდი- 1  
დართა და ცოდვისმოყუარეთასა, რამეთუ ვინაცეა შეერთოს ვინ და თანა-  
იქცეოდის, მისსაცა მიემსგავსების მოქალაქობასა.

10 ფს. 50,10.

11\* ვა თქეუნდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იღლოვდეთ და სტიროდით (ლ. 6,25).

12. სიტუად ღმრთისა — აბრიუ ვარდ ვენე (კომ. Venet). 12\* შდრ. ფს. 24,4—5; 85,11.

(„განი შენი, უფალო, მაუწყენ მე და ალაგნი შენი მასწავენ მე; მიძელუ მე ჟეშმარი-  
ტებითა შენითა და მასწავე მე“ ფს. 24,4—5.) „მიძლოდე მე, უფალო, გზითა შენითა და  
ვიღოდი მე ჟეშმარიტებით შენითა. იხარებდეს გული ჩემითა სახელისა შენისამთა“  
(ფს. 85,11).

14\* „ყოველი, რომელი ითხოვდეს, მოიღოს; და რომელი ეძიებდეს, პოოს; და რომელი  
ირევდეს, განღოლს“ (მთ. 7, 8). 15. „... და წარმავალად სოფლისა ამისგან“ — ბერძნულშა  
არ არს. 15\* „რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჟემდილი; მშეურიდა და მასუ მე; უცხო ვიყავ  
და შემიწყნარე მე“ (მთ. 25, 35). 16. „ზღუასა ამას შინა სოფლისასა“ — ზალმარგ მას  
ზღვ ხძმიოν ესხასაς (კომ. Venet).

- 19 20. ცოდვასა მცირესა ერიდე, რამეთუ მცირეთაგან დიდი მოვლენ. იგი უკუ მცირე არამცირე არს, რომელისაგან დიდი იშვებინ ცოდვაა\*, ამისთვის იტყვს წინაშარმეტყუელი: „ასულო ბაბილონისაო, უბადრუკო,... ნეტარ არს, რომელმან შეიპყრის ჩჩვლნი შენი და შეახეთქნეს [იგინი] კლდესა“\*.
- 151 გ 20 23. მავინებლობად და ყოველი გინებად მოისპენ შენგან, კაცო\* და ესრეთ გეწოდის შენ ბრძენ და მეცნიერ, რამეთუ გინებად და ყოველი სიტყუად სიცოფისა ბირებითა ეშმავისათა ითქმის, ხოლო რომელმან ესვითარნი სიტყუანი მოსახა და შეიყუაროს ყოველი სიტყუად პატიოსანი, ყოველი სიტყუად ქებისა და სიწმიდისა, იგი მოწაფე არს სიბრნისად და პატივცემული ღმრთისა მიერ.
- 21 24. იცევდი თავსა შენსა კეთილად\*, ხოლო დაცემასა სხესასა ნუ ეცინი, არამედ უფროსსად თანამზრუნველ-იყავ და კელ-თუ-გეწითებოდის, შემწე ეყავ ალდგინებად დაცემულისა მის, გინათუ სულიერი იყოს დაცემა, გინათუ კორციელი ჭირვეულობად. ნუგეშინისმცემელ ექმნე, რამთა შენცა ნუგეშინის გცეს უფალმა\*.
- 22 25. უკუეთუ ვინ საშუალველ იყოს სხუათა, ესე კეთილ არს და სამადლო, ხოლო მოშურნე თუ იყოს მოყუსისა, ბოროტად არს და ბრალი დიდი, რამეთუ შური საქმე არს მტერისად, დასაბამი არს ცოდვათად, პირველი ნაშობი არს ეშმაკისად.
- 2 26. სულსა ღმრთისმოყუარესა კელეწითების დღითიდღე მსხუერპლისა შეწირვად ღმრთისა ღმობიერისა ლოცვისათა, რამეთუ ლოცვად ღმობიერი სულსა მას გულისხმის-ყოფით მლოცველსა მსხუერპლ ღმრთისა ჰყოფს, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „მსხუერპლ ღმრთისა არს სული მდაბალი, გული წმიდად და სული მდაბალი ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს“\*.
- 162 ვ 24 100. შ' ი, ვინმე დაიმარხნეს ზეომეტერილნი ესე მცნებანი\* და ცხოვნდეს და ზეცისა სასუფეველსა ლირს იქმნას დამკვდრებად მაღლითა და მოწყალებითა და კაცომოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელსა შუენის ყოველივე დიდება\* და პატივი და თაყუანის-ცემა თანადაუსაბამოთ შამით და ყოვლად წმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით სულითურთ აშ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

К. П. БЕЗАРАШВИЛИ

Резюме

## ИЗ ГРУЗИНСКИХ ВЕРСИЙ КОММЕНТАРИЕВ ПОЭЗИИ ГРИГОРИЯ НАЗИАНЗИНА

(«Духовные поучения» Евфимия Афонского)

В предлагаемой статье впервые изучается грузинский перевод комментариев Никиты—Давида Философа (IX—X вв.) к однотишию Григория Назианзина (PG 37, Carmen I, 2, п. 30), который находится в

20 „ცოდვაა“ — ბერძნულში არ არის. 20\* ფს. 136, 8—9. 23 „კაცო“ — ბერძნულში არ არის. 24. „კეთილად“ — ბერძნულში არ არის. 24\* უდრ. მთ. 6, 14—15; 10, 40. 26\* ფს. 50, 19.

100 „ზემოწერილნი ესე მცნებანი“ — ბერძნულში არ არის.



сочинении из 100 глав «Поучения духовные св. Григория Богослова» переведенный св. отцом нашим Евфимием (гл. 1—20, 23—26, 100). «Поучения» находится в рукописях XI в. (A—1, A—80, A—87, S—383, S—1696 и др.) вместе с гомилиями Григория Богослова в переводе Евфимия Афонского. Вышеуказанный комментарий переведен и перифразирован свойственными ему переводческими методами и по всему видно, что зависит от греческого текста Никиты. В статье представлены также дополнительные данные об авторе комментариев, о составе «Поучений» и о соответствующих греческих рукописях. В статье публикуется также текст грузинского перевода с результатами сопоставления с единственным изданием греческого текста (1563 г.).

---

CPA 1990

ჭოგიარობი კართული მეცნიერული ტერმინის ისტორიისათვის

ქართული ნათარგმნი ლიტერატურა (ფილოსოფიური, სამეცნიერო) შეიცავს მდიდარ მსალას მეცნიერული ტერმინოლოგის ჩამოყალიბების, მისი განვითარების ისტორიის თვალსაზრისით. თვისებური ენა, განსხვავებული „ჩვეულებრივ სათარგმანოთაგან“ და „შესხვევ მდაბილთაგან“, რომელსაც ქმნილენ „ცოდნით სრული“, „ზედმიწევნული“ ქართველი მთარგმნელები ბერძნული თუ აღმოსავლურნოვანი მასალის გჯართულების გზით, წარმოადგენდა რეალურ ბაზას ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინის შემდგომი განვითარებისათვის. ქართველ მოღვაწეთა საქმიანობა ამ მიმართულებით წარმოაჩენს ქართული ენისა და მეცნიერების განვითარების, ავრეთვე ენობრივ და კულტურულ ურთიერთობათა არაერთ მნიშვნელოვან მხარეს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღება იმსახურებს ორისტო-  
ტელეს, გრ. ნაზიანზელის კომენტატორების, იოანე დამასკელის, სხვა აღმო-  
სავლელ ავტორთა ქართული თარგმანები, სადაც უკვე დიფერენცირებული  
სახითა წარმოდგენილი ცალკეული დარგების მეცნიერული ტერმინოლოგია.

ამჯერად შევეხებით რამდენიმე მათემატიკური შინაარსის ტექმინს: წერ-ტლიო, ხაზი, სიბრტყე, სხეული.

აღნიშნული ტერმინები ერთ-ერთი ფილოსოფიური კატეგორიის — რაოდენობის — თვისებების მატარებელი არიან. რაოდენობის პრობლემა პირველად პითაგორელების მიერ იქნა დამუშავებული. რიცხვი, რაოდენობა, მათი მოძღვრების მიხედვით, ყოველივე არსებულის საფუძველია. სამყარო, სტიკია აღიმება მისი არითმეტიკულ-გეომეტრიული სტრუქტურით. შემდეგ რაოდენობა საგანგებოდ, როგორც ერთ-ერთი ფილოსოფიური კატეგორია, განიხილება არისტოტელეს მიერ „მეტაფიზიკას“ და „კატეგორიებში“. არისტოტელეს მიხედვით, რაოდენობა არის დაყოფადი ისეთ ნაწილებზე, რომელთაგან თითოეული თავისი ბუნებით რაღაც გარკვეული ერთია („მეტაფიზიკა“, წიგნი V). რაოდენობას შემდეგი ნიშნები ახასიათებს: „არაქონებაა წინააღმდეგობისა რასამე თავით თვალით“, (საწინააღმდეგო ცნებების აქტონა), „არამიმთვალეობაა უფროს-უმცროსობისაა“ (არ შეიცავს მეტ-ნაკლებობის გაგებას) და „სისწორე“ და „არა-სისწორე“ (ტოლობა ან უტოლობა). აღნიშნული თვისებებით ხსიათდებიან მოტანილი ტერმინები: წერტილი (სტილი), ღრამი (ასო, ხაზი), ეპიფანია (სიბრტყე, სიფრიფან, საჩინო, სივაკე...), სხეული/გუამი. ეს ცნებები უწყვეტი, დაუნაწევრებელ, განუყოფელ რაოდენობებს განეკუთვნებიან ისევე, როგორც უამი (დრო) და ადგილი. ელინელთაგან განსხვავებით, არისტოტელეს უწყვეტი რაოდენობა გულისხმობს ნაწილებს მის შიგნით, რომლებიც ესაზღვრებიან ერთმანეთს საერთო საზღვრით და მათ შორის არ

არის სივრცე, ამოვსებული რაიმე სხვაგვარი არსით. „ერთი მიმართულებით უწყვეტი სიდიდე არის სიგრძე, ორი მიმართულებით — სიბრტყე, სამი მიმართულებით სილრმე. აქედან... განსაზღვრული სიგრძე ხაზია, განსაზღვრული სიბრტყე — ზედაპირი, განსაზღვრული სილრმე სხეული („მეტაფიზიკა“, წიგნი V, თავი VIII). ხაზის საერთო საზღვარი, სადაც ხდება მისი შემაღვეველი ნაწილების შეხება, არის წერტილი. ასეთი საზღვარი სიბრტყისათვეს ხაზია, ხოლო სხეულისათვეს — სიბრტყე („კატეგორიები“, თავი VI). არის ტოტელეს მიერ მოცემული განსაზღვრებები წარმოადგენს საფუძველს ჩამოთვლილი ცნებების გაზრდებისათვეს მის კომენტარორებთან, საერთოდ, ფილოსოფიური ხსასიათის იმ შრომებში, სადაც დანაწევრებულად განიხილება რაოდენბის, როგორც ერთ-ერთი ფილოსოფიური კატეგორიის სახეები. ამგვარადვე განსაზღვრება აღნიშნული ცნებები მათემატიკურ ლიტერატურაშიც.

მოტანილი ოთხი მათემატიკური ტერმინის ეკვივალენტი ქართული ტერმინი — თარგმანები ქართულ სამეცნიერო-ფილოსოფიურ ლიტერატურაში იქმნება და მკვიდრდება ითან დამსაკელის „დიალექტიკის“ ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის მიერ შესრულებული თარგმანების საშუალებით. ეს უპირველესად ეხება არსენის თარგმანს, მის მიერ მოტანილი ტერმინი-შესატყვისები და განმარტებები მით უფრო საყურადღებოა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ არსენს „არც რა ბერძულისაგან დაუგდია და არც რა ზეპირითა დაურთავს“. მისი თარგმანი უფრო ზუსტია ეფრემ მცირის თარგმანთან შედარებით! აღვნიშნავთ წინასწარ, რომ ზემოთჩამოთვლილი ქართული მათემატიკური ტერმინების ხმარების ტრადიცია უკავშირდება უშუალოდ არსენს, მის მიერ გამოყენებულ ეკვივალენტებსა და განსაზღვრებებს.

დანაწევრებული და დაუნაწევრებელი რაოდენობის აღსანიშნავად ქართველი მთარგმნელები იყენებენ შემდეგ შესატყვისებს: განწვალებული ან განსაზღვრებული და შერწყმული (არსენი, „დიალექტიკა“), განსაზღვრული და შეკრებული („დიალექტიკა“, ეფრემი), განსაზღვრებული და შერწყმული (მონინის ერმისის თხულებათა ქართველი მთარგმნელი). აქვე აღვნიშნავთ, რომ არსენის მიერ გამოყენებული ტერმინი „შერწყმული“ უკეთ მიესადაგება განუყოფელი, დაუნაწევრებელი რაოდენობის ცნებას (ბერძნ. τὸ συνεχές, ვიდრე) ეფრემისეული ეკვივალენტი „შეკრებული“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შერწყმულ, დაუნაწევრებელ რაოდენობას გახეკუთვნებიან: სტილი, ლრამი, ეპიზოდი, სტერეონ (სხეული). ქართულ ფილოსოფიურ-სამეცნიერო ლიტერატურაში მოტანილი ცნებების აღმნიშვნელად გამოიყენება ბერძული ტერმინებიც და პარალელური ქართული შესატყვისებიც.

მოვიტან ერთ-ერთი აღნიშნული ტერმინის — ხაზი (ლრამი) ქართულ შესატყვისობებსა და მის განმარტებებს „დიალექტიკისა“ და ამნიოს ერმისის თხულებათა ქართული თარგმანებიდან:

„ღრამმისა აქუს ერთი განფენილობად, რამეთუ არს იგი სიგრძე უსივრცოდ. ეს შერწყუმითად რაოდენობად აღიყვანების, რამეთუ ერთობისა მქონებელი განიზომების და კერძოთა მისთა აქუს ზოგადად საზღვრად, შემარწყუმელად კერძოთა მისთა, საშუალი წერტილი („დიალექტიკა“, არსენი, გვ. 133).“

<sup>1</sup> ამის შესახებ ის. ითან დამსაკელი, „დიალექტიკა“. ტექსტი გამოსუა, გმოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფაელ, თბ., 1976 წ. გმოკვლევა, გვ. 46.



„ასოსა მწიგნობრისა დასმულსა აქუს სიგრძე ერთ-საზომი და უკანონობა რომელი იგი შემოუკრძებს მას შემოკრძებისაგან რაოდენობისა, რამეთუ უკანონობა თობად მისი აღირაცხების და ნაწილებთა მათ მისთა აქუს ზოგადად საზღვრად და შემაერთებლად მათ შორის მყოფი იგი სახე წამისად („დიალექტიკა“, ეფ-რემი, გვ. 133). ამ განმარტებაში ასო არის გარკვეული მოხატულობა, კონტური, ხოლო წამი — წერტილი<sup>2</sup>.

„ღრამმსა... აქუს ერთი განფენაა — სიგრძე მხოლოდ... განიშვიალების სიმეასაგან, ვითარმედ არა აქუს არცერთი განფენაა, არამედ არს უკერძოო“ (ამონიოს ერმისი, მოსაქსენებელი „ხუთთა ქმათაღმი“, ქართველი მთარგმნელი, გვ. 9). სიმეა (ბერძნ. τὸ σημεῖον) არის ურაოდენო, განუყოფელი, „უკერძოო“ წერტილი<sup>3</sup>.

ამონიოს ერმისის მეორე თხზულების — „მოსაქსენებელი „ათთა კატილორიათაღმი“ — თარგმანში აღნიშნული მათემატიკური ტერმინები ცალ-ცალკე არ განიხილება, ისინი ჩამოთვლილია, როგორც შერწყმული რაოდენობის სახეები მიმართების ერთ-ერთი სახეობის — მდებარეობის — თვალსაზრისით; ორამმი, ეპიფრინი, სხეული — არიან „რაოდენი — მიმართ დებისათა შემტკიცებულებითა...“ (გვ. 144).

აღნიშნული ცნებების ურთიერთმიმართება მათი განზომილებების მიხედვით სრულადა წარმოდგენილი ერმისის თხზულებაში „მოსაქსენებელი ხუთთა ქმათაღმი“. თარგმანში ვკითხულობთ:

„...ვითარ ყოველსა განმწიალებსა განმწიალებულისასა დააკლდების ერთი განვენა, რამეთუ სხეული, სამთა მქონებელი განფენათაა, განიშვიალების ეპიფანიასაშიერ, რომელსა ჰქონან არნი განფენანი: სიგრძე და სივრცე... ხოლო ეპიფანიად, ართა მქონებელი განფენათაა, განაწიალების ღრამმისა მიერ, რომელსა აქუს ერთი განფენაა — სიგრძე მხოლოდ. ღრამმი — განიშვაღების სიმეასაგან... ვითარმედ არა აქუს არცერთი განფენაა, არამედ არს უკერძოო... ყოველსა განმაშიალებელსა განმწიალებულისასა დააკლდების ერთი განფენაა (გვ. 9).

ამრიგად, ყოველი შემომსაზღვრელი, შემომფარგვლელი გეომეტრიული სახე შეიცავს მის მიერ შემოსაზღვრული სახის ერთი განზომილებით (განვენილობით) ნაკლებს, ე. ი. სიბრტყე (ეპიფანია), რომელიც შემოსაზღვრავს სხეულს, შეიცავს ამ უკანასკნელზე ერთი განზომილებით ნაკლებს — იგი არ გულისხმობს სილრმეს. ხაზი, რომელიც შემოსაზღვრავს სიბრტყეს, მისგან განსხვავებით არ მოიცავს თავის თავში სიგანის გაეგებას — იგი არის „სიგრძე უგანოა“ და ა. შ.

„დიალექტიკის“, ამონიოს ერმისის თხზულებების ქართულ თარგმანებში მოცემული განსაზღვრებები თანხედება არისტოტელეს ზემოთმოტანილ განსაზღვრებებს. აღნიშნული თხზულებები უშუალოდ უკავშირდება არისტოტელეს: ამონიოს ერმისის „ათთა კატილორიათაღმი“ წარმოადგენს მის კოშენტარს, ხოლო მისივე „კუთთა ქმათაღმი“ კი პორტირის, არისტოტელეს ერთი კომენტატორის თხზულების თარგმანს. ითანე დამსკელის „დიალექტიკის 36-ე თავი „რაოდენობისათვის და რაოდენობისა“ წარმოადგენს „კატე-

<sup>2</sup> იხ. „დიალექტიკის“ ლექსიკონი, გვ. 188, 293.

<sup>3</sup> იხ. ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში. ტექსტები გამოსაცვალებები მომზადეს ნ. კეჭაყაშემ და მ. ჩაფავაშ. გამოცემის ლექსიკონი, გვ. 227.

გორიების“ VI თავისა და „მეტაფიზიკის“ V წიგნის თავის შეერთებულ და გა-  
დამუშავებელ ვარიანტს. გერარდ რიხტერი თავის ნაშრომში: „იოანე და-  
მსკელის“ „დილექტიკა“ (Buch—Kunstverlag Ettal, 1964. studia patristica  
et Buzantina, 10. Heft), სადაც მოცემულია დაწვრილებითი ცნობები „დი-  
ალექტიკის“ წყაროების შესახებ, თხზულების ამ მონაკვეთზე შეჯელობისას არ  
შეიუთხებს მის პირდაპირ წყაროზე. ჩანს, იგი გულისხმობს შუამავალი ავტო-  
რის, არისტოტელეს რომელიმე კომენტატორის თხზულებას. ამსთან უნდა  
აღინიშნოს, რომ ზოგიერთ დეტალში „დიალექტიკა“ მიჰყება „კატეგორიების“  
VI თავს.

დახსასიათებული მათემატიკური ცნებები — ლრამმი, ეპიფანია, სხეული,  
რომლებიც გნეკუთვნება მდებარე, უმოძრაო რაოდენობის სახეს, განიხი-  
ლება ქვეყნის მზომელობის (გეომეტრიის) მეცნიერების მიერ, რომელიც  
არის „მეცნიერება რაოდენობისა შერწყმულისა უძრავსა მდებარეობასა შინა“  
(მოსახსენებელი „ხუთთა ქმათადმი“, გვ. 15). ქვეყანას, უძრავ შერწყმულ რა-  
ოდენობას ერმისის თხზულებაში უპირისპირდება ზეცა, მოძრავი შერწყუმული  
რაოდენობა, რომელსაც შეისწავლის ვარსკვლავთმრიცხველობა.

შემდეგი განსახილველი ტერმინის — ეპიფანია (სიბრტყე, ზედაპირი)  
ქართული შესატყვისი — საჩინო, რომელიც ამავე სახით გვხვდება არსენ  
იყალთოელის განსაზღვრებებში, მომდინარეობს ეფრემილან. საჩინოს პარა-  
ლელურად ეფრემ მცირე ხმარობს ტერმინს „განცხადება“. „განცხადება“ არს,  
რომელი განსრულ იყოს გარეთ კერძო გუამისა საჩინოდ და აქუს მას რო  
სახე განვითავად: სიგრძედ და სივრცედ... ნაწილთა მისთა აქუს ზოგადად სა-  
ზღვრად შემართებლად მათ შორის მყოფი იგი საოცა“ (გვ. 133). ამდენად,  
სიბრტყე (ეპიფანია) არის სხეულის ვარეგნითი, საჩინო მხარე, ზედაპირი,  
რომელსაც თავის მხრივ აქვს ორი განზომილება — სიგრძე და სიგანე და  
რომლის საერთო საზღვარი, უფრო სწორად, შემომსაზღვრელი არის ხაზი (ასო).

ანალოგიურია არსენის განსაზღვრება იმ განსხვავებით, რომ იგი ეფრე-  
მის მიერ შემოტანილი განცხადების ნაცვლად ორიგინალ-ტერმინს — ეპი-  
ფანიას — იყენებს. საჩინო, როგორც აღნიშნულია ამონიის ერმისის თხზუ-  
ლებათა ქართული თარგმანების გამოცემის შესავალში, წარმოადგენს ბერძ-  
ნული ჰისტორია-ს კალკირებულ ფორმას (გვ. 092).

იოანე დამსკელის „დიალექტიკის“ არსენ იყალთოელისეული თარგმანის  
ტექსტს ერთვის „შეისწავე“ „ქუეყანის-მზომელთა კელოვნებათა“ შესახებ,  
სადაც მოცემულია დახსასიათებული ბერძნული ტერმინები აღეკვაზი ქარ-  
თული შესატყვისებით: „ამას უწოდიან სტილმად, რომელსა ჩუენ წერტილ  
უწოდთ“, „ხოლო ამას ღრამმად და უწოდებენ მეორედ, რამეთუ წერტილი-  
საგან წარზიდულ არს“. ასევე: ეპიფანია — საჩინობა, სტერეო — გუამი (გვ.  
180). საკურადღებოა არსენის შემდეგი განმაზნევებელი მინიშნება: „ზოგა-  
დი სახელი ითხოვეთ სტერეო არს, ვითარ ეს ჩუენი ყოველთა მათთა ერთი  
გუამი“ (გვ. 180). ამდენად, განხილული ტერმინები — წერტილი, ხაზი, სიბრტყე  
სხეულის, მოცემულობითი არსის უშუალო შემადგენელი ნაწილები არიან,  
ამასთან ხაზი შეიცავს წერტილებს, როგორც უწყვეტი რაოდენობის ნაწილებს,  
სიბრტყე-ხაზებს და ამდენად წერტილებსაც და ა. შ. აღნიშნული „შეისწავეს“  
ბოლოს მოცემულია ბერძნული ტერმინები ქართულ შესატყვისებთან ერთად:  
„შეისწავე ქართულადცა სახელები ესე: სტილმა — წერტილი, ღრამმი — ჩაზი-

დული, ეპიფანია — საჩინობა, სტერეონ — მყარი (გვ. 180). ამას მოსდევს კიდევ საგრნებოდ გამოყოფილი ბერძნული ტერმინები უკვე შესატყვისთა გარეშე.

როგორც ცნობილია, ასეთი „შეისწავე“, „განსაზღვრება“, „განჩინება“, რომელიც თვით ბერძნულ ტექსტებში კიდევებზე იყო წარწერილი, შემოტანილ იქნა ქართულ პრატიკაშიც. ეფრემის თქმით, „რათა რაეამს სამეცნიეროსა რასმე სიტყუასა ეძიებდეს ვინმე, ადვილად პოვოს და არა უკმდეს მიმყოვრებული უმიმი ანუ ყოველისავე გარდაითხვად“ („დაალექტიკს“ შესავალი, გვ. 68). ამ დანიშნულებას ასრულებს არსენის „შეისწავეც“.

ამასთან დაკავშირებით შევეხებით კიდევ ერთ „შეისწავეს“. ეს არის გრიგოლ ნაზიანშელის 41-ე სიტყვის — „მეერგასითა მიმართ ეპისკოპოსთა“ — კომენტარის ქართული თარგმანის მინაწერი. ოღნიშნულ კომენტარში შესაბამისი ადგილი ასე იკითხება: „და თვით პირველიცა გამოძიებას სტერეოსაჲ თოხსა შინა იპოგბის, რამეთუ ერთისა შესაბამ არს სტიღმი, ხოლო ორისა ღრამი, ხოლო სამისა ეპიფანია, ხოლო ოთხისა სტერეომა“ (Jer. 13, გვ. 381). მოტანილ მონაკვეთში ლაპარაკია გეომეტრიული ნიშნების — წერტილი, ხაზი, სიბრტყე, სხეული — რიცხვით მნიშვნელობებზე, რომლებიც მიჰყებიან ერთმანეთს დაწყებული პირველი, ურაოდენო საწყისიდან — წერტილიდან. სტერეოს (ბერძნ. στερεός) წერცნბა, „გამოძიება“ გულისხმობას მისი შემადგენელი, ორგანული ნაწილების (წერტილი, ხაზი, სიბრტყე) გათვალისწინებას, რომელთაგანაც იქმნება იგი თავად — მეოთხე, სხეულებრივი არსი.

კომენტარის აღნიშნულ მონაკვეთს ერთვის ორი „შეისწავე“ — განმარტება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ორივე „შეისწავე“ მთლიანად ემთხვევა არსენის „შეისწავეს“. როგორც ზემოთ მივუთითეთ, არსენის „შეისწავეში“ ჯერ მოცემულია დახასიათებული 4 გეომეტრიული ნიშანი, რომელიც ასეა გამოყოფილი: ა, ბ, გ, დ, ხოლო შემდეგ წარმოლგენილია ერთგვარი ლექსიკონი — „შეისწავე ქართულადცა სახელები ესე“. გრ. ნაზიანშელის „სიტყვის“ კომენტარის ქართული თარგმანის „შეისწავე“ სიტყვასიტყვით მისდევს არსენის დამატებას, თანხვდება განმარტებები, მათი თანმიმდევრობა, ქართული შესატყვისები. აქაც ბოლოს ჩამოთვლილია ბერძნული ტერმინები პირობითი ნიშნებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ბერძნული ტერმინის — სტერეონ — არსენის მიერ მოტანილი ქართული შესატყვისი მყარი. ბერძნ. στερεός აქვს აღნიშნული მნიშვნელობა (მყარი, მაგარი, მკვრივი და ა. შ.), მაგრამ მათემატიკური შინაარსით იგი აღნიშნავს „სხეულებრივს, მოცულობითს... „დიალექტიკის“ 36-ე თავის ქართულ თარგმანში, სადაც გახინილება რაოდენობა და მისი სახელები, ქართული ეკვივალენტი „მყარი“ არ არის მოტანილი. იგი მხოლოდ არსენის „შეისწავეშია“ ამ სახით წარმოდგენილი. სხვაგან ბერძნული სტერეό-ის პარალელურად იხმარება სხეული, გუამი. აღნიშნული „სიტყვის“ კომენტარის ქართული თარგმანის „შეისწავე“ ამ მხრივაც თანხვდება არსენის დამატების ტექსტს. იგივე ბერძნული ტერმინების შესატყვისად ეფრემი სხვა ქართულ ეკვივალენტებს ხმარობს: წამი, ასო. რაც შეეხება საჩინოს, საჩინობას (ეპიფანიის შესატყვისად), იგი არსენთანაც ამავე სახითაა მოცემული. არსენი ხმარობს გუამსაც.

გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყვის“ კომენტარის მინაშერის ტექსტი შოგვაქვე Jer. 13-ის მიხედვით. ოღნიშნული „შეისწავე“ ამავე სახითაა წარმოდგენილი A 1338-ში, რომელიც წარმოადგენს A 16-ის პირს (ცაარგებლობთ გრ. ნაზიანზელის თხზულებათა შემცველი ქართული ხელნაშერების აღწერილობით შემდგ. თ. ბრეგაძე). A 16-ში წარმოდგენილ სხვა „შეისწავეში“ არის პირდაპირი მითითება ითანე დამასკელის თხზულებაზე, კერძოდ, „გარდამოცუმაში“: „შეისწავენ, ჩამეთუ გრდამოცუმასა შინა ესრეთ თარგმნის ითანე დამსკელი სხისმეტყულებასა ღმრთოსასა სპეციალისასა, ვითარმედ ხედვად და წუად...“ (326). ეს „შეისწავეც“ არის მოტანილი სხენებულ აღწერილობაში. A 16-ში შემცველი აღნიშნული „სიტყვა“ ეფრემის მიერაა თარგმნილი.

ამრიგად, „დიალექტიკის“ არსენ იყალთოელის მიერ შესრულებული ქართული თარგმანისა და გრ. ნაზიანზელის 41-ე სიტყვის კომენტარის ქართული თარგმანის „შეისწავე“ სრულიად იდენტურია. ოღნიშნული და ამ რიგის სხვა საკითხების კვალიფიკაცია მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც მთლიანობაში იქნება შესწავლილი. გრ. ნაზიანზელის კომენტარების ქართული თარგმანები. ამ მიმართულებით მიმღინარეობს ინტენსიური მუშაობა.

როგორც ვნახეთ, „დიალექტიკის“ ქართული თარგმანებისა და ამონიონ ერმისის თხზულებათა თარგმანებში წარმოდგენილი ითხი გეომეტრიული ცნების განსაზღვრება თანხვდება არის სტოტელეს განსაზღვრებებს. მათგან გამომდინარე წერტილი, ხაზი, სიბრტყე წარმოადგენენ სხეულის მახსიათებლებს, განეკუთვნებიან ამ განსაზღვრული უწყვეტი რაოდენობის სახეს.

ახლა ვნახოთ რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით გვიანდელი ხანის ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში. უაღრესად მდიდარია ოლორძინების ხანის სპეციალური ლიტერატურა მრავალდარგოვანი ლექსიკურ-ტერმინოლოგიური ძიებებით. ამ ძერიოდში, როგორც დიდი ყურადღება ეთმობა ქართული მეცნიერული ცოდნის ოლორძინებას, მეცნიერების ამა თუ იმ დარგის თუნდაც ელემენტარული თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების „შექმნას, საგანგებოდ მუშავდება სპეციალური ენაც; ზოგიერთი დისციპლინისათვის იქმნება მთელი ტერმინოლოგიური სისტემები რუსული, ოღონსავლური თუ კვრობული წყაროების, შესაბამისი უცხოენოვანი მასალის თარგმანის, პერიფრაზირებისა და ქართულ ორგინალურ ლექსიკურ ერთეულთა ტერმინოლოგიური მნიშვნელობით დამკვიდრების გზით. ამ მხრივ უპირველესად საინტერესოა სულხან-საბა არბელიანის ლექსიკონის მასალა, სადაც თავმყრილია მრავალდარგოვანი ცოდნა, ფიქსირებულია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიულად დამკვიდრებული მონაცემები.

სპეციალურად უმუშავია საბას „დიალექტიკის“ ქართულ თარგმანებზეც ლექსიკონში პირდაპირ, უცვლელადაა მოტენილი მოზრდილი მონაცემთი დამსკელის თხზულებიდან (თავი „რაოდენობისათვის და რაოდენობისა“). „რაოდენობის“ სტატია ლექსიკონის იდრეულ რედაქციებში ვრცელია, მათში პირდაპირაა გადმოტანილი არსენისეული თარგმანის შესაბამისი მონაცემთი — რაოდენობის განსაზღვრება, შერწყმული რაოდენობის სახეები (ეპიფანია, ღრამი, სხეული, ადგილი, უამი....), მათი დაწვრილებითი განმარტებები. უფრო გვიანდელ Z და A რედაქციებში „რაოდენობის“ სტატიაში მხოლოდ ზოგადი განსაზღვრება მოცემული. ოღნიშნულ გეომეტრიულ ტერმინებს საბა ცალკეც იძლევა და „სხეულისა“ და „რაოდენობის“ სტატიებშიც. „სხეულის“ სტატიის ბოლოს იგი მიუთითებს ოღნიშნული მონაცემთის წყაროზეც: „სრულად კა-

თილორის 33 თავში იძიე რაოდენობისათვის (განყოფილობისათვის ZAB) თქმულში” (გვ. 370).

აღნიშნული მათემატიკური ტერმინების სულხან-საბასეული განმარტებები, რომლებიც „სხეულის“ სტატიაშია გაერთიანებული, პირდაპირ მისდევს შესაბამის მონაცემთს „დიალექტიკის“ არსენისეული თარგმანიდან. საილუსტრაციოდ მოვიტანთ თვით სხეულის, როგორც სამგამზომილებიანი, მოცულობითი გეომეტრიული ფიგურის განმარტებას: „ხოლო სხეულსა პქნან საშნი განვითანი: სიგრძედ სვრცედ, და სიღრმედ, რომელ არს სიზრქე და ერთობისა მწონებელი განიზომების და კერძოთ მისთა აქვს ზოგადად საზღვარი შემარტყმელად მათდა ეპიფანია“ (გვ. 127). განსაზღვრება სიტყვა-სიტყვით მისდევს არსენისეულ ტემსტს ისევე, როგორც წერტილის, ხაზისა და ეპიფანიის განმარტებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბა შედარებით ამარტივებს მოტანილ განმარტებებს, როდესაც ისინი გააქვს როგორც ცალკეული სალექსიკონ ერთეულები. მაგალითად: „სიფრიფანა ეს არს, რომლისა სიგრძე და სივრცე განიზომებოდეს და არა აქვნდეს სიღრმე განსაზომი..., რომელსა ელინნი ეპიფანიად სახელ-სდებენ“ (გვ. 98). მა განმარტებაში საბას შემოაქვს ეპიფანიის ანალი ქართულ შესატყვის „სიფრიფანა“ ეფრემისეული „საჩინოს/ზედ-საჩინოსა“ და „განცხადების“ პარალელურად.

საბას მონაცემებს უშუალოდ უკავშირდება ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულენოვანი წყაროდან შესრულებული თარგმანი „აიათი“ ანუ „ქმნულების ცხობა“, რომელიც 1721 წელს დაიბეჭდა ვახტანგის სტამბაში. ეს არის პოპულარული ხასიათის, სახელმძღვანელოს ტაბის ნაზრომი, სადაც წარმოდგენილია ელემენტარული მათემატიკური და ასტრონომიული ცნებები, ზეცის სფეროებისა და დედამიწის სარტყლების („იყლიმების“) განლაგება, სამყაროს აგებულების, „ქმნულების“ მოდელი. დღეისათვის გაროვლენილია აღნიშნული თხზულების წყარო. ეს არის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ სპარსულ ხელნაწერ კრებულ p 534-ზი შემავალი თხზულება, რომელსაც დიდი სიზუსტით მიპყვება ვახტანგის თარგმანი. ეს უპირველესად ოქმის მის შესავალ, გეომეტრიულ ნაწლობ, სადაც წარმოდგენილია სწყი-სი მათემატიკური ცნებები, გეომეტრიული სახეები, რომლებიც შემდეგ გამოყენებულია სპეციალურ ნახაზებში. განხილული ოთხი ტერმინი აქაც ისე-თოვე სახითაა წარმოდგენილი, როგორც ზემოთვანხილულ თხზულებებში, ოლონდ უფრო მოკლე, მხოლოდ ვანზომილებათა აღნიშვნით, რითაც ხდება სწორედ მათი დაფერენცირება: „თუ ერთ რიგად გაიყოფება, ხაზი ჰქვიან. თუ ორ რიგად გაიყოფება, განსაცა და სიგრძეზედ იმს სიფრიფანა ჰქვიან“ და ა. შ. თარგმანი სიტყვასიტყვით მიპყვება ორიგინალს, („რჩეული აიათის“) ტექსტს. მოცემულ ცნებათა ვახტანგისეული ენობრივი ეკვივალენტები წინწალი (არ. طبقه), სიფრიფანა/სივაკე (არ. سطح), ხაზი (არ. خط) და სხეული (არ. جسم) — თანხვდება საბას ლექსიკონში წარმოდგენილ შესატყვის ტერმინებს, რომლებიც თავის მხრივ უკავშირდება „დიალექტიკის“ არსენ იყალთოელის მიერ შესრულებულ თარგმანს.

საჭიროა გაირკვეს, როგორ ქრონოლოგიურ მიმართებაშია ერთმანეთთან „აიათი“ და საბას ლექსიკონის შესაბამისი რედაქციები. უპირველესად საინტერესოა C (ხელ. ინსტ. ნუსხები: Q 400, H 95, 300) და D (S 2498) რედაქ-

ცოები, რომლებიც განეკუთვნება სულხან-საბა ორბელიანის მიერ ლექტორი კონცე მუშაობის პირველ, ადრეულ პერიოდს (1685-1713 წწ.).<sup>4</sup> უფრო ადრეულია D რედაქცია, რომლის ნაწილი ვახტანგ VI-ის ხელითა გადაწერილი.

C რედაქციაში შესულია ყველა აღნიშნული ტერმინი, „სხეულის“ სტატია უშუალოდ მისდევს „დიალექტიების“ შესაბამის მონაკვეთს. D რეაქციაში კი ვითარება აქტია: „სხეულის“ განმარტებაში არ არის მოცემული სხვა ფიგურათა განმარტებები, განმარტებულია მხოლოდ თვით „სხეული“. ეს განმარტება ისევე, როგორც ცალკე გატანილი „სიფრიფანას“ განმარტება, „დიალექტიებიანაა“ აღებული. სხვაგვარადაა განმარტებული „წერტილი—მცირედი წინწალი“. მას არაფერი აქვს საერთო დამასკელისა და ვახტანგის განმარტებებთან. შემდევ იგი, უკვე C რედაქციაში ისევ „დიალექტიებიან“ შემოიტან საბამ. რაც შეეხება ერთეულს „ხაზი“, იგი D რედაქციაში ბერძნულ შესატყვისთან ერთად (ლრამმი), განმარტების გარეშეა მოტანილი. ამრიგად, საბას ლექსიკონის D რედაქციაში დამასკელის „დიალექტიებიან“-დან შევიდა ტერმინთა და განმარტებათა მხოლოდ მცირე ნაწილი (სიფრიფანა, სხეული). დასრულებული სახე აღნიშნულმა სალექსიკონ მასალამ მიიღო უკვე C რედაქციაში. ამ რედაქციის ხელნაწერებთან ვახტანგს აღარ ჰქონდა უშუალო კავშირი. ქრონოლოგიურად ორივე აღნიშნული რედაქცია უსწრებს „აიათს“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ შემდევი: აღნიშნული ქართული ტერმინები, რომლებიც საბამ მიუსადაგა „დიალექტიების“ არსენ იყალთოელის უეულ თარგმანში მოტანილ ბერძნულ ტერმინებს (ლრამმი — ხაზი, ეპიფანია — სიფრიფანა), „აიათის“ თარგმანში მოხვდა საბას მეშვეობით. ქართული შესატყვისი ტერმინები — წერტილი, სხეული — საბამ უცვლელად გაღმოიტანა არსენის თარგმანიდან. ამავე სახითაა ისინი წარმოდგენილი ვახტანგთანაც. ცხადია, არ არის გამორიცხული ისიც, რომ ლექსიკონის დამუშავების საწყის ეტაპზე საბა და ვახტანგი გარკვეულად თანამშრომლობდნენ ამ თვალსაზრისითაც, მაგრამ დამასკელის ქართულ თარგმანებთან მიღმიღდა უშუალოდ საბა და ამ გზით ეცნობოდა ვახტანგი მისთვის საინტერესო მასალას. ამრიგად, მოტანილი ქართული ტერმინები ვახტანგთან მოხვდა საბას გზით ითანე დამასკელის „დიალექტიების“ არსენ იყალთოელის მიერ შესრულებული თარგმანიდან.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ოთხი საწყისი გეომეტრიული ცნების ბერძნული ტერმინების (სტილმი, ლრამმი, ეპიფანია, სტერეონ) ქართულ ენობრივ შესატყვისთა ხმარების ტრადიცია უკავშირდება ითანე დამასკელის „დიალექტიების“ არსენ იყალთოელის თარგმანს და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მონაცემებს.

<sup>4</sup> ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის რედაქციების შესახებ იხ. ლ. ჭუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957 წ.

<sup>5</sup> იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ს კოლექცია III. თბ., 1963. გვ. 281.

Т. Л. АБУЛАДЗЕ

Резюме

К ВОПРОСУ ИСТОРИИ НЕКОТОРЫХ ГРУЗИНСКИХ НАУЧНЫХ ТЕРМИНОВ.

В статье прослеживается путь становления грузинских научных терминов — *çertII*, *xazI*, *sIbrtqe*, *sxeullI*. Названные термины — эквивалентны восходят к грузинским переводам «Диалектики» Иоанна Дамаскина, выполненным Эфремом Мцире и Арсеном Икалтоели. В специальной литературе более позднего времени (словарь Сулхан — Саба Орбелиани, «Айят» Вахтанга VI) данные математические понятия толкуются на основе пояснений, которые приводятся в переводе Арсения Икалтоели.

---

Digitized by srujanika@gmail.com

ქართველობისა და არმენიობის განვითარების თანამედროვე უტაშე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ დარგების საერთო პრობლემატიკის საკითხების შესწავლას. ამ საკითხთა რიგს გვნეკუთვნება სომეხ ქალკედონელთა პრობლემაც, რომელიც ბოლო ხანებში სომხური ისტორიაზრაფიის ერთ-ერთ ძირითად საკვლევა თვემაა იქნება.

აღნიშვნული პრობლემის სწორ წარმოჩენასა და მეცნიერულ გაზრდებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და სომხეთის ისტორიის სრულყოფილად შესწავლისათვის, ვინაიდან მასთან დაკავშირებულია ორივე ქვეყნის არა მატერიულური კუნფესიონალური, ორმედ ისტორიულ-კულტურული საკითხების მთელი წყება. ამ საკითხებს განკუთვნება ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ტერმინის „**კრაგի აყდალ**“ მნიშვნელობის დადგენა ძველ სომხურ მწერლობაში. ბოლო ხანებში სომეხი მკვლევარნი ტერმინით „**კრაგի აყდალ**“ მოხსენებულ პირთა „სომეხ ქალებითი ხელიად“ გამოცხადების დასამტკიცებლად ერთ-ერთ ძირითად აღგუმენტად თვლიან გარკვეული პერიოდიდან „**კრაგի აყდალ**“-ის თითქოსდა კუნფესიონალური მნიშვნელობით გაგების საჭიროების წარმოქმნას. მათი მტკიცებით „**კრაგի აყდალ**“ („ტომით ქართველი“, „გვარად ქართველი“, „ნათესავით ქართველი“) ნიშნავს არა „**წარმოშობით ქართველს**“, ორმედ „სომეხ ქალკვითონელს“.

როგორც ცნობილია, ძველი სომხური საისტორიო წერილობითი ძეგლები, მიუხედავად საერთოდ შუასუკუნების წყაროებისათვის დამახასითებელი მეტ-ნაკლები ტენდენციურობისა, მთელი რიგი ფაქტებისა და მოვლენების შესწავლისა და დაღვენის შესაძლებლობას იძლევით არა მარტო სომხეთის, არამედ სხვა ქვეყნების, კრძოც, საქართველოს ისტორიიდანაც.

ასეთსაც ვითარებოსთან გვაძეს საქმე „*უფაფხ აყალი“* -ის ჩეალუ-  
რი მიზანილობის აღრიცხვისას.

კარტეცის და სხვ.) სომექ ქალები დონეზებად აცხადებს. ასეთი მცდარი შეხედულება საქმაოდა ფეხმოკიდებული სომხურ ისტორიოგრაფიაში ჰქონის თული ისტორიისა და კულტურის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის არასწორ ისტერპრეტაციის იწვევს, (მაგალითად, ათონისა და პეტრიშვილის ქართული მონასტრების ისტორიის, ტაო-კლარჯეთის, ქვემო და ზემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიის, ამ მხარეთა ეთნიკური შედგენილობის, პოლიტიკური ვა-თარების დამახინჭება).

დღესათვის კი, როდესაც ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია თითქმის ყველა სომხური წყარო და სამეცნიერო მმმქეცევაშია საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ამსახველი მრავალრიცხვოვანი და მრავალნაირი ისტორიული, ეპიგრაფიკული, ლიტერატურული თუ ენობრივი მასალა, განსაკუთრებით საჭიროა არამეცნიერულად, ტენდენციურად განალიზებული მთელი რიგი საკითხების დაზუსტება და მართებულად წარმოჩენა.

სწორედ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო ჩვენ განვიზრახეთ სომხური წერილობითი წყაროების შესწავლისა და მათი სხვა მასალებთან შეჯრების საფუძველზე, სათანადო საილუსტრაციო მასალის მოხმობით, განვაზღვროთ „**Վրացի պყალ**“-ის რეალური შინაარსი, მისი ნამდვილი მნიშვნელობა.

ხოლო რაც ჰეებება „**Վրაցի պყალ**“-ით მოხსენიებულ პირთა სომხურ წარმომავლობის დასატეკიცებლად სომექ მკვლევართა მიერ მოხმობილ სხვა არგუმენტებს, მათ ვეხებით სხვა ნაშრომში: „ზოგიერთი ეთნიკური და რელიგიურ-ეკონფესიონალური ტერმინის მნიშვნელობისათვის სომხურ და ქართულ წერილობით ძეგლებში“.

როგორც სომხურ ლექსიკოლოგიურ ლიტერატურიდანაა ცნობილი, „**պղ**“ (გვარი, ხალხი, თაობა, ტომი, წარმომავლობა) და მისი სინონიმური სიტყვები: „**սոհմ**“ — ტომი, „**սեռ**“ — ჩამომავალი, მოღვამი, „**սիրմն**“ — თესლი, საწყისი, წარმომავლობა, წყარო, ჩანასახი, აღმონაცენი, „**ցեղ**“ — ტომი, გვარი, მოღვამი, „**աղն**“ — ტომი, გვარი, ეროვნება, „**դաւակ**“ — ჩამომავალი, გვარი, ტომი, მოღვამ „**զարմ**“ — თაობა, ჩამომავლობა, გვარი, „**բրն**“ — ხალხი, ეროვნება და სხვ. ყოველთვის წარმომაბაზე მიუთითებენ. პრ. აჭარიანი თავის „სომხური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ტერმინ „**պղ**“ ზემოთჩამოთვლილი განმარტებებით იძლევა და მის სინონიმებსაც ასახელებს<sup>1</sup>.

პრ. აჭარიანის მსგავსად, ალექსანდრე ხუდაბაშიანის „ქველ სომხურ-რუსულ ლექსიკონში“, ი. დალბაშიანის ე. წ. „სრულ სომხურ-რუსულ ლექსიკონში“ და მხითარისტთა მიერ შედგენილ ლექსიკონში, „**պղ**“, მისგან წარმოებული და მისი სინონიმური სიტყვები თავისი მნიშვნელობით „ნათესა-ლასთან“, „ხალხთან“, „წარმომავლობასთან“ არაან დაკავშირებული<sup>2</sup>. მხი-თარისტთა მიერ შედგენილ ლექსიკონშიც საქმაოდ ვრცლადა მოცემული

<sup>1</sup> Հր. Աճարյան. Հայերեն արմատական բառարան 4 հատորով. Երևան 1971, 1973, 1977, 1979 թ.

<sup>2</sup> Բառարան ի հայկական լեզուէ ի Ռուսաց բարբառ. Աշխատասիրութեամբ Ա. Մ. Խուլգաբաշեանց. հատոր առաջին, հատոր երկրորդ. ի Մոսկվ. 1838 թ. Կիակատար բառարան Հայերենից ռուսերեն. կազմեց Յ. Դադրաշեան. Թիֆլիս, 1911 թ.

„**აყდ**“-ის განმარტება თავისი მონათესავე სიტყვებითურთ, რომლებიც ასევე მომავალობაზე „წარმომავლობაზე“ მიუთითებენ<sup>3</sup>.

სტეფანის მალხასიანცის „სომხურ განმარტებით ლექსიკონში“ მოცე-  
მულია „**აყდ**“-ის განმარტებანი, რომლებიც წარმომავლობას უკავშირდება<sup>4</sup>.

მრიგად, სომხურ (როგორც ძველ, ისე ახალ) ეტიმოლოგიურ თუ გან-  
მარტებით ლექსიკონებში „**აყდ**“ და მისი სინონიმები მხოლოდ წარმომავ-  
ლობას აღნიშნავენ და არასდროს ისინი „სარწმუნოების“, „კონფესიონალო-  
ბის“ მნიშვნელობით არ არის გავებული „**აყდ**“-ით „სარწმუნოების“,  
ხოლო ეთნიკური ტერმინით „**ქართველი აყდა**“ (ტომით, გვარად, ნათესავით  
ქართველი) სომებს ქართველონელთა აღნიშვნის შემთხვევები სომხურ წერილო-  
ბით წყაროებში არ დასტურდება. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქს  
როგორც ადრინდელი (ვთქვათ, ქართველ-სომებთა საეკლესიო განხეთქილე-  
ბამდელი V—VIII სს.), ასევე მისი შემდგომი პერიოდის (726 წელს მანაზ-  
ქერტის კრების შედეგად ქართველ-სომებთა განყოფის ხანა, ან თუნდაც  
XI საუკუნის შემდეგი პერიოდი, როდესაც სომებმა ხალხმა დაკარგა სახელმ-  
წიფოებრიობა და მისი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე დამკიდრდა)  
სომხური საისტორიო, აგიოგრაფიული და სხვა ლიტერატურული წყაროები,  
ეპიგრაფიული მასალა, ანდერძ-მინაწერები.

აღნიშვნულის ნათელსაყოფად ამჯერად მხოლოდ ნაწილს წარმოვადგენთ  
იმ უამრავი ცნობებიდან, რომლებიც ყველა პერიოდისა და ყოველგვარი სა-  
ხის სომხურ წერილობით ძეგლებშია დაცული.

V საუკუნის სომებს ისტორიკოსთა (მოესეს ხორენაცი, აგათანგველისი,  
კორიუნი, ფავსტის ბიუზანდაცი, ლაზარ ფარპეცი, ელიშე) თხზულებებში  
ხშირად გვხვდება „**აყდ**“ და მისი სინონიმები: „**զաւակ**“, „**զարմ**“, „**ցեղ**“, „**տո-  
հմ**“, „**ապգական**“, „**ապգատոհմ**“. ასეთივე ვითარება VII საუკუნის სომები ისტო-  
რიკოსის სებეցის, VIII საუკუნის ისტორიკოსს ლევონდის ნაშრომებშიც. სომებ-  
ქართველთა განხეთქილების ამსახველ ძეგლში „**չპისტოლეთ** წეგნი“ („მოსე სო  
მებთა კათალიკოსის ეპისტოლე კირიონ ქართლის კათალიკოსს“) წარმომავლო-  
ბის აღსანიშნავად „**აყდ**“ და მისი სინონიმების გარდა გამოყენებულია შემ-  
დეგი სიტყვები: „**ապգաւ և բնակութեամբ**“. („გვარით და წარმოშობით“,  
ან „ტომით და მკვიდრობით“) კირიონ ქართლის კათალიკოსს სომებთა კათა-  
ლიკოსი მოსე მიმართავს: „ჩვენც, დანდობილებმა შენს ცხოვრებაშე და სი-  
ყვარულშე, აღვასრულეთ შენი ნება და მაგ ქვეყნის წინამძღვრად დაგაყენეთ,  
რადგან, თუმცა ტომით და მკვიდრობით (აպგაւ և բნაկութեამբ) მაგ ქვეყნი-  
დან იყავო, მაგრამ აღრევე განშორებოდი, გაუცხოვებოდი და ცხოვრობდი  
რომაელთა ქვეყანაში<sup>5</sup>.“

<sup>3</sup> Նոր բառդիք հայկագեան լեզուի. երկասիրութեան երից վարդապետաց  
լաշակերտաթեանէ մեծին Մխիթարաց Աբբահօր Հ. Գաբրիէլի Աւետիքեան,  
Հ. Խաչատրու Միւրմէլեան, Հ. Մկրտչի Աւգերեան. հատոր I, II. ի Վենետիկ.  
1836, 1937 թ.

<sup>4</sup> Հայերէն բացատրական բառարան. կազմեց Ստ. Մալխասեանց. հատոր  
I. Երևան. 1944 թ. էջ 8—9.

<sup>5</sup> ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლეულია და ქო-  
მენტარებით გამოსცა ზაზა ილექსიძემ, თბ. 1968 წ., გვ. 128.

წარმომავლობის აღმნიშვნელ ასეთივე სინონიმურ სიტყვებს გვხვდებოდა სომხე-ქართველთა საკლესიო განხეთქილების ამსახველ მეორე მნიშვნელოვან ძეგლში „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომხეთავან“, რომლის ავტორია X საუკუნის მოღვაწე უხტანესი<sup>6</sup>. მასთან წარმომავლობის აღსანიშნავიდ, გარდა „**აყფ**“-ისა და მისი სინონიმებისა, აგრეთვე სიტყვებისა „**აყდას և բრაჟისტხამარ**“ („ტომით და მკვიდრობით“) იხმარება „**აყდას և აշխარჩას**“ („ტომით და ქვეყნით“). კირიონ ქართლის კათალიკოსის შესახებ ზემოთდასახელებულ წყაროში აღნიშნულია: „თვითონ ტომით და ქვეყნით (**აყდას և აშխარჩას**) მათთავანი იყო<sup>7</sup>. „**აყფ**“-სა და მის სინონიმებთან ერთად IX — X საუკუნეების სომხი ისტორიკისი იოანე ღრაძესანაქერტეცი ნათესაობის (წარმომავლობის) აღსანიშნავად ასეთ გამოთქმას ხმარობს: „**აყდასხე ჩართვამასტხეან**“ („ღვიძლი და ხორციელი ნათესავი“): „სიღრმიდანვე არა გარტო მოწავე ციყავი წმინდა კაცის მაშტაცისა, არამედ მისი ღვიძლი და ხორციელი ნათესავი ( **აყდასხე ჩართვამასტხეან**)<sup>8</sup>.

მომღევნო საუკუნეების სომხით ისტორიკოსებიც, თავის წინამორბედთა მსგავსად, წარმომავლობას ძირითადად „**ապկ**“-ითა და მისი სინონიმებით აღნიშნავენ, (მოვსეս კალანკატუაცი, სტეფანոს ტარონეცი, მათეოს ურქაჲცი, მხითარ ანցი, სამველ ანցი, გრიგოლ აკანეცი, სმბატ სპარავეტი, კირაյոს გაռძաკეცი, ვარდან აღმოსავლელი, სტეფაնის ოჩბელიანი, არქელ დავრიუეცი და სხვ.) მაგალითად, სტეფანոს ტარონეცი აღნიშნავს: „Քიურ — շონი.., როცა კი გამეფდა, მას თავისი ნებით ხარჯის გადახდის ვალდებულებით დამორჩილდნენ ტაჭირთა გვარი (**ապկն Տաճկաց**) სამხრეთიდან, სარმატთა გვარი (**ապկն Ասրմատացւոցն**) ჩრდილოეთიდან და ქართველთა გვარი (**ապկն Վրբաց**) აღმოსავლეთიდან<sup>49</sup>.

მხითარ ანეცი „**აყფ**“-ით აღნიშნავს ადამიანთა მოდგმას: „**საფუძველი და დასაბამი ადამიანთა მოდგმისა (აყფ) მარტივულობა**“<sup>10</sup>.

ზემოთ ჩამოთვლილ სომეხ ისტორიულსთა თხზულებებში დაცული გასა-  
ლების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ „**ազգ**“-სა და მის სინონიმებს  
ქვეთ მხოლოდ კონკრეტული, გარკვეული მნიშვნელობა — „ნათესაობა“, „მემ-  
კვიდრეობა“, „მოღვამა“ და ზოგადად, საიმე გადატანით მნიშვნელობით არა-  
დროს არაფერზე (ცოტვათ, სარწმუნოებაზე, აღმსარებლობაზე) არ მიუთითებენ.  
იშის ნათელსაყოფად, რომ ტერმინები „**վրացի ազգաւ**“ („გვარად ქართვე-  
ლი“), „**լազეპէ վրაցի**“ („ქართველთა გვარიდნ“) „**ի տոհմէ վրაցի**“

6 უცტანესი. ისტორია გამოყოფისა, ქართველთა სომხეთიანი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ. თბ., 1975 წ., გვ. 22—23, 32—33.

7 օյցօ, 83. 82—83.

<sup>9</sup> Ստեփանոսի Տարօնեցւոյ Ասողկան Պատմութիւն տիեզերական  
Պիտիքը 1885 թ., էջ 184.

<sup>10</sup> Միթթար Անեցի. Մատեան աշխարհավէպ հանդիմարանոց. Աշխատադրությանը չ. Գ. Մարգարյանի. Երևան. 1983 թ. էջ 63.

„ქართველთა ტომიდან“, „ჩ თხელი ყრაფხ“ („ქართველთა მოდგმიდან“) და სხვ., რომლებითაც ქართველი მოღვაწეები მოიხსენიებიან, ნამდვილად მხოლოდ ეთნიკური ტერმინებია და ყოველთვის წარმომავლობაშე მიუთითებენ, აუცილებლად მივიჩნიეთ მსგავსი ფორმებიანი სხვა ეთნიკური სახელების გასხვენებაც. მივმართოთ ისევ წყაროებს. მოვსეს ხორენაცის თხზულებაში ვკითხულობთ: „არტაშირმა ...უკან დააბრუნა ლტოლვილნი, დაეცულა მათ ციხესიმაგრეებს, ერთი ნახარარის ოტას [კუთხნილის] გარდა, რომელიც ამატუნთა ტომიდან (ჩ თხელქნ Ամათონხაფ), სლეუნთა გვარის (ადგინ Սეկონხაფ) სიძე და ხოსროვის ასულის, ხოსროვიდუხტის გამზრდელი იყო“<sup>11</sup>.

აგათანკელოსთანც ასეთივე ვითარებაა: „მტკიცებლენინ, რომ ქრისტე წარმომავლობს დავითის გვარიდან (ფაფქ ზასჭხ) სოფელ ბეთლემიდან“<sup>12</sup>.

ფაგსტოს ბიუზანდაცი, კორიუნი, ლაზარ ფარპეცი წარმომავლობის, მოღვამის, ნათესაობის აღსანიშვად ყოველთვის „აყდალ“, „լაყბე“, „ჩ თორ-მჯნ“ და მათი სინონიმების ამგვარსავე ფორმებს იყენებენ: „აყდალ სასოფტ“ („გვა-რად, წარმოშობით ასტრი“), „აყდალ ნოუ“ („გვარად ბერძნი“) „ლაყბენ სამათ-ონსაკავ“ („ამატუნთა გვარიდან“), „ჩ სამსესიონხაუ თორმჯნ“ („მამიკონიანთა ტო-მიდან“), „ლაყბე მადალირავნ ჯალივ“ („სომებ მეფეთა საგვარეულოდან“), „აყდალ ჩ რიტალაჲ և ქაჭანალი თორმჯნ სერბონხავ“ („წარმოშობით არ-ტრუნთა ძლიერი და გამოჩენილი ტომიდან“).

<sup>11</sup> Առվասիսի խորենացւոյ Պատմոթիւն Հալոց, աշխատասիրութեամբ Մ. Արեգեան և Ս. Յարութիւնեան. Տփղիս. 1913 թ. էջ 215—216.

<sup>12</sup> Աղքաթանգևելի Պատմոթիւն Հայոց. Աշխատովեամբ Գ. Տեր-Մկրտչեան և Ստ. Կանալեանց. Տիգրաս. 1909 թ. էջ 199.

<sup>13</sup> Եղիշենի վասն Վարդանալ և Հայոց պատերազմին. ի լուս ածեալ բաղ-  
դաստիեամբ ձեռագրաց աշխատոթեամբ Ե. Տէր-Մինասեան. Երեքան  
1957 թ. էջ 193—194.

კირაკოს განძაკეცი, სტეფანოს ორბელიანი, ანონიმი (ვინმე სებასტიუმენტის მეწოდეცი, ჰასან გალალიანცი და სხვ.). დასახელებულ სომექ ისტორიკოსთა ნაშრომებში დადასტურებული ტერმინები „აყდალ“, „კადეტ“, „ჩ თორმძე“ „ჩ ყალატებ“, „ჩ გენერალი“ და სხვა მათი სინონიმების შემცველი სიტყვები ყოვლთვის ამა თუ იმ პიროვნების წარმომავლობაზე, ნაციონალობაზე მიუთითებენ: „კადეტი სერგალისათ—არშაუნთა გვარიდან, ჩ თორმძე სამათოსათ—ამა-ტუნთა ტომიდან, ჩ გენერალი დაპლავის გვარიდან, ჩ კავაკე სენისხერ-ჩძალი—სენისერიმის მოღვაძლი, აყდალ სუორები—ნათესავით, გვარად ასტრი, აყდალ შონ—გვარად, ნათესავით ბერძენი, აყდალ სერგალისათ—გვარად, ნათე-სავით არშაუნი, ჩ სამათისათ თორმძე—მამიქონიანთა ტომიდან, ჩ ფარსებ თორმძე—სპარსთა ტომიდან, აყდალ ქურგალისათ—წარმოშობით არშაუნის სახლიდან, ჩ თორმძე ჯავაჭი—ჰაიის ტომიდან, ზოთუნის აყდალ—ნათესავით, გვარად გნუნი, მაქრენისათ კადეტ კამასარაკამან—დედით კამასარაკანთა გვარი-დან, ნათესავისაგან, მაყრავათის აყდალ—ნათესავით, გვარად ბაგრატუნი, აყდალ ჯული—ტომით, გვარად ჰიონი, ვალიძ კარმერი ფარსებისათ—პაპ-ლავუნთა ამ გვარიდან, კადეტ სამათალისათ—მანდაკუნის გვარიდან, სერგონის აყდალ—ნათესავით, გვარად არშაუნი, კადეტი ფადჩნილაგ—პაპანიკია ტომიდა-გან, გვარიდან, ხამატელაგ აყდალ—გვარად, ტომით ისმაირელი, აყდალ ქორე—ტომით თურქი, კადეტ ჯრები—ურიათა მოღვაძლი, ჩ გენერალისათ—ორბელიანთა გვარიდან, აყდალ ნესოლაგ—ტომით მოისართა, კადეტ საფრანგეთ ქორალი—ლომები გვარიდან და ძირიდან, ჯაფ აყდალ—გვარად სომეხი და სხვა მრავალი.

ზეპირ ჩაითვლილ ეთნონიმთა სსგანსაღ „ქრაგებ აყდალ“, „ჩ თორმძე ქრაგ“, „კადეტ ქრაგ“, „ჩ გენერალ ქრაგ“ გულისხმობს „წორმოშობით, ნათესა-ობით, მოღვმით ქართველს“, „ქართველთა ტომიდან, გვარიდან“ და არასეროს არ ნიშნავს ქლევრონური აღმარებლობის მიმუევარ სომეხს.

ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, სინამდვილეს რომ თავი დავანებოთ, გრამატიკული წყობის თვალსაზრისითაც გაუმართლებელია და-წყებითი ანუ გამოსვლითი ბრუნვით წარმოდგენილი ეთნიკური სახელი „კადეტ ქრაგ“, („ქართველთა გვარიდან“), „ჩ თორმძე ქრაგ“ („ქართველთა ტომიდან“) გავიაზროთ და ვთარგმნოთ „ქართველთა სარწმუნოებიდან“. მა-გალითად, სტეფანოს ტარონეცის ცნობა ითანებული იყო თორნიკეს (თორნიკე ერის-თავის) შესახებ „ქორალი კადეტი ქრაგ ქრაგ“ უნდა ითარგმ-ნოს: „თორნიკე სარდალი იყო ქართველთა გვარიდან (ტომიდან, მოღვიდან) (კადეტი ქრაგ) და არა ასე: „თორნიკე სარდალი იყო ქართველთა სარ-წმუნოებიდან“. ზემოთ მოტანილი კონტექსტის სხვაგვარად გააზრება ისევე შეუძლებელია, როგორც, ვთქვათ, XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის პე-თუმის თხზულების შემდეგი ნაწყვეტის: „ხელ ხსოვნ ნამა կინ კმათებათინ კადეტ სამათის კასხერნ“<sup>14</sup>. „და მისცეს მას ცოლად თოტორი მანუელ კეიისრის გვარიდან (კადეტ სამათის კასხერნ)“ სხვაგვარი გავება.

<sup>14</sup> ჯემთა აფათმების აყდალანა აკან აგრძალებული სამათოს ქორალი (XIII դ.) სამათის ამანანასას კადეტის სამათოს ქორალი (XIII—XVIII դ.) ჩამორ ქ. კადეტ ქ. ს. ჯაფრან. სერეჭან. 1956 թ. էջ 106.

დაუშვებელია ონიშოლული ცნობის ასე თარგმნა: „და მისცეს მას ცოლადისათვის თოტორი მანქელ კეისრის სარწმუნოებიდან“. ამ შემთხვევაშიც სიტყვა „ქაყაჯი“ ნიშნავს „მოღმას, წარმომავლობას“ და არა „სარწმუნოებას“.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სომხურ წერილობით ძეგლებში ეთნიკური ტერმინით „ქრაფხ აყდას“, „ქაყაჯი ქრაფა“, „ჩ ყელტნ ქრაფა“, „ჩ თორმაქ ქრაფა“, „ჩ კასაჭი ქრაფა“ და სხვ. ცნობილი ქართველი მოღვაწები არიან მოხსენებული: ქართლის კათალიკოსი კირიონი, იოანე თორჩიე, ეპისკოპოსი ზაქარია ვალარშაკერტეცი, ლიპარიტი და მისი ძმები რატი და ზვარი, გრიგოლ ბაკურიანის ძე, ვახტანგ V (შავარგაზი) და სხვ., რომელთა ქართულ წარმომავლობაში ეჭვი არ-უნდა შეეპაროს კაცს, მაგრამ ვინაიდნ ეს საკითხი საქამაოდ არის ქცეული სომხურ ისტორიოგრაფიაში, საჭიროდ მივიჩნიეთ სომებ მეცნიერთა კონცეფციის ერთ-ერთი მთავრი არგუმენტის, ეთნიკური ტერმინის „ქრაფხ აყდას“ თითქოს „სომებ ქალკედონელთან“ გაიგვიპის მცდარობის ჩვენება.

ეთნიკური ტერმინით „ქრაფხ აყდას“ (ნათესავით, გვარად, ტომით ქართველი) მოხსენებული პიროვნებანი (კირიონ კათალიკოსი, იოანე თორჩიე, ზაქარია ვალარშაკერტეცი, ლიპარიტი, რატი, ზვარი, გრიგოლ ბაკურიანის ძე, ვახტანგ V (შავარგაზი) თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით იმდენად მციდობოდ იყვნენ დაკავშირებული საქართველოს ბევრ პოლიტიკურსა და კულტურულ საქმიანობასთან, ისე დაუზოგავად, უანგაროდ იღვწოდნენ ქართული სახელმწიფოს სიმტკიცისა და მისი კულტურის ამაღლებისათვის, რომ სომებმა მეცნიერებმა რაც არ უნდა სომხებად გმოვაცხადონ ისინი, ეს სრულიადაც არ სცვლის მათი მოღვაწეობის ხსიათს და არ აშორებს მათ ქართული ფერდალური საზოგადოებისაგან. მაგალითად, XIII სუკუნის ცნობილი სომები ისტორიის სტეფანის რბელიანი წარმოშობით ქართველი იყო, მაგრამ ორბელთა გასომხებული შტოს ერთ-ერთ წარმომადგენლად ითვლებოდა და იმდენად მციდროდ იყო დაკავშირებული თავისი საქმიანობით სომხურ საზოგადოებასთან (სივნიერის მიტროპოლიტი იყო) როგორც მოღვაწე და ისტორიკოსი, რომ მას ქართველად ვერ გამოვაცხადებთ. იგივე შეიძლება ითქვას XVII საუკუნის სომებ ისტორიის ზაქარია სარკავაგზე, რომელიც, სტეფანის ორბელიანის მსგავსად, წარმოშობით ქართველი იყო. იგი მძვლად წაყვანილ ქართველ წარჩინებულთა ოჯახს ეკუთვნოდა. შემდეგ კი ზაქარია თავისი მოღვაწეობით სომხურ საზოგადოებას დაუკავშირდა და მის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად იქცა.

თუკი სტეფანის ორბელიანი და ზაქარია სარკავაგი, მიუხედავად მათი ქართული წარმომავლობისა, გასომხებული არიან, სომხური საზოგადოებისათვის მოღვაწეობის გამო უკვე აღარ ითვლებიან ქართველებად, მაშინ წარმოშობით ქართველები (ე. წ. „ქრაფხ აყდას“-ად წოდებული), რომლებიც საქმიანობითაც ქართულ საზოგადოებასთან არიან დაკავშირებულნი და ქართული საქმიანობის იღწვიან, რატომ უნდა მივიჩნიოთ ქალკედონელ სომხებად, როგორც ეს სურთ სომებ მკვლევარებს.

„ქრაფხ აყდას“-ად წოდებულ ქართველ მოღვაწეთაგან ცალკე უნდა გმოვყოთ ქართლის მეფე ვახტანგ V (შავარგაზი) რომელიც, მართალია, სომხურ წყაროებში „ქრაფხ აყდას“-ად იწოდება, მაგრამ ტერმინით „ქრაფხ აყდას“ წოდებულ სხვა ქართველთაგან განსხვავებით სომებ მეცნიერთა

ნაშრომებში სომებს ქალკედონიტად არ იხსენიება, ამ კონტექსტში ჟართოდ არაფერია თქმული მის შესახებ. საკითხის უფრო ნათლად წარმოდგენისათვის მიმღებართოთ თვით სომხურ წყაროებს. XVII საუკუნის სომები მემატიანის ზექარია ავულეცის „დღიურის“ ერთ ცნობაში. ქართლის მეფე ვახტანგ V (შავნავაძი) („*ქრავები აყალი*“)-იდ იწოდება: „(1125+551=1676) წლის 15 ავგისტო. შავნავაძ ხანი, რომელიც იყო გვარად ქართველი (ქრავები აყალი) შავნავაძმა აღრევე ისპავანში წაიყვანა, გაამამადიანა და უბოძა თბილისის ხანობა“<sup>15</sup>.

რა თქმა უნდა, უკვე მეტისმეტი იქნებოდა, თეიმურაზ მუხრანბატონის შთამომავალი, ცნობილი ქართველი მეფე ვახტანგ V (შავნავაძი) სომებს დიონიშიტად გამოეცხადებინათ. სწორედ ამიტომ, შავნავაძზე არათუ მსჯელობას, საერთოდ ხსენებასაც კი არა აქვს ადგილი სომხურ ისტორიოგრაფიაში, როდესაც „*ქრავები აყალი*“-ით მოხსენიებულ პიროვნებებზეა ლაპარაკი.

რაც შეეხება „სარწმუნოებას“, „რელიგიურ-კონფესიონალურ კუთვნილებას“, მათ აღსანიშნავად ამავე წყაროებში სპეციალური ტერმინებია გამოყენებული: *կրօնք*, *հաւատ*, *տիստ*, *օրէնք* (*օրէնք*), *գաւանոթիւն*, *աւանդոթիւն*, *խոստավանոթիւն*. მაგალითად, ლაზარ ფარპეცის თხზულებაში სპარსეთის მეფის იაზ-კერტის სიტყვაში თავისი კარის ავაგებისადმი მითითებულია: „ხოლო თუ რაიმეს სხვაგვარად ფიქრობთ და ნამდვილად კერპად დაიჩემებთ იმ აზრსა და მცდარ რჯულს (*օրէնք*), რომლითაც აქამდე ცხოვრობთ სომხები, ქართველები (*վիրք*) და ალბანელები, არაფრად მივიჩნევ თქვენგან ამდენ სარგებლობა-სა და შრომას, არამედ ცოლშივილითა და გვარითურ (მოდგმით) (*აყალი*) მოესპობთ“. ქართველმა, სომებმა და ალბანელმა აზატებმა კი შეუთვალეს იაზერტს: „ჩევენგან ითხოვთ ჩვენი ურველესი და შეჩვეული მშობლიური აღმსარებლობის (աւանդոթեան) დამსხვრებას და ძალით გინდათ ვალი-აროთ რჯული (*օրէნքց*), რომელიც არც ჩვენ და არც ჩვენ მამებს არ მი-გვიღია და არ გვყვარებია“<sup>16</sup>.

ფავსტოს ბიუზანდაცი თავის თხზულებაში „სარწმუნოების, რჯულის“ აღსანიშნავად ხმარობს „*օրէნք*“-ს და „*կրօնք*“-ს. იქ ვკითხულობთ: „იგი ყრმობის ასაქში იყო და როგორც ყრმებს ექცეოდენ, წესისამებრ, სომხური რჯულის შესაბამისად („*բատ կրօնից Հայոց*“) ჭაბუკ არტავაძს თავი გადაპარსეს და დაუტოვეს მხოლოდ ქოჩორი და ნაწნავი“<sup>17</sup>. მომდევნო პერიოდის სომხურ წყაროებში „სარწმუნოების“ აღსანიშნავად „*օրէნք*“ და „*կրօնք*“-თან ერთად ხშირად გვხვდება სიტყვები „*հաւատ*“, „*գաւանոթիւն*“, „*տիստ*“, „*խոստավանոթիւն*“, მაგალითად, უხტანესთან მითითებულია: „აშ დაიცავი ის

<sup>15</sup> Զաքարիա Ակուլիցու որոգրությունը. Պատ. Խմբագիր պրֆ. Ս.Վ.Տեր-Ավետիսյան. Երևան. 1938 թ. էջ 140.

<sup>16</sup> Ղազարայ Փարպեցոյ Պատմոթիւն Հայոց և թողի առ Վահան Մամիկոնեան խմբ. Մտ. Մալիսասեանց. Տիգիս 1904 թ. էջ 48—49.

<sup>17</sup> Փաւատոսի Բուգանդացոյ Պատմոթիւն Հայոց ի լուս ած Ք. Պ. Ս. Գևառերուրդ 1883 թ. էջ 213.

სარწმუნოება და აღსარება („რათავა և ქსოვილანობები“) წმიდა მამთბა: სცან იგი, რაც კავად მეფეთა მეფის დროს იქმნა გამოძიება სარწმუნოებათა (რათავა) გამოკვლევისა. რომაელებმა ქალკედონის სარწმუნოება (ყვაეთებულის) მიიღეს<sup>18</sup>.

ქრისტეს რჯულის მიმღევარი მათელის ურბაეცისთან „რათავახელ ქრისტუსი“ („ქრისტეს მორწმუნება“) იწოდება: „ამ წელს გარდაიცვალა დამიშმანი, ჰორმითა ქვეყნის დიდი ამირა, რომელიც სომეთა გვარიდან იყო (კაფენ ჩაწერა), კაცი კეთილი, ქვეყნის გამზენებელი. იგი ფრიად ცოწყალე იყო ქრისტეს მორწმუნეთა (რათავახელის ქრისტუსი) მიმართ; დიდი მწუხარება მოეფინა მორწმუნებს, რომლებიც მისი ხელქვეითი იყვნენ“<sup>19</sup>. თომა მეწოდების თხზულებაში „სარწმუნოების“, „რჯულის“ აღსანიშვნად „კრისტუსი“-ისა და „იორენტუსი“-ის ერთდროულად ხმარების შემთხვევას გვხდებათ: „ხოლო ქართველია მეფე (ბაგრატ მეფე) აღიერს სულიწმინდის სიბრძნით, ვოატყუა იგი (თემური) და უთხრა: „მომეცი დიდძალი ჯარი, რათა წავიდე ქართლში, დავგაბატრონო მთელ ქვეყნისა და თქვენს რჯულზე (ჩ კრისტუს ბერ) მოვაქციო, რაფან რვა ენის მფლობელია ეს ტომი და ყველის დაგამორჩალებ და ზენ რჯულზე (იორენტი) დავაყენებ. ესენი არიან: დვალი, ოსი, მერქალა, შეგრელი, აფხაზი, სენი, ქართველი, მესხი“<sup>20</sup>...

არაქელ დავრიცეცი ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის, სადაც ეთნოკური ტერმინი გამიგნულია რელიგიურ-კონფესიონალურ ტერმინისაგან: „და იყო მელიქ შაპნაზარი სომეთა გვარიდან (კაფენ ჩაწერა) და სარწმუნოებით ქრისტიანი (რათავათქ ქრისტუსი), ძლიერი და სახელგანთქმული მთავარი“<sup>21</sup>.

ეთნიკურ და რელიგიურ — კონფესიონალურ ტერმინთა ხმარების ასეთივე ვითარება დასტურდება, მაგალითად, სტეფანოს ორბელიანის „სისაკანის სახლის ისტორია“-ში: „სუმბატმა რა იხილა პირველად ყველა დიდებული და სამეფო კარის უხუცესი, ამცნო მათ თავისი მოსკლის მიზეზი. იგი მოიყვანეს და შეახვედრეს დიდ მეფეს და მიართვეს თვალი პატიოსანი. მას ფრიად ესიამოვნა, შეაქო და ჰკითხე: რა გვარისა ხარ (ვინ ხარ წარმოშობით?) (ქანչ აყდ სა). მან უპასუხა: სარწმუნოებით ქრისტიანი ვარ (რათავათქ ქრისტუსისა სა) და გვარად (ნათესავით, წარმოშობით) სომეხი (აყდალ ჩაქ)<sup>22</sup>.

რაც შეეხება „ქალკედონურ აღმსარებლობას“ (დიონიზიტობას), თვით „ქალკედონელს“ (დოფიზიტს), მათ აღსანიშნავადაც სპეციალური ტერმინებია დაცული სომხურ წერილობით ძეგლებში: „კაფენების რათავა“, „გათავათქუსი ქალკედონის კაფენები“ — „ქალკედონის აღმსარებლობა“, „იუდ კაფენების კრისტუსი“ — „ქალკედონის მიდღვრები“, „ხელარენალ“ — ორბუნებიანი, „კაფენებისათვის“. 1898 წ. ტ. ტვ 297.

<sup>18</sup> უხტანესი... გვ. 30—31.

<sup>19</sup> შათრენტის მონასტრის ტაძანასას აღმისახურების შესახური. 1898 წ. ტ. ტვ 297.

<sup>20</sup> თომა მეწოდელი და სომხური ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, შესავალი წელი და კომენტარები დაურთო ლ. მელიქესებეგმა, თბილისი, 1937 წ., გვ. 19—20.

<sup>21</sup> ყათამთქუსი სოსაფხელ ქართვათქსთხი ზარების შესრულების შესახური. 1896 წ. ტ. ტვ 96.

<sup>22</sup> ყათამთქუსი სახანდების სისახლის აღმარხების შესახური. 1910 წ. ტ. ტვ 408.

<sup>23</sup> Սերէոսի եպիսկոպոսի Պատմութիւն. բաղդատութեամբ ձեռագրաց հանդիք առաջարանիւ և ծանօթութեամբ ի ձեռն Ստ. Մալիսասեանց. Յերեվան. 1939 թ. էջ 125.

<sup>24</sup> „ପ୍ରେସ୍ଟିଳ୍ଲେଟା ଫିଲ୍ଡନ୍‌...“ ୧୩. ୩୯.

25 უცტანესი... გვ. 92—93.

26 ප්‍රකාශනය... 83. 39.

27 030... 83- 208—209.



ქალკედონელებსა და მონიფიზიტებს შორის საუკუნეთა მანძილზე არ გამოიყენებოდა წინააღმდეგობა და უძრავი რთდაპირისპირება მეტნაკლები სისრულობის მიხედვის მიზანით და მოცულობითაა ასახული ძეველი სომხური მწერლობის ყველა ძეგლში. საყურადღებოა ამ თვალსაზრისით იოანე დრასანაკერტეცის ცნობებიც. იგი, როგორც სომხური ეკლესიის მამამთავარი, მონიფიზიტები მრწამსის აღ-ლოგეტი, ხაზგასმით გმოხატავს თავის მტრულ განწყობილებას ქალკედონური აღმსარებლობისადმი. იოანე წერს: „თუმცა ხშირად მაწვეველი [მომღილა] და სიყვარულით აღსავს სურვილით მიწვევდა კეისართან სასახლეში, მაგრამ არ ვისურვე, რადგან ვფიქრობდი, რომ შეიძლება გმოჩენილყო ვინ-შე, ვინც თავისი თვალით მნახვდა და ჩემს იქ მისვლას ჩემი ქალკედონიტობით (իմ ի քաղկեդոნիսთ) [ასხნია] და ვე გაუაბირებულად მიძინევდა“<sup>28</sup>. აქედან ისტორიკოსი აღმიშნავს: „მის [აბრამის] დროს ქართლი განუდა სომხებთან ერთობას და სათნოდ მიიჩნია ყოფილიყო თანამდგომი ქალკედონელთა ბოროტი აღსარ ე-ბიძა (կցიր չარ აღასტყინ քაղկեდონაქანაց) და შევფალა წმინდა მამების სა-ზღვრი, დაიგიყენეს სალვოთ აღთქმა“<sup>29</sup>. მოცეს კალანკატუაციც ხშირად ახსნებს სომხე-ქართველთა საეკლესიო განხეთქილებას და ქალკედონური აღმსარებლობის აღია-რებას ქართველების მიერ: „ცხრა ხარისხის [შესაგებად] ეკლესიის მთავრმა მეს-ვეურებმა თავისი ნებით, სომებთა ამპარტავანი ხსიათის შესაბამისად პატრი-არქეად დაადგინეს აბრამი, არქიეპისკოპოსად — ალვანელი, მიტროპოლიტად კი — ქართველი. განაწყენდა ქართველი, რომელსაც კირიონი ერქვა და მიზეზს უძებდა განხეთქილებისთვის. ხოლო წმინდა მამამთავარმა აბრამმა განაცხადა, რომ ქართველებზე აღრე ალვანელები გახდნენ მორწმუნენი და ამიტომაც იქ უნდა ზამეციდრდეს მთავარებისკოპოსობათ. ამ დავისა და მართლმადიდებლური რწმენის ძიებაში ქართველები გამოყვნენ (მოიცნენ) და გაზღნენ ქალკე-დონიტები (քაღկედონისთ)“<sup>30</sup>. ქალკედონური აღმსარებლობის აღსანიშნავად, მათეოს ურბაეცი, „ჩაւათ ანიონ քაღկედონი“ („ურჩულო ქალკედონის სარწმუნოების“) გარდა ხმარობს აგრეთვე „ჩაւათ აღეხს Հილომეფ“ („შორომ-თა ტომის სარწმუნოება“).

ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიონალური ტერმინების გამოყვნის სურათი კარგად ჩანს შემდეგიღონდელ ისტორიკოსთა თხზულებებშიც. მაგალითად, კირაკოს განძაევცი აღნიშვნას: „ისინი წარმომავლობით ხახენიდან იყვნენ, წარჩინებული გვარიდან (*კერძეს აყდე*), სარწმუნოებით ქრისტიანები (ჩატათი დრესაონსეაფი), მართლმადდებელი (თლეაჭაოფ) ტომით (გვარად) სომხები (აყდას ჩაფ)“<sup>31</sup>. სხვა შემთხვევაში კირაკოს განძაევცი ქრისტიანულ სარწმუნოებიდან გამოყოფს „სომხურ რესულს“, „სომხურ სარწმუნოებას“ (ჩატათ ჩაფიც). ზაქარია მხარეგრძელისა და მისი თანამშრახველთა შესახებ თსტორიკოსი წერს: „გაიხარა დოდმა სარდალმა ზაქარიამ და ყველა სომებია, რომლებიც მის ჯარში იყვნენ. ისინი უფრო მეტად განმტკიცებულ სომებთა მართალი სარწმუნოებით

<sup>28</sup> የጤናኝ ሲሆን እና ተከራካሪ ስምምነት በመሆኑ... እ፡ ማሻሻልበትዎች ጥምር/ቤተክ... 23, 213.

<sup>30</sup> Մովսեսի կազմանկատուացւոյ Պատմոթիւն Աղուանից աշխարհի. Թիֆ-իս 1912 թ. էջ. 311—312.

Հ կիրակու Գանձակեցի. Պատմութիւն Հալոց. Աշխատասիրությամբ. Կ. Ա. Մեհրօ-Շահնաւանանի. Եղեգնան. 1961 թ. էջ 206.

XIII საუკუნის მემატიანის, ვინერ ანონიმი სებასტიანის თხზულებაში, ერთ ძველ ქალების, ქალების დაცვითი მიზანით „ქართველთა რჯულია“ ნახსენები. ამ ცნობაში გაღმოცემულია ივანე მხარგრძელის გარნი-სთან დამატების ამბავი და შემდეგია აღნიშნული: „ეს მოხდა ივანეს ბორტებათა გამო, რომელმაც განიზრახა, რომ როგორც კი სძლევდა მათ (მრებებს), სომხებს ქართველთა რჯულზე მოაქცევდა (ჩ ყოინ ჭრაჲ ჭარაჲ განანէ)“<sup>38</sup>.

<sup>32</sup> Կիրակոս Գանձակեցի. . . էջ 215.

33, 0330.. 33, 224.

34 օվ33... 33 38.

<sup>36</sup> У тեսքանոս Օբյեկտեան էջ 97—98.

<sup>37</sup> 93—94.

<sup>38</sup> Անանտն. Արքայուացու ապրեգրովթլունը. Մանր ժամանակագրովթլուն-ներ. XIII—XVIII դդ հատոր II. կազմեց Վ. Հակոբյան. Երեվան. 1956թ. էջ. 138.

ამრიგად, სომხურ წყაროების მრავალნაირი, როგორც აღრე-  
ული, ისე გვიანდელი პერიოდის მასალის გაანალიზების შედეგად ნათელი ი-  
რომ სომხი ისტორიულს გარკვეული ტერმინებით მოიხსენიებენ სხვა-  
დასხვა რელიგიურ — კონფესიონალური მოძრვების მიმდევარ პიროვნებებს  
(იქნება ეს ქრისტიანი, მართლმადიდებელი, ქალკედონელი, სომხური, ბერ-  
ნული თუ ქართული აღმსარებლობისა ამლიარებელი) ისიც აშკარაა, რომ რე-  
ლიგიურ — კონფესიონალური ტერმინების ასეთი სიმრავლის ასებობისას სარ-  
წმუნოების მნიშვნელობით ეთნიკური ტერმინის ხმარების აუცილებლობა თუ  
საჭიროება ამავე წყაროებით არ დასტურდება (ვთქვათ, ჩავ აყდათ  
(ტომით სომხი) ყოველთვის ნიშანავს წარმოშობით სომხეს და არა სომხური  
აღმსარებლობის მიმდევარს, ასევე ჩავ აყდათ (ტომით ბერძნენი) — ბერ-  
ძნებს და არა ბერძნული აღმსარებლობის ამლიარებელს, ან ქართველი აყდათ  
(ნათესავით ქართველი) წარმოშობით ქართველს გულისხმობს და არა სომებს  
ქალკედონელს (ქართული აღმსარებლობის მიმდევარ სომხეს).

ჩვენთვის საინტერესო საყითხის უფრო მეტი ნათელყოფისათვის ვნახოთ  
როგორ იწოდებიან სომხურ წყაროებში წარმოშობით სომხი და აღმსარებ-  
ლობით ქალკედონელი მოღაწენი კონკრეტულ შემთხვევაში. უხტანესის ცნო-  
ბით „ბერძნთა მხარეს დასვეს მოხეს საყდრის მოწინააღმდეგე ვინმე ითანე  
ორბუნებიანი (զահան ոմն երկարնակ), რომელიც არ ითვლება სომეთა მა-  
ჟამთავრების რიცხვში“<sup>39</sup>. აქევე გვინდა შევნიშნოთ, რომ ითანეს თანა-  
მედროვე იყო ქართლის კათალიკოსი კირიონი, რომელიც წყაროებში, რო-  
გორც ცნობილია, „ქართველ ად (წარმოშობით ქართველად) და  
სარწმუნოებით ქალკედონიტად იწოდება, ითანე კოგოვიტეცი კი ამავე წყა-  
როების მიხედვით სომხური წარმომავლობისა (კოგოვიტიდან), ასევე ქალკე-  
დონელი, ორბუნებიანად წოდებული. მისი ქალკედონელობა ტერმინით  
„երկարնაկ“ (ორბუნებიანი) აღინიშნება, ასევე ორბუნებიანად იწოდება  
მოესეს კალანკატუაცისა და სტეფანოს ორბელიანის მიერ VII—VIII სს. მო-  
ღვაწე, გარდმანის ეპისკოპოსი ბაյური (შემდეგში ნერსეს კათალიკოსად წო-  
დებული“<sup>40</sup>.

მათეოს ურბპეცის თხზულებაში ერთი სომხი მთავრის შესხებ შემდეგს  
ვკითხულობთ: „ამ დროს მოკლულ იქნა სომეთა მთავარი ეპისტრი, კაცი მხნე  
და მებრძოლი, შირაკის სახლიდან, რომელიც თავისი სიმამაცის გამო შე-  
ვევწროვა ბერძნთა მეფემ, პორომთა სარწმუნოებით მონათლა (իւ.քեաց զնա  
ի Հասմ հաւատն), მაგრამ იგი ფარულად თავის მშობლიურ, წმინდა გრი-  
გოლის სარწმუნოებას ემსახურებოდა (ի ծածուկ գ'ապեհնի հաւատն իւր պաշտէր  
զսրբու Գրիգորիս)“<sup>41</sup> ამ ცნობაშიც გადმოცემულია სომხი მთავრის ეპისტრის  
ქალკედონიტად მონათვლის ამბავი (Հասմ հաւատն), რომელიც ფარულად თავის  
სარწმუნოებას (სომხურ, რჯულს, მონოფიზიტობას (հայրինի հաւատ) ინარჩუნებდა,  
სწორედ ამიტომ ისტორიკოსი მას ლანძლვით არ ხსენიებს, მაგრამ სულ სხვა ვითარე-

<sup>39</sup> უხტანესი... გვ. 106—107.

<sup>40</sup> Մովսէսի Կաղանկատოւացւու Պատմոթիւն... էջ 335—349. Ստեփաննոս  
Օբրէլիան... էջ 280, 554—455.

<sup>41</sup> Մատթիոս Աւանալեցի... էջ 214.

ბას მათეოს ურპავისი იმავე თხზულების სხვა ადგილის, როდესაც იყო მომავალი კოსი განსაკუთრებით მტრულ განწყობილებას გამოხატავს ბერძნული რებლობის მიმდევარი (ე. ი. ლიოფიზიტი) სომეხი მთავრის ფილარეტოსისადმი. მას მათეოსი აუგადაც ისხენიებს მის მიერ ბერძნული რჯულისა და ცხოვრების წესის აღიარების გამო. იგი წერს: „ამ დროს მძლავრობდა ურჯულო და უპორორებესი მთავარი ფილარეტოსი, რომელიც იყო სატანის პირშოთ... მან ბრძოლა დაწყო ქრისტეს მორწმუნებთან, ვინაიდან ოვითონ ქრისტეს ურწმუნო იყო. ამც სომხები და ამც ჰორომები [თავისიანალ] არ მიიჩნევდნენ.“

[ცროვრების] წესი და რჩული პორომთა პქონდა (ეფარქნ և ჰირიქნ ყვითომ-  
ენ თუნტე), გამითა და დედით კი სომები იყო (ჩავერქნიხოჭნ և მავერქნიხოჭნ  
რას ტე)“<sup>42</sup>. ვათეოს ურპავეცის ზემოთალნიშნული ცნობა წყაროდ აქვს გამოყენე-  
ბული სმბატ სახარაპეტის (ან შესაძლებელია ორივესთვის მესამე წყარო არსებობს).  
სმბატ სპარაპეტი პირდაპირ წერს ფილარეტოსის შესახებ: „გვარად (ტომით, წარ-  
მოშობით) სომეხთაგანი იყო (აყდა ի ჩაფა ტე)“, მის ქალკედონელობაზე კი  
შემდეგნაირად მიუთითებს: „ჰემარიტ სარწმუნოებას არ ივავდათ (ոչ ტე ჩასა-  
მახალ ի ჩასამა ზღმარქით)“.

მათეოს ურავეცის თანახმად ფილარეტ ვარაუნძინი მაპმადიანინბაც კი  
მიიღო, ბოლოს ისევ ქრისტიანულ რეულს დაუბრუნდა<sup>43</sup>. ჩოგორუც ვხედავთ,  
წერილობით წყაროებში ამ სომეხი დიოიზიტი მოღვაწის მონოფიზიტობი-  
დან ქალყედონელობაზე გადასცლა, შემდეგ გამაპმალიანება და ბოლოს ისევ  
ქრისტიანულ რეულზე გადმოსცლა ჩელიგიურ-კონფესიონალური ტერმინები-  
თა მითითებული და მის მიერ აღიარებული სხვადასხვა აღმსარებლობის ეთ-  
ნიკური ტერმინებით (հռոմ აყდა, ქრისტ აყდა, მარმწალან აყდა).  
აღნიშვნის აუკილობობა თა საჭიროება სომხეორ ტყაროებიდან არ ჩანს.

სწორედ ამიტომ, ჩევნოგვის სრულიად გაუგებარია, რატომ შეიქმნა საკიროება, ვთქვათ, XI საუკუნიდან მოყოლებული გარკვეულ პიროვნებათა ქალკედონური ომისარებლობის აღსანიშნავი შუალაუკუნების სომხებ ისტორიკოსებს ეთნიკური ტერმინი „**ქარაგ ალავ**“ გამოიყენებინათ, როგორც ამას იმეორებენ სომხები მკვლევარები. ბოლო ხანების სომხები სამეცნიერო

42 ođ33... 83. 206.

<sup>43</sup> У ми ще були відмінно... ідея... 233—234.

ლიტერატურაში როგორც ფილარეტოსი, ისე გრიგოლ ბაკურიანის ძე, ორივენი წარმოშობით სომეხ და აღმსარებლობით ქალკედონელ მოღვაწეებად არიან აღიარებულნი. მათი ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ძირითადი სომხური წყაროს მათეოს ურპავეცის „უამთააღმწერლობისა“ და სხვა წყაროთა მონაცემების თანახმად კი ასეთი სურათი წარმოგვიღება: როგორც გრიგოლ ბაკურიანის ძე, სევე ფილარეტ ვარაუნუნი (ცხაპურაკანელი) XI საუკუნის II ნახევრის ბიზანტიის ვასალები, სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწენი არიან, ფილარეტოსი — ანტიოქიის თემის გამგებელი (1048—1084 წწ.), გრიგოლ ბაკურიანის ძე კი — იბერიის თემის გამგებელი (1071—1074 წწ.), ორივე ქალკედონელი, ფილარეტი — წარმოშობით სომეხი („Հայրինհօքն և մայրինհօքն հայ էք“), ხოლო გრიგოლი — ნათესავით, გვარად ქართველი (ყრაցի ազգաւ).

მა ეთნიკურ ტერმინს („ყრაցի ազգաւ“ — — „გვარად ქართველი“) სომეხი მკვლევარები სწორედ გრიგოლ ბაკურიანის ძის კონფესიონალობის (ე. ი. ქალკედონელობის) აღმოშვენელ ტერმინად ციხადებენ და მას სომეხ ქალკედონელად მიიჩნევენ. აღნიშნული ვითარება გაუვებრობა, თორემ როგორ შეიძლება ეთნიკური ტერმინით „ყრაցի ազգაւ“ ქალკედონელის აღნიშვნის საჭიროება წარმოქმნილიყო მხოლოდ გრიგოლ ბაკურიანის ძისათვის იმ დროს, როდესაც იმავე პერიოდის მოღვაწის, წარმოშობით სომეხის, ფილარეტოსის ქალკედონელობა, როგორც ზემოთ დავინახეთ, საცებით გარკვევით კონფესიონალური ტერმინით „կրიზն հռոմեոց“ („რჯული პორომა“) არის მითითებული.

ეთნიკური ტერმინით კონფესიონალობის აღნიშვნის აუცილებლობა მართლაც რომ წარმოქმნილიყო, ფილარეტოსის ქალკედონელობასაც მათეოს ურპავეცი „կրიზն հռոմեոց“-ით („რჯულით პორომი“) კი არ აღნიშნავდა, არამედ „Հռոմი ազգաւ“-ით („გვარად პორომი“). მაგრამ ამის საჭიროება ნამღვილად არ არსებობს სომხურ ტერილობით ძეგლებში, ვინაიდან იქ ნათლად არის ერთმანეთისაგან გამიჯნული ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიონალური ტერმინები.

როგორც ცნობილია, X—XI საუკუნეებში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიაში, გამწვავდა მონოფიზიტ და ქალკედონიან სომეხთა შორის არსებული მტრობა, სომეხი მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალკედონელობაზე გადავიდა. სტეფანოს ტარონეცი ერთ საყურადღებო ცნობას გადმოგცემს თვით სომეხთა კათალიკოსის ვაპან I (967—969) ქალკედონიანობაზე მოქცევის შესახებ: „კათალიკოსად დაგდა ვაპანიკი, ჭუანშერ მთავრის ვაჟი, ბაღაცის გვარიდან. მან მოისურვა ქალკედონელებთან (ლიդ քაფկեղონალიანი) წერილობით სიყვარულისა და კეთილგანწყობის დამყარება“<sup>44</sup>. შემდეგ ისტორიკოსი მოვარდიხორბს სომხური მონოფიზიტური ეკლესიის წარმომადგენელთა მიერ ვაპანის საქციელის დაგმობასა და სტეფანოს III (969—972) კათალიკოსად დადგნების ამბავს<sup>45</sup>. მოტანილ ცნობაში გარკვევით არ არის მითითებული, თუ რომელ ქალკედონელებთან (ქართველებთან თუ ბერძნებთან) დაუმყარებია ურთიერთობა ვაპან სომეხთა კათალიკოსს, სამველ ანეცისთან კი იგივე ფაქტი, უფრო დაკონკრეტული, შემ-

<sup>44</sup> Ստեփանոսի Տարօնեցւով Ասողկան. Պատմოթիւն... էջ 181.

<sup>45</sup> იქვე... გვ. 181—182.

დევნიარადა გაღმოცემული: „უფალ ანანიას სიკვდილის შემდეგ ტახტზე დაჯდა (967—969 წწ.) უფალი ვაპანი ბალაციდან. მან კავშირი შექრა ქართ-ველებთან ერთსულოვანი აღმსარებლობით (ლიკ ქერს მჩარან ყათანისტ-ხემარ) ...მეკაცმა ბერებმა რა შეიტყვეს მისი (ვაპან სიცნეცის) დამღუპვე-ლი მწვალებლური განზრასვები (ქართული სიკვდილის მათა) (რამეთუ ბრძანა მოეტანათ ხატები ქალკედონელთა სეკტის აღსაღვენად (ქარან სირიდან მათანდოფ ჭალკეთის) ჩამოიშორეს იგი და გააღვის“<sup>46</sup>. ზემოთმოტანილ ცნობაშიც კარგად ჩანს სომხური მონიფიზიტური ეკლესის წარმომადგენელთა შეუწყნარებელი პოლიტიკა ქალკედონური აღმსარებლობისა და მისი მიმღერებისადმი. აქაც, რო-გორც ცხედავთ, „ქართველებთან ერთსულოვანი აღმსარებლობით“ დაკავშირებული ვაპან კათალიკოსი „ქრისტ ალექსანდ ქართველი“ არ იწოდება. ასევე საყურადღებოდ მიგვაჩნია სტეფანოს ტარონეცის ცნობა X საუკუნის და-სასარულს გავისა და მისი სანახების გამგებლის დემეტრე მარჩხანისა და მისი შვილის ტაშირის მამფალის მიერ სკუთარი სომხური რჯულის (ე. ი. მონი-ფიზიტობის) უარყოფისა და გაქალკედონელობის ანუ „ქართულ რჯულზე“ მონათვლის შესახებ: „იმ დროს დემეტრე მარჩხანი, რომელიც მთავრად იყო გავის ციხეში, იმ საზღვრებში რომ არის, ეჭვმიტანილი იქნა მისგან (გავიკი-საგან), დაგმო მშობლიური სომხური სახაჭუნოება (მთელ ძალასას ჩატ-ხენტ ჩატამზენ), ქართველები მხარდამჭერად მიიჩნია, მათ წყალში განიბანა (მოინათლა) და ორმაგად დაიღუპა [ხორცით და სულით]. (ჩ ნოგჩნ კრინ-ამსა ლოანაუ გორ) და თავისი შვილი, ტაშირში, ჰიუნევანში მამფალად გახატესა. ხოლო ლამაზმა და ახალგაზრდა მეფებ დავითმა მოხერხებუ-ლად გამოიძევა იგი გავის ციხიდან, ჩამოართვა მას მისი ყველა ციხე და მთელი სამეცვიდრეო მაცულები. [დემეტრე] მოხერტალე, უსახლკარო ცხოვრებისაგან] საზარელი სიკვდილით აღისრულა და ამიერიდან აღმოიფხვრა მისი ტომიც. დემეტრე [ადრევე] დაწმუნდა, რომ ისინი, რომლებიც განშორ-დებიან უფალს, იღუპებიან და უკვალოდ ქრებიან<sup>47</sup>. აღიშნულ ცნობაში დემეტრე მარჩხანის გაფის ქართული ტიტულით (მამფალი-მამაუფალი) მოხსე-ნიება ტაშირ-ძორაგეტის სომხურ სამეფოში ქართველი ხელისუფლების გავ-ლენის კვლავ არსებობაზე მიუთითებს. სხვა რეგიონების მსგავსად აქაც ჩში-რი იყო არაერთი სომხეთი საერთო თუ საეკლესიო მოღვაწის მიერ სომხური აღმსარებლობის დაგმობისა და ქალკედონელობაზე, ე. ი. „ქართულ რჯულ-ზე“ გადასვლის შემთხვევები.

სტეფანის ორბელიანის „სისაკანის სახლის ისტორია“ში ზაქარია და ივანე მხარგრძელები და მთი წინაპრები წარმოშობით სომხებად და სარწმუნოებით მართლმადიდებლად (მონოფიზიტებად) იხსენიებიან. ამ შემთხვევაში ლაპარაკია მხარგრძელთა მოღვაწეობის დასაწყის პერიოდზე, როდესაც ორივე ქმა მონოფიზიტობას აღიარებდა. იქ ვკითხულობთ: „ხოლო გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ თამარმა განადიდა ზაქარია და ივანე, ძენი სარგისისა, ძისა ზაქარია მთავრისა, რომელიც იყო გვარად (ნათესავით) სომებია.“

<sup>46</sup> Ասմոէլի քահանայ Անեցւոյ հաւաքմունք... էջ 100.

<sup>47</sup> Ստեփանոսի Տարօնեցւոյ Ասողկան Պատմութիւն... էջ 257.

(ჩაფ აღდა) და მართლმადიდებლური სარწმუნოების [მიმდევარი] (თყვაჭავათ ჩატათი) და აღმაღლა ისინა დოდებასა და პატივში<sup>48</sup>.

მოგვიანო ხანის სომხურ წყაროთაგან საყურადღებოა ერთი XVI საუკუნის ანონიმი მემატიანის ცნობა: „სომეხთა წელთაღრიცხვის (1551) წელს [გამეფდა] ურჯულო მეფე სტეფანე, რომელიც იყო გვარად (ტომით ნათებავით) ვლახი (აღდა Օლახი) აღმხარებლობათ ჰორომი (ყალანთიშხამარ ჩოიომ) მან თავის აღმსარებლობაზე (რჯულზე) (ի ყალანთიშხის წილ) მოაქცია სომეხთა ტოშისაგან (ի ჩაფ აღდა) 1000 სახლი და ყველანი. რომლებიც მისი ხელშევითი იყვნენ. ჰორომთა რჯულზე (აღმსარებლობაზე) (არარ ცნუ ყალანთიშხამარ ჩოიომში) გადაიყვანა. ხოლო მათ, რომლებიც კი არ მოიქცენ მის აღმსარებლობაზე (ի ყალანთიშხის წილ), მახვილით მუსრი გაავლო“<sup>49</sup>.

აქ ლაპარაკია ვლახეთის მთავრის სტეფან რარეშ VII-ის შესახებ, რომელიც 1551—1552 წლებში განავებდა ქვეყანას. ახლა კი ვნახოთ, როგორაა მითითებული სომეხი პიროვნების წარმომავლობა და სარწმუნოება მოგვიანო ხანის სომხურ წყაროებში. მა თვალსაზრისით ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ჰაკობ კარნეცის ცნობაზე, რომელშიც ლაპარაკია ტაოს ერთი რაიონის მოსახლეობაზე: „და იყო ხეობაში დიდი ქართული მონასტრები სოფლებში ხახულსა, ოშქა და იშხანში და მათი შესაბამისი და მსგავსი არ არსებობს. თუ იქნება, მხოლოდ შმინდა სოფიის [ტაძარი] კონსტანტინოპოლიში. მა ქვეყნის მოსახლენი იყვნენ ნაწილი სომეხი და ნაწილი ტომით და რჯულით ქართველი (ცხოვნის ჩაფ և ცხოვნის აღდა ცხონტებ ქრისტე) მაგრამ სომხურ ენაზე ლაპარაკობდნენ (რაფ ჩაფ ლეკოს ჩოსტენ) ... აგარიანთა მრავალწლიანი ბატონობის უაშმ, 1643 წელს, სტამბოლის დიდმა სულთანმა უბრძანა ერთ მოლას, ფრიად სახელგანთქმულს, ქალაქ იაზჩრუმისა და ფაშების წინამდოლს, სახელად გაფარს, ძლიერ უსამართლოსა და ბოროტე... აღეწერა არზრუმის ყველა მომიქნავე ტერიტორია. [გაფარი] გამოემართა... მოაღწია თორთომს, აქ ქართველები (ქრისტე) ხარჯის გამო შიშაგან დამფრთხალნი. მაშინდის რჯულზე მოქცენენ (ფოჩნის შარმჩახ), ხომეხი ტომი კი დარჩა თავის სარწმუნოებაზე ქრისტეს მოწყალებითა და წმინდა განმანათლებლის ლოცვით“<sup>50</sup>.

ზემოთ მოტანილი ცნობიდან ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი ნაწილები: „ამ ქვეყნის მოსახლენი იყვნენ ნაწილი სომხები (ცხოვნის აღდა) და ნაწილი ტომით (ნათესავით) და რჯულით ქართველი (ცხოვნის აღდა ცხონტებ ქრისტე) მაგრამ სომხურ ენაზე ლაპარაკობდნენ (რაფ ჩაფ ლეკოს ჩოსტენ)“. საქმე იმაშია, რომ ამ ნაწილების აზრი გაუგებარია: „მოსახლეობის ნაწილი იყვნენ ტომით და რჯულით ქართველი“ თუ ასე გვიაზრებთ, მაშინ წარმოშობით და სარწმუნოებით ქართველები იგულისხმებიან, მაგრამ ამავე ცნობაში წარმომავლობით ქართველებს ისტო-

<sup>48</sup> უსხევანნოს Օრექლეან... էջ 391.

<sup>49</sup> Անանտն ժամանակագրություն (XVI դ.). Մանր ժամանակագրություննեղ. XIII—XVIII դդ. հատոր I էջ 136.

<sup>50</sup> Հակոբ Կարնեցի. Տեղագիր վերին Հայոց. Մանր ժամանակագրություննեղ. XIII—XVIII դդ. հատոր II. Կազմից Վ. Հակոբյան. Երևան. 1956. էջ 554.

რიკოსი პირდაპირ „ქართველებს“ (**ქრაგხები**) უწოდებს. ამ შემთხვევაში თვითონ ხელნაწერშია უზუსტობა. სინამდვილეში, ჰაკობ კარნეცი ლაპარაკობს სომებს ქალკედონელებზე, ე. ი. გვარად (ტომით) სომხებზე, რომლებიც ქალკედონურ სარწმუნოებას (**კრინქ ქრაგხები**) აღიარებდნენ, მაგრამ სომხეურ ენაზე ლაპარაკობდნენ. მითითებული ნაწყვეტის ამგვარი გავების სასაჩვებლოდ მეტყველებს ჰაკობ კარნეცის ნაშრომის სხვა რედაქცია, სადაც უფრო გასაგებადა მითითებული:

„ხე ხენ բრაქებულ ხექტრის ჰესი ჯაფ აყავას և ჰესი კრინქს ქრაგხები ჩავ ჩეყოთა խოსტენ — „ამ ქვეყნის მოსახლეთაგან იყვნენ ნაწილი გვარად (ტომით) სომები (ჩავ აყავა), ნაწილი კი სარწმუნოებით ქართველი (კრინქს ქრაგხები), მაგრამ სომხეურ ენაზე ლაპარაკობდნენ“. ჩვენი აზრით, მოტანილი ცნობის მართებული, გასაგები აზრი სწორედ II ვარიანტშია მოცემული: მხარის მოსახლეთაგან დასახელებული არიან: ნაწილი წარმოშობით სომხები (ჩავ აყავა), აღმასრუებლობით მონიფიზიტები, ნაწილი კი ასევე სომხები, ოღონდ ქალკედონელები (კრინქს ქრაგხები) რომელთა სალაპარაკო ენა სომხეურია. ამ შემთხვევაშიც სომები ქალკედონელები „**კრინქს ქრაგხები**“. („რეულით ქართველი“)-ად იწოდებიან და არა ეთნიკური ტერმინით „**ქრაგხები აყავას**“ („გვარად ქართველი“).

ამრიგად, ჰაკობ კარნეცის თხზულებიდან მოტანილი მასალაც იმის დადასტურებაა, რომ მოგვიანო ხანის სომხეურ მწერლობაშიც გრძელება ეთნოკურობისა და რელიგიურ-კონფესიონალური კუთვნილების აღმნიშვნელ ტერმინთა ერთმანეთისაგან განსხვავებისა და გამიჯვნის ტრადიცია, რომელიც შუასაუკუნეებიდან მომდინარეობს. ჰაკობ კარნეცის ზემოთ განხილული ცნობის II ვარიანტი ვ. არუთინოვას მოჰყავს ერთ თავის ნაშრომში: „Ивер“ в византийских источниках XI в“ იმის სალოუსტრაციოდ, თუ როგორ ისსენიებიან ქალკედონელი სომხები სომხეურ წყაროებში — „**კრინქს ქრაგხები**“ („სარწმუნოებით ქართველი“) აღნიშნული ნაშრომი გამოქვეყნებულია 1973 წ. „**რაմქები Մատենադարանի**“ IX ნომერში, მაგრამ, იძავე ცხობის I ვარიანტი, რომლის აზრი, როგორც აღნიშნეთ, გაუგებარია, ვ. არუთინოვას ჩართული აქვს 1980 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „Армяне — халкидониты на восточных границах византийской империи“.

ჰაკობ კარნეცის ცნობის ამ არასწორი რედაქციის მოტანა „**ჰეს აყავას և კრინქს ქრაგხები**“ (ნაწილი ტომით და რეულით ქართველი) ვ. არუთინოვას იმის დასამტკიცებლად დასკირდა, თითქოს ტერმინს „**აყავა ქრაგხები**“ აქ, როგორც საერთოდ სხვა შუასაუკუნეების სომებს სტრონიქოსთა ნაშრომებშიც, კონცესიონალური მნიშვნელობა აქვს და იმავე „**კრინქს ქრაგხები**“ („რეულით ქართველი“) გულისხმობა. თუ ეს ასეა, ე. ი. ამ შემთხვევაში „**აყავა**“-ტომით და „**კრინქს**“-რეულით სინონიმური სიტყვებია, მაშინ აღნიშნული ნაწყვეტი ასე უნდა ითარგმნოს: „ნაწილი რეულით და რეულით ქართველი“. ეს კი სრული გაუგებრობაა. სხვათაშორის ვ. არუთინოვა იქვე ვიუთითებს: „Нам пришлось бы долго разъяснять современному читателю, для чего грузинам „по племени и религии“ понадобилось говорить на армянском языке, но людям средневековья особого комментария, очевидно, не требовалось, тем не менее существовала и другая редакция „Хроники“ Акоба Карнеци, дающая чтение, близкое к разъяснению. По этой редакции „И были из жителей этой

страны одна половина — армяне, а другая — по религии были грузинами, но говорили на армянском языке”<sup>51</sup>.

յտնոյցքը Ծրբմինու ՝*Վրացի ազգաւ*՝ Տօմեյք յալցութեղութա աղճո՛ւնա զ-  
արշուտնօնցաւ զաս՛չցեցագ մօհինա, զօնաօդան, մէստ ձերուտ, „Էտո ապրութիւն էտ-  
нической принадлежности сквозь призму вероисповедных понятий, при-  
сущее сознанию вообще выражалось у их противников монофизитов в том,  
что они так же определяли армян—халкидонитов как иной, отличный от  
армян, „*ազգ*“ (род, племя, народность)“<sup>52</sup>. Իշբ յո Յօմյոռցծ, հռմ հրացորդ վ-  
թեմու թարմուցցենու մրացունաւոր, Տեզագալսեցա Ֆերուուցուս և Եսօսատու մասալու  
յանենուցամ Կրածուց, Մշա Տայցանցեցու Եռնոցութիւն Տօմեյք ու Տուրուրկուցեցու տացու  
տանամեթմէնցուց Տօմեյք յալցութեղութա թարմումացլունուն աղճո՛ւնելու Ծրբմինցեցու  
„*ազգ*“ և մօսու Տօնումնօնցեցու (*ցեղ, տոհմ, ազն, զարժ և և և և*) աղմահրեցելունուտո  
ցացցիու յո ար աղճոննացն, արաւել ցանցացու Սի՞րուցեցի մատ յալցութեղութա լուս-  
կեցունիկ, ուրծունցեցուն (*երկարնակ*), հջուլուտ յարտցըլս (*կրտնիւ Վրացի*), հջու-  
լուտ Յորմուն (*ծյրմինս*) (*կրտնիւ հոռոմ*) և սպերց Շեմտեցցամու սպագ անսենցեցն  
Տօմեյքու հջուլուս Հացմունուս և յալցութեղութա աղմահրեցու ցամ.

Гардса аմօնա, զվոնքա Շեշենինոտ, հռոմ քասակըլքեցունո Եաթրոմոն 174-ց զշերդից Յ. Արշատոնովա Ետնոցուր գա հելլոցուր-շաբանցուր Ըէրմինոտա ցոռմուլուրցեամտան քայազմուրցութ Շեմցցց Ծերս: „В Мелитину Филарет назначил князя Габриэла. Михаил Сиринец называет его греком, анонимная сирийская хроника—халкидонитом. А Гийол Пирский сообщает, что Габриэл был греком по вероисповеданию, но армянином по языку, письму и обычаям. Это классическая формулировка для определения армянина—халкидонита, часто встречающаяся и в греческих и армянских источниках“.

ზემოთ მოტანილი ნაწყვეტებიდან აშეარაა, რომ ვ. არუთინოვს მისა-  
ლებად მიაჩნია სომექ ქალკედონელის განსაზღვრების აღნიშნული ფორმუ-  
ლირება ეთნიკურობისა და კონფესიონალობის გამიჯვნით. კარგი იქნებოდა  
ვ. არუთინოვსა და მის თანამოაზრებს სომექ ქალკედონელთა განსაზღვრე-  
ბის ე. წ. „კლასიკური ფორმულირება“ ყველა აუცილებელ შემთხვევაში  
ახსოვდეთ და ეთნიკურ ტერმინებს კონფესიონალობის მნიშვნელობა არ მი-  
იყუთვნონ ისეთ დროსა და ვითარებაში, როდესაც სრულიად არ ძირის ამის  
საჭიროება. აქე უნდა გავიხსენოთ, რომ ბერძნული აღმასახებლობის მიმდე-  
ვარ სომექ ქალკედონელთა ზემოთ მითითებულ სწორ განსაზღვრებას, რო-  
მელსაც ვ. არუთინოვა „კლასიკურ ფორმულირებას“ უწოდებს, თავისი სი-  
ზუსტით არ ჩამოუვარდება პაკობ კარნეცის ჩვენ მიერ განხილული ცნობა  
ტაოს რაიონში მოსახლე მონიფიზიტ და ქალკედონელ სომეხთა შესახებ, სა-  
დაც სავაე გარკვევითაა ერთმანეთისაგან გამიჯნული სომექს ქალკედონელთა  
ეთნიკურობა და კონფესიონალობა (**ცხან ჩატ ალექსა և ცხან კონტილ ქრისტი**,  
რაც ჩატ ცხანისა խისტენ) — „ნაწილი ტომით (გვარად) სომეხი, ნაწილი კი  
რჯოლით ქართველი, მაგრამ სომხურ ენაზე ლაპარაკობრნენ“.

<sup>51</sup> Арутюнова—Фиданян. Армяне—халкидониты на восточных границах византийской империи (XI в.) Ереван. 1980 г. стр. 67—68.

52 933, 83. 67.

ჩვენი აზრით, სომეკ ქალკედონელთა ეს განსაზღვრებაც საყურადღებო და გასათვალისწინებელია სომეკ ქალკედონელთა პრობლემაზე მომუშავე ცველა ჰქველევრისათვის.

ვ. არუთინოვას ნაშრომების გაცნობისას ერთმა გარემოებამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. აქ, სომექ ქალკედონელებად დასახელებული მოღვაწენი ვ. არუთინოვას მიერვე მითითებულ წყაროებში არსად არც „ქრისტი ადგას-ად და არც „რომი ადგას“-ად არ იწოდებიან მათი ქალკედონური აღმსა-რებლობის აღსანიშნავად (დამიან დალასელი, მისი ვაჟები, კონსტანტინე ფე-ოცილაკე და რომანი, ლევონ თორჩინი, ლევონ დავატანისი, ბასილი აპო-კაპი, სმბატ ვეგაცი, ბაგრატ ვეგაცი, კატაյალონეკევაეგენი, ხეჩატური, თოროს ედესელი, გაბრიელ მელიტინელი და ბიზანტიის მიერ დაარსებული თემების სხვა გამგებლები თუ სამხედრო-აღმინისტრაციული მოღვაწენი)<sup>53</sup>. იგივე შე-იძლება ითქვას ლიტერატურულ-მთარგმნელობითსა თუ კულტურულ საქმი-ანობაში ჩაბმულ სომექ ქალკედონელთა შესხებაც: იოსებ კონსტანტინე-პოლელი (X ს.)<sup>54</sup>, გრიგოლ ხლაოთეცი (XIV ს.)<sup>55</sup>, გაპრამ რაბუნი (XIII ს.)<sup>56</sup>, გრიგორ ანაკარზეცი<sup>57</sup> და სხვ.

როგორც ცნობილია, სომხები, რომლებიც ქალკედონულობას აღიარებდნენ (განსაკუთრებით კი ბერძნებთან ახლო დამოკიდებულებაში მყოფი) ხშირად ჯავ-ჯოუმ-ებად (სომხე — ბერძნებად, სომებ-ჰორომებად) იწოდებოდნენ, ხოლო მთ, რომლებიც სირასა და მის მთასაზღვრე რაიონებში ზინადრობდნენ, მათქმ-ჯავჭებს (წათებს) უწოდებდნენ მაყმა ან მაყმ = არასრულყოფილი, ნაკლოვანი, მშვალებლური)<sup>58</sup>.

ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობები იმ სომებს ქალეჭდონელთა შესახებ, რომლებსაც ქართულ გარემოსთან ჰქონდათ კავშირი. უფრო აღრინდელ სომხურ ისტორიოგრაფიაში სომები ქალეჭდონელები „Հայ-Հոռոմ“-ებად (სომებს — პორომებად) არიან მოხსენებული. 1806 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში სომები მკვლევარი ლ. ინჭიჭანი აღნიშნავდა: „ჩვენ გვაქვს ბერძნულ საგალობელთა კრებული, რომელსაც ამჟამად იყე-

<sup>53</sup> В. Арутюнова—Фиданян. Армяне — халкидониты... стр. 35, 60—122, 129—186.

<sup>54</sup> Ե. Ալիքնահան. Յունիկ Կոնստանտինէպոլսկիցի. Հանդէս Ամսօրեալ. 1957թ. էջ. 1—12. Պ. Մурадյան. Культурная деятельность армян—халкедонитов в XI—XIII веке. Ереван. 1978 г. стр. 2—4.

<sup>55</sup> П. Мурадян. Культурная деятельность... стр. 3.

<sup>56</sup> Ваграм Рабуни. Анализ „Категорий“ Аристотеля. Критический текст, перевод с древне армянского, предисловие и примечания Г. О. Григоряна. Ереван. 1967.

<sup>57</sup> Հ Աճառյան. Հալոց անձնանունների բառարան. համար Ա. Երեվան. 1942թ. էջ 586—587. Պ. Մուրադյան. Культурная деятельность... стр. 3.

<sup>58</sup> Н. Марр. Аркаун. Мотгольское название христиан, в связи с вопросом об армянах—халкедонитах. Санкт Петербург. 1905 г. стр. 27—31. Н. Марр. Цаты палеонтологически сб. „Մարր և հայոցիտոթյան հարցերը“. Երևան 1968թ. էջ 198—201.

Н. Адонц. О происхождении армян—цатов. ЖМНП. 1911 г. стр. 237—250.

ნებები „პაი — ჰორომები“ „ჯაფ-ჯიუსუმ“<sup>59</sup>. 3. 6. აკინიანი შემდეგს მიუთი-  
ოვბდა: „ორთოდოქსალური ეკლესის მიმდევარი ხალხები, ქართველები,  
სლავები, რომლებსაც ქ'ონდათ საკუთარი ენა და ლიტერატურა, ბერძნული  
ეკლესის საბლვდელმასხურო წიგნებს თარგმნის სშუალებით დაეუფლენა.  
სეთთა რიცხვს განეკუთვნებოდნენ იგრეთვე ის სომხები, რომლებიც ნებით  
თუ ძალით ორთოდოქსალურ ეკლესის ემორჩილებოდნენ ბიზანტიასა და სა-  
ქართველოში. ისინი პაი — ჰორომებად „ჯაფ-ჯიუსუმ“ იწოდებოდნენ და  
ქმნიდნენ ამ ქვეყნებში თემებს“<sup>60</sup>.

ზემოთ ოღნიშვნული ტერმინი „ჯაფ-ჩილაძე“ აერთიანებს ეთნიკურობასა და კონფესიონალობას, ე. ი. გარევეული პიროვნება წარმოშობით სომეხია (ჯაფ), ხოლო ოღმსარებლობით ჰორომი (ჩილაძე) (ბერქენი). უფრო ზუსტად ქალკედონელი. ჩვენი აზრით, თუკი ბერძნულ გარემოსთან ახლოს მყოფი სომეხი ქალკოდენელები აღრინდელ სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში „ჯაფ-ჩილაძე“-ებად არიან წოდებული, ხოლო, სირიაში მცხოვრებინი „ჯაფ-ჭამები“-ებად, მართვული იქნებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოღვაწე სომეხი ქალკედონელები სომებს მკელევარებს „ჩაფ-ჭამები“-ებად მოეხსენიათ (ე. ი. წარმოშობით სომხებად, კონფესიონალობით ქართველებად). თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში (ჩვენი საუკუნის 60-იან წლებიდან) დამკიცდრდა „ჭამები-ჭამები“-ისა (ტომით ქართველი) და „ჭირა“ (ქართველი)-ის კონფესიონალური მნიშვნელობით (სომეხი ქალკედონელის) გაების ტრადიცია. მაგალითად, სომებს ქალკედონელებზე სუბრისს ვ. არუთინოვა მიუთითებს: „Апокапы исповедовали халкидонитство грузинской ориентации, были „ивирами“, что вполне закономерно для уроженцев Тайка“<sup>61</sup>. აქვე კვლავ ისიც უნდა გვამიტოროთ, რომ ტაოს მკვიდრ სომებს ქალკედონელებისათვის ვ. არუთინოვას ზემოთ მოტაციი განსაზღვრება კი არ არის კონტჩომიერი, არამედ ჩვენს მიერ უკვე მოხსენებულ ჰაკოდ კარნეკის შემდგვი მითითება: „კიონჩი ჭამები, ჭამები ჩაფ წეკოსა խისტენ“. („სარწმუნობით ქართველები [იყვნენ], მაგრამ სომხურ ენაზე ლაპარაკობდნენ“).

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩინია სომხეთი ქალკედონელის სიმეონ პლიაპანეცის გასსენება, რომელიც ივანე მხარეგრძელის მიერ ღლდებილ და განახლებულ პლიაპანეჯის ქალკედონურ მონასტერში, ქართულ გარემოში მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. ვნახოთ რა ცნობებია დაცული წერილობით ძეგლებში ამ სომეთი ქალკედონელის შესახებ. მას გაკვრით იხსენიებს 1584 წ. გადამწერი იოვანე ბერი, რომელმაც გადაწერა ათმას მონასტერში (აკის გავარში, დღვევაზე თურქეთში) ვენეციის მხითარიანთა წიგნსაკავის № 630 ხელნაწერი — სომხურ-ბერძნულ სა-

<sup>59</sup> Դ. Խնամիկան. Աշխարհագրութիւն չորից մասանց աշխարհի. մասն I վեհասիլք, 1806 թ. էջ 305.

<sup>63</sup> Հ. Ներսոն Ալիքինեան. Միմէռն Պղնձանանեցի և իր վրացերէն թարգմանությունները Հանդէս Ամսօրեալ. Յունվար-Մարտ. 1950 թ. էջ I. սե. Ձևոց Կիւրիոն կաթողիկոս վրաց. Վիեննա. 1910 թ. էջ 69-70.

<sup>61</sup> В. Арутюнова—Фиданян, Армяне—халкидониты на восточных границах... с. 135.

გალობელთა კრებული. მისი ოღნიშვნით, კრებული თარგმნილია ქართულ ენაზე ბერ მინასისა და ბერ სიმეონის მიერ. ბერი მინასი ტრაპიზონში იმყოფებოდა, სიმეონი კი — პლნდაპანქტის მონასტერში XIII საუკუნის I ნახევარში. 6. აკინიანის ვარაუდით, ვინაიდან პლნდაპანქტის მონასტერი აღადგინა და განაახლა ივანე მხარგრძელმა, მანვე ათარგმნინა აღნიშნულ პირთ საგალობელთა კრებული<sup>62</sup>. მისივე მითითებით, სიმეონმა თარგმნა ქართული ტექსტიდან და მინასმა ეს თარგმანი შეამოწმა თავდაპირველ ბერძნულ დედანთან შედარებით. 6. აკინიანის ოღნიშვნით, სომხური თარგმანი შესრულებულია XIII საუკუნის I ნახევარში უფრო ძელი ქართული თარგმანიდან და წარმოადგენს ღირებულებას ბერძნული დედნის თავდაპირველი სახის აღსაღენად<sup>63</sup>.

გარდა პიმოგრაფიული ხასიათის ნაწარმოების თარგმანისა, სიმეონ პლნდაპანქტის სახელს უკავშირდება აგრეთვე ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ნაშრომთა თარგმანები ქართულიდან სომხურად. როგორც ცნობილია, 1248 წ. სიმეონ პლნდაპანქტელმა სომხურად თარგმანა ნეოპლატონიკოს პროკლე დიადოხოსის ნაშრომის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“ ითანე პეტრიწის კომენტარ-დართული ქართული თარგმანი. მანვე შეასრულა ითანე დამასკელის „წყარო ცოდნისამ“ („დიალექტიკა“ და „გრძლვიცემა“)-ის სომხური თარგმანი არსენ ვაჩეს ძის მიერ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი ტექსტიდან.

სიმეონ პლნდაპანქტელის შესახებ ცნობები მხოლოდ მის მიერ თარგმნილ ძეგლთა ანდერძ-მინაწერებშია შემონახული. მაგალითად, ითანე სინელის ქართულიდან სომხურად თარგმნილი თხულების „ქლემაქსის“ მეოცე თავის ბოლოს მითითებულია: „თარგმნილია აქამდე წრფელი მოწესის, მინას შესვერის მიერ ქალაქ ტრაპიზონს, ხოლო აქედან — სიმეონ მონაზონისაგან“<sup>64</sup>. ყველაზე მეტ ცნობებს სიმეონ პლნდაპანქტელის შესახებ გვაწვდის ითანე პეტრიწის კომენტარ-დართული პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“ ანდერძმოსახესენებელი (XIII ს.): „ითარგმნა წიგნი ესე, რომელიც არის კავშირი და ღვთისმეტყველების თავი, პლატონური ფილოსოფოსის პროკლე დიადოხოსისა, სიმეონ უხმარ ხუცეს — მონაზონის მიერ ქართული ენიდან სომხურ ენაზე, სომხეთის ქვეყანას (Կերկիրი ჩაլոց) ქართველთა სავანეში (ჩ ჭანი ჭრაց) რომელსაც პლნდაპანქტი ეწოდება, დასაბამიდან 675 წ. გევედრები თქვენ, ძმანო, ფრიადი შრომით ვთარგმნე: ჯერ ერთი, არ ვიყვალისი ასეთი მსახურებისა ცოდვათა შებღალულობისაგან [და] მეორე, რადგანაც ფრიად მოხუცებული ვიყავ და თვალთა, გონებისა და ძალისაგან მოუღურებული. 60 წლისა ვიყავ. არ იყო თარგმნილი ჩვენს ენაზე ის, [რაც] ღვთისმეტყველების დედაა. მეც მის გამო ვთარგმნე, რომ არ იყოს იგი ჩვენს ნათესავს დაკლებული. ახლა გევედრებით, რომლებმაც განკარგოთ ანდა გა-

<sup>62</sup> ს. Ակինեան. Սիմէռն Պղնձահանեցի և իր վրացხეրէն թարգմანությունները. Հանդէս Ամսորեալ, Վիեննա 1950 թ. Յանուար-մարտ. էջ 2.

<sup>63</sup> იქვე... გვ. 21.

<sup>64</sup> ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძელი სომხურ ძერძლობის ძეგლები, (წინასწარი ნარკვევი). იხ. ილია აბულაძე. შრომები IV. თბ., 1985 წ., გვ. 34.

დაიღოთ, მომიხსენეთ ლოცვაში და ჩემი მცირედი სიტუაც მიაწერეთ და ნურად გამოტოვებთ მისგან<sup>65</sup>.

ზემოთ მოტანილ ანდერძმოსახსენებლიდან ირკვევა, რომ სიმეონი იყო წარმოშობით სომეხი (სომეხთა ქვეყნიდან), აღმსახუებლობით ქალკედონელი, რომელიც მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა პლნაპანქის „ქართველთა“ მონასტერში (ჩ ჭანა ჭრაფ). ამ შემთხვევაში „ქართველთა მონასტერი (ჩ ჭანა ჭრაფ) ქალკედონელთა მონასტერს გულისხმობს. ამრიგად, იგი ასაღ არ აღნიშნავს, რომ „ქართველთა გვარიდან“, ან „ნათესავით ქართველი“ (თაყენ ჭრაფ ან ჭრაფი აყდა) ვარო, როგორც ამაზე მიუ-თითებს, მაგალითად, ქართველი მოღვაწე გრიგოლ ბაკურიანის ძე „იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან ვარო“. ჩვენი აზრით, „ჭრაფი აყდა“-ით ქართულ გარემოში მოღვაწე სომეხ ქალკედონელთა მოხსენიება შუასაუკუნეების სომეხ ისტორიკოსთავის ტრადიციად რომ ყოფილიყო ქცეული, სიმეონ შლნაპანეციც „ჭრაფი აყდა“-ზდ ჩქნებოდა წოდებული როგორც თვის საკუთარ ანდერძში, ასევე სხვათა მიერ. XII—XIII საუკუნეებში ორი პლნაპანქი არსებობდა, ერთი ბიჭისში, მეორე კი ლორეში. ორივე მათგანი აღნიშნულ ხანაში მხარგრძელთა სამფლობელოში შედიოდა. ილია აბულაძის მითითებით, „რომელი ამათგანიც არ უნდა იყოს ის, ერთი ცხადია, იქ „ქართველთა“ მონასტერი ყოფილა, ქართველთა მმობისაგან შედგენილი თუ ქართველთა აღსაჩების სომეხთაგან, სულ ერთია. უფრო გვგონია ორივე ერისა-განთაგან, რომლებიც დიოფლიზიტები იყვნენ... სომეხთა მომტკიცების ღონისძიებათაგანი იყო ამ დროს ქართულ და ქართველთა აღსაჩების ეკლესია-მონასტერების გაშენება მხარგრძელთა სამფლობელოებში. ამ კერების საშუალებით ხდებოდა ქართული დიოფლიზიტური იდეების შეწრა სომეხთა წრეებში. მათში მას შემწყირებელნი აღმოჩენია, თუნდ იმავე სიმეონ ხუცეს-მონაზონის სახით, რომელიც დიოფლიზიტური შრომების თარგმნაც არ ერიდებოდა... ალბათ სიმეონისთანან ჰყავს მხედველობაში მხითარს (მხითარ გოში), როცა ამბობს: „აშ ცხადია, რომ ვინც სომეხთაგან ბერძენი ანდა ქართველი გახდება (ჩ ჩაწყ ჩ ვთქმა ჰამ ჩ ჭრა ფასანან). სოფლის დიდებისათვის და სხეულის სიტკბოებისათვის იქმსო“.

ამრიგად, სიმეონი იმ სომეხ მოწესეთაგანია, რომელიც მიუხედავად ასე-თი შეფასებისა, დამოწაფებია ქართულ ეკლესიას, შეუსწავლია მშინდელი ქართული მწერლობა და მისგან გადაულია თვალსაჩინო ძეგლებიც, უმეტე-სად ფილოსოფიურ-მორალური შინაარსისაც<sup>66</sup>.

წარმომავლობისა და სარწმუნოების აღმნიშვნელი ტერმინების მნიშვნელობის ტრადიციული გამიჯვნა, ასე ნათლად ასახული სომხურ წერილობით შეღებში, ქართულიდან სომხურად და სომხურიდან ქართულად თარგმნილ აგიოგრაფიულ, თუ ისტორიულ თხზულებებშიც კარგად ჩანს.

როგორც მასალების განხილვიდან ირკვევა, სომხურ აგიოგრაფიულ თხზულებებში დაცული ტერმინების აყვ, თორა და სხვა მათი სინონიმების შე-

<sup>65</sup> ი. აბ უ ლ ა ძ ე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები... გვ. 36.

<sup>66</sup> ი. აბ უ ლ ა ძ ე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები... გვ. 38—39.

საბამისად ქართულ თარგმანებში ყოველვის გვხვდება „ნათესავი“, ზორლი რაც შეეხება სარწმუნოების აღმიშვნელ ტერმინებს, რომლებიც მრავალდაც სინონიმების სახითაა დაცული სომხურ ავიოგრაფიულ ძეგლებში (հաւատ, գեն, կրօնք, դաւանոթիւն, խոստանոթիւն). ქართულ თარგმანებში ისინი ძირითადად ითარგმნება, როგორც „սარწმუნոება“ ან „რշული“;

როგორც ცნობილია, ეპიგრაფიკული ძეგლები ერთ-ერთი საყურადღებო და სანდო წერილობითი წყარო ისტორიულ ფაქტებთან და მოვლენებთან მათი თანადროულობის, ამა თუ იმ ხალხის მეტყველებასთან ზედმიწევნითი სიახლოვისა და ქრონოლოგიური საზოგადოების სიზუსტის გამო. წარმომავლობისა და რელიგიურ-აღმსარებლობის გამომხატველ ტერმინთა მნიშვნელობის ნათელსაყოფადაც არაა კლები ღირებულებისაა სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებიდან ამოკრეფილი მასალები.

სომხეური ეპიგრაფიკული ძეგლები მრავლადაა დაცული როგორც თვით სომხეთის, ასევე ისტორიული და თანამედროვე სექართველოს ტერიტორიაზე. ჩვენ შეძლებისდაგვარად სომხური წარწერების მასალასაც გავეცანით და დაერწმუნდით, რომ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც წარმომავლობისა და რელიგიურ-კონფესიონალური კუთვნილების აღმიშვნელი ტერმინები გამიჯნულია ერთმანეთისაგან და რომ აქაც ապდ-ისა (ტომი, გვარი) და მისი სინონიმების აღმსარებლობის მნიშვნელობით ხმარება არ დასტურდება.

როგორც ქვეყნის პოლიტიკურ-კონფიდენციალურ თუ სოციალურ-კულტურული ვითარების შესახებ, ასევე ჩვენთვის ამჭერად საინტერესო ეთნიკურ და რელიგიურ-კონფესიონალურ ტერმინთა მნიშვნელობის გასარკვევად სხვა წერილობით წყაროებთან ერთად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სომხურ ხელნაწერთა ანდერძნამავები, ე. წ. „*ჰიშატუარანები*“.

სომხეურ ხელნაწერთა ანდერძმინაწერებში უამრავი მასალაა შემონახული ჩვენთვის საინტერესო ტერმინთა მნიშვნელობის დასადგენად. ამ შემთხვევაშიც წარმომავლობის აღსანიშნავად გამოყენებულია იგივე კონკრეტული ტერმინები, რელიგიურ-კონფესიონალურობისათვის კი განსხვავებული. ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიონალური ტერმინების ხმარების ასეთივე სურათი ისახება ქართულ წერილობით ძეგლებშიც, რომლებშიც „გვარად, ტომით, ნათესავით ქართველი“ ყოველთვის ქართულ წარმომავლობაზე მიუთითებს და არა „ქალკედონელობაზე“. მაგრამ აქვე ერთი გარემოებაც უნდა გავიხსენოთ: „*պիրք*“ (ქართველი) და არა „*վրացի ապდա*“ (გვარად ქართველი) ზოგჯერ კონფესიონალური მნიშვნელობითაც გვხვდება სომხურ წერილობით წყაროებში, მაგრამ არა კველა დროისათვის, არამედ იმ პერიოდიდან, როდესაც „ქართველობა“ და „ქალკედონიანობა“ მნიშვნელობით უკვე ფარავენ ერთმანეთს, როცა, როგორც ზაზა ალექსიძე აღნიშნავს „*კირონ ქართლის კათალიკოსის მიერ დაწყებული საქმე წარმატებით დაგვირგვინდა და როცა ქართლად ფრიადი ქუეყანა*“ აღირაცხებოდა, სადაც უამი ქართულად იწირებოდა<sup>57</sup>. აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით, ზაზა ალექსიძეს, სავსებით სამართლიანად შეუძლებლად, რელიგიური თვალსაზრისითაც გამორჩეულად მიაჩნია, რომ VII საუკუნის დამდეგს მოსესთვის ქართველთა ეპისკოპოსი ეწოდებინათ, ვინაოდან მისივე მითითებით „*მაშინ გერ არ ფარავდა*

54 ეპისტოლეთა წიგნი..., გვ. 138.

ქართველობა, და ქალკედონიანობა ერთმანეთს, ხოლო გვიან, როცა უკვე ფეხი რაცდა, გამოიწმი „ქართველთა მართლმადიდებელი ეპისკოპოსისა“ მეტად დაიმუშავდა უხერხელი იქნებოდა მონოფიზიტისთვის. ყველა ეს მომენტი... გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს გვიანდელ დანამატოთან და იგი მცდარად მიეწერება მოსე ცურტავის ეპისკოპოსს<sup>68</sup>. ქალკედონურად მონათლულ კაცს „გაქართველებულს“ უწოდებდნენ. „**ქრისტიანობის**“ მნიშვნელობით ხმარების შემთხვევები გვხვდება, მაგალითად, კირკოს განძაკეცის თხზულებაში: „ხოლო როდესაც მან [მხითარ გომი] შეიტყო იმის შესახებ, რაც მოხდა კრებაზე, დაადან შაულა სარდალი, რომელსაც ერთპიროვნულად არ უნდა გადაეწყვიტა ასეთი რამ. მან კრების მონაწილეებს შემდევი შეუთვალია: „თქვენ ზრუნავთ თქვენ ხალხზე, რომ ამგვარი წეს-ჩეულებებით არ შეერიონ ქართველებს (ლურ ქრისტი), მე კი ვზრუნვ სარდალზე, რომ თავისი ძმის მსგავსად არ გახდეს ქართველი (ქრისტი), რასაც ასე ელოდებიან ქართველები (ქრისტი)“. ზემოთ მოტანილ ცნობაში მხითარ გომის შეიქმნაში მსგავსად მისი ძმა ზაქარიაც არ გამხდარიყო ქართველი (ქრისტი) (ე. ი. ქალკედონური აღმსარებლობის მიმდევარი) შემდევ ვითარებიდან მომდინარეობს: როგორც ქართულ, ასევე სომხურ საისტორიო ძეგლების მონაცემების თანახმად (თამარის ისტორიკოსები, უამთააღმენერელი, ვარდან აღმოსავლელი, კირკოს განძაკეცი, გრიგოლ ავანეცი) მხარგრძელთა შტოს წარმომადგენელთა შორის ივანე ათაბაგმა პირველმა უარყო თავისი აღმსარებლობა (მონოფიზიტობა), ქალკედონიტობა აღიარა, შემდევში კი აქტიურად ჩაება კიდევ ანტი-ქალკედონური ეკლესიის გავლენის წინააღმდევ მიმართულ ბრძოლაში. როგორც ირკვევა, ივანე მხარგრძელი, თავისი ოჯახის წევრებითურთ, ბოლომდე ქართული აღმსარებლობის მიმდევარი დარჩა. ვარდან აღმოსავლელის გადმოცემით, ივანე მხარგრძელის მუზლემ, ხოშაქმი ქალკედონურ სჯულზე გადმოიყვან ზაქარია მხარგრძელის მცირეწლოვანი მექვიდრე შაპანშაპი რაც, იმავე ისტორიკოსს, მხარგრძელთა სხვა მსგავს დანაშაულებებთან ერთად განისის ბრძოლაში ივანე ათაბაგის დამარცხების მიზეზად მიაჩნია.

რელიგიური კუთვნილების მიხედვით ივანე მხარგრძელის შთამომავლებაც საისტორიო წყაროები „ქართველებად“ (ე. ი. ქალკედონიტებად) მოიხსენიებენ. აღმოსავლური წყაროები ივანე ათაბაგის ქალიშვილს, თამთას „გურგი ქალბატონს“ უწოდებენ, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა მუსლიმანურ სახელმწიფოებში. (როგორც ცნობილია, თამთა ხლათის მფლობელთა ჯერ აუხდის, შემდევ კი მისი ძმის აშრაფის მეუღლე იყო). კირკოს განძაკეცის გადმოცემით, თამთას სულთანზე დაქორწინების შემდევ „შეამსუბუქეს გადასახადთა რაოდენობა, ნაწილი მოსახლეობისა კი საერთოდ გაათავისუფლეს... [სულტნები] განსაკუთრებით პატივს სცემლნენ ქართველებს, რომლებიც აღარ იხდიდნენ გადასახადებს [მაპმადიანთა] არც ერთ ქალაქში, იქრუსალიმშიც... ამრიგად დამყარდა თანხმობა და მშვიდობა ქართველთა და სულთანთა საგამგებლოს შორის“<sup>69</sup>.

<sup>68</sup> ეპისტოლეთა წიგნი. გვ. 139.

<sup>69</sup> ქრისტიან ჭანდაკისგი... էგ 165—166.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ უცხო ავტორებიც ქართველებიც აცხადებენ ივანე მხარგრძელსა და მისი ოჯახის წევრებს. მათგან გაშეცვალებულია ბით საყურადღებო XIII ს. დამდეგის მაპმალიანი ისტორიულის ან-ნასავის ცნობები „ჩალალედინის ცხოვრების აღწერასთან“ დაკავშირებით. მხარგრძელთა საგვარეულოს წარმომადგენლები მის თხზულებაში აღ-გურჯებად (ქართველებად) არიან მოხსენებულნი<sup>70</sup>.

რაც შეეხება ზაქარია მხარგრძელისა და მისი შთამომავლების რელიგიურ კუთხნილებას, როგორც ქართულ, ასევე სომხურ წყაროებიდან შემდეგია ცნობილი: ზაქარია ერთადერთი იყო მხარგრძელთა საგვარეულოში, რომელმაც არ შეიცვალა სარწმუნოება და ბოლომდე „სომხურ რჯულზე“ (მონოფიზიტობაზე) დარჩა. როგორც ვარდან აღმოსავლელი და კირაკის განძაქეცი შიუთითებდნენ, ზაქარია მხარგრძელმა, მართალი, არ შეიცვალა აღმსარებლისა, მაგრამ სცადა მთელი რიგი ღონისძიებით გაეტარებინა სომხური ეკლესის ქართულთან დაახლოებისათვის. მის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია: დვინისა და ანისის საეკლესიო კრებებით ზაქარია მხარგრძელმა ვერ განახორციელა თავისი გეგმები და თვითონაც არ „გაქართველებულა“. სწორედ ჩვენს მიერ კირაკის განძაქეცის თხზულებიდან ზემოთ მოტანილი ცნობა ზაქარიას მოსალოდნელი „გაქართველების“ საკითხს შეეხება, რასაც ასე შიშით აღნიშნავდა მისი მოძღვარი მხითარ გოში. მხარგრძელთა რელიგიური კუთვნილების შესახებ (უფრო ზუსტად „ქრისტიანული ქრისტიანული მნიშვნელობით ხმარების შესახებ“) საყურადღებო მასალა ვვხვდება აგრეთვე XIII საუკუნის მემატიანის, ვინე სებასტაცის „უამთაამღწერლობაში“: „ლევონის მეფობის უამს აღმოსავლეთში მოვიდა 2 დიდებული მთავარი ზაქარია და ივანე... ისინი პატივდებული იყვნენ ქართველი (ქრისტი) დედოფლის თამარისაგან, რომელიც მხნე გიორგის ქალიშვილი იყო... ივანე მოიხიბლა თამარ დედოფლით და ქართველი (ქრისტი) გახდა (გაქართველდა), ხოლო ზაქარია მტკიცედ დარჩა თავის რჯულზე. 1212 წ. გარდაიცვალა ზაქარია მართლმადიდებლური რწმენით (თეთამა ჩატათი) და დაიკრძალა სანაიში. მას დარჩა ერთი 7 წლის ვაჟი, სახელი შაპანშაპი, რომელიც ივანეს ცოლმა ხმაშვიმ ქალკედონის რჯულზე (ჩ ჩატათ ჭაყის ქალკედონი) მოაქცია<sup>71</sup>, ქარულ-სომხურ წყაროთა მონაცემებით შესაძლებელია ზაქარია მხარგრძელის ვიზიონისა და მოღვაწეობის განსაზღვრა და მართებულად შეფასება. აეად. ნ. ჩერქენიშვილის სამართლიანი მითითებით „ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალება თამარმა იგლოვა და ყოველმან კაცმან საქართველოს მყოფან“ და ამ საქართველოში იგულისხმებოდა თვით ზაქარიაც, რომელიც „იყო სარწმუნოებითა სომები, არამედ ყოველნი სათნოებანი საღმრთონი და საკაცობონ აქუნდეს“... ჩვენი ავტორი გასაჭირის წინაშეა: ზაქარია მისი საქმიანობით ქართველი მთავარია, ქართველი თავადია. ის საქართველოს ლაშქრის ამირ-სპარსალარია, ხოლო სარწმუნოებით სომებია. ჩანს ორი ცნება: კულტურულ-პოლიტიკური (ქართველი) და რელიგიურ-კონფესიური (სომები) ერთიმეორეს.

<sup>70</sup> З. М. Бунийятов, Сведения АН—Насава о Грузии № 6. ქართული წყაროთმცოდნეობა III. 1971 წ. გვ. 165.

<sup>71</sup> Անանուն Սեբաստացու Տարեգրոթիւնը. (XIII դ.). Մանր ժամանակագրոթիւնները. հատոր II... էջ 136—137.

დაუკირისპირდა ზაქარია მხარგრძელის ვინაობის განსაზღვრაში<sup>72</sup>. ივანესა და ზაქარია მხარგრძელთა მოღვაწეობის, მათი კონფესიური კუთვნილებისა და რელიგიური პოლიტიკის საკითხები განხილულია პროფ. შ. მესხის ნაშრიში „მხარგრძელთა როლი XII ს. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში“<sup>73</sup> და მაგრამ ჩვენ მას აქ აღარ შევვეხებით. მხოლოდ მივუთითოთ, რომ ტერმინის „ყერჭ“ (ქართველი) ასევე კონფესიონალური მნიშვნელობით ხმარების მაგალითი გვხვდება ისევ კირაკის გრძავეცისთან, ასევე მხარგრძელთა, სახელობრი, ივანეს მოღვაწეობის ერთ-ერთ ეპიზოდთან დაკავშირებით; ისტორიკოსი გადმოვცემს: „გარდაიცვალა ივანეც, ზაქარიას ძმა და დაკრძალა პლატანებში, ეკლესიის კართან, რომელიც თვითონ აშენა. [ეს ეკლესია ივანემ] წართვა სომხებს და ქართულ მონასტრად აქცია (ყრაფხ ყანე რამათანთვა)<sup>74</sup>.

ალბერტ ცნობაში საუბარია ივანე მხარგრძელის მიერ ერთდროს სომხური მონოფიზიტური პლაკაპანქის მონასტრის ქართულ, ე. ი. ქალკედონურ მონასტრად გარდაქმნის შესახებ.

ეთნიკური ტერმინის „ქართველის“ ქალკედონელის მნიშვნელობით გაგების ერთ საყრდენობო შემთხვევას ვხვდებით, მაგალითად, ისტორიულ ქვეშ ქართლში, ბანუშ-ჩაის ხეობაში (ხოյორნის ხევი) 1213 წლის ხანძღევსის წარწერაში, რომელიც დავით მუსხელიშვილის მიერ საკა ამოკითხულია:

1. შელსა 1213. სახელითა ღვთისათა შვილნი ესე ქართველისანი  
(ოყებულება ქართველები) გრიგოლ და სარგის

2. ვერახნეთ წმიდასა კრებულსა წმიდისა სარგისისასა [ქამსა] სპარაპეტრობისასა.

3. სომებთანა შაპერაპისა ზაქარიას ძისა, წინამდლვრობითა სარკეავა.—

5 ეკლესიათა? სარგის ორი [დღისად], გრიგოლს ორი [დღისად]?

6. სახელითა ოფიციალური მედიუმისათვის განკუთხული დოკუმენტის გვ. —
7. ზრახე ქმიდებას კრებულსა შეიკრისა? ნიჭითა წინამდღვრობითა.
8. სარკავაგ მოძრუარისათვის და სხუათა ძმათა და გამიყუეოს მე უამის?
9. [წირვად] ეკლესიათა ამონებისა დღეს, ვინ შეცუალოს კრულმცა  
ასტ.

ზემოთმოტანილ წარწერაში „ქართველი“ „ქუაფხი“ ფორმით კი არ წერია, არამედ „ქართველი“ სომხური ასოებით. იგი გრიგორისა და სარგისის მიმის ჭოდებულებაა, ამასთანვე ნიშავს „ქალკედონური აღმსარებლობის ჟაჟარებელი პირს“<sup>55</sup>.

ქართულ-სომხური წყაროების მონაცემებიდან ირკვევა, რომ ზოგვერ ქართული მართლმადიდებლობის ომშარებლი თუნძივ არაქართველი, ქართ-

72 ၁၃၅ ၈၂၄ ၆၀၇၂၂၀၉, ဆာရှိတွေ့ကြခဲ့သူ၏ ပညာရေးဝန်ကြီးချုပ်၊ ၁၃၈၉, ၁၉၇၅,

75 අං. ඩ. ඔ ග්‍රැස්බෝ, දාසාක. නාශ්ච., පු. 253—275.

<sup>74</sup> Եիրակոս Գանձակեցի... էջ 222.

<sup>75</sup> დ. მუსე სელიშვილი, ქართველის სტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საკულტო მართვითა (1956—1958 წწ.) შეკვები, იხ. საქართველოს სტორიული გეოგრაფიის კრებული I, თბ. 1960 წ., გვ. 58—59.

კელად იწოდებოდა, ისევე, ჩოგორც სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების შიძლევარი, არასომეხი — სომხად. სწორედ აღნიშნული ვითარებაა ასახული ზაქარია აგულეცის შემდეგ ცნობაში: „(1116+551=1667 წ.) იზმირში მობინადრე ორმა ქართველმა (**բ բինադար վրացի**) რომლებიც ტომით სომხები (ազգա հայ) ոչընեն ქალაქ თბილიսიდან, სახელաდ შაჰპერდամ, მეორემ გასპარմა, յრთმანետու ամեნաշებმა, თავո გყორტებულიდ გამოაცხადეს“<sup>76</sup>. შოტარილ ნაწყვეტში, ամ კონკრეტულ შემთხვევաში, ეտნიკური ტერმიնი **„վրացի“** წარმოშობით ქართველს კი առ Նიშნაցს, առամեడ კონფյուսիոნա-ლურ-კულტურული მნიშვნელობის შეմცელաდ. იქვე მითուებულია աმ თრი პირիს წარმომავლობა — ტომით სომხობა (**ազգա հայ**). ჩოგორც ცნობილია, XII—XIII საუკუნეებიდან განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს ტე-რიტორიաზე მცხოვრები მონოფიზիტ სომხების ქალკედონიანობაზე („ქართულ ჩუღულზე“) მოქცევու անუ „გაქართველების“ ტენდენციები. სწორედ ქალკე-დონიანობაზე მოქცეულ სომხებს მათი თანმემამულე მონოფიზիტი სომხები „ქართველებს“ უშოდებდნენ. სომეხთა և ეთ რელიგიურ მოქცევաს, „გაქართ-ველებას“ ნ. ბერძნებიშვილი ქართული ფეოდალური კულტურის გავრცელების საფუძველზე სნოւ და დასძენს: „განსაკუთრებით საყურადღებო ხდება ტა-ოელი აზნაურების აგრე მასიურად „გაქართველობიტება“ X—XI სს. ქართლის ფეოდალური კულტურა, ჩანს, ძლიერად ზემოქმედებდა ტაოელ „სომხებზე“. თუ ეს არა, უცნაურია სარჭმუნოებრივი მოსაზრებით იქ ქალკედონიტობა რატომ უნდა დაკავშირებოდა ქართველობას და არა ბერძნობას. რა თავს იტე-ებდა ტაოელი „ქართველობისათვოს“ ჩოგა ბერძნობა მისთვის გაცილებით უფრო პერსպექტივიან შეიძლება ყოფილոყო<sup>77</sup>.

<sup>76</sup> Զաքարյան Ազգական Ուսուցչությունը. Խմբագիր Ս. Վ. Տեղ-Ավելասիս, Երևան 1938 թ. էջ 72.

<sup>77</sup> 6. ბ 4 რ ძ ა ნ ი შ ვ ი ღ ი . ს ა ქ ა რ თ უ ე ლ ი ს ი ს ტ . ს ა კ ი თ ხ ე ბ ი . ბ . VII . 23 . 91—92.

Ցմրտ թարանուր թասալո, զցոյիքոնդտ, առ ովհցա արցօտար և աղջմցը միօն մրցուցեատովս, հոմ հոգործ Յ. Արշակոնց մուտուցեմ: „Для Аристакэса Ластиверти, Матфея Эдесского и, в особенности, для Степаноса Таронского... эти армяне—либо „ромеи“, либо ивиры, „врачи“, „պատիկ“.

უფრო მართებული აქცენტი ვ. არუორინგას რამდენმე მაგალითი შეიც და-  
ესახელებინა ალნიშვნულ ძალისთვისთა თხულებებიდან თავისი ასრო ზეპრი გან-

<sup>78</sup> В. А. Арутюнова-Фиданян, «Ивер» в византийских источниках XI в. об. „պահպես Մատենագրանին«, № 11, 1973թ., էջ 56.

ცხადების დასასაბუთებლად. რაც შეეხება ეთნიკურ ტერმინებს „როგორის მომავალი“-ს, ისინი სხვა სომქე ისტორიულსთა თხზულებებშიც ხშირად გვხვდებიან, ხოლო არისტაკეს ლასტივერტუცის, მათებს ურპაეცისა და სტეფანის ტარონეცის ასე ხაზგაშით დასახელება ვ. არუთინოვას ალბათ იმიტომ დასჭირდა, რომ გაემართლებინა „ქრისტიანული მომენტისას სომქე ქალკედონელების აღნიშვნის საჭიროება: სტეფანის ტარონეცისთან „ქრისტიანული მომენტისას ისტენიება თარიღისთვის (იმანე თარიღი), არისტაკეს ლასტივერტუცისთან ზაქარია ვალარშაკერტუცი, ხოლო მათებს ურპაეცისთან—გრიგოლ ბაკურიანის ძე. დასახელებულ მოღვაწეთა და საერთოდ „ქრისტიანული მომენტისას პიროვნებათა და მათთან დაკავშირებით სომხურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებათა შესახებ მსჯელობას ამჯერად ჩენებ არ შევუდგებით, ხოლოდ შემდეგს შევნიშვნათ: თანე თორნიკეს ვინაობის (განსაკუთრებით მისი ქართული წარმომავლობის) შესახებ სრული წარმოდგენისათვის, სხვა წერილობით წყაროებსა და ანდერძმინაწერებს რომ თავი დავანებოთ, საესებით საქმარისია ისეთი მნიშვნელოვანი და სანდო თხზულების გათვალისწინება, როგორიცაა გიორგი მთაწმინდელის „ცხორებაა იოვანესი და ეფთვიმესი“, სამწუხაოდ ეს საყურადღებო წერილობითი ძეგლი ინ სრულიად უგულებელყოფილია სომხურ ისტორიოგრაფიაში, ანდა არასწორადაა ინტერპრეტირებული მასში თავმოყრილი მასალა მთელი რიგი საკითხების კვლევისას.

რაც შეეხება გრიგოლ ბაკურიანის ძის ქართულ წარმომავლობას, იგი ნათელია მის მიერვე შედგენილ „პეტრიშვილის წესდება“-ში დაცული ცნობებიდან, რა თქმა უნდა სხვა წყაროთა მონაცემების გათვალისწინებით. ნუთუ არ უნდა იყოს საკმარისი და სარწმუნოდ მისაჩენენ თვით გრიგოლის სიტყვები: „წარმოშობით ვარ იღმოსავლეთი მხარეებიდან იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან“, ან „რომელი ესე მკვდრ ვართ მონასტერსა ამას შინა... ქართველნი ვართ ნათესავით მენენი და მეცდრობითა აღზრდილნი“. განა დასაშვებია გამოთქმა „ქართველნი ვართ ნათესავით მენენი“ ასე გავიგოთ „ქართველნი ვართ სარწმუნოებით მენენი?“ ანდა, „იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან“ ნიშნავდეს „იბერთა უბრწყინვალესი სარწმუნოებიდან“, როგორც ეს სურთ დაამტკიცონ სომქე მკვლევარებს.

„ქრისტიანული მომენტისას ლიპარიტის, რატისა და ზვიადის) ქართული წარმომავლობაც ასევე ეჭვს არ იშვევს სომხური, ქართული თუ ბიზანტიური წყაროთა მონაცემების გათვალისწინებით. ისინიც ქართულ სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად პოლიტიკური თუ კულტურული საქმიანობის აქტიურ მონაწილეებად გვეპლინებიან.

ამრიგად, ზემოთწარმოდგენილი მრავალრიცხოვანი მასალის შესწავლის შედეგები დასკვნების სახით შემდეგნაირად შეიძლება შევაგამოთ.

1. სომხურ წერილობით ძეგლებში (საისტორიო, აგიოგრაფიული, ლიტე-

რატურული, ეპიგრაფიკული, ანდერძმინაშერები), „აყც“ („გვარი) და მისი სინონიმური სიტყვები „თორმ“, „თხონ“, „სხრამ“, „გხეტ“, „აღნ“, „გალაკ“, „ყარამ“, „ყრინ“, „გათავსეთ“, „რწმებ“, „აღდაფენ“, „არხან“, „მხრადალი“, „არხან“, „ყარამ“. ყოველთვის წარმომავლობაზე, ნათესაობაზე, მოღვაწე მაუთითებენ.

2. „აყცალ“, „ქაყაჯე“ და მათთ სინონიმებით შედევნილი ეონიკური სახელები (მაგალითად, ქრაგხ აყცალ, ჩ თორმებ ქრაგხ, ჯაყცებ ჩათამ, აყცალ ზონ, ჩალ აყცალ, ჩ ყარამის თორმებ, ჩ გხეტენ პლერებულანგ, ჩ გალაკებ უნა-ხებრებავ, ვალამ ყარამებ ყარალალუნიავ და სხვ.) ყოველთვის გარკვეული ხალხის ნაციონალობას აღნიშნავს და არა აღმსარებლობას.

3. სარწმუნოების აღსანიშნავად სომხურ წერილობით ძეგლებში შემდეგი სიტყვები იხმარება: կրინქ, ჩალამ, თხოთ, ორქნ (օრქნქ), գალანთმჭილ, თალანთმჭილ, ჩილანთმჭილ.

4. ამავე წყარიოებში ქალკედონური აღმსარებლობასა და მის მიმდევრებს (ქალკედონელებს, დიოფიზიტებს, ორბუნებიანებს) ეწოდებათ: ხელარნახ, ფალკებონალან, ყეირებალებ ჯარ აღანდულინ ფალკენიან, ჩალანხალ ძოლიფუნ ფალკებონ და სხვ.

5. ყველა პერიოდში ეთნიკური ტერმინები (აყც-ითა და მისი სინონიმებით შედევნილი) „წარმომავლობას“ აღნიშნავს და არ ემთხვევა „აღმსარებლობას“ (ვთქვათ, სომებ ქალკედონელზე ვიტყვით „ჩაქ აყცალ և կრინქ ქრაგხ“ — „გვარად, ტომით სომეხი და რგულით ქირთველი“, ქართველ ქალკედონელზე კი — „ქრაგხ აყცალ և ფალკებონახ“ („ტომით ქართველი და ქალკედონელი“). ეთნიკური და სარწმუნოების აღმნიშვნელი ტერმინები გამიჯნულია ერთმანეთისაგან.

6. სომხური, ქართული და ბიზანტიური წყაროების მონაცემების საფუძველზე „ქრაგხ აყცალ“-ით მოხსენიებული პირები (იოანე თორნიკე, გრიგოლ ბაჟურიანის ძე, ზაქარია ვალარშავერტეცი, ლიპარიტი, რატი, ზვიადი და სხვ.) წარმომავლობით ქართველები და აღმსარებლობით ქალკედონელები არიან.

7. ეთნიკური და აღმსარებლობის, კერძოდ ქალკედონური მრწამსის აღმნიშვნელი ტერმინების გამიჯვნის ტრადიცია, გარდა სომხური წყაროებისა, ქართულ წერილობით ძეგლებშიც დასტურდება (ნათესავი, გვარი, ტომი, თესლი, მოდგმა, თვესი, სჭული, სარწმუნოება, ქართველთა სარწმუნოება).

8. წარმოშობით სომეხი და აღმსარებლობით ქალკედონელი არცერთი მოღვაწე (დამიან დალასელი, ლევონ თორნიკე, ლევონ დავატანოსი, ბასილი აბოკაბი, სმბატ ვეკაცი, ბაგრატ ვეკაცი, კატაკალონ კეკავმენი, თოროს ედესელი, გაბრიელ მელიტინელი, ფილარეტოსი, იოსებ კონსტანტინეპოლელი, გრიგოლ ხლათეცი, ვაპრამ რაბუნი, გრიგორ ანავარზეცი, სიმეონ პლნძაპანეცი და სხვ.) სომხურ წყაროებში „ქრაგხ აყცალ“-ით არ იწოდება, მათ უწოდებენ „ფალკებონახ“. „ხელარნახ“ და მონოფიზიტი სომხები მათ მიმართ აშკარად გამოხატავენ გულისტყორმას ქალკედონური მრწამსის აღიარების გამო. მათი აღმსარებლობის „ქრაგხ აყცალ“-ით მოხსენიების საჭიროება არცერთ სომხურ წერილობით ძეგლში არ დასტურდება.

Е. В. ЦАГАРЕИШВИЛИ

## О ЗНАЧЕНИИ «ВРАЦИ АЗГАВ» («РОДОМ ГРУЗИН») В АРМЯНСКИХ ПИСЬМЕННЫХ ИСТОЧНИКАХ

### Р е з ю м е

На основе изучения армянских письменных памятников и их сличения с данными других первоисточников устанавливается, что под термином «врачи азгав» («родом грузин») подразумевается не вероисповедная, а этническая принадлежность отдельных лиц; следовательно, «врачи азгав» означает «грузина по происхождению», а не — «армянина — халкидонита», как это толкуется в армянской научной литературе.

Для обозначения «армянина — халкидонита» в армянских источниках употребляются слова: «калкедонит», «еркабнак», «кронивк врачи» и др.

## 6. მუზეუმის მუზეუმი

### ელისაბედ ბატონიშვილის მუზეუმის წიგნი

ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში (ხ. ი. ფ. H) დაცულ სამდივნო წიგნში შემთხვევა ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნის ნიმუში (ხ. ი., ფ. H 1334, ფრ. 380r—389v). ნიმუში საბუთის სრულ პირს ჭარმთადგენს. მზითვის წიგნი მიცემულია ერკელე მეფის და ელისაბედის დედის, თემურაზ II მეორე მეუღლის, დედოფალ ანახანუმის მიერ ამილახვრებისადმი. მექორწინენი არიან ელისაბედ ბატონიშვილი<sup>1</sup> და გიორგი ამილახორი. ელისაბედ ბატონიშვილის შზითვის წიგნის ნიმუშს აქვს შენიშვნა, რომლის თანხმად მზითვის წიგნში გიორგი ამილახორის ვინაობა და სოციალური მდგრადეობა უნდა შეიცვალოს კაცია დადიანის ვინაობითა და სოციალური მდგრადეობით. მზითვის წიგნის ეს ნაკვეთი ამავე სამდივნო წიგნშია დაცული (ფრ. 390r—97r). მაშასადამე, სამდივნო წიგნში ნიმუშის სახით შეტანილი ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი უნდა გამოყენებინათ მისი მეორე ქორწინების მზითვის წიგნის შესადგენად. ამგვარად საშუალება გვეძლევა სრულად ალვალგინოთ ელისაბედ ბატონიშვილის ორივე ქორწინების მზითვის წიგნები. ამილახორებისათვის მიცემული ანუ ელისაბედ ბატონიშვილის პირველი ქორწინების მზითვის წიგნი სამდივნო წიგნში ნიმუშად მოტანილი მზითვის წიგნია, ხოლო მეორე, მიცემული კაცია დადიანისათვის იქნება მზითვის წიგნის იგივე ნიმუში, გამარტული პირველ წიგნს დართული შენიშვნების თანხმად, და როგორც შემდეგ დავინახავთ, ს. ბარნაველის მიერ მიკვლეული და გამოცემული მზითვის წიგნის პირის გათვალისწინებით, მასზე დაყრდნობით<sup>2</sup>.

მზითვის წიგნის ნიმუშს თარიღი არ უზის. მას ბოლოს ერთვის საბუთის შემდგენლის გლახა წიგდებული გიორგი ნათიშვილის ანდერძი (H 1334 ფრ. 389v). ამავე წიგნში არის ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნის მეორე ანდერძის ნიმუში (ფრ. 195r), რომელიც აგრეთვე მზითვის წიგნის შემდგენლს ეკუთვნის და ელისაბედ ბატონიშვილის მეორე ქორწინების ვითარებას გამოვლენს. ანდერძში აღნიშნულია ელისაბედ ბატონიშვილის ვინაობა, მისი დაბადების და მეორე ქორწინების, უფრო სწორედ, ოდიშ-ლეჩესუმში გამგზავრების თარიღები.

<sup>1</sup> ელისაბედ ბატონიშვილის შესახებ ცნობებს გვაწვდიან: ს. ბარნაველი გამოკვლევაში: ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი. სქ. სახ. მუხედუმის მოამბე, 1940, X—R, გვ. 206—207 დ. გ. ქვთარა მონოგრაფიაში XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. 1977, გვ. 219—20.

<sup>2</sup> ს. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205—223.

ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი გამოცემულია სამხერ. პირველი რუსულ ენაზე თარგმნილი, 1916 წელს გამოსცა ექიმმა ნ. ერისთავის შარვაშიძემ. მზითვის წიგნი მას უპოვნია თავის ნათესავთან, ერისთავის ქალთან, რომლის ბებიის დედა, — ნინო ბატონიშვილი, — ერეკლე მეფის ძის გიორგის ასული, იყო სამეგრელოს მთავრის კაცია დადიანის შვილის გრიგოლ დადიანის შეუღლე. ნ. ერისთავ-შერვაშიძის მიერ გამოცემულ წიგნს აკლია დასაწყისი და ბოლო. სამდივნო წიგნი ნიმუშად მოტანილი მზითვის წიგნის საშუალებით ვიგებთ, რომ საბუთის დასაწყისი საქამა მოცულობის ყოფილა. ეს არის სიგელის თავი, რომელშიც ვრცლად, მეფის მიერ გაცემული საბუთისათვის შესავერი გამოშხატველობით და მეჭერეტყველებით გადმოცემულია მზითვის წიგნის მიმცემისა და მექორწინეთა ვინაობა, მათი წარმომავლობა და სოციალური მდგომარეობა. ფაქტიურად გამომცემელს ხელთ ჰქონია სიგელის მზითვის ნუსხის შემცველი ნაწილი. გამომცემლისთვის არ იყო ცნობილი არც მზითვის წიგნის მიმცემი და არც მექორწინეთა ვინაობა. ნ. ერისთავ-შერვაშიძეს დაუსკვნია, რომ საბუთი არის გიორგი მეფის ასულის ნინო ბატონიშვილის მზითვის წიგნი. საბუთი მან დაათარიღა ნინო ბატონიშვილს ქორწინების წლით და გამოსცა როგორც ნინო ბატონიშვილის მზითვის წიგნი<sup>3</sup>.

მეორედ ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი გამოსცა ს. ბარნაველმა<sup>4</sup>. გამოცემა ეყრდნობა ხელნაწერთა ინსტიტუტის ყოფილ საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში დაცულ ხელნაწერ პირს H 1052, რომელსაც, ისევე როგორც რუსულ ენაზე გამოცემულ საბუთს, აქლია თავი და ბოლო. მზითვის წიგნის გამოცემას წინ უძღვის შესავალი წერილი, რომელშიც საბუთის პირის ანალიზისა და სათანადო წყაროების მოშველიებით მკვლევარმა მოგვაწოდა საცულისხმო დაკვირვებანი და მოსახრებანი. ს. ბარნაველმა საბუთის თარგმანისა და მის ხელთ არსებული თავნაკლული პირის შედარების შედეგად დაადგინა, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში დაცული მზითვის წიგნის ეს ხელნაწერი წარმოადგენს რუსულ ენაზე თარგმნილი მზითვის წიგნის პირს შემდეგი მონაცემების საფუძველზე: 1. მზითვის წიგნის ბოლოს მოთავსებული მხლებელთა სია რუსულ ენაზე თარგმნილი მზითვის წიგნის მხლებელთა სიის სრულ იგივეობას წარმოადგენს. 2. გამოცემული თარგმანისთვის დართული ქართული ტექსტი ემთხვევა მის მიერ შესწავლილი ხელნაწერი ნუსხის სათანადო ტექსტს. 3. პირი იშევება იმ ადგილიდან, რომლიდანაცაა თარგმნილი საბუთინ. მკვლევარმა მზითვის წიგნის ნაკლული პირის მონაცემებზე დაკვირვების შედეგად გაარცია რომ რუსულ ენაზე თარგმნილი მზითვის წიგნი ეკუთვნის ელისაბედ ბატონიშვილს და არა ნინო ბატონიშვილს, რომ „მზითვის წიგნი მიცემულია მის მიერ“ და გამოთქვა ვარაუდი, რომ „ელისაბედ ბატონიშვილი უნდა იყოს ერეკლე II-ის და, რომელიც 1765—1766 წლებში მიათხოვა ერეკლე II ეპიკი დადიანს“<sup>5</sup>.

3. Н. Эристов-Шарвашидзе, Книга о приданным царевны Нини Георгиевны. Памятник 1791 года. Перевод с грузинского. С двумя листами копий с оригинала. М., 1916 г.

4. ს. ბარნაველი ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, საქართველოს სახ. მუნიციპალიტეტი, X—B, 1940, გვ. 205—223.

5. ს. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 205—206.

6. ს. ბარნაველი, ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, საქ. სახ. მუნიციპალიტეტი, X—B, 1940, გვ. 206.

მესამედ მზითვის წიგნი გამოსცა მ. იაშვილმა<sup>7</sup>. გამოცემა ემყარება ს. ბარახავარის რაველის მიერ შესწავლილ და გამოცემულ ხელნაწერს.

სამდივნო წიგში შეტანილი ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, როგორც აღნიშნული იყო, მიცემულია ამილახვერებისადმი. მშესალამე, ის შედეგნილია ელისაბედ ბატონიშვილის პირველი ქორწინებისათვის. ცნობა ელისაბედ ბატონიშვილის პირველი ქორწინების შესახებ მოიპოვება ელისაბედის პირველი მეუღლის გიორგი ამილახორის ძმის ალექსანდრე ამილახორის თხელულებაში.

თეიმურაზ მეფეს ელისაბედ ბატონიშვილი ჯერ კიდევ ბავშვი დაუქორწინებია გიორგი ამილახორზე. დაქორწინებული „დრომდე“ ელისაბედის შშობლებთან ცხოვრობდნენ. თეიმურაზ მეფის გარდაცვალების შემდეგ, აღმათ, როდესაც ელისაბედ ბატონიშვილი სრულასაკოვნი გახდა, — „იწყო ირაკლიმ თხრობად ჩუენდა — წერს ალექსანდრე ამილახორი — რათა წარვიყვანოთ და მისი სახლსა შინა ჩუენსა (მამა მისი, მეფე თეიმურაზ ალესრულა ცკვე რუსეთს), რომელიცა წარმოვიყენეთ და ეგო მამულსა შინა ჩუენსა ცხრა თხუე“<sup>8</sup>.

უნდა ვითქმიროთ, რომ ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი ამილახორების ოჯახში მისი წაყვანის დროისათვის არის შედგენილი.

მზითვის წიგნის მონაცემებისა და ალექსანდრე ამილახორისა და დავით ბატონიშვილის თხელულებებში მოცემული ცნობების შეგერება საშუალებას იძლევა განისაზღვროს ელისაბედ ბატონიშვილის ამილახორებთან გადასვლისა და მისი მზითვის წიგნის შედგენის დრო. მზითვის წიგნში თეიმურაზ მეფე გარდაცვალებულია შოხესნებული, რაც ეთანხმება ალექსანდრე ბატონიშვილის ზემოთ მოტანილ ცნობას. ერეკლე მეფის შვილებს შორის კი, სულ ბოლოს, დასახელებულია ბატონიშვილი თეიმურაზ, შემდეგში კათალიკოსი ანტონ 11, რომლის დაბადების თარიღი ზუსტად არის ცნობილი: 1764. 1. 8. როგორც ვხედავთ, საბუთი თეიმურაზ ბატონიშვილის დაბადების შემდეგ არის შედგენილი. დავით ბატონიშვილს თავის თხელულებაში მოცემული აქვს ცნობა ელისაბედ ბატონიშვილის განქორწინების შესახებ. ამ ცნობის თანახმად 1765. XI. 16 ერეკლე მეფის მიერ მოწვეულმა სასულიერო კრებამ გაძყარა ელისაბედ ბატონიშვილი და გიორგი ამილახორი<sup>9</sup>. ალ. ამილახორის ზემოთ დამოწმებულ ცნობაში კი ნათქვამია, რომ ელისაბედ ბატონიშვილის ამილახორების ოჯახში 9 თვე უცხოვრია. აქედან გამომდინარე, ელისაბედ ბატონიშვილი ამილახორების ტანახში 1765 წლის დასაწყისში გადასულა (1765.XI—9). ამ დროისათვის მზითვის წიგნი უკვე შედგენილი იქნებოდა, მისი შედგენის დრო 1765 წ. დასაწყისს ვერ გადასცდება და რადგან ვთიქრობთ, რომ მზითვის წიგნს ელისაბედ ბატონიშვილის ამილახორების ოჯახში წაყვანისთვის შეაღენდნენ,

7 მასალები საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები) თბ., 1974, გვ. 75—90.

8 ვარგებლობ ს. ბარნოველის მიერ გამოქვეყნებული ამონაწერით. იხ. ს. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 207.

9 „მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დაუთ გაორგის ძის და მის ძმებისა“, ტფილისი, 1905, გვ. 13.

უნდა დავასკვნათ, რომ მზითვის წიგნი 1765 წლიდე 1764 წლის მეტობის შევარძია შედგენილი.

ელისაბედ ბატონიშვილის მეორე ქორწინების — კაცია დადიანზე გათხოვების — თარიღი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არ არის. ე. თაყაიშვილი ელისაბედ ბატონიშვილის მეორე ქორწინებას 1765 წლით ათარილებს<sup>10</sup>. სამწუხაროდ, მეცნიერი არ უთითებს, რას ეყრდნობა მისი ცნობა. ს. ბარნაველი, როგორც დასაწყისში აღნიშნული გვქონდა, ვარაუდობს, რომ ელისაბედ ბატონიშვილი კაცია დადიანს 1765—1766 წლებში მიათხოვეს<sup>11</sup>. ჩ. 1334 სამდივნო წიგნში დაცულ ელისაბედ ბატონიშვილის მეორე ქორწინების მზითვის წიგნის ანდერძში გვაქვს ელისაბედ ბატონიშვილის ოდიშ-ლეჩხუმში გამგზავრების თარიღი, რაც მისი ქორწინების თარიღიად უნდა მივიჩნიოთ. (ჩ. 1334 ფრ. 195 რ). ანდერძის სათაურია „მწერლის ანდერძი“. იწყება ელისაბედ ბატონიშვილის დალოცვით. შემდეგ გადმოცემულია ელისაბედ ბატონიშვილის ვინაობა — „მეფის თეიმურაზის ასული“ — მას მიეღვნა (მიეარღამნეს), „წიგნიცა ესე მზითვად ლექსიკონი კეთილშემცობილი“. მზითვის წიგნი, ნათევამის ანდერძში, შედგენილია დედოფალ ანახანუმის ბრძანებით, ანდერძის დამწერის მიერ. მწერალი თავის თავს ანდერძში არ ასახელებს, მაგრამ მის ვინაობას ელისაბედ ბატონიშვილის პირველი ქორწინების მზითვის წიგნის ანდერძიდან ვიგებთ. ის არის გლახა წოდებული გორგი ნათიშვილი. მასზე ქვემოთ გვექნება საუბარი. შემდეგ ანდერძი გვამცნობს ელისაბედ ბატონიშვილის დაბადების დაგილსა და თარიღს — თბილისი, 1750 წ. (ულტ)<sup>12</sup> მარტი: „ქართულსა ქორონიკონსა ულც თოუესა მარტსა კდ, შემოსვლასა მესამისა უამისა ლამისასა სავანთიალოსა ბრწყინვალესა დღესასწაულსა ხარებისასა...“ და მთავრდება ერეკლე მეფის მიერ ელისაბედ ბატონიშვილის კაცია დადიანზე გათხოვების, მისი ოდიშ-ლეჩხუმში გამგზავრების ცნობით, რაც ზუსტი თარიღით არის აღნიშნული: 1766 წლის 3 ივნისი (უნდ). ანდერძში მოცემული ცნობები ეჭვს არ იწვევს. ანდერძი მზითვის წიგნის შემდგენლის, გორგი გლახა წოდებული ნათიშვილის — სამეფო კარის დაახლოებული პირის დაწერილია. როგორც მზითვის წიგნის შემდგენელი, ის ელისაბედ ბატონიშვილის ქორწინებათა მონაწილედ უნდა ჩაითვალოს. ზედმიწევნილობა, რომლითაც აღნიშნულია ელისაბედ ბატონიშვილის დაბადების თარიღი, ამ თარიღის წელთაღრიცხვის სხვადასხვა სისტემებით ათვლა: ადამიიდან, ქრისტეს განხორციელებიდან, ინდიქტიონით, მზისა და მთვარის მოქცევით, ქართული ქორონიკონით, რომელიც ერთი და იგივე წელს აღნიშნავს, სახეიმონ ელფერს აძლევს თვით ანდერძის და არ გვაძლევს დაეცვების საფუძველს. ელისაბედ ბატონიშვილის დაბადების იგივე თარიღი არის აღნიშნული პაპუნა ოჩბელიანის<sup>13</sup> და აღექსანდრე ამილახორის თხზულებებში. ამ თარიღს იზიარებს მ. ბროსე<sup>14</sup>.

როგორც ვხედავთ, ანდერძში მოცემული ცნობები სწორია. ვფიქრობ,

<sup>10</sup> ე. თაყაი შვილი, არხოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ. 11, გვ. 78—125.

<sup>11</sup> ს. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 206.

<sup>12</sup> ვაკუნა ირ ბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებულები დაურთო ელ. ცაგარევიშვილმა, თბ. 1981, გვ. 171.

<sup>13</sup> ცნობა აღებულია ს. ბარნაველის წერილში გამოყენებული ამონაწერიდან, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, X—B, 1940, გვ. 207.

რომ ზესტია ანდერძში ოლიტული ელისაბედ ბატონიშვილის ოდიშ-ლეჩხუმისათვის თარიღიც: 1766. VI. 3. (უნდ).

მოგვყავს ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნის ანდერძი მთლიანად:

„ქ. მაღლისა მიერ და საღ/მრ/თოსა უზენაესისა განვებითა და ნიჭითა და მრჩებულითა სუფევითა ოდიდნეს, ამრავალუამნეს ამოთა კეთილ-ცხოვრებითა და სამარადოთა სუფევითა მის უმაღლესობათა ზესთა აღნაგა-ღმატებული, ძირთაგან წიგნამეტყვთა ომობუტკილ-შთამოებული ყოვლისა საქართველოსა და ყაზახ-ბორჩალუს მპყრობელის ღ/უთ/იუ, ცხებით გვირგვი-ნოსანის მეფის თეიმურაზის ასული ელისაბედ ოდიშ-ლეჩხუმთა მფლობი დე-დოფალი, რომელთად მიერლამნეს წიგნიცა ესე მზითვად ლექსიკონი კეთილ-შექმობილი, რომლისა უსავმარეს არა რა არს ქართულისა ენის საქმარად და სამჭირნოდ ლექსთა საძიებითა აღვილ მოპოტბისათვის, რომელსა მებრძან-ნეს მე, უსახურსა მონასა მათსა მათისა უმაღლესობისა და უულ/მრთ/ისმო-ყუარესობის დედუფლის ანახანუმის მიერნი აღწერისა ბრძანებანი და აღვწე-რნეცა შრომილნი ძალისაებრითა მეცადინობითა ორსა და სამსა ზედა ლექ-სიკონისა შემოწმებით, გარნა სრულება თვე ღ/მერ/თი არს. რომელთაცა ჰპოვნებთ სხვათა წიგნთა ზ/ინ/ა აღწერილნი საქმარნი ლექსინი, რომელ ამა დედანსა შინა არა ეწერნეს, შთასწერებითცა დამტკიცებულისა წამებითა, რ/ომელ/ მასცა ესრეთ დაუცს ანდერძი ავტომანა პირუელ შრომელსა მემღუ-წელსა ამა ლექსიკონისასა.

ხ/ოლო/ ესე უკვე ასული მეფისა ღ/უთ/იუ გვირგვინოსნისა, იშვა სამე-უფლისა ქალაქსა ტფილისისასა, უმაღლესსა პალატსა, მუნცე ღ/უთ/იუ — დამ-ყარებულისა მეფისასა წელთა აღამისითგან ხსნებ<sup>14</sup> ქრისტეს განკორჩიელებით-გან ჩქნ<sup>14</sup>, ინდიკტიონსა ია<sup>14</sup>, მოქცევისა მზისასა ც<sup>14</sup>, მოქცევისა მთვარისასა ა<sup>14</sup>, ხ/ოლო/ ქართულსა ქ/ორონი/ქ/ონსა ულპ<sup>14</sup> თუუესა მარტსა კდ, შემო-სვლისა მესამისა უამისა ლამისასა საგანთიაღოსა ბრწყინვალესა დღესასწაულ-სა ყ/ოვლა/დ ჩ/ვენ/ისა ხარებისასა, ხოლო ესე ასული მეფისა მიეთხოა უკეთილმასახურესისა და უმაღლესისა ს/რულიად/ საქართველოსა, კახეთისა და ყაზახ-ბორჩალუს მპყრობელის, მისია თვესისა მის უმაღლესობის მეფეს ურკელეს მიერ ყ/ოვლა/დ დიდებულისა და უახოვნესსა ოდიშ-ლეჩხუმთა მფლობისა დადიანს კაცისა და წარივლინა ტფილისით ოდიშ-ლეჩხუმთა დე-დოფლად თუუესა ივნისსა გ ქ/ორონი/ქ/ონსა უნდ<sup>15</sup>.

ელისაბედ ბატონიშვილის მეორე ქორწინების შესახებ დავით ბატონი-შვილი თავის თხზულებაში შემდეგს გადმოგვცემს: „ესე მეფის და ელისაბედ აქორწინეს მეორედ კაცია დადიანსა ზედა, რომელმანცა განუტევა ცოლი თვეისი შარვაშიძის ასული და შეირთო ეს სიმდიდრისათვის, ვინათვან მისცა მეფემან ფრიადი სიმდიდრე მზითვათა“<sup>16</sup>. ს. ბარნაველი ამ ცნობის გამო წერს: „სწორედ ამ ქორწინებისათვის აღნიშნულია, რომ მიეცა დიდი მზითვევი ელი-საბედს ერეკლეს მიერ“<sup>17</sup>. სამდივნო წიგნში ნიმუშის სახით შემონახულ ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნს სხვა დასკვნამდე მიყევევართ.

ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნის ნიმუში, როგორც აღნიშნული იყო, გამოყენებულია მისი მეორე ქორწინების მზითვის წიგნის შესაღე-

<sup>14</sup> ასმთავრული.

<sup>15</sup> H 1334 ფ.. 195.

<sup>16</sup> დ ა ვ ი თ ბ ა ტ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

<sup>17</sup> ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 207.

ნად. ნიმუშის დასაწყისში მარცხენა კიდეზე მიწერილი აქვს: „აქ კანკალე-ქორთუა წილი უნდა ოღონეროსო“. მაგრამ კანის ქორწილის სასწაულის აღწერა ტექსტში ჩამატებული არ არის. მეორე შენიშვნა მოთავსებულია იმ აღვილას, სა-დაც მზითვის წიგნის მიმცემი — ერეკლე მეფე — დასახელებული და მზითვის წიგნის ამ ნაკვეთში გიორგი ამილახორის ვინაობისა და სოციალური მდგრმარეობის ამსახველი ნაწილის კაცია დადიანის ვინაობისა და სოციალური მდგრმარეობის ამსახველი ნაწილით შეცვლას ითვალისწინებს. „აქედამ სხვას გადაებმის, მეორედ რომ დადიანს მიეთხოვა“ — ვკითხულობთ შენიშვნაში. მზითვის წიგნის ეს ნაწილი მზითვის წიგნის ნიმუშის ბოლოს დევს (ფრ. 390rv—96rv), დაწერილია შვიდ ფურცელზე ლამაზი მდივან-მწიგნობრული ხელით. ტექსტი უშუალოდ აგრძელებს მზითვის წიგნის იმ აღგლის, სადაც შენიშვნაა გაკეთებული და სიტყვა-სიტყვით მისდევს ნიმუშის ტექსტს, ვიდრე კაცია დადიანებ თხრობა დაწყებოდეს. კაცია დადიანის ვინაობისა და სოციალური მდგრმარეობის აღწერის შემდეგ მოცემულია ელისაბედ ბატონიშვილის დახსიათება, რომელიც იწყება სიტყვებით: „ამას უკვე მივათხოვთ და მივეცით..“ ქედან, აღნიშნული ნაკვეთის ბოლომდე მზითვის წიგნისა და ჩასართვი ფურცლების ტექსტი კვლავ ერთი და იგივეა.

მზითვის წიგნის ნიმუშს დართული შენიშვნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ელისაბედ ბატონიშვილის პირველი ქორწინებისათვის შედგენილი მზითვის წიგნის დანარჩენა ნაწილი უკვლელად უნდა შესულიყო ელისაბედ ბატონიშვილის მეორე ქორწინების მზითვის წიგნში. ს. ბარნაველის მიერ გამოქვეყნებული და სამდივნო წიგნში ნიმუშად მოტანილი მზითვის წიგნების შედარებამ გვიჩვენა, რომ მეორე ქორწინების მზითვებს მიმატებული აქვს ზოგიერთი ნივთი თუ საგანი. კაცია დადიანისათვის მიცემულ მზითვის წიგნში მიმატებულია საყდრის არალი — 1 ჯვარი, 1 ძელი ჭეშმარიტი, 4 ხატი (ბატბარესი, მაცხოვრისა, ყოვლად წმიდისა და ნათლისმცემლის შობისა), სიწმინდის იარალი — ბარიძმ-ფეშემ და სამღვდელო და სამთავრო შესამოსელი; გარეშე წიგნები: ლექსიკონი და სარკე თქმულა — მეფის ნაბრძანები; ზღაპრის წიგნები — ვისრამიანი და ყარამიანი. სამკაულში მხოლოდ ერთი ნივთია მიმატებული: პირის მარგარიტი თეთრი; ტანისამოსში — ერთი ქათიბი, 10 კაბა, 3 ახალუხი. საპირფარეშო იარალში 3 ნივთი: თმის ოქროს საყოფი, თევზის კბილის სავარცხელი, თეთრი დოლაბანდი; აბანოს იარალში 4. საგანია მიმატებული. დამატებულია ცხენის იარალი, ქვეშაგებში — ერთი საბანი, სახლის მოფენილობაში თოხი ფარჩის ფარდა და ერთი კარის ფარდა, საწერელი, სათმაშოები: ჭაღრავი და ნარდი თავის დაფებით, ყავახანის იარალი ცალკეა გამოყოფილი. ამილახორებისადმი მიცემულ მზითვის წიგნში მხოლოდ აღნიშნულია ქარხნის იარალი სპილენძისა სრული და ჩამოთვლილი არ არის. კაცია დადიანისადმი მიცემულ მზითვის წიგნში კი ყოველი საგანი დასახელებულია — რიცხვით 21. გაზრდილია ამალა — ამილახორებისადმი მიცემულ მზითვის წიგნში რვა მხლებელია დასახელებული, კაცია დადიანისათვის მიცემულ მზითვის წიგნში კი თორმეტი, ამათვან თოხი მხლებელი — პირის მელვინე გაბაშვილი ედიშერ, დიაკონი სეიმონ, ფარეში გორელი ზაქარა და მკერვალი. იოანე — მზითვის ორივე წიგნის მხლებელთა სიაში არის აღნიშნული. ამილახორებისადმი მიცემულ მზითვის წიგნში გვაქვს მზითვად გატანებული უძრავი ქონებაც სოფელი რატევან და სასახლე ტფილის თავისი საზღვრებით, მამულითა და გლეხებით. კაცია დადიანისათვის მიცემულ მზითვის წიგნში უძრავი ქონება აღნიშნული არ არის. საბუთი მხლებელთა სიით

მთავრდება. ის ბოლონაკლულია. შესაძლოა საბუთს ბოლო ნაწილი სტრუქტურული რედ იმ ადგილიდან აყლდეს, რომელშიც უძრავი ქონება იყო აღნიშნული. ჩამოთვლილი საზოთვო ქონება, როგორც აღნიშნული გვეონდა, კაცია და-დანისადმი მცემულ მზითვის წიგნში დამტებულია, რაც, ვფიქრობთ, ბუ-ნებრივია, თუ გაისახენებო, რომ ის, შეიძლება ითქვას, თანამწორზე — სამე-გრელოს მთავარზე, დადიანზე — თხოვდებოდა და ელისაბედ ბატონიშვილის მეორე ქორწინებისათვის მის ხელახლა აღნუსხვაზედაც მიუთითებს. მეორე ქორწინების მზითვის სია თანმიმდევრობითაც ზუსტად მიყვება პირველი ქორწინების მზითვის ნუსხას, მიმატებული საგნები კი თვის ადგილს, შეს-ბამ ჯგუფშია აღნუსხული. დამატებითი საგნები ელისაბედ ბატონიშვილის შდიდარი მზითვის იძლენდა მცირე ნაწილს შეადგენს, რომ საფუძველი გადეს დავასკვნათ — ელისაბედ ბატონიშვილს იგივე მზითვი გაატანეს როდესაც მეორედ გაათხოვეს კაცია დადიანზე. განსხვავება, რომელიც ამ ორი წიგნის მზითვის შორის არსებობს, ვერ ცვლის შთაბეჭილებას მზითვის იგივეობაზე. ამ ფაქტში ასანულია საქართველოში მოქმედი ქალის ქონებრივი უფლების დაცვის კანონი მზითვის ხელმეუხებლობის შესახებ.

ქართული კანონმდებლობა იცავს მზითვის უფლებას. მზითვი „სათავისთავო“ საკუთრებაა. ერთხელ მიცემული მზითვი ქალს ეკუთნის. სხვას მასშე ხელი არ მიუწვდება და ქალი როდესაც ტოვებს ოჯახს, მზითვი თან მიაქვს<sup>18</sup>. ჩვენ არ ვიცით, დააბრუნეს თუ არა ამილახორებმა ელისაბედ ბატონიშვილის მზითვი, როდესაც ის გიორგი ამილახორს გაეყარა. დავით ბატონიშვილისა და ალექსანდრე ამილახორის თხელულებებში ასეთი ცნობა არ არის. შესაძლოა, სწორედ იმიტომ, რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მაგრამ ფაქტი; რომ ელისაბედ ბატონიშვილის პირველი ქორწინებისათვის შედგენილი მზითვის წიგნი გამოყენებულია მასი მეორე ქორწინების მზითვის წიგნის შესადგენად, რომელშიც სრულად არის შეტანილი პირველი ქორწინების მზითვის წიგნში აღნუსხული მზითვი, ვფიქრობთ, გამოხატავს მზითვის ხელშეუხებლობის უფლებას. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დავით ბატონიშვილის ცნობა „მისცა მეფებან ფრიადი სიმდიდრე მზითვათა“ უნდა გავიგოთ არა ისე, რომ ელისაბედ ბატონიშვილს სიმდიდრით ცნობილი მზითვი მარწყა და მაინც მეორე ქორწინებისათვის, კაცია დადიანშე გათხოვების დროს შეიცა, არამედ როგორც ცნობა, ფაქტის აღნიშვნა, რომ ეელისაბედ ბატონიშვილს მდიდარი მზითვი ჰქონდა, რამაც, ჩანს, მართლაც დააინტერესა კაცია დადიანი.

მზითვის მითვისებაზე შეიძლება ისიც მიგვანიშნებდეს, რომ მზითვის წიგნის დედანი სწორედ დადიანების ოჯაში შემოინხა და აქ უნდღლიერ იბადება ეჭვი — თავი და ბოლო საბუთს იმიტომ ხომ არ აკლია, რომ მზითვის ნამდვილი პატრონი დაღარულიყო.

ელისაბედ ბატონიშვილის მზითევთან არის დაკავშირებული ქალის ქონებრივი უფლების — მზითვის უფლების — დაცვის კიდევ ერთი დამატები-ცებელი საბუთი. ესაა დედოფალ ანახანუმის წერილი კაცია დადანისაღმი. წერილი იძავებს სამდიღნო წიგნში არის შეტანილი ორგორჩვების ტოლობრივი

<sup>18</sup> სამართლი ბეჭედი ქ. ს. ძ. 1, თბ., 1963, გვ. 441—42, მუხლი 46; სამართლი ბარონისშვილის ვახტანგისა, გვ. 510, მუხლი 105; გ. ჯამბურა, ქართული ფულდალური ურთიერთობის სტრუქტორი, თბ., 1955, გვ. 139—40; გ. აშვილი, საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან (XVII—XIX სს) თბ., 1976, გვ. 17, 19—20.



ეროვნული ბიბლიოთი

შეტრლობის ნიმუში (ხი, ფ. H—1334, ფრ. 217r). თარიღი არ უჩიტეს. დაწერილი იყო ელისაბედ ბატონიშვილის გარდაცვალებიდან ძალიან მალე<sup>19</sup> — დედოფალი შეტრლში ელისაბედის დადიანების „სამართლოში“ დაკრძალვას და მისი მზითევის დაბრუნებას ითხოვს: „დიალ, ჩემგან საძნელო სათქმელ არს, — წერს დედოფალი, — მაგრამ რადგან ჩემა ცოდვამ ამამწყვიდა, თქვენსა მალალ სახელობაში მისი აღარა დარჩა რა; ყოვლის ქვეყნის და რეულის წესი არს, ქალს თუ შვილი არ დარჩება, მზითევი ისევ ქალის პატრონს მიეცემა და თქვენგან მართებული იყო, რომ უთხოვნელად მოგეცათ. ახლა, მეცემ დეკანზი ნიკოლოზ გა(ა)ხლოთ და მეც მოგახსენებთ, რომელიც რომ ქვეყნის რიგი არის, ვერც თქვენ გარდაცდებით. რაც ჩემი შ(ვ)ილისა არის და მოგვიხსენებია, ამ დეკანზის ქვლით უნდა გვიძოოთ“ (ხი, ფ. H 1334 ფრ. 217 r).

დავით ბატონიშვილის თხულებაში მოცემული ზემოთ დამწერებული ცნობის თანახმად, კაცია დადიანმა ელისაბედ ბატონიშვილი სიმდიდრისათვის შეირთო ელისაბედ ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ კი „არღა მისცა შზითევი იგი მეფესა, ვინაითგან არა დაშთა შვილი დადიანისაგან“, — ვკითხულობთ დავით ბატონიშვილის ნაშრომში. საფიქტებელია, რომ ელისაბედ ბატონიშვილის „უშვილობა“ კაცია დადიანმა მზითვის მითვისების საბაბად გამოიყენა. ქართული კანონმდებლობა კი, ცნობილია, რომ მზითვის უფლებას ქალის გარდაცვალების შემთხვევაშიაც იცავს და სწორედ უშვილოდ გარდაცვალებული ქალის ნამზითვი ქონების მის სამშობლოში მთლიანად დაბრუნებას ითვალისწინებს<sup>20</sup>.

ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნს ბოლოს დართული აქვს მზითვის წიგნის შემდგენლის, გიორგი გლახა წოდებული ნათებელის ანდერძი:

„აღწერილი და მჭერისტყვაულ იქმნა წიგნაკი ეს მზითვისა ზესთ ძალთ ცემითა საბაოთთა, ზეთან წარკდომით და ზევებული ძალასა შეძლებისა ჩენენისასა მკობილი და შეწყობილი ქებად, შესხმად და საძნობლად მის ზესთა დიდებულისა და ძვირფას საფრდო ნივთისა სქესითა სოლომონითა, სიღრმით მოუკეანოსათ აღმომჰვირვალე მარგარიტისა იუდას გეონთა გამო პობილთა სადაფთა მ(ი)რ აღმოლევებულისა ბრძენთა, რიტორთა და ფილოსოფოსთა შეირ ქების ნივთად კად კელსაყოფელსა პირად-პირადად მრავალგური შესხმათა შემწყობრებითა საებნო საძნობელისა, ცხებულთა ძირთა მიერ რტოკიწოლ სიხარულისად წარმოებულისა, მეფის ასულის ბატონიშვილის ელისაბედისა ვინაით და საღათ მებრძანებს მე, ყ(ოვე)ლთა უნარჩევესა და ქსუადწყობად და წყობად და აღწერად ამა მაღლისა საქმისა უმაღლესის ბრძა-

19 ნიმუში შეტრლის სრული პირია. სათაურად აქვს: „ქ. კუალად მასთან დედოფლისაგან“. შეტრლის აღრესატი დგინდება სამდინო წიგნში შეტრლილი წინა შეტრლების ნიმუშების მიხედვით, რომელიც დადიანისადმი არის მიწერილი. აშკარაა, რომ სიტყვა „კუალად“ სიტყვა დადიანის გამორჩების თვიდან ასაკილებლად არის დაწერილი. აღრესატი სახელის გარეშე შეტრლშიც არის მოხსენებული წიგნებით: დადიან. სათაურში აღნიშნულ დედოფლი მგლოვარე დედა, რომელიც წერილს წერს გარდაცვლი შელის, ელისაბედის, მეუღლეს ელისაბედის საფლავისა და მზითვის შესახებ. დედოფლის მიერ გარდაცვლილი ელისაბედის შეილად მოხსენება, დედოფლის მიმართა დადიანისადმი, როგორც ელისაბედის მეუღლისადმი, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ შეტრლის დამწერი დედოფლი ელისაბედის დედა — დედოფლი ანახანუმია.

20 სამართლი ბექამი ქ. ს. ძ. I, გვ. 456—57 მუხლი 81; იქვე: სამართლი ბატონიშვილის ეხტანგისა. გვ. 539, მუხლი 224. მ. იაშვილი. საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან XVII—XIX, თბ., 1976. გვ. 18, 21.

ნებითა კესაროს ავტიკოსისა შესაბამ კიდევთმყრობელისა უკეთილმსახურებისა სისა და უმაღლესისა მეფისა ერაკლეს მიერ და პირად პირადის გულქველობით ომეკობილისა და შედასძასვით მრავალდიდებით მისათხოვნელისა ულუმ-პიანისა და როგორც ანინისეულ ქველობით შეზღუდვილისა დედოფლის ანნაანუმის მიერ მე, მრავალმოწყალებით და მდიდრის წყალობის ფენით საგრილისა და საფარველისა ქუეშე მათსა აღზრდილისა მისწულსა დიდებულისა კარისა მათისა წინამდღუარისასა, გაბიდიებ ნათიშვილს გლახის გორგის, და ბრძანებისა მათისა საჭიროდ ზედა აღმღებმან, შევკადრე საქმეთა ფრიად დიდთა და მაღალთა ჩემ მიერ შეუკადრებელთა კელ-ვჰყავ და ოვასრულებ ბრძანება მათი მაღალი შეძლებისაებრ ჩენისა, რომელთა წელნი, დრონი და დღენი, ბედევთილ აღსავსე, იყვნენ აწ და მიუკუნისამდე<sup>21</sup>.

გიორგი გლახა წოდებული ნათლისშვილი გაბადიძე ნათლისშვილად უწოდეს თავის თავს მის მიერვე შედგენილ საბუთებში. ეს არის ერეკლე შეფის მიერ 1769. III. 16 ჯანდიერ ჯანდიერისშვილისათვის მიცემული ველისციხის მოურაობის განახლებისა და ამავე წელს სოფელ კოშკის წყალობის სიგელები<sup>22</sup>. „დაიშერა მაღლისა ქელმწიფის ამის ტერთა მტვერისა გაბადიძის ნათლის ძის გიორგისითა“. მაშასადამე ის ვვარად გაბადიძეა, თუმცა სხვები, როგორც დავინახავთ, მას ნათლისშვილად ან ნათლისძედ იხსენიებენ. აქვე ოვნიშნავ, რომ მის მიერ დაწერილი ეს საბუთები (მზითვის წიგნი და ერეკლე მეფის მიერ ბოძებული სიგელები) უფლებას ვვაძლევს დავასკვნათ, რომ მას საბუთის შედგენის ცოდნაც ჰქონია. 1769 წ. სოფელ კოშკის წყალობის სიგელით კი მის ხელნაწერსაც ვეცნობით. საბუთი დაწერილია ლამაზი კალიგრაფიული ხელით, დაცულია საბუთის შედგენის ნორჩები.

გლახა გიორგი ნათლისშვილს სპეციალური პარაგრაფი აქვს მიძღვნილი ითანე ბატონიშვილის თხზულებაში „მპირე უშეება ქართველთა მწერალთა-თვეის“, გვკვდება ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში და საისტორიო საბუთებში. ის სხვადასხვანაირად მოიხსენება: გიორგი გლახა წოდებული ნათლისშვილი<sup>23</sup>, გიორგი ნათლისშვილი // ნათლისშვილი<sup>24</sup>, გიორგი ნათლისძე // ნათლისძე// ნათლისძე<sup>25</sup>, გლახა ნათლისშვილი<sup>26</sup>, გლახა ნათლისძე // ნათლისძე<sup>27</sup>.

ითანე ბატონიშვილი თავის ნაშრომში გლახა წოდებულ გიორგი ნათლისშვილის შესახებ გადმოგვცემს: „გლახა ნათლისშვილი იყო დიაკვანი მეფის კარის საყდრისა, ფილოსოფიასა და ლოთისმეტყველებასა შინა სრული და უცხო მოქადაცე და დიდი რიტორი, სომხურსა ენასა ზედმიწევნილი, რომელმანც გარდმოილო სომხურისა ენისაგან სვიმეონ ჭულელ ფილოსოფონისაგან შემოკლებული „კავშირი“, ბროკლეს მიერ ქმნილი ღვთისმეტყველება. და

<sup>21</sup> ხ. ი. H — 1334 ფრ. 389V.

<sup>22</sup> სსესა ფ. 1448, ს. 5525; მოურაობის განახლების სიგელი სრული რუსული თარგმანის სახით შემონახა, დაცულია იქვე ფ. 1, ს. 534, ფრ. 4rV

<sup>23</sup> საქ. სახ. მუხეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია) IV. 1954. გვ. 211.

<sup>24</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია) I, 1959. გ. 399. გვ. 501.; ხ. ი. Hd—11 772; Hd—11768; Hd—2960.

<sup>25</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია) I, 1959. გ. 192. გვ. 209; ხ. ი. Hd—9755.

<sup>26</sup> ხ. ი. Hd—11709..

<sup>27</sup> ხ. ი. H—1334. ფრ. 147V.—48r, 174r.

შეთხსა ამა ნათის შეილმან მაღალსა ქართულსა ენასა ზედა სასკოლო უცნობებულის დღებლად. და სხვანიცა წერილი გადმოსთარგმნა<sup>28</sup> და ესრეთ აღასრულნა წელი თვისინი<sup>29</sup>.

მოპოვებული მასალა მხარს უჭერს იოანე ბატონიშვილის მიერ მოცემულ ცნობებს გლახა წოდებული ნათიშვილის შესახებ. პროკლე დიადოხოსის „კავშირნის“ წინასიტყვაში, რომელიც იოანე ჯამბაჯურ-ორბელიანს ეკუთვნის და ნაწარმოების სომხურიდან ქართულიდან თარგმნის გარემოებას გადმოგვცემს, ვკითხულობთ: „... ვინაითგან ფრიად ვწადოოდი სწავლად ამა ზეს-თალთისმეტყუელებასა წიგნსა პროკლე ფილოსოფოსისა და არა იპოებოდა მოძღვარი, რათამცა საწადოო ჩემი სრულებრივი კონკრეტული იქნა ტყილისად წოდებულსა ქალაქისა არმანთა კათალიკოზისაგან არმანთა ეპისკოპოსად წარმოლენილი ავეტის ვინმე ეპისკოპოსი, სანახებისაგან ნაიჯევანისათა დაბისაგან ჭავჭავაძე, კაცი ფრიად საქო და განსწავლული ხედვითიცა და საქმითისა მეცნიერებითა... და ვითარ ესე ესრეთ იყო, მივედ სწავლად უმას მას, ოდეს სუფევდა მეფე თეიმურაზ და მისივე ძე ჰერაკლე, რომელთა დიდად სწავლით და ოლტყინებულ იყვნენ... დიდ ფრიად ალფუანებად მეცნიერებისა ყოველთა სახეთა სიბრძნისათა და უფროსილა უმეტეს პროკლე დიადოხოსისა წიგნისა, რომელსა დაუუნჯებიან ყოველნი საუნჯენი სიბრძნისანი. ამისა შემდგომად მოავლინეს ჩემთანა ქუეყანისა თვისისაგან საქართველოსა ჩემდა მოყუასად და მოწაფეყყოფად მის ზემოსხესნებულისა ეპისკოპოსისა თანა მღლელი კახთა მეფისა ნიკოლაოზ და არმანთა სუცესი ფილიპე და ახალმოტრაპეზედ მზადებული და საღოთოსად დასისად წიაღმლელი გიორგი გლახა წოდებული მიღებად მის უფროსიად უნჯისად<sup>30</sup>.

იგივე ცნობა მეორდება პროკლე დიადოხოსის კავშირნის 1763 წ. გადაწერილ ნუსხაში<sup>31</sup>. ამ ცნობებს ავსებს იოანე ჯამბაჯურ ორბელიანის იგივე წინასიტყვაობა შეცვლილი სახით, რომელიც დართული იქვს პროკლე დიადოხოსის „კავშირნის“ 1809 წ. ნუსხას.

ამ წინასიტყვაობაში გიორგი ნათლისქე მოხსენებულია როგორც ავეტის ეპისკოპოსის მოწაფე. „და მოვიდა თანამესხოლედ ჩემდა ნიკოლაოს მღლელი კახთა მეფის კარისა და კუალად სიყრმით სიჩროთაგან მოწაფე ყოვლად ბრძნის მის ეპისკოპოსისა, გიორგი ნათლისქე, რომელიცა განისწავლა წიგნითა და სწავლისმოყუარებითა სომეხთათა...“<sup>22</sup>.

მოტანილი ცნობებიდან ვიგებთ, რომ გიორგი გლახა წოდებული ნათიშვილი სამეფო კართან დაახლოებული პირია. ის არის სამეფო კარის წინამდებრის ძმისწული და მეფის კარზეა აღზრდილი. თეიმურაზ მეფის სიცოცხლეში „ახალმოტრაპეზედ მზადებული და საღმოთ დასის წიაღმლელია“. ერეკლე მეფის დროს კი მეფის საყდრის დიაკვინი გამხდარა. ის ყოფილა მოწაფე

<sup>28</sup> H 1334 სამდინონ წიგნში შემოინახა ავეტის ეპისკოპოსის წერილი ანტონ კათალიკოსისადმი, რომელიც სომხურიდან ქართულ ენაზე უთარგმნია გლახა ნოლისქეს. წერილი გამოაქვეყნა და მის მნიშვნელობაზე საგანგებოდ წერს მ. გავთარია მონოგრაფიაში; XVIII<sup>1</sup> საუკუნის ქართულ სამოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბ., 1977. გვ. 229—34.

<sup>29</sup> იოანე ბატონიშვილი, კლმასობა. თბ., 1984, გვ. 525—26.

<sup>30</sup> ხი, A-1162. შენ. საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), IV. 1954. გვ. 211.

<sup>31</sup> საქ. სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია) IV, 1954. A-1312. გვ. 382.

<sup>32</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. (S კოლექცია) I, 1959, S-192. შენ. ბ. გვ. 209.



საქართველოში ცნობილ ავტის ეპისკოპოსისა, რომელიც სამეფო კარზე დაუკავშირდა ახლოებული პირი იყო და მეგობრული, შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ანტონ კათალიკოსთან<sup>33</sup>. გიორგი გლახა წოდებული ნათიშვილი დახასიათებულია როგორც ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში სრულად განსწავლული ცხხმო მოქადაგე რიტორი. ასეთივე პიროვნებდ წარმოგვიდგენს მას ამონის ერმისის თხზულების მინაწერი: „გიორგი ნათლისშვილი ჭეშმარიტი კაცი არის დიდი რიტორი, არის ღვთისმეტყველი“<sup>34</sup>.

მას გაუმართავს ქართულად ამბროსი ნეკრესელის XVIII ს. კრებულში დაუჭდომელი (აკათისტო) თარგმნილი გაბრიელ მთაწმინდელის მიერ. „ქართულ სიტყუაობასა ზედა შეწყობილ იქმნა ღუწითა და შრომითა გიორგი ნათლის ძისათა“<sup>35</sup>.

საინტერესოა, რომ 1784. VI. 6 ნასყიდობის წიგნის დამწერი ითანე მღვდელი თავის ვინაობას გვამცნობს გლახა ნათლისძის ძმობით, რომელსაც სიბრძნის მოყვარეს უწოდებს: „მე, სიბრძნის მოყვარის გლახა ნათლის ძმას, ითანეს, ცოდვით დახვილს მღვდელს დამიწერია“<sup>36</sup>.

ხელთარსებული მასალებით გლახა წოდებული გიორგი ნათიშვილი წარმოვადგება როგორც სომხური ენის კარგი მცოდნე: „სომხურსა ენასა ზედმიწევნილი“ (ითანე ბატონიშვილი), რომელიც განისწავლა წიგნითა და სწავლისმოყვარეობითა სომეხთათა“<sup>37</sup>. უნდა ვითქმიროთ, რომ სომხური ენის კარგი ცოდნის გამო ხდება ის ანტონ კათალიკოსის მიერ შექმნილი სომხურიდან ქართულ ენაზე მთარგმნელთა ჯგუფის ძეტიური წევრი. ამდენად გლახა ნათიშვილი ანტონ კათალიკოსის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. ჯგუფში შედიოდნენ მდივანბეგი ითანე გამბაქურობელიანი, სამეფო კარის მღვდელი ნიკოლოზ. ცნობილი მოლვწე და მთარგმნელი ფილიპე ყაოთმაზვილი. ამ ჯგუფის საქმიანობა კარგად არის ცნობილი. ის სწავლობს სვიმონ ჯულფელ ეპისკოპოსის მიერ სომხურ ენაზე თარგმნილ პროკლე დიადოხოსის თხზულებას „კავშირნი“ და მუშაობს მის ახალ ქართულ თარგმანზე. „კავშირნის“ ახალი თარგმანისა და საერთოდ ქართულ-სომხური ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხის განხილვისას გლახა ნათლისძეს შეეხნენ კ. კეკელიძე<sup>38</sup>, მ. ქავთარია<sup>39</sup>, პ. მურადიანი<sup>40</sup>. გიორგი ნათლისძე ნიკოლოზ მღვდელთან ერთად ავერებს პროკლე დიადოხოსის „კავშირნის“ ძველ ქართულ თარგმანს სომხურ თარგმანთან. „საყურადღებოა, რომ „კავშირნის“ სომხური თარგმნის შექვერება ძველ ქართულ დედანთან ნიკოლოზ მღვდელს და გლახა ნათიშვილს მოუხდენიათ — წერს მ. ქავთარია — შათი დასკვნა, რომ „თუმცა სომეხთ ჩვენიდამ გარდმოულიათო, მაგრამ ჩვენ

33 მ. ქავთარია. XVIII საუკუნის ქართულ... გვ. 75—76.

34 ქართულ ხელნაწერთა ოწერილობა (S კოლექცია) I, 1959, S—399. მინაწ. 12. გვ. 501.

35 ხელნაწერთა ოწერილობა (H კოლექცია) III, 1948, H—1283. შენ. 62. გვ. 228 — ცნობა მოგვაწოდა მ. ქავთარიამ, რისთვისაც დიდ მაღლობის მოვახსენებ.

36 ხე. Hd 2443.

37 ქართულ ხელნაწერთა ოწერილობა (S კოლექცია) I, 1959, S—192 შენ. 3, გვ. 209;

38 კ. კეკელიძე, ქართულ ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 73—74, 364—69;

39 მ. ქავთარია XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 66, 72—74, 229, 235—236.

40 П. Мурядин, Армяно-грузинские литературные взаимоотношения в XVIII веке, Ереван, 1966 г., გვ. 126.

41 მ. ქავთარია, დასახ. ნაშრ., გვ. 74,

9. მრავალთავი XVI

ვეონებთ, რომ მწერალთა მიერ განკიტწილ იყოს” — გამხდარა სომხურადასწავლის ახალი თარგმნის სტიმული<sup>41</sup>, რაც, როგორც ცნობილია, კიდევ განახორციელა მთარგმნელთა ჯგუფმა.

შემოინახა რამდენიმე საისტორიო დოკუმენტი, რომელიც გლახა გიორგი ნათიშვილის საქმიანობის სხვა მხარესაც ასახავს. ეს არის ერეკლე მეფის მიწერილობანი გლახა ნათიშვილისადმი. საბუთები 1771—77 წლებშია დაწერილი. მიწერილობებში მეფე თბილელის თეთრიდამ თუ საქონლიდამ თბილელის სასულიეროდ სხვადასხვა საჭიროებისათვის თეთრის გაღებას ითხოვს. ეს მიწერილობებია: ტყვეობიდან მოსული არჯვან ფიცხელაურისათვის ქრისტეფორე ტფილელის სასულიეროდ თორმეტი მინალთუნის თეთრის მიცემის შესახებ (ხი, Hd — 11772. 1771. 111. 28); გარეჭელი ბერუა ფანაზიშვილის ქვრივისათვის ტყვეის სახსრად და თბილელის სასულიეროდ ხუთი თუმნის ღირებული ჭინშის მიცემის შესახებ (ხი, Hd — 11. 790. 1771. V. 23.). თბილელის საქონლიდან ბაზუტაშვილისათვის ოდასუთი მინალთუნის მიცემის შესახებ (იხ. Hd 11768. 1772. VI. 2.), მიწერილობა გარსევან ეშივალაბაშისადმი მომავალი წლის ყაზახის მათიდან თბილელის თეთრის მაგივრად გიორგი ნათლისძისათვის ორმოცი თუმანი თეთრის მიცემის შესახებ (ხი, Hd. 9755. 1774. 11. 14.); ერეკლე მეფის ოქმი გლახა ნათლისშვილისადმი იობ მლვდლის ძმის აბრამის არზებე შვილის ტყვეობიდან დახსნის თაობაზე. მეფე გლახა ნათიშვილს ტყვეის დასახსნელად — ტყვეის სახსრად თბილელის თეთრიდან თბილელის სასულიეროდ თხუთმეტი მინალთუნის მიცემის შესახებ წერს (ხი, Hd. 9758 1774. 111. 14.); მდივან ედიშერ თუმანიშვილის თამასუქი მისთვის თბილელის თეთრიდან გიორგი ნათიშვილისა და იოთამ შატერაშვილის მიერ ოცი თუმანი თეთრის მიბარების შესახებ. საინტერესოა, რომ თანხა უნდა მოხმარებოდა სტამბის, ქალადის და მუშებისათვის შესრულებული სამუშაოს ანაზღურებას. ხოლო გაღებული ოცი თუმნის „სამადაფათ“ ბარაკლიტონები უნდა გაცემულიყო (ხი, Hd. 2960. 1771. VII. 30).

საბუთებში, როგორც ვხედავთ, მეფე თბილელის თეთრიდამ თბილელის სასულიეროდ ითხოვს ხარჯის გაღებას, რაც გვაგარაუდებინებს, რომ გლახა გიორგი ნათიშვილი თბილელის სასულიეროდ განკუთვნილ თანხს განაებდა.

სამდივნო წიგნში ნიმუშად მოტანილი ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნის პირი საშუალებას იძლევა სრულად ალვადგინოთ მზითვის წიგნის შედეგნის წესი, მისი აღნაგობა. ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი შედეგნილია ჩევნამდე მოლწეული მეფეთა მიერ მიცემული მზითვის წიგნების წესი თანახმად.

მზითვის წიგნი ღმერთის დიდებისმეტყველებით იწყება. შემდეგი ნაკვეთი საბუთის მიმცემის — ერეკლე მეფის — ვინაობას გადმოგვცემს. ქართველ მეფეთა წარმომავლობა ადამიიდან მოდის. იწყება სამეაროს შექმნის ბიბლიური ისტორიით, ადამისა და ევას შექმნით, მათი შეულლებით და სამოთხეში დასახლებით. საგანგებოდაა აღნიშნული ქორწინებისა და მეულლეობის ღვთივურთხეულობა.

ღვთივურთხეული ქორწინების ნაყოფი არიან ბაგრატიონ მეფეთა წინაპრები მართალი აბელ, სეით, ენუქ, ნოე, მისი ძე დიდი სემ. კურთხეულია ქორწინება მამამთავართა აბრაკამისი და სარჩასი, ისააკისა და რებეკასი, იაკობ და რაქილისა, იოსებისა და ასინეფისა. კურთხეული ქორწინების ნაყოფი არიან გამოჩენილი ებრაელთა მეფეები, იესეს ძირისაგან წარმომდგა-



რი „წინამეტვეი“ დავით და „ბრძნენთა ზეღა საკვირველი“ სოლომონ. მათთვის განვითარებული სახლიდან „იწარმოვნენ“ ითავის მართალი და ანნა, შემბლები ღვთისშობლისა, რომელმაც დაბადა ღვთის ძე. მაცე სახლის შთამომავალია ბაგრატიონთა გვარის მამამთავარი სევასტიონი გურამ ქურაპალატი. შემდევ მოხსენებული არიან საქართველოს მეფები ბაგრატი, დავით და გიორგი. ამ მეფეთა შემდევ შემდგენელი გადადის ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის ალექსანდრე დიდის დახასიათებაზე, რომლის ძემ, გიორგი მეფემ, საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელი კახეთის სამეფოს ბაგრატიონთა შტოს. ამ გზით კახეთის ბაგრატიონთა შტო დაკავშირებულია ბაგრატიონთა ძირითად შტოსთან. გიორგი მეფის შემდევ კი თანმიმდევრულად არიან წარმოდგენილი სათანადო დახასიათებით კახეთის სამეფოს მეფები: დიდი ლეონ ბრწყინვალე, მეფე ალექსანდრე — მიმსავსებული დიდისა ალექსანდრეს, მეფე დავით, თემიტრაზ I, მისი ძე — ბატონიშვილი დავით, ერეკლე I, რომელიც მოხსენებულია როგორც სრულიად ქართულთა მეფე და ბოლოს თემიტრაზ II, საბუთის მიმცემის ერეკლე მეფის მამა. უნდა აღინიშნოს, რომ მეფეთა დახასიათებაში მოცემულია არა მხოლოდ მეფეთა პირადი ღირსებები, არამედ მინიშნებულია მათი საქმიანობაც.

ამის შემდევ შემდგენელი ერეკლე მეფის დახასიათებას გადმოვცემს და კვლავ აღნიშნავს, რომ ის არის ერეკლე I ძის ძე, ვახტანგ მეფის ასულის წული და თემიტრაზ მეფის ძე. აქვე მოხსენებულია მისი თანამეცხედრე დედოფალი დარეჯან, შემდევ წარმოდგენილია საბუთის მიმცემი დედოფალი ანახანუმი. ამას მოსდევს სამეფო ოჯახის სხვა წევრთა ჩამოთვლა — კათალიკოსი ანტონ I, ერეკლე მეფის ძენი — ბატონიშვილები: გიორგი, ლეონ, ვახტანგ, თემიტრაზ.

შეითვის წიგნის შემდევი ნაკვეთი სასიძოს ვინაობას გვამცნობს. იწყება სიტყვებით უვიგულეთ და უვიგულისმოდგინეთ, შევიწყალეთ, ვემოყვარენით და დავემძახელენით, მუნით აწ რომელთა მოგითხრობთ რომელნი იყვნენ, რომელნი არიან“. გასაგები მიზეზის გამო ამილახორთა გვარის წარმომავლობა მოცემული არ არის. შემდგენელი მხოლოდ მის თანამედროვე ამილახორთა სოციალურ მდგრმარეობას გადმოვცემს „... ლაშქართა... ჩვენისათა სპასპეტად დადგინდებულთა... ლაშქართა და წიგნმბრძოლთა მჟედარითობარად განჩინებულთა, შიდა ქართლისა სარდლად შეწყალებულთა, საქართველოს მეფეთა და მეპატრონეთაგან მოყურად და მძახელად ღირსშემნილთა, მთავართა წარჩინებულთა, მაღლისა კარისა ჩვენისა უპატოსად და ამირახორად დადგინდებულთა... გუარეეთილთა დიდებულთა...“ და ჩამოთვლის ოჯახის წევრებს — ამილახერებს; რევაზ, დიმიტრი, ამირინდო, იესე, ნიკოლაონ, თემიტრაზ და იოანე. დიმიტრი მეფის კარის გამგე სახლთუხუცესია. მისი ძე არის სიძე გიორგი ამილახორი. რასაც მოჰყვება სასიძოს ქება.

აქვე შევჩერდები დადიანების ვინაობასა და წარმომავლობაზე, რომელიც, როგორც აღნიშნულია, ცალკე ფურცლებზე დაწერილი სამდივნო წიგნში ინახება მზითვის წიგნში ამილახორების ვინაობის შესაცვლელად.

დადიანების ვინაობა, მათი სოციალური მდგრმარეობა წარმოდგენილია როგორც უმაღლეს — უდიდებულესი ერთმთავრობის ურლვევი პორტფიროსნობა და ერთსაბანი სკიპტრაქმნილობა. დადიანები არიან დიდებული ამილბარნი, სახელოვანი პიტიაქში, მთავართა ზედა მთავარნი და დიდ სამთავროთა — პონტოს ზღვისა და თაკვერ — სამეგრელოს მფლობელი.



დადიანთა დინასტიის დამარსებელი პირველი დადიანები — იოანე კურობი და და კოტე — „საქართველოთა ჩინებულთ სიკვდილით კვნის მშენების, სამცხის მთავართა და ათაბაგთა სწორპატივის მქონებელ-მპყრობელი არან. შემდეგ მოხსენებულია ბაკურ და შიდა ეგრისით მპყრობელი სამანლირი. დადიანების პირველი დინასტიის სხვა წარმომადგენლები არ მოიხსენებიან. შემდგენელი დინასტიას დიდი ლევან დადიანით ამთავრებს. დადიანთა მეორე დინასტია კაცია დადიანის უახლოეს წინაპრის — ბევან I დადიანით იწყება „უსჯულოთაგან ღადრობით მოკლულისა და მოწყვეტილისა“. მისი ძენი არიან დადანი ოტა და კუონდიდელი გრიგორი. ოტის ძენი — ცავრელი ანტონი, მანუჩარ, ნიკოლოზ, გიორგი და გიორგი. ცალკეა გამოყოფილი და ამას მოსდევს სასიძოს, ოტის ძე კაცია დადიანის, ღახსიათება. იწყება სიტყვებით: „ხოლო და ამით მაცისკრთა...“ და მთავრდება კაცია დადიანის სოციალური მდგომარეობის აღნიშვნით: „მთავართა ზელა მთავარსა და ძლიერსა განმეობელსა, ძის ძესა დადიანისა, ძესავე დადიანის და თვით უკვე დადიანსა...“.

შეითვის წიგნის შემდეგ ნაკვეთი, რომელიც იწყება: „ამას უკვე მივათხოვთ და მივეცით ნიჭად....“ — საჩქლოს, ელისაბედ ბატონიშვილის, ვინაობასა და მის ღახსიათებას გადმოგვცემს. მისი წარმომავლობა მზითვის წიგნის თავისებურების გამო, ოჯახის უახლოესი წევრის, მისი ძმის, ერეკლე მეფის, ანუ საბუთის მიმცემის, გენერალვით არის თავის ადგილს მოცემული. მომდევნო ნაკვეთში ქორწინების ლოცვა-კურთხევა გვაქვს.

იმას მოსდევს საბუთის ბოლო ნაკვეთი, რომელშიც მზითვად გატანებული ქონება არის აღნუსხული და იწყება: „წარგვიტანებიან მზითვით თან, რომელთაცა აშ ვიწყოთ ჩეუნ წულილად და თკთეულად გარდმოცემად და მოთხრობად თქუენდა საცნურად, მსმენელნ და განმკაცრით ყურად მღებნო, თუ რაოდენი და რაზომნი არიან ჩეუნ მიერ მინიჭებულნი სასურველისა დისა ჩვენისთვის.“

ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი ანტონ კათალიკოსის მიერ დანერგილი რთული „მაღალი ქართულით“ არის დაწერილი. სიგელი მისი შემდგენლის, გიორგი გლახა-წილებული ნათიშვილის, შემოქმედების ნიმუშად უნდა მივენიოთ. ის მით უფრო იშვევს ინტერესს, რომ დღეისათვის ჩეუნ არა გვაქვს. ან გერ მიკვლეული არ არის მისი შემოქმედების სხვა ნიმუშები. საბუთში მეღავნდება შემდგენლის სარწმუნობრივი მსოფლმხედველობა, დიდი ერუდიცია და მწიგნობრული ნორმების კარგი ცოდნა. აქ გამოჩნდა გლახა ნათიშვილის თვისება, რომელიც თანამედროვეთა მიერ შეფასებულია როგორც ღვთისმეტყველებაში სრული განსწავლულობა და მჭევრმეტყველების დიდი უნარი. შეინშვნა მწერლის ანდერეში: „აღწერენცა შრომილნი ძალისაებრითა შეცადინობითა ორსა და სამს ზედა ლექსიკონისა შემოწმებითა“, უთუოდ, ბაგრატიონებისა და დადიანების შესახებ საბუთის სათანადო ადგილს მოცემულ ცნობებსაც ეხება და სიგელის ამ ნაკვეთში წყაროების გამოყენებას გულისხმობს. ეს საკითხი სპეციალურ კელევის მოითხოვს. ამჯერად მას არ შევეხები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ შემდგენელი მწყობრად, ზედმიწევნით გადმოგვცემს ფეოდალურ ისტორიოგრაფიაში აღიარებულ ვერსიის ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ, ხოლო მის მიერ წარმოდგენილი კახეთის დამოუკიდებელი სამეფოს ბაგრატიონ მეფეთა, ისევე როგორც — ამი-

ლახორთა და დადიანების სოციალური მდგომარეობა, მათი თანმიმდევრობა და დახსიათება სინამდვილეს შეეფერება.

მზითვის წიგნი დაწერილია ანტონ კათალიკოსის სკოლისათვის დამახსიათებელი ქართული ენისა და მართლწერის ნორმებით. საბუთის წინამდებარე გამოცემა გამართულია ანტონ კათალიკოსის თხზულებათა გამოცემისათვის შემუშავებული ორთოგრაფით<sup>42</sup>.

მზითვის წიგნის დასაწყისი 12 სტრიქონი დაწერილია წითელი მელნით. ასომთავრული ასოებით იწყება საბუთის პირველი სიტყვა, სიტყვა ღმერთი, საბუთის ნაკვეთების და წინადაღებების დასაწყისი სიტყვები, ბიბლიური და საბუთში მოხსენებული მეფე-მთავართა, ბატონიშვილების, სიძისა და საჩალოს სახელები, აგრეთვე მოხსენებულ პირთა ღირსება — პატივის აღმნიშვნელი სიტყვები, გარდა ამისა, ასომთავრულით არის დაწყებული სიტყვები, რომელთა აზრობრივ დატვირთვას შემდგენელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს. ასომთავრული ასოები ტექსტში გაღმოტანილი არ არის. საბუთის ორთოგრაფია დავტოვეთ უცვლელად.

დაწერაგმებული პლი გახსნილია პირ(უ)ლი, მაგრამ როცა უქარაგმოდ წერია ვტოვებთ ასე — პირველი, სიტყვა ღმერთის ქარაგმები: ღ-თივ, ღ-ისა, ღ-ს და ა. შ. გახსნილია ღ(მრთ)ივ, ღ(მრთ)ისა, ღმერთმან, ხოლო ღ-თუ, ღ-უ, ღ-იუ ქარაგმები ღ(უთი)უ ფორმით, ქარაგმა ჩ(ე)ნ გავხსენით ჩ(ე)ნ — ტექსტში ეს სიტყვა გახსნილი ფორმით გვხვდება 5-ჯერ და ყოველთვის წერია ჩენ.

წუწრმეტყული გახსნილია წ(ინას)წ(ა)რმეტყ(უ)ლი. წუწანა გავხსენით ქ(ე)ც(ა)ნა, რადგან ეს სიტყვაც გახსნილი ფორმით ტექსტში მხოლოდ ასე წერია უც კომპლექსში და სხვა შემთხვევებშიც ც შეცვალეთ ასო ენით. სიტყვა უც ყველგან გავხსენით ასე: უც(უ)ც უცვლელად დავტოვეთ ჰს კომპლექსი სიტყვებში: ქუცხანი, დაპსდვა, პატივპსცეს, ჰსჭულსა, ჰსწამებს, ჰსცვენ, ჰსცხი და ა. შ. ტექსტში გვხვდება როგორც ქართველთა და საქართველო, ისე ქართულთა, საქართულო. მათი უნიფიცირება არ მოგვიძენია, დავტოვეთ უცვლელად ისე, როგორც არის ტექსტში. არ ვემარბოთ ხმოვანთაგასაყარ ნიუბანს ს. და სას ჭ, არ გაღმოვვიტანია საბუთის ტექსტში ნახმარი ტექნიკური ნიუბები: წერტილი, მძიმე, ორწერტილი, ტირ და ა. შ. რადგან საბუთი გამართულია თანამედროვე ორთოგრაფით.

### ვაქვეყნებთ მზითვის წიგნის თავს.

პირველ მსაზღვრმან წინაგანმემან და წინატუე დამდებელმან თავსა შ(ორი)ს თ(კ)სსა შეკრებულად ყოფასა, ყ(ოველ)თა მყოფისასა მეკეცემ და განმხტუროვნმან, არარამასა არაოდესისა და არასადაისაგან ქმნილების ქუშეთასა ნიეთთა უწინამდებარომან, კელოვან ზღუთა კეთილობათასა მეწყაროებან, თქს გამო ნაწარმოებთად მომგონმან, განბენებელმან, განმასხმან და განმქაზმელმან ყ(ოველ)თა ა(რსო)ბისშინათთავან, თვე თავსა შ(ორი)ს თვესა მყოფმან და მიზეზებულთა შინ მყოფმან, რ(ომე)ლთად ბუნებით, რ(ომე)ლთად

<sup>42</sup> ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახსიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1, თბ., 1950. გვ. 21; ა. ბანიძე ე, ანტონ I გვალენა სალტერატური ქართულზე, თბ., 1964; ე. ბაბუნა გვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკონხე, თბ., 1970; ქველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI; ა ნ ტ ო ნ I, მარტინია, ტესტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძეშვილმა და მ. ქვთარაძემ. თბ., 1980. გვ. 1—6; 525—82.

\* მარცხნია კიდეზე: აქ ვანას ქორწილი უნდა აღიწეროს.

კლესისისა ბრძენთასა ნათელი და ნათლის ტომნი, ცეცხლისფერი არსებანდებოდა  
 ზეთა ძალი, მთავრობანი, მეორედ ნათლად ბაღულნი მსახურად პ(ირუ)ლისა  
 მის და კ(უალა)დ მასვევე დღესა დაბადნა სოფლისა ნივთი შესადგმოდ  
 კაშირთშინათა და ქმნა ცეცხლისა მორგვეა და უამი საზომად დღეთა და შე-  
 ასრულა დღე იგი. ხ(ოლო) დღესა მეორესა ჰქმნა ცა დღი სამყაროსა, რ(ომე)ლ  
 არს ვარსკულოვანი, ცა განმწილად ერთი ერთთაგან, ზენათ და ქვენათ წყლისა  
 და ესე არს შემცველი და მეწიალე შედთა მათ პლანიტო ვარსკულოვთა,  
 რ(ომე)ლი მართებითადცა მოძრავობს მძრულისაგან პ(ირუ)ლისა აღმოსავა-  
 ლით დასავალად. კ(უალა)დ დღესა მესამეს იქმნა უკ(უ)ე სივრცე ზღვისა და  
 გახსანაზი ქვეყანა და უფსკრულნი მოიწიდნენ აღიღილებთა კბოლოვანთა და  
 კლდოვანთა თავით თვისით. და ხურველვილთა შევენნა საწად მჭავლითა მყუდ-  
 როთა ქართა ბერებითა, წესიერ ნიავ-წულილითა და სალიმილისა აღმესისებუ-  
 ლისა ღე(ელ)ვითა და სხვა ნათესავ-ცხოველთა ბუნებათ-სახვებითა. და ქვე-  
 ყანა განმქო უკ(უ)ე პუ(ა)მრავგუარ ნერგმდელოთი და ყვავილთა და განკაზმნა  
 ვარჯვობანი წალკოტნი და სმ(ო)თხენი და ამათ მიერ ამდიღრა მაღნარნი  
 ლადირ-მერენი და მასვე დღესა დაასხა საუკუდ(ა)ო იგი ველიცა, სამოხხე სა-  
 შვებელისა. ხ(ოლო) მეოთხესა დღესა აღიღო ტბისა მისგან პ(ირუ)ლქმნილი-  
 სა, განფენილისა ნათლისა უქმნა მას ორლანონი შესახველად და საშცვე-  
 ლიდ ცეცხლისფერისა ნათლისა. ერთსა უკ(უ)ე უწოდა მზე და მეორე-  
 სა მოვარე და სხვათ სახელს-დუნა ვარსკულავნი და მოასხნა სამ-  
 ყაროსა და მორთო კელოვანმან მან მრავალსაღალადო სპერა მაუწყად და  
 მომთხოვნებულად სიმაღლისა მის თვესისა და საზომად განაჩინა ღროთა და  
 სუკუნეთა და ამის მ(იგ)რ განკარგვა საბაოთ საუკუნენი ქამად, დღედ და  
 წელიწლებად კაცისებრ ღ(მრთ)ისმხილველისა. მერმე და მეხუთესაცა დაბად-  
 ნა და გამოიღო წყალთაგან პირად-პირადნი სახენი, მფრინველნი იგი ცისანი  
 და თევზი იგი წყლისანი. ერთი იგი ღასხნა პარს მსახიობლად და მგალობ-  
 ლად და შეორე ზღვათა შ(ინ)ა ქადაგად და გამმფენელად მიზეზ-ყოფისა თვესი-  
 სა სოფლისდა და სოფლისგანთად. ხ(ოლო) და მეექსესაცა ქმნა ქმელთა  
 ცხოველთ სახენი არვეთანი და კოლტოთანი, ბუნებანი პირუტყუთანი, მყეცთა  
 და ქვეწარმძრომთანი. მორთნა და განკაზმანა რა სამეფონი და შესარულნა  
 სრულყოფმან უცომელადრე, მიერითგან შემოუწოდა მეფესა დაცვად და  
 გახეგბად მათდა და ყ(ოველ)ივე კელის ქვეშე და სამეფო მისსა ქმნა, ვ(ითა)რ  
 იოხერეს მოსემ და მეფისალმუნებან. დაბადა სოფელმან დიდმან ვრცელსა მას  
 სოფელსა შ(ინ)ა მცირე ესე სოფელი, კაცი მიწისაგან ანგ(ელო)სთმასახურებითა  
 არაბიელთა ყურესა ველაკა დამასკოსასა. და დაპერა პირსა მისსა სული იგი  
 ცხოვრებისა და შეაყო კორცისა თანა და აღავო მებრ ხატებისა თვესისა და  
 მებრ მსგავსებისა მის თვესისა ხატად გონიერება თვემფლობელობითა. და  
 მსგავსად სათნოებითა მალისებრითა მსგავსებითა და ხატითა შინაგან-გარეგა-  
 ნითა, უფროს ვ(იდრ)ე გონიერთა არსებათა შინათ მექსიერებითა ძალითა სა-  
 გულქმოთა და მნებებელობითა მსგავსად მათსა და გარეგან უმსგავსოთი,  
 რ(ომე)ლი უქონ\* არს მათდა მით, რ(ამეთუ) ვ(ითა)რ უოცნოსა და სამღოთ-  
 სა\*\* მას არსებასა შ(ინ)ა ძე არს შობილ შობითა მიმდემითა სამარადითა  
 და დაუწყვედელითა მამულისა არსებისაგან, ესთა კაცი კაცისაგან გა-  
 ნაჩინა მასვე არსებასა (შინ)ა შობითა უამის ქვეშითა. და ვითარ თვეთ ტრფი-

\* უქონ (ნს.8).  
 \*\* სამღოთა (ნს.1)

అల్గేబా శ్వాసితార్థం, శ్రుత్వాదిత ఏలు భాషాద ప్రాణాల్పు వ్యాపారం ఏలుతా ఉనుతా ఔ(ఎల్)స్తథిత  
బొగాన్ ఎన్న గార్హేగాన్, ఇంతా బాత్రి నొ త్వై య(ఓవల్)అది మచిర్జ్ జాలాజ్ మంధ్రమాల్  
డా శ్వేమంధ్రుల్లడ మంప్రతా డా మంధ్రుల్లడ్వతా శినుతా డా గార్హేగానితా డా ఉసాథ్ల/స్థ/రో  
నొ నొ సిల్రమ్, సిగ్రఫ్ డా సిమాల్లె అశ్వేషితిసా సిప్రమ్మనిసా, సిప్రమ్మనిసా మిగ్ర  
ట్వెసిసా, మచిర్జ్ ఎమిస్ క్యార్టాసా ఔ(ఎల్)అ గామిస్ట్రేర్చా డా జ్మెన్ శ్వేమ్ సామ్  
చ్చిగ్నంబ్ర్య సిప్రమ్మనిసా మంఫార్టాఫ్లుల్లెబిసా, రు(ఎమ్)లొంతా నొఫార్టాఫ్లుల్లెబిసి చ్చెనుబా  
శ(ఓవెల్)టా అశ్విసా సామ్చున్ఱార్తా డా ఘ్రమ్మన్మబాటతా, కొల్లుల్లత డా ఉసిల్లాగిసా, రు(ఎమ్)ల్  
డా త్వైత త్వై య(ఓవల్)అది క్యార్టమ్ శ్వేమాట్క్యిప్రెబ్లాఫ శ్వేమంగ్రింబిం. న్యాస  
మెంల్లం గ్రంతిసా మిస య(ఓవల్)అదిసా డా మిగ్సాగ్సెబ్సా సాథ్రంగాఫంల్ య(ఓవెల్)టా ద్స్త  
స్టేబాతా డా సాథ్రా సాహిన్మోగా మిస ఔ(ఎల్)సి డా వ(ఒటా)ఖ త్వై ఔ(ఎల్)సి శ్వేయ్రంతా  
శ(ఓవెల్)టి ఎగ్బ్శ్లో, ఇంతా మిసిదా గానొహిన్ శ్వేయ్రంతా డా శ్వేయ్రంతా య(ఓవల్)టిసా  
ఎగ్బ్శ్లులిసా. వ్యాశా, మించ్భంతిసా డా గాన్మురంమెల్లిసా క్షురంతమంమ్ల(శ్రీ)మ్రేబిసా థ్యేసితా  
లు(మ్రి)ట(ఎ)ట-మంతావ్రిసిసా, త్వై వ(ఒటా)ఖ రామ్మర్లుగ్ని డా మిల్లెల్లున్ డా మెంఫ్రమ్మన్ గ్రంతి  
గ్రంతిసిదా అశ్వేబాన్మిం నొప్పంతాని డా నంత్కంమ రంమ్మెల్లంబాని క్రిసా ఔ(ఎమ్)ట న్యాల్-  
బోసా శ్వేష్ట్యుప్పిగ్ని, డాంత్స్సెన్లంల్ గ్రంతమాన్మెంగ్రంతిసిగాన్ శ్రుత్వమ్మప్పాఫ గ్రంతిసి సంఫలిసా,  
రు(ఎమ్)లొంతా ప్రంపిసా చ్చెనుబా ప్రింగ్రోవిం డా సామ్చున్ఱోబ్బెన్ గార్హేగాన్సా క్యాప్లా థ(ఎల్)అ  
సాహిన్మోగ గాన్ముచ్ఛాఫ్లెబ్లుల్లాడ. క్షి(ఎల్లు)టి నొప్పితి ప్రెప్క్షిసిసా సాహిన్మోగసి గ్యాల్లం  
శ(ఎమ్)టా, రు(ఎమ్)లొంతా శ్వేసాథ్రెడావి డా న్యాప్పుతిప్పా మించ్మేస్ప్యై మిస త్యాగ్రిసా త్యిల్లెర్స్‌సా  
థ(ఎమ్)టా మింగ్రువ్వెల డా మాగ్రిల్లంబ్లుల్ ప్రెప్క్షిసిసా, చ్చుల్లిసా శ్వేప్పు-సిసెబ్లుతా శ(ఎమ్)టా నొప్పిల్లం డా బాల్మాఫిత శ్వేరిసి డా మించ్మిసా శ్వేప్పు-  
నొప్పితి ద్వాల్లం డా క్షోర్పతా సిల్లంమ్మేసా. వ్యాశా, థ్యేసితా మిగ్మున్మేబిసా డా థ్యేబ్శ్లుల్లా  
డా గామింటమాడ అండాఫ్రుల్ డా సాయాప్పితిసా గాన్ముప్పుష్టున్మిల మినీల్లుబిసా మిసిసా, త్వై  
వ(ఒటా)ఖ శ్వేత్యుప్పెబ్లున్ కిప్పుగింబిం డా శ్వేరిన్ అశ్వేబాని కొల్లుల్ డా ఉస్తో  
ల్లావి, స్థేషుల్ డా ఉస్తేషుల్, గ్రంతమ్ముబ్బాడ శ్వేయిల్లుబ్బా డా గ్రంతి న్యాతా మిగ్ర  
షామ్రమ్మిగా డా క్షి(ఎల్లు)టి డా లింపి నొ సంఫ్ఫేల్ ప్రెప్రింగ్ ఎమ్మేసా డా మేసిమ్మేసా అమిసా  
సంఫ్ఫేల్ శ(ఎమ్)టా గామించార్తా, గాన్ముల్లాజ్, డాంశ్వేన్ సామ్మూల్ జ్య(ప్రె)ప్పిగాన్బిసా, సా-  
మ్మూల్ చ్చెనుబాఫిసా డా గ్రమ్మబాఫిసా, నొప్పితి కొల్లుల్ డా స్థుల్లిప్పిరిసా, ప్రోంగ్రేబిసా  
డా సిజ్ముఫిల్లిసా, సిఫిదిసిసా డా సిమించాల్లిసా, క్యేగ్నోబా క్యేగ్నోబా గాన్గెబిసా డా  
థ్యేన్ థ్యేన్తాఫిం గార్హిసాబ్లుపిసా. డా సామ్బాథిసి త్వైల్లిత మింతి నొ గ్రంతమ్-  
బాఫింతా, క్షుంబాఫింతా డా మిగ్మున్ముబింతా, రు(ఎమ్)లొంతా క్షేప్పివిడా క్యాప్లా శినుబా డా  
క్యాప్లా శ్వేప్పు/గ గార్హేసా డా అంగ్మేబ్లుల్ మిస త్వైసిసా. క్యాప్లా నొ గాన్ముచ్ఛుల్లి  
మినీబంబ్లుక్కుప సాథిల్లాగింబితా సామ్చున్ఱ డా గ్రమ్మబాఫింబితా మింప్యుమాన్, డాంశ్వేన్  
శ్స్టోగ్రేబిసా మిస సామ్బాసా, రు(ఎమ్)లొంతా నొ గ్రంతమాండ గ్రమ్మబాఫిం డా చ్చెనుబాఫిం-  
పా అగార్హేసా సామ్చుఫిం క్యార్టమ్ అంగ్మిసావ్లుపింతా డా మిగ్ముత లాంఫిర్తా థ(ఎల్)అ  
సాథ(ఎ)టించ్చుబిసా క్షేప్పితా డాసెబ్ముల్లిసా డా గాన్ముర్చుల్లిసా డిండ్పిబ్ముల్లిసా సామింట్స్ శ్స్టోగ్రే  
సిథిబాఫిం నొప్పిసావితా డా శ్వేబాఫిం సాథ్రేబిసా మిస క్యాలాజ్సా, చ్చుల్లిం  
క్షాంరింతా మిగ్ముత్తాల్లిసా డా స్థున్నెల్గామింప్పుంల్లుల్ పార్కుంగ్రోవ్ న్యేర్గుతా మిగ్ర  
గార్ధాప్రమ్ముల్ సాయంట్స్ శ్స్టోగ్రేబిసా, సాధాత ట్షెండా ఉప్పుల్ క్యాప్లాబ్బెర్చుం. శ్వేరిమ్ అమిసా శ(ఎల్లు)అ  
గాబ్బింబిం సిప్రమ్మనిటా మిగ్ముల్లుల్ ప్రమ్మెసితా డా శ్వేరిమ్ సాథ్రేల్లుబిం డా శ్వేరిమ్ బిం  
బింబిం శ్వేబాఫిం డా సాఫ్టోగ్రేబిసా, నొతా నొ డాంపింగ్ గ్రుబ్బున్ముల్ డా గాన్గోబ్బుల్ నొ. అ(రామ్)ట డి-  
శ్శుంగ్ అంగ్మిల్లిసా గ్రెగ్రుబ్బిసాగాన్ గామ్ముల్ రు(ఎమ్)లొంతా శింప్పింప్పుల్ శ్శుంగ్ ప్రెస్చుసా వ(ఒటా)ఖ  
ట్షేప్పు సిర్పువ్వుసా మిగ్మేదిమాన్ డా మిగ్రేబా మిగ్రిబ్బిల్ మిసిప్రా మిస: గ్రంతి నొ బ్యుంబింతి  
డా శ్వేర్రో — శ్శుంగ్లింతా. బ్యుంబింతా గ్రంతి నొ గ్రంతి నొ గ్రంతి నొ శ్వేర్రో—శ్శుంగ్-

հօսա. Յ(օրինակ)լու ահս Շեաելլը ծագ մեցնոյերեքիս եօսագմո დա մեռնե — աղջուշածութանալութան  
 նեցած և միմրացլութա մատ ցանցամտասա: աղորհճնօտո դա ցանմրացլութա եղանակ աղամման ուրիշակալո տպսո  
 յագ, մցու տյշա: աճա, մցալո մցալու հիմտացան դա շորհու շորհու հիմտացան, դա ամս ցրութու ուրու. դա յմենց ցահուտա դա խշուլուտա սամոյեալպյուսա Շեր-  
 տյեցիսա խշուլուտա ցրութու դա ցրութու մենուցան յիշամու յշեմետիրեցա ամս եաթսա յորիթու-ցանքութինեցա դա յուրութու եցուու մեշլունօնա դա  
 ամս ցամո որլունու ցմեցուտա աղցուան դա ֆարմաբա սակելո ոցո ագամոտո, աղ-  
 Շենցա դա ցարդայցա մշցուլո ոցո յասո դա յմենց նույա դուզ դա մույցիրնո  
 մատցան ցամուունեց դա յացու սաելլուցան, դա սատնո-յմնունո լ(միր)ուսացան.  
 ամս ցամո ուժարմուցնեց խշուլսա Մ(օր)ա Յ(օրինակ)լ յու(լ)յ կաշուլուսա դա աղտ-  
 յմիսա մագլուսա Մ(օր)ա. ահս յորիթունեցիսա նայուցու ուրու այսու աեալներցուսա ծունցիսա  
 հյենուսացան Յ(օրինակ)լ արմանաց մորմտմուլո մույցենո Նյետա լ(միր)ումաց-  
 հուսաց մարտկուլո, մույցուլուտա լուծունո, մարտալո ապել, մրցեմո ոցո եաթո  
 ագամուսու ահս յորիթունեցիսա նայուցու ուրու գուցու դուզու սցուտ, եաթո ոցո մուս լ(միր)ու-  
 սա դա մշցուլյմնունո մեմամշուլո նույասցուսա Բ(ց)ենուսու? ահս յորիթունեցիսա նա-  
 յուցուց ուրու սայցրցուլո ոցո յունչէ, ցրուուտա անց(յուր)սցեմուտա աղյուցուլո  
 մալլուսագմո, հ(մի)լուսա սատնո-յուցուսա տպտ սոմահուլուման յութա? ահս յորի-  
 թունեցիսա աղմունուլուտա նորհուց ուրու սայցրցուլո դուզու նույ, մույշու ոցո  
 յորիրու ցաւու ույսլուս ցանրունեցիսա դա մեռնե ոցո սամո-ծունցիսա մուս հյենու-  
 սա? յ(յուր)աց ահս յորիթունեցիսա նայուցու ուրու սումշու ոցո յու նույսու դուզու  
 սցմ, հ(մի)լ(մա)ն ցանմուցրնա մագլուն դա յ(ուր)տ)ե(յ)ցանո մամյունո դա յմենց  
 յու(լ)յ վոնաձար վոնաձարտա մատ մամտա դուզուսա ցանշահեցսատա? յ(յուր)աց  
 ոյ(ուր)տ)ես յորիթունեցիսա դուզուսա մուս ածրաձամուսու դա սահրասու, ցուժա-ցա ուրու  
 աղոյմա դա մոլլուցրա մեցուտ դա մտացարտ Շոմիսա, հ(մի)լուտա սամշածլո-  
 նուց ոյ(ուր)տ)ենց, ց(ուտ)հ ոցո Նյետա ահսու ահսու, կըմուցեմու մուս: ցու Շեն նա-  
 յուսացա դուզու դա մեցունո Շենցան ցամուունեց. ոյ(ուր)տ)ես յորիթունեցիսա մա-  
 թատմացրուսա ուսացուսա դա հրեցյա սցուլուսա մուս ծանուուլ սցուրուսա, հ(մի)լուտա  
 մուլլուսա օոյշնեց որտոմ դա որու ցրուուտա աղոյմատ դա ցուուտ գասեմանո,  
 ցանմուցրնա յցցանուսա դա յ(ուր)տ)ե(յ)ցա ույսլ-ტոմուսա մատուսա սայցյոն.  
 ոյ(ուր)տ)ես յորիթունեցիսա օ(յ)ց(յ)ու մամտացրուսա դա հրյաուլ սցուլուսա լածա-  
 նուսա. ցանմուունեց սամո մատ դա օյ(ուր)տ)ես սուց սցուլուտա մատ յ(ուր)տ)ե-  
 ցուտ մուտ մալլուուտա դա սամրտուտա, հոմլուսա օոյշնա ցանմրացլութա ույսլուտա  
 մատտա, ց(ուտ)հ կըմատ յ(ց)ցյոնուսա դա ցանշրումա նույատ դա կուցուտ նույա դու-  
 լուսարա, հրդուուու դա աղմուսացալու, ցուս մոյիր օյշամուրու ծանայու մամտաց-  
 րտա. ոյ(ուր)տ)ես յորիթունեցիսա ուսցու մամտացրուսա դա անունուսա յ(ուր)տ)-  
 եցուտ մուտ վարմացրեցիսա տացթահսեմուսա դա աղորհճնեցիսատա դա յ(ուր)տ)եցու-  
 տ նույսատ նույն դա յ(ուր)տ)եցուտ յ(ց)ցյոնուսատա յցընալ. դա մտաց մույցիրնո  
 դա մցարաց ցանմինոն ոցո դա ծորհուց սայցրցուն, հ(մի)լուսա մույցու օյ(ուր)տ)-  
 ենց ցանեցնամեցուուլցուսացան գասեմուտա յու(լ)յ յցլուտա, սամա-ոցո նոմի դուզու  
 մոյցիրա դա ցամուսարտա մուն. յ(յուր)աց ահս յորիթունեցիսա նայուցու ուրու  
 յնումուուրա, մամտա մցցանու դա վիճամեմլուսա ցրուտա մատ սանցպուրուտա, մեուլ-  
 ցուլու դա մեցունահու լ(միր)ուսա սայցրցուլո դուզու մուսց, հ(մի)լուց ցանցու  
 սումրմուտա նույուրուտա? յ(յուր)աց ահս յորիթունեցիսա նայուցու ուրու  
 ոցո սցուլուսա, հ(մի)լուսա ցուլուուտա գուցու մուտ յութա սամրտուման այցեսունօնման, վո-  
 նամեյտցու մեցու գուցու, հ(մի)լուսա ոյմենց ուցուցու դուզու ուցուցու յ(ց)ցյոնուսա դա  
 մ(օր)ուս ույսլուտա մատ մուտտա սապուրուսա նցեցա? յու(լ)յ ահս յորիթունեցիսա դա

შეახლებისა ნაყოფი იყო წულილადთა მათ სიბრძნისა ტევზრთა სკომისა შე-სრული, გონიერ-კელოვნებათა ულრმესი იგი უფსკრული, მეფე-ქმნილი ბრძენ-თა ზედა საკურველი სოლომონ? რ(მე)ლი განიცადა სულისა სამწივნობრე-სა მაღლითა უკელოვნოთა და უშრომელითა, რ(მე)ლსა პრქუა ზესთა ლ(მე)რთმან. ვ(ითარმე)დ, აპა, მიგეც შენ გული გონიერი და ბრძენ, რ(მე)ლ არა იყო და არცა ყოფად იყოს შ(ემდგომა)დ შენსა მსგავსი შენი კაცი და არაცა მეფე მეფეთა შ(ორი)ს მსგავსი შ(ენი). აწ რ(მე)ლთა იგი ლ(უთ)ივდასხ-მულთა აგარაკთა სავენაჯისა გამო და ცხებით კ(ურთ)ხ(ეუ)ლ ძირისა მიერ იწყეს აღქროლად და ბერვად ნიავთა განსაგრილოთა მოცეცხლურისა ნათე-სავისა ჩ(ვე)ნისათა და ამათგან იწარმოვნენ დამაყუდნი ზლვისა უყეთა და პელელოთა\* ფოფინთანი და ცურტი იგი მაცურუვნი მძაფრიალთა და მოტყი-ნარეთა მთა საჭმილთა ლ(მრთისა)ა გულისწყრომათსა — იოკიმ კაცი მართა-ლი და ანნა გარდასახლული დედათ ბ(უ)ნ(ე)ბითი ჰსჭულთაგან, რ(მე)ლთა ქორწინება და მუცელი გარდაეცა უფროს ნილოსისა, განვრცნა უფროს ქ(ვე)ყის ზედ საჩინისა პირისა, იქ(ურთ)ხა უფროს საზღ(უ)ართა იაფეთისთა, გაუკვდდ — სამარადდა უფროს ივლიოს-ველიოსა, რ(მე)ლთა კალისა გა-მოიშუა ხვავი იგი, გამომლები სიყმილ მკულელისა იფქლისა, კორდჭმნილმან მან ქ(ვე)ყისანამან სამშობლოთა წელთა დაკშულმან მიმადლებულმან ანნამან, მაღლისა მოსახელემან, შეა უკ(უ)ე დედა მაღლისა, დედოფალი ალგებულთა და ქმნილების ქუშე მყოფთა, რომელიცა განძირნა და ალიზარდა სახლისა მას საბათითისა თვალთმიუდგამად ოჩისა ლ(უთ)ივწამებულის კაცისებრ, რ(მე)ლი საუკუნითგან დასწინდა სულმან წ(მინდამა)ნ სძლად თვალდ და ძემნ შშობელად თვალდ. ვინა და ჩ(ვე)ნ შ(ორი)ს დაკურვებისა და თვამიდე-კის უადგილომან ლ(მერთმა)ნ ძავსა რა ალსასრულ უამთა, ინება და ჯერიჩინა და მოავლინა მჯედარი ძალთა მთავარი გაბრიილ სახარებად უ(ფლისა)ა მუც-ლადლებმა და მყის სიტყუასა მას მისსა შევიდა კორცთა კარავსა დავითიანი-სა მის ქალისასა გუმამი იგი ძისა ლ(მრთ)ისა და ალდგა შხისა მისგან მიწიერი-სა კორცთა ტალავარი თვსი არა ნებითა მამაკაცებრითა და კორცთათა, არცა შეყოფითა და შეახლებითა მამრ-მდედითისა სჯულისათა, ა(რამე)დ ხუროობი-თა უკ(უ)ე სულისათა უმანკოთა, უბიწოთა, შეუბლალვოთა და განსუფთკლთა სისხლთაგან მარიამითთა და იქმნა საკურველი სიძე — სძლობა და ქორწილი საუკუნო განუყრი და დაუქსნელი ღ(მრთ)ისა და კეცის ჟურისა მუცელისა მა-რიამისა. მიხმითა და მიღებითა მამისა სიტყუასა მიერ გონიერისა სულისა და სულიერქმნილ კორცისა სადა ერთი იგი ორთაგან და ორთა შინა მყოფი გამო-ვიდა მრჩობლებიც სახილაობითა განურწყოდ და შეურწყმელად, ვინა და გა-მოუთქმელსა მას უმალესსა და უმწუერუალესსა შეერთებასა შ(ინ)ა ჰსცენ უკ(უ)ე მრჩობლებობანი და თვთოულებანი არსებათა და ბ(უ)ნ(ე)ბათა და ერთარსებითთა და ბუნებითთა ძალთა ნებათა და მოქმედებათანი, მხოლოდ ოდენ ერთყოფითა ერთძეობისა, ერთგუამოვნებისა ერთპირ ერთქუემდებარე და ერთგანუკუეთელისათა. ამიერითგან ნეტარ არს სახლი დავითისი და სკიპტრა სოლომონისი, რ(ამეთუ) მეფე იგი მეფეთა და ნათესავ — მოდგამ მათდა იქმნა ძირთაგან იქსესთა იმორჩა კვერთხი იგი განვებისა და ნერგი უკ(უ)დავებისა განიფრთხო და განილვა მოსწავებამ და აღოქმამან იუდას სკიპტრისა გამო, არ მოკლებასა მთავართა და ერისა წინამდრუართასა. აწ უკ(უ)ე ამიერითგან სახლი საულისი ვალს და მოაკლდების და სახლი დავითისი ვალს და წარე-

\* პერიოდ (ნსხ.)

შატების, ვინათვან მთავრობითი რქა აღფუნდა და წარემატა დაცვითიანის სახლისა საშობლოდ და საშოდ იქცა მაღლისა მის მეუფისა. ამ(ი)რითგან არ მოაკლდების არ მეცე, არა მთავარი, არ მფლობელი და კელმწიფე და განტესნელად დამარხვას თვისთა აღთქმათა საკრელსა მათ თანა უკუნისამდე.

ხ(ოლო) აწ განმიიღურეთა სიტყვასა სტადიონთასა ვიწყო ამ(ი)რიდგან კსენება სალრტილად დადებულისა ნათლოანისა ცეცხლისა ახსენებისა რკინათა შეხდომა — კუეთება გამო ძნიად წარმოსაჩენისა, მკვეთრთა და ვრცელთა თხრობისა ორლანოთ ძალთა შექონთა, გამორთქმად სახესთაომსა ძვლ-ძნელ და შეირსედ სადამე ასაყუანოთა აღმოჩენითთა გუართ ქუეშე ჰუმოროსიან ცეცხლებივ მბერეველობითა, ხ(ოლო) და პერიპატულთა ღრიფთ-სიტყუათ-სიკუმოთ-მოქცევთა და პატრობითთა სქესთა ზესთ დაწმუნერვალებულისა, მერმე და ციცერონისგან კმა-საყოფ სარიტოროსა თანშესკილითა მიზეზითა და ჰაზრითა ლექსთა და სიტყუათნაკუეთთა თან უკ(უ)ე კაზმულებითა და წინადასხმულისა ვრცელ-ვრცელ საუხუსიტყუაო ნივთისა.

შთავერვამა, განლინგვამა და განქიტუნისა კიდიდ-კიდედ განსმენილი-სა ჯმთა კაფთა ჭორვონთა, მთ საშუალოთა ჭოსროიანთა მპყრობელობისა მზისა მოკლებასა და აღქროლებასა, ეთეროვანთა ცეცხლისა ბურთებთა გამომბერეველობითა მიხრწილსა არწივსს ზ(ედ)ა განგებითთა ფაენითა ქართლისიანთა ერთასა დაიწყო აღმოცისკრებად არარატით და მასისით, განფრთხობად და განლვებებად მირუალვილმან მთავრობამან დავით და სოლომონითმან განცისკურად და განდღებებად ჩვენ ჩრდილოთ კერძოთ კედართა შეწყუდეულთ ნათესავთასა. აღმომზევე ჭვრობით უკუნ ფალანგთა ღამითთა მანქანათ სივერაგეთა შორად განმსრილებელმან, წყუდიადთ ქვეშეთა მაღლევმან ბაგრატიონ მეფობამან მაღლამან. პოვა მეორე დავით, მონა იგი თვის მასვე სახლსა დავითისა და საცხებელითა უხილივისა და ხილულისა ნელსაცხებულისათა ჰსცხო მას და განიგულა მეფობა შვილთა შ(ორი)ს დავით მამისა თვისისათა პ(ირუ)ლ სევასტის გურამ, კურატპალატისა სამეუფოთა პორტირ-სკიპტრათა და გვირგვინთ შესაბამისა კაცისა საბაოთ გულითადის და მოთხვით ფრთეთ-ნიშთ-შემოსილო, კეთილ-მსახურთა მეცეთა შ(ორი)ს ბეჭედილება-განფენილებით დამწვერვალებულისა და სახელ-სიკეთით ყ(ოველ)თად თან-წარჯლომილისა მაღლისა კელმწიფისა. მერმე ხსენებად მოვიდეთ აწ ამა ღ/უთ/იკვეუთვნილისა, მზედ დასხმულისა, ტომისა დისკოსა მორგვისა გამო შარვანდედად კრთოლვილთა მძლეოთ ძლიერთა მეფეთა და მიმდემ-დაუცადებლად მჭირსედ ბარბაროზთმებრძოლთა, ბუნბერაზთა, უებროთა, ქ(რისტ)ეს მტერთ სისხლით მთურალ-ქმნილო, მკედრად მისდა აღჭურვილთა და ღ(მრთ)ის საარვოს ეგგურთა მიურულოდ დამგმილავთა ბაგრატ, დავით და გოორგისი, ზევრთა და ხარკთა ქვეშემყრთა მენაპირეთ წარმართოსა. აწ ამავე მეორედ ხილულ სამოთხედ განერგულისა ძირისაგან მდიდრად ნაყოფად შტო და რტოდ გარდმოფენილი, მსგავსად დავით მამისა თვისისა გულითად მონად პოვნილი განპსჯითა საბაოთითა და სრულით სრულქმნილისაგან ნელსაცხებელით ცხებული და განპოხვილი სახლსა მას შ(რნ) ღ(მრთ)ისისა ძალთა საგულე-მოთა და მნებებელობითთა მისდა აღპყრობითთა, ნათლად მარჯუებმნული და წარმატებული საქმეთა შ(ინ)ა, მისთა გონიერებითა და სიბრძნითა საქმეთათა აღსავს, ბედეკთოლი, სვემღვმარე, მენაპირეთა სამეფოსა თვისისათა თვისთა ხარკთა და ზევრთა ქუეშე შემყვანი, ეკლესიათა, მონასტერთა და დიდ-დიდთა ლავრთა აღმაშენებელი, სიმდიდრე გლახაყთა, მამა ობოლთა, საგრილ და საფარველ

ქუროვთა, უკანასკნელ მლევანისა და გარდავლინებადისა გვირგვინისა და მეფობის მეგიხარინედ ქმნილი, გვარშემოსილთა დასთა თანა აღთვალული, მარადის კეთილსა შინია მოქსენებული მეფე, მპყრობელი ზღვთ პინტორი კიდრე) ე გურგენის ზორუადმდე, გელმწიფე პატრონი, მეფე ალექსანდრე, კ(უალა)დ მისვე ნანდვლ სიმართლის სასწორთა და მნათობთ ნათელთ მავასეს სიმრგულისა გამო კ(ურთ)ხევის შარავანდედად გამოკრთოლვილი, სახვედრი და შესაბამი მეფეთ შარავანდყოფისა, თვთ გელითა საუფლოთა მეფედ გვრგვნოსანქმნილი და კ(ურთ)ხევითა შშობელთათა განმკვდრებული სახლსა ზ(ედ)ა დავითისა და საბჭოს სოლომონისა ერთმთავარი, ერთმფლი-ბელი და ბრძანებათა ზარგანმცი ყოვლთა მეპირისპირეთა და მედრებინეთა თვსთა სამეფოსათა კელმწიფე, სახელმაღალი მეფე, პატრონი ვიორგი. ვინავთ ამათ, მტკიცეთა მყართა მათთა და პატროვან საბალნართა სამოთხეთ დასხმულთ, ძირთ გამო დაიწყეს ქროლად და ბერვად გულებთა ხორშაკებინილთასა განკმაღ, კართა საამოთა განთენვად და განდღებად, ბინდ-უკუნით შეფრობილთა შპანთ მოსახლეთ ტრმთასა მეფობამან მრავალ სალალათოსა ამის და ძელ-ძნელ სადმე მოთხოვბად შესაძლებელისა ღ(უთ)ივდაცულისა სკიპტრისამან. და ამათ მიერ თუ რაოდენნი დიდებული და მაღალი სახელმოხვევის მმიებინი კელმწიფენი შთამოვიდნენ, რაოდენნი ძლიერნი და უძლეველნი ძლევაშემოსილნი მეფენი კეთილშასურა სათნებათა სარკე საჭეროდ განმკაცრო, წინ დასასხმელნი ვიეთთა თან-წარხდომითა ცნობილნი და მახლობელნი მოვიკესნეთ და ცნობილთა მიერ უცნობელნიცა იცნობნენ.

ამ ვიწყოთ მოკესნებად ამა საწ (ინას)შ (არმეტყ (უ)ლისა ძირთაგან აღმოცენებულისა და მათგან რტოდ გარდმოფენილისა უ (ამს)ა სიჩიჩიებისა და სიყრბისასა მეფექმნილისა, კაცისამებრ დავით მამისა თვისისა გამორჩეულისა შეკლთა შ(ორი)ს მამისა თვისისათა, მისებრივ მოყუასთაგან დევნილისა, გარნა მრავალგზის განგვებით დაფარულისა, ბარბაროზთ შემაწუხისა, წარმართთა დამთრგუნისა, მრავალეცთა, ჰუმრთა და უთვალეთა ლაშქართა აღმწყვეტელისა, ჯეგლთა უღმრთობისათა ქვეყნით თვისით გამოცხურისა სისხლის მსეულთა და მეცეპმნილთა, კავკასიელთა დამცისა და კერძოთა მათთა ხარკთა და ზევრთა ქუეშე ყმებურთა შემოყვანისა, უმართლმადიდებლებისისა და უკეთილმსახურებისისა დიდისა ლეონ ბრწყინუალისა მეფისა, ყ(ოველ)თა პორფირ-სკიპტრა მქონეთა მეფეთა შ(ორი)ს მზედ ბრწყინვალისა, რომლისა მეფობისა დღეთა ქ(ვე)ყ(ი)ნასა მისია კრმალთა სახნისად სჭედდიან. კ(უალა)დ ამა სახელ-ქმა განსმენილისა ძირეთილ და ცხებულისა დავითიანის ხისაგან ღ(უთ)ივ დასხმეულ საბალნაროსაგან წარსალინელისა წყალთასა რტოდ სიხარულისად და პერიოდონ სიმართლის ნაყოფად ომოცენებული, სიქევლისა, სიკეთისა, ობოვნებისა და გულოვნობის იადგარი, ბედეტოლი, ბედმლვარე, ნადიმობათა, მოასპარეზობათა, რაინდობათა და ნადირობათა შ(ინ)ა უმეტეს მარჯუექმნილი, უფროს სხუათა ყ(ოველ)თა მეფეთსა სახელ — სიკეთს მენებელი, თუთ სეხნაბით და ძლევისმოყვარებით მიმსგავსებული ქვეყნის პირთა და კიდეთა მტკიცედ მპყრობელისა დიდისა ალექსანდრესი, ზეამაღლებული და ქველევთილი კელმწიფე პატრონი, მეფე ალექსანდრე.

იქსენებოდედაც კმაღლმატებით ქებით განსმენილება პირზოსა და უხუცესისა ძისა მათისა, რ(ომე)ლსა თვით სიცოცხლესავე მამისა მამისა მიერ დაედგა გვირგვინი მეფობისა და მიემალი სკიპტრა და შერავანდი მცყრბელობისა შეგავსად დავით მესამისა, მამისა თვისისა საღმრთოთა და საკაცობითა სიბრძნით და გონიერებით სრულმწინილი, მულდოსან—ცხენოსან—ცერო-



სანი, ბანაკისაგან ბრძენთასა ძნიად ქებით მისათხობელი, ერთჯორცი ღუაწლ ურთიერთი მარკისა და წამების ასარეზთა სიმნის სულითა წარმლისა წმიდაქმნილის უკავებისა და წარმლისა დედოფლისა ქეთავისა, კელმწიფე, პატრონი, მეფე დავით. ქ(უალა)დ ვსოფუთ, მათვევე ზენა კ(ურთ)ხ(ელისა ძირისაგან სიხარულისა და სიმართლისა ნაყოფად ოღონორჩებულისა და ოღობუტკუნილისა ძისა მათისა, მერმე და ოწეულითა სისხლთათა მეწამულ ქმნილისა, დიადიმითა და პორფირითა მარტვლაობისათა შემკულისა დედისა მიერ ოღოცენებულისა ყვავილისა, სიბრძნისმოყუარეთა მიერ საგნად ქებისად ოღსართისა, ქების ნივთთა და შესხმათა დაზებულისა, სულის მაღლმბერველობითა უსხოლთა და განუცდოთა სიბრძნისმოყუარების მაღლთა ზედმიწევნილისა, ძლიერისა და ახოვანისა მებრძოლთა, მემუქარეთა გოლიათებრითა გმირითა და მემაგანითა, არწივის ფრთითა ომქმლისა, ხ(ოლო) და სიმნის გრიგალთ-ქარითა მტერთა მტერტულებრ აღმგვისა, ბევრეულია თასეულთა ურაცხუთა და უთუალავთა თურქთა, ულუსთა და რაზმთა მეხტეხილების გრგვენთა სახელ ცეცხლისა წვიმათა ომშბობელისა, სიჩირდგან ქ(რისტ)ეს გვედრად და სტრატილატად შეაბჯრულისა, ორთავე სამეფოთა და საკელმწიფოთა საყდართა და ტახტთა მპყრობელისა, დიდისა თაიმურაზ პირ(უ)ლისა, უმარტლმაღიდებელისისა მეფისა და ძლევაშემოსილისა კელმწიფისა. ხ(ოლო) და ძისა მითისა სიკეთის გუართა და ხატთა შინათა ანუ გარეთთა თუსდა მომკარავინებელისა, ქ(რისტ)ეს საოცსოდ მქედრად აღზრდილისა, საჩიდელსა მარტვლთასა შესულისა და მათებრ განმენობილისა, კვარის მტერთაგან მოწყვედილისა, გვრგვნსა მართალთასა მიმთხვეულისა, ორკერძოვე ორთა სამეფოთა მემკვდრისა და ორთა მეფეთა რტო — შარავანდისა მიწყივ — მიმდევ და სამარადკეთილისა შ(ინ)ა მოქსენებულისა, მეფისა ძის დავით ბატონის წვლილისა. ქ(უალა)დ და ძისა მისისა ქების განვრცომის ნიეთად ბრძნთად, კმაყიფელისა, სიბრძნისმოყუარებისა ბრჭეთა განცდილისა და მეცნიერებისა მენაჟთა აღვლილისა, მნებელობის წყალობის წემით ქვეყნის კიდეთა მრწყველისა, მყუდრისა, მშვიდისა და ულალველისა, მართლიად სასჯელისა და სიმართლისა სასწორთა უქ(უ)ე წამისა გარდაუზიდლად მსჯელისა, ს(რულია)დ ქართულთა მეფისა ირაკლი პ(ირუ)ლისა, ქებით ძნობილისა და სახელ-კვარანშენილისა კელმწიფისა, რომელთა სიმგრეულისა დისკონსაგნი აღმოგვმშარავანდედა მიწყივ ქებითა საძნობი, კაცი მრავალსაღალადო, გულისათქმელი სულისა, უქ(რისტ)ეს მოყვარესი, უფროს, უმეტეს ყ(ოველი)თა პორფირ-სკაბტრა მქონთა მეფეთა შ(ორი)ს პირად-პირადთა სახეთა და სხუა და სხუა ნათესავთა სათნობათა სიკეთეთასა თუ შ(ორი)ს გამომხატუელი, ზეამაღლებული, სვე-ბედეკეთილობით განფრთხობილი, გონებით ღ(მრთ)ისდა ამაღლებული მიმდემ-ციურთა მზრაცხელი, ტრფიალი საბაოთისა სიმშვდის, სახე, მყუდროების სარკე, სიმართლისა და სწრფელის ძეგლი, ტბილ შემთხვევით, სატრფიალ უბნობითა, სასურველ ნადგამობითა, სიმჯნე-სიქველით და გულოვნობით შემმართი წყობათა, მრავალგზის და ბევრგზის განმაორი და ომშყვეტი დიდ-დიდთა რაზმთა და ძალთა ბარბაროზთ ნათესავთასა დაუცადებლად მებრძოლი, კვარის მტერთ სისლოტყურიელი სიყრმითგანვე ძლევაშემოსილებით ქმაგანფენილი, უკანასკნელ მეფეთა პ(ირუ)ლ სახისებრ თუსდა ნარწმუნთა ერთთათვს სულის დამდრეკი და განმწირი, ხ(ოლო) აწ პორფირითა და ბისონითა სამეუფოთა აღსრული ტრფიალისადმი თვესის ღ(მრთ)თქმოქმედებულისა და საღმრთოთა სულისა მაღლთა მიერ წმიდაქმნილისა, ნელსაცხებელითა ცხებული, მეფე ს(რულია)დ



ქართულთა და მპყრობი სხუათაცა ბევრთა ადგილთა და სპარსთ შემოწმებულის კონკრეტული გელმწიფისაგან ს(რულია)დ დღრაბადაგანისა სპასალარიად განჩინებული კელმწიფე, ჰატრონი მეფე თეომურაზ მეორე.

ხ(ოლო) აშ ჩ(ვენ)ნ ზესთა ღ(მრ)თ(ი)თმთავრისა მის უკუნოსა და გაუვითაროსა ნათელთ და ნათლისაგან თ(ან)ად განმხუროვნისა ურბანისა, ნათლისა სამხატვებებით და ერთახსად ცნობილისა — მამისა და ძისა და წ(მიღ)ისა სულისა, მოწლის და მოტყინარისა ულითა მადიდებელმან და ბრძოლით თაყ(უ)ნისმცემელმან და განგებულებისა მაღლთა განსაკრთომელთა საკურუელთა და გამოიუწეველთა საიდუმლოთა ძისა ღ(მრთ)ისათა მტკიცისა სარწმუხოებათა ოშესარებელმან და ღ(მრთ)ისა და ჩ(ვენ) მიერ დაეგბის და თანმთამოსულის ნიშად დადებულისა, მის წ(მიღ)ისა უსასატრელესისა და უწმინდესისა უფროს ვ(იღრ)ე ქერუბინთასა ყ(ოველს)ა უ(ამს)ა შ(ინ)ა ქარწულისა მარიამ დედისა ღ(მრთ)ისა სურვილით და ტრაფიალებით ღ(მრთ)ისმშობლად შემწყნარებელმან, მინდობილმან და ქუეშევრდომილმან ცუა-ფარვათა და საგრილთა მისთამან, მერმე და მხოლოდ ოდენ ერთის ყ(ოვლა)ღწ(მიღ)ისა უძრავულოსა მის სასრისა და უმრუმოსა აღსარებისა წ(ინამ)წ(ა)რმეტყ(უ)ლთაგან მონწყვებულისა, მოციქულთა მ(იღ)რ ქადაგებულისა და მამათა მ(იღ)რ დადაგბულისა და განკაზმულისა, აღმოსავლეთისა წმინდისა კათოლიკე ეკკლესიისა საჩრწმუნოებისა ღორმატთა მტკიცედ და შეურყევლად მპყრობმან და შეუმრღლდ შეონებელმან, კ(უალა)დ დაქუემორჩილებასა შევრდომილმნ ნიშთყოფით ოშენებულისა ჩ(ვენ)ნთა ნათესავთა მ(იღ)რ კათოლიკე ეკკლესიად ასსარებულისა და თყ(უა)ნისსაცემელისა, დედისა ჩ(ვენ)ისა სუეტისა ღ(უთ)ივ აღმართებულისმან, ნაყოფად გარდოფენილმან მ(არა)დის კეთილსა შ(ინ)ა მოქსენებულთა მათ წინათ თქმულთა მეფეთამან, ორკერძოვე ორთა მეფეთა და სამეფოთა მექვიდრემ, რტო-შარავანდმან იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატოვანმან, ძის ძემან კმაალმატებით და სახელ-სიკეთით განსმენილისა ბალისა და დიდებულისა ირაკლი პ(ირუე)ლისა მეფისამან და ასულის წულმან დიდებულისა და სახელვანისა ბრძნისა და გონიერისა მეფის ვახტანგისმან და ძემან ქ(ვე)ყნის პირთა და კიდეთა მრავალებით ძნობილისა, სულბრწყინვალისა ცხებულ — პორტიკოსანისა თაიმურაზ მეორისა მეფისამან, მეფეთ მეფემნ და თვა კერძიფერმან, მეფემნ ქართველთამან და მეფემნ კახთამან, მპყრობელმან და შეონებელმან ყაზახ და ბორჩალოსამან და სხუათაც ადგილებთა კავესისისა კერძოთად ირაკლი მეორემან მეფემან და თ(ან)ამეგცხლერემან ჩ(ვენ)ნმან დედოფალთ-დედოფალმან დადინანის ასულმან პატრონმან დარეჯან, განზრავითა\*, განგებითა, წადილითა და ნებითა ჩ(ვენ)ნითა ეგრეთუ ქერჩინებითა და ნებადართვითა სულბრწყინვალისა მამისა ჩ(ვენ)ნისა თ(ან)ამეგცხლერისა და მეუღლისა მრავალ ქების ნივთად კმასაყოფელისა, დედათა სიეთე კეთილიბათა თვე შ(ორი)ს შემომწიდალისა დედობითაცა, ძულისა ამის სახელმწიანისა და ჩ(ვენ)ნდა სამეტყ(უ)ლოდ წინამდებარისა საჩინისა მის ნივთითა განმდიღრებულისა ორბელიანთა ასულისა დედოფლის ანნახანუმისათა; ესრეთუ თ(ან)აზრახვთა, ნებადართვთა და თ(ან)ასათნოყოფითა ს(რულია)დ ქართულთა მამადმითავრისა და უწმიდესის პატრიარქის მადლითა, ღ/მრთ/ისმეტყ/უე/ლებისა და ფილოსოფიულისათა ზედ მიწევნილისა, სათხოებათა ნათელთათვეს შ(ორი)ს შემკრებელისა, ძმისა ჩ(ვენ)ნისა, მეფის ძმის ანტონი ნეტრარისათა, ესთა თან ნებაყოფითა და სათნოჩენითა პირმშოსა და

\* მარჯვენა კიდეზე: აქედამ სხვას გადაებმის მეორედ რომ დაღიანს მიეთხოვა.

სასურალისა სატრიფიალოს ძისა ჩ(ვე)ნისა ბატონის შველის გოორგისათა, ბაჟილოვანება  
ტრინის შველის ლეონ, იულინ, ვახტანგ და თამიშვარზისათა, ვგრძელებულის კონკრეტული და ვიგულის მოდგინებულის, შევიწყალეთ, ვემოყურენით და დავემძახელენით მუ-  
ხით, აქ რ(ომე)ლთა მოვთხეობთ, რ(ომე)ლნი იყ(უ)ნენ და რ(ომე)ლნი არიან  
ღ(უ)თი იურალლებულისა, ღ(უ)თი იუგანგებულისა, და ზესთ დამყარებულისა,  
მაღლისა და დიდებულისა მეფობისა ჩ(ვე)ნისა მკლომთა და წინააღმდეგომთა  
გულებსა ზარის დამსხმელთა, ლომებრ განმჯნობილთა სპათა, ძალთა და ლაშ-  
ქორთა მარჯულ კერძოსა მკედრობისა ჩ(ვენი)სათა სპასეტერად დადგინებულთა,  
მრავალთა ურიცხუთა და უთუალავთა ლაშქართა და წინაბრძოლთა მკედართ-  
ჟავრად განჩინებულთა, შიდა ქართლისა სარდლად შეწყალებულთა, პ(ირუე)-  
ლითგანვე მაღალთა და დიდებულთა საქართველოსა მეფეთა და მეპატრი-  
ნეთაგან მოყუსად და მძახელად ღირსებნილთა, მთავართა წარჩინებულთა,  
მაღლისა კარისა ჩ(ვე)ნისა კვატრისად და ამირახორად დადგინებულთა, სამო-  
თხის მოკამათისა და ედემთ მოჯუფთარისა, ნადიმ-პურობისა ჩ(ვე)ნისა სახვედ-  
რთა და შესაბამთა უმაღლესთა ღდგილისა მეინაგეთა, გუარკეთილთა დიდე-  
ბულთა ამირახორას რევაზს, დომიტრის, ამირინდოს, იესეს, ნიკოლაოზს, თე-  
მურაშს და ოოანეს.



გარდამტევი, მკაფიობელი ვაჩსკვლავი, სიტურჯე-სინატიფეთა და ზოგიწყვაზრის ეტლო მჯდომარე, მთიები უჭუფთარიო, პირი იგი ეთროვანი, თოვლის ფიფქეთვერო მეჯუფთარი და უჯიმირო პაირი, სიმრუმისა კიდე-განი, სარკა საჭრო, მცურეტელთა სინჯო-ბრუკლთა დაუდებელი, წელთ აზრონი განზი-დულნი, ზარქაშითა რჩეულითა ივლატურისა ოქროთი მჭევრად ნაზად და უნუ-უროდ შესაბამ კვპაროზისა, ედგმით ივლიონ ველთა სიკეთე — სინარგიზეთა და სამოთხისა ლადირთა თვალთა წინაშე დამსახი, ტურფათა დედოფალი, კიდლუცთა კელმწიფე, კენართა სამუალი, ნარნართა დიდება და ასულთა სიმდიდრე. და თანად მორთულ-აღმკულ და შემოსილ ორკერძოსათნოებითა პირად-პირადის გვარითა, განკრძალული ცხოვრებითა, მორცხვედ მიმოქცე-ვითა, სასურველ უბნობითა, საწადელ მიმოხედვთა, სატრიფიალო ლიმილითა და ჰეროვნ ხატითა; ნანდკლუე არს ფარლული და მანივა სეფის პირთა, მეფის ქალთა და მშობელთა საფერი და შესაფრიფინი, ნათელი თვალთა ჩემ-თა, სიხარული გულისა ჩემისა, განმდვი ნადიმ — შუებისა ჩემისა, ნუგეში სიცოცხლისა ჩემისა, ტრფიალი წადილისა ჩემისა და ჩემი ღ(მრთ)ის განსვე-ნების სეხნა ბატონის შვილი ელის საბედედ, რომელსა შინა მდიდ-რად, უხვად და ბევრწილიად განისვენა გუარმან ყ(ოველ)თა სიკეთეთა და შვენებათამან.

აკ(ურთ)ხნეს ღ(მერთმან)ნ მეულლობა ამათი ვ(ითა)რ აბრაპამ და სარჩასი, ვ(ითა)რ ისაკ და რებეკასი, ვ(ითა)რ იაკობ და რაქაილისა, ვ(ითა)რ ზაქარია და ელისაბედისი, ვ(ითა)რ იოაკიმ და ანნასი. აკ(ურთ)ხნეს ღ(მერთმან)ნ ქორ-წილი და სიძე-მამლობა ამათი, ვ(ითა)რ — იგი იკ(ურთ)ხა თვე თავადისა მ(იე)რ ქორწილი კანს გალილის; ალორძნდნენ, განძირნენ, განიგერგნენ და განმრავლდნენ ესენი ნათესავთა სიმრავლითა; ალორძნდნენ ესენი კ(ურთ)ხე-ვითა საღმრთოთა და ზეგარდამოთა, აღყავდნენ ესენი ვ(ითა)რ ბორბანნი, რტო და ფურცელ გარდაყრილნი, ვ(ითა)რ ნერგი თერევინთი და ვ(ითა)რ ნა-ძვი ლიბანისა, დასხმული და განერგულნი სახლსა შინა უფლისასა და ვ(ითა)რ ვენავი სორექი მსხმო კიდეთა სახლისა ღ(მრთისა)ხთა და აკ(ურთ)ხნეს გვირგვინი წელიწილისა ამათისა და ველნი ამათნი ალივსნენ სიპონითა და სა-შეებელთა ღუარითა.

წარგვატანებიან მზითევი თან, რ(ომე)ლთაცა აწ ვიწყოთ ჩ(ვე)ნ წული-ლიად და თუთოეულად გარდმოცემად და მოთხრობად თქ(უე)ნდა საცნაურად, მსმენელნ და განკაცურით ყურად მღებნო, თუ რაოდენი და რაზომნი არიან ჩვენ მ(იე)რ მინიჭებულნი სასურველისა დისა ჩ(ვე)ნისათვა“...

მზითევის წიგნის ნაკვეთი, რომელშიც მოთხრობილია კაცია დაღიანის წარმომავლობა და სოციალური მდგომარეობა: „...განვიგულეთ და ვინებეთ, ჯერვისინეთ და ვიწყდეთ, ვემოყესეთ და ვემძახლენით მუნითგან პირველით-განვე აწ რომელთასა მოგითხრობ, რომელნი იყვნენ, რომელნი არიან და რომელნი დღით-დღე წარმატებათა შინა არიან, მუნით დაწყებით აღრითვე ძველ — საღმე საჩინოქმნილნი არეთა მათ ცისკროანთა უოცნო განვების გმო მტკიცეთ დამყარებულისა, კელითა სავაოთითა დასხმუ(ლისა) და მოკრძალუ-ლისა, მიუდგმლად... ხილული მტერთ თვალთა ორბისა... ზე აღმწვერვალე-ბულისა და მზისფრად მფრქვეველად უღამოს ნათლის სარასლად... რათელ კელოვანთ გმო სახამსოდ განს ხულისა ზესთ უმაღლეს უდიდებულესისა, განულოთ ერთმთავრობისა და ურლვ პორტიროსნობისა და ერთ საბანა განუღლო სკიპტრაქმნილისა, გულოველის საბალნარეთა მანედლ-განმფურც-

ლებელისა, მის დროთა დღეთა უამისა დიდებულთა ამილბირთა, სანელოვანთ პატიაბშთა, მის სრისა ვაზირთ ვაზირთა, მთავართა ზედა მთავართა და ამილბირთა, მრავალ არეთ და სანახებით და თემისა მქონებელთა, სხვადა-სხვა ენათ ერთასა დიდთ-დიდთ სამთავროთ მპყრობელთა, პონტოთ ზღვით კერძოდ მჟირავთა, თავკვერ და სამეცნიეროთა მონა-სპა დაუთვალივთა, კუპირავალ და უმიძლიერთა ბრწყინვალეთა დღებულთა ბეკრეაცთა და ბევრის ბეკრეთა, ურიცხვთა და ჰუამრავთა უშქართა და უშტის უშტთა, ლაშქართა და წინამდებროლთა, მეჯდრობისა წინამდევნოთა, მის უამის განთიადისა ახალ მეორედ ურსნოდ ჭიტურ(ფის) მოაზ(რ)ულისა, ორიონთ ნიშთ მომხარდისა, ფლიოს ველოიდ დასახულისა და ედემ მაღალი ღადირად მორთულ და განკუშმულისა, სამოთხის მოჯუფთარისა, მუნიცილის საუკუნოსა, მაუკედ განსამარადისა, ნადიმ და ხაღლილბისა პირველთა მენაჯეთა და სელთა ოქრო-ჭედილთა და ლიკოსანთა მთავართა, სამეცხის მპყრობელთა მთავრისა ათაბაგისა სწორ პატივთა მოდგამთა და საყდრის მპყრობთა, მათ დიდთა და დიდებულთა შესხმათა ხაღლილბითა ძნობილთ და მოხსენებულთა, სახელმო-ხეეჭის მძიებთა, მათ პირველთ დადინანთა იოანესა, ვარდანისა და კოტენესა, საქართველოთა ჩინებულთ სიკვდილით ჭინის მზეზისა და კვალად ბაკურ და სიმანლირისა შიდა ეგრისთ მპყრობელისა, მერმე და უახლესთაცა მახლობელთა ამათ უამთა ბრწყინვალედ ძლევა-წყობათა მრავალგზით მჩერენებელისა და ძლევაშემოსილებით აღჭურვილ-შეაბრულისა დიდისა ლევან დადიანის(ნი)სასა, წოლო და ამათ უკვე ზემორე და წინათქმულთა მათ დიდებულთა მპყრობელთა, სიკეთე სიიაღლეთა, სიმჭვერითა და სიქველეთა, ყოვლითურთ თვისიდა მომწილსა და სწორსახესა სარეესა მაუწყესა და წინამდგვა მათისა სიკეთისასა, ბრძენთაგან ქებით საძნობსა და ძლევაშემოსილებით ბრწყინვალედ ჭმაგანსმენილსა, ხოლო უკანასკნელ უკვე უსჯულოთაგან ღადრობით მოკლულსა უმოწყვეტილსა, სახელ-სიკეთით განთქმულსა დიდებულს ბეჟან დადიანს. მერმე და ძესა ამისსა, მრავალთა პირად-პირადთა ქებათა შემოწყობრებითა სიკეთის სახელ-სახეთა მდიდრად საღმე მქონებელსა, ნამდვილვე ქების ლირსა, შვიდსა, წყნარსა და მყუდროსა, სიტყბოების პუნგაისა, გულითადთ წყალობის მთოვსა, ხოლო მტერთ დამტემ — დამნაცრსა, უბრწყინვალესად განმეგესა, დადიანს, ბატონს ოტის, კვალად ძესავე კეთილად მოხსენებულისა ბეჟან დადიანისასა და ძმასა ქებით მისათხრობელის ოტია დადიანისსა, სულისა ცეცხლებრ მობერით შინაგანისა კაცისა ლვაწლთა ბრძმელთ შინა წოობილსა, ჭყონიდელს, უფალს გრიგორის.

მერმე და ძესავე ამა ზემოქსენებულისა იტია დადიანისასა, სიჩჩიდ სიყრმითაგან ღ(მრთ)ისდა შეწირულსა, პირველსავე საჯმილაქს სიცოცხლის დაწყებისასა, მაღლისადმი აღმსთობილსა, სპინთირათ გულთა შთამგზებასა, მლევანთა და ქვემეთრევთა სოფლის დიდებათ განმწიხსა, სულგანწმედილს, ცაგერელსა ყოვლად სამღვდელის ანტონის. 1

ხოლო ძესა და ძმასავე კვალად ძეთა და მმათავე, მერმე ძის ძეს და ძმის-წულსვე მათ ქება-შესხმით ძნობილთა ბრწყინვალეთ დადიანისა, ყოვლის სიკეთის მქონებთა, საღმრთო და საკაცობოთა ზნე-ყოფა ქცევით მდიდართა, ღლითი-ღლე აღმატებათა, ჭაბუკობათა, სწავლულებათა, რაინდობათა, მოასპარენიბათა შინა გამოცდილთა და სრულმყვთა თავთა თვისთასა ბატონს მანუჩარს, ნიკოლაოზს, გიორგის და გიორგის.

ხოლო და ამათ მაცისკრთა და მადლენთა ვარჯოვანთა წალკოტთა და სავარდეთგან და განმარეთ უზროთა სამიმღემო სიცოცხლისა ასფოდელოდ ნა-  
10. მრავალთავი XVI



ორძებსა და მაუკვდ-მასამარადად სუნთმბერავგამომქროლეთა, ვარდიშ-მარადად  
აღმოფრჩენილსა, ედემურ ნაღიმ-ყვაილად მთ გმო წარმოებულსა, ხოლო  
და ვაზად ხადილ მხიარულებისად განამორჩის და გამონაღსა, მის მიუხდო-  
ულიცნოსა ნათელთ მბად-უვითაროსა, ზესთა ღ(მრ)თ(ი)სმთავარისა მიერ გუ-  
ლითად მრონად ცნობილსა და მისდა მიმართ რწმუნვათა მტრიბილ-კეცთა აღ-  
სავალთასა, მაღალთ ღ(მრ)თ(ი)სმეტყველებითთა ანუ განგებულებითთა, მტკი-  
ცედ და შეუმრრდდ მპყრობსა, ვითარ გარდმოსცემს დედა უკუნ მიუხი ბრყვი-  
ლისა აღმოსავლელთა არვისა ვრცელ გონებისა მექონთა და გონისტრობის  
საჭიროაგნი სიმრუმის კამშთა აღძრცილთა შევრთ რიტორთგან კელუო-  
ფადი განკარგვად და განდასებად მიზეზთა ნათესავისა აღმოჩინების სახისა  
ქებისა ნაწილსა ქვეშე ქებითა მტრიბლ-კეც გვარითა გარეგან შინაგანითა,  
ხორციელ სულიერითა უუნობითით და საქმითითა.

მთავარსა სახელმაღალსა მპყრობელსა და ლიკმზიანსა, მარჩხანს განვე-  
ბიანსა, სახელმონხვეჭის მძიებსა, ზარ-ზეიმ დიდსა, ბედ-ეტლ სვიანსა, მყართა  
და გმოულოთა-მთათა და შესალტოლველთა ადგილთა მეპატრონენსა, მრა-  
ვალკეცისა ზღულითა მორითმულთა და მოზღულვილთა გოდოლთა და სიმა-  
გრეთა ფილაკვან მიუხებთა, სიმყარეთა მქონებელსა, მდიდართა და მედო-  
ვახთა არძანგისებრ დამეურნსა, მენე-ქველ-ახოვან ჰაეროვანსა ხმა-ხორ-  
ჯას ხოსროანსა, ზირინოზ ზღვარებულისა, ცხოველისა ყიათაგან იავ-  
რად წარმომღებსა საფთირონებრ მძნობარესა, ბარბით სიტკბოთა მიმ-  
ხდელსა, სამუსიკოთა ძნობისა ქმის უსულთ-სეფურთ-საქცევთ-მსმენელთ  
დამათრობელსა, შვენიერ მახიობელსა და გამოცდილსა ლოდბარსა,  
უბრკმოდ მარჯვედ მწიგნობარსა და მევრ წყლიანად მეუბნსა, ტაქსა ზედა  
კისკასა, მოასპარეზედ რჩეულსა, უკუფთაროსა რაინდსა, უებროსა შევილდო-  
სანსა, კელ-ძლიერ მეჯირითესა, ყაბახთა და აშფაშაგთა უცურად სადმუ  
მსროლელსა, ნაღირთა კელოვანსა, მარჯვედ და ისაცად მომკვლელსა, ბრძოლა-  
თა ლონიერსა, გულსარულად შემთქჩსა, უშიშრად შემმართსა, რაჩმთ განმა-  
შვენსა, განგებიანად განმწყვასა, გონიერად დამრაზმსა, მტერთ სიქშოთ-ტევრ-  
თა განმმანსა, ჭუფთსა და მოკამათესა, დიდისა აქილევისა მოყენესა აღბატე-  
ბულსა ქველისა მოსამართსა, სამკედრონ სწავლულებითა კენტავროსეგან დავის  
მთხოვნსა, სიტკბო-ნადგომიბითა აბესალომ ვარგმდიდარსა, სიძალე სიჩა-  
უქითა ასაილს სარუნიანსა, ულუმპანად მძლეველსა, ნუშრევიანისებრ ხა-  
დილ-ნადიმ შეუზრჩესა და ტროილის სიმჯნის ხეირთა თვისდა მომჯანდაქრე-  
ბელსა, ადრაზაგ საშიშსა, განვება ნათელსა, გონება მრთელსა, უცდურად  
გახბზრასა, სარვაგ მაღალსა, საქმის კიდონტსა, მყუდროებისა ოფაზსა და სი-  
კეთეთ შეიდს მაღნიტს, მახვილსა გამოხატვითა თანშემსხსა, განმსჯელობითა  
და მტკიცეს აღმოჩინითა დიდებით წარჩინებულსა, მთავართა ზედა მთავარსა  
და ძლიერს გამდგებელსა, ძის ძესა დადიანისა, ძისავე დადიანისა და თვით  
უკვე დადიანსა და ლიჭთა მამა-პაპურთა არძანგისებრ მიმთხვეულსა, სახელოვ-  
ნად დიდებულსა დადიანს, პატრიონს კაციას...“.

## Н. А. МШВИДОБАДЗЕ КНИГА О ПРИДАНОМ ЦАРЕВНЫ ЕЛИСАВЕД

Р е зю м е

В письмовнике, хранящемся в Институте рукописей им. К. Кеке-  
лидзе АН Груз. ССР в качестве образца сохранились полный список  
книги о приданом от первого брака царевны Елисабед, дочери царя



Теймураза II, две записи составителя документа и написанное на отдельных листах происхождение и социальное положение Кация Да-диани, второго супруга царевны.

Указанными документами представляется возможность полностью восстановить книги о приданом обоих бракосочетаний царевны Елисабед, устанавливается время первого ее бракосочетания (начало 1765 г.) и составления книги о приданом от первого брака (вторая половина 1764 г.), точная дата второго ее бракосочетания, ее отъезда в Одиши—Лечхуми (1766. VI. 3), личность составителя документа — Георгий—Глаха Натлишвили. Документально подтверждается право неприкосновенности приданого.

---

### მ. მამთარია

ორგანიზაცია (პაფლანიშვილთა) ფონდალური სახლის ისტორია

3 1 6 ტ ა 6 გ ი

(III ოჯახი)

ვახტანგ ყაფლანიშვილი საბუთებში იწოდება დიდ ორბელად, ბარათა-შვილ-ორბელიშვილად<sup>1</sup>. ვახტანგ ყაფლანიშვილის მრავალრიცხოვანმა ოჯახმა არაჩეულებრივად დიდი კვალი დამჩნია ქართული კულტურისა და მწერლობის განვითარებას. თვით ვახტანგი მწიგნობარი კაცი იყო და რამდენადმე პოეზიითაც გატაცებული.


1676 წელს შავნავაზი (ვახტანგ V) ვახტანგს მდივანბეგის სახელოს აძლევს: „ვისმენთ აჯა და მოხსენება თქუენი შეგიწყალეთ და გიბოძეთ მდივანბეგობა ქართლისა, ქალაქისა, საბარათაშვილოსა, სომხითისა და თათრისა. ვინცავინ ჩუემსა საკელმწიფოსა და საბრძანებელსა ქუეშ მორჩილი იყოს, ან სისხლისა და ან სხვის, რასაც საჩივრისა, ყუელა თქუენგით ვაისამართლებოდეს“<sup>2</sup>.

სულხანის „ანდერძში“, რომელიც 1679 წელსაა დაწერილი, ვახტანგი იწოდება საქართველოს ბჭეთმთავრად და მოსამართლედუხუცესად<sup>3</sup>.

ვახტანგი დაქორწინებულა ზაალ ერისთავის ასულ თამარზე და საკმაოდ დიდი ოჯახი შეუქმნიათ.

1700 წლის სიცელში ნაზარალიხანი ვახტანგ ორბელიანის ცოლის მისამართით წერს: „ესე წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ—ორბელიშვილის მდივანბეგის ვახტანგის ცოლყოფილის, ზაალ ერისთავის ქალს ბატონ თამარს, ესრეთ რომე...“<sup>4</sup> ქორწინება უნდა მომხდარიყო XVII ს, 50-იან წლებში. 1685 წლის 27 თბილთვის საბუთის მიხედვით, მათ ჰყოლიათ 8 ვაჟი<sup>5</sup>.

ვახტანგი + თამარი ზაალ არავეს ერისთავის ასული



<sup>1</sup> საქართველოს სიძეელენი, II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909 წ. გვ. 137, შდრ. თ. ენექიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მდივანბეგთა ქრონილოგიური რიგი, დაბეჭდილია, „მრავალთავი, I, გვ. 304.“

<sup>2</sup> იქვე, გვ. 137.

<sup>3</sup> შდრ. კ. კ ე კ ლ ი ძ ე, ეტიუდები, ტ. VIII, გვ. 299.

<sup>4</sup> პირი სd 2300 (ძველი S 1648);


<sup>5</sup> საქ. სიძეელენი, II გვ. 144.

სიგელ-გუგრებში მექვიდრეების თანმიმდევრობა ასეთია ძირითადად: არის რამდენიმე შემთხვევა მაგ. 1684 წლის საბუთში, ბოლო ოთხი სახელის თანმიმდევრობა გადასმულია. ხან ასეა: ზაალ, დემეტრე<sup>6</sup>, ხან ზურაბი, დემეტრე<sup>7</sup>, ხან ზაალ, ნიკოლოზ, ზურაბ და დიმიტრი<sup>8</sup>. ყველ შემთხვევაში, პირველი ოთხი შეილის თანმიმდევრობა ყველგან ერთნარია.

მაშესადამე, ვახტანგი უნდა დაბადებულიყო XVII საუკუნის 30-იან წლებში, რაღაც უფროსი ვაჟი სულხანი დაიბადა 1658 წლის 4 ნოემბერს (ი. სტილით).

ვახტანგსა და თამარს უნდა ჰყოლოდათ ქალიშვილებიც, როგორც სხვა რიგის დოკუმენტებიდან შეიძლება დადგინდეს, თუმცალა იმის გარევევა შეუძლებელია, ასაყობრივად ძებთან როგორ იყვნენ. გოორვი ლეონიძე იმოწმებს ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ სკინძარის მინაწერს, რომლის მიხედვით, ვახტანგსა და თამარს ჰყოლიათ რვა ვაჟი და სამი ასული<sup>9</sup>. „ქას ტრა (1683 წ.) მე, ფრიად ცოდვილმან... მდივანბეგმან ორბელ, ალვაშენე ჩემს სამყვიდროს სასახლესა შინა ტანძიას კარის ეკლესია... და შევამექვი ყოვლითა წესიერებითა საეკლესიოთა რიგითა, წიგნითა და ხატებითა... ცოდვილისა სულისა ჩემისა განსასვენებლად და მეუღლისა ჩემისა ... თამარის ცოდვათა შესანობობად და რვათა ძეთა დ სამთა ასულთა წინაშართებლად...“ (იბ. თ. ეროვნული, ქრონიკები, II, 1897, გვ. 497. ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელის ძეგლების წარწერები, 1, კავკასიონი, პარიზი, 1929 წ., გვ. 93—94). სამწუხაობოდ, მინაწერში მოხსენებული არ არის მათი სახელები. ერთ-ერთის სახელი ყოფილა დარეჭანი. ვახტანგის ერთ-ერთი ვაჟი ვახუშტი 1707 წელს დაიღუპა ირანში. შემორჩენილია მის გარდაცვალებასთან დაკავშირებული საბუთები. ერთ-ერთში ნათქვამია, რომ (ერასტი წერს): „ჩემა დამ დარეჭანმა გადახურა აშჩაფი ერთი“<sup>10</sup>. 1682 წლის საბუთშიც (Ad 641) იხსენიება მდივანბეგის (ვახტანგ) მეუღლე თამარ, ასული დარეჭან. სწორედ დარეჭანის შესახვალობით შესწირა ფანასკერტელ-ციციშვილმა ციციმ წმ. ნიკოლოზის საყდარს<sup>11</sup> ფეიქრიშვილის მამული. სხვა ქალიშვილების სახელები ჩვენ ვერ მივაგენით. თუ ყველაფერს გავითვალისწინებთ, მაშესადამე, გამოდის:

### ვახტანგი+თამარი



<sup>6</sup> იქვე, გვ. 144, დოკუმენტში ასულთა შესახებ არაფერია ნათქვამი.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 145.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>9</sup> გ. ლეონიძე, ძეგლის ქართული ლიტ. ისტორიიდან, ტ. I, 1949, გვ. 64. შტრ. ლ. მენაბედე, დამიტრი ორბელიანი, იბ. კრებული „სულხან-საბა იორბელიანი“, 1959 წ. გვ. 156. ერთ-ერთი ძმობებული ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს... გვ. 94.

<sup>10</sup> საქ სიძველენი, II, გვ. 272.

<sup>11</sup> ალბათ, იგულისხმება ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ტაძარში გამოსახული ზაზა ფანასკერტელი, ან მისი ოჯახის წარმომადგენელი ვინჩე. საქმე ისაა, რომ ზაზა ფანასკერტელი ძალზე დახმალებული პირი ჩანს შანაგაზონ (ვახტანგ V-სთან). ეპყრა სარდალ-სახლთუხეცების სახელი, თავი გამოუჩენია სამხედრო ნიჭითა და მეცენატობით. იბ. ოთარ ფირა-ლშვილი, ყინწვისი, 1979, გვ. 11.

თამარი ცოცხლად იხსენიება 1700 წლის დოკუმენტში, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ. უნდა გარდაცვლილიყო იგი 1704 წლისათვის. ლევან ჯანიშვინის მიერ 1704 წ. 3/IV სულხან-საბაძალმი მიცემულ წყალბის სიველში სულხანის დედა თამარი მიცვალებულად ივარაუდება. დოკუმენტში ნათქვაშია: „მაშინ, ოდეს ზაალ ერისთვის ქალს, ბატონს დედათვენს თვის მზითვის სამკაულით გალდაში და ღორჩისთვის ეყიდა, მერმე ჩვენის ერდგულბისათვის და ნამსახურებისათვის ერეკლე მეფეს დაუნაშავებლად ასრე წაექიდინე, არც ამ ქვეყანას დაეყენებინე და ნასყიდიც წაერთოია...“<sup>12</sup>.

ი. ღორჩითვითანის დაკვირვებით, ვახტანგი უნდა გარდაცვლილიყო 1696-1701 წლებში<sup>13</sup>. ლ. მენაბდის აზრით, უნდა გარდაცვლილიყო 1696 წ. (იხ. დიმიტრი ორბელიანი, გვ. 154). ე. თაყაიშვილის აზრით, ვახტანგის საფლავის ქვა უნდა იყოს ის, რომელიც „გამოიჩევა თავისი ღირსებით, სიმაგრით, ფერით, მოყვანილობით და სილამაზით მეტობს ყველა სხვა დაცულ სასაფლაოს ქვებს. შინაარსი წარწერისა მარტო ფსალმუნის ტექსტს შეიცავს, მიცვალებულის ვინაობის აღუნიშნავად“<sup>14</sup>... ეპიტაფია იკითხება: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისაღმი, ამს დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე“<sup>15</sup>. საფლავის ქვაზე გარდაცვალების თარიღი არ არის. დაბეჭიობით თქმა, თუ როდის გარდაიცვალა ზუსტად ვახტანგი, კირს.

ვახტანგი თვისი ღროძისათვის ცნობილი მწიგნობარი იყო. იგი წერდა ლექსებს<sup>16</sup>.

## სულხანი

სულხანი ვახტანგ ორბელიანის უფროსი ვაჟი უნდა იყოს. დაიბადა იგი 1658 წლის 4 ნოემბერს (ახ. სტილით)<sup>17</sup>. ჩვენი კულტურის ისტორიაში სულხან-საბა თორბელიანის ღვაწლი წარუშლელია და ამიტომ მისი ბიოგრაფია დაინტერესებული საზოგადოებისათვის ცნობილია და ჩვენ მას აქ აღიარ გავიმეორებთ.

სულხანი თოვერ დაოცხახებულა. პირველად იგი დაქორწინებულა ბაგრატიონთა ასულზე — დარგანზე, ალბათ, XVII ს. 70-იან წლებში (ბაგრატიონთა რომელი ოჯახის წარმომადგენელია დარეჯანი, ჩვენთვის ჯერ-ჯერობით დაუდგენელია). ეპიტაფიაში კვითხულობთ: „ბაგრატიონთა ასული და დიდი თორბელის საძლი სულხანის მეუღლე ბატონი დარეჯან ამას დავემკვიდრე ქ' ქ' ტოა (1683 წ.)“<sup>18</sup>. მაშასადამე, სულხანის პირველი მეუღლე დარეჯან ბაგრატიონი გარდაიცვალა 1683 წ. დიდი მეიგავე 25 წლის ასაკში დაქვრივებულა.

## სულხანი + დარეჯანი

გ. ლეონიძის მითითებით, დარეჯანი უნდა ყოფილიყო აშოთან მუხრანბატონის ასული. იგი წერს: „შესაძლოა ვითიქროთ, რომ, ტრადიციული წესის მიხედვით, სულხანი ბავშვობიდანვე იყო დაწინდული მუხრან ბატონის ქალზე

<sup>12</sup> საქ. სიძეველენი, II, გვ. 202.

<sup>13</sup> ი. ღორჩითვითანის ქვემო ქართლი, წიგნი III და IV, გვ. 340.

<sup>14</sup> ე. თაყაიშვილი, სომხით-სომხელოს ... გვ. 92.

<sup>15</sup> ე. თაყაიშვილი, სომხით-სომხელოს ... გვ. 92.

<sup>16</sup> ხელნაწერთა ერებული S 1203, 13r—v.

<sup>17</sup> მ. ქავთარა, დასაზუსტებელი თარიღი, „სახალხო განათლება“, 1957 № 51.

<sup>18</sup> ე. თაყაიშვილი, სომხით-სომხელოს ... გვ. 91.

და შესაძლოა ისინი ერთადაც იზრდებოლქნენ<sup>19</sup>. თუ ეს მართალია, მაშინ დამატებული რეგანი ყოფილა ქვევები დედოფლის და, რაც ქრონიკიურად ყოვლად დაუშვებელია. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით<sup>20</sup>, მუხრან ბატონთა ოჯახი ასე ვამოყურება:

კონსტანტინე+X

↓      ↓      ↓      ↓      ↓

დავით გორგი ალექსანდრე ბაგრატ შელქისევე (კათალიკოსი)  
დავით (1539 წ. ალექსანდრად ბაგრატე სახელით)

ბაგრატ (პირველი მუხრანმატონი) + X

↓      ↓      ↓      ↓

ვახტანგი აშოთან არჩილი ერეკლე  
↓  
ქვევეანი+1624

სულხანსა და დარეგანს პირმშო არ დარჩენიათ, არც ვაჟი და არც ქალი. არც ერთ დოკუმენტში არ არის მითითებული.

პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ სულხანი დაქორწინებულა ათაბაგის ხალიფაში<sup>21</sup> ქალზე, თამარზე. 1726 წლის დოკუმენტში ვითხულობთ: „საბას მეუღლეს — ათაბაგის ქალს, ბატონს თამარს მზითვად მოქმედოდია“<sup>22</sup>.

როგორც ჩანს, სულხანი მაღლე დაქორწინებულა თამარზე, რადგანაც ერეკლე I რეპრესიების დროს (გ. ლეონიძის მითითებით, 1695 წელს) იგი იმულებულია საათაბაგოში, სიმარტან გადაიხვეშის. იგი ცდილობს გიორგი XI და სიმარტი ერთმანეთს დააკავშიროს. სიმარტის მიუკია საფიცარი წიგნი: „ესე მტკიცე საფიცისა წიგნი მოგეცით ჩვენ, ათაბაგმა ბატონმა ხალიფაში, თქვენ — ჩვენსა სიძესა ორბელიშვილსა ბატონსა სულხანს: ბიძასა თქვენსა ბატონსა თამაზს სარდალსა და თქვენს ძმებსა, ესე და ამა პირსა ზედან, რომ ბატონის მეფის ბრძანებით ჩვენთან მობრძანდით და ჩვენ და ბატონი მეფე საფიცრითა და მოყვრიბით მოგვარიგეთ“<sup>23</sup>.

გ. ლეონიძის აზრით, სულხანს ემიგრაციაში ერთ წელზე მეტი თიოქოს არ დაუყვითა, რადგანც 1696 წლის 26 მაისს ყმებს ყოლულობს<sup>24</sup>. 1704 წლის საბუთში წერია: „დანაშაული არა გქონდა რა და ახალციხიდამ ისევ მოეყვანეთ...“<sup>25</sup>. ფაქტი ის არის, რომ 1698 წელს საბა თავის მამულშია და მაღლე, 1698 წ. მარტში დავით გარეგის უდაბნოს ოანქეს ნათლისმცემლის მონასტერში ალიკვეცა ბერად. სულხანის ბერად ალკვეცის შემდგომ თამარის სახე-

<sup>19</sup> გ. ლეონიძე, ძებანი, 1949 წ., ტ. I, გვ. 68; იგივეა ნათქვაში 76-ე გვერდზე.

<sup>20</sup> ბერი ეგნატ აშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, შდრ. ივ. ჭავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, IV, 1967, გვ. 218—222; დ. გვირტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 359—365.

<sup>21</sup> ქრონიკები, II, გვ. 518—519.

<sup>22</sup> საქ. სიძველენი, ტ. II, გვ. 332.

<sup>23</sup> ქრონიკები, II, გვ. 518—519 (Sd—2051).

<sup>24</sup> გ. ლეონიძე, ძებანი, I, გვ. 73.

<sup>25</sup> საქ. სიძველენი, II, გვ. 202.

ლი რამდენჯერმე იხსენიება. იგი ცოცხალია 1709 წელს, როგორც ეს ჩანს ფლორენციის არქივში დაცული საბუთიდან<sup>26</sup>. გ. ლეონიძის ცნობით, თამარი დაახლოებით 1712 წლის ახლო ხანებში გარდაცვლილა<sup>27</sup>. სამწუხაროდ, თამარის თავგადასავლის აღდგენა ვრცლად ვერ ხერხდება.

სულხანს არც ერთ მეუღლესთან შვილი არ ჰყოლია. როგორც ცნობილია, სულხანი გარდაიცვალა 1725 წელს, მოსკოვში.

## ერასტი

ერასტი ვახტანგის მეორე ვაჟია; იგი დაბადებულა დაახლოებით 1660 წლის მახლობლად, გარდაცვლილა 1731 წლის 21 ოქტომბერს. ეპიტაფიაში ვკითხულობთ: „მე ტომად ორბელიანთამან, ძემან ვახტანგისამან ერასტიმ ვიმდებარე საფლავსა ამას ქრისტეს ქათ ჩრდა (1731) ოქტომბრის კა (21)“<sup>28</sup>.

1732 წლის დოკუმენტში (Sd 717 დედანში) არის ვამოთქმა ორბელ მდივანგეგი, რომელსაც ჰყავს ვაჟები — ელიზაბარი და ვახტანგი. ცხადია, აქ ორბელი გულისხმობს ერასტის და არა ვახტანგის. ეს უკანასკნელი მდივანბეგის სახელოს არ ფლობდა. ის რომ ერასტის//ორბელის შვილებად არიან დასახელებული ელიზაბარი და ვახტანგი, ეს არაფერს არ ნიშნავს, სხვა დოკუმენტშიც იწოდებიან ისინი ერასტის შვილებად.

1730 წლის 20 დეკემბრის საბუთში ორბელ ორბელიანი იხსენიება (Sd 709 დედანი) აქც უნდა იგულისხმებოდეს ერასტი<sup>29</sup>.

ერასტი სამეფო კარზე სავაოლ დაწინაურებული. იგი მდივანბეგის სახელოს მფლობელია. 1704 წ. 23/XI ლევან ჭანიშვინი უწყალობებს მამის სახელის — მდივანბეგობას. თ. ენჯვიძის დაკვირვებით კი თითქოს ერთი წლით აღრე ატარებს ამ სახელოს (იქვე, გვ. 307). ერასტი დაქორწინებულა, როგორც 1718 წლის 19 ქრისტეშმბისათვის გუჯრიდან ჩანს, ბატონიშვილზე, რომლის სახელიც ყოფილა ანა//ანახანუმი. „ესე... ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგოწერეთ და მოგეცით ჩვენ ბარათაშვილის ხოსის შვილთა ... თქვენ იორბელისშვილს, ბატონს ანახანუმს...“<sup>30</sup>, ანახანუმი ამოწმებს ერასტის ანდერძს, რომელიც 1707—1708 წლებითაა დათარიღებული. „მე დედაშენს ანახანუმს ეს წიგნი მომიცია მამაშენისათვის“<sup>31</sup>.

26 გ. თამარაშვილი, ისტორია კოორიექტისა ქართველთა შორის, გვ. 328.

27 გ. ლეონიძე, ძებანი, I, გვ. 76.

28 ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, ნაწილი II, თსუ შრომები, ტ. 43, 1951, გვ. 165. ეპიტაფიის ტექსტი დაცულია ალ. ორბელიანის ნაწერებშიც. იბ. H—2490.

29 1717 წ. 6 იანვრის დოკუმენტში იხსენიება ზურაბის შვილი ორბელი. „...გიორგი-შვილმნ ბატონმნ ზურაბ, შვილმნ ჩემმნ დემეტრებან და ორბელმნ, თქვენ, ჩემნ ბიძა-შვილს, მდივანბეგს ერასტის, ძმისწულსა თქვენსა ელიზბარსა, ძმასა თქვენსა ყაფლანს, ზურაბს, დამიტრის, შვილთა თქვენთა ორბელს, ვახტანგს, დავითს, გიორგის, სულხანს...“ სიძველენ, II, გვ. 299. ამ საბუთთ სამი იორბელი ჩანს, რომელი ვის შვილია ყოველოვის არ ჩანს. ერასტის გარდა ორბელი ჰყოლია ზურაბს და კალევ სხვაც ყოფილი. დიდ ორბელია იწოდება ვახტანგიც.

30 საქ. სიძველენ, II, გვ. 508 (1718 წლის).

31 იქვე, გვ. 217.

დოკუმენტებში ნახმარი გამოთქმა ბატონიშვილი თუ სამეფო ჩამომავლობას გულისხმობს (აღმა გულისხმობს, შედრ. საბუთი გამოქვეყნებული საქ. სიძველენი, II, გვ. 384, Hd 6055), მაშინ იგი საძიებელია XVII საუკ. 80—90-ანი წლების ბატონიშვილთა წრეში. Hd 8380 (პირი), 1713 წლის საბუთში კითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწნევითა ლთისითა ჩვენ საქართველოს განმგებელმან ბატონიშვილმან პატრიონმან სვიმონ, ესე უამთა და ხანთა გასათვებელი მამულის წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, მდივნებელის ერასტის ასულს, ჩვენს მამიდაშვილს გუქს...“ თუ მამიდაშვილი პირდაპირ უნდა გვიგოთ, მაშინ ერასტის ლევან ბატონიშვილის დად ჰყოლია ცოლად. ლევანს მართლაც ჰყავდა და ანუკა, მაგრამ იგი სპარსეთში გაათხოვეს. შეიძლება სვიმონი შორეულ ნათესაობას გულისხმობს. ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახების მემკვიდრეთა შორის მისი ძიება თითქოს გამორიცხული უნდა იყოს: ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვერ დავადგინეთ თუ ვისი შვილია ანა.

### ერასტი + ანა ბატონიშვილი


ერასტის და ანას მემკვიდრე ვაჟიშვილი არ ჰყოლიათ. მართალია, ერასტი და ანა ეშირად ვახტანგს და ელისბარს შვილებს ეძახიან, მაგრამ სინამდვილეში ისინი ერასტის მისწულები არიან, ვახუშტის შვილები. მათი პირმშოთ იყო ასული შარიაში. ზემოთ ნახსენებ „ანდერძს“ აქვს ასეთი დამოწმება (პირველი გვერდის აშიაზე): „ქ. მე მარამ ამისი მოწამე ვარ, რომ გვერდ გვადოშივარ, რომ ჩემა დედა-მამათ ეს ასე იგარიგეს. მარიამ“<sup>32</sup>. ერასტისა და ანას მარიამის გარდა უნდა ჰყოლოდა მეორე ასულიც, როგორც ეს ზემოთდამოწმებული საბუთიდან ჩანს. ამასვე ადასტურებს Hd 9281 (1713 წ.) საბუთი (ლევანი), რომელშიც ვკითხულობთ: „ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვი თქვენ მდივანბეგის ქალს ბატონ გუქს...“\* თუ ჩვენი ალდენა მართებულია, მაშინ გუქა გოსტაშაბიშვილების რადა ყოფილა. პყავდა გუქს შვილებიც. საბუთში წერია: „თქვენთვინ შვილთა თქვენთა გვიბოძებია“. პყოლია მაზლები.

Hd 1663 (დედანი) საბუთში დასახელებულია გუქს შვილი: „მე საგინაშეიმა ინდომა და ქმაბან ჩემმან ერასტიმ და მამავალთა სახლისა ჩემისამან თქვენ დივანბეგის ერასტის ქალსა ბატონს გუქსა, შვილსა თქვენსა დავითსა, ასე რომე დაგვჭირდა და მოგყიდეთ...“ მეორე დოკუმენტში Hd 10052 (პირი) ისხსნება სხვა ვაერი სახელიც — ვახუშტი“, „თქვენ მდივანბეგის ქალს გუქსა, შვილსა თქუენსა დავითს, ვახუშტის...“,

<sup>32</sup> ც. 330..


\* H — 2412/3 მიხედვით ერასტი ორბელიანს „ყვანდა თრი ქალი, ერთი გუქა და მეორე მარიამი. გუქა იყო ბებიაჩემი, მარიამი იყო იესე მეფის ცოლი... ეს ბარათი გადმოვწერე მე თვალში ზექარია დავითის ძე ბარათოვმა პაპიქმის დიმიტრი გოსტაშაბი შვილის გადაწერილის ბარათიდან“.

გურა + გოსტაშაბაშვილი



მარიამი 1712—1714 წლებში ცოლად გაპყოლია იქსე მეფეს. (წყაროებში იგი ხარჭად იხსენიება, აღმათ, იმიტომ, რომ ამ დროს იქსეს უკვე ჰყავდა ცოლი, ერეკლე I-ის ასული ელენე)\*, რომელთანაც შესძენია ვაჟი — გიორგი.

ერასტი + ანა ბატონიშვილი



მარიამი თითქოს აღრეც უნდა ყოფილიყო გათხოვილი ქაიხოსრო ამირე-ჯიბზე. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „წაგვარა ცოლი დედის ბიძასა თვისსა ქაიხოსროს ამირეჯიბს, ბებიის ძმისწული თვისი, ასული ერასტისა და შეირთო თვით ცოლად“<sup>34</sup>. ასაკობრივად როგორი თანამწორობა იყო მათ შორის ჩვენთვის ნათელი არ არის. ერთ-ერთ მკითხველი მოვაინო დროისა მ ფაქტს უკეთებს ასეთ შენიშვნას: „მიკვირს შენის გომიერებისაგან ამ ანბის მწერალო და უსამართლოდ მაგინებელო ბიძისაო, შენეე იტყვი ფრიად მოქცეული იყო მაშმადინთ სჯულზედაო და რომელს თათარს უნათესავებია ბებიის ძმისწული და დედის ბიძის ცოლი და ოთხმოცდათის წლის ამირეჯების ნაცოლარი თოთხმეტი წლისა ქალი, წარმყითხველო განსახეთ“<sup>35</sup>.

მინაშერის ქრონილოგია თუ მართალია, მაშინ გამოდის, რომ მარიამი დაბადებულა 1698—1700 წლებში. იქსემ 1712—1714 წლებში წაგვარა დედის ბიძას ცოლი. და თუ ეს უკანასკნელი მართლაც 14 წლისა იყო, მაშინ 1698—1700 წელს გამოდის დაბადებული.

თბილისის ისტორიისათვის შეკრებილ დოკუმენტებში, რომელიც ნ. ბერძენიშვილმა და მამისა ბერძნიშვილმა გამოიქვეყნეს (XIV—XIX ს. წიგნი 1,

33 დ. ბაგრატიონი, დიმიტრიანი, რ. ნაკაშიძის რედაქციით, გვ. 3, ამავე ავტორის ცნობით, თამარი მეორედ გათხოვდა ზურაბ სუფრაჭზე. უთითებს ხელნაწერს S. 763., გვ. 19. სამწუხაროდ ასეთი ხელნაწერი არ არსებობს.

34 ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დაგენილია ყველა ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაფხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973 წ., გვ. 494.

35 ამ შენიშვნის ავტორი თითქოს დიმიტრი იარბელიანი უნდა იყოს. იქვე.

\* ელენესთან შეულების ისტორია ჩამდენადმე განსხვავებულად აქვს წარმოდგენილი. დ. ლომიძეს, იხ. XVIII ს. პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან, მრავალთავი, XIII, 1986 წ.

1962), მეტად სინტერესო ცნობა: „მე დედაშენმა ანახანუმ, შენ ჩემ შვილს მარიამს და შენ შვილს. ას რომე რა მამაშენი მომიკედა, დიალ ბევრი გარჯილობა და ხარჭი დაგემართა მამაშენშედა და ჩემშედა. მამაშენი რომ ძოკვდა, ფაშიამ თამასუქი გამოაჩინა მამაშენისა რვის ქისა. ამაში ქვრივი ვიყავ და უშვილო და მატყევებლნენ, ჩემ სახლს დაედებოდა. აზღვე შენ, ეს რვა ქისა თეთრი აბშიძის ჰელით, ამილახვრის გვისი ჰელით, სარდლის ქაიხოს-როს ჰელით, შენის ძმის ვახტანგის ჰელით. ...ეს რვა ქისა თეთრი ამათის ჰელით ფაშის მიართვი და მე დამისხვნ ტყვეობისაგან... არის ამისი მოწმე ჩემი მოძღვარი ალექსი დეკანზი, ჩემი მახლისწული ვახტანგ“ (გვ. 226). ფრაზა „შენის ძმის ვახტანგის ხელით“ უნდა გულისხმობდეს მარიამის ბიძაშვილს ვახტანგს (ვახუშტის ძეს), რომელსაც ერასტი შვილივით ზრდიდა.

ერასტის და მის მეუღლეს მონაწილეობა მიუღიათ დავით-გარეჯის მონასტრის ჩესტავრაციაშიც, როგორც ამას შესავლის კარბაჭის წარწერა გვაუწყებს: „ჩემ დიდმა ორბელიანის ძემან მდივანბეგვან ერასტი, თანამეცხედ-ჩემან ჩემმან ბატონიშვილმა ანახანუმ ეს მონასტერი წმინდის დავითის კომთა კითარებისაგან განრყვნილ იქმნა და ამ ჩემ მეორედ ალექსენეთ და შევამეეთ ცოდვათა ჩემნთა შესანდობლად და საქმეთა ჩემნთა წარსამრთებლად. ვინც იხილვიდეთ ნაშრომს ამას, შენდობა გვიბრძანეთ. სრულ იქმნა ქქა ტეზ [397]. შეფობასა გიორგისასა თვესა აგვისტონა“ [H 2490, გვ. 12]. ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, ერასტის ჩაუტარებია საირიგაციო საქმეებიც: „ერთი არხი გაუკეთებია; იმისი სათავე აბულმექის სოფლიდგან დაიწყობა და იმის ბოლო სატრედოს ბოლოს მამულში მოწყდება. სიგდე უნდა იყოს იმ არხისა ვიდრე ოცდაათიდგან ორმოც ვერსამდისინ, რომლისაგანიცა მაშავრის წყალით იმ არხიდგან რამთენი მამულები ირწყვებოდა“ [H 2490, გვ. 12].

### ვ ა ხ უ შ ტ ი ი

ვახტანგის მესამე ვაჟია ვახუშტი. იგი სამეფო კართან დაახლოებული პირი ჩანს. სახელმწიფო საქმეებში იდრევე ჩართულა. 1675—1688 წლების დოკუმენტიდან ჩანს, რომ იგი ფლობდა საბარათაშვილოს საბაღაბოს სახელის: „გიბრძანებთ, ვინ გინდა ვინ ბრძანებისა ჩემნისა მორჩილნი იყვნეთ საბარათა-შვილოს თავადნო, აზნაურნო, გლეხნო, მერმე ერთ ამხანაგად საბარათაშვილოს მებალახებობა ამასალად ორბელიშვილის ვახუშტისათვის გვიბოძებია“ (საქ. სიძელენი, II, გვ. 153—154). გიორგი XI მოთხოვნით და ლევან ჯანაშინის რეკომენდაციით 1703 წელს ათასი მეომრისაგან შემდგარი ქართველთა მაშველ ლაშქარს უსარდლა ვახუშტიმ. და ქართლის ნომინალური მეფის გიორგი XI დასახმარებლად სპარსეთს გაემგზავრა. მისი მძახალი სეხნია ჩხეიძე საგანგებოდ ამბობს: „გამოხდა ხანი მცირედი და მოუვიდა ქირმანიდან მეფის გიორგის ამბავი ძმასა და დაებარებინა ქართველთ ჯარი. შეყარა ქართლს დარბაისლის შვილები და უთავა ყაფლანისშვილი ვახუშტი. გაგზავნა ჯარი ათასამდე, ენკენისთვის ი“.

ვახუშტი გარდაიცვალა სპარსეთში 1707 წელს. ამაზე პირველად მიუთითა ექ. თაყაიშვილმა წიგნში საქ. სიძელენი, II, გვ. 292. ეს თარიღი გავრცელდა შემდგომ. მის გარდაცვალებამთან დაკავშირებით შემორჩენილია მრავალი დოკუმენტი, რომლებიც ძირითადად გამოაქვეყნა ექ. თაყაიშვილმა. „მოგიწერ მე, მეფე შაპინავაზ, ძმებო, ბატონო საბავ და მდივანბეგო ბატონო

საბავ და მდივანბეგო ბატონო ერასტი! მოგახსენებ ძმათა თქვენთა ქართასა უსაშულესა მწუხარებათა თქვენთა. ვითარ მოგითხრას ენამან ჩემმან? ანუ რომლისა პირითა ვიზილო პირი თქვენი? თვალის სინათლე თქვენი და დიდად ზურგად იმედი ჩემი, სასურველი და სიქაღული ძმა თქვენი, წინაშე ჩემსა წარშოგზავნილი, ამანათი და შემოვედრებული, და ამ სუდარითა კელითა და ფერჯითა შეკრული წარმომივლენი ... მრავალი თავს ცემით მწუხარება მამის სენებია, დასტურ, ძმა თქვენი იყო, მაგრამ, ღმერთმან იცის, ჩემიც შვილის და ძმასავთ საყვარელი იყო. ჩემთვის ეს დღე იყო, რომ თავი მომკდომოდა, ჩემი თვალის სინათლე ძმანი და შვილი დღეს დამკიცოდეს. მოვლა და კელის შემწეობა არ დაგვიკლია<sup>36</sup>.

ვახუშტის ჰკოლია ოთხი შვილი, ორი ვაჟი და ორი ასული. თუ ვინ იყო მისი მეუღლე, ჩენ ვერ მივაკლიეთ.

ვაჟების სახელებს მრავალი გუარი იძლევა, ხოლო ქალიშვილების სახელი დამოწმებულია მხოლოდ რამდენიმე ღოკუმენტში. აღწერის იმ ნუსხებში, რომლებშიც ჩამოთვლილია თუ ვახუშტის ქონებიდან ვის რა ერთ, ვკითხულობთ: „ქ. ყვითელი სუსი ელიზბარასა და ვახტანგს პერანგებად დაუკერეთ და ბანგუასა“<sup>37</sup>. ამვე სიგელში მეორე ადგილს „ქ. ორმოცდაორი შალი სარტყელი რომ სწერია, ოცდაათი მოსქესას მივეცი გასასყიდლად. ამის გარდა... ქ. ბანგუას ერთი“<sup>38</sup>. შაპნავაზის სამძიმრის ბარათიდან შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ სხვა ასულიც ჰკოლია ვახუშტის. შაპნავაზი წერს: „წარმოსთვეა ანდერძი, რომელი პირველ დამარხნეს: ჰე მეფეო, მე არ ვძირაფი დიდებისა შენისათვის, სოფელი ესე წარმავალი არს და მიუნდობელი, ვითარცა აჩრდილი ღამისა. მე მსურის უფალი ჩემი, რათა განვიძან სული მწილოვანი და ვიხილო ძალი და დიდება მისი და დავეგო მარჯვენასა მისსა. და დამდგინოს, რომელი მართალი იხმარებენ მისთანა. ეს არს ჭმუნვა და მოხსენება ჩემი და ვეხვეწები კელმწიფებასა შენსა, ძენი და ასულნი ჩემნი დაიცა საფურცელსა შენსა და აღმიზარდნო, რათა შური არავინ იძიოს ობოლთა ჩემთა“<sup>39</sup>. მართლაც, მეორე ასულის — თამარის სახელს იძლევა 1740 წ. ღოკუმენტი Hd 17. „ქ. მე ეშივალასბაშმა ელიზბარ, ჩემმა ძმამ ვახტანგ ჩემს დას თამარს ეს ბიჭი თავისი ცოლით, ეს გოგო ორნივე ჩემი ნასყიდით ზითევში მიმიცემია. ამას ოდენ — ხელი არავის აქეს. ვისაც სალპარაკო ქონდეს, ჩემთან მოვიდეს, პასუხს მე გავცემ, ჩემის ალალის საქონელით ნასყიდითი არიან ერთი ნიაშრელი გოგო წყალუალუალი (?) დაიწერა ქენს 1740, მოს. ვასულს“. ბანგუასი და თამარის გარდა ჩენ სხვა ასულის არსებობა წყაროებსა და საბუთებში ვერ დავადასტურეთ. მაშესადამე:

ვახუშტი + X



ვახუშტის გარდაცვალების შემდგომ ვახუშტის შვილებზე ზრუნვა უკისრია ვახუშტის ძმას ერასტის. სიგელ-გუგრებში ხშირად ელიზბარი და ვახტანგი ერასტის ძებად იხსენიებიან.

<sup>36</sup> საქ. სიძველენი, II, გვ. 220—221. რამდენიმე ასეთი შინაარსის წერილი გამოქვეყნდულია ამავე წიგნში.

<sup>37</sup> საქ. სიძველენი, II, გვ. 287.

<sup>38</sup> საქ. სიძველენი, II, გვ. 287.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 220—221.

ელიზბარი — ვახუშტის უფროსი ვაჟი, დაბადებულა დაახლოებით 1699 წელს. მამიდილი ერასტი ნაშვილებისადმი მიცემულ წიგნში წერს: „ჩემი ძმა ვახუშტი რომ მეცე გიორგისთან წავიდა, თქვენ ერთი თოხის წლისა იყვით, ერთი სამი წლის. ამიყუანისართ...“<sup>40</sup>, ვახუშტი გიორგი მეცესთან 1703 წელს გაემგზავრა. 1703—4(3)=1699 და 1700 წ. აქედან გამომდინარე უფროსი ვაჟი ელიზბარი დაბადებულა 1699 წ., ხოლო მეორე კაჟი ვახტანგი 1700 წელს.

ელიზბარს ქვენია სახლთუხუცესისა და ეშიყალასიბაში პატივი. 1730 წლის მორიგების წიგნში ვკითხულობთ: „ეს წიგნი მოგართვი მე ორბელიანმა გორგასპიშვილმა ბატონმა ქაიხოსრომ თქვენ მდივანშეგისშვილებს ბატონს სახლთუხუცეს ელისბარს...“<sup>41</sup>. 1732 წლის ღოკუმენტშიც ელიზბარი სახლთუხუცესია: „მე თაყაშვილმა დემეტრემ თქვენ ყაფლანისშვილის სახლთუხუცესის ელისბარისაგან...“<sup>42</sup> სახლთუხუცესია 1735 წლის 22 მარტის ღოკუმენტშიც (Sd 1943).

ელიზბარ ორბელიანი ტრაგიულად დაიღუპა 1742 წლის აგვისტოს შემდეგ ახლო პერიოდში. პაპუნა ორბელიანს მოთხოვნილი აქვს ეს ამბავი საკრაოდ ვრცლად. 1742 წელს ხანსა და გივი ამილახორს მორის დიდი შეხლაშემოხლაა, ხშირად შეტაკებებიც. გამწყრალი ხანის შემოსარიგებლად ქართველი ჩავილნენ და შეეყარნენ, „ვარსკვლავთ უმრავლეს ჯარსა...“ „პირველსაც მისვლაზე ელისბარ ორბელიანი დაიჭირეს, რომელი იყო ეშიყალასიბაში ქართლისა“. დაჭირის საბაძი ის ყოფილა, რომ ელიზბარი გივი ამილახრის ცოლისმა იყო, ხოლო უმცროსი ძმა ვახტანგი თავის ბიძაშვილებით გიორგითა და სულხანით დასავლეთ საქართველოში, რაჭიში გახიზნულან, „მეტერის კარგი მოყერები ჰყვანდათ, მივიღნენ, შეეხიზნენ, რაჭის ერისთავმა გრიგოლ შეიწყარა ფრიად...“ ამ ღროს გზაზე მიმავალნი ურუმინ დაუხცოვათ. ურუმების მოკითხვებთან მტრებს ორბელიანები შეუსმენიათ („მაშინ მტრენი ბევრი ჰყვანდათ“) და მათაც ურუმთა სისხლი ორბელიანებისათვის დაუდიათ. დააჯერეს ურუმინ, ისინიც ეხალნენ „კელმწიფეს“ და გივი ამილახრისა და მისი მოყვრების საქმე გამოიწევს. „კელმწიფე ამილახრიზედაც გამწყრალი იყო და ელიზბარს თავი იღარ ამართლებინა და მოქლა მოშთობით“<sup>43</sup>. ამ შემთხვევაში დაისაგა თითქმის უდანაშაულო ელიზბარი.

ელიზბარს ცოლად უნდა ჰყოლოდა ვახტანგ VI დისტული (ხუარმჩეს ასული. თვით ხეარამზე გათხოვილი იყო მეტერეში ჩიჟავაძეზე: (იხ. H—2412). ელიზ. ხელნაწერი S 1580 (ხედა ყდის შიდა მხარე) იძლევა ელენეს სახელს.

ელიზბარსა და ელენეს თითქმის უნდა ჰყოლოდათ ასული, რომლის სახელი იყო თამარი. 1777 წ. 24 თებერვალს მზითვის დამტკიცების წიგნში (Hd 27) ციითხულობთ: „ესე წიგნი მოგართვი მე დიმიტრი ორბელიანმა თქვენ მამიდახეშს თამარს მამითქვენისაგან და ბიძიების თქვენისგან მზითვათ გამოტანებული ალიხანაშვილი დადონდარაშვილი გვყვანდათ, მეც ასე დამიმტკიცებია...“ (საქ. სიძველენი, III, გვ. 502), ვისტე იყო გათხოვილი ღოკუმენტიდან არ ჩანს.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 216. ელიზბარის სახელი გვხდება 1724 წ. XI ღოკუმენტში (Hd 14152), (1725, 20. VI. Sd—685), 1730 წ.


<sup>41</sup> იქვე, გვ. 356.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 367.

<sup>43</sup> საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხოვნა, 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე თარწიგნად აღწერილი, მეორე გამოცემა ზ. ჭიერინაძის მიერ, 1913 წ., გვ. 68.




სხვა შეილი ჰყავდა თუ არა ვერაფერს ვიტყვით ჭერჭერობით<sup>44</sup> ცრიცხლების  
სისამართვის



### იოანე

ორბელიშვილებში იოანე სახელი გავრცელებულ არ არის. სულ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს დადასტურებული ამ სახელის გამოყენებისა.

1736 წ. სექტემბრის 8 გიორგი ბატონიშვილი (იეს მეფის ძე) აძლევს ნასყიდობის წიგნს ელიზბარს და მის მემკვიდრეს. .... მე, ბატონიშვილმა გორგიმ, ასე რომე სატრედო სოფელი ბებიის ჩემის, ბატონისშვლის ანახანუმის მზითვით ნასყიდი, პაპამან ჩემმან, მდიგანბეგმან და ბებიაჩემმან დედა ჩემს, ბატონის რამა მარიამს ზითვად გამოატანეს და მას აქეთა ჩენ გვეპირა და არც ვინ მცილე გვყუბნდა, ახლა დიდად დაგვეპირა, მოვედით და მოგყიდეთ შენ, ორბელიშვილს ელიზბარს და შვილსა შენსა იოანეს...<sup>45</sup> ამ საბუთიდან გვებულობთ, რომ ელიზბარის ვაჟს სახელად ერქვა იოანე.



იოანე ორბელიანი წლების განმავლობაში ქართლის მეფეების მდივანბეგი იყო. პ. კარბელაშვილი მიიჩნევს, რომ იგი დაქორწინებულა თეიმურაზ II-ის სულშე — ანაზე<sup>46</sup>, ნამდვილად კი ანა ცოლად ჰყავდა დიმიტრი ორბელიანს.

იოანე ორბელიანი ჩენს მწერლობაში ცნობილი პიროვნებაა. მის მთარგმნელობით საქმიანობაზე საქმიოდ ბევრი ცნობაა ხელნაწერებში დაცული, რომელთა მიხედვით, შესანიშნავად ხერხდება XVIII საუკ. 50-იანი წლების მთარგმნელთა ჯგუფის მოღვაწეობის სურათის აღდგენა. იოანე უაღრესად ახლო შემოქმედებით კონტაქტებშია ანტონ პირველან, ფილიპ ყაითმაზაშვილთან, დოსტოევსკი ჩერქეზიშვილთან, ვეტრი ვართავეტოთან, ზაქარია მადინაშვილთან და სხვებთან<sup>47</sup>. ამიტომ სრულებით არ არის მოულოდნელი, რომ მის შესახებ დიდად საქები სიტყვებია ჩაწერილი „კალმასობაში“. „იოანე მდივანბეგი ორბელიანი, კაცი სიბრძნესა შინა აღზრდილი, რომელმან უწყოდა ზედმიწევნით ფილოსოფია და ლვთის მეტყველება. იყო ვარსკვლავთმრიცხველი, ფიზიკისა და არისმათიერსი. უწყოდა ბუნების ისტორია და იყო უცხო რიტორი“<sup>48</sup>.

იოანე ორბელიანს მიუღია კათოლიკობა, მ. თამარაშვილის აზრით, 1734

<sup>44</sup> Hd—7568 (პირი) „...ორბელიშვილის ბატონს ელიზბარს, მმასა თქვენსა ნიკოლოზს, შვილსა თქვენსა იოანეს, მმისწულსა თქვენსა ნიკოლაოზს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისთა...“

<sup>45</sup> სტ. სიძველენი, II, გვ. 384. შდრ. Hd—7568 (პირი).

<sup>46</sup> 3. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 161.

<sup>47</sup> კ. კარბელაშვილი, დევლი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, შდრ. მ. ქვთარია, XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდნ, 1977 წ., გვ. 227—228.


<sup>48</sup> იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კეკელძის, ალ. ბარამიძისა და 3. ინგოროვას რედაქციით, გვ. 202—203.

წელს<sup>49</sup>. მოწოდებული თარიღი ძალაში საცეკვო უნდა იყოს. თავისითავად ფაქტს უმხედრებია ორთოლოგიალურად განწყობილი სამღვდელოება. საბოლოოდ ოფორტ ანტონ I-ის წერილიდან ჩანს, კვლავ დაბრუნებია მართლმადიდებლობის. ანტონი, რომელიც თვით ექსორიაშია, წერს: „მესმა, ვითარმედ უკუმოქ-ცელზე სქართულოდევ, რომლისთვიცა მადლობისა მიმცემი ლუთისა ჩემი-სა იშულს შინაგან კაცი ჩემი, გარნა ითნოს ღმერთმან, რათა უკუმოქცეს კეშ-მარიტებადცა და შენისა მის სიბრძნისმოყვარებისა შესაფერ მართლმადიდებელ იქნება ახალთა და ზედ შემოსრულთა არა კეშმარიტთა სარწმუნოებითა ჰესჭულ-თაცა“.

თ. ენტერის დაკვირვებით, იოანეს მდივანბეგობა მიულია 1748 წელს<sup>50</sup>: მდივანბეგობდა 1752 წლამდე, ხოლო მეორე პერიოდი მოდის 1764 წლიდან და 1782 წელსაც მდივანბეგიანი.

იოანეს დაბადება-გარდაცვალების თარიღებად ლალი ძოშენიდე იძლევა 1693—1780 წელს.<sup>52</sup> წარმოდგენილი თარიღები თოთქოს არ შეიძლება მისაღები იყოს, რადგანაც იოანეს მამა ელისბარი უნდა დაბადებულიყო 1699 წელს. არც 1780 წელი ჩანს მართალი, რადგანაც, თ. ენუქიძის მასალების მიხედვით, 1782 წელსაც მდივანბეგია და მტკიცედ უცყრია სახელო. იოანე ცოცხალი უნდა იყოს XVIII საუკუნისაც. მას გვაფიქრებინებს იოანე ბატონი-შვილის სიტყვები: „ესე იყო ფრიად გონებამახვილი, ესრეთ რომელ ოდეს მხოლვანებისა გამო თვალთვაგან მოკლებულ იქმნა და ვერარს ხედვიდა, მა-შინაც ყოველთა წერილთა ძალებდა განმარტებად“.

ითანამდებობის შესახებ თთქმის არაფერია ცნობილი. ხელნაწერ S 1653-ის მიხედვით, ელიზაბარის შვილს, სახელი ნახსენგია არ არის, ჩვენი ფურქით, ითანამდებობის შესახებ დამიტრი. ხოლო ამ უკანასკნელს კი ვაჩრანა ორბელიანი და სხვ. თუ ყველათვის ეს მართალია.



თუ კარგად გავიგეთ ჰპატნა ორბელიანის ერთი ცნობა, მაშინ ითანხმო ასულიც, რომელიც ცოლად ჰყოლია ნიკოლოზ აბაშიძეს. ჰპატნა წერს, რომ ითანხმო და ზაალ ორბელიანები ბრუნდებოლონენ აზატ-ხანიდან. მიაგდეს ჯარით აბაშიძე ნიკოლოზ. ჩამოიარეს ხეობაზე, მოვიდნენ ქვაშეს, „ვითაც სიძე იყო ნიკოლაოზ აბაშიძე მდივანბეგის“, განუსურენს ლხინითა...“<sup>53</sup>, რა თქმა უნდა, ამ

49 გ. თამა ჩა ჩვენ ვი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა საქართველოში, 1902, გვ. 349 შდრ., ლ. ძოწენიძე, ანტონ კათოლიკოსის წერილები, დაცემილია: ძველი ქართული მწერლობის და სუსთველობის საკითხები, წიგნი IV, გვ. 69.


<sup>50</sup> თ. ენუქიძე, აღმ. საქართველოს მდივანბეჭთა ჩიგი, მრავალთავი, I, გვ. 309.

51 0330-

<sup>52</sup> ლ. ქ. ჭ. ე. ნ. ი. გ., მაი-მარტის კინაობისათვის, ურლოლოგიური ნაკვევები, 1981 წ.




ციტატის მიხედვით დის შეუდლეც შეიძლება იგულისხმებოდეს, მაგრამ ისტორიული ნაწელის მით ამბობს ქალიშვილზე: „და მისცა მდივანბეგმა ასულნა თვისა თვალმარგალტი და ლარი ტურფანი, აგრეთვე სიძესა თვისსა“<sup>54</sup>. მაშასა დამე, აქედან:




ნიკოლოზ აბაშიძე არაერთხელ იხსენიება ჩვენს ისტორიაში. 1754 წლის 12 მაისის სახელოს წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ჩვენი ბძანება არის სურამელებო და ალელებო! თქვენი მოურაობა ნიკოლოზ აბაშიძისათვის წყალობა ვეიქნია და გვიბოძებია, რომელიც მოურავის წესი და რიგი იყოს, ისე ამისი სიტყვის მორჩილნი იყავთ. ჩვენს ერთგულად სამსახურს ყველას გაუგონებდეთ. ესეც თქვენს კარგად მოვლას და შემატებას ეცდება, ძალასა და უსამართლოს არავის აქნევინებს. ნიკოლოზ აბაშიძე,... რომელიც მოურავის რიგი იყოს ისე იქცეოდე და უსამართლოდ გლეხის კაცისათვის ნურავის აქნევინებ...“<sup>55</sup>.

იოანეს ასულსა და ნიკოლოზ აბაშიძეს უნდა ჰყოლოდათ ვაჲი; პაპუნა მის სახელს არ ასევენს, მაგრამ ერთ ადგილას წერს: „მთავარეპისკომის კირილე ციხეში ამილახორთან იყო, გამოვიდა ამ ამბავზე, მოვიდა, იახლა ბატონს, მიიჩნივა ფრიად და დაადგინა პატივით, ნიკოლოზ აბაშიძის შვილი ციხეში დაესწრო ამ ამბავზე და აღარ გამოუშვა ამილახორმა“<sup>56</sup>.



თუ ყველა ამ ცნობებს შევაერთებთ, გამოვა:



<sup>54</sup> იქვე.

<sup>55</sup> ღოვანენტები საქ. სოციალური ისტორიიდან, ტ. I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 325.

<sup>56</sup> ვ. პ. უ. ნა თ რ! გ ლ ი ი ნ ი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 93.

<sup>57</sup> ვ. ზ. ი ა ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის თვის, 1974, გვ. 100—101.

<sup>58</sup> შდრ. დასახელებული წიგნი, გვ. 101, სქოლით 1.

1757 წლის 16 სექტემბრის ერთი საბუთით (Hd 2196) ითანეს უნდა ჰყოლოდა სხვა შვილიც: „ეს წიგნი მოგეც მე ბიძათქვევნმა მდივანბეგმა ითვანემა თქვენ ჩემ შვილს ზაალბეგს, ასე რომე ამასწინათ ჩვენ ისპანს ვიყყავით. ისპა-ანიდან შენც დედაკაცები გაიყუანეთ და მეც მანუჩარს გავაყუანინე დედაკა-ცები. მე შემს გაყუანილს დედაკაცებს გამოგედავე და შენ მანუჩარს გაყუანილ დედაკაცებს მე წამამედავე... დაიწერა ახალციქეს“,


დოკუმენტის ტექსტი მთლად გასავგბი არ არის ჩვენთვის, მაგრამ ითანე პირდაპირ ასახელებს ზაალს სხვა წყაროებით იგი ჩვენ ცერ დავადასტურეთ, როგორც ითანე მდივანბეგის შვილი 1754 წლის 4 მარტის გარიგების წიგნში (Hd 14993) მსგავს თემაზეა ლაპარაკი და აქ ზაალი ბიძაშვილად იხსენიება: „ეს წიგნი მოგეცი მე მდივანბეგმა ითვანე თქვენ ჩემს ბიძაშვილს ზაალს, ასე რომ შენ ჭულფელი დედაკაცები რომ წაიყვანე, იმაში სალპარაკო საქმე ჩა-მოგვიარდა...“ ვფიქრობთ, ამ საბუთში უფრო სწორი ინფორმაცია გვაქვს.

#### დ ი მ ი ტ რ ი

დამიტრი, როგორც ალ. ორბელიანი წერს, საგურამოსთან მოუქლავთ ლექებს (S—1654). დაქორწინებულა ამირინდო ამილახვრის ასულ თამარზე. შზითვის წიგნი შედგენილია 1774 წელს 19 იანვარს<sup>57</sup>. ერთ-ერთ საბუთზე Hd 11505 (1776 წლის 26 ოქტომბრის) ე. თაყაიშვილს მოუწერია: „მზითვის წიგნი ამილახვრის ასულის თამარისათვის მიცემული ... თამარი მითხოული უნდა ყოფილიყოს რომელიმე ორბელიანისაღმი, ვინაიდან სიგელი ორბელი-ანებს ეკუთვნით“<sup>58</sup>

დამიტრისა და თამარს ჰყოლიათ შვილები ვახტანგ, ეკატერინე და გუქა.

დამიტრი + თამარ ამირინდო ამილახვრის ასული




#### ვახტანგი

ვახტანგი ერეკლე მეფისაღმი პირველ ხანებში კეთილად განწყობილი არ ყოფილა. მისივე შვილის ალ. ორბელიანის აღიარებით, მას უღალატნია კი-დეც მეფისათვის.

დაბადებულა ვახტანგი 1769 წელს. დაქორწინებულა იგი თეკლა ბატონი-შვილზე. ვახტანგი გარდაიცვალა 1812 წ. დარჩა სამი ვაჟი: ალექსანდრე, და-მიტრი და ვახტანგი.

ვახტანგი + თეკლა ბატონიშვილი




ვახტანგს ჰყოლია უკანონო ქალიშვილი [იხ. S—1699-ა, გვ. 65].

<sup>57</sup> ვ ზ ი ა ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა-ონის, 1974, გვ. 100—101.

<sup>58</sup> შლ. დასახელებული წიგნი, გვ. 101, სქოლით 1.

## ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე

ალექსანდრე ორბელიანს მეტსახელადვე ეძახდნენ პუპლიას, დაბადებულა იგი 1802 წელს. ალექსანდრე ჩევნი მწერლობის ისტორიაში კარგად ცნობილი კაცია. იგი ორაერთი კულტურული წამოწყების მოთავე და მონაწილე იყო XIX ს. პირველ ნახევარში. 1824 წ. 8 ივლისს დაქორწინებულა ალექსანდრე ეკატერინე დავითის ასულ ბარათაშვილზე.




ხელნაწერი S—1663-ის მიხედვით დარია დაბადებულა 1827 წელს. დავითი — 1830 წელს და გარდაიცვალა 1834 წლის აგვისტოში. [გვ. 7]. მარიამ დაბადებულა 1833 წლის 13 ივლისს და გარდაიცვალა 1855 წლის 3 ოქტომბერს [გვ. 38]. ელენე დაბადებულა 1834 წლის აგვისტოში და გარდაიცვლილა 1835 წელს [გვ. 7]. მარიამის შესახებ ალექსანდრეს დაუწერია 1862 წელს სპეციალური ჩანახატი სათაურით: „ჩემი ქალი მარიამ [ყმაწვილობისა მაიო] მოთხრობა“.

ჰყავდა ორი უკანონო შვილი, ერთი ვაჟი და ერთი ქალი (S—1659 ბ, გვ. 65, 150).

### დ ა რ ი ა

დარია დაბადებულა 1830 წელს და გარდაცვლილა 1884 წელს. იგი გათხოვილა დავით ქობულაშვილზე, რომელთანაც შეძენია ქალიშვილი მარიამი. მარიამი დაბადებულა 1866 წ. და გარდაცვლილა 1941 წელს<sup>59</sup>.



### დ ი მ ი ტ რ ი

დიმიტრის მეტსახელად ეძახდნენ პაქონეს. დაბადებულა იგი 1808 წელს და გარდაცვლილა 1882 წელს. დაქორწინებულა იგი მარიამ ლუარსაბის ასულ ობელიანზე (ლუარსაბ ზურაბის ძე და მეუღლე ელისაბედი). შესძენიათ ერთ ასული ელისაბედი, რომელიც ოჩვერ გათხოვილა. პირველად პოლკოვნიკ დავიდოვზე, ხოლო მეორედ ა. ი. ბარიატინსკიზე (კავკასიის ყოფილი მთავრმართებელი).

I ქორწინება ელისაბედი + დავიდოვი

II ქორწინება ელისაბედი + ა. ი. ბარიატინსკი

ვ ა ხ ტ ა ნ გ (ვახტანგის ძე)


ვახტანგის სახელი ქართული მწერლობის ისტორიაში კარგად არის ცნობილი. მისი ლექსების კრებული ილია ჭავჭავაძის წინასიტყვაობით დაისტამბა 1894 წელს.

<sup>59</sup> დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები მათ შესახებ იხ. მ. ბერძენიშვილი, მასლები..., II, გ. 127—129.


ვახტანგი დაიბადა 1812 წელს (როდესაც ვარდაიცვალა მამამისი) და გარდაიცვალა 1890 წელს. 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე ბოლოს გენერლის ჩინით დაამთავრებს თავის კარიერას.

დაქორწინებულა ვახტანგი ვასილ ივანეს ძე ილინსკის ასულზე მარიამზე, შესძენიათ ორი შვილი ნიკოლოზი და მარიამ. ნიკოლოზი 1854 წელს, ხოლო მარიამი 1852 წელს.

მარიამ ორბელიანის მოგონების მიხედვით, ნიკოლოზი ერთგული მეოფახე არ ყოფილა.



ნიკოლოზს ჰყოლია შვილი შვილი, მაგრამ მაინც მიუტოვებია ოჯახი.



მარიამი გათხოვილა ალექსანდრე ივანეს ძე ორბელიანზე.

მარიამ + ალექსანდრე ივანეს ძე

### ვახტანგი

ვახტანგი (ვახტანგის მეორე ვაჟი) დაბადებულა 1700 წელს, როგორც ზემოთ დამოწმებული ღოყუმენტიდან ივარაუდება.

ვახტანგის ბიოგრაფია საკმაოდ ვრცლად გადმოსცა დავით ბრეგაძემ<sup>60</sup>. მან ბევრი ახალი მომენტი გამოამზეურა და სპეციალისტთა ყურადღების საგნად აქცია. ვახტანგი 1723 წელს დაქორწინებულა<sup>61</sup> მოლარეთ-ხუცის სეხნია ჩხეიძის ასულზე ანა<sup>62</sup>. .... ეს ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე ზაზუნაშვილმა ზაალ თქვენ — ჩხეიძის მოლარეთ-ხუცის სეხნის ასულს, ბატონს ანახანუმს და თქვენ მეუღლეს ორბელიანს ვახტანგის შვილს, ბატონს ვახტანგს და შვილსა თქვენსა ერასტის...“ 1725 წლის 20 თბათვის ნასყიდობის წიგნში უკვე დასახელებულია ვახტანგის ვაჟი ერასტი<sup>63</sup>.

ვახტანგის ჰყოლია ასული ქეთევანი, რომელზედაც 1738 წელს დაქორწინებულა ერვალე II. შემორჩენილია თეიმურაზ II-ის წერილი ვახტანგისადმი „ქ. ჩვენგან მთა საკალრისად დღე ყოველ ღიღებით სახსოვართ და მთა შესატყვისათ კეთილად არაოდეს დასავიწყართ, ყაფლანისშვილებს, ბატონს ელის-ბარს და ბატონს ვახტანგს. მრავალი მათის ყოვლის სამრთო სადიდეკაცოს ზეგარეულებით უნაკლულოს კაის თავის მოკითხვა და კარგად ყოფის სიხარული

60 დ. ბ. ე. გ. ა. ძ. ე. ქართველი მწერლები რუსთში, 1958 წ. თბილისი-ქუთაისი, გვ. 303—321. აქვე ავტორი ვრცლად საუბრობს ვახტანგის რაბელიანეც.

61 საქ. სიძველენი, II, გვ. 306. 1730 წ. საბოთი: „ჩვენ ბატონმა მარიამა... ბატონის ორბელისშვილის ვახტანგის შვილს ბატონ ვახტანგს, მეუღლეს თქვენს, ჩხეიძის ქალს, ბატონ ან ხანუმს და შვილს თქვენსა ერასტისა...“ გვ. 355.

62 საქ. სიძველენი, II, გვ. 330.

მოიხსენეთ! მერჩე თქვენი ოჯახი კელმწიფეთ მეშძახლენი ყოფილან და ჩვენც  
თქვენი მოურაობა მოვინდომეთ: ერკლესათვის თქვენი ქალი მოგვეცით და  
მოყვრობა და ერთობა კიდევ უფრო გვაახლოთ. სარდალსაც და ამილახვარ-  
საც წიგნები მოვსწერეთ... „<sup>63</sup>,

შეთავასნ ერგებდე II-თან შესტარი ერთადერთი ვაჟი, რომლისთვისაც დაურქმდება პატის სახელი (დედის მხრიდან) ვახტანგი.

ქეთევანი + ერეკლე II

↓  
၃၁ၬ၂၀၆၃

ვახტანგს ზრდიდა თემისურაშ II. პატუნა ორბელიანის ცონბით, თემისურაზის ყველაზე საყვარელი მემკვიდრე იყო ვახტანგი და მას „პაპის ბიჭის“ ეძახდნენ. ვახტანგი გარდაიცვალა 1760 წელს<sup>64</sup>. ერეკლე II 1761 წ. დაბადებულ ვაჟს (დარეჯან დადიანთან) სახელად დაარქვე გარდაცვლილი მემკვიდრის საპატივცემულოდ კვლავ ვახტანგი, რომელსაც აღმასხანსაც ეძახდნენ\*.

ვატრანგი (ბატონიშვილი) დაქორწინებულა მუხრანბატონის სახლთუხუცესის კონსტანტინესა და ბარბარეს (არავის ერისთავის ბარბიმის ასული) ქალიშვილზე ქეთევანზე (იხ. პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისაანი, ტექსტი და-დღინა, შესვალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეშვილმა, 1981 წ., გვ. 244). ბარბარესა და კონსტანტინეს კიდევ ჰყოლიათ ორი ვაჟი დავითი და ოთანე — და ორი ქალი. ამათ სახელებს არ მახელებენ.

ვახტანგი + ანა სერნიას ასული ჩხეიძე

1

గురువస్తూ (డాయి. 1725 ఏ.)

 ქეთევანი + ერებლა II

ଶ୍ରୀକୃତାଙ୍ଗ + ଶ୍ରୀତେଜ୍ଵାନ ମହାକର୍ଣ୍ଣାନ୍ଧାତ୍ମନିଙ୍କ ଅଶ୍ଵାଲି

ერეკლე და ქეთევანი განქორწინდნენ სხვადასხვა მიზნების გამო. ქეთევანი მონაზენად აღიკვეცა და 1750 წ. გარდაიცვალა. დასაფლავებულია აღმერდის ტაძრში. ეპიტაფია გამოაქვეყნა პლ. იოსელიანში: „... კახთ მეფის ერეკლეს თანა-მემტედრე დედოფალი ქეთევნ, მდებარე ვიქეთ მეფეთა სამარხოსა ამას შინა, ჩათა საცნაურად იხილვებოდეს ტაგრუცი ესე და მრავალთა მიერ შენდობა წარმოითხობოდეს: ქრონიკონს ულც“<sup>65</sup>. ამ ქორონიკონს პლ.

63 იქვე, გვ. 396—97. შდრ. დ. ბრეგაძის წიგნი, გვ. 313. გ. ჯამბურა რატომლაც წერს: „გვივი (ამილახვარი) თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა იმის გამოც, რომ სწორედ ქიბისაროს (ორბელიანის, სარდლის) წყალბაზის არ ითხოვა ერქეულ II-მ გვივის ცოლისძმის კატანგის ასული. ქიბისარომ ეს საჭმე მიმიტონ ჩაშალა, რომ ეშინოდა ელიშზარის ოჯახის განლილებისა. იხ. ქორული ფერდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 171. შდრ. S 1654, ალ. ორბელიანის მოგონებები.

64 თ. ფ ი რ გ ა ნ ი ა, ქრონიკები, III, გვ. 264.

65 პლ. იოსე ლიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1978 წ., გვ. 3—4.

\* ჩემი წერილში „XVIII ს. ქართული საზოგადოებრი ამინისტრის ისტორიიდან“ შეცდო-  
მით უფროს ვახტანგს კუთხით აღმასრის. ამ შეცდომაზე მიგვითავა მწერალმა გ. პატა-  
შვილმა, რისთვისაც მაღლობას მოგახსენებ.

იოსელიანი რატომღაც 1744 წლით ხსნის, ნაცვლად 1750 წლისა (1312 წელი 438 = 1750 წ.). უფლისწულ ვახტანგს მეფე თემურაზის II ზრდიდა. იგი გარდაიცვალა 1760 წლის 1 თებერვალს.

ელიზბარს თუ ვახტანგს, ვახუშტის მემკვიდრეებს, უნდა ჰყოლოდათ მეორე ვაჟიც — ნიკოლოზი. ამას გვაფიქრებინებს 1735 და 1736 წლების დოკუმენტები, რომელგანც სამწუხაროდ, გამოკვეთილად არ ჩანს თუ ვისი შვილია იგი. დოკუმენტებში ვკითხულობთ: „მტკიცე ნასყიდობის წიგნი მოგრძოვით ჩვენ ფანიასში იმართებოთ და არუთინამ ... თქვენ ირბელიანს ბატონს სახლთუხუცეს ელისბარს, მასა თქვენსა ვახტანგს, ძმისწულსა თქვენსა ნიკოლოზ...“<sup>66</sup>

ამ დოკუმენტს გამოთქმას „თქვენსა“ თუ ორივეს გულისხმობს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მათ ჰყავდათ კიდევ მესამე ძმა, რომლის ვაჟია ნიკოლოზი, წყაროების მიხედვით ასეთი ძმა ელიზბარსა და ვახტანგს არ ჰყავთ. თუ გამოთქმას „ძმისწულსა თქვენსა“ გულისხმობს, რომ ნიკოლოზი არის ვახტანგის ძე (ტექსტი: „ძმასა თქვენსა ვახტანგს და ძმისწულსა თქვენსა ნიკოლოზს“). ელისბარს ერთადერთი ძმა ჰყავდა — ვახტანგი, ამავე ლოგიკით სხვა დასკვნაც მიიღება 1736 წლის დოკუმენტით: „თქვენ ირბელიანს ვახუშტის შვილს ბატონს ელიზბარს ძმასა თქვენსა ვახტანგს, შვილსა თქვენსა ნიკოლოზ...“<sup>67</sup>. აქედან თითქოს ივარაუდება, რომ ნიკოლოზი ელისბარის ძეა. ერთი სიტყვით, გამოკვეთილად არ ჩანს, თუ ვისი შვილია ნიკოლოზი. სხვა დოკუმენტებით როგორც ვთქვით, ელისბარს ჰყავდა ვაჟი იოანე, ხოლო ვახტანგს — ერასტი. გადაჭრით ძნელია თქმა, მაგრამ ჩვენ მაინც იქითენ ვიხრებით, რომ ნიკოლოზი ვახტანგის ძეა და არა ელისბარის<sup>68</sup>. 1735 წლის 22 მარტის დოკუმენტში Sd 1943 მოხსენებულია ორბელიანი ნიკოლოზ-ელიზბარის ძმისწული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დოკუმენტმა სინათლე და სიცხადე შეიტანა ზემოთ დამოწმებულ დოკუმენტებში. მართალია, დადგინდა, რომ ნი-

66 საქ. სიძველენი, II, გვ. 380 (დედანი Qd 1943).

67 იქვე, გვ. 388.

68 ისე ლორთქიფანიძისათვის მაგ. გაურკვეველია თუ ვისი ძეა ნიკოლოზი. იხ. ქვემო ქართლი, წიგნი IV—V, გვ. 348. Hd 7568 (პირი) საბუთით, რომელიც ჩვენ ზემოთაც დავიმოწმოთ, ელიზბარს უნდა ჰყოლოდა ძმა ნიკოლოზი და მას უნდა ჰყოლოდა ვაჟი ნიკოლოზი. ორბელიშვილის ბატონს ელიზბარს, ძმასა თქვენსა და ნიკოლოზს, შვილსა თქვენსა ითახს, ძმისწულსა თქვენსა ნიკოლოზს, შვილთა და მომავალთა სახლის თქვენისათა...“ კველა საბუთში, რომელიც ვახუშტის მემკვიდრეებს შეეხება, მხოლოდ ელისბარი და ვახტანგი ფიგურირებს, არად ხიკოლოზი. მიტომ ჩვენ დამეტობით ვერაფეხს ვტყვით. დამოწმებულ საბუთში, რომელიც XIX საუკ. პირია, კი პირდაპირაა ნახსენები ნიკოლოზი. ნართაულად ხომ არ ეძახდენ ვახტანგს ნიკოლოზს? თუ ასე ვიფიქრებთ, მაშინ ნიკოლოზი ვახტანგს ძედ გამოდის, როგორც ზემოთ დამოწმებულ სხვა დოკუმენტებით ვვარაუდობთ ჩვენ. ნიკოლოზს კი ჰყოლია ვაჟი ნიკოლოზი.



კოლოხი ვახტანგის ძეა, ელისბარის ძმისწული, მაგრამ, სამწუხაროდ მას შეასრულა არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ალ. ოჩელიანის ცნობით, აღრიცე გარდაცვლილა (H—2412 ზ.). მაშისადამე:

ვახტანგი + ანა სენიას ასული ჩხეიძე



სამდივნო წიგნში (H 18, 46r) დაცულია რუსეთიდან გამოგზავნილი წერილი — ლექსი (სულ ერთი სტროფი) ვახტანგ ვახუშტის შეილთან. ავტორია ტეტია, საფიქტებელია ტეტია (იგივე დიმიტრი) ოჩელიანი, რომელიც მოხსენებულია დავით გურამიშვილის პოემაში. კ. კეკელიძემ 1955 წლის აკდემიური გამოცემის კომენტარებში ყაფლანიშვილი ტეტია მიიჩნია დიმიტრი ტრბელიანად, რომელიც ვახტანგ VI-ს ვადაყევა. რუსეთში და რომელიც ვახტანგ VI ქვისლია, ვახტანგ ოჩელიანის ბიძა, მამის ძმა:

„რუსეთიდამ მიეწერათ ტეტიას ვახტანგის ვახუშტის შვილთან,

„რა კალამს ქელსა შევახებ, შენთანა წერად ამისა,

ჩემის თვალისა კაცივე, შენთანა წერად ამისა,

კალამსა წვერზე ეხვევის, შიგან მყავ წინწკალ ჭდომისა,

ნუ თუ მეც მიიხვდე ნახვასა, ამის შენგან მოსანდომისა“ (H 18, 46).

სავარაუდოა, ეს ლექსი დიმიტრიმ (ტეტიამ) ვახტანგს მაშინ გაუგზავნა, როდესაც ეს უკანასკნელი მოსკოვს ჩავიდა, 1725 წელს (იხ. დ. ბრეგაძე, ვახტანგ ვახუშტის ძე ოჩელიანი, დაბეჭდილი: ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII ს.) წიგნი I, 1958, გვ. 311).

### ბანგუა


ვახუშტის (ვახტანგის ძე) ჰკულია ასული, სახელით ბანგუა. ბანგუა ერთი ცნობით გაუთხოვებით პაპუნა ციცუმევილზე. შემორჩენილია ლევან ბატონი-შეილის ჯანიშინის (ვახტანგ VI-ის მამა) მეტად სანონტერესო ეპისტოლე ერასტი იოჩელიშვილისადმი: წერილში არის სეთი ფრაზა: „რა სამალავია?“ (ეხება ოჩელიანთა ოჯახში მომზდარ უსიმოვნებას), საჯაროდ გახადე, რომერაც პირველ გავერიგებინოს, ის უნდა იქნას, მაშინ კურთხულმა ვახუშტის თავისი ქალი პაპუნა ციცუმევილს მისცა და ვეკვიბ აქამდი იმის ამბავიც მოგივიდოდა“<sup>69</sup>.

ეს ფრაზა რამდენიმე საკითხს აყენებს: 1. თუ თავისი ქალი პაპუნა ციცუმევილს მისცა — გათხოვებას გულისხმობს, მაშინ იგი, ე. ი. ბანგუა, მამის გარდაცვალების დროს 14—18 წლის მაინც უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე უნდა იფიქროს კაცმა, რომ ბანგუა დედმამის შვილებში უფროსი იყო და დაახლოებით 1687—1693 წწ. დაბადებულა. პაპუნა ციცუმევილი ჩვენს ისტორიაში ცნობილი კაცა. იგი დაახლოებული ჩანს გოლგო XI-სთან და მის ძმებთან (ქაიხოსრო, ლევანი). პაპუნა მათ გაპყოლიათ სპარსეთში, მაგრამ 1704 წ. სექტემბრის 19 საქართველოშია

<sup>69</sup> საქ. სიძველენი, II, გვ. 292—293



და აღასტურებს ნასყიდობის წიგნს: „ჩვენ ციციშვილმა პატრონმა პაპუნამა და ერთობლივ მამან ჩვენმა სეხნიამა და დემეტრემ ეს ჩვენი გლეხი...”<sup>70</sup> ვახუშტი ბატონიშვილითავის ისტორიაში ორჯერ ახსენებს პაპუნა ციციშვილს 1708—09 წლის შებეჭი. პაპუნას მეუღლედ ბანგუა გარდა ზემოთ დამოწმებული ლევან ბატონიშვილის წერილის დადასტურებული სხვა დოკუმენტებში არა. 2. თუ ფრაზა „პაპუნა ციციშვილს მისცა“ არ გულისხმობს გათხოვებას, მაშინ ადვალი ასახსნელია შემდეგი პერიოდის ამბები. 30—40-იანი წლების დოკუმენტებში გივი ამილახვრის მეუღლედ დადასტურებულია ელიზბარისა და ვახტანგის დაჲ ბანგუა. იგივე პაპუნა ორბელიანი ზემოთ დამოწმებულ ადგილზე ამბობს: „ელიზბარ ორბელიანი დაიკირეს... ამისთვის რომ ამათი და ამილახვაოს გივს ცოლად ესვა“. ბანგუა რომ გივი ამილახვრის თანამეცხელრეა, დადასტურებულია 1732 წ. 27 იანვრის დოკუმენტში<sup>71</sup>. ამავე საბუთში<sup>72</sup> მათი მემკვიდრეებიცაა დასახელებული:



3) თუ ფრაზას ისე გავიგებთ, რომ ბანგუა<sup>73</sup> პაპუნა ციციშვილის მეუღლეც იყო, მაშინ ბანგუა ორჯერ გათხოვილა. პირველად პაპუნა ციციშვილზე და შეორედ გივი ამილახვორზე, რაც, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, მაგრამ ჩვენ პირადად გვევშევთა, ამიტომ მეტი მასალაა სპეცირ ამ ფაქტების ურთიერთმორიგებისათვის<sup>74</sup>. S 1400 (49) ხელნაწერის ცნობით, ბანგუა გარდაცვლილა 1766 წელს (ჩლილ წელს).

#### ყ ა ფ ლ ა ნ ი

დიდი ყაფლანის საპატივცემულოდ ვახტანგმა თავის მეოთხე ვაეს სახელად უწოდა ყაფლანი. 1677 წელს ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „ესე

70 დოკუმენტი საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. 1, ნ. ბერძნენშვილის რედაქტულით, 1940, გვ. 378.

71 საქ. ცენტრალურის დოკუმენტი ფ. 1448—№ 8754 (ფ. 1448—№ 5014). ამავე აღასტურებს ხელნაწერთა ინსტრუმენტის დოკუმენტი Sd—2873 (ზირი).

72 სხვა საბორბშიც საქ. ცენტრალური 1461—13—156 № 3, 1720—24.

73 თ. ენ უ ქ ი ძ წერილში: „აღმოსავლეთ საქართველოს მდივანმწიგნობართა ქრისტონოლოგია“ მიუთითებს, რომ „მდივანმცემთა ქრისტონოლოგიურ რიგში არ შევრანეთ ის მდივნები, რომელიც მასალებში მხოლოდ თითოეურ სეგველნენ“ (მრავალთავი I, გვ. 326). აქ დასახელებულია ბანგუა, მოსხენებული 1707 წ. ვახუშტი იორბელიანის გადამხრავთა ნუსხაში (Sd 637).

ისეთი დიდი და შრომატევადი სამუშაოს ჩატარების შემდეგ, რასაც მდივანბეგოა ქრისტონოლოგი მოითხოვდა, ცხადია, უნებლივ ლაპსუები გამორიცხული არ არის, სწორედ ამით უნდა აიხსნას ბანგუას მდივანმცემში შეყვანა. ბანგუა იყო ვახუშტის ასული. S 1400 ხელნაწერის მინწერში ვკითხულობთ: „ქ. ბატონი ბანგუა მიციცალა იცლის კო, დღესა შაბათსა, უძმა განთიადისასა, ქრისტეს აქეთ წელსა ჩლილ ქრისტ (1766)“ 49.

74 პლ. იოსელიანი ვორგი XII ცხოვრებაში ერთ ადგილს წერს: „ამილახვრიანთში არის ამათხე უფრო დიდი შზთვის წიგნი მე ფის ა ს უ ლ ი ს ბანგუასი“. გვ. 35. შენიშვნა. ვინ არის მეფის ასული ბანგუა, თანაც ამილახვრების რძალი, ჩვენთვის უნცობია, ხომ არ ეშლება პლ. იოსელიანს და ორბელიანთა ქალი მეფის ასულად გამოაწადა, რომელიც მართლაც იყო ამილახვრების რძალი.

ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ ... თქვენ ბატონს მდივანბეგს ვახტანგს ლურჯის უკილთა თქვენთა: ბატონს სულხანს და ვახტანგი და ყაფლანს და ზურაბის ზურაბს...” (სიდ. II, გვ. 138). ყაფლანი საბუთებში იხსენიება ძმებთან ერთად 1696 წლის 26 მაისს: „ნასყიდობის პირი და წიგნი მოგართვით თქვენ დიდის ბატონის ორბელის ძეთ... ბატონს სულხანს, ბოქაულთუხუცესს ბატონს ერასტის, პატრიონს ეაზუშტი, ყაფლანს, ზალს, ნიკოლოზს, ზურაბს და დიმიტრის...” 1679 წლის 29 აპრილს (საქ. სიდ. II, 141); 1684 წ. (საქ. სიდ. II, გვ. 142), 1702 წ. 20 ივნისს და სხვა. იხსენიება ყაფლანი 1721 წლის აღწერის დოკუმენტში (იხ. იასე ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ნაწილი III და IV, 1938 წ.).

### ნიკოლოზი

ნიკოლოზი ვახტანგის მეხუთე ვაჟია. დაბადებულია იგი 1672 წელს, როგორც ეს S—303 ხელნაშერის ცნობიდან ივარაუდება. იგი წერს, რომ 1728 წელს 56 წლის ვიყვავით, ე. ი. დაბადებული 1672 წელს. იგი აღრევე ჩარეულა საქვეყნო საქმეებში, მაგრამ გარკვეული პოლიტიკური სიტუაციების გამო ნიკოლოზი თავისი ძმების მსგავსად, აღვევცილა ბერად. ეს უნდა მომხდარიყო, როგორც ლ. მენაბდე ვარაუდობს 1703 წელს<sup>75</sup>. თოქმოს ეს თარიღი რამდენიმე წლით უნდა გადაიწიოს, რადგანაც საბუთების მოწმობით 1703 წელს იგი მღვდელმონაზონია (ქვათახევის მონასტრის გუგარი, მოაბდე, 1903 წ. IX, II, გვ. 35). ამიტომ საფიქრებელია, რომ საბას ბერად აღვევის უმაღლ აღვევება ბერად — 1699—1700 წლებში. შესაძლებელია იმავე პოლიტიკური მოსაზრებებით, რამაც საბას ბერობა განაპირობა. 1715 წელს უკვე მრიველია. ნიკოლოზი 1728 წელს კვლავ იხსენიება მროველის პატივით<sup>76</sup> ემიგრაციაში გაყოლივი ვახტანგ VI-ს. ნიკოლოზი ორბელიანი აქტიურ მონაშილეობის ლებულობდა ვახტანგის სტაბის მუშაობაში. იგი იყო პირველი ქართველი რედაქტორი, მისი სახელი დასტურდება 1709 წელს თბილისის სტაბიდან გამოსული წიგნების წინაშირყვაობაში. ნიკოლოზი ვახტანგ VI-ს სტაბიაში მოღვაწეობდა სტაბის ორსებობის მთელ პერიოდში. 1732 წელს მოსკოვში მას აძლევენ თბილელის პატივს, პავლე თბილელის შემდეგ<sup>77</sup>. 1736 წ. თბილელის პატივი უპყრია ეფთუიმეს<sup>78</sup>. იგი გარდაიცვალა 1732 წლის 22 აგვისტოს და დაკრძალულია მოსკოვს, ნიკოლსკის ბერძნულ მონასტერში. ნიკოლოზს როგორც სასულიერო პირს, საკუთარი ოჯახი არ ჰყოლია, ყოველ შემთხვევაში, არცერთ დოკუმენტში არ არის მითითება.

### ზაალი

ვახტანგის შეეჭვს ვაჟი ფრიად განსწავლული და ქართულ მწერლობაში ჩახდული და აქტიურად მონაშილე კაცი, ზოსიმეს სახელით აღივეუბდა ბერად. დიდი ამავი დასლო ძმის — სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მექანიზრების გატრელებასა და პოპულარიზაციას. ვახტანგ VI-ს გაჰყვა ემიგრაციაში, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

75 ნიკოლოზ ორბელიანის ცხოვრებას და მოღვაწეობას კრცელი წერილი უძღვნა ლევან ჩენაბდებ სათაურით: „ნიკოლოზ ორბელიანი“. ავტორს თოქმის სრულად აქვს თავმოყრილა ყველა მნიშვნელოვანი ცნობა ნიკოლოზთან დაკავშირებით.

76 ლ. მ. ნ. ა. დ. ე, დასახელებული წერილი, გვ. 157.

77 ქრონიკები, III, გვ. 51.

78 სიძველენი, II, გვ. 384.

ზურაბი დიდი ვახტანგის უმცროსი ვაჟი საბუთებში იხსენიება 1677 წლიდან: „ესე წყალობის წიგნი მოგეცით ჩვენ ზაქუმისშვილის შვილმა... თქვენ, ბატონის მდიგანბეგს ვახტანგს, და შვილთა თქვენთა: სულხანს, ვახტანგის და ყაფლანს, და ზალს და ზურაბს“<sup>79</sup>. 1679 წელსაც გვხვდება მისი სახელი მამასთან და ძმებთან ერთად<sup>80</sup>. 1712 წლის 4 აპრილის ნასყიდობის წიგნის მიხედვით, უპყრია სუფრაჩის სახელო. „მე, თქვენმა ბიძაშვილმა გიორგის შვილმა ზურაბ, და შვილმა ჩემმან და თქვენ, ჩემს ბიძაშვილებს; მდიგანბერ ერასტის, ელიზარს, ყაფლანს, სუფრაჩის ზურაბს და ნაზირს დიმიტრის...“<sup>81</sup>.

ზურაბი ძმებთან ერთად იხსენიება 1702, 1704, 1709, 1710, 1717 წლების დოკუმენტებში<sup>82</sup>. 1717 წლის სასახლის ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „... მოგეცით ჩვენ, თქვენმან ბიძაშვილმან გიორგიშვილმან, ბატონმან ზურაბ, შვილმან ჩემმან დემეტრემან და ორბელმან, თქვენ, ჩვენს ბიძაშვილს, მდიგანბეგს, ბატონის ერასტის, ძმისწულსა თქვენსა ელიზარს, ძმასა თქვენსა ყაფლანს, ზურაბს, დიმიტრის, შვილთა თქვენთა ორბელს, ვახტანგს, დავითს, გიორგის, სულხანს და მამავალთა თქვენთა...“<sup>83</sup>.

დასახელებულ შვილებში დიმიტრის ვახტანგისძის მემკვიდრეები გამორიცხულია, რადგანაც მას ვაჟები რუსეთში გაუჩნდა, 1724 წ. დოკუმენტით მას მხოლოდ სამი ასული ჰყავს (იხ. აქვე დიმიტრი). ასევე უნდა გამოიჩინეოს ერასტის ძმისწული (ვახტანგის ძე) ელისბარიც. რამდენადაც ჩვენ მოვიძიეთ ცნობები ელისბარს ჰყავდა ვაჟი იოანე და ასული თამარი (იხ. აქვე ელისბარი). მაშასადამე, დოკუმენტიდან გამომდინარე, ორბელი, ვახტანგი, დავითი, გიორგი, სულხანი, უნდა ვიგარაულოთ, არიან ყაფლანის და ზურაბის მემკვიდრეები. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახეთ, დოკუმენტში მოხსენიებული პირები ზურაბ ვახტანგისძის შვილები არ არიან. სულხანი და გიორგი ელისბარის ბიძაშვილად ჰყავს დასახელებული პაპუნა ორბელიანსაც „ქორონიკონი იჯდა ულ (1742 წ.), თვე იყო აგვისტო, ი. ელისბარ ორბელიანი დაიჭირეს, რომელი იყო ეშიკალაბაში ქართლისა, ამისთვის, რომ ამათი და ამილახორს ვივის ცოლად ესვა, და ამ ელისბარის უმრწეველი ძმა ვახტანგ და ორი ბიძაშვილი — გიორგი და სულხან, ამილახორის წასლვას უკან ესენიც თავის ალაგიდამ აიყარენ...“<sup>84</sup> მართალია, დამოწმებულ სტრიქონებში ზოგადად არის განსაზღვრული ნათესაობა — ბიძაშვილები, მაგრამ სულხანისა და გიორგის ერთად დასახელება მათ დედმამიშვილობაზე უნდა გვაიტქრებინებდეს. დარჩა შესაძლებლებლობა, რომ ორბელი, ვახტანგი, დავითი, გიორგი, სულხანი ყაფლანისა და ზურაბის ვაჟიშვილებად უნდა ვიგარაულოთ.

1738 წლის ორი დოკუმენტი აქვს გამოქვეყნებული ე. თაყაიშვილს. ერთ-ერთში (I თებერვლის) არის ასეთი ინფორმაცია: „თქვენ, ყოფლანისშვილს, ზურაბის შვილს ეშიკალაბაში, უზბაში დემეტრესა და შვილსა თქვენსა ყაფლანსა და ზალსა და გიორგისა დ სახლის თქვენისა მომავალსა...“<sup>85</sup> უნდა

79 საქ. სიძეველენი, II, გვ. 138.

80 იქვე, გვ. 141.

81 იქვე, გვ. 243.


82 იქვე, გვ. 188, 202, 224, 225, 299.

83 იქვე, გვ. 299.

84 პატ უნა ო ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავნი ქართლისნი, ელ. ცაგარეუშვილის გამოცემა, 1981, წ., 23. 58.

85 სქ. სიძეველენი, II, გვ. 392.

ვიფიქროთ, რომ ყაფლანიშვილი ზოგადი განსაზღვრაა ორბელიანის ფარგლებში  
არა კონკრეტულად ყაფლანის. თუ ეს ასეა, მის მიხედვით გამოდის:



9 თიბათების დოკუმენტში ვკითხულობთ: „თქვენ, ბატონის ყაფლანის შვილს,  
უშიკალად-ბაშს დემეტრეს და შვილთა თქვენსა ყაფლანს, ზაალს...“<sup>86</sup> ერთი  
დოკუმენტით დემეტრე ზურაბის შვილადაა დასახელებული, მეორე დოკუმენტი  
კი ზურაბს არ ასახელებს.

აქვე უნდა დავიმოწმოთ ერთი დოკუმენტიც (1738 წლის 11 თებერვლის),  
რომელიც ნ. ბერძენიშვილს აქვს გამოქვეყნებული: „ჩვენ, თურქებისტანიშვილმა  
დავით და შვილმა ჩემმა ლუარსაბ თქვენ, ყაფლანის-შვილს ზურაბის-შვილს  
ქსნის ერისთავს დემეტრეს და შვილსა თქვენსა ყაფლანს და ზაალს და გიორ-  
გის და სახლისა მამავალსა თქვენსა...“<sup>87</sup>. თუ შევადარებთ თებერვლის თვეში  
(I და II) დაწერილ დოკუმენტებს, ვნახავთ, რომ ერთი და იგივე პირები ფიგუ-  
რიობენ. ორივე თურქებისტანიშვილების მიერ გაცამულ ნასყიდობის წიგნია,  
ორივე დოკუმენტი ერთი ოჯახის — თურქებისტანიშვილების დამკაიდებულებას  
გადმოვცემს მეორე ოჯახისადმი — ყაფლანის შვილებისადმი. მაგრამ არის ერ-  
თი დამაფიქრებელი დეტალი. 11 თებერვალს გაცემულ საბუთში დემეტრე ქსნის  
ურისთავადაა გამოცხადებული. ყაფლანის შვილი დამიტრი (დემეტრე), ვისი  
შვილიც არ უნდა იყოს იგი, ქსნის ერისთავად საბუთში არ იხსნიება. მაში,  
როგორ უნდა შევათავსოთ ეს ფაქტები. ერთი ფაქტია, რომ დემეტრე იყო  
ზურაბის ვაჟი. ამას ადასტურებს საფლავის ქვის წარწერაც: „ქ. მე დადის  
ორბელიანთაგან, ძე ზურაბისა დამიტრი მიმცვალა ბრძანებამან მეორედ მოქ-  
ცევისამან და დავეთალ სამკვიდრებელსა ამას, გვევიდრებით მხილველთა შენ-  
დობასა ყოფილთ, ქს უვ (1718 წ.)“<sup>88</sup>. ექ. თაყაიშვილი ამ ეპიტაფის ურთავს  
შეხეიშვნას „ეს ის დამიტრი უნდა იყოს, რომელიც მოხსენებულია ნასყიდო-  
ბის წიგნში 1740 წლის ქვეშ (ს. კავაბაძე, საისტორიო მოამბე, II, 1924 წ., გვ.  
177) როგორც მამა უზბაშ ყაფლანისა, ზაალისა, ბერისა და გიორგისა“<sup>89</sup>. ამავე  
ავტორის მიერ გამოქვეყნებულ და ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებულ სტრიქო-  
ნებით დამიტრი თოთქოს 1738 წელს ცოცხლად იგულისხმება.

საინტერესო დოკუმენტია 1736 წლის 11 ნოემბრის: „მოგვიდე... თქვენს  
ბატონის ყაფლანის შვილს დავითს და მმათა თქვენთა გიორგის, ორბელს და  
სულხანს და მომავალთა ზაალისა თქვენისათა...“<sup>90</sup> ამ მონაცემების შეჯერე-  
ბით ვფიქრობთ, რომ ჩამოთვლილი პირები ზურაბის (საბას ძმის) მემკვიდრე-  
უბი კი არ არიან, არამედ საბას ბიძის გიორგი ყაფლანისძის. როგორც ჩანს,  
ზურაბისძე დამიტრი (საბას ძმისწული) გარდაიცვალა 1718 წელს, შეიძლება

<sup>86</sup> იქვე, გვ. 393.

<sup>87</sup> ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I,  
გვ. 276.

<sup>88</sup> ე. თაყაიშვილი, სამხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, გვ. 104.

<sup>89</sup> იქვე.

<sup>90</sup> საქ. სიძველენი, II, გვ. 386.



უშეკვიდროდაც. ხოლო გიორგის ძე ზურაბის მემკვიდრეებია დავით (დემეტრე გიორგის ძე), გიორგი, ორბელი, სულხანი. მაშასადამე, ზურაბის ვაჟია დემეტრე, რომელიც გარდაიცვალა 1718 წელს.

ზურაბი + X



დემეტრე

დემეტრეს დარჩა თუ არა მემკვიდრეები ჩვენ არ ვიცით.

### დ ი მ ი ტ რ ი


დიდი ვახტანგის უმცროსი ვაჟი. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელ წერილი გამოიქვეყნა ლ. მენაბდეშვი. ავტორისა მოიძია ყველა ხელმისაწვდომი მასალა და აღადგინა დიმიტრი ორბელიანის ბიოგრაფია. ჩვენც ვეყრდნობთ ლ. მენაბდის წერილს.

დიმიტრი ორბელიანი დაბადებულა 1682—83 წლებში. უფრო აღრეულ საბუთებში იგი არ იხსენიება. ფლობდა ნაზირის სახელოს (იხ. 1712 წ. 4 აპ-რილის დოკუმენტი, საქ. სიძველენი, II, გვ. 243), ბოლოს იყო დედოფლის ბოქაულთუხუცესი.

დიმიტრი დაქორწინებულა „ჩერქეზთ ბატონის ქალიშვილზე — მარიამზე, ე. ი. ვახტანგ VI ქვისლი ყოფილი (რუსულან დედოფლის დის ქმარი). 1730 წლის საბუთით, რომელშიც ვახტანგ VI აღნიშნავს ორბელიანთა ერთგულებას, დიმიტრის ჰყოლია ერთი შევილი (არ ჩანს ქალი თუ ვაჟი): „მეფეთ-მეფემ პატ-რონმან ვახტანგ... წყალობისა და მამულის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუება... თავდადებით ნამსახურ ორბელიშვილს..., მერმე ურუმთ ჭარი ჩამოვადა ქართლში და ჩვენ აღარ დავვინდეს და საქართველოში ვეღარსად დავდევთ, წამოვედით რუსეთის ქელმწიფესთანა და თან ვუიახელით ... დედოფლის სახლთუხუცესი დიმიტრი ცოლით და შეილით...“<sup>91</sup>,

1737 წლის ცნობით, რომელიც გამოქვეყნებული აქვს სოლ. ყუბანერ-შეილს<sup>92</sup>, დიმიტრის ჰყავს ოთხი შვილი, ორი ქალი და ორი ვაჟი. ვახტანგის შეუღლის დედოფალი რუსულნის ამალაში დასახელებული დიმიტრი თავისი შეუღლით (მარიამით) და სამი მსულით. „ამ სახლთუხუცესის მეუღლე—დედოფლის და მარიამ ა, ამისი ქალი გ, ამათი მოახლე „გ“ (იხ. ცნობა გამოქვეყნებულია ს. ყუბანერ-შეილის დასახელებულ წიგნში, გვ. 123, შდრ. ლ. მენაბდის დასახელებული წერილი, გვ. 159), ბენებრიეთა, იფიქროს ქაცმა, რომ 1738 წლის ცნობასთან შედარებით, დიმიტრის ერთი ქალიშვილი გარდაცვლია რუსეთს, სამაგიეროდ შესძენია ორი ვაჟი.

დიმიტრი + მარიამ



<sup>91</sup> ლ. მენაბდე ე, დიმიტრი ორბელიანი, დაბეჭდილია: სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილებული, 1959 წ., გვ. 151—176.

<sup>92</sup> საქ. სიძველენი, II, გვ. 357.

<sup>93</sup> ს. ყუბანერი შვილი, დავით გურამიშვილი ქართულ პუსართა პოლქში, გვ. 38.



ლ. მენაბდემ შიაკვლია, რომ ერთ-ერთ ვაჟს სახელიდ ერქვა გერასიმ და  
რომ 1738 წელს იგი იყო იუ 9 წლის (მაშასადამე, დაბადებულა 1729 წელს, რუ-  
სეთში). გრძაცვლილა დიმიტრი 1739 წლის 6 ოქტომბერის უკრაინაში. იგი  
თბილი სტრიქონით დაიტირა დავით გურამიშვილმა.

დიმიტრი ორბელიანი მემკვიდრეობის შემდგომი ბედის შესახებ არაფერ  
ვიციოთ.

М. КАВТАРИЯ

## ГЕНЕАЛОГИЯ ФЕОДАЛЬНОГО ДОМА ОРБЕЛИШВИЛИ (КАПЛАНИШВИЛИ)

Р е з у м е

На основании анализа данных исторических документов и нарративных источников автор устанавливает родственную связь и генеалогию феодального дома Орбелишвили (Капланишвили). Статья является продолжением ранее опубликованной работы по этому вопросу.

### გ. ჯანდიზი

## ბარათაშვილთა ფეოდალური სახლის საგვარეულო განვითარებათა შესახებ

XV ს-ში საქართველოში შეიმჩნევა ახალი ფეოდალური სახლების ჩამოყალიბება. სწორედ ამ პერიოდში ქვემო ქართლში წარმოიშვა სათავადო საბარათიანო. უფრო მოგვიანებით, XVI—XVII სს-ში კი, ამ ფეოდალური სახლიდან რამდენიმე განმტოვება წარმოიქმნა. როგორც ი. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, „ამ გვარიდან წარმოშობილან აბაშიშვილები, გერმანოზიშვილები, გოსტაშაბიშვილები, იარალიშვილები, ფალაგანხოსროშვილები, ქავთარიშვილები, ორბელიშვილ-ყაფლანიშვილები“<sup>1</sup>. ამ ფეოდალური სახლის წარმომადგენელი არიან ზურაბიშვილებიც<sup>2</sup>. ჩვენამდე შემოჩენილი ისტორიული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მათი რიცხვი ბევრად მეტი იყო. საბუთების მიხედვით, ბარათაშვილთა ფეოდალური სახლიდან წარმოშობილა 18 გვარი. რა თქმა უნდა, ყველა მათგანის არსებობის ხანგრძლივობა ერთნაირი არ იყო. დოკუმენტური მასალის მიხედვით გაირკვა აგრძელებელი, რომ ზოგიერთი განმტოვება ამ გვარისა თვით გახდა საფუძველი ახალი გვარის წარმოშობისა, თუმცი დოკუმენტებში პარალელურად იხსენიებიან ბარათაშვილადაც, ან ზოგჯერ ორივე გვარით. მაგრამ ჩვენ შევეხებით ბარათაშვილების რამდენიმე განმტოვებას.

ბარათაშვილების საგვარეულო საბუთებში ყურადღებას იპყრობს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საინსტორიო არქივში დაცული XVII—XVIII სს. მიჯნით დათარილებული დოკუმენტი. დოკუმენტი წარმოადგენს ბარათაშვილების სამამულო დავის გარიგების წიგნს. დოკუმენტში კვითხულობთ: „დაუსხედით ბჭედ ჩვენ ერისთავის ძე ეშვიკალასბაში ზურაბ და სახლთუხუცესი აღათანგი პატრონის ბარათაშვილების მამულის გასარჩევად. ასე გაუსამართლეთ ... მივანებეთ ქაიხოსრო საამისშვილს ჭანდარში ორი კომლი თავისი მამულით საუფროსოდ მისცემოდა, მეფის ბარათი ხელთ ეჭირა. სხვა ამ რიგად გაყავით ... ერთი კომლი თავისის მამული ნამანგლელავისშვილს პატარა ხანს სცეროდა ჭანდარში. ორი საკომლო ერგო ქავთარიშვილს აბულფათისშვილთ ჭანდარში. ერთმანეთთან ქართული ოლარა აქვთ რა. ამ გზით გვარიგეთ“<sup>3</sup>. საბუთიდან ირკვევა, რომ ბარათაშვილები ყოფილან ქაიხოსრო საამისშვილი, ნამანგლელავისშვილი, ქაიხოსრო ჭანუნაშვილი და ქავთარიშვილ აბულფათიშვილები. დოკუმენტში ნაწევმია, რომ „ორი საკომლო ერგო ქავთარისშვილს აბულფათისშვილთ“. ეს

<sup>1</sup> ი. ლორთქ ქან ფანი დე, ქვემო ქართლი, III—IV 1938, გვ. 330—311..

<sup>2</sup> გ. ჭანული რია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 40.

<sup>3</sup> ცსა 1450—11/167.

გვაძლევს საფუძველს კიფიქროთ, რომ აბულფათიშვილები ქართარის შვილების შტოს გამოეცნენ. აბულფათიშვილები დასახელებული ჰყავს ი. ლორთქითანიძეს „ქვემო ქართლში“, სადაც ნათქვამია, რომ აბულფათიშვილ ბერანს, მებატონებს, ჟყოლია უშები აღგეთ, დმანის და ქცაში<sup>4</sup>. ბერანი გეხვდება დოკუმენტებში 1680-იანი წლებიდან (1683 წ.-ს იგი მოწმეა საამ სამის შვილის მიერ თავის განაყოფ როსტომისათვის მიცემული პირობის წიგნისან). მას ჟყოლია შვილი ლუარსაბ და შვილის შვილ ბერან. მის შვილს ლუარსაბს მიუყიდია ბატონიშვილ ალიბეგისათვის სატრედოს ნახევარი. ლუარსაბს გაუყიდია აგრეთვე მამული ტბის და ელფიას<sup>5</sup>. როგორც ცნობილია, სატრედო და ტბის ბარათაშვილების სამკვიდრო სოფლებია, ხოლო, საბუთების მიხედვით, ელფის ბარათაშვილებს ქვენდათ ყმა-მამული<sup>6</sup>. აბულფათიშვილები ისხსნებიან აგრეთვე სხვა დოკუმენტებშიც, ძირითადად ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნებში. ამ საბუთებიდან ჩანს აბულფათიშვილების სამამულო ურთიერთობა ბარათაშვილების საფეოდალო სახლის სხვადასხვა გვარის წარმომადგენლებთან, როგორიცაა გოსტიაბის შვილები, აპაშის შვილები, ნამანგლელავის შვილები, სამის შვილები<sup>7</sup>. ჩშირად გვევლინებიან მოწმებად ბარათაშვილების ნასყიდობის წიგნებში<sup>8</sup>. ამგვარად, დოკუმენტებში დასახელებული აბულფათიშვილები XVII ს-ის 80-იანი წლებიდან ცალკე განტოვებაა.

ცსსა-ში დაცულ ბარათაშვილების სამამულო დავის გარიგების წიგნში ბარათაშვილადა მოხსენიებული აგრეთვე ზაზუნაშვილი ქაიხოსრო. „ორი საკომლო ერგო ქაიხოსრო ზაზუნაშვილს“ ქაიხოსრო ზაზუნაშვილის ვინაობის დადგენისათვის საჭიროა. შევეხოთ ბარათაშვილთა კიდევ ერთ განშტოებას — ფალავანხოსროს შვილებს.

ფალავანხოსროშვილების გვარის დამარსებლად ი. ლორთქიფანიძე მოიჩნევს ფალავანხოსრო ქავთარის ძეს<sup>10</sup>, რომელიც ისხსნება ბარათაშვილებს 1523 წ-ის გაყრის წიგნში, გ. ჯამბურია ამ გვარის პარველ წარმომადგენლად მიიჩნევს XVII სს-ის I ნახევრის მოღვაწეს ფალავანხოსროს<sup>11</sup>. ფალავანხოსროს შვილები, როგორც გ. ჯამბურია აღნიშვნას, შემდეგ თაყაიშვილის გვარისაც ატარებენ<sup>12</sup>. მაგრამ დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ თაყაიშვილებად მოიხსენიებიან არა მთლიანად ფალავანხოსროს შვილები, არამედ თაყას შთამომავლები, ფალავანხოსრო დოკუმენტებში 1646 წ-მდე ისხსნება თავის შვილებთან თაყასთან, ზურაბთან, ღურმიშვანთან, რომელიც უშვილოდ გარდაიცვალა, და თავის ძმისწულ ზაალ ივივე ზაზუნასთან ერთად<sup>13</sup>. სამამულო ხასიათის ამისხელე ყველა დოკუმენტში ისინი ისხსნებიან ერთად, რაც მოწმობს იმას. რომ გაუყრელნი ყოფილან. როგორც ჩანს, ფალავანხოსროს გარდაცვალების შემ-

4 ი. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 281.

5 ცსსა 1450—12/128.

6 ხელნაწერთა ინსტიტუტი (ხ. ი.) Hd 9703; ცსსა 1450—11/61; 1450—12/118.

7 მასალები საქართველოს ისტორიის ეკოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის. გამოსაცემა მომზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურგანაძემ, 1964, გვ. 78.

8 ხ. ი. Hd 6020, ცსსა 1450—11/61, 15/22, 12/118, ხ. ი. Hd 10029.

9 ცსსა 1450—38/49, 38/50, ხ. ი. Hd 6055.

10 ი. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 337.

11 გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 68.

12 იქნ, გვ. 67.

13 ცსსა 1450—2/146, 2/149, 26/268.

დეგ ისინი გაყრილან, რადგან 1679 წ-ის ერთ დოკუმენტში<sup>14</sup> დასახელებული არიან დურმიშხან და მისი განაყოფი ზაალ (ზაზუნა). უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ გაყრის შემდეგ თაყას შთამომავლები იწოდებიან თაყაშვილებად, ხოლო ზაალის (ზაზუნა) — ზაზუნაშვილებად. ზაზუნაშვილები იხსენიებიან ძირითადად სამამულო ურთიერთობის ამსახველ საბუთებში<sup>15</sup>. (მაგ. გიორგი ზაზუნაშვილმა მიჰყიდა დიდი ორბელის შვილის შვილს, ასლანის შვილს ოთარს, უმა-მამული ანდრიას)<sup>16</sup>). საბუთებიდან აღსანიშნავია 1720 წ-ის დოკუმენტი. დოკუმენტი წარმოადგენს ყაზა-მამულის წყალობის წიგნს<sup>17</sup>. დოკუმენტში ვეოთხშიულობთ: „ნებითა და შეწერითა... ჩვენ მეფეთ-მეფემან, თვე გელმწიფემა პატრიონან ვანტანგ, თანამცხედარმან ჩვენმან... დედოფალთ-დედოფალმა... ჩერქეზის ბატონის ასულმა, ბატონმან რუსულან, პირმშომან და სასურველმა... პატრიონმან ზანვაზ და გიორგემ ესე.. წყალობისა და მამულის სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა, წესისაებრ თავდადებით მრავალგვართ ნამსახურსა ზაზუნასშვილებს ზაალს, ერასტის, ბეჟანს, გიორგის და ოორამს, მაჟამსა ოდეს მოვიდევით კარსა წყალობისა ჩვენისათა, თქვენის უშვილოდ ამოვარდნილის ბიძის დურმიშხანის წილის მამულის წყალობას დაგვეჯენით. ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შევიწყალეთ და გრძოძეთ ბიძის თქვენის წილი... ქვათეთრის, რაც ფალან-ხოსროსაგან ბარათით წილი გამოგყოლოდეთა...“

ამ დოკუმენტში მოხსენიებული ზაზუნაშვილების ბიძა, „უშვილოდ გარდაცვლილი დურმიშხანი“, არის ბარათაშვილ ფალავანხოსროს ძე, ზემოთ მოსხენებული თაყასა და ზურაბის ძმა. გარდა ამისა, ამ დოკუმენტში დასახელებული ქვათეთრისი ფალავანხოსროშვილთა საგვარეულო მამულებში შედიოდა<sup>18</sup>, რაც კიდევ ერთხელ აშკარად ხდის ზაზუნაშვილების ფალავანხოსროს შტოსაგან წარმომავლობას.

ბარათაშვილების სამამულო დავის გარიგების აღნიშნულ წიგნში მოხსენებულია აგრეთვე ნამანგლელავისშვილი: „ერთი კომლი თავისი მამულით ნამანგლელავისშვილს პატარა ხნის სკეროდა ჭანდარში“. თვით გვარის მიხედვით ცხადია, რომ ისინი მანგლელყოფილის შთამომავლები არიან, მაგრამ ბარათაშვილთა რომელ განშტოებას ეკუთვნიან?. /

ნამანგლელავისშვილი გუგუნა და როსტომ საბუთებში გვხდება 1690-იანი წლების ბოლოდან<sup>19</sup>. ბარათაშვილთა გვარში XVII ს-ში ორი მანგლელი ეპისკოპოსია — არსენ ბარათაშვილი და ნიკოლოზ გოსტაბიშვილი<sup>20</sup>. ნიკოლოზ გოსტაბიშვილი მანგლელად დოკუმენტებში გვხდება 1699 წ-დან და მისი მოლვაშვილია გადადის XVIII ს-ში. რაც შეეხება არსენ ბარათაშვილს, იგი მანგლელად დოკუმენტებში იხსენიება 1666—1670 წწ-ში<sup>21</sup>. XVII ს-ის

14 ცსა 1450—15/76.

15 ცსა 1450—37/241; 22/28; საქართველოს სიცელენი, I, თაყაშვილის რედ., 1899 წ., № 330, გვ. 399.

16 ცსა 1450—15/76.

17 საქ. სიძვ., I, № 71, გვ. 88—89.

18 ცსა 1450—2/149.

19 ცსა 1450—26/90.

20 გ. ჯან დ ი ე რ ი, XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონიკის საკითხისათვის, მრავალთავი I, 1971, გვ. 340, 342. ;

21 იქვე.

II ნახევრის საბუთებში არსენი, პატა, ვარაზა და ოთარი მოიხსენებიან გერმანის ბარათაშვილის შვილებად. 1663 წ.-ის ღოუმენტში ნათევამია, რომ ოთარმა, პატამ, არსენმა და ვარაზამ განუახლეს სვეტიცხოველს ნასოფლარ საპროწლეს შეწირულება<sup>22</sup>. არსენი სასულიერო სახელია. ამ სახელით 1667—1670 წწ.-ში გვხვდება მანგლელად არსენ ბარათაშვილი ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს მანგლელი არსენ ბარათაშვილი უნდა იყოს გერმანოზის შვილი, რომელიც 1663 წ.-ის ღოუმენტში იხსენიება ძმებთან ერთად. ჩვენს ვარაუდს ადასტურებს ღოუმენტი, რომელიც წარმოადგენს გერმანოზიშვილების სამამულო დავის გარიგების წიგნს<sup>23</sup>. საბუთის მიხედვით, ვარაზა და მის ძმის პატას შვილები გაყრილან. გაყრის შემდეგ წარმოშობილა დავა მამულის გამო. ერთ-ერთი სადაო მამული კამხდარა ტბისს მანგლელის ზეარი. თუ მოწმე დაიფიცებდა, რომ სადაო ზეარი „საძმოს ფასით“ არის ნაყიდი, მაშინ 2 წილი პატას ძეს პაპუას დარჩებოდა, ხოლო 1 წილი — ვარაზას. ცხადია, რომ „საძმოს ფასით“ ნასყიდობის შემთხვევაში ვარაზას, როგორც მანგლელის ძმას, წილი ექნებოდა სადაო ზეარზე. მანგლელი კი ამ პერიოდში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო არსენ ბარათაშვილი. ვფიქრობთ, რომ სწორედ გერმანოზი-შვილთა შტოს წარმომადგენელ არსენ მანგლელის შთამომავლები არიან როსტომ და გუგუნა, რომლებიც 1690-იანი წწ.-ს ბოლოდან იწოდებიან ნამანგლელავისშილებად.

ბარათაშვილთა განშტოებას წარმოადგენს აკრეთვე უსუფბეგისშვილები, რომლებიც ღოუმენტებში გვხვდება XVII ს-ის ბოლოდან. 1647 წ.-ს როსტომ მეფის წყალობის წიგნში ვეთოულობთ: „ჩენენ მეფეთ-მეფემან კელმწიფემან პატრიონმან როსტომ და თანამეცხელრემ ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმა პატრიონმა მარიამ, ესვ... საბოლაო წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერთგულსა თანამუიღრს, მრავალფერად ერთგულებით თავდადებით ნაშასხურსა ჩვენს დისტულს ასანბეგს და შვილთა თქვენთა თაყას და ასლამაზის... შეგიწყალეთ და გიბოძეთ ენავეთს...“<sup>24</sup> ყმა-მაბარელი. ეს ასანბეგი ბარათაშვილად იხსენიება 1633 წ.-ის საბუთში<sup>25</sup>. როსტომ მეფემ უწყალობა ასანბეგ ბარათაშვილს და მის ძმებს ყმა-მამული. საბუთებში ასანბეგის შვილებად, გირდა თაყა და ასლამაზისა, დასახელებულია უსუფბეგი<sup>26</sup>. უსუფბეგი, XVII ს-ის ერთი ღოუმენტის ცნობით, გაჰყრია თავის ძმებს. ამ ღოუმენტის მიხედვით<sup>27</sup>, სახლთუხუცესს მიუწერია ყაფის ხოსრისათვის, რომ ასანბეგიშვილი თაყა და უსუფა ბატონმა გაჰყარა და, რაც უსუფას ბარათით გლეხები ერგო, ისინი მისთვის უნდა მიებარებინა და რაც გასაყოფი დაჩინენდათ, ისინი უნდა გაეყო და ერთი წილი თაყასათვის უნდა მიეცა და ერთი წილი უსუფასათვის. ამ გაყრის შემდეგ უსუფბეგის შთამომავლები იხსენიებიან საბუთებში უსუფბეგისშვილებად (უსუფაშვილები). უსუფბეგს ჰყოლია შვილები ავთანდილ და პატა<sup>28</sup>. ეს უკანასკნელი უშვილოდ გარდაიცვალა. მისი ნაქონი მამული ბაქარ მეფის ბრძანებით მიაბარეს

<sup>22</sup> ცსა 1449—1797.

<sup>23</sup> Sd 577.

<sup>24</sup> ცსა 1450 11/1.

<sup>25</sup> ცსა 1448—3267.

<sup>26</sup> ცსა 1450—26/233.

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> ბ. ი. Hd 10120, Hd 1707 ა.

ამილდამბარ გოსტაშაბიშვილს<sup>29</sup>. როდესაც ვინჩე უშვილოდ გარდაიცვლებოდა, როგორც წესი, ამ საგვარეულოს რომელიმე წევრი იღებდა ამოვარდნილის მამულს. უფრო მოგვიანებით, როგორც ეს 1740 წ.-ის საბუთიდან ჩას, ქაიხოსრო უსუფბეგისშვილი შედაცებია ამილდამბარ გოსტაშაბიშვილს მეფე ბაქარის მიერ მიცემული მამულის გამო. „ბატონს შენთვის წყალობა ექნა, მოველ და წამოგედვე“ — მიმართავს ქაიხოსრო უსუფბეგისშვილი ამილდამბარს. შემდეგ საბუთში ვკითხულობთ: „დავსხედით, ისე გავრიგდით და ჩემი მამული შეიჯერე... რაც ჩემი წილი იყო და ან ჩემს განაყოფის იყოს დღეს და დღეის იქით ამ მამულთან მე ხელი არ მქონდეს“<sup>30</sup>.

უსუფბეგისშვილებს სამამულო ურთიერთობა ჰქონდათ ბარათაშვილთა სხვადასხვა განშტოებებთან, როგორიცაა გერმანოზიშვილები (1692 წ. ავთან-დილ უსუფბეგისშვილმა მიპყიდა მიწა დომენტი გერმანოზიშვილს<sup>31</sup>), გოსტა-შაბიშვილები (1703 წ. პაატა უსუფბეგიშვილმა მიპყიდა ვენახი პაპუნა გოსტაშაბიშვილს<sup>32</sup>, 1763 წ.-ს ქაიხოსრომ — ამილდამბარ გოგსტაშაბიშვილს<sup>33</sup>) ხშირად გვხვდებიან მოწმეებად ბარათაშვილთა ნასყიდობის წიგნებში და, პარიქით, უსუფბეგიშვილების სამამულო ურთიერთობის ამსახველ დოკუმენტებში, მოწმეებად გვევლინებიან ქავთარიშვილები, ნამანგლელავიშვილები, გერმანოზიშვილების<sup>34</sup>.

XVII ს.-ის 80-იანი წლებიდან ბარათაშვილთა საგვარეულო საბუთებში ჩნდება კიდევ ერთი განშტოება — თამაზიშვილები. ისევე როგორც ბარათაშვილთა სხვა განშტოებები, თამაზიშვილებიც იხსენიებიან დოკუმენტებში როგორც ძირითადი გვარით — ბარათაშვილად, ისევე ახლით — თამაზიშვილად, ხოლო ზოგჯერ ერთდროულად ძირითადი და ახალი გვარით. მაგ., 1704 წ.-ის დოკუმენტის მიხედვით ბარათიანთ თამაზისშვილმა ბარათამ მაპყიდა ყმა-მამული ახალშენს არაქელაშვილებს<sup>35</sup>.

ვისი შთამომავლები არიან თამაზიშვილები? 1643 წ.-ის დოკუმენტის ცნობით, როსტომ მეფემ უწყალობა თამაზ ბარათაშვილს და მის შვილებს შოთში, იესეს და დავითს მამული ორისთავსა და ჭალდამში<sup>36</sup>. სწორედ ამ თამაზ ბარათაშვილის შთამომავლები (გუგუნა, თამაზ, ბარათა, დურმიშხან, ავთანდილ და სხვ) იწოდებიან თამაზიშვილებად. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, მათ ყმა-მამული ჰქონდათ ახალშენს, ენაგეთს, ჭალდამს (1682 წ.). თამაზიშვილმა თამაზამ მიპყიდა ენაგეთს მკვიდრი ყმის ვენახი როსტომ ყორლანაშვილს<sup>37</sup>, 1690 წ.-ს კაცია სარდლის შვილს — კრკონს<sup>38</sup>, 1706 წ.-ს შოთშ თამაზიშვილმა ჭალდამს ვახტანგ ორბელიანს<sup>39</sup>, ეს სოფლები ბარათაშვილთა სამკვიდრო სოფლებია. თამაზიშვილებს სამამულო ურთიერთობა აქვთ როგორც ბარათაშვილებთან (ფალავანხოსროშვილებთან, ორბელიშვი-

29 საქ. სიძ. 1 № 374, გვ. 446.

30 ბ. ი. Qd 2026.

31 ბ. ი. Hd 1707.

32 საქ. სიძ. 1, № 132, გვ. 132.

33 ბ. ი. Hd 1814.

35 იქვევა.

36 ცსა 1450—8/83.

37 ცსა 1450—1/90.

38 ცსა 1450—110/186.

39 ცსა 1450—1/110; ბ. ი. Hd 2246.

ლებთან, გოსტაშაბიშვილებთან), ასევე სამეფო სახლის წევრებთან. XVIII საუკუნის ერთი დოკუმენტის ცნობით, ავთანდილ თამაზიშვილს მიუყიდია მამული ბატონიშვილ ანახანუმისათვის<sup>40</sup>. სამწუხაროდ, დოკუმენტებიდან არ ჩანს, თუ რომელ განშტოებიდან წარმოიშვა ეს გვარსახელი.)

ბარათაშვილების საგვარეულო საბუთებიდან ჩვენ გამოყოფთ ჰქილევ ერთ დოკუმენტს. ეს არის 1646 წ.-ით დათარილებული ბარათაშვილთა სამამულო დავის გარიგების წიგნი<sup>41</sup>. როსტომ მეფის ბრძანებით გაარჩიეს ბარათაშვილ ფალავანხოსროს და პაპუნას სამიულო დავა. ბოქაულოთუხუცეს ფალავანხოსროს შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ზაზუნაშვილებთან დაკავშირებით. სანქტერესოა ეს დასახელებული პაპუნას ვინაობა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქუთათეთრისი პირველადაც ძმათავან ფალავანხოსროს რეგებოდა და მერე ვირშელიშვილი და ფალავანხოსროშვილი ამ მამულზედ გარდაკიდებულიყვნენ და ამათ შუა ბევრი რამ საქმე მომხდარიყო...“ საბუთის მიხედვით, ფალავანხოსროს ერგო ძმებს შორის ქვათეთრისი, მაგრამ შემდეგ, როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ფალავანხოსროს შეილს ჭამდავვებია ვირშელისშვილი. ამ ნაწყვეტის მიხედვით შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ფალავანხოსროშვილი და ვირშელისშვილი განაყოფები არიან. მივყვეთ საბუთის, ეს დავა გაუჩრჩევია ლუარსაბ მეფეს: „თვითონ დიდი ბატონი ლუარსაბ მობრძანებულიყო და ბჭედ დამჯდარიყო... მოყითხული ექნათ. ვითაც სიმართლით ძმათავან პირველად ამათ რეგებოდა... და ქუთათეთრისი წილად ნარგები ყოფილიყო და ამათსავ სახლს დარჩომდა. დროშემოგდებით პაპუნას მამას ზურაბს ეშვენა“. ეს დასახელებული პაპუნა არის საბუთის დასაწყისში მოხსენიებული ფალავანხოსრო ბარათაშვილის მოდავე, ხოლო ზურაბი, როგორც საბუთიდან ირკვევა, პაპუნას მამა. შემდეგ საბუთში ნათქვამია: „ფალავანხოსროს ძეველი ნაბჭობი წიგნი უნახეთ და ხელახლა კიდევ გაუსამართლეთ, პაპუნას მოფიცრად აზნაურიშვილი და გლეხები შევაგდევით და ვერავინ იშოვნა და... ქუთათეთრისი ხელმწიფებ ფალავანხოსროს, ზაალს და მათ შეილო დაანება, რადგან წილში ნარგები სამეცნიერო მამული იყო“. და, მართლაც, XVIII ს.-ის დოკუმენტების მხედვით, ქუთათეთრისი ყმა მამული თაყაშვილებს და ზაზუნაშვილებს (ფალავანხოსროშვილების განშტოებებს) ჰქინდათ<sup>42</sup>. სანქტერესოა სამამულო დავის განჩინებაში მოხსენიებულ ვირშელისშვილის ვინაობა და მისი შთამომავლების შემდგომი ბედი. ამ საკითხის გარკვევის მიზნით საჭიროა შევეხოთ ბარათაშვილების კიდევ ერთ განშტოებას — ზურაბიშვილებს.

როგორც ცნობილია, ზურაბიშვილების გვარის დამარსებელია სარდალი ზურაბ ბარათაშვილი XVII ს.-ის I ნახევრის მოღვაწე<sup>43</sup>. სვიმონ ზურაბიშვილის მეურ მეფის ძე ვიორგისადმი მიკვემდი არზის (1792 წ.-ის) მინაწერში ჩამოთვლილია ზურაბ სარდლის შთამომავლობა: „ზურაბ სარდალს რომ უშოვნია ახპატი, იმდე შეილები არიან შანშე და პაპუნა, პაპუნაშვილები ასლონ და რევაზ, სალანიშვილი ბევრა, ბევრანისშვილი სვიმონ, რევაზისშვილი პაპუნა ჩვენ ასე ძმანი ვიყავით, შენშეშვილი ზურაბ, ზურაბისშვილი ზაალ, ზაალის-

40 ბ. ი. Hd 6055.

41 ცსსა 1450—2/143.

42 ცსსა 1450—2/139, 2/145, საქ. სიძვ. 1, № 71; გვ. 88; ცსსა 1450—2/147.

43 გ. ჯამბუ რია, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

შეიღი ზურაბ. ასე სახლის კაცნი ვყოფილვართ“<sup>44</sup>. დოკუმენტებიდან მოკრძალებილი მასალის საფუძველზე შევამოწმეთ და შევავსეთ ზემოთ ჩამოთვლილი ზურაბიშვილების შტრ.

ზურაბიშვილების მასალაზე მუშაობის დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო რამდენიმე დოკუმენტმა, რომელებიდანაც ირკვევა, რომ პაპუნა ზურაბიშვილს მტრობა ჰქონია ყაფლან ბარათაშვილთან. 1664 წ-ის დოკუმენტის მიხედვით<sup>45</sup>, პაპუნა ზურაბიშვილი და ყაფლანი გარდაჯიდებული იყვნენ და დედოფალს შეურიგებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პაპუნას გადაუწყვეტია ყაფლანის მოწმვლა. როგორც საბუთიდან ირკვევა, როდესაც ყაფლანი პაპუნასთან და მის შვილ ასლანთან იყო კაზრეთის ბალში, პაპუნამ თავის ყმას დაავალა ყაფლანის ციხეში შეპარვა. მაგრამ, როგორც ჩანს, ციხის აღება ვერ მოხერხდა. პაპუნას განზრახვაზე ხელი არ აულია და კვლავ გაუგზავნია თავისი ხალხი ყაფლანის ციხეში<sup>46</sup>.

ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ აქ მოხსენებულ საბუთებში პაპუნა, რომელსაც დავა ქვეს ყაფლანთან, ზურაბიშვილის გვარით გვხვდება. იყვე პირები გვხვდებათ 1670 წ-ის სამამულო დავის განჩინებაში, რომლის მიხედვით მეფე შავანავაზი და სხვა დარბაძესელი არჩევენ „ბარათაშვილის ბატონის ყაფლანის და მისი შვილების პაპუნას, ასლანის, ვახტანგის, თამაზისა და გორგასი, და ვირელიშვილის პაპუნასი, შანმესი და მათის შვილის ასლანის, ზურაბის და რევაზის“ სამამულო დავას. გარდა სადაო ყმა-მამულისა, როგორც საბუთიდან ირკვევა, ყაფლანი „ციხის ქურდობას... პაპუნას ყმასა სწორობდა“<sup>47</sup>. აშერაა, რომ აქ მოხსენიებული „ციხის ქურდობა“, რომელიც პაპუნას ბრალდება, და ზემოთ ნახსენები პაპუნას მიერ ყაფლანის ციხის აღების სურვილი ერთ ფაქტს გულისხმობს. აქ მოხსენიებული არიან ერთი-დაიგვე პირები: ყაფლანი, პაპუნა, მისი შვილი ასლანი იმ განსხვავებით, რომ 1664 წ-ის დოკუმენტში პაპუნა ზურაბიშვილადაა დასახელებული, ხოლო 1670 წ-ის დოკუმენტში კი — ვირშელიშვილად. გარდა ზემოთ მოყვანილი დოკუმენტებისა, სხვა საბუთებითაც დასტურდება, რომ ზურაბიშვილები ვირშელიშვილადაც იწოდებოდნენ (მაგ., ვირშელიშვილი ზურაბის და მისი შვილი ზალის პირობის წიგნი, მიცუმული თამაზ თარელიანისათვის Sd 1940).

ზემოთ განხილული ზურაბიშვილისა და ვირშელიშვილის სამამულო ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტების საფუძველზე დავასკვნით, რომ ბარათაშვილ ფალავანხოსროს და პაპუნას სამამულო დავის გარიგების წიგნში მოხსენიებული ვირშელის შთამომავალი პაპუნა უნდა იყოს იყვე ზურაბისშვილი პაპუნა, რომელიც იხსენიება ზოგიერთ საბუთში ვირშელიშვილა. დაც. გამოდის, რომ ფალავანხოსროს განაყოფები ყოფილან ვირშელიშვილები, რომლებიც ზურაბ სარდლის შემდეგ იწოდებოდნენ ზურაბიშვილება-დაც.

ამგვარად, XVII-XVIII სს. დოკუმენტების საფუძველზე დგინდება გარდა სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე ცნობილი ბარათაშვილთა განშტოებები, ბისა შემდეგი განშტოებები: ზაზუნაშვილი, აბულფათიშვილი, უსუფბეგიშვილი, თამაზიშვილი, ვირშელიშვილი. ამ გვარების წარმოქმნის საფუძველი,

<sup>44</sup> საქ. სიბ. 1, № 368, გვ. 438.

<sup>45</sup> ბ. ი. Hd 10346.

<sup>46</sup> ბ. ი. Hd 1785.

<sup>47</sup> ბ. ი. Sd 534.



როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, არის გურა.  XVI ს-ში ამ სათავადოში რამდენიმე ცნობილი გაყრა მოხდა <sup>მაგ. 1523</sup><sup>წ-ზე</sup> გაიყარნენ ქავთარის შვილები<sup>48</sup>. შემდეგ კიდევ მომხდარა ამ შტოში ქონების დანაწილება, რის შედეგადაც საფუძველი ჩაეყარა გოსტავმაბიშვილების და გერმანოზმევილების საგვარეულოებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბარათაშვილების სახლში 1536 წ-ის გაყრა<sup>49</sup>, რომლის მიხედვით იყრებიან ითამი და ორბელი. ორბელის შთამომავალი დიდი ყაფლანი, მისი შვილები და შვილისშვილები მე-17 ს-ის საბუთებში იხსენიებიან დიდი ორბელის ძეებად. ამ გაყრის შემდეგ საფუძველი ჩაეყარა კიდევ ორ საფეოდალო საგვარეულოს — ითამისშვილებისას და ორბელისშვილებისას. თითოეულმა ცალ-ცალკე სათავადოები შექმნეს. თავდაპირველად ითამიშვილები უფრო ძლიერი იყვნენ. გაყრის წიგნში დასახელებულია ითამის წილი ყმა-მასული ლმანისის, ქციის, ალგეთის ხეობებსა და ტაშირში, სულ 79 სოფელში 663 კომლი<sup>50</sup>. შემდეგ კი ორბელიშვილები წინაურდებიან და ძლიერ სათავადოს ქმნიან<sup>51</sup> (საყალანიშვილო).

ბარათაშვილთა სახლში მომხდარმა გაყრებმა მრავალი საფეოდალო წარმოშვა. ახლად წარმოქმნილი საფეოდალოები სიძლიერით, ბუნებრივია, ერთნაორი არ ყოფილა. შედარებათ მსხვილი საფეოდალოს წარმომადგენლები უფრო დაახლოებულნი იყვნენ სამეფო კართან და შესაბამისად სახელებიც მაღალი ეკავათ (მაგ., ორბელიშვილ-ყაფლანიშვილები). წერილი საფეოდალო სახლები კი დროთა განმავლობაში კინდებოდნენ და ქრებოდნენ ისტორიის ფურცლებიდან. ახლად წარმოშობილი გვარები შემდგომში (განსაკუთრებით XIX ს-ში) უბრუნდებოდნენ თავისთ ძველ გვარს და საბუთებში იხსენიებოდნენ მხოლოდ ბარათაშვილებად.)

Г. Н. ДЖАНДИЕРИ

## О РОДОВЫХ ВЕТВЯХ ФЕОДАЛЬНОГО ДОМА БАРАТАШВИЛИ

Резюме

В работе на основе грузинских исторических документов XVI—XVIII вв. установлены новые родовые ветви феодального дома Бараташвили, неизвестные в научной литературе. В частности выявлены следующие фамильные ответвления: Абулпаташвили, Зазунашвили, Тамазишвили, Усупбегишвили и Виршелишвили.

В работе также установлено происхождение большинства из этих фамилий: Абулпаташвили является ответвлением Кавтаришвили, Зазунашвили произошли от Палаванхосрошвили. От Палаванхосрошвили произошли также Виршелишвили, которые со своей стороны, положили начало новой фамилии — Зурабишвили.

48 ბ. ი. Ad 1299.

49 ცსს 1450—11/112.

50 გ. ჭამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

51 იქვ, გვ. 76.

### ၁။ နေဂျာနယ်မြို့နယ်

ლეონტი მროველის პრობლემის და საერთოდ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის შესწავლის ღრმა ფუნქციები ქვეს გადგმული ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამ პრობლემით დაინტერესებულნი იყვნენ უკვე დ. ბაქრაძე, თ. ერმალაშვილი, გ. ჯავაშვილი, ნ. მარი, მისდები ინტერისი განსაკუთრებით გაცხოველდა ე. თაყაიშვილის მიერ ე. წ. „მოქადაგ ქართლისად“-ს ტექსტის შესწავლისა და გამოქვეყნების შემდეგ. საგანგებო კვლევის საგნად ქვეციეს „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის და მასთან მიმართებაში „მოქადაგ ქართლისად“ წყაროთმულნებობით სკუთხები ივ. ჯავაშვილმა, პ. კეკელიძემ, ს. კაკაბაძემ, ვ. ინგოროვამ, გ. მელიქიშვილმა, მ. ლორთქიფანიძემ, ნ. ჯანაშიამ, ალ. აბდალაძემ, ა. ბოგვერაძემ, მ. ჩხარტიშვილმა და სხვებმა, მაგრამ დღეისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში გამოოქმულია მრავალი უაღრესად საინტერესო დაკვირვება და დებულება პრობლემის ამათუ იმ საკითხზე, მაიც არ ასებობს ერთიანობა ბევრ რამეში და, რაც მთავარია, არ არის სისტემატიზირებული ჩვენი ცოდნა ამ მიმართულებით, ხოლო არაერთ საკვანძო საკითხზე ერთმანეთის გამომიჯიცხავი დებულებებიც ასევე ბობს!

ჩევნს მიზანს დღს წარმოადგენს სპეციალური ლიტერატურის მაქსიმა-ლური გათვალისწინებით, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყის ციკლზე (რო-მელიც ლეონტი მროველის სახელს უკავშირდება) და „მოქცევას ქართლი-სახს“ ტექსტზე დაკავშირების საფუძველზე წინმოგადგინოთ ჩევნი ზოგიერთი მოსახრება ლეონტი მროველის ერთ-ერთი ძირითადი ეროვნული წყაროს — „მოქც. ქართლისახს“ რაობაზე და თვით „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის შედგნილობაზე.

თავდაპირველად განვიხილოთ თუ რა მოსივალი დებულებები გაგვიჩნია ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემასთვის დაკავშირებით.

ერთ-ერთი ასეთი დებულებაა ის, რომ „მოქც. ქართლისახ“ იმ სახით, როგორითაც მან ჩვენამდე მოაღწია (შატბერძული და ჰელიშური რედაქციები). შედგება ორი ერთმანეთისაგან ღამოყალიბელი, მაგრამ ერთმანეთთან საკანგებოდ რჩდნა და შერწყმულ-დყავშირებული ნაწილისაგან [ეს არის

\* ඊටුනිකුලු උග්‍ර කොට්ඨාසීයි සංඝ. තෙල්නැන්තුරා නිස්ත්‍රූතු සියලු 25 පෘතුවේ සෞඛ්‍ය දා තුළුන්දුම්පුලු 1988 ජූ.

1 საკითხის ლიტერატურაშე მითითება და ისტორიოგრაფიული მიმოხილვა იხ. ნ. ჯ-შია „უძველესი ცნობა ქართველთა მოცემაზე“, აგრეთვე მისივე „ცხოვრება ქართველთა მეცნეთა—ს წყაროებისათვეს—შეიბმა: ნ. ჯანა შიათ, ისტორიულ-წყაროობრივით ნაჩვევნები, თბ., 1986, მ. ჩხარ ტუშევიძე, ქართული პაგიოგრაფიის წყაროთ-ცოდნებით შეწარების პროცესშები, „ცხოვრება შეინდა ნინოს“, თბ., 1987.

ე. წ. „მოქცევად ქართლისას“ ქრონიკა, რომელიც თვითონვე „ნინოს-ცურაული რების“ მოყლე ვარიანტს შეიცავს და „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია].

როგორც ცნობილია, თვით ლეონტი მროველი „მოქც. ქართლისას“ ასახელებს თავის წყაროთა შორის, მაგრამ ჩვენ აქ არა გვაქვს საშუალება გავარკვიოთ, თუ რა იგულისხმება კონკრეტულად ამ სახელწილების ქვეშ, ე. ი. „მოქც. ქართლისას“ რომელი ვარიანტი ჰქონდა ლეონტის ხელთ. ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში არსებობს გარევეული თვალსაზრისი — კერძოდ რომ „მოქც. ქართლისასში“ შემავალ ნინოს ცხოვრების ვრცელ რედაქციას და ლეონტისეულ ვარიანტს საერთო აჩვეტითი ქონდათ<sup>2</sup>, მაგრამ რა დამოკიდებულება არსებობდა ლეონტისა და „მოქც. ქართლისას“ ქრონიკას შორის, ამაზე პირდაპირი პასუხი ჭერ არა გვაქვს. ჩვენთვის კი დღეს სწორედ ეს არის სანტერესო.

სადღესისოდ არის გარკვეული, რომ „მოქც. ქართლისას“ ქრონიკა VII ს.-ში ან VIII ს. დასაწყისში არის შედგენილი (თხრობა მასში ხომ VII ს. 60-იან, წლებამდე მიღის), ხოლო IX ს.-ში დამატებული აქვს მომდევნო პერიოდის შეფე-მთავართა და კათალიკოსთა შერალი ნუსხა. ასეთი დამატება უნდა გაკეთებულიყო IX საუკუნეში, მაშინ, როდესაც საერთოდ შედგენილი იქნა „მოქც. ქართლისას“ იმ სახით, როგორითაც მან ჩვენამდე მოაღწია („შატბერდის რედაქცია“<sup>3</sup>).

ამ ძეგლის შექმნა ემსახურებოდა ნინოს კულტის და მის მიერ ქართლის მოქცევის ვერსიის საბოლოოდ დამკიდრებას და პოპულარიზაციას, რისი პირობებიც სწორედ IX ს.-ში არსებობდა (კ. კეკელიძე).

ამასთან არსებობს მოსაზრება (უფრო დაკირქვება), რომ „მოქც. ქართლისას“ ქრონიკა წარმოადგენს რაღაც ვრცელი მატიანის შემოკლებულ (ცეს-ცერტულ) ვარიანტს (ე. თაყაიშვილი, პ. ინგოროვა); ბოლო დროს ისიც არის აღნიშნული, რომ ამ „ქრონიკის“ ნინოს ცხოვრების ვრცელი ვარიანტი-სადმი წამდლვარება მიზნად ისახავს მოქცევის ფაქტისათვის ისტორიული ფონის შექმნას (მ. ჩხატრეშვილი).

გარდა ამისა, ლიტერატურაში ისიც არის ნათევამი, რომ ლეონტი მროველს ხელთ ქონდა რაღაც აღრინდელი (VII—VIII სს მატიანისებრი ძეგლი — გაბმული თხრობის შემცველი (პ. ინგოროვა, კ. კეკელიძე). ნ. ჯანაშია ასეთ

2 მ. ჩხატრეშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 95—96.

3 დებულებას იმის შესახებ, რომ „მოქც. ქართლისას“ მატიანე ანუ ქრონიკა და „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი ვარიანტი სხვადასხვა ძეგლებია, განიარებულია მეცნიერების მიერ. ერთ ძეგლად მთ თვლიდნენ მხოლოდ ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძე. ამასთან ისიც უნდა აღნიშნულის, რომ არსებობს „მოქცევად ქართლისას“ შექმნის მდებული დათარილების გადასწყვეს დღიც ერთობლ, მ. ჩხატრეშვილის მეტეპიზით, „მოქცევის ქართლისას“ თავდაპირეული ვარიანტის შექმნა ვახტანგის ეპოქას, მის მიერ ქართული ეკლესიის რეორგანიზაციას და კათალიკოსობის შემოღებას უკავშირებდა V საუკუნის მესამე ან მეოთხე მეოთხედოთ (მ. ჩხატრეშვილის შემავალი, კ. კეკელიძე, გვ. 81—89). ვეფიქრობთ „მოქც. ქართლისას“ ქრონიკის გარსევნის ცხოვრების და უშვანიის წამების ერთი საუკუნით გვიან გადმოტანა და ვახტანგის დროის ნაცვლად ბაჟურის მეცნიერება არ შეიძლება მომხდარიყო ამ მოვლენების ახლო ხანებში შექმნილ ძეგლში. არც დროთა ვითარებაში ამ ფაქტების იმავე ძეგლში უფრო გვიან გადმოტანის საფუძველი ჩანს. ვახტანგ გორგასალის დროს მხოლოდ „ნინოს ცხოვრების“ ერთ-ერთი ვარიანტის ლიტერატურული გაფორმებაა სავარაუდებელი (იხ. თ. მ გა ლ ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ქრისტიანული ქართლი IV—V სს-ში (ძირითადი დებულებები), „მანე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, 1988 წ., გვ. 106, 115.

აღრინდეს მატიანედ<sup>4</sup> მიიჩნევს თვით ლეონტისეულ „მეფეთა ცხოვრებას“ კიბილის როშელიც, მისი აზრით, ლეონტისთან მხოლოდ გადამუშავებული სახით გვაძეს წარმოდგენილი.

როგორც ვხედავთ, ყოველივე ამის გათვალისწინებით, მომწიფებულად უნდა ჩაითვალოს ლეონტისა ე. ი. „ქართლის ცხოვრების“ და „მოქუ. ქართლისას“ ქრონიკის ერთმანეთთან მიმართების საყითხის გადაწყვეტაც, რაც შესაძლებელია გავეთდეს ამ ძეგლების ჩარტმავებული, სკრუპულობური შემდგომი შედარებითი ტექსტოლოგიური შესწავლის საფუძველზე<sup>5</sup>. ასეთი ძიებას შედეგად ჩვენ იმ დასკვნამდე მოვედით, რომ ლეონტი მროველს უთუოდ ჭინდა ხელს შედარებით ვრცელი მატიანის (თუ უფრო სრული ქრონიკის) ტიპის წყარო, რომელიც ქრონოლოგიურადაც და შინაარსობრივადაც ემთხვევა „მოქუ. ქართლისას“ ქრონიკას. ამზე მეტყველებს უამრავი შეხვედრები უმეფეთა ცხოვრებასა“, მის მომდევნო ნაწილებსა და ქრონიკას შორის, თუმცა, ლიტერატურაში ისიც არის დამაჯერებლად ნაჩვენები, რომ „მეფეთა ცხოვრება“ იძლევა ფაქტების და მოვლენების „მოქუვისეულ“ ქრონიკისაგან განსხვავებულ ვარიანტებს და ინტერპრეტაციებს (ნ. განაშია, მ. ჩხარტიშვილი და სხვ.).

როდესაც ვლაპარაკობთ ლეონტის მიერ წყაროებით სარგებლობაზე და მის დამკიდებულებაზე მათდამი, უნდა მკვეთრად გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ორი რამ. კერძოდ ის თუ სად გვევლინება ლეონტი „ქართლის ცხოვრების“ ავტორად და სად წარმოგვიდგება შემდგენელ-რედაქტორის როლში.

ამასთან დაკავშირებით ერთი არსებითი ხასიათის შენიშვნა უნდა გავაკეთოთ: როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ლეონტის „მეფეთა ცხოვრებაზე“, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის პირველი ნაწილი, რომელიც იწყება ასე: „ვიწყოთ მოთხობად ცხოვრებასა ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“... შემდევ მოდის ტექსტი: „პირველად ვანხსენოთ ესე...“ და ა. შ.

ჩვენი აზრით, ისევე როგორც ამას ფიქტობდა ადრე ს. კაკაბაძე, ამ სათაურის დაშლა არ შეიძლება და იგი უნდა ერთობლიობაში იქნეს გააზრებული, ე. ი. აქ საქმე გვაქვს არა მატერი „მეფეთა ცხოვრებასთან“ არამედ „პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ ისტორიასთანაც და სავსებით შესაძლებელია ეს სიტყვა „პირველთაგანთა“ — აღრინდელი ხანის მეფეებზედაც უნდა ვრცელდებოდეს. ასე რომ ე. წ. „მეფეთა ცხოვრებას“ ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ იქმდე, სადაც იწყება „ნინოს ცხოვრება“, ანუ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის მეორე ძირითადი შემადგენელი ნაწილი. „მეფეთა ცხოვრება“ რომ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის პირველი, ცალკე ნაწილი იყო, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ სხვა ნაშილისაგან განსხვავებით, იგი წარმოადგენს ლეონტის ორიგინალურ ნაშრომს, სადაც

4 ნ. განაშია, ისტორიულ-წყაროობრივი ნარკვევები, თბ., 1986, გვ. 107, 110—111.

5 საკითხის სწორად ამ ასექტში დაყენებას და ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემის ცდას უკანასკნელ ხანებში ვხვდებით ე. აბაშიძის წერილში „ქართლის ისტორია „მოქუვეად ქართლისაში““ („მაცნე“, ისტორიის... სერია, № 3, 1988). აეტორი მხარს უჭერს მოსაზრებას მის შესახებ, რომ მოქუვეასეული ქრონიკის წყაროს წარმოადგენდა ქართლის სამეფოს ისტორიის ამსახური მატიანე — პირობითად „ქართველთა ცხოვრებად“ წოდებული, რომელიც თავის მხრივ იყო წყარო „ქართლის ცხოვრებისაც“ (გვ. 133—135).



ივი მართლაც გვევლინება ავტორად, რომელიც წყაროებზე დაყრდნობის  
შერს თავის შრომას გარკვეული მიზანდასახულობით, შემდგომში კი იგი უკვე  
შემდგენელ-რედაქტორის როლში გამოდის, ჩვენი აზრით, თვით „არჩილის  
ცხოვრებისა“ და „წამების“ ჩათვლით. (ამაზე საგანგებოდ სხვაგან გვაქვს  
ლიპარიაკი და აქ საუბარს არ გვაგრძელებთ).

ესლა დაუუბრუნდეთ ლეონტი მროველის წყაროთა საკითხს. როგორც  
ჩანს, ავტორი [ე. ი. ლეონტი მროველი] თუ კი სარგებლობდა „მოქც. ქართ-  
ლისას“ ქრონიკის ტიპის [ხოლო უფრო ვრცელი] წყაროთი — მატიანით, მას  
საფუძვლიანად ასწორებდა და ავსებდა სხვა წყაროების, — შერილობითის თუ  
ზეპირის, — მონაცემებით. ასეთი წყარო თამამად შეიძლება ყოფილიყო იგო-  
ვე „ფარნაგაზის ცხოვრება“ და სხვა წყაროები, საიდანაც „მეფეთა ცხოვ-  
რებაში“ შევიდა მეტნაჯლებად ვრცელი პასაუები, მაგალითად, ორმეტობის ხა-  
ხის ისტორია [აზორკ და არმაზელ მეფეების დროს — სუმბატ ბიგრიტანის  
სიუკეტებით და ბრძოლით ქართლის სახლვრებისათვის (ქ. ც. I, გვ. 45—50)\*,  
ფარსმან ქველის ცხოვრება (ქ. ც. I, გვ. 50—54), მირიანის ცხოვრება (ქ. ც. I,  
გვ. 60—70), სადაც უკვე იჩენს თავს სიუკეტი ფეროზ მეფეთა თქმის შესა-  
ხებ (ცნობები მასზე შემდგომაც არაერთხელ გვხვდება).

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ ნაწილებში არა გვხვდება შეხვედრები  
„მოქც. ქართლისას“ ქრონიკასთან. აქ ორი შესაძლებლობაა დასაშვები: ან  
უნდა ვითიქროთ, რომ ეს პასაუები თავიდანვე იყო იმ ვრცელ სავარაუდო  
მატიანეში, რომლითაც სარგებლობდა ლეონტი და ისინი არ შემოინახა მოქც.  
ქართლისას ქრონიკაში, ან ლეონტი ამ შემთხვევაში მთლიანად სხვა წყა-  
როებითაც სარგებლობდა. ალბათ არ შეცვდებით, თუ დაუუშვებთ, რომ  
ერთიც იყო და მეორეც, ე. ი. ზოგი რამ ლეონტის უშუალოდ სხვა წყარო-  
ებიდან აქვს აღებული — ზოგი რამ კი მატიანიდანაც, მაგრამ ამისი კვალი  
ქრონიკაში აღარ დარჩა, შეიკვეცა შემოკლებისას.

მიგვარად, „ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“  
ცხოვრების ანუ ისტორიის ამსახველი ნაწილი ლეონტის ორიგინალური ნაშ-  
რომია, რომლითაც იწყება „ქართლის ცხოვრება“. მას მოსდევს „მოქცევად  
მირიან მეფისა და ყოვლისა ქართლისა ნინოს შეირ“, რომელიც ძირითადად  
ეძოთხვევა, „მოქც. ქართლისაში“ (მატერიალურ და ჟელიშურ ნუსხებში) მო-  
თავსებულ ანალოგიურ ძეგლს, — თუმცა, როგორც დადგენილია ლიტერა-  
ტურაში, ბევრ რამეში სხვაობს კიდეც მისგან. და ეს სხვაობა არა მარტო  
რედაქციული ხსიათისაა, არამედ თვით ამ ვარანტების არქეტიპების განსხვა  
ვებულობითაცაა გაპირობებული.

რაც შეეხება კერძოდ ამ ძეგლის „ქართლის ცხოვრებისეული“ — ე. ი. ლე-  
ონტისეული ვერსიის რედაქციულ თავისებურებებს, ისინი თავს იჩენენ უპი-  
რველეს ყოვლისა იმში, რომ ზოგიერ აღგილას თხრობა პერიფრაზის სახით  
არის წარმოდგენილი, ან თხრობა მესამე პირშია მოცემული, თუმცა ამასთან  
შიგადაშიგ გვხვდება დამატებითი მასალაც, საფიქრებელია რედაქტორის მიერ  
სხვა წყაროებიდან ჩართული — მაგალითად, რიცხვიმიანელთა წამებიდან (ქ. ც.  
გვ. 81—84); რამდენადმე სხვაობს თხრობა მირიანს ცხოვრების გადმოცემა-

6 Э. В. Хощтариа — Броссе, Терминологическая основа источниковедческого изучения начального цикла «Картлис ხოვребა». В сборнике: Источниковедческие разыскания, 1985, Тбилиси, 1988, с. 157—162.

\* აქ და ქვემოთ იგულისხმება: ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955 წ.

შიც (ქ. ც. I, გვ. 91—95), ე. ი. ნინოს მოღვაწეობის დასაწყისში, არ ექვებნების ბა სრული შესატყვისი აბიათარის ისტორიის გაღმოცემასაც [ქ. ც. I, გვ. 102—105]. განსაკუთრებით შეინიშნება სხვაობა „ქართლის ცხოვრებისეულ“ და „მოქცევად ქართლისამას“ ნინოს ცხოვრების ვრცელ რედაქციებში იქ, სადაც თხრობა პოლის უახლოვდება, კერძოდ ქართლის ცხოვრებაში აქ თანდათან შემოდის ქრონიკალური ხასიათის მასალა — მათ შორის ისევ ფეროზის სიუკეტით (ქ. ც. I, გვ. 117). ქედან შეხვედრა უფრო მეტად შეინიშნება არა მოქცევისეულ „ნინოს ცხოვრებასთან“ არამედ ქრონიკასთან (ქ. ც. I, გვ. 117—118). მომდევნო ტექსტი ისევ მისდევს ნინოს ცხოვრებას („აღმართებისათვის პატიოსნისა ჯერისა“) და „ქართლის ცხოვრების“ 125 გვერდიდან ისევ საგრძნობი შეხვედრები გვაქვს „მოქც. ქართლისამას“ ქრონიკასთან, თუმცა ქრონიკისგან განსხვავდებით აქვე ჩართულია ისევ ფეროზის ამბებიც.

ასეთი სურათი დგინდება ვახტანგ გორგასალის ცხოვრებამდე, მაგრამ არა იქამდე, სადაც დღეს იყულისხმება ამ ნაწარმოების დასაწყისი, არამედ უშუალოდ ვახტანგის ასპარეზზე გამოჩენამდე, ე. ი. თხრობაში არჩილ I-ის და მირდატის ისტორიის ჩათვლით, სადაც კვლავ გვაქვს შეხვედრები „ქრონიკასთან“ (ქ. ც. I, გვ. 139—143). ეს მოწმობს ერთგვარ რედაქციულ [ლეონტი-სეულ] ჩარევას თვით ჯუანშერისადმი მიკუთვნებულ ვახტანგის ცხოვრებაშიც, თუმცა ეკვი არ არის რომ ეს ცალკე ნაწარმოებია და მცირე გამონაკლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, თითქმის უცვლელადაა შეტანილი „ქართლის ცხოვრების“ დასაწყის ციკლში. (გამონაკლისებზე რომ ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ ქრონიკალურ ხასიათის ჩანართს ქ. ც. 159 გვერდზე, რაც ამ ნაწილის საერთო სტილს არ შეესაბამება).

თვალში საცემი სტილისტური სხვაობა თხრობაში და ე. ი. მიჯნაც, აშკარად შეინიშნება ჯუანშერისათვის მიკუთვნებულ იმ ნაწილშიც, სადაც წყდება გაღმოცემა ვახტანგის შესახებ და ვადავდივართ მისი ძის, დაჩის მოღვაწეობაზე. ქედან გაბმული თხრობა, რომელიც დამახასიათებელია ვახტანგის ცხოვრებისათვის, უცრად წყდება და უკვე საქმე გვაქვს უფრო ქრონიკალური ხასიათის თხრობასთან, რომელშიც ისევ უხვადა შეხვედრები. „მოქცევად ქართლისამას“ ქრონიკასთან [სხვათ შორის ამ ნაწილშია სწორედ ცნობა შუშანიკის და ვარსექნის VI საუკუნეში, ე. ი. ბაკურის დროს მოღვაწეობის შესახებაც — რაც დაახლოებით ერთნაირადაა „ქართლის ცხოვრებაშიც“ და ქრონიკაშიც].

ერთი რამ კი ცხადია, რომ ასეთი ქრონიკალური თხრობა მოდის სტეფანოზის მთავრობამდე, ასევე არაბთა შემოსევამდე, ანუ არჩილის ცხოვრების დასაწყისამდე [ქ. ც. I, გვ. 205—229], ე. ი. სწორედ VII ს. შუახანებამდე, იქმდე, სადამდისაც გრძელდება „მოქც. ქართლისამას“ ქრონიკაც.

ამ ნაწილში აშკარად იგრძნობა რომ ავტორის (თუ რედაქტორს) მართლაც ხელთ ქონდა ვრცელი ვარიანტები ქრონიკისა ანუ, უფრო სწორად, რაღაც მატიანე.

რას წარმოადგენდა ეს ვრცელი ქრონიკა თუ მატიანე? ამ კითხვაზე შომწურავი, ზუსტი პასუხის გაცემა, ცხადია, ძალზე ძნელია, მაგრამ თუ კი ვიმსჯელდეთ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული მისი კვალის ე. ი. ფრაგმენტების მიხედვით, ეს იყო გაბმული თხრობა საქართველოს ისტორიის უმთავრესი ფქტების აღნუსხვით. მდენად ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს მივიჩ-

ნიოთ, რომ ეს ძეგლი უნდა იყოს VII ს. შედგენილი ის მატიანი, კართლის არსებობა ივარაუდება ლიტერატურაში, რაზედაც ზემოთ იყო ლპარაკი.

6. ჯანაშია „მოქც. ქართლისას“ მატიანის (ქრონიკის) და ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ (აზო-ფარნავაზის ისტორიის ნაწილში) დეტალური შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ ლეონტის ხელო ქონდა ასეთი სანდო ცნობების შემცველი მატიანე (თითქოს „მეფეთა ცხოვრების“ თავდაპირველი ვარიანტი), რომელიც „მოქც. ქართლისას“ ქრონიკას ეყარებოდა. ავტორის აზრით, ლეონტის შემდეგ გადაკეთადა გააუზრესა ეს მატიანე (იგულისხმება ის სხვაობანი აზო-ფარნავაზის ნაწილში, რაც ამ ორ ძეგლს შორის არსებობს). ჩვენი აზრითაც [როგორც ზემოთ ითქვა] მართლაც შესაძლებელია, რომ არსებობდა VII ს. შედგენილი ასეთი მატიანე, მაგრამ უფრო სავარაუდებელია, რომ იგი „მოქც. ქართლისას“ ქრონიკის პარალელურად კა არ არსებობდა, ან მას კი არ ემყარებოდა, არამედ, პირიქით, „მოქც. ქართლისას“ ქრონიკა შედგა გვიან, სწორედ ამ მატიანის მიხედვით, უფრო სწორად მისი შემოკლების გზით.

რა მიზანი უნდა ჰქონოდა ასეთი შემოკლებული ქრონიკის შექმნა? ზემოთ უკვე ითქვა, რომ თვით „მოქცევა ქართლისას“ შექმნა IX საუკუნეში მიზნად ისახავდა ქართლის გაქრისტიანებისადმი მიძღვნილი ძეგლის შექმნას, სადაც წინ წამოშეული იქნებოდა ნინოს, როგორც ქართლის გამაქრისტიანებლის როლი. ამ ნაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია საკუთრივ ნინოს ცხოვრების ვრცელი რედაქცია (რომელიც ცხადია, გაცილებით ადრე არსებობდა), მაგრამ შემდგენელმა გადაწყვიტა გაქრისტიანების ფაქტისათვის ზოგადი ისტორიული ფენის შექმნაც, რისთვისაც „ნინოს ცხოვრებას“ წინ წარუმდვინა ისტორიული ქრონიკა. ამ უკანასკნელის შესაქმნელად კი, ჩანს, შემდგენელმა აიღო მის ხელო არსებული სხვა ვრცელი ქრონიკა, თუ მატიანე, რომლიდანაც დატოვა მხოლოდ ის, რაც საჭიროდ სცნო თვისი მიზნისათვის, ე. ი. დატოვა ისტორიული მოვლენების ძირითადი ქარგა, ქართლის მოსახლეობის წარმართული ყოფითი მომენტების ხაზებსმით — რათა ყოველივე ამას შემდგომ დაპირისპირებით ქრისტიანული რესულის უპირატესობა. მაგრამ, რადგანაც თავდაპირველი ვრცელი ქრონიკა თუ მატიანე თვითონაც შეიცავდა თხრობას ნინოს მოღვაწეობის და ქართლის გაქრისტიანების შესახებ, შემდგენელმა ეს სიუჟეტები, ჩანს, აღარ შემოკლა, ან მცირედ შემოკლა და ძირითადად შეინარჩუნა თხრობაში. ხოლო შემდეგ კვლავ შემოკლებით (სქემატურად) გადმისცა ქრისტიანობის გავრცელებისა და საეკლესიო მშენებლობის ფაქტები (პერიოდე კეიისართან დაკავშირებული თხრობა და სხვა).

ასე, რომ ნინოს სიუჟეტი, რომელსაც ერთგვარი დისონანსი შეაქვს ქრონიკში მოცულობის თვალსაზრისით, ჩართული კი არ არის მასში (როგორც ამას ფიქრობენ), არამედ თავიდანვე არსებობდა, მაგრამ როგორც თემატურად ძეგლის საერთო სულისკვეთებისა და მიზანდასახულობის შესაბამისი, იგი ძირითადად ხელუხლებლად დატოვეს, თუმცა ზოგიერთი ნიუანსი მასში სხვა გვარადაა მოცემული, ვიდრე „ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში, (ე. ი. ნინოს ცხოვრების მოქლე რედაქციაში „მოქც. ქართლისას“ შემდგენლის ხელში ძირეული რედაქციული გადაკეთება მინც არ განიციდა).

ერთი სიტყვით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლეონტი მროველმა [ე. ი. „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისში ციკლმა] შემოგვინახა ადრე არსებული (VII ს.

შედგენილი) მატიანის კვალი. მაგრამ ეს კვალი ამ ციკლში არც ერთნაირი სიზუსტით (თავდპირეულ დედანთან სიახლოების თვალსაზრისით) არის დაცული. საკუთრივ „მეფეთა და პირველთაგნზა მამათა და ნათესავთა ცხოვრებაში“ ეს ძეგლი მნიშვნელოვნად ჩანს გადაწყვებული ფაქტობრივი და კონცენტუალური თვალსაზრისით (წარმართული ხანის ქართველების ყოფის სურათის დამზიმება, ე. წ. ომენოფილური ტენდენციების შემოტანა და სხვ.), რაც წარმოადგენს შედეგს ლეონტის ხელთ არსებული სხვა წყაროების გავლენისა [გ. მელიქშვილი, ნ. ჯანაშვია, ალ. აბდალაძე და სხვ.]. რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის მომდევნო ნაკვეთებს (ნინოს ცხოვრებიდან მოკიდებული), სადაც ლეონტი მხოლოდ შემდგენელ — რედაქტორია, აյ საქმე გვაქვს ავტორის ხელთ ასებული კომპაქტური ხსათის დამოუკიდებელ ძეგლებთან, ისეთი ტიპისა, როგორიცაა თვით „ნინოს ცხოვრების“. ვრცელი რედაქცია, ვახტანგის ცხოვრება, არჩილის ცხოვრება. ამ წყაროებს ლეონტი მხოლოდ რედაქციულად მუშავებს მეტ-ნაკლებად, ხოლო მათ შორის ხარებებს იქსებს თხრობით ზემოხენებულ მატიანდან — და ნიშანდობლივია, რომ ქართლედ აქ გვაქვს ხელშესახები შეხვედრები „მოქც. ქართლისას“ ქრონიკასთან — მხოლოდ უფრო ვრცელი მონათხრობის სახით (და სხვათა შორის, სუმბატ დავითის ძის ქრონიკასთანაც), მაგრამ „ქართლის ცხოვრებაში“ თხრობა უფრო ვრცელიცაა და ამასთან თავს იჩენს დამატებითი ფაქტებიც (მაგალითად, საკმაოდ ვრცელი თხრობა ფეროზის შესახებ, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ გაფრინდულად არის მოცემული სხვადასხვა ამბებთან დაკავშირებით).

ურაღდოლებას იქცევს ვარსკენისა და შესანიერის სიუჟეტიც, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ გაცილებით ვრცლადაა მოთხრობილი და თანაც აქ მეტად ნიშანდობლივი დეტალი იჩენს თავს — მართალია თხრობა ვარსკენზე და შესანიერზე ორივე ძეგლი VI ს-ში, ბაკურის დროს არის გაღმოტანილი, მაგრამ „მოქც. ქართლისას“ ქრონიკში ვარსკენი პიტიაბშად იხსენიება (როგორც იაკობ ცურტაველთან), „ქართლის ცხოვრებაში“ კი იგი რანის მთავარია, რაც იმას მოასწავებს, რომ ლეონტისთან სიუჟეტი მოდერნიზირებულია. მდევნად ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ძეგლი მატიანის კვალი ყოველთვის არ არის თავდპირველი მოდელის ადგევატური, თუმცა თვით კვალი აშკარად დასტურდება.

ეხლა შევეხოთ იმას, თუ რა სურათი გვაქვს „ქართლის ცხოვრებაში“ მას შემდეგ, რაც „მოქც. ქართლისას“ ქრონიკა და გერეთვე ჩვენს მიერ ნავარაულევი შესაბამისი მატიან წყდება — ე. ი. VII ს. შუახანებიდან. თვალში საცემია, რომ ამ დროიდან წყდება კიდეც ქრონიკალური ხსიათის თხრობა და იწყება დეტალური, გამჭული, წმინდა მატიანისებური აღწერა არაბთა შემოსევისა, მეფეების არჩილის და მირის თავგადასავლისა და სხვა ამდრონდელი მოვლენებისა. ჩანს, რომ აქ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია რალაც ახალი ძეგლის მასალა, რომელსაც პირობითად „არჩილის ცხოვრება“ შეიძლება ეწოდოს (ქ. ც. I, გვ. 233—244). ამ ნაკვეთს არაფერი საერთო არა აქვს სტილისტური თვალსაზრისით წინა თხრობასთან: დაჩიდან — არჩილამდე (ქ. ც. I, გვ. 204—233), რომელიც ქრონიკის ხსიათისა იყო. ამდენად, ამ ორი ნაწილის ერთ ნაწილად განხილვა და მისი ფსევდოგვარულშერისეულ თხზულებად მიჩნევა (გ. წულადა) არ უნდა იყოს მართებული. თუმცა ის კი სწორეა, რომ თხრობა დაჩიდან არჩილამდე ჭუანშერის, ე. ი. ვახტანგის ცხოვრების ავტო-

რის, მართლაც არ შეიძლება იყოს. ეს ნაკვეთი ჩვენი, ასე ვთქვათ, ნავარა-  
უდევი მატიანის ბოლო ნაწილია.

რაც შეეხება ე. წ. „არჩილის წამებას“, იგი თავდაპირველად „არჩილის  
ცხოვრების“ ნაწილი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდგომ გარევეული მოსაზ-  
რებით, ეს ნაწილი გადაეცედა (ეკლესიაში სყითხავ) მარტვილობად და ამ  
სახით შევიდა „ქართლის ცხოვრებაში“. არჩილის ცხოვრების, როგორც და-  
მოუკიდებელი ძეგლის არქაულობაზე მეტყველებს „წამებაში“ შემორჩენილი  
ძველი კვალი სიტყვების — „ოვესა მირკანისასა“ სახით, მაგრამ ეს საკითხი  
უკვე ცალკე კვლევის საგანია და მას საგანვებოდ სხვაგან შევეხებით.

---

თ. აგაშიძი, გ. სურგულაძი

## ჯინასწარი ანგარიში ისტორიული დოკუმენტების აცტომატიზებული განკვეთის შედეგის

წყაროთმცოდნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ძლიერ გაიზარდე ინტერესი თეორიული საკითხებისადმი. ასეთ საკითხთა რიგში დგას ახალი მეცნიერული მეთოდების ძიება და შემუშავება წყაროში ჩამარხული ფარული ინფორმაციის გამოსავლენად. განსაკუთრებულ მეთოდურ მიზანმას მოითხოვს წერილობითი დოკუმენტური წყაროები. დოკუმენტურ წყაროთა დიდი რაოდნობის, ამავე დროს, რომელი ინფორმაციული სტრუქტურის გამო მოლიანობაში მათი გამოყენება კვლევის პროცესში ძნელდება. მეორე მხრივ, წერილობითი დოკუმენტური წყაროების მონაცემების სრული ათვისების გარეშე შეუძლებელია ისტორიული სინამდვილის დინამიკაში წარმოდგენა, სოციალური პროცესების, პოლიტიკური და ეკონომიკური ძვრების ურთიერთგადამკვეთრი სფეროების დადგენა. ასეთი ფაზთო დაიაზონის საკითხების კვლევა მომავალში მოითხოვს წერილობითი დოკუმენტური წყაროების როგორც რაოდნობრივი მაჩვენებლების, ასევე თვისიობრივი მახასიათებლების ურთიერთკავშირში შესწავლას.

წერილობითი დოკუმენტური წყაროების მონაცემების ეფექტური ათვისების ერთ-ერთ გზად თანამედროვე წყაროთმცოდნეობაში უკვე ღიარებულია ელექტრონული გამომთვლელი მანქანის გამოყენება<sup>1</sup>. ისტორიული წყაროების მანქანურმა დამუშავებამ გამოიწვია ისტორიული მასალის (ინფორმაციის) ფიზიკური მატარებლების ახალი ნაირასახეობის — პერფობარათების, პერფოლენტების, მაგნიტური ლენტების და დისკოების გაჩენა<sup>2</sup>. მანქანაში შესატანი ინფორმაციის მომზადება ძალზე რთული და ურომატევადი პროცესია. იგი გულისხმობს მასალის დეტალურ შინაარსობლივ ანალიზს, მისი ინფორმაციული სტრუქტურის შესწავლას.

გამომთვლელ მაქანიში ისტორიული წყაროების შეტანის ორგვარი გზა ასებობს. ერთია ტექსტის შეტანა ყოველგვარი ცვლილების გარეშე, რათა მასალის სუბიექტური ინტერპრეტაცია იქნეს თავიდან აცილებული და მე-

<sup>1</sup> განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ელექტრონულმა გამომთვლელმა მანქანაშე ექნომიკის ისტორიისა და ისტორიული დემოგრაფიის საკითხების კვლევაში — ხ. Ю. Ю. ხახ, Некоторые аспекты применения математических методов в исторических исследованиях в отечественных исследованиях, წიგნი: Источниковедение отечественной истории М.—1976. С. 171.

<sup>2</sup> Х. Э. Палли, ЭВМ и новые возможности хранения исторической информации, წიგნი: Источниковедение отечественной истории М., 1977, с. 189.

ორე — ტექსტის ფორმალიზაცია, რაც იმთავითებენ მოხერხებულ პრატიცენტულ კვლევითი პროცესებისათვის. წყარილობითი დოკუმენტური წყაროები შედარებით ადვილად ემორჩილებიან ფორმალიზაციას. ამიტომ შესაძლებელია ასეთი წყაროების შეტანა გამომთვლელ მანქანში ფორმალიზებული სახით. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანს სწორედ ამ შესაძლებლობის განხილვა წარმოადგენს.

გამომთვლელ მანქანში მეცნიერული მიზნებით რაიმე დიდი მოცულობის მასალის შეტანა შეუძლებელია და გაუმართლებელი წინდაწინ შემუშავებული და შემოწმებული სამუშაო პროგრამის გარეშე.


წყარილობითი დოკუმენტური წყარო საკლასიფიკაციო ცნებაა — იგი აურთიანებს სხვადასხვა სოციალური ფუნქციის და სტრუქტურის დოკუმენტური წყაროების სახეობებს. ეს სახეობები წყარილობითი ფიქსაცია ისტორიულ სინამდვილეში გათამაშებული ტიპური მოქმედებებისა. ამდენად, დოკუმენტურ წყაროთა სახეობანი თავად წარმოადგენენ განსხვავებულ სოციალურ დამკიდებულებათა ამსახველ ენობრივ მოდელებს. ყოველი ცალკეული სახეობებისათვის შესაბამისი კომპიუტერული მოდელის შექმნა ოეორიულად დასაშევებია, მაგრამ ასეთი მოდელები მაღლ ამოწურავენ თავიანთ შესაძლებლობებს და მასშტაბური საკვლევი ამოცნების გადაჭრაში ისინი მონაცემების კვერცხის მიღებები. ინფორმაციის შეკრებისა და მოხმარების თვალსაზრისით სასურველია „სახეობათაშორისი“ კომპიუტერული მოდელის ავტობა, ანუ ისეთი მოდელისა, რომელიც გამოიყება დოკუმენტურ წყაროთა სახეობების უმრავლესობას. სწორედ ამ მიზნისაცენ არის ჩვენი ძიება მიმართული.

ყოველგვარი მეცნიერული მოდელი, შექმნილი კვლევითი მიზნებისათვის, გარკვეული ინტერესის შესაბამისად ასახავს შესასწავლ ობიექტს. რაც უფრო მეტი ინტერესის გათვალისწინება მოხერხდება მოდელში, მით უფრო სრულია იგი და მით უფრო მეტ საკვლევ ამოცანას შესარულებს. ამავე დროს, მოდელით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კავშირი ასახული ობიექტის სხვადასხვა პარამეტრებს შორის. ასეთ შემთხვევაში იქცევა იგი ისეთ მეცნიერულ აღწერილობად, რომელსაც, მასში ჩაღებული მონაცემების საფუძველზე ექნება ახალი ინფორმაციის მოწოდების უნარი, ასეთია კომპიუტერული მოდელის მიმართ წაყენებული მოთხოვნები.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ არცერთ მოდელს არ შეუძლია გადმოსცეს ტექსტის ინფორმაციული სიმდიდრე სრულყოფილად, მით უშემცის, როცა საქმე ეხება სხვადასხვა დანიშნულებით შედგენილი ტექსტების სტრუქტურებს. მეორე მხრივ, დოკუმენტური წყაროები შეიცავენ ისეთ მონაცემებს, რომელთა დაყვანა ზოგად ლოგიკურ კატეგორიებამდე მაინც შესაძლებელია. ასეთი მანიპულაცია რეალურად განხორციელებადი გვეჩვენება დოკუმენტური წყაროების ისეთი სახეობების მიმართ, როგორიცაა შეთანხმებითი, განკარგულებითი, სააღრიცხვო-სტატიისტიკური.


აღიმშნული სახეობების წყაროებში დაფიქსირებული ტიპური სოციალური ქმედებები გამოხატულია გარკვეული იურიდიული აქტებით. ეს იურიდიული აქტები შეიძლება მივიჩნიოთ ისტორიული სინამდვილის იმ სპეციფიკურ მახასიათებლად, რომელიც კრავენ ტიპურ, განმეორებად მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვას. სწორედ ამიტომ, წარმოდგენილი მოდელის ცენტრალურ ელემენტად შეიძლება ჩავთვალოთ აქცია. მოვლენათა ზოგადი

მიხეინ — შედევობრივი მიმართებები დოკუმენტებში რეალიზებულია კონკრეტული გრანულობის მიხეინის და კონკრეტული ქმედებების თუცილებელი (ზღვრული) რაოდენობის ურთიერთყავშირში. ეს ზღვრული რაოდენობა ტექსტის შინაარსობრივი ელემენტებისა ქმის კომპიუტერული მოდელის ასევე ზღვრული რაოდენობის ელემენტებს. ჩვენთვის საინტერესო წყაროთა სახეობების შემთხვევაში აქციასთან (მოდელის ცენტრალურ ელემენტებთან, რომლიც შეიძლება განვიხილოთ როგორც მოვლენათა შედეგი), დაკავშირებული აღმოჩნდება შემდეგი ელემენტები: აქციის შემსრულებელი, აქციის მიმღები (ადრესატი), აქციის საბაბი (ეს ელემენტები ერთობლიობაში წარმოადგენენ აქციის მიზეზს); ყოველი აქცია სრულდება გარკვეულ სივრცესა და დროში, ამდენად დაემატება კიდევ ორი ელემენტი: ადგილისა და დროის; აქცია უშუალოდ ურცელდება რაღაც ობიექტზე, რაც ცალკე ელემენტად აისახება მოდელში. გრაფიკულად ამ ელემენტთა ურთიერთობა ასე შეიძლება ილიჭეროს:




ნახ. 1

ელემენტების კავშირი ერთმანეთთან განხორციელდება ცენტრალური ელემენტის — აქციის საშუალებით. არაიშვიათად საბუთის ტექსტი ორ თანაბარულებიან, გამსვავებული სოციალური ფუნქციის გამომხატველ აქციას აღწერს; ასეთი შემოხვევა მოდელში შეიძლება აისახოს ცენტრალური ელემენტის გაორმავებით ჰორიზონტალურ სიბრტყეზე შესაბამისი კოდებით.



ნახ. 2

ასეთივე განმეორება ჰორიზონტალურ სიბრტყეზე შესაძლებელია ყოველი ელემენტისა, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვს. შესაძლებელია აგრეთვე მოცემული მოდელით ყოველი ელემენტის შიგნით იერარქიული დამოკიდებულებანი იერარქიული კოდების სისტემის გამოყენებით. ელემენტის ფარგლებში უფრო მცირე ელემენტების იერარქიული კავშირი გრაფიკულად ასეთ სახეს მიიღებს:



656. 3

აღწერილი მოდელის მიხედვით, დოკუმენტური წყაროს მონაცემების და-ჯგუფება ნიშნავს მასალის წარმოდგენის ინფორმაციულ სტრუქტურებად. მა-შესაძლებელი წარმოდგენილი მოდელის თვითონეული ელემენტი უნდა შეესა-ბამებოდეს გარკვეულ ინფორმაციულ სტრუქტურას. საკუთრივ ასეთი სტრუქ-ტურები თვით ტექსტში, შესაძლოა, მარტივი შედგენილობის იყოს, შესა-ძლოა — რთული<sup>3</sup>. მა უკანასკნელში იგულისხმება ისეთი შემთხვევები, რო-დესაც მოდელით აღსაწერი საგნები ისაზღვრება მრავალი სხვადასხვა განზო-მილების და კატეგორიის მახსიათებლით. ასევე შესაძლებელია ტექსტში აღ-საწერ მოქმედებებს თან ერთვოდეს მთელი წყება დამატებითი ქმედებებისა, რომლებიც თავთავისი პარამეტრებით აღიწერება. ასე რომ, გროვდება უამ-რავი ინფორმაცია, რომელიც მოითხოვს აღწერას, მაგრამ უკვე დახსიათებულ კომპიუტერულ მოდელში ადგილს ვერ პოულობს. ასეთი ინფორმაციის შენახვა, ჩენენი აზრით, უნდა მოხდეს ე. წ. საგნობრივ ბანკებში, მხოლოდ იმ პირობით, რომ აღწერილი მოდელის ყოველი ელემენტის კავშირი საგნობრივ ბანკთან და პირუელ უზრუნველყოფილი უნდა იყოს. საგნობრივი ბანკები, განზრა-სულია, შეიქმნას პერსონალისათვის, აქციის ობიექტისათვის, გადასახადთა-თვის ტერმინებისათვის. საგნობრივი ბანკების შექმნა ორ ამოცანას გადა-ჭრის: 1. მასში იქნება მოდელში წარმოდგენილი ინფორმაციის შემაგებელი მონაცემები და 2. საგნობრივ ბანკებში წარმოდგენილი ინფორმაცია უკვე იქნება კლასიფიცირებული ცოდნა.

დოკუმენტის ტექსტის ძირითადი აქცია, რომელიც მოდელში ჩვენთვის მთავარ, მოსაგალ ელემენტს ქმნის, არ არის ერთადერთი აქცია ტექსტში. ეს მიზრად მასთან დაკავშირებულია, ან მასგან გამომდინარეობს სხვადასხვა აქციათა წყება, რომელთა გარეშე ტექსტის შინაარსი ვერ იქნება სტრუქტურულად წარმოდგენილი. ეს აქციებიც უნდა აისახოს მოდელში. ასეთი აქციები ქმნიან ძირითადი აქციის გამომდინარე ერთგვარად „სუვერენულ“ განშტოებებს, რომელებიც შინაარსობრივად დაკავშირებულნი არიან ძირითად აქციასთან. ყოველგვარი ასეთი განშტოება შეიძლება დამტკიცებლად დაუყვანილ იქნეს ძირების მიზანით მოდელის ელემენტებზე. ეს საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ ერთი სტრუქტურის მოდელი და ღვეუროთ ტექსტის სხვადასხვა შინაარსობრივი მონაცემები. მთავარი მომენტი ასეთ შემთხვევაში არის აქციების იერარქიული სათვისტოების მითითება (იერარქიული კოდებით) ძირითად მოდელშა.

და მის „განშტოებებს“ შორის. ასე რომ, დახასიათებული მოდელი აღსაწერი ტექსტის ინფორმაციული სისტემის გადმოსაცემად განმეორდება იმდენჯერ, რამდენჯერაც ამას ტექსტი მოითხოვს.

სტრონიული დოკუმენტის ტექსტი, როგორც ცნობილია, შედარებით თხრობით წერილობით წყაროებთან, უფრო აღვილად ემორჩილება ფორმა-ლიზაციას, რადგან დოკუმენტის ტექსტში შესაძლებელია შეტ-ნაკლები სიმ-ყარის სტრუქტურული ელემენტების გამოყოფა. მაგრამ დოკუმენტების ტექს-ტი შემოლოდ ასეთი ელემენტების ერთობლიობას არ წარმოადგენს. მასში არაშემოთხოვთ არის ჩართული: 1. თხრობა რომელიც სტრონიული მოვლე-ნის შესახებ, 2. ნორმატიული ტექსტი (ეს უკანასკნელი გარკვეული აზრით, თავად წარმოადგენს ფორმალიზებულ ტექსტს). ასეთი მასალის წარმოდგენა კომპიუტერში შესაძლებელია ცალკე ბანკების სახით. მასალისადმი ამგვარი დიფერენცირებული მოდგომა შედეგად მოვცემს: 1. დოკუმენტებიდან ამო-კრეფილ ქრონიკულ ცნობებს და ისტორიულ გადმოცემებს თავმოყრილად და კლასიფიცირებულად. 2. საკანონმდებლო ხსიათის ტექსტებს. მომვალში შესაძლებელი გახდება, რომ იგი ასეთი სახით საკანონმდებლო ძეგლების ატრომატიზებულ ბანკს შეუერთდეს.

როგორც აღინიშნა, აღწერილი მოდელის თითოეული ელემენტი თავის-თავად, შესაძლოა, რთულ ინფორმაციულ სტრუქტურას ქმნიდეს. ასეთი სტრუქტურები აღინიშნება ცალკე საგნობრივ ბანკებში, რომელთა შინაარსი და მოცულობა განისაზღვრება შესატანი მასალის დამუშავების ხარისხით. საგნობრივ ბანკებში, წინასწარი ვარაუდით, უნდა იქნეს გაერთიანებული სა-ერთო მასალისათებლებით აღსაწერი საგნები. ასეთთა შორის გამოვყოფთ პერ-სონებს, გადასახადებს. ასევე ცალკე საგნობრივ ბანკში შესაძლოა გაერთი-ანება ყველა იმ საგნის, რომელიც შეიძლება იქცის ობიექტის ფუნქციას სრულებრივი. აյ შევა უძრავ-მოძრავი ქონება, ფული და თანამდებობანი (აქ-ცის აბიექტი შესაძლოა, იყოს პერსონა. ასეთ შემთხვევაში ეს აბიექტი შე-ვა პერსონალის ბანკში).

პერსონალის ბანკში თავს მოიყრის შემდეგი მახასიათებლები: პერსო-ნის საკუთარი სახელი, გვარისახელი ან გვარი, ზედწოდება, ზედმეტი სახელი, პერსონის ნათესაური დამოკიდებულებანი სხვა პერსონებთან (აյ შეიძლება გამოვიყენოთ ნათესაურ დამოკიდებულებათა ინდექსები), პერსონის სოცი-ალური სტატუსი, თანამდებობა, პროფესია, იურიდიული კატეგორია, პირადი მდგრადირობა, ასაკი, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი, აღმსარებლობა, პერსონის ქონებრივი მდგრადირობა, პერსონის საგადასახადო ვალდებულება. სირთულეს ქმნის პირის საკუთარი სახელი და გვარისახელის ისტორიული ენთიტეტი ვარიანტები. საკუთარ სახელთა სტანდარტიზაცია აუცილებელია კომპიუტერში შეტანისას, წინააღმდეგ შემთხვევაში ძიება ვერ განხორციელდე-ბა. ამავე დროს, სტანდარტიზაცია გამოიწვევს საკუთარ სახელთა ისტორი-ული ფორმების სხვა დაკავშირებულ ბაზაში დაცვის აუცილებლობას. იგივე სირთულე გმოვლინდება ტოპონიმების ვარიანტების გადმოცემისას.

აქციის ობიექტად წარმოდგენილი საგნები ჯგუფდება ოთხ კატეგორიაში: უძრავი ქონება, მოძრავი ქონება, ქონება-უფლება, ქონება-ფული. ამ ობი-ექტებს აქვთ საერთო ფუნქცია და საერთო ფუნკციონალური მახასიათებლები. აქვთ ავტოთვე განსხვავებული მახასიათებლებიც, რამდენადაც განსხვავებული რიგის საგნები ერთიანდება ობიექტის ფუნქციით. საბოლოო ჯამში, მახა-

სიათებელთა საერთო რაოდენობა საშუალებას იძლევა გავაერთიანობაზე შეცელების ერთ ბანკში. ობიექტი — უძრავი ქონების დახასიათება ხდება შემდეგი ნიშნებით: ობიექტის ხსიათი, რაობა, სახელწოდება, სადაურობა, მდებარეობა, საზღვრები, რაოდენობა, ფართობი, მოცულობა, სამეურნეო თვისებები, დანიშნულება, ფასი, საგადასახადო ვალდებულება. ობიექტი მოძრავი ქონება, თუ იგი წარმოლებენილია ადამიანით ან ინდივიდუალით გული, უნდა აღიწეროს პერსონალის ბანკში. თუ ობიექტი — მოძრავი ქონება — არის არა-ადამიანი, მაშინ მისი აღწერილობა ემთხვევა უძრავი ქონებისას. სპეციფიკური მახასიათებლები აქვს ობიექტ-უფლებას. ეს მახასიათებლებია: თანამდებობა (ან უფლების რაობა), უფლების გაფრცელების სფერო (გეოგრაფიული ან ადმინისტრაციული საზღვრები, დროული ვადები), უფლება-თანამდებობის უწყებრივი სფერო, იერარქიული დამოკიდებულება სხვა უწყებრთან უფლება-თანამდებობასთან დაქვემდებარებული სხვა თანამდებობები, უფლება-თანამდებობის სარგო: სამოხელეო ტერიტორიები, სამოხელეო ფულადი შემოსვალი. სამოხელეო გადასახადო (ყველა ეს კატეგორია უნდა აღიწეროს შესაბამის სხვადასხვა ადგილს), უფლება — თანამდებობის თანამოზიარე სხვა უფლება-თანამდებობა. აქციის ობიექტი — ფული: დანიშნულება — მოხმარების სფერო, ერთეულის სახელწოდება, თანხის რდენობა, წარმოშობის წყარო, წარმომავლობა, ინსტაცია (უშუალო გამცემი) თანხის მატარებელი, თანხით სარგებლობის დროული მახასიათებელი, თანხაზე დადებული %, პროგრესულობა, თანხის სასაქონლო ეკვივალენტი, თანხისათვის გაცემული გარინტია.

დოკუმენტში ჩამოთვლილი საგადასახადო ერთეულების სახელწოდებები, აგრეთვე შრომითი ვალდებულებების სახელწოდებანი შესაძლებელია ერთ ბანკში მოთავსდეს. მთელი მეტნაკლებად სრული აღწერისათვის შემდეგი მახასიათებლების გამოყოფა არის აუცილებელი: გადასახადის (ან ვალდებულების) სახელწოდება, საგადასახადო ერთეული, გადასახადის რაოდენობა, გადასახადის ეკვივალენტი, გადასახადის დანიშნულება, გადასახადის გადახდის ვადები, გადასახდის აკრეფის ადგილი, გადასახდის მატარებლები პერსონა (მასშე დაწვრილებითი ცნობები იქნება პერსონალის ბანკში). გადასახადის დანიშნის ან მისგან გათავისუფლების შემთხვევები ერთმანეთისაგან უნდა გამოიხსნოს პირობითი ნიშნებით.

ასეთია წინაწარი ვარაუდი დოკუმენტური წყაროების გარკვეული სახეობების მონაცემების კომპიუტერში გადატანისათვის მოსამაშადებელი სამუშაოებთან დაკავშირებით. ტექსტის ინფორმაციულ სტრუქტურებად დაშლა და ამგვარად მისი სემანტიკური მოდელის ინფორმაციული წარმოდგენა, ჩვენი აზრით, წინაპირობა იქნება მომავალი კვლევითი პროცესებისათვის.

Т. Е. АБАШИДЗЕ, М. К. СУРГУЛАДЗЕ

## ПРЕДВАРИТЕЛЬНЫЙ ОТЧЕТ О СОЗДАНИИ АВТОМАТИЗИРОВАННЫХ БАНКОВ ДАННЫХ ИСТОРИЧЕСКИХ ДОКУМЕНТОВ

### Резюме

В настоящей статье дается попытка создания компьютерной модели данных исторических документальных источников — договорного вида. Целью модели является удовлетворение исследовательских задач широкого круга.

Центральным элементом представленной модели авторы считают юридическую акцию, т. к. акции в исторических юридических актах создают ядро причинно-следственных отношений. Акция, как исходная «площадка» для построения модели, обуславливает наличие остальных минимально-необходимых элементов. Такими являются: адресант, адресат, объект акции, причина акции, время и пространство. Описанная модель состоит из семи элементов и как бы имитирует описываемую реальность. Каждое из звеньев этой модели будет иметь выход к отдельным информационным банкам, в которых будет введена однотипная информация в упорядоченном виде.

---

დ. კლიფაშვილი, % სიღრმული

## 980 ტლის წარმორა თელოვანის ჯვარპატიონისიდან

თელოვანის ჯვარპატიონისანი სოფელ ქსოვრისის განაპირას, ძველი ნა-  
სოფლარის ადგილას დგას. ეს მომტრო, უმბათიანი ეკლესია VIII—IX სს-ით  
თარიღდება<sup>1</sup>. იგი ფერწერით ორჯერ შეუმექიათ: პირველი, შედარებით აღრე-  
ული ხანის მხატვრობა მხოლოდ საკურთხევეელს ამკობდა, მეორე ფენის მო-  
ხატულობის ფრაგმენტები კი ნაკებობის ინტერიერის სხვადასხვა მონაცემთან  
შემორჩენილი. ეკლესის თავდაპირველ მოხატულობას სამეცნიერო ლიტე-  
რატურაში მისი აგების დროს, IX საუკუნეს აუთვნებენ, ფერწერული შემ-  
კულობის მეორე ფენის შესრულების სავარაუდო პერიოდად კი X საუკუ-  
ნის დამლევე, ან X—XI საუკუნეების მიზნა მიჩნა მიჩნეული<sup>2</sup>.

მოხატულობის ორივე ფენა ეკლესიაში ნაკაშრი წარწერებით არის და-  
ფარული. ტ. შევიაყვას ცნობით, მათვის ამ სამი ათეული წლის წინ ყუ-  
რადლება პირველი თ. ბარის ვერს, რომელსაც ბათქაშის ორივე ფენაზე გრა-  
ფიტის შესრულების სავარაუდო ხანა ზოგადად X საუკუნით, X—XI სა-  
უკუნეთა მიჯნით გრძელდებოდა. თელოვანის მოხატულობის მეორე ფენის  
შესრულების ზედა ზღვარი სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით იქნა  
დაგენილი<sup>3</sup>.

თელოვანის შესახებ წერილობით წყაროებში დაცული ცნობები, თავად  
ძეგლის შესანიშნავი ხუროთმოძღვრება, მხატვრობა და აქ არსებული IX—XI  
საუკუნეების ნაკაშრი წარწერების როგორც შინაარსობრივი, ისე მაღალა-  
ლიგრაფიული ხსნათი ვავარაუდებონებს, რომ თელოვანის ჯვარპატიონისანი  
სამეფო სახლის ან მცხეთის ეკლესის მიერ აკებული ძეგლია, რომლის  
აშენებაც IX საუკუნისათვის სოციალურ-ეკონომიკურად დაწინაურებულ ნას-  
ტაკის-სამუხრანოს რეგიონში განპირობებული უნდა ყოფილიყო გარევეული  
პოლიტიკური და კულტურულ-იდეოლოგიური მიზნებით<sup>4</sup>.

ეკლესის მოხატულობის შესწავლის პროცესში კიდევ უფრო გამოიყვე-  
თა ნალესობის სხვადასხვა ფენაზე ნაკაშრი და სალებავით შესრულებული  
წარწერების სავანებში კელევის აუკალებლობა, რამდენადაც, მათ შესწავლის  
არსებითი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ძეგლის ისტორიისათვის, ასევე  
მოხატულობის შესრულების დროისა და იკონოგრაფიული პროგრამის ცალ-  
კელი საქითხების ნათელსაყოფად. მეორე მხრივ, თელოვანის ნაკაშრი წარ-  
წერები IX—XI საუკუნეთა ასომთავრული და ნუსხური დამწერლობის შესა-

<sup>1</sup> ვ. ციცელი, თელოვანის ჯვარპატიონისანი, „Ars Georgica“, 5, 1959, გვ. 73—89.

<sup>2</sup> Т. С. Шавякова, Дата постройки первого слоя храма Теловани, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მომბეჭ, XXXIV, № 1, 1964, გვ. 235—242.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 235.

<sup>4</sup> ამ საკონხებს ეძღვნება ჩვენი საგანგებო ნარკვევი, რომელშიც თელოვანის ჯვარპატი-  
ონისანი ნაკაშრი წარწერები იქნება თავმოყრილ და განალიშებული.

ନେଇନାବେ ନେଇଶ୍ଵରବିଦୀତା ପ୍ରାରମ୍ଭଦର୍ଶକଙ୍କାଳୀ, ରାଜାପୁ, ତାବେଳ ମେରିଓ, ଡିଲ୍‌ ମେଇଶ୍ଵର୍କେଲ୍-ପରିପରାଜୟକାଳୀ ଅନୁଷ୍ଠାନିକୀୟରେ ଦେଖିଲୁଗାଯାଇଥାଏବେ।

ეპიგრაფიკულ ძეგლთა შორის ნაკაშტ წარწერებს, ანუ გრაფიტებს, გა-  
მოჩეული ადგილი უკირავს. თავისი ხასიათით ისინი ახლოს დგანან შელნით  
ჩბილ მასალაზე შესრულებულ დამწერლობის ნიმუშებთან. დადგენილია, რომ  
მ სახის ეპიგრაფიკულ ძეგლებში გრაფიტების მოხაზულობა და მათი განვი-  
თარება არსებითად ხელნაწერი წიგნის ასოთა მოხაზულობასა და მათი ეკო-  
ლუციას შეესაბამება. გრაფიტები ასევე მსგავსებას ამჟღავნებენ ჭედური  
ხელოვნების ძეგლებზე შესრულებულ დამწერლობის ძეგლებთანაც.

გრაფიტები ჩვეულებრივ ამოკაწრულია სხვადასხვა სოციალური ფენის, მსოფლმხედველობისა და განათლების ქვეყნებით პირთა მიერ, განსხვავებით სხვა სახის ეპიგრაფიული ძეგლებისა და ხელაწერებისაგან, რომლებიც, ჩვეულებრივ, შესრულებულია პროფესიონალი დამწერის მიერ ენობრივ-ორთოგრაფიული წესებისა და შესრულების შესაბამისი ტექნიკის დაცვით. ბუნებრივია, რომ ნაკაწრი წარწერის შემსრულებელი, რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელიც უნდა იყოს იგი, ისევე ამოკაწრავს წარწერის კედლის შელესილობაზე და შედარებით ჩბილ ქვის ზედაპირზე, როგორც მას შელნით ჩბილ მასალაზე დაწერდა. სწორედ ეს გარემოება, ამოკაწრობის პროცესის განსხვავება კვეთის ტექნიკისაგან, უნდა განაპირობებდეს მასალის ხსიათიან ერთად (ცედლის ნალესობა, კალმისებური წვეტიანი იარალი) გრაფიტების პალეოგრაფიულ მსგავსებას ჩბილ მასალაზე (ცტრატი, ქალალდი) შესრულებულ დამწერლობის ძეგლებთან. ამავე დროს, ნაკაწრი წარწერები, თავისი შესრულებისა და შინაარსობრივი ხსიათიდან გამომდინარე, ბევრად უფრო ხალხური და პალეოგრაფიულად მრავლდერვანია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ სახის ეპიგრაფიულ ძეგლებში, მხოლოდ ხშირად ხმარებულ ასოთა გრაფიული მოხაზულობის მიხედვით, გრაფიტებისათვის დამასახიათებელ სპეციფიკურ თავისებურებად ასოთა არქაული ან, პირიკით, უფრო განვითარებული ფორმების მიჩნევა მეთოდოლოგიურად არ უნდა იყოს გამართლებული. ყოველივე ეს საქმაოდ ართულებს ამ ტიპის ძეგლებისათვის დამახასიათებელი პალეოგრაფიული კანონზომიერებების დაღვნის და ამა თუ იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მათ დათარიღებას. სწორედ ამიტომ, გრაფიტების დათარიღებისა და პალეოგრაფიული თავისებურებების შესახებ მსჯელობისას, წარწერის პალეოგრაფიული, ორთოგრაფიული და ძეგლის როგორც საულორ დანიშნულების, ისე მისი არქიტექტურულ-სტრატიგრაფიული მონაცემების გვერდით, გადამწევეტი მნიშვნელობა ენიჭება დამწერის წარმომავლობას, მისი სოციალური ფენის განსხვავრას.

ნაკარტი წარწერების შესახებ აქ გამოთქმულ მოსახრებასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საგულისხმოა 980 წლით დათარიღებული გრაფიტი თელო-ვასის ფარავარტიონსანიდან. აქეე ამოკარტულ აღრეული ხანის სხვა გრაფიტებთან შედარებით ამ წარწერას უპირატესობა მიენიჭეთ იმდენადც, რამდენადაც ითვისრი მნიშვნელოვანია ეკლესიის ფარწერული შემცულობის ფენებისა

<sup>5</sup> А. А. Медынцева, Древнерусские надписи Новгородского Софийского собора, XI—XIV века, М., 1978, с. 179—188; С. А. Высоцкий, Киевские граффити XI—XVII вв., Киев, 1985, с. 126, 129; *бългр.*, Древнерусские надписи Софии Киевской, XI—XIV вв., вып. 1, Киев, 1966, с. 53, 119—120.

და აქევე არსებული სხვა უთარილო წარწერების ქრონოლოგიის დასტურებული, აგრეთვე ქართული ხელოვნებითი დამწერლობის, კერძოდ კი ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმების ზოგი საკითხის გასათვალისწიობლად.

წარწერა სომთავრულითა შესრულებული; იგი საკურთხევლის სამხრეთ ქდელზე, სარკმლის გვერდით ამოუკაწრავთ, იატაფილან 181 სმ სიმაღლეზე. წარწერის ერთ-ერთ თავისებურებად შეიძლება ჩითვალის დამწერის მიერ ტექსტისა და სონების უჩვეულო კომპოზიციური განაწილება. გრაფიტის ერთსტრიქონიან ტექსტში ერთმანეთს ენაცელება სხვადასხვა ზომის სტრილებული, მცენარეული ორნამენტით, რომებითა და ვერტიკალური შტრიხებით გაფორმებული სახედაო და მცირე ზომის სონები (გრაფემების სიმაღლე 1,6-დან 37,2 სმ-დაც აღწევს), რომელთაგან უფრო დიდ, სახედაო გრაფემებში მომცრო სონებით წარწერის ძირითადი ტექსტია ჩაწერილი. წარწერისათვის ასევე დამხასიათებელია ლიგატურა (†, ს, ქ; +, ქ), ერთი და იგივე გრაფემის გამოყენება რამდენიმე სიტყვისათვის—საუბრით მცირე ზომის ც და ც ახსები (1,7; 3,5 სმ.) სიტყვებისათვის (ც)ც(უ)ც—(ე)(ა)ცლითა და ც(ქ)ც(უ)(ც)ც—ლ(მ)თის(ა)დთა, რომლებიც სტრიქონის დასწყისში ამ სიტყვებს ქვემოთ არის ამოკაწრული; ზ—დამწერის სახლისა და მამის სახლის გადმოსაცემად; ქ—სიტყვებისათვის ზ(ც)+ც(უ)(ც)—(ჟ)(ა)ქარ(ია) და +(ა)ქ(არ)ქ(არ)ს—ქ(ო)რ(ონა)-ქ(ონ)ხა. ჩვენთვის ცნობილ ძვლთაგან კომპოზიციურად მსგავსად არის განაწილებული ტექსტი ლითნეს ეკლესიის 1066 წლის ცნობილ წარწერაში კომეტის გამოჩენის შესახებ. მხატვრული გაფორმების მიზნით წითელი სლებავთ შესრულებულ ასომთავრულ წარწერაში ყოველი სიტყვის პირველ მოზრდილ გრაფემაში ამ სიტყვის მომდევნო მცირე ზომის სონებია ჩასმული. ყოველივე ეს მნახველზე იგივე შთაბეჭდილებას ახდენს, რასაც მონუმენტური დამწერლობის თვალსაჩინო ძეგლი<sup>6</sup>. ლითნესგან განსხვავებით, თელოვანის გრაფიტში სხვადასხვა ზომის სახედაო სონების მონაცელება და ტექსტის კომპოზიციური განაწილება გამოყენებულია არ მარტო წარწერის შხატვრული გაფორმებისათვის, არამედ მას ენიჭება აზრობრივი დატვირთვაც შინაარსის გადმოსაცემად.

წარწერა იწყება დიდი ზომის სამი ასოსაგან (†, ს, ქ) შემდგარი ლიგატურით რომელსაც ასევე დიდი ზომის გრაფება (II) და შედარებით მომცრო ასოები (ს, ც, ჭ, ე) მოსდევს. სტრიქონს ქვემოთ, II გრაფების ქვეშ ამოკაწრულია მცირე ზომის ცტ ასოები. ტექსტის ამ მონაკვეთი შემდეგნაირად ვყითხულობთ: + სპუზეც ისახაც მუ—ქ. ს(ა)ხლითა ღ(მრთ)ის(ა)დთა მე. ტექსტი შემდგომ გამორჩეულად დიდი ზომის გრაფებით გრძელდება (ზუცტ), რომლებიც დამწერს საკუთარი ვინაობის გადმოსაცემად გამოიყენებია. ზ გრაფება, მის მუცელში ჩაწერილ მომცრო ასოებთან ერთად (ზუსტი[ჭ]ჩ), დამწერის მათის სახელს ან გვარს გადმოვცემს: ზუ(ც)ს ძ.ჭ[ი]ც[ი]ჩ—ჰე(აა)სძე[გ](ა)ნ. დიდი ზომის ასოები ზუცტ-კი დამწერის ს ახლოს უნდა ონიშნავდეს. ცხადია, აქ უნდა წავიკითხოთ სახელი ზ(ც)+ცტ(ც)—ზ(ა)ქარ(ა). საკუთარი სახელის მევარი დაქარაგმება შემდევით უნდა იყოს ვიზოւელი: ზუ საზედაო ასოების შემდევ ც გრაფება დამწერს სჭირდება მასში სიტყ-ვის რზტქმ—დ(ა)ვწ(ე)რე ჩასწერად; ამავე დროს, ტექსტის კომპოზიციური განაწილებისას გათვალისწინებულია ქორმინიკონის გადმოცემაც. ფუ ასოებისაგან შემდეარ ლიგატურუში ქ გრაფება გამოიყენებულია, როგორც საკუთარი სახლი

<sup>6</sup> ვ. სილოგავა, ქართული წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ, „ლიტერატურული საქართველო“, 7, 11, 1986, გვ. 5—6.

სათვის ზურა — ზ(ა)ქარ(ია), ისევე სიტყვისათვის ტქესც — ქ(ო)რ(ონი)კ(ონ)ქ(ონ) და სამართლის აღმნიშვნელი ასოს-ს, იგი დიდი ზომისა (16,6 სმ) ამასთან, ტექსტის ძირითადი სტრიქნისაგან რამდენადმე ზემოთ არის ამოკუწული და თავზე ქარაგმის ნიშანი უჩის. თელოვანის გრაფიტში ქარაგმის ნიშან იხმარება განივი სწორი ხაზი, რომელიც ორმხრივ ბურთულებითა გაფორმებული; განკვეთილობის ნიშან დასმულია ორწერტილი, რომელიც ასევე ბურთულებით არის გადმოცემული.

წარწერა დაზიანებულია საგანგებო ნაკეპნებით, რომლებიც ნალესობის ახალი ფენის შესაძლებლად გაუკეთებიათ. ტექსტი ძალზე წვრილი, კალმისებური იარაღით ბათქაშზე იმდენად ფაქიზად არის ამოკუწული, რომ დღეისათვის იგი მხოლოდ ხელოვნური განათებისა და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად იყოთხება (ნახ. 1):

+ სპარსურ ისახა შე ზურა შე ზურა შე ზურა შე ზურა შე ზ.

ქ. ს(ა)ხელითა ღ(მრთ)ის(ა)მთა მე, ვ(ი)ახდე მ(ა)ნ ზ(ა)ქარ(ია) დ(ა)ვწ(ე)რე, ქ(ო)რ(ონი)კ(ონ)სა ხ. (ე. ი. 780+200=980).

თელოვანის გრაფიტის განსაკუთრებული სიახლოვე ქართული ხელნაწერი წიგნის საზედაო ასოებთან მას სრულიად გამოცალკევებულად აყენებს დღეისათვის ცნობილ სხვა ქართულ ეპიგრაფიულ ძეგლთა შორის. საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებასაც, რომ წარწერა თარიღიანია. მიტომ მისი განხილვა ქართული ხელოვნებითი დამწერლობის განვითარების საერთო ფონზე საფულისმო უნდა იყოს.

შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმების პრინციპთა საგანგებო კვლევის საფუძველზე დღეისათვის უკვე შესაძლებელი ხდება ხელნაწერში ტექსტის შემცულობის ევოლუციის ძირითადი ეტაპებისათვის თვალის ვადევნება<sup>9</sup>. დაღვენილია, რომ უძველეს, VII—IX სს. ნიმუშებში ქართული ხელნაწერის ასოთა შეკულობა შედარებით მშირია, ხელნაწერის ფურტლები დეკორაციული მორთულობის გარეშეა დატოვებული და ისტატია ძირითადი ყურადღება ტექსტის საერთო კომპოზიციურ განაწილებას ექცევა. ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრული განვითარების ამ ეტაპ-

7 IX—XI საუკუნეებიდან მოკიდებული, ჭედურ და ეპიგრაფიულ ქართულში ქარაგმისა და განკვეთოლობის ნიშნების გაფორმებისათვის ძირითადი მსგავსი ელემენტები იყო გამოყენებული (ც. გაბაშვილი, შედა ვართა, თბ., 1985, გვ. 88); საყურადღებოა, რომ ასევე ბურთულებით არის გაფორმებული ქარაგმის ნიშანი X ს-ის დამლევით დათარიღებულ ზედშენის კანკვლის ფილის წარწერებში (ც. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1961, გვ. 65—76).

8 სანიმუშონდ შეიძლება დავასახლოთ ზედა გარდის ლაპიდარული წარწერა, რომელიც ხელნაწერი წიგნის საზედაო ასოებთან შეჯერების საფუძველზე ც. გაბაშვილის მიერ X—XI სს. მიგნით არის დათარიღებული (ც. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 23—44).

9 ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რ. შეერლინგის ორტომიანი ფუნდამენტური გმიკლევა—Художественное оформление грузинской рукописной книги IX—X вв., Тб., 1979 ამასთან დაკავშირებით აგრეთვე იხ.: ე. მაჭავარიანი, ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი ქართულ ხელნაწერების მიხედვით (V—XIII სს.), „მრავალთავი“, II, 1973, გვ. 236—240; მისივე, გალამწერსა და მხატვარს შორის შრომის განვილების საკითხისათვის ხელნაწერი წიგნის მხატვრული კომპოზიციის შექმნის დროს, „მრავალთავი“ IV, 1975, გვ. 19—33; მისივე, ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორაციული სისტემის განვითარება (X—XIV სს.), „მრავალთავი“, VIII, 1980, გვ. 50—61.



ՅՅՅ. 1

Ње Щећијуљи საზედაო ასოები არ ვენდება — ისინი ძირითადი ტექსტისაგან  
ფაქტობრივად მხოლოდ თავისი ზომებით გამოიყოფა. საზედაო ასოების აქ-  
ცენტრირებისათვის ზოგ შემთხვევაში გამოიყენება სხვადასხვა ფერის მელანი,  
თუმცა ასოები კვლავ სამეულის გარეშეა დატოვებული.

X საუკუნის შუახანებიდან მოყიდვებული, თანდათანობით ჩნდება საზე-ზაო ასოების დეკორაციული შემკობისაკენ მისწრაფება. ძირითადი ტექსტი-დან ფრერით გამოყოფის გარდა, თუმცა ჭერ კიდევ სუსტად, მაგრამ მაინც, შეინიშნება გრაფიკების დამატებითი ელემენტებით გაშვერების ტენდენცია. ეს ძერები შედარებით თვალსაჩინო X საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ჩდე-ბა — იმანად საზედაო ასო უკვე იღებს გარკვეულ მხატვრულ ფორმას: ძი-რითადი ტექსტიდან ზომითა და ფრერით გამოყოფის გარდა, მას დამატებითი დეკორაციული ელემენტებიც უჩნდება. აღნიშნული პერიოდის ნიმუშებში სამკული ჭერ კიდევ თავშეკავებებითა გამოყენებული და გაფორმება გრა-ფემაზე მცირე ნიშნავების დამატებით, თავად ასოს ნაწილობრივი სტილიზა-ციით ან მისი ფორმის გარკვეული სახეცვლილებებით მიიღწევა<sup>10</sup>.

ხელნაშერი ჭიგნის დეკორაციული ელემენტებით გამზევინირებისა და ასთა შექმნისავენ სწრაფვა განსაკუთრებით საგრძნობია X საუკუნის მიწურულის, მთ უფრო კი XI საუკუნის დასაწყისის ნიმუშებში. ამ პერიოდისათვის უკვე ფართოდ გამოიყენება დეკორაციული გაფორმება — იგი ძირითადად ყვავილოვანი მოტივებისაგან არის შედგენილი. ერთი ან რამდენიმე ფერით შექმული კიდურულყვავილოვანი საზედაო ასო ტექსტის საერთო კომპოზიციას იმ ნატივ დეკორაციულობას ანიჭებს, რომელიც ჯერ კიდევ სუსტად ვლინდება X ს-ის მეორე ნაცვრის ხელნაშერებში<sup>10</sup>.

ამჟამად X საუკუნის ზუსტად დათარიღებული სულ რამდენიმე ქართული ხელანძერია ცნობილი. ეს, ცხადა, რამდენადმე ართულებს ხელოვნებით დაწერალობის განვითარების სურათის შეძლებისდაგვარად სრული სახით წარმოდგენას. თელოვანის 980 წლის წარწერა, ვფიქრობთ, ამ მხრივ საულისხმო მასალის გვევლის.

თელოვანის გრაფიტი ქართული ხელოვნებითი დაწერლობის თვალსა-  
ჩინო ნიმუშია. წარწერა თავისი შესრულების ხასიათითა და მხატვრული გა-  
ფორმების პრინციპით უდაოდ მეტყველებს იმაზე, რომ იგი პროფესიონალი  
კალიგრაფის, ხელნაწერის გადამწერ-დეკორატორის მიერ არის შექმნილი.  
მეგვარი მოვლენა ისტატი კალიგრაფის ან მხატვარ-მინიატურისტის მიერ  
კეთვესიაში ნაკაშრი წარწერებისა და ნახატების შესრულების ფაქტი კარგა-  
და კუნძილი სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>12</sup>.

თელოვანის გრაფიტში დაწერი ტექსტის კომპიუტორი განაწილების, აგრეთვე საზედაო და მცირე ზომის გრაფიმების მონაცელების საშუალებით შეფარვით გაღმოსცემს თავის სახელს. ანალოგიური მოვლენა — კალიგრაფ-ჟურნალის ან მხატვარ-მინისტრის მიერ თავისი ვინაობის შეფარვით

<sup>10</sup> Р. О. Шмерлинг, დასახ. ნაშრომი, გვ. 57, 60, 63, 65—66, 69, 70 და შემთ.

11 օվց, 83. 120 դա թշթ.

<sup>12</sup> С. А. Высоцкий. Киевские граффити, XII — XVII вв., с. 125—130; А. А. Медынцева, фонос. баумондо 83. 34.



გადმოცემა, კრისტოგრამულად ან ორნამენტულ მოტივში ჩართვილ მაცხოველის რია ქართული ხელნაწერების ანდრეძ-მინაწერებში<sup>13</sup>.

წარწერაში ტექსტის კოპიზიციური განაწილება და გრაფემების შემკულობის ხასიათი მისი შემსრულებლის ჭარბ დეკორაციულ ალონსა და პროფესიონალიზმზე მეტყველდება. ინიციალთა საერთო მოხაზულობა ვერტიკალური შტრიხებითა გაფორმებული. ასევე შტრიხებითა და რომბებით ფორმდება წარწერის ასოთა უმეტესობა. განსხვავებული ყვავილოვანი ორნამენტით არის შემკული ერთ შემთხვევაში — †, ს, ც ასოებით შექმნილი ლიგატურა, მეორეგან — საკუთრივ გრაფემის თავი. ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნების გასაფორმებლად კი, როგორც აღინიშნა, ბურთულებია გამოყენებული. გრაფემების გაფორმებისას და ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნების გაღმოცემისას, მართალია, დამწერი იმ ღროისათვის მიღებულ ნორჩებს იქმნებს, მაგრამ შემკულობის ელემენტების ამგვარი მონაცელობა, მაინც დაწერისეული მხატვრული ხერხი უნდა იყოს, გამიზნული ტექსტის შემკობის დეკორაციული მრავალფეროვნებისათვის.

თელოვანის 980 წლის გრაფიტის შედარებისას თანადროული ხელნაწერი და კედეური ხელოვნებით დამწერლობის ნიმუშებთან ცხადი ხდება, რომ გაწაფული კალიგრაფის მიერ შესრულებულ ამ წარწერაში რამდენადმე უფრო თვალსაჩინო ასოს მხატვრული გაფორმებისა და გართულებისაკენ მისწაფების ტენდენცია. ამაზე მეტყველებს წარწერაში გამოყენებული ლიგატურა, რომელსაც X საუკუნის ბოლო ოცწლეულის ჭერ კიდევ შემთხვევით გამოყენებული მონოგრამისაგან განსხვავებით, უკვე სრულიად ჩამოყალიბებული სახე აქვს და ორი ან საში ასოს შეერთებითა მიღებული<sup>14</sup>. მეტიც — ყვავილოვანი სამკაულით საზედაო ასოს ამგვარი, ჭარბად შემკობა, ისევე როგორც რამდენიმე, ასოთან რთული ლიგატურების გამოყენება, წარწერას რამდენადმე უფრო ახლოს აყენებს XI საუკუნის ნიმუშებთან, როცა, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული მოსაზრების თანახმად, ჭართული ხელნაწერი წიგნის დეკორატიული სისტემა და ცალკეულ ელემენტთა მხატვრული ფორმები ჩამოყალიბებულ სახეს იღებს (ნახ. 2). ეს, თავის მხრივ, უფიქრობთ, გარკვეულ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ რამდენადმე უფრო თვალსაჩინო გახდეს X საუკუნის ბოლო მეოთხედის ხელოვნებითი დამწერლობის განვითარების საერთო სურათი.

ახლადმიკვლეული წარწერა იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი რამდენადმე აზუსტებს კელებისის მოხატულობის მეორე ფენის შესრულების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. როგორც აღინიშნა, წარწერის ტექსტი ახალი ნალესობის შესასრულებლად გაკეთებულ ნაკეჭნებს დაუზიანებია. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბათქაშის მეორე ფენის ნაკარგი და საღებავით შესრულებული წარწერებიდან უადრესი XI საუკუნისაა.


ზემოთქმულიდან გამომდინარე, თელოვანის კელებისის მოხატულობის მეორე ფენის შესრულების პერიოდი XI ს-ის ფარგლებში ექცევა; საგულისხ-

<sup>13</sup> ამ ტიპის X—XVIII სს. ნაკარგი წარწერები და ნახატები დიდი რაოდენობით მოიცავება დავით გარეჯის სამონასტრო კომლექსის ქვაბ-სამლოცველოებში.

ალსანიშნავია, რომ თელოვანის კელებისის საკურთხეველში X ს-ის ასოთავრულით შესრულებულია ანჩინერი კრისტოგრამა, რომელიც თვედორე მღვდელს ეკუთვნის.

<sup>14</sup> P. O. Шмерлинг, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

მთა, რომ სწორედ ამ დროისათვის საქართველოში კელუსის ინტერიერის ფერწერული შემკულობის სრული სისტემა უკვე მტკიცედ დამკვიდრდა და დრეული პერიოდის მრავალი ძეგლი ხელმეორედ იქნა ფრესკებით გამშვენებული<sup>15</sup>.



ნახ. 2

Д. К. КЛДИАШВИЛИ, З. Н. СХИРТЛАДЗЕ

## НАДПИСЬ 980 ГОДА ИЗ ЦЕРКВИ ДЖВАРПАТИОСАНИ В ТЕЛОВАНИ

### Резюме

Публикуется граффити 980 года, процарапанный в алтаре церкви Джварпатиосани в Теловани (VIII—IX вв.). Надпись гласит: «Во имя Бога, написал я, Звиас-дзе Закария в хроникон 200» ( $780+200=980$ ). Выявлено наличие определенной общности принципа декоративного оформления букв граффити с художественными инициалами грузинских рукописей конца X — начала XI вв.

<sup>15</sup> Т. Б. Вирсаладзе, Основные этапы развития грузинской средневековой монументальной живописи, «II Международный симпозиум по грузинскому искусству», Тб., 1977, с. 6—7.

## 6. ხუცევილი

საგუთი ვახტანგ VI-ისათვის ირანის სპასალარისა და  
აზერბაიჯანის გეგლარ-ბეგის წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინს-  
ტიტუტში დაცულია დოკუმენტთა ერთი წევბა, რომელიც შეიცავს ვახტანგ VI-  
ისადმი გაგზავნილ წერილებს. ეს საბუთები თავის ღროშე შეისწავლა აყად.  
მ. ბროსემ და მათი შინაარსები ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა: *Histoire de la Géorgie II p. Additions XIV. St.—Petersbourg, 1857.*

ამ დოკუმენტების ტექსტები სათანადო ისტორიული ანალიზით, კომენტარე-  
ბით და დაზუსტებული თარიღებით გამოაქვეყნა დ. შეგრელაძემ 1960 წელს.  
წერილები კახეთიდანაა გამოგზავნილი დავით II იმპერატორისას, თემუ-  
რაზისა და კახელ დარბისელთა და ეპისკოპოსთა მიერ. ძირითადად ისინი  
ლეკანობის წინააღმდეგ ბრძოლას ეხებიან. ამ დოკუმენტების ქრონოლოგი-  
ური დაბაზონია 1720—1722 წლები.

ამჯერად, ჩვენთვის საინტერესოა მავე კოლექციის კიდევ ერთი  
საბუთი — Hd 1446, რომელიც დ. მეგრელაძის მიერ გამოცემულ წერილებ-  
თან ერთად არ გამოქვეყნებულა<sup>2</sup>. ეს დოკუმენტი შინაარსობლივად და ენთ-  
ბრივად განსხვავდება სხვა წერილებისაგან. მავე დროს, ქრონოლოგიურადაც  
წინ უსწრებს მათ. მართალია, დოკუმენტი ქართულადაა დაწერილი, მაგრამ  
მისი გაგება სპარსული ენის არმცოლნებს გაუჭირდება. ის ძლიერაა გადატვირ-  
თული აღმოსავლური ლექსით. წინადაღების წყობას და ცალკეულ სიტ-  
ყვებს სპარსული ენის დიდი გავლენა ეტყობა. ყოველივე ამის გამო საბუთის  
შინაარსი ბუნდოვანია და იგი თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოლებას და  
გამართვას საჭიროებს.

საბუთი ეხება ქართლის მეფის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვწის,  
ვახტანგ VI-ის ცხოვრების ერთ მნიშვნელოვან ფაქტს. როგორც ცნობილია,  
1711 წელს, ქაიხოსრო მეფის სიკვდილის შემდეგ, „გურჯისტანის ვალის“  
ტახტი კვლავ დარიელი აღმოჩნდა. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ამ ვა-  
ლის მნიშვნელობა ძლიერ დიდი იყო ირანის სახელმწიფოში. ამ დროს ეს ვა-  
ლი, ანუ ქართლის მეფე, ერთდროულად ირანის მთავარსარდალი, შაჰის კა-  
რის ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე და ავლანეთის მმრანებელიც იყო<sup>3</sup>.

<sup>1</sup> დ. მეგრელაძე, „მასალები მე-18-ს. ოციანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისა-  
თვის“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ., 1960.

<sup>2</sup> საბუთზე არის მ. ბროსე მნიშერები, მაგრამ მისი შინაარსი ზემოდისახელებულ წიგნში  
მას არ გამოუქვეყნებია.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. მე-4-ე, თბ., 1973 გვ. 403.

ნათელია, რომ ირანის სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვის ეყავა ეს თანამდებობა. მაპმაღიან ბაგრატიონთავან ბეგრს ჰქონდა პრეტენზია ქართულის ტახტზე, მაგრამ შაპის არჩევანი ვახტანგზე შეჩერდა. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ ყოფილა. ცნობილია ის რეფორმატორული ხსიათის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეობა, რითაც ვახტანგმა თავი გამოიჩინა „განიშინობის“ დროს (1704—1712 წწ.). არ დაჩიენილა ქართლის საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების არცერთი მხარე, რომელსაც ვახტანგი არ შეეხებოდდეს<sup>4</sup>.

1712 წელს ვახტანგი ირანში გაემგზავრა ქართლის ტახტზე დასამტკიცებლად. ირანის შაპის კეთილგანწყობა ვახტანგის მიმართ ძლიერ დიდი იყო. თუ როგორი პატივით მიუღიათ იგი შაპის კარზე, კარგად ჩანს „ქართლის ცხოვრებაში“. „მისრული წინაშე ყევნისა პატივცემული იქმნა დიდითა პატივითა ყევნისაგან და შეყუარებული ფრიად ყევნისაგან სიკეთისა მისისათვეს. ვახტანგის ვალად დამტკიცებას წინ თითქოს არაფერი უნდა დადგომოდა. ხელის შეშლელი გარემობა მხოლოდ სარწმუნოებრივი საკითხი აღმოჩნდა. ქართლის ვალის ოფიციალურ მაპმაღიანობას ირანის შაპი სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ვახტანგმა არ ისურვა მაპმაღიანობის მიღება. უარი გამოწვეული იყო იმ საერთო ქრისტიანული ორიენტაციით, რომელსაც იგი ატარებდა თავისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისას. ეს იყო როგორც საგანმანათლებლო და კულტურული რეფორმები, ასევე გეზის აღება ქრისტიანულ ევროპასთან მჟიდრო კავშირის დასამყარებლად<sup>5</sup>.

მაპმაღიანობის უარყოფელი ვახტანგი შაპმა ქირმანში გაგზავნა ტყველ, ხოლო მის მაგივრად ქართლის ტახტზე ვახტანგის ძმა, იესე ალი ყული-ხანი დასვა. მიუხედავად ამისა, ჩანს, რომ შაპის სიმპათიები კელავ ვახტანგის მხარეზე ჩემბოდა. მისი ტყვეობაც თითქმის ფორმალურ ხსიათს ატარებდა. აი, როგორ აღწერს ამ ეპიზოდს ვახტანგი ბატონიშვილი: „მერმე მოუწერა (შაპმა — ნ. ხ.) ვახტანგს ტებილად: წარვედ პატივით ქირმანს, ვფუცავ რამეთუ მშრალ გამოგიყვანო კუალად, პატივს-გცე და მოგანიშო მრავალი —, და წარვიდეს დიდითა პატივითა, ვითარცა პატრიონი მათი“<sup>6</sup>. ჩანს, შაპი იმედოვნებდა რომ ეს შესანიშნავი მოღვაწე და ორგანიზატორი კვლავ ჩაუდგებოდა ქართლის მმართველობას სათავეში.

შაპის იმედები გამართლდა. ვახტანგის დიპლომატიურმა ცდამ — დაკავშირებოდა ევროპას, მარცხი განიცადა. 1716 წელს სულხან-საბა არბელიანი ხელმოცარული დაბრუნდა საქართველოში. როგორც ვიცით, ვერც რომის ბაპი, ვერც ლურ XIV მას ვახტანგის დახსნაში ვერ დაეხმარნენ. გარდა ამისა, ისე სასტიკად ავიწროებდა ქართლში ვახტანგის მომხრეებს. აჯანყება დღე-დღეზე მოსალოდნელი იყო. აშერად ჩანდა, რომ იესეს არ შეეძლო სათანა-დოდ გაძლიერდა ქართლის მმართველობას<sup>7</sup>.

ვახტანგი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია შექმნილი ვითარებისათვის და 1716 წელს მაპმაღიანობა მიიღო. „მაშინ მოიყვანა ყევნმან ვახტანგ,

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი, «სქართველოს ისტორიის საკითხები», VI, გვ. 283—295, თბ., 1973.

<sup>5</sup> ვახტანგი, «ალწერა სამეფოსა საქართველოსა», ქართლის ცხოვრება. ტ. IV, თბ., 1973.

<sup>6</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 294.

<sup>7</sup> ვახტანგი, დასახ. ნაშრ., გვ. 494.

<sup>8</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 295.

შისცა ქართლი და სპასალარობა ერანისა და მიაქციეს რჯულსა მათსა<sup>9</sup>. ქართლის მეფედ აღიარებული ვახტანგი შავმა ირანში დატოვა, ხოლო ქართლი „ჯანიშვინად“ დაწიშნულ მის მემკვიდრეს, ბაქარს გადასცა<sup>10</sup>.

სწორედ ამ ფაქტს (ვახტანგისათვის ირანის სპასალარობის მინიჭებას) ასახავს წინამდებარე ღოკუმენტი, აღსანიშნავია, რომ საბუთი ვახტანგისათვის ახერბაიგანის ბეგლარ — ბეგის წოდების მინიჭების დამადასტურებელ ცნობებსაც შეიცავს. ზოგადად განსაზღვრულია ვახტანგისა და მისი მოაღილის, ნაბის, მოვალეობანი. აქვე დართული მიმართვა მაღალი თანამდებობის პირებისადმი, საღაც ნათქვამია, რომ მათ ვახტანგი ერთპიროვნულ სპასალარად უნდა ცნონ და მის ბრძანებას არ გადაუხეობონ.

ღოკუმენტში არ არის აღნიშნული, თუ ვის მიერაა ის გაცემული, მაგრამ ნათელია, რომ ბრძანება ირანის სპასალარის დაწიშვინის შესახებ ირანის იმდროინდელ მბრძანებელს, შაპ-სულთან ჰუსეინს, უნდა ეკუთვნოდეს. ამასცე შეტყველებს ის ტიტულები, რომლებიც საბუთის დასაწყისშია ჩამოთვლილი.

წინამდებარე ღოკუმენტშიც კარგად ჩანს, თუ როგორი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ვახტანგი ირანის შავმა კარზე. ბრძანების დასაწყისში ხაზგასმულია ის დამსახურება, რომელიც მიუძღვიდა ვახტანგს ქართლის სამეფოს საქმეების მოწესრიგებაში. ე. წ. „ვანიშინობის“ პერიოდში: „ამ ხელმწიფობისა და სიდიდის მსახური მისი (ხელმწიფის — ნ. ხ.) მოკავშირე ყოფილა ყმები მოუსვენებია, ქალაქები დაუშვიდებია და ეს [საქმე] ქვეყნის პატრონისა, მაღლლიორსეული ხელმწიფის სიკეთისა და უხვი და ბეჭნიერი პიროვნების წინაშე მოუტანია“<sup>11</sup>. იგულისხმება ის რეფორმები, რომლებიც ვახტანგმა ჩაატარა საბატონყმო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, ნაზარალი-ხანის დროს „შეშლილი“ შესების იღსაღენად<sup>12</sup>. ბრძანებაში აღნიშნულია ის პიროვნული ოვისებები, როთაც ვახტანგი გამოიჩინოდა ქართლის ტახტის სხვა პრეტენდენტებისაგან: „ვაგარღნობა, ჰერა და საქმის ცოდნა მისი საქმეებიდან ჩანს. თათბირის სიკეთით, ფიქრის სიმართლით, ლაშქრის მოწყობითა და სარდლობით თავის სწორთა შორის უმეტესია“. სწორედ ამის გამო იყო, რომ შავმა ასე ელოდებოდა ვახტანგისან სარწმუნოების შეცვლას და როგორც კი ვახტანგმა ეს გადაწყვეტილება მიიღო, დაუყოვნებლივ მიანიჭა მას ყველა ტიტული. „ამ მაღალი ხარისხით სხვებისაგან გამოვაჩინეთ“ — ნათქვამია საბუთში. ვახტანგის შესაქებად ბრძანებაში სიტყვები არ არის დაშურებული. იგი მოხსენიებულია როგორც „მბრძანებელთა მბრძანებელი, ბეჭნიერი მმართველი, სიდიადის, სიძლიერის, ფაპლევანობის მცოდნე, ამაღლებული და სახელოვანი მბრძანებელი, დიდი მბრძანებელი, დიდი ხელმწიფის შეილი“.

საყურადღებოა, რომ საბუთში მოცემული ცნობები წარმოადგენს მასალას ვახტანგის, როგორც მხოლოდ ირანის სპასალარისა და აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგის, სტატუსის განსაზღვრის შესახებ. აქ არაფერია ნათქვამი ვახტანგის მიერ რჯულის შეცვლისა და მისი ქართლის ვალად დამტკიცების შე-

<sup>9</sup> ვახტუ შტი, დასახ. ნაშრ. გვ. 495.

<sup>10</sup> საქართველოს ისტორიის ნარკევები, ტ. V, თბ. 1973.

<sup>11</sup> ცირის მმართველის აქაც და შემდეგშიც ვამოწებებ ტექსტის ჩვენეულ წაყითვას.

<sup>12</sup> 6. ბერძენი შვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 283—285.

სახებ. საბუთში ის უკვე მოსსენიებულია ორა როგორც ვახტანგი, არამედ ჟესეინ ყული-ხანი ქართლის ბატონი<sup>13</sup>.

საბუთის შედეგნის წესი ზუსტად შეესატყვისება იმჟამინდელი სპარსული ბრძანების ფორმას. ამის დასტურია დოკუმენტის დასაწყისი და დასასრული, ცალკეული სტერეოტიპული ფრაზები და გამოთქმები. უმჭველია, ბრძანება თავდაპირველად დაიწერა სპარსულად და შემდეგ საჭირო გახდა მისი ქართულად თარგმნა. ამიტომაა, რომ საბუთს არ ახლავს შაპის ბეჭედი, თარიღი პიჯრით და მინაწერები მისი სხვადასხვა დავთარში გატარების შესახებ.

დოკუმენტში, ერთი მხრივ, განსაზღვრულია ვახტანგისა და მისი მოადგილის მოვალეობანი, ხოლო, მეორე მხრივ, აქვეა მიმართვა მაღალი თანამდებობის პირებისადმი — როგორც სპარსელების, ასევე ქართველებისადმი. ბრძანების თარგმანი სწორედ იმ ქართველი დიდებულებისთვისაა გამიზნული, რომლებიც დიდი გავლენით სარგებლობდნენ შაპის კარზე და იმდროინდელი რჩანის სახელმწიფო მიზანი. თუმცა კონკრეტული აღრესატი არ არის დასახელებული, მოსალოდნელია, რომ ის ითარგმნა როგორც კახეთის, ასევე ქართლის დიდებულებისათვის.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ვახტანგს ირანის სპასალარობა და აზერბაიჯანის ბეგლარბეგობა ებოდა „ბიჩ-ილის წლის ხუთის თვის გასულსა შვილის თვის პირველიდამ“. ბიჩილი (თურქ. بیچیل) ნიშნავს მაიმუნის წელს. ჰენოვეს საინტერესო პერიოდში მაიმუნის წელი მოდიოდა 1716 წელს. მეხუთე თვის დასასრული და მეშვიდე თვის დასაწყისი შეესატყვისება პიჯრით გომარის დასასრულსა და რაგაბის დასაწყისს. ბრძანება ძალაში შედიოდა რაგაბის დასაწყისიდან, ე. ი. 1716 წლის 11 ივნისიდან<sup>13</sup>.

ქვემოთ წარმოადგენთ საბუთის ტექსტს, მის ჩვენეულ წაკითხვასა და ლექსიკონს.

1716 წ. [შაპსულთან-ჟესეინის ბრძანება] ჟესეინ ყული — ხანისათვის ირანის სპასალარისა და აზერბაიჯანის ბეგლარბეგის წოდების მინიჭების შესახებ. თარგმანი სპარსულიდან. 50×30 სმ. ღამერილია ოეთზ ქალადზე, მეფებული ხელით, განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარისა სამ-სამი წერტილი. საბუთის აშიაზე არის მ. ბროსეს მინაწერი ფრანგულ ენაზე, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და თარილი, 1716—1719 წწ.

ქ. ქვეყნის სამორჩილობის ბრძანება შეიქნა. ასე რომ, როგორც ქვეყნის იყლიმის ბრძანებლის ბრძანებელი და ქვეყნის ლაშქრის ტანის მომართვი და ქელმწიფეთ ქელმწიფის გასმაზე ებებელი ღროშა, სანაზაღნისა ქელმწიფობა და წინამდღვრის მზის ნათლის გავსი ღროშისავითა ქვეყანაში მაღლათა და ფათვის ნიშნიანა და

ქ. გამოვიდა ბრძანება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება. ქვეყნის მხარეთა მმართველთა მმართველისა, ქვეყნის ლაშქრის წინამდღლისა, ხელმწიფეთა ხელმწიფის გასამარგვებელი ღროშისა, ხანეზადების ხელმწიფისა, ამომავალი მზის სინათლის მსგავსი ღროშასავით ქვეყანაში აღმარ-

<sup>13</sup> Цибульский В. В., «Современные календари стран Ближнего и Среднего Востока», М. 1964.

దార్శనా, మామల్వాజాతిస డామ్పేరి డా గామ్‌లెంపేల్.

అమ క్యెలమ్చింటుండిస డా డిఫోబిస బా-  
నొంగాల్సా గామార్జువ్వెబా మిస్తాబ్ జీరుంబా  
ఉచ్చొనొ లూ బాండ్రెబిస మిస్వెన్రెబిసా డా  
ప్రాల్వాజ్యేబిస డామ్పెండ్రెబిసాంత్విస క్వెయ్సొనొస  
బ్యాట్రుంబొ డా మాలూలొ భీరుంబా క్యెలమ్-  
చ్చింటుంబిస సిక్కెత్తెసా, క్వెసొనొ బార్హించింబా  
డా బెండ్రొంబా తొతిసంత్విస, మిష్యుగ్లిం  
క్వెసెనొ (ఎ), అమ జీరుంబిసా డా సాహ్యుంబిస  
మాగింబాంబా, క్వెసెనొ ఉండుంబా, మాలూలొ నొ-  
మాతిస త్యాగ్వ[ఎ]బిస అంగుస మిస్వాయుంబాంబా,  
నొమాత్యుబిస గాసాంఘెనొ క్యెలింతా, క్వెయ్సొనొ  
స్వుఫ్రొంబిస గాగుంబిసా డా అండుంబిస  
శేతావ్యానితా క్వెయ్సానాశి శేగ్వింతావ్వెబిం.

డా తింట త్యాక్ష్యువ్వెబిస చ్చేసింబా  
డా నెల్వాసింబా బాండ్రెబిం డా వెంతింప్యా-  
దింబా క్యెంబిస మింట్మెల్సిం ప్యుల్లం రుంబ  
తావుంబా గ్వాంబిసా డా నొత్తెసాగ్సిం రుగ్గి-  
తా అమ అంలిం దింగ్వుంబానొ క్వెసెనొ జీరుస  
తంబులందా బాండుంబిస మిస్వాగులొస సాథు-  
వుంబాంబా. డా ప్ప[ఎ]వ్వెల్లంత్విస బాండుంబిసా  
డా త్యాగుంబులొంబిస గ్థిస చ్చింబులొల్లి  
ప్యుపులొంబా. డా గ్వాండ్రుంబిం మింపులొ-  
ంబిస బింబులొంబా గామహీనిం తుహాంబా  
సాఫ్మిస క్యుబులొంబా గామహీనిం తుహాంబా  
డా తాంబులింబిస సిజ్జెత్తొలొ డా జ్యుంబిం  
సిమారుంబా బింబులొ డా సాఫ్మిస ప్యుల్లం  
మిసె (ప్పిస్సు) ఏబ్బు ఏ బింబానెబా— న. క.)  
సాఫ్మెబిదాబం కింబా. తాతిబింబిస సిక్కెత్తి  
ప్పింబిస సిమారుంబిం, లాంబ్యుంబిస మి-  
ంబులింబిం డా సాహ్యుంబిం తాగ్విస స్థొర్-  
తా మింబిస ప్పుమ్మెర్రెసిం.

త్యాగుంబాలొ మారుతాబిస మాలూలుబా,  
క్యెలమ్చింటుంబిస శేతావ్యుబులొ ప్యుల్లంబి  
డా మాలూలొ మారుతాబా డా మాలూలొ మారు-  
తాబెబిసా మరువాలొ మాలూలొ సాఫ్మెల్చ్చి-  
ంట జీరుంబిం ప్ప(ఎ) బింబానెత. అమ సిత్తుంబిస  
గామసాహీనాం నెల్వాసిస బింబానొసి అంబ[ఎ]-  
గ్సిస సాంబెసి జీబా, బింబానెబులొతా బింబా-  
నెబెలొ డా మెగుంబిసా డా డిఫుంబి-  
సా, స్పుంబానొ డిఫుంబిసా డా తొశామిసా,  
ఫింటి డాస్వాకొనొ డా త్యాక్ష్యువ్వెలొ డా అంల్-  
ల్వుల్స(ఎ) సాంబెసానొ, బింబానెబెలొ,  
ఫింటి బింబానెబెలొతా, డింటి క్యెలమ్చింటిస

ట్యులిసా, గామార్జువ్వెబిస బింబానొనొసా, నొ-  
క్యెలమ్చింటుం డామ్పేరిసా డా గామ్లెంట-  
లొసా.

అమ క్యెలమ్చింటుంబిసా డా సిద్దింబి  
కొన్చొంబా మిసె (క్యెలమ్చింటుం— న. క.)  
మింక్వాంబిం పుణ్యిలొ. ప్యుబిస మింపులొన్-  
బిం, జీల్వుంబిం డామ్పుంట్వుబింబా డా ఏల్  
[సాఫ్మె] క్వెయ్సొనొ తొప్పుంబానొసా, మాలూ-  
లొంబుసెంబిస క్యెలమ్చింటుం సిక్కెత్తెసా డా  
ఉబ్బి డా బెండ్రొంబా తింబుగ్గెబిస చ్చిం-  
శ్చె మింపుర్చానొ. క్వెసె, క్వెసొనొ మెంబొ, ఏ  
ఫింసులుంబున్బిసా డా సాంబుంబిస సాం-  
సుబొర్డ, మాలూలొ ప్యుల్లంబిస అంబసస్క్రు-  
ల్చెబులొడ, [ఎ సాఫ్మె] ప్యుల్లంబాతా మిం-  
ప్యుబిస క్యెలింబిం సాంబుంబాంబిస గామ్పు-  
ర్తానొ డా సామారుంబింబిస శేష్ట్వెనొ  
గాంచ్చుప్పెంబులొ మిగ్విలొం.

ఫాల్వావ్యుర్రురి భుంబిసి, గ్వుల్చ్చి-  
ప్పుల్లం, సాండునొ, ప్యుమాతాత్విస సిక్కెత్తి  
మెంబుంబునొ మింబుర్రునొ, తొవొంతి గ్వా-  
రుసిసా డా నొత్తెసాంబిస రుగ్గిత, క్వెసెనొ నొ-  
మారుతిసి ఫ్యుమింబిం జీరుంబిం క్వాంబిం సామింబుర్రు-  
త్విసి మింపులొనొ డా మ్ములిం మింబుర్రు-  
బిసా డా తామ్మిలింబులొంబిస గ్థొం ప్పులొం-  
తా గ్వాండ్రుంబా, క్యుప్పా డా సాఫ్మిస ప్యుల్లం  
మిసె (ప్పిస్సు) ఏబ్బు ఏ బింబానెబా— న. క.)  
సాఫ్మెబిదాబం కింబా. తాతిబింబిస సిక్కెత్తి,  
ప్పింబిస సిమారుంబిం, లాంబ్యుంబిస మి-  
ంబులింబిం డా సాహ్యుంబిం తాగ్విస స్థొర్-  
తా మింబిస ప్పుమ్మెర్రెసిం.

త్యాగుంబాలొ లింబుంబిస సిమాల్లు,  
క్యెలమ్చింటుంబిస డాసురులుబులొ ప్యుల్లం-  
బా డా మొవుంబాలొ మాలూలొ క్యెలమ్చింటుం-  
సింబు ప్పబులొబులొ బింబానొసి, మెంబు-  
ర్రుబులొ మింబుబులొ మింబుబులొ, డెంబు-  
బుబులొ మింబుబులొ, సిద్దింబిస, సింలొంబిస,  
ఫాల్వావ్యుబిస మింపులొస, అంబులొబులొ డా మిం-  
బుబులొ మింబుబులొ, డింబుబులొ మింబుబులొ, డింబు-  
బుబులొ మింబుబులొ మింబుబులొ, క్యుసెనొ  
క్యెలమ్చింటిస ప్యుల్లంబిస లింబిస, తొశామినొ  
మాంగ్వుబులొబులొ, జీరుంబుబులొ, మింబుబులొబులొ

შეილი, კემწიფის მოწყალობა, მისი საყადრისი ჰუსენ ყულ-ხან ქართლის ბატონისა არის. რომ მამა და პაპისაგან ამ დიდს კარსა ერთფერად და იხლუსის ნიშნიანი ყოფილან და ჯანვი-შენობის შეტყობა და თავის გაცემის პაყიყათი მისი ბიძა და ძმა და ბიძის შეილი რომ რჯულისა და დოვლათის გზაჩედან და მათი იხლასის სიკეთე. ამ დიდი <10> კაცს უკადრებით, რომ კემწიფის ნათლიანი გუნების პირდაპირ ზაპირ ჰქონილა. ამასობით ერთიცა-სე მრავალი კემწიფის წყალობისაგან და ერთი ნაჭერი კემწიფის ბევრი შა-ფულათისაგან ამ დიდი კაცის აპვალის დასაფარავად უბრძანებია.

და ბიჩილის წლის ხუთის თვის გასულსა, შეიდის თვის პირველიდამ, ეს მაღალი და დიდი დოვლათიანი კაცას მდგალი მართაბიანი სუფაპსალარობა ერთისა და ადირბაძიანის ბეგლარბე-გობა. ამ ვალობის მოსამატად, თავმა-ლოლიბითა, იმ დიდი მართაბითა სხვე-ბისაგან გავარჩიევთ რომ როგორც რომ უნდა შეიძლოს, ამ საკელოებში ფეხი დადგას და დადგეს და ერთს წამს თაფაული არა ჰქონას და ნიზამი და ნისაყისათვის და შეკვრა და გახსნისა-თვის ვილიათების საქმეებშიგან და თავისი თივილის მოსალეისათვის ნა-იბი და ეპთიბარიანები დააყენოს.

და ყადაღა უყოს, რომ მაპალის დაშვიდება და მალიჯპათის შენახვა-ზედან მრავლად ეცადოს და არაფრი-სათვის კელმოკლეობა არა ჰქონს და დიდი ლაშერებთანა თანხეპის ჰქნა და ადაბის მიცემაზედან და სარქაშინის გა-ფუჭებისათვის და რჯულის მტრის ვარ-თარაფი ჰქნაზედ იცდინოს და თავისი

ლი მეგობარნი ყოფილან და ჯანიში-ნიბა ჰქონიათ. მთი თავდადება ცნო-ბილია. მის ბიძას, ძმასა და ბიძა-შეილს<sup>14</sup> რჯულისა და სახელმწიფოს ერთგულების გზით უვლიათ ეს დიდი კაცი ხელმწიფის განათლებული გუნე-ბის წინაშე მოსულა. [ხელმწიფეს] ერთი ნაწილი ხელმწიფის მრავალი წყალობისაგან და შემწეობისაგან ამ კაცის მდგომარეობის შესავსებად (გა-საუმჯობესებლად) უბრძანებია.

მაიმუნის წლის მეხუთე თვის და-სასრულს, მეშვიდე თვის დასაწყისიდან ამ მაღალ და ბედნიერ კაცს ირანის სპასალარობა და აზერბაიჯანის ბეგ-ლარბეგობა ებოდა. მისი განმეგბლობა გაიზარდა, ამ მაღალი ხარისხით სხვე-ბისაგან გამოვიჩიერ. მან უნდა შე-ძლოს და ამ საგამგებლოებში ფეხი მოიკიდოს. უშუალოდ თავის თავზე ვალდებულებები არ იიღოს და ველა-იათების საქმეების მოსაწესრიგებლად და თიულის მოსალებად ნაიბი და გავ-ლენიანი პირები დააყენოს.

უბრძანოს მას (ნაიბს — ნ. ხ.), რომ მისთვის მინდობილი მხარის დაშვი-დებისათვის და მალუჯათის დროულად აღებისათვის მცდელობა არ დააყოლოს. არაფრეში ხელმოკლეობა არა ქნას, ლაშერების ყურადღებითა და ცოდნით მოეკიდოს, დროულად და სწორად შე-ამოწმოს. რჯულის მტრის განადგურე-

<sup>14</sup> ვახტანგის ბიძა — იველისხმება ქართლის მეფე გიორგი XI, რომელიც ამავე ღრის ყარაფარის (ვალინეთი) ბეგლარ-ბეგიც იყო. 1709 წელს ის დაიღუპა მირევისის წინააღმდევ ბრძოლაში. ვიორგის შემდეგ ქართლის ტახტზე დაჭდა ვახტანგის ძმა, ქახოსრო, რომელიც მავე ავლინელების წინააღმდევ ბრძოლაში დაიღუპა. 1711 წელს „ბიძას შეიღუში“ შესაძლოა ფრენისხმებოდეს ირანის შაპის კარზე მოღვაწე ვახტანგის რომელიმე ნათესავი, ან ნათესავი.

მოცდენის სიკეთე და კაიკაცობა ყველა საქმისათვის ჩვენი ბედნიერი და მათ-ლამს შეწევნილი ნაიბის სამსახურში ზაპირ ჰქნას.

და რომელი ჰქმნი და იუზბაშნი და მინბაშნი და მოსამსახურენო ჩვენი კარისა და ის ომარანი, რომ საფარში უბრავნებიათ და სამსახურში კელმოკლულობა ექნას და ან ჰქნას და ან ომში სუსტობა, ან ერთი თახსირი ყველა საქმეზედან მითვან ზაპირ ჰქმნილ იყოს და იქნას, როგორც რომ უნდა და შეითავებს იმას თანაპირი და ადაბის ქნითა, რაც მისთვის ეპრავნებოდეს იხრავისა და მაზულობისა ჰქნაზედან. და სხვა მუნასიბი იცოდეს ისე ჰქნას. მისი სახელი ვისაც რომ მუნასიბი იცოდეს იმას მიუგდოს და ჰაყიყათი მოგვახსენოს, რომ მისთვის ბედნიერი რაყამი გაივლინოს.

ბეგლარ-ბეგნო და დიდო ომარევო და ყოლ-ბეგნო და დიდ-*<ი>* ალაგიანო, ამალანო და მალალ-*<ი>* ალაგიანებო და ყორჩინო და ალიანო და ყულნო და სხვა ლაშქარნო ერანისა, ხუსუს ისინი რომ<sup>15</sup> საფარში უბრავნებიათ ეს მალალ-*<ი>* მართაბიანი კაცი მუსტაყილი სუფაპსალარი იცოდეთ და მისთვის მორჩილობა უყავით და მისი ბრძანება ალაგს მოიყვანოთ და მისი მართებული სიტყვისაგან და სალაპისაგან რომ მასლაპათი და დოვლათის ახლოს იყოს გარეთ არ გახვიდეთ და მისი ბრძანებასა აეის საქმის მოშლაზედან და მისი ბრძანების გამგონელი იყავით და თქვენი თავი მისი სიტყვით მაზული და მისი სიტყვით მოხელე იცნობდეთ.

ამაღლებული მდიგნის დიდნო მუსტოფნო! ამ წყალობის რაყამი დაფთარში საფთის ჰქნითა გამოცვლისა-

ბისათვის ეცადოს და თავისი მცდელობის სიკეთე და კაიკაცობა ჩვენი ბედნიერი და ამაღლებული ნაიბის წინშე წარმოაჩინოს.

თუ რომელიმე ჰქმი, იუზბაში ან მინბაში, კარზე მყოფი მოსამსახური, ან მისი მფარველობაში მყოფი ომარსამსახურს სათანადოდ ვერ გამწევს იმში სისუსტეს გამოიჩენს, ან სხვა რაიმე დანაშაულს ჩაიდენს, მას (ნაცვალს, ნაიბის — ნ. ხ.) ეცნობოს. მან კი ყურადღებითა და საქმის ცოდნით განსჯის შემდეგ საკუთარი სურვილის შესაბმისი გადაწყვეტილება მიიღოს, ან სამსახურიდან დაითხოვოს ან სხვა რაიმე შესაფერი სასჯელი დააღინი. მისი თანამდებობა ვისაც შესაფერისად სკონდდეს იმას გადასცეს. ჩვენ სიმართლე მოგვახსენოს, რათა მისთვის ბედნიერი სიგელი მივავლინოთ.

ბაგლარ-ბეგნო, ომარებო, ყულბეჭნო, დიდ-ალაგიანნო, მალალ-ალაგიანნო, ყორჩინო, ალაიანნო, ყულნო და ირანის სხვა ლაშქარო, განსაყუთრებით თქვენ, ვინც მისი მფარველობის ქვეშ ხართ ეს მალალი კაცი ერთპიროვნულ სპასალარად იცნით, მას დაემორჩილეთ და მისი ბრძანება შესსრულეთ. მის მართებულ, გონივრულ და სასარგებლო სიტყვას არ გადაუხვიოთ. მისი უკავების აღმომფხვრელი ბრძანების განვითარების იყავით. თქვენი სამსახურიდნ დათხოვა თუ თანამდებობაზე დანიშნული მისი ნება იყოს.

ამაღლებული მდიგნის დიდებულ მუსტოფებო! ამ წყალობის სიგელ დავთრებში ჩაწერეთ და შეცვლისა და

<sup>15</sup> ტექსტში „ისინი რომ“ გამეორებულია.

გან და სამაგიარობისაგან წმინდა იცო-  
დეთ და ამ მაღალი — მართაბიანი კა-  
ცის თასტიყით ამათვის რომ საფარში  
არიან ეპთიბარანი იცოდეთ და ამის  
თვითინაშა მართებულად მუსავიდა  
ჸე>ჸენით.

გადასხვაფერებისაგან დაიცავით. მისა-  
მიერ დანიშნული ხალხის დამჯერნი  
იყავით. მისი თიულის წიგნი მართებუ-  
ლად აღწერეთ.

১৩ জানুয়ারি ২০২০

ადლი — იგივე ადილობა

აღნიშნავს უმაღლეს სამღვდელოებას.

గుర్తించాలన్న — పాశారూ, గుర్తించాలన్న (6,142)

— احمد علی — مددگار مہماں ہوں گا

ଶାନ୍ତି — ସ୍ଵ. ପଦ୍ମ ମନ୍ଦିର, ପ୍ରକାଶନ ଏତେହି

ბეგლარბეგი — თურქ. — ყიკლისკი — ხანები და ამირები სეფიანთა ირანში.

რომლებიც საზღვრისპირა დიდ ოქებს განაგებდნენ როგორც სამოქალაქო, სე სამხედრო დარღვეული<sup>16</sup>

დასგაბი — ს. დستეგა — ძალა, სიმდიდრე, სიმშევიდე, წესრიგი

ଭାଷାକାରୀ — ଏଣାର. دفتر — سانچے‌لەپھي‌تولس Jمېد

დოკუმენტი — არაბ. دولت — ბეღზიერება, სიკეთე

ეჭიბარი — ოაბ. — اعتبار — აუტორიტეტი, გავლენა  
აათ — აუტ. I. საზოგადოებრივი ილის მართვალი, მმართველი, ფინანსი დეოდალტი

პატივი და თანამდებობა სეფანთა ირაში, ვალად იწოდებოდნენ ირანის შაჰისაგან დამოკიდებულებანი მყოფი ქართლ-კახეთის მეფეები გვანთოვთაოოზე ხანში<sup>17</sup>.

გართარაფი — სპ. — განადგურება, ლიკვიდაცია, თავიდან აცი-  
ონი.

ଶ୍ରୀମତୀ — ଅରୁଣା ଚାନ୍ଦ — ଅଞ୍ଜଳି, ପ୍ଲଟ୍ ନଂ ୧୦, ପିଲାଗାସିଙ୍କ ପ୍ଲଟ୍

ଶୁଣି— ଏହା— ନାହାଲେ, କଷିତରା

ოთხია — 13. 15 — ოონისქანგა, გეგმა, აზრი, განსკა

କୁଣ୍ଡଳାରୀ—ଶ୍ରୀ—ପୁଣ୍ୟବିଜ୍ଞାନୀ

ଲୋକାନ୍ତିରଙ୍ଗ — ଏହାରେ ପାଇଁ କଥା କଥା କଥା

ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ — ଶ୍ରୀ ପାତ୍ରଚନ୍ଦ୍ର ମହାପାତ୍ର ।

16 3. ପ୍ରୟତିକାଳେ, «ଶକ୍ତିଶୀଳ ନିର୍ମାଣକାରୀ ସାମଗ୍ରୀକ ପାଇଁ ଯେତେବେଳେ ଦେଖାଯାଇଲୁଛି» ହାତୀ 1, ପୃଷ୍ଠା 90, ଅଧ୍ୟେତ୍ବା, 1960.

17 3. ଯାତ୍ରାରେ ପାଦମାର୍ଗ ନାମଙ୍କଳିତ ହୁଏଥିବା କାହାର ଜାଗରୁକାତ୍ମକ ଅଧିକାରୀଙ୍କ ନାମଙ୍କଳିତ ହୁଏଥିବା କାହାର ଜାଗରୁକାତ୍ମକ ଅଧିକାରୀଙ୍କ



ქარამი — არაბ. كرم — დიღსულოვნება, კეთილშობილება, სიუხვე  
 ყადაღა — თურქ. قدغان — გერძალვა, ბრძანება  
 ყოჩჩი — თურქ. قورچى — „მეაბჯრე, საჭურველომტვირთუელი, მოხელე, მნე.  
 სხვდასხვე იარაღისა და მოწყობილობისა<sup>21</sup>.  
 ყული — თურქ. قول — შაჰის ყულების ფარის, გვარდიის გარისკაცი  
 შაფალათი — شفاعة — შემწეობა  
 ხანაზადი — سب. — შსახური, რომელიც ბატონის სახლშია აღზრ-  
 დილი  
 ხუსუსი — არაბ. خصوص — განსაკუთრებით  
 ფავარდენი — არაბ. جوهر — 1. ძვირფასი ქვა; ძვირფასეულობა;  
 2. არსება, ბუნება, ძირითადი თვისება  
 ფანვიშანი — سب. — ჯანშინ — მოაღგილე, ნაცვალი  
 ჰაქმი — არაბ. حاكم — მმართველი, მსაჯული  
 ჰაყიყათი — არაბ. حققت — ჰეშმარიტება  
 ჰაშამი — არაბ. حشمت სიდიადე, ბრწყინვალება — აკშმ

Н. М. ХУЦИШВИЛИ

## ДОКУМЕНТ О ПРИСВОЕНИИ ВАХТАНГУ VI ЗВАНИЯ СПАСАЛАРА ИРАНА И БЕГЛАР-БЕГА АЗЕРБАЙДЖАНА

### Р е з յ у м е

В данной статье публикуется документ о присвоении Вахтангу VI звания спасалара Ирана и беглар-бega Азербайджана. Документ представляет собой письмо, в котором определены обязанности Вахтанга и его заместителя, а также имеется обращение к высоко поставленным лицам. Наверное, письмо принадлежит правителю Ирана Шах-султану Хусейну и адресовано к грузинской, а именно картлийской и кахетинской знати. Текст письма перегружен восточной лексикой; его строение точно соответствует форме персидских приказов того времени. Предполагается, что письмо сначала было написано на персидском, а затем было переведено на грузинский язык. Датируется письмо 11 ყმ յунем 1716 года.

<sup>21</sup> 3. ფუთუ რიძე, «ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები», ვვ. 475.

ნ. პაპუავილი ;

პ. პარგვალაშვილის ინფორმაციის კვალდაკვალ  
 (მტრატის ორი ხელნაზერის ისტორიისათვის)

ძეველ ქართულ პერიოდიაში ხელნაწერების შესახებ არსებული ცნობების აღნუსხვა — იდენტიფიკაციის დროს დაგვაინტერესა პ. ცხვილოელის ფსევდონიმით გამოქვეყნებულმა ინფორმაციაში<sup>1</sup> (წარმოვადგენთ ოდნავ შემოყლებით):

„ამას წინათ გორის მაზრის სოფ. ქვემოჭალაში ვყიყავი. აյ ორი პატარა ეკლესია. ერთ მათგანში ...ძეველი ხელნაწერი წიგნები შევნიშნე ... ერთი წიგნი პერგამენტზედ ნაწერია ...ეს წიგნი არის „სადღესასწაულო“; შესდგება ორი ნაწილისაგან; ერთში სულ „დაბადებიდამ“ საკითხავებია, მეორეში „საგალობლები“. სულ 774 გვერდია. დაწერილია ძეველი ხუცურით... ეხლანდელ ხმარებულ „სადღესასწაულოსა“ და მას შორის საზოგადო არა არის რა: საკითხავები მეტია, საგალობლები სულ სხვაა, სხვა ტიბიკონშე აგებული და ლექსებიც კი არის. მაგ. „ნათლის ლებაზედ“ ერთი გრძელი ლექსია, რომლის სათაური ასოებიდან, ერთი მშვენიერი კილიიანი „დასდებელი“ გამოდის. მეორე ლექსია, მაგრამ თავი არა სჩანს. ეს ორი ლექსი ამოსაწერი დამტანა. მესამე ლექსი კი ამოვსაწერე და აი წაკითხავთ. ეს წიგნი მეათე საუკუნემდის უნდა იყოს დაწერილი, არა გვიან. აი ამ წიგნის ზედ — წარწერანი:

1. „ქ. მამა წმიდა ზებედე იყო პატრონი დიდის მღვიმის უფალი, პურადი და გულადი, კელმწიფეთაგან პატივცემული და სახელოან. ქქს უიზ“. 1729 წ.

2. „ქ. ცოდვილი დავით იყო ერთი დიაკონი, კლდეში ჩავარდა და ფეხი მოიტეხა. დაშავდა. ქქს უიზ“. 1729 წ.

3. „ქ. ღმერთო, ღვთაებავ, შემეწიე და მაცხოვნე მე ამილახვრის შვილი ოთარი“.

4. „ქ სულსა ითანესსა შეუნდნეს ღმერთმან“.

5. „ქ. ღმერთო მოიხსენე ცოდვილი დიაკონი გრიგოლ“.

6. „ქ. ამის მწერლისა დედასა შეუნდნეს ღმერთმან“.

7. „ქ. მე, ბევაროზ, დავწერე“.

8. „ქ. ღმერთო, ადლეგრძელე ერისთავი შანშე, მე, დავით, დავწერე. ამინ“:

9. „ქ. წმიდაო შიო, მეოს მექმენ“.

10. „ქ. შეწევნითა ღვთისათა ეს სადღესასწაულო გავათავე ამილახვრის და ეკატერინამ ა სეკტემბრიდამ მოყოლებული ვ სექტემბრამდინ“.

<sup>1</sup> 3. ც ვ ი ლ ო ვ ლ ი [პ. კარბელაშვილი], ერთი უძველესი საექლესიო წიგნი და სხვ., გაზ. „დროება“, 1882, 24. VI, № 130.

11. „ქ. ამისა შშრომელსა ბასილსა შეუნდვნეს ღმერთმან“.  
 12. „ღმერთო, შეეწიო გაბრიელს“.  
 13. „სახელითა ღვთისათა და მეოხებითა წმიდისა სამებისათა და ყოველ-  
 თა სათო ყოფილთა მისთა და ღვთისმშობლისათა ლირს ვიქტორ აზალინს  
 ბასილი აღწერად წმიდისა ამის წიგნისა. ღმერთმან იცის, რომელ ჩემისა  
 უმეცრებისაგან ეგბოდა მომჭირვება; ამ ვინცა აღმოიკითხვიდეთ და იხმა-  
 რებდეთ, შენდობასა ლირს მყავით, რათა ღმერთმან თქვენცა ლირს გყვნეთ,  
 ამერთუ ნაშრომი ჰვიტეს, ხოლო შშრომელი წარვალ გლიძ. ვამე და დიდად  
 ვაიძე, რომელი ვთესავ ამას ცხოვრებასა, სამკალით მზათ ას საუკუნესა. ესე  
 წიგნი მე, ბასილმა, ბასილათა შვილმან, დავწერა და დავდევ წმიდისა სამე-  
 ბისა წინაშე პირველ სულისა ჩემისა სალოცველად და მერჩე მშობელთა და  
 გარდაკეთალებულთა და ყოველთა მომავალთა ჩემთაგვის...“

„დიდ არშაბათს“ სტიქარონის შემდეგ: კოზმასი. ხველერნი მხილესა (ე. ი. მოიხილესა, ნ. 3.) ბ გ ი:

„მივსცეთ, ერნო, დიდება დღეს უფალსა, ღმერთსა ჩვენსა,  
ლაშტრითა ბრწყინვალითა მივეგებოთ ქრისტესა.  
განვითროთხოთ, მორწმუნებო, ძილისა მისგან მძიმისა,  
შორად განვიშროთ ჩევნ მოწყინება სულისა დღეს.  
განვამრავლოთ ტალანტი უფლისა მრავალ ნაწილად.  
მოვედით, მორწმუნენო, და ვიქმოდით წყალობასა.  
გალობა ლმობიერი შევწიროთ ქრისტეს ღმერთსა;  
შევმრაცხ მე, მაცხოვარ, მარჯვენით კრავთა მათ თანა.  
განსჭასა საშინელსა ნუ შემრაცხ თიკანთა თანა,  
დამატეკიც სახიერ ბრძენთა მათ ქალწულთა თანა.  
სამებაო წმიდაო, მიხსენ მაქებელი შენი.  
მალილებელი შენი გვაკხოვნენ ლოთის შობელო“

... ამ ზომისავება ის ორი დანარჩენი ლექსიკი...“.

ამრიგად, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ისტორიკოსსა და ძველი ქართული წერილობითი ძეგლების რედაქტორ-გმბმცემელს, მღვდელ პოლივეტოს კაბელაშვილს (1855—1936), რომელიც ზოგჯერ პ. ცხვილოელის ფსევდონიმით აწერდა ხელს<sup>2</sup>, მშობლიური სოფლის, ქვემოჭალის, ერთ-ერთ ველესიაში 1882 წლის 24 ივნისის ახლოსანს უნახავს და აღუნუსხავს ლიტურგიული კრებული. იგი თურმე ორი ნაწილისაგან შედგებოდა: 1) ძეგლი აღთქმისეული საყითხავებისაგან და 2) საგალობლებისაგან. მკვლევარს მისთვის „სადღესასწაულო“ დაურქმევდა, თუმცა შეუნიშვნავს, რომ „ეხლანდელ ხმა-რებულ „სადღესასწაულოსა“ და მის შორის საზოგადო არა არის რა“: ისინი სხვათასხვა ტიბიკონისანი არიანო.

მართლაც, სხვა არა იყოს ჩა, თანამედროვე (XIX—XX ს.ს.) ქართული საეკლესიო-ეპრტალოგიური პრაქტიკისათვის განკუთვნილ წიგნში, „საღლე-სასწაულოში“, რომლის საბოლოო რედაქცია ანტონ კათალიკოსს ეკუთვნის და რომელიც მხედველობაში უნდა პენოდა ხსენებული ინფორმაციის ავტორს.

<sup>2</sup> ბ. ჯავახიშვილი, მწიგნობარი და მკულევარი, მწიგნობარი—81, თბ., 1882, აგ. 149.

<sup>3</sup> გამოცემულია სამეცნიერო: 1805 (მთხვევი); 1811 (ლოფ. წერ), 1865 (მთხვევი), იბ. К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, Тб., 1908, გვ. XXIX.

ბიბლიური საკითხავები და საგალობლები, ზემოსხენებული ხელნაწერისაგან განსხვავებით, შერწყმულ-გაერთიანებული არიან გარკვეული ტიბიკალური. პირიცავის მიხედვით, — შესაბამის საკითხას ძელი ან ახალი აღთქმიდან დღის განვებაში თითქმის ყოველთვის განსაზღვრული აღვილა აქვს მიჩნეული: საცისკრო კანონამდე „დღის მწუხასა ზედა“. ამ სათაურით წარმოდგენილი წიგნი, რომელსაც ბერძნულ-სლავურ ეკლესიაში შესაბამება <sup>2</sup> აზიაზია, Anthologion, Трефологион, Трефологий, Праздничная миная<sup>4</sup>, ამჟამად გაიაზრება გარკვეული სისტემის კრებულად ანუ იმ სადღეგრძელოდ, რომელიც „გულისმობრი ისეთ ლიტურგიულ წიგნს, რომელშიც გაერთიანებულია ჰიმნოგრაფიული და სვინაქსარული მასალა, ამავე დროს, ახალას სპეირო ლიტურგიული მითითებანი და საკითხები ბიბლიური წიგნებიდან“<sup>5</sup>. და რაც მეტად ნიშანდობლივია ამ შემთხვევაში, — კრებული, ღღესდღეობით „სადღესასწაულოს“ რომ უწოდებენ, მოიცავს საკითხავ-საგალობლებს მხოლოდ და მხოლოდ უძრავ ღღესასწაულთათვის.

ასე რომ, პ. კარბელაშვილის მიერ მიკვლეული ხელნაწერი მართლაც ვან-სხვავებული ტიპის საღიერსასწაულო ყოფილა.

卷之三

<sup>4</sup> Dictionnaire d'archéologie chrétienne et de liturgie, publié par le R. P. Fernand Ga rol, part. II, Paris, 1907, col. 2279; Историческое обозрение богослужебных книг греко-русской церкви, Киев, 1836, с. 146—148.

5 გ. ქავთარია, ძევლი ქართული პოეზიის ისტორიდან XVII—XVIII სს. თბ., 1977, კვ. 35.

<sup>6</sup> ამ ხელნაწერს შეამოთ ყველგან ასე დავიმოწმებთ: ცენტრის. 245.

7 Ф. Д. Жордания, Описание рукописей Тифлисского Церковного музея, II, Тб., 1902, გვ. 145. სამუშაოროდ, თ. კორდინას ამ ხელნაშეკრის ანდერბ-მინაშეტები არ აღნუსხავს. სხეული კოლექციის ახალ, უკავ გამოსაცემად მომზადებულ, „ალექსანდრას“ გაეცანით მისი ერთ-ერთი შემთხვეობის, ქ-ნ თამარ ბრძების, თავითან ნებართვით.

8 ქართულ ხელნაწერთა ოწყერილობა, ცენტრალური სახელმწიფო საისტროი აჩვევი, შეღვინლია პროფ. ს. კაკაბაძის და 3. გაგოშიძის მიერ აკად კ. კერძობის რედაქციით, 1, თბ., 1949, გვ. 214. ჩვენ, ქართულნოვანი ლიტერატურულ ძეგლების რაობა — სახელმწიფის ტრადიციის თანამდებარებულობის გამოსახული. ამ ნუსხის სახელშობებად „საგალოობელთა კრებულს“ ვამჯობინებთ (იხ. კერძოო, ამ ხელნაწერის ჩვენიერ აღწერილობაში).

იგი ცენტრალური საფინანსო 1925 წელს გადაუცია ვასილ კარბელაშვილის მიმმართ 1936) 37 ხელნაწერთან ერთად<sup>9</sup>.

ამ ფაქტთან დაკავშირებით უნდა ვითქიროთ, რომ სოფ. ქვემოჭალის ხელნაწერული კრებული თბილისში თვით პ. კარბელაშვილმა ჩამოიტანა და მისი მეორე ნაწილი, რაღაც საგალობლებს შეიცვდა, გადასცა თავის ძმის, ვასილს, კართულე გალობა-მუსიკის ცნობილ სპეციალისტს, სათანადო შესწავლისა და შეფასების მიზნით. ხოლო პირველი ნახევარი კი შესძინა საეკლესიო მუზეუმს.

\* \* \*

ზემოდასახელებული საგაზეთო ინფორმაცის ამ ხელნაწერებთან მეწარმებამ დაადასტურა და დააზუსტა შემდეგი:

I. პ. კარბელაშვილს 1882 წელს სოფ. ქვემოჭალის ეკლესიაში ეტრატის ეს ორი ხელნაწერი მართლაც ერთად აყინდული უნახავს. მას გადაუთვალიერებია ხელნაწერული კრებული და ალაგა-ალაგ, აშიებზე (იხ. ცენტრარქ. 245, 114v, 115r.), ფანქრით საკუთარი შენიშვნები და დაკვირვებანი დაუფიქსირებია. ამავე ფანქრით შეუსრულებია ხელნაწერის ფურცლობრივი პაგინაცია. ამიტომ: სადაც მთავრდება A ფონდისეული წიგნი — 194 ფურცელზე, იქიდან იწყება (ძველი პაგინაციით) ცენტრარქ. 245-ის ფურცელთა ნუმერაცია, ე. ი. 195-იდან და მთავრდება 387-ით<sup>10</sup>.

II. ამ კრებულის პირველი ნაწილი, ამჟამინდელი დაცულობის მიხედვით — A ფონდის ხელნაწერი, სპეციალურ ლიტერატურაში „საწინაშერმეტყველოდ“ ანუ „საწელიწიდო — საწინაშერმეტყველოდ“ წოდებულ წიგნს წარმოადგენს და ცულისხმობს დიდ დღესასწაულთათვის განკუთვნილ ბიბლიურ საკითხავებს ძველი და ახალი ძლიერდან. მეორე კი (ცენტრარქივისეული) — „საგალობელთა კრებულს“, რომელიც მოიცავს მთელი წლის საჩინო დღესასწაულებს, უძრავსაც და მოძრავსაც. ასე რომ, ორივე ძეგლი (მათი ვრცელი აღწერილობა იხილეთ წინამდებარე სტატიის ბოლო ნაწილში) სადღესასწაულო იტურგულ გიკულ მას ალას, საკითხავებსა და საგალობლებს ერთიანებს. სწორედ ამის საფუძველზე უწოდებია პ. კარბელაშვილს ქვემოჭალისეული კრებულისათვის მთლიანად სადღესასწაულო.

<sup>9</sup> ესნია სცენა-ის ხელნაწერ წიგნთა ფონდის (233) №№ 244—282. თვით პოლიეგეტოს კარბელაშვილს კი იმავე 1925 წელს გურგანიდან ჩამოეტანა ხელნაწერების საკუთარი კოლექცია და ცენტრარქივისათვის გადაუცია (ფ. 233. №№ 201—243).

10 ასე რომ, ძეგლი პაგინაციის თანახმად არიებ ხელნაწერი სწორედ 774 გვერდს უნდა მოიცავდეს, მაგრამ, რაოდრც სათანადო „აღწერილობები“ მიგანიშვებს (იხ. ზემოთ, სქ. 8, 9), დღესდღეობით მათი გვერდების რაოდენობა მთლიანად უდრის 772-ს ანუ 386 ფურცელს (194+192). უნდა ვითქიროთ, რომ ქვემოჭალისეული კრებულის მეორე ნაწილის, ცენტრარქივისეული ხელნაწერის, ერთი ფურცელი, კერძოდ, ძველი (პ. კარბელაშვილისეული) პაგინაციით — 233, 1882 წლის შემდეგ დაკარგა და ცხადია, ამჟამად ფურცელების ეს ნუმერაციაც დაფუძრულია: 232-ს მოსდევს 234 გაშინ, როდესაც ახალი, ცენტრარქივისეული, პაგინაციით აქ თთქმის კველაფური რიგზეა: 37 (იგვევ 232), 38 (234) და ა. შ. შემთხვე, რა თქმა უნდა, თვეობით საცემია სათანადო ტექსტის ნაკლოვანებაც: გაუჩინარებულია საბა განწერდილისადმი (5 დეკემბერი) მიძღვნილი საცისქო კანონის ნაწილი (აქებდოთსა, განმანათლებელი და სხვ.).

II. 3. კარბელაშვილს ოღუნისხავს აგრძელებს კრებულის თითქმის ყველა სა-  
ურადღებო ანდერ-მინაშვირი, რომელიც ამჯერად ასე ნაწილდება: № 1:  
A 672, 18v. (მხედრული, ტექსტის ქვეშ); № 2; A 672, 112v. (მხედრული, ტექს-  
ტის ქვეშ); № 3; A 672, 161r. (მხედრ.); № 4; ცენტრარქ. 245, 70v (ნუს-  
ტურით); № 5; ცენტრარქ. 245, 86r. (მხედრ.); № 6; ცენტრარქ. 245, 139 v.  
(ტექსტის ხელით); № 7; ცენტრარქ. 245, 20v (აშიაზე, ტექსტის  
ჩელით); № 8 — ცენტრარქ. 245, 1r (მხედრ.); № 9: A — 672, 168v.  
(მხედრული, აშიაზე); № 10 — ცენტრარქ. 245, 23r. (მხედრ. ტექსტის ქვეშ);  
№ 11 — ცენტრარქ. 245, 117v. (ნუსხ. ტექსტის ხელით); № 12 — ცენტრარქ.  
245, 151v. (მხედრ.); № 13 — ცენტრარქ. 245, 164v. (ნუსხ. ტექსტის ხე-  
ლით).

აქევ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: მინაშვირთაგან ზოგი გადამწერის, ბასი-  
ლის, ანდა — ბასილის მიერ გადამწერილი ნუსხის ხელახლა გადამწერის  
ხელითაა შესრულებული. მათი ნაწილი — №№ 6, 11 და 13 — ტექსტში-  
ვეა ჩაწერილი, ამა თუ იმ განვების ბოლოს. მინაშვირთა ჭვეფი, შეს-  
რულებული მოვიანო ხანის მხედრულით, ულაზათო და მდაბიური ხელით, —  
A 672, 22r. 53., 59v., 102r., 130v., 143v., და სხვა, რომელთა ამოკითხვა და  
აზრის გამოტანა თითქმის შეუძლებელია (ისინი უფრო კალმით თამაშის შთა-  
ბეჭდილებას ტოვებენ) — უნდა ეკუთვნოდეს შე-10 მინაშვირის (ცენტრარქ.  
245, 23r.), ავტორს, ამილახვრის დას ეკატერინას (მელანი და ხელშვირა ერთი  
და ივივეა). ეს ფაქტი კი, ვფიქრობთ, ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ A 672  
და ცენტრარქ. 245 ოდესაც ერთ კრებულს წარმოადგენენ: მათ ხშირად ერთი  
და იგივე მეტოხელი და დამუზრცვლელი ჰყავდათ.

IV. ამ კრებულის მიმკვლევს, ამასთანავე, ყურადღება გაუმახვილებია იქ  
წარმოდგენილ სამ საგალობელზე (მეტრითა და კილოთი რამდენადმე გამორ-  
ჩეულ დასდებლებზე), მისი თქმით — ლექსებზე. ესენია:

ა) ხუდრისაგანი: დიდი ორშაბათის დასდებელი „მოიხილესა“ ანუ იმა  
დღის საცისკრო კანონის — სამსაგალობლის (τρεις ფძა!, триод) პირველი გა-  
ლობა (ცენტრარქ. 245, 92r—v), რომელიც შედარებით კარგად იყი-  
თხება. ამიტომაც მკვლევარს გადმოუწერია იგი და გამოუქვეყნებია კიდეც  
(იხ. ზემოთ)<sup>11</sup>.

11 თუმცა ხსენებულ ხელნაშვირში წარმოდგენილი ლიტურგიული მასალის ფილოლო-  
გიური ანალიზი წინამდებარე გამოკვლევის მიზანს შორიდება, მაინც უნდა აღვნიშნო შემ-  
დეგი: ამ შემთხვევაში 3. კარბელაშვილის ყურადღებას უმთავრესად მიიპყრობდა ქარაგმით  
წარმოდგენილი სახელწოდება — „მხელესა“, რომლის აეტორადაც იქნება (92r: სათაურის გას-  
წვივ და, აგრძელება, აშიაზე) დასახელებულია „კოშმან“ ანუ კოშმა იერუსალიმელი. (VIII ს.).  
როგორც ცნობილია, კოშმა იერუსალიმელის მეტ თხზულ საგალობლებში შემორ იდა  
არ დასტურდება და, ბუნებრივია, არ კოშმას უსულ ძლისპირთა აკოლუთიების ძელ ქართულ-  
თარგმნებს მოვალეობათ იგი (იხ. ძლისპირი და ღმრთისაშვილისანი, ორი ქველი რედაქცია  
X—XI ს. ხელნაშვირების მიხედვით გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. მეტრველმა, თბ.,  
1971, 1—214; ლ. ჯამაია, მეორე გალობის საკითხი X საუკუნის ქართულ პიმნიგრა-  
ფიულ კანონში, მრავლავი, X, თბ., 1983, გვ. 116; ლ. კვირიკაშვილი, პიმნიგრაფიულ  
კანონის კომპოზიცია, თბ., 1982, გვ. 27, 38). ამდენად, ხსენებული ფაქტი ერთ-ერთ უნი-  
კალურ შემთხვევად უნდა იქნეს ცნობილი და ყურადსალები მით უმეტეს, რომ, ბიზან-  
ტიონლოგ პაპონაშვილ-კრამერის საყოველოად აღიარებული აზრის თანაბმად, მეორე  
გალობის აღმოჩნდა არის მნიშვნელოვანი მოვლენა ფილოლოგიური თვალსაზრისით. (A. P.  
ქერამეს, დესტერა აშან ასამაზეთ ხაიიოუ, Жrn. „Византийский временник“,  
С.—Пб., 1906, т. VIII, вип. 2, с. 484).

დანარჩენ „ლექსებად“, რომელთა გაღმოშერთა წ. ყარბელაშვილის მოუხერხებია (გადმოსაწერი დამტანი), უნდა ვიგულისხმოთ:

ბ) ნათლისღების საცისკრო კანონი (პ. კარბელაშვილის თქმით, „გრძელი ლექსი“, ცენტრარქ. 245, 39v—41v.) ანუ „სხუანი გ(ალობანი), რომლისა თავი იტყვან: დღეს იორდანეს ქ'ს ნა(თლისღების) ყოველი განათლდა და საპებისა წმიდისა თაყუანის ცემად განცხადნა. იხარებენ ერთბამად ანგ (ელოზ)-ნი (და) კაცნი. იამბიკონი: ხუთ თ(ა)ვნი და თორმეტ მარცუალნი; იამბიკონი ბერძულად ამას გუარსა ზედა არან. უგალობდითსა: ჭმა ბ. ზღვასა ღ(ელვანი).“

დაუსაბამო ქე და სიტყუად მამისად  
ლ...ყოველთა .., და ნათლისღებად  
ე ... ზა ... ნისა დღეს  
სიმღვალით ჩეუნთვს და აცხოვნა სოფული,  
იხარებით ყოველი დაბადებულნი.  
შ; სახიერო ღმერთო, ყ-დ ძლიერო,  
რ....ად არს სიმდაბ(ლეტ) ...მიუწლომელი,  
დღეს განპშიშულდება იორდანეს შინა  
აღამის ბრალთა აკოცად მოწყალებით

\* \* \*

წარმოდგენილია კანონის რამდენიმე გალობა (განძლიერდითსა, მესმაასა, ღაშითგანსა). დანარჩენი გაუჩინარებულია შესაბამის ფურცლებთან ერთად. ეტრატის შემორჩენილი ნაწილი დეფექტურია, ჭიანჭამი.

ლექსტის სრულყოფილად ამოკითხვა შეუძლებელია.

გ) „ლექსი“, რომლის „თავი არ აჩანს“, წარმოდგენილია ცენტრარქ. 245-ის 1911-წე (ხელნაწერი აქაც ძალზე გაუფერულებულია. სტრიქონთა ნაწილი გაცხოველებულია შავი მელნით):

აღამის წყვევა შეიცუალა კურთხვევად,  
სიტყუალ ღმრთისა, მამისა თანა სწორო,  
ხრწილებამ ჩეუნი შესვალედ უხრწილებად,  
აღსასრულთა რა ემისა იშვე ჩეუნთვს,  
მძლავრება იგი მჟღომისა უჩინო ჰყავ

\* \* \*

შინაარსის მიხედვით იგი შობის განვების მცირე ფორმის საგალობელთა-გან ერთ-ერთი ბოლო (სათაური არ იყითხება) უნდა იყოს. მას მისდევს (1911) ქრისტეს წინადაცვეთისა და ბასილი კაბადუკიელისადმი მიძღვნილი გალობანი.

\* \*

ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ ეტრატის ამ ორი ხელნაწერის თავგადა-სავალი ზოგიერთი კოდიკოლოგიური მომენტის გათვალისწინებითა და ან-დერძ-მინაწერებზე დაყრდნობით. ამასთან დაკავშირებით კი უნდა შევეხოთ მათი გადამნუსხავებისა და მინაწერებს შორის მოხსენიებული ისტორიული ჰირების იდენტიფიკაციას.

ა 672 და ცენტრარქ. 245-ის კალიგრაფია და ნუსხვა-აღწერის სტილი ერთმანეთს რამდენადმე ჰგავს. საერთოა: 1) სპეციფიკურობა შემდეგი ასო-ხიშნებისა: ქ, ჯ, მ, ძ, ვ; 2) სასვენი ნიშნების ხმარება (ჩაზს ზევით); 3) რვე-

ულებლივი პაგინაცია: შესაბამისი ნომერი დაქარგულ კვალჩატშია ჩასმული; კვალჩატის თითოეული გვერდის 5 თუ 6 ხაზს პირამიდის ფორმა აქვა; 4) უკველ გვერდზე ტექსტისათვის განკუთვნილი ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები თითქოს ნარჩარად გარსევლებიან ნაწერს. მასთანავე, თითოეულ გვერდზე სტრიქონთა რაოდენობა ორივე ძეგლისა თითქმის ერთი და გვივა: 24—28.

საგრძნობია სხვაობაც: 1) A 672 გამოიჩეეთ მძიმეთა სიჭარბით, რაც ცენტრალური ისეულში თითქმის არ გვხდება; 2) რვეულის ციფრი A 672-ში ფურცლის შუაში ზის, ცენტრალქ. 245-ში მარჯვნივ; 3) A 672-ისათვის დამასკისითებელია ოთხებილანი ო, რაც ცენტრალქ. 245-ში ძალზე იშვიათია; 4) რამდენადმე განსხვავებულია საზედაო ასოების გაფორმება-ორნამენტირება; 5) ზოგიერთი სიტყვის (მაგ. უღ) დაქარაგმების ტექნიკა და სხვა.

სხვადასხვა აგრძელებული მათი რვეულების პაგინაცია: მეორე პირველის გა-  
շრძელებას არ წარმოადგინს.

ასე რომ, ხსენებული ორი ხელნაწერი — აღრე სოფ. ქვემოჭალის ეკლესიის ერთ ლიტურგიკულ კრებულში წარმოდგენილი — სხვადასხვა პირის მიერ უნდა იყოს გადაწერილი\*.

მათგან „საჭიროსწარმეტყველოს“ გადამშერის ვინაობა კვლევის ამ ეტაპზე ჩვენოვის უცნობია. საფრენებელია, რომ მისი სახელი შთანთქა იმ ფურცლებმა, A ფონდისეული ნუსხის დასაწყისმა და დასასრულმა გვერდებმა, რომლებიც დღესდღეობით დაკარგულად ითვლება.

რაც შეეხება „საგალობელთა კრებულს“ (ცენტრალური ინსტიტუტის), უნდა გაირკვეს — მართლაც „ბასილათა შვილის“ ბასილის მიერაა გადაწერილი იგი? ამ თვალსაზრისით საყურადღებო ამდენიმე საკითხი გადამწერის მიერ შესრულებული ანდერძ-მინაწერების შესახებ. ზემოთ აღვნიშვნეთ, რომ ჩამოთვლილ 13 მინაწერთაგან ტექსტის ხელით შესრულებულია ოთხი: №№ 6, 7, 11, 13. მათ შორის სამი: №№ 6, 11 და 13, უკავშირდება გადაწერის ბასილის პიროვნებას: მე-11 და, მეტადრე, მე-13 წარმოადგენენ ჩვეულებრივ ანდერძებს, რითაც „ბასილათა შვილი“, სხვათა შორის, აღვლებს ლოცვა-კედრებას შობელთათვის. ამტომაც, შესაძლებელია, სწორედ გადაწერ ბასილის დედა იგულისხმებოდეს მე-6 მინაწერში: „ამის მწერლისა დედასა შეუნდეს ღმერთობინ“. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ანდერძ-მინაწერთაგან მხოლოდ ეს სამია წარმოადგენილი ძირითად ტექსტიან ერთად, ამა თუ მანვალების ბოლოს, რაც გვაძლევს საფუძველს, ვითიქროთ, ჩვენს ხელთ არსებული ძეგლი მომდინარეობს ბასილის მიერ გადაწერილი ნუსხიდან.

ამასთანავე, ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ გადამწერის ანდერძი შე ნუსხაშე წარმოდგენილია აჩაფერისამებრ, ე. ი. არა თავში ან ბოლოში. თუ გავითვალისწინებთ ხსენებული ძეგლის კალენდრის პრინციპს (იხ. ქვ. ოწ-ში), გვერდიშნება, რომ ეს საკალობელთა კრებული სწორედ იქ, ანდერძზე — ითან ნათლისმცემლის თავისკეთით — უნდა დასრულდეს, ვინაიდნ კრებულის მესამე (ბოლო) ნაწილი წარმოადგენს ითან ნათლისმცემლის ციკლს, ე. ი. ამ წინასწარმეტყველისა და წინამორბედის შობა-თავისკეთას: 24 ივნისი — 29 პეტროსტო. მიზომავაა მოულოდნელი და უკანასწილი ამ ანდერძის

\* ეს თვალსაზრისი დაგვიღასტურა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ლაშარა ქადაგიძე.

შემდეგ იმ საგალობლების წარმოდგენა, რომლებიც მთივე შინაპრინც-ჰერცოგი დანიშვნულების მიხედვით ჩვენი ძეგლის პირველ ნაწილში (სექტემბერ-მარტი) უნდა მოქცეულიყვნენ. ესენია: განვებანი კოზმან და დამიანესი (1 ნოემბერი), ეგნატე ღმერთშემოსილისა (20 დეკემბერი), იოანე ოქროპირის ნაწილთა ომოცყვანებისა (27 იანვარი). როგორც ჩანს, „ბასილათა შეილს“ ბასილს შეუდგენია, ანდა მხოლოდ გადაუნუსსავს, საგალობელთა წიგნის ის რედაქცია, რომელიც წარმოდგენილია ცენტრარქივისეულ ხელნაწერში 164v-მდე, შესაბამის ანდერიამდე.

და თუ ეს ასეა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ნუსხის შემდგენელ-გადამწერს გამოუჩენია სათანადო პატივისცემა მის ხელთ არსებული დედნის მომეუშაკებლისადმი და ბასილისმიერი ანდერძ-მინაწერები უცვლელად გადაუტანია ახალ ეგზემპლარში<sup>12</sup>. 1

იბადება კითხვა: ვინაა ბასილის ნუსხის გადამწერი?

ვფიქრობთ, პასუხი არც თუ ისე ბუნდოვანია — „საგალობელთა კრებულის“ გადამნუსსავად უნდა ვიგულვოთ ივტორი იმ ანდერძ-მინაწერისა, რომელიც შესრულებულია ტექსტისავე ხელით, მოთავსებულია აშიაზე და გვამცნობს: „მე ბევაროზ დავწერე“. იგულისხმება: მე, ბევაროზ მა, წინამდებარე ნუსხა გადაუწერო.

მასთანავე უნდა ვივიარულოთ, რომ თავისი ხელნაწერის ერთ-ერთ ბოლო (ჩვენამდე არმოლწეულ) ფურცელებზე ბევაროზი წარმოადგენდა სათანადო ანდერძს, რითაც გვამცნობდა საგალობელთა ამ კრებულის შექმნის ისტორიას, კერძოდ, თავად ხომ არ განვრცო ბასილის ხელიდან გამოსული რედაქცია? ე. ი. მხოლოდ გადამწერია იგი თუ შემდგენელ-რედაქტორი? იქნება ამ ანდერძით მაინც გაგვეგო, სად, როდის და რა პირობებში მოიღვაწა მან „ლვაჭლი კეთილი“. ამჯერად მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ბასილის მიერ შედგენილი თუ მხოლოდ გადაუნუსხული და წმინდა სამების სახელობის ერთ-ერთი ეკლესიისადმი მიძღვნილი წიგნი შემდგომ ვინმე გადამწერმა, შესაძლებელია — თვით ბევაროზმა, საკუთარი სამრევლოს ეორტალო-გიურ-ლიტურგიული პრატიკის კვალიბაზე შეავსო და ამრიგად წარმოგვიდგინა პიმნოგრაფიული კრებულის კიდევ ერთი, შედგენილობისა და, მეტადრე, კალენდრის თვალსაზრისით (იხ. ქვემ. ოწ-ში) საყურადღებო რედაქცია.

თუმცა A 672-ის გადამწერი უცნობია, ჩვენი აზრით, იგიც იმავე კალიგრაფიული სკოლის წარმომადგენელი უნდა იყოს, რომელსაც ეკუთვნოდა ბევაროზ გადამწერი. ამით იხსნება სხენებულ ძეგლებს შორის კოდიკოლო-გიური მსგავსება. ამასთანავე ცხადია ისიც, რომ ეს ძეგლები: „საწელიწდო-საწინასწარმეტყველო“ და „საგალობელნი“ თავიდანვე ერთ კრებულში გაერთიანებული არ ყოფილან. ისინა დიდებას ინახებოდნენ ცალ-ცალკე, რაზეც მინიშნებს. A 672-ის ბოლო ნაწილისა და ცენტრარქ. 245-ის ღამაწყისის გაუჩინარება.

ბუნებრივია, აქვე დავსვათ საკითხი ამ ხელნაწერების დათარიღებისა.

3. კარბელაშვილი მთელ კრებულს X საუკუნემდელ ძეგლად მიიჩნევს, თუმცა მის მიერ მომარჯვებული არგუმენტი: 1) „პერგამენტი ისეთი უხერხელი შემზადებულია, ისეთი სქელი, ისეა გატყავების დროს დაჭრილი და

<sup>12</sup> კველვაღადანუსხვის დროს ძეგლი ანდერძ-მინაწერების დატოვება თითქმის ჩვეულების ბრიტი მოლენაა. მაგალითად, იხ. მ. დოლიქიძე, ათონური № 79 ხელნაწერის შედგენილობის შესახებ, მრავალთავი, № 12, 1986, გვ. 7. 1

დაწერეტილი, რომ უძველეს მწერლობას უნდა ეკუთვნოდეს”; 2) „დაწერილი ჰყელი ხუცურით”; 3) გამართულია სხვა ტიპიკონები, — კრიტიკას ვერ უძლებებ, რადგან 1) მასალის (ამ შემთხვევაში პერგამენტის) უხარისხობა; 2) „ძველი-ხუცური“ (?) და 3) ტიპიკონის ჰყელი რედაქცია მოცემული ხელნაწერის გადანუსხვების თარიღს ვერ დაგვიზუსტებს. არც კრებულის მეორე ნაწილის, ცენტრაზე 245-ის, ანდერები: ბასილის ლოცვა-ვედრება თავისი თავისა და აქლო ნათესავებისათვის და ბევაროზის ავტოგრაფი გვთავაზობენ ამ თვალსაზრისით რამე ხელჩასაჭირს. აშერაა მხოლოდ, რომ ენისა და გრამატიკული ფორმების თანახმად (მაგ. საკუთარი სახელის მოთხოვნითი ბრუნვა) ბასილისმიერი ანდერის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი XIII—XIII სს-ებს ვერ გადასცდება. ხოლო თუ X ს-ით ვერ თარიღდება ბევაროზის მიერ შესრულებული ნუსხის წყარო ანუ დედონი, ცხადია, ქვემოთალისეული კრებულის „საგალობელი“ და მასთან ერთობ, როგორც მისივე კალიგრაფიული სკოლის ნაყოფი — „საწელიწოდ-საწინასწარმეტყველო“ მოვგანონ ზანის ძეგლებად უნდა იქნან ცნობილი. მართლაც, შესაბამის „აღწერილობებში“ ორივე ხელნაწერი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით პირობითად XIII—XV სს-ითაა დათარიღდებული: „საწინასწარმეტყველო“ — XIII—XV სს-ით, „საგალობელთა კრებული“ კი XV ს-ით (იხ. ზემ. სქ. 8, 9). და თუ შეესაბამება სიმართლეს ეს დათარიღება, უნდა ვალიაროთ, რომ სსენებული ძეგლების თავგადასავალი XVIII საუკუნემდე ჩვენთვის თითქმის უცნობია, რადგან ამ თვალსაზრისით სარწმუნო ცნობას ჯერ-ჯერობით ვერ ვადასტურებთ. მათი შემდგომდროინდელი დაცულობისა და მფლობელობის შესახებ კი საყურადღებო ინფორმაციებს შეიცავენ ზემოშარმოდგენილი „შეძრარწერილობანი“. იმათვან №№ 1, 2, 9 მიანიშნებენ, რომ კრებულის პირველი ნაწილი მაინც (A 674) ერთ დროს წმ. შიოს ანუ „დიდის მღვიმის“ მონასტერში ინახებოდა და იქაურ ბერებს მის აშიაზე ტრადიციისამებრ წარმოუდგენიათ ზოგიერთი ცნობა, კერძოდ, 1729 წლამდე ამ საგანის წინმდგარი ყოფილა ვინებ ზებედე<sup>13</sup>, რომელსაც თურმე დიდად აფასებდა საერთო ხელისუფლება. იმავე წელს იქ არა-სასურველი ფაქტიც მომხდარა: დაკან დავითს ფეხი მოუტეხია.

რაც შეეხება ცენტრარქიკისეული ნუსხის თავგადასავალს, საყურადღებოა პ. კარბელაშვილის სტატიაში შარმოდგენილ მინაწერთაგან მე-8: „...ღმერთო, აღლევგრძელე ერისთავი შანშე. მე დავით დავწერე. ამინ“. იგი გვარწმუნებს; თუ კრებულის ორივე ნაწილს არა, „საგალობელთა წიგნს“ მაინც ერთ დროს ქსნის ცნობილი ერისთავის, შანშეს, მაღიდებელნი კითხულბონენ. ეს გავლენიანი ფეოდალი კი, როგორც ცნობილია, ვერ მეგობარი და თანამებრძოლი იყო გივი ამილახვრისა, შემდეგ — მტერი და ოპოზიციონერი<sup>14</sup>. ამა-

<sup>13</sup> ინფორმაციის ვტორი, პ. კარბელაშვილი, იქვე შენიშვნაც: „წინამდვირი ზებედე ას არის მოხსენებული პლ. იოსელიანია, „შიო-მღვიმის აღწერაში“ წინამდვრების რეცხვში“ ეს მართლაც ასეა: იხ. პ. იოსელიან, Описание Шиомгвимской пустыни в грузии, Тиф., 1845, გვ. 54—59. როგორც ჩანს, არც თ. ეორდანისათვის იყო მისი სახელი ცნობილი. იხ. თ. ეორდანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, ტფ., 1896.

<sup>14</sup> ს ე ხ ნ ი ა ჩ ე კ ე ი ძ ე, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება (დააბამითან მეათეცხამეტე საუკუნემდის), II, ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, სანქტპეტერბურგი, 1854, გვ. 338—354; ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი კ ა ვ კ უ ნ ა, ამბავნ ქართლისანი, ტექტი დადგინა, შესავალი, ლესიქონი და საბობლები დაურთო ე. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1981. გვ. 41—48; ქართლის ცოვრება, IV, ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1973, გვ. 516—518.

თან დაკავშირებით პ. კარბელაშვილი სქოლიოში შენიშნავს: „ეს შანჩურა მეორე გვი ამილახვრის მოპირდაპირე 1735 წ. მან წაუკიდა ცეცხლი ჭალის ღვთისმშობლის (ამილახვრის) ეკლესიას და აიკლო. საფიქრებელია, რომ ეს წიგნი შანშეს წაეღო ახალგორს და იქ დაეწეროთ ეს წარწერა. შემდეგ გვიმ აიკლო შანშეს სასახლე ახალგორში და მაშინ დაიბრუნებდა ამ წიგნს...“ დაბეჭითებით ვერ ვიტყვით, ამდენად საფუძვლიანია მკვლევრის ეს ვარაუდი, ე. ი. როდის აღმართული სენიებულ ნუსხაზე შანშე ერისთავის სახელი: გვი ამილახვართან მეგობრობისას თუ მათ შორის პოლიტიკურ ნიადაგზე გამოწვეული კონფლიქტის შედევ? ანდა: იმთავითე საამილახვროს ამ თვალსაზრისით ანგარიშგასაწევია ცენტრალქივისეული ნუსხის მხედრულ მინაწერთაგან ერთ-ერთი (47r), რომელშიც დღესდღეობით ესრა იყითხება: „სახელითა ღმრთისათა, მამისათა, ძისათა და სულისა წმინდისათა მეოხებითა წმინდისა იოანე ნათლისმცემელისათა, იოანე მახარებელისათა ესე კუთვნილება იყო ეს წიგნი? წიგნი გიბოძე მე ერისთავმან კიძე (?) შენს გაყრილთა (?) ნიადაგ მღლოვარეს ესე ...არა ვიცოდი წერა, შემინდევ ვინცა წაიკითხოთ, სიჩქარე...“ სამწუხაროდ, წარწერა იმდენად ცუდი კალიგრაფითა შესრულებული და შესაბამის აღგილზე იმდენად გაცრეცილია ეტრატი, რომ ჩვენთვის გაურკვეველია: რომელმა ერისთავმა ვის უბოძა ეს წიგნი და როდის? თუმცა ცხადია, რომ იგი ერთ დროს ერისთავების, აღბათ, — ქანის ერისთავების, საკუთრებასაც წარმოადგენდა.

ვეტოგრაფიული მინაწერები — №№ 3 (A ფონდისეული) და 10 (ცენტრალქივისეული) — გვამცნობენ, რომ ქვემოქალისეული კრებულის მკითხველთაგანნი ყოვილიან: ამილახვრის შვილი ოთარი და და — ეკატერინე. თუ რომელი ამილახვარი იგულისხმება ამ შემთხვევაში პიროვნულდ, ანდა: ხსენებული ოთარი ეკატერინეს მძისწულია თუ არა, დაუზუსტებელი დარჩა თვით პ. კარბელაშვილსაც, რომელიც თურმე წლების მანძილზე იყვლევდა ამილახვრით საგვარეულოს ისტორიულ დოკუმენტებს<sup>15</sup>. თუმცა ამ კრებულის ორივე ნაწილში ამილახვართა მოხსენიება ცხადყოფს, რომ პირველიცა და მეორე წიგნიც XVIII—XIX სს-ში დაცული იყო ამ ეკლესიებში, რომლებსაც ამილახვრები მფარველობდნენ. ამიტომაც არაა შემთხვევებით, რომ ორივე ხელნაწერის თავვადასავალი სწორედ შიომლების ლავარისა და ქვეშოჭალასთანაა დაკავშირებული. მასთანავე უეჭველია, რომ კრებულის პირველი ნაწილი — „საწინასწარმეტყველო“, როგორც №№ 1 და 2 მინაწერები მიგვანიშნებენ, 1729 წლამდე შიომლების საკუთრებად ითვლებოდა და შესაძლებელია, სწორედ იქაურმა ბერებმა დაუთმეს იგი იმდროისათვის სახელგანთქმულ ამილახვარ გვის მათი საგანის აღდგენა-გამშვენიერების მიზნით 1730 წელს გაღებული კტიოთორული ლოფტლი<sup>16</sup> სანაცვლოდ. ქართული კულტურის ეს დიდი მოამავე კი, რა თქმა უნდა, მონასტრისეულ ძველს თავის რეზიდენციაში მიიტანდა და საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ფატრთან დაკავშირებით აღმართული ამილახვრიშვილმა ოთარმა „საწელიწლო-საწინასწარ-

15 პ. ც ხ ვ ი ლ ო ე ლ ო, მასალად ამილახვართა ისტორიისა (წარწერან ხატებზედა და კელლებზედ ს. ჭალასა, შიო მღვიმეს და ქ. ტფილისში შეკრებილნი), გაზ. «ივერია», 1891, № 237, 238; 1893, № 77; პ. ც ხ ვ ი ლ ო ე ლ ო, მეუე ერეკლე და დემეტრე ამილახვარი, უზრნ. „მოამბე“, 1896, № 1, II განყ. გვ. 1—20; პ. ც ა რ ბ ე ლ ო შ ვ ი ლ ო, ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გრძელები, კრ. ძველი საქართველო, ტ. II, ტფ., 1913, გვ. 101—138.

16 პ. ი ი ს ე ლ ა ნ, დას. შრ. გვ. 24, 32.

შეტყველოს“ ერთ-ერთ ფურცელზე საკუთარი სახელი (იხ. ზემოთ, მინტ. № 3). აქ ბუნებრივად დაისმის საკითხი ხსენებული „ამილახვრიშვილის“ იღენ-ტიუკიაციისა და გვიჩნდება ეჭვი: სახელოვანი გივის ამილახვრობის პერიოდის, XVIII ს-ის შუა წლების (ცერძოდ, 1723, 1724, 1732, 1739, 1744), ისტორიულ საბუთებში დამოწმებული „ამილახვრის შვილი ოთარი“, ანდა, იგივე, ოთარ ამილახვრი<sup>17</sup>, გვი ამილახვრის ვაჟი ხომ არ იყო? ეს საკითხი მით უფრო საყურადღებოა, რომ გივი ამილახვრისა და მისი მეუღლის, ბანგუას, შეიღების სახელები, გარდა რევზისა, რომელიც პორტრეტი ერემეთი დავილოვის ჩენების თანახმად 1742 წლის 11 ივნისს მდიმედ დაუჭრიათ ყიზილბაშებს სოფ. სხეილოსთან<sup>18</sup>, ჩვენთვის ხელმისაწვდომ წყაროებში არ დასტურდება. არც გივის დის სახელი ფაგურირებს მათ შორის და ჩვენც, სამწუხარიდ, ქვემოჭალისეული კრებულის მინაწერებს შორის მოხსენიებული „ამილახვრის დის, ეკატერინას“, იღენტიფიკაციისათვის არავითარი ფაქტობრივი მასალა არ მოვცვოვება.

11 ამჩიგად, წინამდებარე მიმოხილვის შემდეგ ქვემოჭალისეული კრებულის ისტორია დაახლოებით ასე წარმოგვიღებება: მისი შემადგენელი ნაწილები, ერთსა და იმავე ეპოქაში (XIII—XV ს-ს შორის) და ერთსა და იმავე კალიგრაფიულ სკოლაში გადაუნისხევთ, რა თქმა უნდა, ძველი დედნებიდან. დადგხანს ისინი ცალ-ცალკე ასტებობდნენ და სავარაუდებელია, რომ ბევრჯერ გამოიცვალეს ადგილი. ბოლოს კი, საფიქრებელია, XVIII ს-ის 30-იან წლებში, სოფ. ქვემოჭალის ეკლესიაში გააერთიანეს<sup>19</sup>, უკვე საქმაოდ დეფექტური ხელნაწერები, მთელი წლის საჩინო დღეთათვის განკუთვნილი (1) ბიბლიოური საკითხავები და (2) საგალობლები, ალბათ, ხენებული სამრევლოს პრაქტიკული მოთხოვნილებების შესაბამისად, სადღესასწაულო ღვთისმსახურების მოხდენილად და დაუბრკოლებლად შესრულების მიზნით.

ამავე მიზნით უნდა ჩამოყალიბებულიყო სადღესასწაულოს თანამდერთოვე ტაბი, ე. ი. წიგნი, რომელმაც შესაბამისი ჰიმნოგრაფიული და ბიბლიოური მასალა — „გამოკრებილი თუენი“ (უძრავ დღესასწაულთა საგალობლები) და „სამწინასწარმეტყველო“ — გააერთიანა გარტვეული ტიბიკონის მიხედვით. ხოლო სანამ ესა თუ ის ეილესი შეიძენდა ამგვარად (ლიტურგიული თარგის

17 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთოვე (XV—XVIII ს-ს), ნ. ბერძნიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 233; მასალები საქართველოს გვანტფორდალური ისტორიისათვის, გვანტფორდალური ხან, II, მასალები შეარჩია და გმოსაცემდ მოამზნა ნ. ბერძნიშვილმა, თბ., 1953, გვ. 31, 235; დოკუმენტები საქართველოს სოციალურ ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX ს-ს). ნ. ბერძნიშვილის რედაქციით, თბ., 1953; ქართული სამართლის მეგლები, III, საეკლესიო საქართველო მეგლები (XI—XIX ს-ს), ტექსტი გმოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 746, 988, 994.

18 დ. ლომიძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია, 1978, № 1, გვ. 141.

19 სხვადასხვა ღროს გადაუნისული ხელნაწერების ერთად აკინძევის შედეგად წარმოშმნილ კრებულთაგან დავასახელებთ H—600-ს, რომლის პირველი ნაწილი — „მოქცევად ქართლისამს“ ქელიშური გარიანტი — გადაწერილია XIV—XV ს-ში ბასილის მიერ. შესაძლებლია, ანდერთა ტექსტების რამდენადმე ნიშანდობლივი მსგავსების საფუძველზე, ვატიქრი, რომ „მოქცევა ქართლისამს“, ე. წ. ჭელიშური ნუსა, A 215 (ცურათევანი), A 841 (მარხავანი), ქუთ. 376 (თხხთავი) და ქვემოჭალისეული კრებულის პირველი ნაწილის ფრთხი გადაწერილია ერთი და იმავე ბასილის მიერ.

კვალდაკვალ) შედგენილ კრებულს, უნდა ვითიქროთ, რომ მყითხველ-ჩალობელი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირის მიერ გადანუსხული სამ-ლვდელმსახურო წიგნების ერთად აკინძვითაც დაქმაყოფილდებოდნენ.

. 3. კარტელშვილის (3. ცხვილოელის) მიერ მიკვლეული კრებულიც ხე-ნებული მიზნით უნდა წარმოქმნილიყო.

### აღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

I. A 672:194 ფ., 28×23; ეტრატი; ძალზე დაზიანებული; ალაგ-ალაგ ჭიანაჭამი; უყდო; ნუსხური, სათაურები და სახედაო სისები სინგურით; ერთ სვეტად; გვერდზე 22, 23, ზოვან — 26, 27 და 28 სტრიქონია; თითოეული გვერდი გადამწერის მიერ წინასწარ საგულდაგულოდაა დახაზული; აქვს რვე-ულებრივი პაგინაცია; [XIII—XIV სს.].

ძეგლის დეფაქტურობა თვალის ერთი გადავლებითაც შესამჩნევია: 5v-ზე მთავრდება „ბ“ რვეული და იწყება (ნე-დან) „გ“. თითოეული რვეული, ჩვე-ულებრივ, 8 ფურცლიანია. მაშასადამე, გაუჩინარებულია დასტყუის 11 ფურცელი. აგრეთვე, განახევრებულია მე-7 რვეული: 187v—188r-ს შორის დაკარგულად უნდა ჩაითვალოს 4 ფურცელი. იყლია ბოლოშიც: 187v-ზე მთავრდება „კ“ რვეული. 188r-დან უკვე სხვა საკითხავია წარმოდგენილი. რვეულებრივი პაგინაციაც იღარ ჩანს.

შედგება ბიბლიური საკითხავებისაგან დიდ დღესასწაულთათვის. ალაგ-ალაგ ჩართულია ტიბიკალური შენიშვნები და მცირე ფორმის საგალობლები. კალენდარია მაგვარია: უძრავ დღესასწაულთა ციკლს (მმ შემთხვევაში: ნოე-ბერი — აგვისტო<sup>20</sup>, 1r—34v) მოსდევს საკითხავნი მარხვან-აღვსებისანნი (34v—146r, რატომლაც არ ჩანს აღდგომის მასალა), შემდეგ — ათთორმეტი შობისა და განცხადებისანი (146r—159v). ბოლოს, შედევნი: პარასკევისანი, სამუამისანი, ცხრა უამისა, შობისანი, განცხადებისანი (159v—176r). აგრეთვე: „წესი და განგება რ-ლ აღესრულების წა და დიღსა პარასკევესა უამთა ლო-ცვისათვს და ათთორმეტა...“ (განგება-ტიბიკონითურთ, 176r—193v).

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ხელნაწერი მიჩნეულია ვიორგი მთა-წმინდელის მიერ შედგენილი „საწელიწდო საწინასწარმეტყუელოს“ (A 192< A 192+H 1350, გადაწერილია 1085 წელს) ბადლად<sup>21</sup>, თუმცა აქვე უნდა აღ-ნიშნოთ მ ძეგლებს შორის რედაქციული სხვაობის შესახებ. ეს სხვაობა უმ-თავრესად ნიშნობლებით წლის უძრავ-მოძრავ დღესასწაულთა კალენდარულ ქარგაში: A 192 იწყება მარხვის ციკლით. მას მიჰყება, 159r-დან, საკითხავ-ნი ხარებისა, ხოლო ხარებას, 167v-დან, რაც ძალზე მოულოდნელია, უძრავი დღესასწაული: „თა სეკდენბერსა ა. გვრგვი წელიწადისა და წმიდისა სუ-იმეონ მესუეტისა“. მწერებსა წინა დღით. საკითხავი გ. წინასწარმეტყუ-ლება ესაიასი...“ და ა. შ. ქვემოქალისეულ „საწინასწარმეტყველოში“ (A 672) კი ამ თვალსაზრისით სხვა სურათია (იხ. ზემ.). ამასთანავე, მაში (A 672) შე-დარებით ჭარბადა წარმოდგენილი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული მასალა

<sup>20</sup> სექტემბერ-ოქტომბრის საკითხავები საგულვებელია ზემოხსენებულ 11 ფურცელში, რაღაც 2v-დან იწყება ლვთისმშობლის ტაძრად მიყვნების ანუ 21 ნოემბრის მასალა.

<sup>21</sup> უ. ცინ დ ე ლ ი ა ნ ი, ახალი მასალები ვიორგი მთაწმილების მთარგმნელობითი შე-ოთავის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, № 4, გვ. 48; ე. მეტ რ-ე ვ ე ლ ი, „მცხეთის ბაბლიის“ „იგავთა წიგნის“ წყაროების შესწავლისათვის, მავალთავა, VII, თბ., 1980, გვ. 108.

(მაგ. „შედგენი...“). ხსენებული ხელნაწერების ურთიერთშეკერება მათი რეპრეზენტაცია დაქციული რაობის დასადგენად, ვფიქრობ, საყურადღებო ფაქტებს გამოყენებს, მიგვანიშნებს ამ კერძოულების წარმომავლობის სხვადასხვა საკითხებს.

II. ცენტრარქ. 245: 192 ფ.; 26,5×19,5; ეტრატი; ძალზე დაზიანებული; ალაგ-ალაგ დახულ-დაფლეთილი და დახვრეტილი; ყდა ახალი; ნუსხური (სათაურები და თავასოები სინგურით); ერთ სვეტალ; გვერდზე 24 ან 26, 27 სტრიქონია, თითოეული გვერდი გადამწერის მიერ წინასწარ საგულ-დაგულოდა დახახული; ნაწერია ერთი ხელით და სხვადასხვა მელნით; ალაგ-ალაგ გაცხოველებულია<sup>22</sup>; ახლავს რევულებრივი და ფურცლობრივი პაგინა-ცია. უკანასკნელი ორგვარია: ძველი, პ. კარბელაშვილის ეული და ახალი; [XIII—XIV სს.].

ძეგლის დეფექტურობაზე იმთავითვე მიგვანიშნებს რვეულების ამგვარი თანმიმდევრობა:...და (დაბრჩენილია ბოლო 5 ფურცელი), ე. ვ. ზ. ც (იმ რევულის შემდეგ, 37, ქ. პაგინაციით 232, V-დან გაუჩინარებულია ერთი ფურცელი: 232-ს მოსდევს 234, ე. ი. ა. პაგინაციით 37,38... ამის შემდეგ, 17r-მდე ფურცელი ძალზე აღრეულია), იგ(იწყება 47r-დან), ის, იც. ით (აკლია ერთი ფურცელი), ქ. კა, კბ, კბ, კდ, კმ, კმ, კზ, კც, კო, ლ....(?) 165 (360)V-დან (წყდება: „მივიღტოდით ტაძართა მათთა...“) რამდენიმე ფურცელი გაუჩინარებულია, რადგან 166r-დან იწყება სხვა ღლის საგალობელი (...ანგელოზთაგან ქებულო, რომელმან“), — იბ (დასწყისი არ ჩანს, მთავრდება 169v-ზე), ?-დ (მთავრდება 176v-ზე), იგ (7 ფურცელია), ია-? დ-?:

როგორც ვხედვთ, ძეგლის შემორჩენილი ნაწილიც კი დღესდღეობით სათანადოდ დალაგებული არაა; „დ“ რვეულის ფრაგმენტები გვხვდება თავ-შიც, შუაშიც და ბოლოშიც. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ ხელნაწერი ერთ დროს, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, დაშლილა და დაფანტულა, ხოლო სათანადოდ მომწერსრიგებლის ხელი მას ჯერაც არ შეხებია.

ხელნაწერი მოიცავს უძრავ-მოძრავ დღესსწაულთა, ე. ი. თვენისა და მარტინ-ზატიკის მასალას, განკუთვნილს თვალსაჩინო ღლეთათვის, ამ თანმიმდევრობით: 1. უძრავი ღორესსწაულისანნი: ღორისმობლის შობა (8 სექტ.) —ხარება (25 მარტი) (1r—77v); 2. მარხვან — ავსებისანნი: ღიღმარხების მე-6 პარასუევი (ე. ი. წინადღე ლაზარის აღდგინებისა, მწუხრი და ცისკარი) — აღვებიდან მე-9 ანუ ყოველთა წმიდათა კვირიაკე (77v—149v) და, კვლავ, 3. უძრავ ღორესსწაულისანნი: იოანე ნათლისმცემლის შობა (24 ივნისი) — იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა (29 აგვისტო) (149v—164v). 164v-ზე წარმოდგენილია გადამწერის ანდერძი, რომელსაც (იმავე კვერდიდან) მიმკვება საგალობელნი: ა) კოზმიან და დამიანები — 1 ნოემბერი (164v—168r); ბ) წინაღლებისსწაული შობისა და ეგნატე ღმერთშემოსილისა — 20 დეკემბერი (168r დან). ნაკლულია: მოსდევს სხვა ღლის მისალა); გ) იოანე ოქროპირის ნაწილთა აღმოყვანება — 27 იანვარი (176v-დან?); გ) შობა — 25 დეკემბერი (176v-დან?); ე) წინადღე განცხადებისა — 3 იანვარი (188v-დან — ?); ვ) წინადაცვათა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სხენება ბასილი კაპადუკი-

<sup>22</sup> გაცხოველებულია 1 recto-ს 1—4 სტრიქონი: „...რცითა [წორცითა?] მცუ(ც)ფ(ც)ბ საყრდას [საყრდას?] ზ(ერ)ა და მეუჯებ ყოველთა კიდეთა ქ(ერც)ანისათა რ(ომე)ბი იგი სულუვ...“ ასე რომ, მოკითხვა ძალზე ძნელია. ჩანს, შესაბამისი ღმერტების შემდგენლებმა ამის გამო უგრძლებელყველების მოელი გვერდი და ხელნაწერის დასაწყისად წარმოადგინეს 1v-ს 1—2 სტრიქონი: „ფერ იჩინა საშინა მისსა საკრეველად და შემდგომად შობისა და იცა ქალწელი ...“ (აღწერილობა, გვ. 214).

ელისა — 1 იანვარი (191v—192v). ხსენებულ საგალობელთაგან ა და შემომარტინებული მიძყვება გადამწერის ანდერძს: ტექსტში ნაკლებობა არ შეიძინება და, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, წარმოადგენენ დამატებას ანუ დანართს ეტრატის იმ თავისუფალი ადგილის შესავსებად, რომელიც კრებულის ძირითადი ფენის გადანუსხვის შემდეგ უნდა დარჩენილიყო. ზოგიერთი სხვა დღესასწაულის მასალის (გ, დ, ე, ვ) იმ ადგილზე მოხვედრა უმთავრესად ხელნაწერის დაშლა-დაფანტვის შედეგია, რასაც გვამცნობს თვით შესაბამის რვეულთა პავინაცია? — დ, იე (სრულადა), ია? — დ?

თოთოეულ განგებაში ნავარაუდებია სრული კანონი (შემადგენელ ნაწილთა ქართულ-ტრადიციული სახელწოდებებით) და რამდენიმე მცირე ფორმის საგალობელი: უფალო ღალადყავსა, იკოსი, იბაკო, დიდება, გმოვლინება, გამშვინთლებელი. აგრეთვე, ზოგჯერ — მხრითადი ტიბიკალური შენოშვენება ბიძლიური და სვინაქსარული საკითხავების გარეშე. ამ უკანასკნელთა ჩართვა კი დამახასიათებელია იმ ლიტურგიული წიგნებისათვის, რომელთაც „სადღესასწაულოს“ უწოდებენ. ასე რომ, ლიტურგიული წიგნების რაობისა და სახელდების თანახმად, რაც დამკვიდრებულია თანამედროვე ქართველოლოგიურ ლიტერატურაში (იხ. ზემოთ), ქვემოყალიბისეული კრებულის მეორე ნაწილს (ცენტრარქ. 245) უნდა დავარქვათ „საგალობელთა კრებული“.

#### Н. ПАПУАШВИЛИ

### ПО СЛЕДАМ ИНФОРМАЦИИ П. КАРБЕЛАШВИЛИ (ИСТОРИЯ ДВУХ ПЕРГАМЕНТНЫХ РУКОПИСЕЙ)

#### Резюме

В статье предложена история двух рукописей. Это рукопись А 672 (Паремийник) Института Рукописей АН ГССР и рукопись из Грузинского Государственного Исторического Архива № 245 (Гимнографический сборник).

Основываясь на сообщении известного церковного и общественного деятеля священника Полиевктоса Карбелашвили, а также исходя из результатов кодикологических исследований выяснилось, что обе эти рукописи переписаны в XIV—XVI вв. в одной и той же калиграфической мастерской. В 30-х годах XVIII века эти рукописи были соединены в одну книгу. Так был создан литургический сборник, своего рода Минея Избранная, в котором были соединены литургические библейские и гимнографические чтения избранных праздников годичного цикла. Этот сборник первоначально хранился в одной из церквей села Квемочала Горийского уезда, где его в 1882 году обнаружил П. Карбелашвили. Возможно, что именно он привез эту сборную рукопись в Тбилиси, разделил ее, по содержанию, на две части; и передал первую в Церковный музей, а вторую — в Центрархив.

### ზ. პლიტები

## 806 არის „სრულიად აღმშენებილი“ სამუშალების ციონისა

დიდი ხანია სამშეილდის სიონის წარწერა იპყრობს სპეციალისტთა ურალებას. იგი პალეოგრაფიულადაც საინტერესოა და შინაარსითაც. ერთ-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა თავის დროზე, როგორც ჩანს, სიონის ომოსაცელებისა და სამხრეთის კედლებს მთლიანად გასდევდა 26 თუ 34 მეტრის (ლიტერატურში სხვადასხვაგვარად არის აღნიშნული) სიგრძეზე. წარწერა ძლიერ არის დაზიანებული. გადარჩენილია მთელი ტექსტის დაახლოებით ერთი მესამედი, ამიტომ მისი მთლიანად აღდგენა დღემდე მხოლოდ პირობითი შეიძლებოდა ყოფილიყო.

სამშეილდის სიონის წარწერა პირველად გადმოიხატა ნუმიზმატმა ი. ბართოლომეგ და შესასწავლად გადასცა მ. ბროსეს, რომელმაც იგი მხედრული ტრანსკრიპციით და ფრანგული თარგმანით გამოაქვეყნა 1856 წელს<sup>1</sup>. 1905 წელს წარწერა ხელახლა გამოსცა ე. თაყაიშვილმა. არც ე. თაყაიშვილის წაკითხვა იყო სრულყოფილი, მაგრამ მან მოახერხა წარწერაში ორი მეფის (კონსტანტინ და ლეონი) სახელი ამოკითხა, მშინ, როდესაც მ. ბროსეს მხოლოდ ერთი (კონსტანტინე) ჰქონდა დაფიქსირებული<sup>2</sup>.

სამშეილდის სიონის წარწერის გადარჩენილი ნაწილი, როგორც ჩანს, სწორად გაშიფრა ლ. მუსხელიშვილმა, რომელმაც ამ საკითხზე 1942 წელს სპეციალური ნაშრომი გამოაქვეყნა<sup>3</sup>. მის პუბლიკაციაში კიდევ ორი ახალი პიროვნება გამოჩნდა: „ნითესავით პიტიახში“ ვარაზ-ბაკურ და იოვანე. ტექსტის უკანასკნელი, 1980 წლის გამოცემა (ნ. შოშიაშვილი) ითვალისწინებს ყველა აღრინდელ პუბლიკაციას და ეყრდნობა ლ. მუსხელიშვილის წაკითხვას გარეული კორექტივებით<sup>4</sup>.

ქვემოთ მოვიტან სამშეილდის სიონის წარწერის იმ ნაწილს, რომლის ამოკითხვა ეჭვს არ უნდა იწევევდეს, ამ ორი ბოლო პუბლიკაციის საფუძველზე:  
...[ნა]თესავით პიტიახში. წელსა კ მეფობისა კონსტანტინესა დაიდა

<sup>1</sup> M. Brosset, Lettres de M. Bartholomaei relatives aux antiquités géorgiennes: Mélanges Asiatiques, t. II, livre I, Spb, 1856, გვ. 99—102.

<sup>2</sup> E. C. Такаишвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, П., 1905, გვ. 42—43.

<sup>3</sup> ლ. მუსხელიშვილი, სამშეილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი; ენიმიკის მოაზე, XII, 1943, გვ. 85—106.

<sup>4</sup> ქართული წარწერების კორპუსი I, ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს), შეაღინა და გამოსაცემად მოაზადა ნ. შოშიაშვილ მა, თბ., 1980, გვ. 230—236.

საძირკველი კელითა ...ა[ღ]შენებად ვარაზ-ბაკურ შეისუ[ე]ნა და მისა უკუნდ-ის... იმვანე იწრაფდის. აესრულა იგიცა... იქმნა] სრულიად აღშენებად წმიდინა ამის ეკლესისად] და სტოვათა. და წელსა გ ლეონ მეფისა, დღესა ენერინასა, ყო სატფურებად 3 დღე დიდითა კრებითა, განშუ[ენებად]..."

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ წარწერას დიდი ლაუნები აქვს, ტექსტის ძირითადი აზრის დადგენა შეუძლებელი არ არის: სამშვილდის სიონი უშენებით „ნათესავით პიტიაზშებს“: ვარაზ-ბაკურს, იმვანეს და ვილაც მესამე პირს. მშენებლობა დაწყებულა კონსტიტუციების შეობის მეოცე წელს და დამთავრებულა ლეონ მეფის ზეობის მესამე წელს. საკითხავი ახლა ის არის, თუ ვინ არიან „ნათესავით პიტიაზში“ ვარაზ-ბაკურ და იოანე; ვინ დაასრულა სიონის მშენებლობა და განაშენება იგი; როდის დაიწყო და როდის დასრულდა ტაძრის მშენებლობა.

დავიწყოთ ამ წერილის დაწერის მთავარი მიზეზით: ვინ იყო ის მესამე პირი, რომელმაც დამთავრა სამშვილდის სიონის მშენებლობა. ცხადია, დღემდე რაიმე ასტებითი ვარაუდის გამოიქმა ამ საკითხზე შეუძლებელი იყო, ვინაიდან ტექსტი სწორედ აქ არის ყველაზე უფრო დაზიანებული. ლ. მუსხელი-შვილმა მაინც ვამორჩქვა შემდეგი მოსაზრება: სამშვილდის სიონის მშენებლობა უნდა დაესრულებინა „ნათესავით პიტიაზში“, ანუ იმ სახლის წარმომადგენელს, რომელსაც ეკუთვნოდნენ ვარაზ-ბაკური და იმვანე (სავარაუდოა, ვარაზ-ბაკურის ძმი). იგი „უთუოდ ეპისკოპოსი ყოფილა, რაღან, როგორც ჩანს, მანვე, მშენებლობის დამთავრებისას, „ყო სატფურებად“ ე. ი. აკურთხა ახლი ეკლესია“. სხვა შეხედულება ამ საკითხზე არ გამოიქმულა.

მკითხველმა აღმათ უკვე იცის, რომ სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრის ახლადაღმოჩენილ ხელნაწერებს შორის არის კრებული (ახალი კოლექციის Sin 50), რომელმცი შედის „მოქცევა ქართლია“ და ასურელ მმათა ცხოვრებანი. აი, ამ მეორე თხზულებაში აბიბოზ ნეკრესელის მარტვილობის წინ ჩართულია პატარა თავი სახელწოდებით „სახელები წმიდათა ზედა ზაღველთა ბერთა მამასახლისთავ და ქრისტეს მიერ აღსრულებულთავ“. ამ თავში ზედაზნელ მამასახლისთა სიის გარდა მოცემულია ზედაზნენსა და დავით-გარეჯში დაცულ ნივთთა აღწერილობა მათ შემწირველთა დასახელებით. იქ, სადაც დავით-გარეჯში დაცულ ნივთებზეა ლაბარაკი, ნათქვამია: „და ჭუალუმაზ ტილოსა ზედან ოქრო-წყლითა დაწერილი ხატი დებორა სამშვილდელ დედოფლისა შეწირული, რომელმან სამშვილდისა ეკლესიად აღმენა განსრულებით“.

არ შეიძლება ამ წინადაღების წამკითხველს მაშინვე არ გაახსენდეს სამშვილდის სიონის წარწერის ის ადგილი, სადაც მშენებლობის მესამე ეტაპის შესახებ ნათქვამია: „...იქმნა] სრულიად აღშენებად წმიდინა ამის ეკლესისად“]. ლ. მუსხელიშვილი ტექსტის ამ ადგილს ასე აღადგენს: („მავანს—ზ. ა.) მისცა უფალმან სრულიად აღშენებად წმიდისა ამის ეკლესისად“).

არა მგონია, ვისმეს ეჭვი შეეპაროს იმაში, რომ სინურ კრებულში შეტანილი თხზულების ავტორი დებორა სამშვილდელი დედოფლის სამშენებლო საქმიანობის შესახებ სწორედ სიონზე ასებული წარწერის მიხედვით გვაუწყებს: „... დებორა სამშვილდელ დედოფლისა შეწირული, რომელმან სამშვილდისა ეკლესია აღმენა განსრულებით“. ამიტომ, ვთქმიობ, უყოყმანოდ შეგვიძლია სამშვილდის სიონის წარწერის ლაკუნაში საძიებელ მესამე პირად დებორა დედოფლალი ვივარაუდოთ და ტექსტი დაახლოებით ასე აღვა-

დევინთ: „...ნათესავით პიტიახშნი. წელსა კ მეფობისა კონსტანტინებსა და იდვალუადან საბირეული კელითა ...აღშენებად გარაზ-ბაკურ შეისუენა და მის უკუანის... იყვნე იწრაფდის. აესრულა [იგიცა... და კელითა... დებორა სამშველდელ დე- დოფლისათა] იქმნა სრულიად აღშენებად წმიდა[სა ამის ეკლესისად] და სტოვათა. და წელსა გ ლეონ მეფისა, დღესა ენკენისა, ყო სატფურებად ვ დღე დიდთა კრებითა, განშე[ენებად]...“

ლ. მუსხელიშვილისა და ნ. შოშიაშვილის მიერ გამოქვეყნებულ მონახაზ- ზე „აესრულა“ და „სრულიად“ სიტყვებს შორის სრული ლაკუნა. მხოლოდ XIV ფილაზე ცდილობს ლ. მუსხელიშვილი რაღაც გაარჩიოს და კითხვის ნიშ- ნებით რც „(ად)“ გრაფემებს კითხულობს. დაახლოებით ამავე ადგილს 1905 წელს თაყაიშვილი რც „(დბ)“ გრაფემებს კითხულობდა.

ვფიქრობ, შესაძლოა, რომ სწორედ ეს „დბ“ გრაფემებია დებორა დედო- ფლის სახელის ნაშთი.

ამრიგად, სამშვილდის სიონის სამივე მაშენებლის სახელი უკვე ვიცით, თუმცა ახსნა უნდა იმ წინააღმდეგობის, რომელიც ჩნდება ჩევენ მიერ აღ- დგენილ მესამე პირსა და ლ. მუსხელიშვილის მიერ დაშვებულ ვარაუდს შო- რის: სამშვილდის განმასრულებელი „უთოდ ეპისკოპოსი ყოფილა, რაღან, როგორც ჩანს, მანვე, მშენებლობის დამთავრებისას, „ყო სატფურებად“ ე. ი. აუტრიხა ახალი ეკლესია“.

ვფიქრობ, ასეთი დაშვება სავალდებულო არ არის. დედოფალს (და არა - ზარტო დედოფალს) თავისუფლად შეეძლო თავის თავზე ეთქვა (ან მის შე- სახებ ეთქვა სხვას), რომ აკურთხა ახლად აშენებული ეკლესია. ამის მაგალი- თად მოვიტან ლისის ჯერს სამშვენებლო წარწერის (ათარილებენ X საუკუ- ნით) ტრექსტს: „ნებითა ღმრთისათა მე, ფებრონია, თუალომა სულმან აღვა- შენ წმიდა ესე ეკლესია, ვაკურთხე საფარველად მისა ჩემისა აბულეთისა...“

ახლად გამოვლენილ მასალის გაცნობის შემდეგ, ბუნებრივია, კვლავ დაჭურდება მიბრუნება სამშვილდის სიონის დათარილების საკითხს, მით უფ- რი, რომ განვლილი 150 წლის მანძილზე ამ საკითხზე რამდენჯერმე შეიცვალა შეხედულება.

მ. ბროსე, რომელსაც წარწერაში მხოლოდ კონსტანტინე მეფის სახელი ქვინდა ამოკითხული, სამშვილდის სიონს 1313 წლით ათარილებდა. ასეთი დათარილება იმდენად შორის არის სინამდვილისგან, რომ მისი სერიოზულად განხილვა არავის უცდია, მაგ იქნა უარყოფილი.

ე. თაყაიშვილმა წარწერაში ლეონ მეფის სახელიც დააღასტურა და ჩა- თვალა, რომ იგი პაპა-შვილიშვილის, კონსტანტინე და ლეონ აფხაზთა მე- ფების, ზეობით უნდა დათარილდეს (გასრულება 958 წელს). მკვლევარს არ მოუტანია ამ დათარილების დასაცავად არცერთი არგუმენტი. მისთვის საქმა- რისი აღმოჩნდა კონსტანტინე და ლეონ მეფეთა დააღასტურება X ს-ის აფხა- ზეთის მეფეთა შორის.

სამაგიეროდ სამშვილდის სიონის წარწერის დათარილებაზე ვრცლად და უკვე მხარის დეტალური განხილვით იმსჯელა ლ. მუსხელიშვილმა. მისი დე- ბულებები შეიძლება ასე დაგუფლეს: 1. პალეოგრაფიული თვალსაზრისით, წარწერა VII—X საუკუნეებს შორის უნდა მოთავსდეს, თუმცა ანალოგიები უფრო VIII საუკუნეზე მიუთითებენ. 2. წარწერაში მოხსენიებული „ნათესავით პიტიახშნი“ პალეოგრაფიით განსაზღვრული თარიღის ქვედა საზღვრის სასა-



რეგისტრი უფრო ლაპარაკობს. 3. წარწერაში დასახელებული კონსტანტინე მარტინე მეფე ბი არიან არა აფხაზთა მეფეები, არამედ ბიზანტიის კეისარები, რომელგაც ერთმანეთის მომდევნოდ ზეობდნენ VIII საუკუნეში: კონსტანტინე (740—775), ლეონი (775—780). მტრიგად, სამშეილდის სიონის საფუძველი დაიდო 759 წელს (კონსტანტინეს ზეობის მეოცე წელი), ხოლო შეხებლობა დასრულდა 777 წელს (ლეონის ზეობის მესამე წელი). შეხებლობა გაგრძელებულა 19 წელიწადს.

წარწერის დათარიღების საყითხს კვლავ დაუბრუნდა 5. შოშიაშვილი. მან გაზიარა ე. თაყაიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამშეილდის სიონის შეხებლობა დათარიღებულია კონსტანტინე და ლეონ აფხაზთა მეფეების ზეობით და სცადა ამ შეხედულების განმტკიცება პალეოგრაფიული არგუმენტებით: 1. წარწერაში გვხვდება ლიგატურები. 2. ტ(დ-ონი) რამდენჯერმე დაწერილია ყელის ვარეშე 3. ზ(ლ-ასი) თავისებურია (წრე ებმის ყელს ქვევიდან და არა გვერდილან). 4. ტ(თ-ანი) გამოსახულია კუთხოვანი, ქვევით დახრილი ფეხით, მ(რ-აე) მოცემულია „ძლიერ გადახსნილი ფეხით“. 6 ყ(ბ-ანი), 4 (კ), 8 (ჭ-ინი), წ(ჭ-არი) დაწერილია „ძლიერ გადაშლილი წრე ებით“. 7. რამდენიმე აღვილას დარჩენილია განკვეთილობის ნიშნების კვალი. 8. გრაფემები შეღებილია წითლად, რაც ქართულ ლაპიდარულ წარწერებში გვხვდება IX—X სს.-დან.

ჩემი აზრით, ლ. მუსხელიშვილის არგუმენტაცია სამშეილდის სიონის წარწერის დასათარიღებლად მანამდეც საყმარისი იყო, რომ იგი უცვლელი დარჩენილყო. მაგრამ რადგან საყითხი მაიც საყმათო გახდა, რამდენიმე არგუმენტს ან კონტრარგუმენტს მეც დაუუმატებ.

საკვირველია, მაგრამ არცერთ სპეციალისტი არ აღუნიშნავს ის ფაქტი, რაც მკვლევარს პირველ რიგში ეცემა ხოლმე თვალში, როდესაც IX—X საუკუნემდელი წარწერების პალეოგრაფიულ ანალიზებს აკეთებს: სამშეილდის სიონის წარწერის არცერთ გრაფემას არა აქვს დამატებითი მარცხნივ გაზიდული შევრილი. სხვა მონაცემი რომ არ იყოს, მარტო ესეც საყმარისი იყო, რომ VIII და X საუკუნეებს შორის არჩევანში უპირატესობა VIII საუკუნისთვეს მოვალენიჲებინა.

სამშეილდის სიონის წარწერაში ლიგატურით დაწერილია მხოლოდ ერთი სიტყვა — „პიტიახში“, მაგრამ ასევე ლიგატურით არის გადმოცემული ტერმინი „პატრიკიონის“ აბასთუმნის გვრის კვარცხლბეკის წარწერაში, რომელსაც 6. შოშიაშვილი სამართლიანად 685/711 წლებით ათარიღებს.

არცერთი თავისებურება („ძლიერ გადახსნილი“, „ძლიერ გაშლილი“) გრაფემების დაწერილობაში, რომელგაც მითითებული აქვს 6. შოშიაშვილს, არ შეიძლება ჩაითვალოს X ს-ის დაწერილობის პალეოგრაფიულ მახსიათებლად. ზოგი მათგანი გვხვდება უკვე V—VI საუკუნეებიდან მოყოლებული (მაგალითად, „თავიანია(ა)“, „უყელ ტ(ლ) ტ(რ) ძ(რ) ძლიერ გახსნილი ფეხით“) ზოგი დადასტურებულია VII—IX საუკუნეებში (4, 4, 8, წ „ძლიერ გადაშლილი წრე ებით“). მით უფრო, რომ სამშეილდის სიონის წარწერაში ისინი სხვადასხვანირად არიან დაფიქსირებულნი. არ არის ქრისტიანობის მაჩვენებელი

5 ლაპიდარული წარწერები 1, გვ. 103.

ზ (ლ-ასის) თავისებური დაწერილობაც. გერ ერთი იმავე წარწერაში ეს დანართობის ანალოგიური (ზ ზ-ანი) გრაფემა კლასიფიცირი ფორმით გვხვდება; მეორეც, მსგავსი ფორმის „ლ-ასი“ შეგვიძლია უნახოთ V-ს-ით დათარილებულ ბოლნისის ჭრის წარწერაში.

სამშევილდის სიონის წარწერის გვიანი ხანით დასათარილებლად არაფერს გვაძლევს, აგრეთვე, მითოება განკვეთილობის ნიშნების ნაკვალევსა და გრაფების წითელი ფერით შეღებაზე. წინა გამომცემლებს განკვეთილობის ნიშნები და სალებავი საერთოდ ნახსენები არა აქვთ. არა აქვს მათზე მითოება არც ლ. მუსხელიშვილსა და ნ. შიშიაშვილს წარწერის აღწერილობაში და მონახაზე. ესცე რომ არ იყოს, განკვეთილობის ნიშნები ხშირად გვხვდება VIII—IX სს-სს ფრესკულ წარწერებში (იხ. 739 წ. სტეფანოს მამფალის და 853 წლის ბულა თურქის წარწერები ატენის სიონში<sup>6</sup>).

მე არ შემიძლია რაიმე გადაჭრით ვთქვა წითელი სალებავის გამოყენების შესახებ ადრინდელი ხანის ქართულ ეპიგრაფიულ ძეგლებში, მაგრამ სომხურ-ში რომ გვხვდება ეს აშენაა. ამასთან, თვითონ ნ. შიშიაშვილიც აღნიშნავს, წითელი სალებავი IX—X საუკუნეებიდან გვხვდება. VIII საუკუნის მონუმენტური წარწერების ასეთ სიძირირეში სამშევილდის წარწერასაც თუ X ს-ში გადაიტანთ, ცხადია, სალებავის გამოყენების შემთხვევას IX—X სს-ზე უფრო ძლიერ ვერ დავადასტურებთ.

ბოლოს, კვლავ მინდა მიუუბრუნდე აბასთუმნის წარწერას, რომლის დათარილებაში სპეციალისტები VI—X სს-ს შორის მერყეობენ. ნ. შიშიაშვილი მას 685/771 წლებით ათარილებს და პალეოგრაფიულ არგუმენტებს თითქმის სევე აყალიბებს, როგორც ეს გაკეთებული აქვს სამშევილდის სიონის X-ს-ით დასათარილებლად: ა) ყ (ბ), ყ (გ), ყ (ყ)—რკალგახსნილები; ბ) მ (რ)-ს მარგვენა და მარცხენა რკალები სრულიად გადახსნილია; გ) ასევე ასო ც (ა)-ს რკალი ძლიერ გამლილია; დ) ე (ე), ზ (ლ), ზ (ვ) დაწერილია დამატებით, მარცხნივ გაზიდული განივი ხაზების გარეშე; ე) გვხვდება ლიგატურა (გრაფების: ჟ პ, ე ტ, ზ ვ, ჩ ნ)<sup>7</sup>

რადგან სიტყვა აბასთუმნის წარწერაზე ჩამოვარდა, მინდა აქვე მოვხსნა ლ. მუსხელიშვილის ერთგვარი ეჭვი სამშევილდის წარწერის ბიზანტიის კეის-რების ზეობით დათარილებასთან დაკავშირებით. იგი წერდა: „წარწერის დათარილების წესი (ბიზანტიის კეის-რების წლებით) სრულებით უჩვეულოა, მოულოდნელი მა დროს მანერ... არსა საქართველოში, არც უწინ და არც მერჩე, რამდენადც ვიცი, მონუმენტური ძეგლების დათარილების ასეთი წესი არა გვხვდება“. ამის შემდეგ მან თვითონ ეკვივალენტი სინტერესოდ და ლოგიკურად დასაბუთა, რატომ შეიძლებოდა დათარილების ასეთი წესი გამოეყენებინათ VIII საუკუნის საქართველოში და მოიტანა სათანადო ანალოგიები სომხური ეპიგრაფიდან. 1942 წელს, როდესაც ლ. მუსხელიშვილის ნაშრომი იწერებოდა, გერ კიდევ არ იყო სწორად აბასთუმნის ეკ-

<sup>6</sup> იქვე, გვ. 66, 76, 84, 86, 88, 105, 107, 109, 115, 132, 133 და სხვ.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 84.

<sup>8</sup> ქართული წარწერების კორპუსი III, ფრესკული წარწერები I, გამოსაცემად მოამზადეს, გმირვლება და სამიერლები დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ, თბ., 1989, გვ. 89, 132.

<sup>9</sup> ლაპილარული წარწერები I, გვ. 101—102.

ლესის ჭვრის კვარცხლბეგის წარწერა, რომელიც იუსტინიანე კეისარის მიერ მიმდინარე არის დათარიღებული. დღეს უკვე თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარწერის ასეთი დათარიღების წესი არ არის უჩვეულო საქართველოს თავის.

ახლი კოლექციის Sin 50. ერთ საინტერესო მინწერს შეიცავს, რომელიც პირდაპირ შეიძლება უკავშირდებოდეს სამშვილდელ „ნათესავით პიტა-აბშო“. „მოქცევა ქართლისას“ ტექსტსა და ასურელ მამათა ცხოვრებებს შორის თავისუფალ ადგილზე ვკითხულობთ:

„სახელითა ღმრთისადთა, ესე წიგნი ქართლის მოქცევისანი მე, არშუშა-ყოფილმან იოანე შეეწირენ წმიდასა მთასა სინასა სალოცაველად შვალთა ჩემ-თათუს — დემეტრე, ადრნერსე და ნერსე — და საჭენებლად სულისა ჩემისა-თუს. ლოცვა ყავთ, ამენ“.

სახელი „არშუშა“ ქართლის პიტიახშების საგვარეულო სახელია. უნდა ვითქმის რომ, რომ სინას მთისათვის იმ ხელნაწერის შემწირველი, რომელშიც მოხსენებულია სამშვილდელი დედოფლის დებორას მიერ სამშვილდის სი-ონის შვერებლობის დამთავრება, თვითონ ეკუთვნის „ნათესავით პიტიახშებს“ და, ცხადია, კარგად იცის, რასაც წერს. ხელნაწერი უეჭველად გადაწერილია X საუკუნის პირველ ნახევარში და მაშინვეა სინას მთის მონასტრისათვის შე-წირული. ცხადია, მასში აღარ უნდა ველოდეთ ლეონ აფხაზთა მეფის ზეობის მესამე წლის დასახელებას. ამასთან, მთელი კონტექსტიდნ აშკრალ ჩანს, რომ მისი ავტორი დებორა სამშვილდელი დედოფლის საამშენებლო საქმიანობას საკმაოდ შორეულ წარსულში გულისხმობს. ამ შორეულ წარსულში კი კონსტანტინე და ლეონ მეფეები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ბიზანტიის კეისრები კონსტანტინე V (740—77) და ლეონ IV (775—780).

ამრიგად, სამშვილდის სიონის მშენებლობა დასრულებულია 777 წლის 13 სექტემბერს. მისი „სრულიად აღმაშენებელი“ და განმამშვენებელია სამ-შვილდის დედოფალი დებორა.

შ მ რ ა რ გ ა რ ი თ ი  
 [1914—1990]

უასული წლის 27 აგვისტოს გარდაცვალა სახელმწიფო ბელგიელი მეცნიერი, კლასიკოსი და ორიენტალისტი, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე მსოფლიო სამეცნიერო წრებში უმაღლესი ავტორიტეტით სარგებლობდა. ქართულმა მეცნიერებამ დაყარგა შესანიშნავი ქართველობოგი, ძველი ქართული მწერლობის ფართო თვალსაწიერის მქონე სპეციალისტი, ევროპის ახალი ქართველობისაური სკოლის შემქმნელი. უ. გარითი დაიბადა 1914 წლის 15 იანვარს ბელგიაში, 1931 წელს დაამთავრა ლუვენის უნივერსიტეტი. 1935 წელს მიიღო სამეცნიერო ხარისხი კლასიკურ ფილოლოგიაში. 1936 წელს — აღმოსავლურ ფილოლოგიასა და ისტორიაში. 1940 წელს მოიპოვა ხარისხი ფილოსოფიასა და ლიტერატურაში. 1938 წელს ის ბელგიის ეროვნულმა სამეცნიერო ცენტრმა გააგზავნა რომში სამუშაოდ, სადაც მან დაჰყო 1946 წლამდე. ომის მძიმე წლებში ის ვატიკანის ბიბლიოთეკაში მუშაობდა, სადაც მან გააღმართა თავისი ცოდნა აღმოსავლურ ენებში. აქ შეისწავლა მან ქართული ენაც მიქელ თარხნიშვილისაგან, რომელსაც თავის მასწავლებლად თვლიდა.

1946 წელს უ. გარითი ბრუნდება ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში. 1950 წლიდან ამ უნივერსიტეტის პროფესორია, ასწავლის ბერძნულ პალეოგრაფიას, ფილოლოგიას და ბიზანტიის ისტორიას, ამასთან ერთად რამდენიმე ენას: თანამედროვე ბერძნულს, კოპტურს, ძველ ქართულსა და კლასიკურ სომხურს. 1948 წლიდან ის განაგებს ბელგიის ცნობილი ორიენტალისტური სერიის Corpus Scrip. Christianorum Orientalium -ის სომხურ სექტანს. ქართულ სექტანს იმ დროს განაგებდა უ. მოლიტორი. 1950 წლიდან უ. გარითი რედაქტორია ლუვენის ორიენტალისტური უნივერსიტეტის უურნალს „Muséon“ -ის, რომლის არსებობას 100 წლისთავი 1988 წელს აღინიშნა.

1946—47 წლებში უ. გარითი აქვეყნებს პირველ ქართველოლოგიურ გამოკვლევებს. 1957 წლიდან ის აქტიური კორესპონდენტია ნინო და კალე სალიების ფრანგულენვანი უურნალის „ბედი ქართლისა“. 1960 წლიდან ამ უურნალის სამეცნიერო სათათბიროს მუდმივი წევრია. /

